რელიგიები საქართველოში

საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა

გამოსაცემად მომზადებულია
საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ

თბილისი 2008

This publication was produced in the framework of the project "Capacity Building of the Public Defender's Office in Georgia" implemented by the Public Defender's Office of Georgia in cooperation with the United Nations Development Programme (UNDP) and Raul Wallenberg Institute of Human Rigts and Humanitarian Law (RWI), with financial support from the Swedish International Development Cooperation Agency (SIADA).

გამოცემულია საქართველოს სახალხო დამცველის, გაეროს განვითარების პროგრამისა და რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში — «საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება», შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამის, რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის ან შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს თვალსაზრისს.

რედაქტორი:
ზურაბ კიკნაძე

სტილის რედაქტორი:
ლევან ბრეგაძე

ფოტო:
არჩილ ქიქოძე
ლევან ხერხეულიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

კორექტურა:
მანანა ყვავილაშვილი

გამოცემაზე
პასუხისმგებელი:
ბექა მინდიაშვილი

ISSN 1987-684X

ISBN 978-9941-0-0901-3 (ორივე ტომის)
ISBN 978-9941-0-0902-0 (მეორე ტომის)

უაკ: 2(479.22)
ი-339

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი წიგნზე მუშაობისას გაწეული მხარდაჭერის გამო საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, საქართველოს ეროვნულ არქივს, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიასა და თბილისის მერიას, ასევე, კობა სუბელიანს, მერაბ ბუჩუკურს (სვანური ფრესკები და ხატები), რუსლან ბარამიძეს (აჭარის მუსლიმები და მეჩეთები), ბასილ კობახიძესა და ილია თავბერიძეს — ადამიანებს, რომლებმაც შესაძლებლობა მოგვცეს გვესარგებლა პირადი ფოტოარქივებითა და მათ ხელთ არსებული ფოტომასალით, უხდის განსაკუთრებულ მადლობას.

ტოლერანტობის ცენტრი განსაკუთრებულ მადლობას უძღვნის აგრეთვე ფოტოილუსტრაციების ავტორებს: არჩილ ქიქოძეს, ლევან ხერხეულიძეს (იუდაიზმი, ბაჰაი, ევანგელისტური ეკლესია, სვეტიცხოველი), ცისანა გოდერძიშვილს (მალაკნები), იური მეჩითოვს (სომეხთა სამოციქულო ეკლესია), მარიკა ასათიანს (აჭარელი მუსლიმი ქალი), დავით ხიზანიშვილს (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ქართველი მონაზვნები), დავით მესხს (კრიშნაიდები. პირველად ჟურნალ «ცხელი შოკოლადში» გამოქვეყნდა), პაატა ვარდანაშვილს (ხანძთის გუმბათი - ფოტო რელიგიის თავის გაშლაზე და მირონცხება), დავით ხუციშვილს (ბაპტისტები), შოთა წიკლაურს (დაკრძალვა ხევსურეთში).

საგანგებო მადლიერებით უნდა ითქვას შორენა შავერდაშვილის გამორჩეული მხარდაჭრის შესახებ, რომლის გარეშე პუბლიკაცია გაცილებით გვიან იხილავდა დღის სინათლეს.

ტოლერანტობის ცენტრი განსაკუთრებით მადლიერია სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წარმომადგენლებისა, რომლებმაც ჩვენთან ერთად გაიზიარეს კრებულზე მუშაობის პროცესის სიმძიმეც და სიხარულიც.

წინასიტყვაობა

საქართველოში, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ოდითგანვე სხვადახვა რელიგიური ტრადიცია და კულტურა ხვდებოდა და კვეთდა ერთმანეთს. ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა ჩვენი ქვეყნის აწმყოსა და წარსულის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, მაგრამ, ამავდროულად, რელიგიური მრავალფეროვნებაც ჩვენი ისტორიული, კულტურული და სოციალური სიმდიდრეა. ამ სიმდიდრეს მოფრთხილება და დაცვა სჭირდება და, შესაბამისად, მისი შესწავლა და სრულყოფილი წარმოჩენა უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი საქმეა.

კრებული «რელიგიები საქართველოში» მხოლოდ საცნობარო-საენციკლოპედიო ხასიათს ატარებს და ჩვენს ქვეყანაში არსებული რელიგიური მრავალფეროვნების სისტემატიზებული გადმოცემის მცდელობას წარმოადგენს. საქართველოში რელიგიური მრავალფეროვნებისა და, ზოგადად, რელიგიურობის ფენომენის ღრმა და სამეცნიერო ანალიზი სამომავლო კვლევა-ძიების სფეროა.

გამოცემა, უმთავრესად, ორ მიზანს ისახავს:

ერთი მხრივ, როგორც უკვე ითქვა, პუბლიკაციამ მკითხველს ზოგადი, საცნობარო ხასიათის ინფორმაცია უნდა მიაწოდოს საქართველოში არსებული რელიგიებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ. შესაბამისად, წიგნში განზოგადებული სახითაა გადმოცემული მონაცემები ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანების ისტორიის, მოძღვრების, რელიგიური პრაქტიკის, სოციალური მოღვაწეობისა და საქართველოში მათი წარსულისა და დღევანდელობის შესახებ.

მეორე მხრივ, გვსურს, რომ წიგნმა ერთგვარად ხელი შეუწყოს განსხვავებული რელიგიური მრწამსის ადამიანებს შორის ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს დამკვიდრებას, უფრო ფართო აზრით კი, გააღრმაოს რელიგიური ტოლერანტობის ისტორიული კულტურა, რითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ქვეყანა.

ვფიქრობთ, რომ რელიგიურ გაერთიანებათა ისტორიისა და საქმიანობის შესახებ ობიექტური ინფორმაცია შესაძლებელია სტერეოტიპული და ხშირად ქსენოფობიური დამოკიდებულების დაძლევის წინაპირობა გახდეს, რაც, გარკვეულწილად, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილისთვის ბოლო პერიოდში გახდა დამახასიათებელი.

ამ მიზნების მიღწევის სურვილიდან გამომდინარე, პუბლიკაციაში წარმოდგენილი სტატიების ავტორები შეეცადნენ შეძლებისდაგვარად, მიუკერძოებლად წარმოეჩინათ ზოგადი ინფორმაცია ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანების შესახებ. შესაბამისად, სტატიებში შეჯერებულია როგორც უშუალოდ რელიგიურ გაერთიანებათა წარმომადგენლების თეოლოგიური ხედვა, ასევე სამეცნიერო (რელიგიათმცოდნე-ობითი და ისტორიული) ხასიათის მონაცემები.

სტრუქტურა

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია მხოლოდ ის რელიგიები და რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც საქართველოში არიან დამკვიდრებულნი.

რელიგიური გაერთიანებების შესახებ სტატიები დაყოფილია თავებად და ქვეთავებად. თითოეული თავი, პირობითად, ორად იყოფა: ჯერ მოცემულია ზოგადი სახის ინფორმაცია კონფესიის რაობის შესახებ და, შემდეგ, მისი ისტორია საქართველოში.

ცალკე სტატიებადაა წარმოდგენილი ქრისტიანობა (ზოგადად), მართლმადიდებლობა და ასევე, პროტესტანტობა, რასაც მოსდევს სტატიები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიებისა და პროტესტანტული მიმდინარეობების შესახებ. ეს თავისებურება, ერთი მხრივ, საქართველოში ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობის ისტორიული, კულტურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობით, ხოლო, მეორე მხრივ, პროტესტანტული დენომინაციების სიმრავლით არის განპირობებული.

მკითხველს დიდი შრომა არ დასჭირდება იმის შესამჩნევად, რომ სტატიები მოცულობითაც მნიშვნელოვნად განსხვადება ერთმანეთისგან, რაც ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანების ისტორიული მემკვიდრეობის და, ზოგადად, თეოლოგიური და კულტურული სიმდიდრის შეძლებისდაგვარად ადექვატური ასახვის სურვილმა განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, მაგალითად, მართლმადიდებლობასა და საქართველოში არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიებს, მთლიანობაში, წიგნში უფრო დიდი ადგილი ეთმობა, ვიდრე სხვა რელიგიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს, რომელთა შესახებ მონაცემები უფრო კომპაქტურად, ერთი და იმავე სტატიითაა მოწოდებული.

რამდენიმე სტატია ერთმანეთთან ჩანართებითაა დაკავშირებული, რათა მკითხველისთვის უფრო თვალსაჩინო გაგვეხადა ერთი რელიგიური გაერთიანების მეორისგან განსხვავების ან მსგავსების ზოგადი ნიშნები. ჩანართები დამოუკიდებელ საინფორმაციო ციკლსაც ქმნიან, რაც უფრო რელიგიათმცოდნეობით ასპექტებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ჩანართის სახით დართულია ე.წ. აბრაამული და დჰარმული რელიგიების შესახებ ზოგადი ხასიათის მოკლე სტატიები, ასევე ინფორმაცია იმ მოვლენების თაობაზე, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში რელიგიურ პროცესებს ახლავს თან და აქტუალობას მატებს (ეკუმენიზმი, ფუნდამენტალიზმი, სეკულარიზაცია).

სტატიები რელიგიური გაერთიანებების დასახელებათა ანბანური რიგის მიხედვით არ არის წარმოდგენილი, არამედ საქართველოში რელიგიების განვითარებისა და ისტორიული თანმიმდევრობის პრინციპითაა განლაგებული: ჯერ წარმოდგენილია წარმართობა, ხოლო შემდეგ იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი, ეზიდიზმი და ა.შ.

ტერმინოლოგია

პუბლიკაციაში ესა თუ ის რელიგია და რელიგიური გაერთიანება, ძირითადად, მოცემულია დასახელებით, რომლითაც ის თავად განსაზღვრავს საკუთარ რაობას. მაგალითად, არ გამოიყენება «სომხური», «გრიგორიანული», «მონოფიზიტური» «კათოლიკური» ეკლესია, ან «მაჰმადიანობა», არამედ «სომეხთა ეკლესია» და «კათოლიკე ეკლესია», «ისლამი», ასევე ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციაში დამკვიდრებული «იეზიდის» ნაცვლად, წარმოდგენილია «ეზიდი» და სხვ. ამ მხრივ გამონაკლისია «ლუთერობა» ან «ლუთერული ეკლესია» და გამოყენებულია მათი ლიტერატურული ნორმა «ლუთერანობა» და «ლუთერანული ეკლესია».

წიგნში მხოლოდ ის ტერმინებია გამოყენებული, რომლებიც რელიგიური გაერთიანებების მიერ ნეგატიური კონოტაციის მქონედ არ არის მიჩნეული (რელიგია, ეკლესია, რელიგიური გაერთიანება, ორგანიზაცია, კონფესია/აღმსარებლობა, დენო-მინაცია, რელიგიური მოძრაობა, მიმდინარეობა, თემი, ჯგუფი). შესაბამისად, ამა თუ იმ ჯგუფთან დაკავშირებით არ იხმარება: «სექტა», «ერესი»/»მწვალებლობა» და სხვ.

ცალკეულ სტატიებში დატოვებულია ავტორის მიერ გამოყენებული ამა თუ იმ სიტყვის ფორმა. მაგალითად, «წმიდა» (გიორგი, ეკლესია, ტახტი) ნაცვლად თანამედროვე ფორმისა «წმინდა» და სხვ.

გამოცემას ერთვის რელიგიურ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, რომელშიც გარდა სტატიებში მოცემული რელიგიური ცნებებისა და ტერმინებისა განმარტებულია ის რელიგიური ცნებები, რომლებიც სტატიებში არ გვხვდება.

ვიმედოვნებთ, რომ «რელიგიები საქართველოში» დააინტერესებს მკითხველს და ხელს შეუწყობს ტოლერანტული გარემოს განვითარებას.

სახალხო დამცველთან არსებული
ტოლერანტობის ცენტრი

შ ი ნ ა ა რ ს ი

რელიგია;
რელიგიის ელემენტები, კლასიფიკაცია და ფორმები;
რელიგიურობის ისტორიიდან საქართველოში;
«წარმართობა» საქართველოში ;
აბრაამული რელიგიები;
იუდაიზმი;
ქრისტიანობა;
მართლმადიდებლობა;
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია;
სქიზმა;
ძველმართლმადიდებლები;
საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან (სმე)
განხეთქილებაში მყოფი მართლმადიდებელი ეკლესიები;
აღმოსავლეთის არაქალკედონური მართლმადიდებელი ეკლესიები;
სომეხთა წმიდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია;
დიდი სქიზმა;
კათოლიკე ეკლესია;
პროტესტანტიზმი და რეფორმაცია;
ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია;
კალვინისტური ეკლესია;
ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია;
«კვაკერები» — მეგობართა რელიგიური საზოგადოება;
დუხობორები;
მალაკნები;
«ახალსამოციქულო ეკლესია»;
ხსნის არმია;
მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია;
ორმოცდაათიანელები;
ევანგელური ეკლესია «სიცოცხლის სიტყვა»;
ეკლესია «ღმერთის საელჩო»;
ევანგელისტური ეკლესია საქართველოში;
საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
ეკუმენიზმი;
უკანასკნელი დღის წმინდანთა ეკლესია — «მორმონები»;
«იეჰოვას მოწმეები»;
მუნიზმი;
ისლამი;
რელიგიური ფუნდამენტალიზმი;
ეზიდიზმი;
დჰარმული რელიგიები;
ინდუიზმი/კრიშნას ცნობიერება;

ბუდიზმი;

ბაჰაი;

თეოსოფია და ანთროპოსოფია;

სეკულარიზაცია;

რელიგიათმცოდნეობის ლექსიკონი.

რელიგია

რელიგია (religio) ლათინური სიტყვაა და იგი შეიძლება განიმარტოს, როგორც «კავშირის აღდგენა». ლაკტანციუსი (240-320) ამ სიტყვაში ხედავდა «კავშირის» იდეას: «ღვთისმოსაობის ბორკილით დაბმულნი და შეკრულნი (religati) ვართ». იქნებ ლინგვისტი არ დაეთანხმოს ამ განმარტებას — იგი, უბრალოდ, შესაძლოა, სწორი არ აღმოჩნდეს, მაგრამ ამით ვითარება არ შეიცვლება. ჩვენ უნდა ამოვიდეთ იმ რეალობის სიღრმისეული საზრისიდან, რაც ისტორიის პროცესში ამ ცნებამ მიიღო. რელიგია არის აღდგენა კავშირისა, რომელიც ოდესღაც არსებობდა და რაღაც კატასტროფის შედეგად გაწყდა. ეს არის ადამიანურ (ხილულ) და ღვთაებრივ (უხილავ) სამყაროებს შორის კავშირი.

რელიგია უნივერსალური მოვლენაა, რომელიც ნებისმიერ კაცობრიულ ცივილიზაციაში იპოვება. კაცობრიობის უძველესი შრეების არქეოლოგიური მონაცემები (არტეფაქტების სახით) და დამწერლობის გამოგონების შემდეგ უკვე სიტყვიერი ტექსტებიც მოწმობენ, რომ რელიგია არსებობდა კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპზე და იგი გასდევს კაცობრიობის ისტორიას და, რომ არ დასტურდება ისეთი პერიოდი ამ ისტორიაში, როცა რელიგია არ არსებობდა. რელიგიის განვითარება უმჭიდროესად არის დაკავშირებული ადამიანის სულიერ-ინტელექტუალურ განვითარებასთან.

HOMO RELIGIOSUS. ადამიანის არსების, როგორც ქმნილების, სხვადასხვა განზომილებათა ერთ მთლიანობაში გააზრებისას რელიგიური ცნობიერება უმნიშვნელოვანეს თანდაყოლილ ნიჭად უნდა მივიჩნიოთ. ადამიანი იცნობს თავის თავს, როგორც იარაღის მკეთებელს (homo faber), როგორც გონიერს, მოაზროვნეს (homo sapiens), როგორც ზნეობრივს (homo moralis), რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა სულდგმულთაგან განსხვავებით, პასუხისმგებელია თავის ფიქრებზე და საქციელზე, რომ მას შეუძლია შეაფასოს საკუთარი მოქმედება, იყოს საკუთარი თავის მსაჯული. ამ უნარზე მითითებით მოუწოდებდა იოანე ნათლისმცემელი «შეინანეთ», ანუ შეიცვალეთ ფიქრები. ადამიანი ცნობს თავის თავს, როგორც ხელოვანს, მოთამაშეს (homo ludens), რომელიც ქმნის სამყაროებს სამყაროში ღვთის წაბაძვით, ქმნის თამაშით, რომლის მიზანი მასშივეა, რაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია და ეს არის ღვთის ხატობის ერთი ასპექტი; ცნობს თავს საზოგადოებრივ არსებად (homo socialis), ანუ *zoon politikon*, არისტოტელეს განმარტებით, რაც არა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანი საზოგადოებაში და საზოგადოებრივად ცხოვრობს (თუმცა ეს არ არის საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი), არამედ იმასაც, რომ მისი არსების, პოტენციების სრული რეალიზაცია მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი, რომ საზოგადოების გარეშე ის ვერ იქნება ვერც იარაღის მკეთებელი, ვერც მოაზროვნე, ვერც ზნეობრივი და ა. შ. ეს უნარები გულისხმობს საზოგადოების არსებობას, მაგრამ საზოგადოების დვრიტა თავად ადამიანის ბუნებაშია ჩადებული ერთბაშად ამ უნარების სახით, ანუ საზოგადოება და ადამიანის უნარები თანდათანობით, ევოლუციის გზით არ შეკრებილა ადამიანში, პრაქტიკაში არ შეუძენია — პრაქტიკაში მხოლოდ მათი მანიფესტაცია მოხდა.

მაგრამ აქ ჩამოთვლილი უნარები არ კმარა იმისათვის, რომ ცოცხალ არსებას ადამიანი ეწოდოს. ცხოველიც ქმნის (თახვები და თხუნელები დიდებულ დარბაზებს აგებენ), ცხოველიც იქცევა გონივრულად, ცხოველსაც აქვს დარცხვენის უნარი (ეს შინაურ ცხოველებს ეხება), ცხოველიც თამაშობს, ცხოველებიც ცხოვრობენ საზოგადოებრივად, მოწესრიგებულ ჯოგებად, მაგრამ არის კიდევ ერთი განზომილება, რომელიც აკლია ცხოველთა სამყაროს, რაც გულისხმობს ადამიანში მასზე მაღლა მდგომი არსების ან რეალობის განცდის უნარს. ეს უნარი არის რწმენა, რომელიც ადამიანს ქმნის რელიგიურ კაცად (homo religiosus). ადამიანი აფასებს, მსჯავრს სდებს საკუთარ ფიქრს და ქცევას არა მხოლოდ როგორც მორალური არსება, არამედ, როგორც რელიგიური არსებაც, აფასებს არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთაებრივი პოზიციებიდანაც, ანუ იმ დამკვირვებლისა და მსაჯულის თვალით, რომელიც მასზე უსასრულოდ მაღლაა სამყაროს იერარქიაში. homo religiosus თავის აზროვნებაში, თავის ქცევაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელმძღვანელობს ღვთაებრივი და არა მხოლოდ ადამიანური კრიტერიუმებით; ის უფრო მეტს ხედავს თავის ყოფიერებაში და მთელ საგნობრივ სამყაროში, ვიდრე აღქმით ან, თუნდაც, გონების თვალით შეიძლება იქნეს დანახული. ის არღვევს ხილულ კედელს უხილავის დასანახად, რწმენა მსჭვალავს და აზრს აძლევს ყველა სხვა უნარს ადამიანში.

რწმენა. რწმენა ენათესავება ადამიანის ისეთ უნარებს, როგორიც არის: ნდობა, იმედი (სასოება), მოლოდინი. მათზე შეიძლება ლაპარაკი, როგორც რწმენის ნაირსახეობებზე, ანუ უფრო სწორად, მის ქვემო საფეხურებზე. ამ უნართა არსებობა ადამიანში მოწმობს არა მხოლოდ მის სულიერ სიჯანსაღეს, არამედ ამხელს მასში პოტენციურ რელიგიურ არსებას.

ნდობა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის განსაკუთრებული სახე, იქნებ არც იყოს ობიექტური ფაქტებით, ობიექტური გამოცდილებით გამაგრებული, რაიმე საფუძვლის თუ მოტივის მქონე, მაგრამ ის მაინც არსებობდეს ქმედითად რაღაც გამოუცნობი ძალით და, რამდენადაც უსაფუძვლოა ნდობა ერთი ადამიანისა მეორის მიმართ, რამდენადაც განსჯით, საღი გონებით გაუმართლებელია, უგუნურებამდე მისულიც კი, მით უფრო დიდია მისი ზნეობრივი ღირებულება. თითქოს ამ გაუგებარი აქტით, რომელიც ხშირად «ბრმა ნდობით» არის მონათლული, ადამიანი ღირსებას ანიჭებს იმასაც, ვისაც ნდობა გამოუცხადა და საკუთარ თავსაც, რომელმაც შეძლო დაეძლია უნდობლობა. ამ აქტით ადამიანი გაუტანელი და უნდო წუთისოფლის წესებს უმხედრდება, აუქმებს მათ, ძლევს მათ («ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა», იოანე, 16:33). შეიძლება და, ასე ხშირად ხდება, რომ გამტყუნებულა ნდობა, მაგრამ ის, როგორც უნარი, მრთელი დარჩენილა და კვლავ ამოქმედებულა ახალ შემთხვევაში, როგორც თავისუფალი, ძალდაუტანებელი და, ამასთან ერთად, შემოქმედებითი აქტი. ნდობაში არის რწმენის ნაპერწკალი, ამიტომ ვამბობთ, რომ ნდობა რწმენის საწყისი საფეხურია.

თუ ადამიანმა იცის, რის საფუძველზე უცხადებს სხვა ადამიანს ნდობას, თუ ეს ნდობა დასაბუთებულ-განმტკიცებულია წინა გამოცდილებით, ანუ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობაზეა დამოკიდებული, ანუ ცოდნაა მისი გარანტი, ეს არ იქნება ნდობა თავისი წმიდა სახით და მასზე (ცოდნაზე) დამყარებული საქციელიც ვერ განიხილება, როგორც ზნეობრივი აქტი.

ნდობას ენათესავება იმედი (სასოება). იმედი არის უხილავის ხედვის უნარი ადამიანში. ის მომავლისკენ არის მიმართული, ესქატოლოგიურია თავისი ბუნებით, რამდენადაც რაღაცის დადგომას, რაღაცის განსრულებას ელის. თავისი წმიდა სახით იმედი ელის იმას, რაც არც გუშინ და არც გუშინწინ არ მომხდარა, ან გარეშემო ყველაფერი მოწმობს, რომ არ მოხდება. თუ ადამიანმა მთელი თავისი წინა გამოცდილებით იცის, რომ ესა თუ ის მოვლენა გარდაუვალად მოხდება, ამ მოლოდინს ვერ დავარქმევთ იმედს, მკაცრი აზრით. როცა ჩვენ ვიცით, რომ ამოვა მზე, ამ ცოდნაზე ვერ ვიტყვით, რომ ის არის იმედი (ჩვენ გვაქვს მზის ამოსვლის ცოდნა და არა იმედი).

რწმენა აქ ჩამოთვლილ უნართა (ნდობა, იმედი, იმედიანი მოლოდინი) შორის აღმატებულია. რწმენა, მათგან განსხვავებით, ის უნარია, რომელსაც ძალუძს დაბადოს ცოდნა. რწმენა ხდება საღვთო ცოდნის წყარო. როგორც წერდა ილია ჭავჭავაძე: არის საგანი, რომელსაც, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ.

რელიგიები. კაცობრიობის რელიგიური გამოცდილება მრავალგვაროვანია და ისტორიაც მრავალ რელიგიურ სისტემას იცნობს. მათგან ზოგი დავიწყებას მიეცა და მხოლოდ ისტორიული აზრი აქვს შერჩენილი, ზოგიერთმა დღემდე გაძლო და დღემდე მიმდევრები ჰყავს, აქტუალურია. რელიგიური განსხვავებები გამოწვეულია ადამიანთა ჯგუფებს შორის კულტურული, ეთნიკური, სოციალ-პოლიტიკური, წესჩვეულებითი თუ მსოფლმხედველობითი განსხვავებებით.

საკრალური და პროფანული. რელიგიათა სიმრავლე შეგვიძლია დავიყვანოთ რამდენიმე მოდელამდე თუ ტიპამდე, იმისდა მიხედვით, თუ რა ნიშანს ავირჩევთ მათი კლასიფიკაციისთვის. რა ნიშანია აუცილებელი იმისათვის, რომ რომელიმე მსოფლმხედველობა რელიგიად ჩაითვალოს? როგორც რელიგიის ერთი მკვლევარი წერს, რელიგიაში მთავარი ცნებაა სიწმიდე, ანუ უფრო ზუსტად, წმიდისა და სადაგის (პროფანულის, ჩვეულებრივის) გარჩევა. შეიძლება არსებობდეს რელიგია, რომელსაც არა აქვს ღვთაების გამოკვეთილი კონცეფცია (ასეთებია პირველყოფილი რელიგიები, ასეთია ბუდიზმიც), მაგრამ წარმოუდგენელია რელიგია, რომლის მიმდევრები არ განასხვავებენ წმიდა რეალობას ყოველდღიურობისგან, სხვანაირად, ყოველი რელიგიური მსოფლგანცდის მიხედვით არსებობს საკრალური დრო და სივრცე და არსებობს პროფანული დრო და სივრცე.

პოლითეიზმი და მონოთეიზმი. რამდენადაც საკრალურ-პროფანულის დაპირისპირება საყოველთაოა, ყველა რელიგიისთვის არის ნიშანდობლივი, რელიგიების კლასიფიკაციას ღმერთის (ღვთაების) კონცეპტის მიხედვით მოვახდენთ. რელიგია შეიძლება იყოს პოლითეისტური ან მონოთეისტური. პოლითეისტური ის რელიგიებია, რომლებიც სამყაროში მრავალ ღმერთს აღიარებენ, თუმცა ყველა ისინი ერთ სიმაღლეზე არ ჰყავთ წარმოდგენილი. სამყარო შექმნილია მრავალი ღმერთის მონაწილეობით და ასევე ადამიანის ბედი მრავალ ღმერთზეა დამოკიდებული, თუმცა მათ შორის ერთია უპირატესი და შეიძლება ღმერთების მამად იწოდებოდეს. პოლითეისტური რწმენით, თითოეული ღმერთი განაგებს ყოფიერების ან ადამიანის მოღვაწეობის რომელიმე სფეროს. მისი რანგი იმისდა მიხედვით არის შეფასებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მის მიერ წაძღოლილი თუ ზრუნვილი ესა თუ ის სფერო, თუ დარგი. ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანისთვის არის ნაყოფიერება და ამიტომაც, ცხადია, რომ ყველაზე ძლიერი და თაყვანსაცემი ის ღმერ-

თებია, რომლებიც განაგებენ ნაყოფიერებას, ადამიანთა შობადობას, მოსავლის სიუხვეს და ა. შ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ნაყოფიერებასთან თითქმის ყველა ღვთაებას აქვს შეხება.

პოლითეისტურ რელიგიაში შეინიშნება ერთღმერთიანობის ტენდენცია მონოლატრიის სახელწოდებით: საზოგადოებას სწამს ბევრი ღმერთის არსებობა, მაგრამ იგი ერთ ღმერთს სცემს თაყვანს, თვლის მას თავის საკუთარ ღმერთად, რომელიც არის მისი მეოხი და იბრძვის მისი კეთილდღეობისთვის. ძველი აღთქმის ხალხი აღიარებდა, რომ არსებობს ქამოში, მოაბის ღმერთი და დაგონი, ფილისტიმელთა ღმერთი, მაგრამ თავად თაყვანს სცემდნენ იაჰვეს. ეს მონოლატრიაა — მრავალი ღმერთის არსებობის პირობებში ერთი ღმერთის თაყვანისცემა (ბერძნ. *ლატრია* «თაყვანისცემა»). მონოთეიზმი მონოლატრიის სახით პირველად მოსეს ათ მცნებაში გამოითქვა: «მე ვარ უფალი, შენი ღმერთი... არ იყოლიო სხვა ღმერთები ჩემ გარდა...» მაგრამ შემდგომ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი იაჰვეს (უფლის) გარდა ყველა სხვა ღმერთს, რომელთაც ებრაელი ხალხის მეზობელი ხალხები აღიარებდნენ, არაღმერთებად, ცრუღმერთებად თვლიდნენ. ჭეშმარიტი მონოთეიზმი გამოიხატა ბიბლიის დასაწყის სიტყვებში «დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და მიწა». ამ სიტყვების დამწერისთვის სხვა ღმერთი, გარდა ამ ღმერთისა, რომელიც სამყაროს ქმნის, არ არსებობს.

ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ერთი ღმერთის თაყვანისცემაზე გადასვლა მოხდა მრავალ ღმერთს შორის ერთ-ერთის ამორჩევით ან მათი თანდათანობითი რედუქციით, მრავალის ერთამდე დაყვანით. პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე გადასვლა, ანუ ერთღმერთიანობის «აღმოჩენა», ევოლუციის შედეგი არ ყოფილა. ერთი ღმერთის, სამყაროს ერთი შემოქმედის, ყოვლადძლიერის, აბსოლუტური არსებისადმი რწმენა ღვთიური გამოცხადების წყალობაა. ამას მოწმობენ რელიგიური ტექსტები, განსაკუთრებით, ძველი აღთქმა, რომელიც აბრაამის მაგალითზე ერთღმერთიანობის რწმენის წარმოშობას ექსისტენციალურ ნახტომად გვისახავს. აბრაამის გამოცდილებაში ერთი ღმერთის რწმენაზე (აღიარებაზე) გადასვლა არაფრით იყო განპირობებული, გარდა გამოცხადებისა, რომელიც მას ჩაესმა, რათა მთლიანად შეეცვალა მისი ცხოვრება.

ტრანსცენდენტიზმი და პანთეიზმი. რელიგიათა კლასიფიკაციის ნიშნად შეიძლება გამოდგეს პოზიცია, რომელიც ამა თუ იმ რელიგიაში ღმერთს უჭირავს: შემოქმედი ღმერთი სამყაროსგან განზე დგას, ტრანსცენდენტურია, მაგრამ არსებობს რელიგია, რომელიც ღმერთს ბუნებაში «ჩაძირულად» თუ «შთანთქმულად» მოიაზრებს. ასეთი ღმერთი არ არის შემოქმედი და სამყაროც ამ ტიპის რელიგიის თანახმად არ წარმოშობილა, იმთავითვე არსებობდა მარადიულად, ღმერთებიც არსებულის წიაღში დაიბადნენ და ჩათრეულნი არიან ბუნების პროცესებში, მის წრებრუნვაში. ღმერთს თითქოს არა აქვს ბუნებისგან დამოუკიდებელი არსებობა, გათქვეფილია მასში, დამორჩილებულია მის კანონებს. ბუნება პერიოდულად კვდება, ღმერთიც კვდება ბუნებასთან ერთად და აღორძინდება ბუნების ძალთა აღორძინებასთან ერთად. ეს არის პანთეიზმი, თუმცა იგი უფრო მსოფლმხედველობაა, ვიდრე რელიგიის დამოუკიდებელი ტიპი. პანთეიზმი დამახასიათებელია ბევრი პოლითეისტური რელიგიისთვის, კერძოდ, ამ რწმენას ეფუძნება კულტი მომკვდარი და აღორძინებადი

ღვთაებებისა, რაც საკმაოდ გავრცელებული იყო წინა აზიაში (დუმუზი, თამუზი, ადონისი, ატისი და სხვ.).

რელიგიის ორი მხარე. ყოველ რელიგიას ორი მხარე აქვს: შინაგანი და გარეგანი. შინაგანია რწმენა-წარმოდგენები ღმერთზე, სამყაროზე და მის შექმნაზე, ადამიანზე, ღვთაებასა და ადამიანს შორის ურთიერთობაზე, ადამიანის ზნეობრივ მოვალეობებზე, მის მოლოდინზე და სხვ. მოძღვრება შეიძლება ზეპირი სახით გადადიოდეს თაობიდან თაობამდე ან მოძღვრება შეიძლება გადმოცემული იყოს წერილობით, თუკი ხალხში არსებობს დამწერლობა, ან ანდობენ დამწერლობას რელიგიურ საიდუმლოებებს (ცნობილია, რომ ძველი ინდური რელიგიური ტექსტები ვედებისა თავდაპირველად ზეპირად გადაიცემოდა და მხოლოდ მოგვიანებით იქნა ჩაწერილი). მაგრამ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა წერილობით გამოხატული მოძღვრება, ის მაინც რელიგიის შინაგან მხარეს შეადგენს, მენტალობის სფეროს ეკუთვნის და, ამდენად, როგორც სულიერი რამ, უხილავია.

რელიგიის გარეგანი ანუ ხილული მხარეა რიტუალები, ინსტიტუციები, ორგანიზაცია და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ გარეგანი მხარე ერთგვარად შინაგანის გამოხატულებაა, უხილავის ხილული მხარეა. რიტუალს საფუძვლად უდევს წარმოდგენები ღვთაებაზე, მის შემძლეობაზე, მის «ფსიქოლოგიაზე». რიტუალში ერთი ნაბიჯიც არ არის ისეთი, რომელიც ზედმეტი ან არასაკმარისი იყოს მიზნის მისაღწევად. მიზანი კი ყველა რელიგიაში ღვთაების მომადლიერებაა, რაც ისევ და ისევ ღვთაების ბუნების «ცოდნაზეა» დამოკიდებული. არსებობს გარიგება ადამიანსა და ღმერთს შორის, რაც შემდეგი ფორმულით გამოიხატება: «გაძლევ, რათა მომცე» (do ut des). წარმართულ რელიგიებში ადამიანი არაფერს გაიღებს ღვთაებისთვის უსასყიდლოდ ისე, რომ არ მოელოდეს ანაზღაურებას, ხშირად არა იმ ზომით, რა ზომითაც გასცა, არამედ ერთი ათად. ასე რომ, ურთიერთობა სავსებით რაციონალურია, უფრო სწორად, ადამიანს სურს, რომ ურთიერთობა ღვთაებასთან რაციონალური და პროგნოზირებადი იყოს. ისევე, როგორც მიწის მუშაკი თესავს თესლს იმ იმედით, რომ თესლი მიწაში არ დაეკარგება, ასევე იმედოვნებს იგი, რომ ღვთისთვის შეწირულიც არ დაეკარგება. «რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია» — ეს სასოება ამართლებს რიტუალურ ქმედებებს, რომელთა შორის ძირითადია მსხვერპლშეწირვა.

მსხვერპლშეწირვა და ლოცვა. თავდაპირველად მსხვერპლის შეწირვას არ ჰქონდა ცოდვის გამომსყიდველი ძალა, რაც მან ძველი აღთქმის რელიგიაში მიიღო. მსხვერპლის შეწირვა, სისხლიანი (ცხოველური) იქნებოდა იგი თუ უსისხლო (მცენარეული), იყო ერთგვარი წინდი, ჩადებული ღვთაების «ბეღელში» იმ იმედით, რომ წინდის ჩამდებელი ერთიათად და მეტადაც ამოიგებდა ჩადებულს. ადამიანი ან მადლობის ნიშნად შესწირავდა მსხვერპლს, ან წინასწარ — უხვი მოსავლის მოლოდინისთვის. მიწის პირველმოწეული ნაყოფისა და პირველმოგებული პირუტყვის შეწირვას ეს ორი მიზანი ჰქონდა ერთდროულად: შემწირველი მადლობდა ღვთაებას, რომელმაც მოასწრო იგი ამ წლის მოსავალს და შესთხოვდა სამომავლოდაც არ გამტყუნებოდა მოლოდინი. და ასე წლიდან წლამდე. ხოლო თუკი მოლოდინი არ გაუმართლდებოდა, ადამიანი მიზეზს ეძებდა არა ღვთაებაში, არამედ თავის თავში. მსხვერპლშეწირვა იძენს მორალურ ასპექტს: მსხვერპლი შეიწირება მართალი და წრფელი გულით, როგორც აბელმა შესწირა სრულიად უანგაროდ, შესაძლოა, იმ

მოლოდინის გარეშე, რომ მისი მსხვერპლი მოსავლის ან კეთილდღეობის აუცილებელი გარანტია იქნებოდა. მთავარი აქ იყო კეთილსინდისიერება ღვთის წინაშე.

ამრიგად, რელიგია აღიარებს, ზოგადად რომ ვთქვათ, კავშირის შესაძლებლობას გრძნობად (ადამიანურ) და ზეგრძნობად (ზებუნებრივ, ღვთაებრივ) სამყაროებს შორის. სხვანაირად, ეს არის კავშირი მიწასა და ცას შორის, რომელსაც სხვადასხვა სიმბოლური გამოხატულება აქვს: ეს არის გახსნილი გზა, გაბმული ჯაჭვი, გადებული ხიდი (ძველ რომაელთა ქურუმის სახელწოდება pontifex ნიშნავს «ხიდის მკეთებელს»), აღმართული ჯვარი... ყველა რელიგიაში ადამიანს აქვს შესაძლებლობა ორი სახის კონტაქტის დამყარებისა ორ ნაპირს შორის: ერთია ლოცვა, მეორეა მსხვერპლი. ღმერთი იწყნარებს ლოცვას და იღებს მსხვერპლს, რომელთა სანაცვლოდ წყალობას მოაფენს ადამიანზე.

კულტმსახურებას წარმართავს ან ქურუმთა კასტა (ასე იყო, ძირითადად, წარმართულ რელიგიებში: შუამდინარეთში, რომში, საბერძნეთში), ან საგანგებო ტომი (მოგვები მაზდეანებში), ან ტრადიციულად რომელიმე საგვარეულო (აარონის შთამომავლები ძველი აღთქმის რელიგიაში), ან მორწმუნეთა წრიდან გამოსული სამღვდელოება, ან პიროვნებანი განურჩევლად სოციალური ან სხვა ცენზისა (როგორც ქრისტიანობაში ან ისლამში).

რელიგიის სამი ტიპი. თუ რელიგიას შევხედავთ ადამიანსა და ღმერთს შორის ურთიერთობის კუთხით, სამი ტიპი შეიძლება გამოიყოს დღემდე არსებულ რელიგიებს შორის. პირველი, შესაძლოა, თავდაპირველი ტიპი გულისხმობს ისეთ დამოკიდებულებას, როგორიც არსებობს ბატონსა და მონას შორის, როცა მონა, ბატონის სასჯელის შიშით, ასრულებს დაკისრებულ საქმეს. მეორე ტიპი გულისხმობს ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ბატონსა და მოჯამაგირეს შორის, როცა ადამიანი გასამრჯელოს გულისთვის შრომობს. მესამე ტიპის რელიგია მამაშვილური ურთიერთობაა, როცა შვილს მხოლოდ და მხოლოდ მამის სიყვარული ამოძრავებს, არც შიში და არც ანგარება არ არის მიზეზი მისი შრომისა. ეს უკანასკნელი ტიპი ამ სამში ყველაზე აღმატებულია. ასეთია სიყვარულზე დაფუძნებული რელიგია. ისტორიული რელიგიების სიმრავლეში, იმის მიხედვით თუ რა მოტივით სრულდება ესა თუ ის რიტუალი — შიშით, ვალდებულებით თუ სიყვარულით, შეგვიძლია გამოვიცნოთ რელიგიის რომელიმე ტიპი. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ, შესაძლოა, ვერც დავადასტუროთ ისტორიულ რელიგიებს შორის ისეთი, რომელიც წმიდა სახით წარმოგვიდგენდა რომელიმე ტიპს.

პრინციპში, ქრისტიანობა მესამე, სიყვარულზე დაფუძნებული ტიპის რელიგიაა, ეს არის მისი იდეალური ტიპი, მაგრამ რეალურად ცოტანი არ არიან ისეთი ქრისტიანები, ვისთვისაც შიში ან, თუნდაც, ვალდებულებაა გადამწყვეტი და ნაკლებად — სიყვარული იმ ქმედებებში, რომელთა აღსრულება ადამიანს ქრისტიანად ხდის.

დეიზმი და თეიზმი. ბოლოს, შეგვიძლია დავასახლოთ ერთი ტიპი რელიგიისა, რომელიც მსგავსად პანთეიზმისა, შესაძლოა, რელიგიაც არ იყოს, არამედ — მისი სუროგატი. ვახსენებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ტიპი, რომელსაც შეიძლება

ფსევდორელიგია ვუწოდოთ, საკმაოდ გავრცელებულია დღესდღეობით, თუმცა ის გარკვეულ ისტორიულ პირობებში შექმნილ სააზროვნო სივრცეში წარმოიშვა.

XVII საუკუნეში ინგლისში შეიქმნა რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება დეიზმის სახელწოდებით (ლათ. deus — «ღმერთი»), რომელიც საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში სახელმწიფო რელიგიის სტატუსსაც იღებს (ე. წ. გონების რელიგია). დეისტები იყვნენ ვოლტერი, დიდრო და სხვა განმანათლებლები. დეიზმის მიხედვით, არსებობს deus, სრულყოფილი არსება, რომელმაც შექმნა ეს სამყარო ადამიანითურთ, დგას მის გარეშე და სრულიად შეუცნობელია ადამიანისთვის. მის მიერ შექმნილი სამყარო ემსგავსება სრულყოფილ საათის მექანიზმს, რომელიც მინდობილია თავის თავს და მუშაობს მისი შემქმნელის მხრიდან ჩაურევლად. ამგვარ ღმერთთან ადამიანი ვერავითარ კონტაქტს ვერ ამყარებს და ამიტომაც გამორიცხულია ყველა რელიგიისთვის ნიშანდობლივი ლოცვა, მსახურება, საიდუმლოთა აღსრულება. ასეთ ღმერთთან ადამიანი ვერ შევა დიალოგში, ვერ მიმართავს მას შენობით. ეს ღმერთი არის «ის», რომელიც მთლიანად დაფარულია თავის გამოუცნობლობაში. იგი არ (ან ვერ) ერევა თავის მიერ გაჩენილ სამყაროში, მას არ შეუძლია გააჩეროს საათი, რომელიც ერთხელ მოიმართა და აგრძელებს სვლას შეუწყვეტლად. სრულიად გამორიცხულია ყველა რელიგიისთვის დამახასიათებელი გამოცხადებები ან სასწაულები. იგი იდუმალია და მტრულიც კი არის, მალავს ადამიანისგან თავის სახეს, არც კი აქვს რაიმე სახე. ეს არის აბსოლუტური რაციო (გონება), რომელიც მთლიანად დაქვემდებარებულია თავის მიერ შექმნილ კანონებს და უძლურიც კია შეცვალოს ისინი. ამ მხრივ დეიზმი პანთეიზმს უახლოვდება იმ განსხვავებით, რომ დეუს აბსოლუტურად ტრანსცენდენტულია სამყაროსა და ადამიანის მიმართ, pantheos კი — აბსოლუტურად იმანენტური. უკიდურესობანი აქ თანხვდებიან ერთმანეთს.

დეიზმის ერთგვარი სახეობაა ჩვენში გავრცელებული წარმოდგენა «ბუნების ძალაზე», რომელიც განაგებს ყველაფერს, მაგრამ გულგრილია ყველაფრისადმი, რაც შექმნა, თავად ადამიანის ჩათვლით. ეს არის სრულიად უპიროვნო და ბრმა ძალა, რომელიც ვერ ცნობს თავის ქმნილებას. მისთვის ადამიანი და ბუნების სხვა ქმნილება, ცოცხალი არსება თუ უსულო საგანი, ერთია.

დეიზმის საპირისპიროა თეიზმი (ბერძნ. theos — «ღმერთი») და ეს არის საკუთრივ რელიგია, რომელიც აღიარებს ღმერთს — ტრანცენდენტულს (ქმნილების გარეშე მყოფს) და იმანენტურს (მასში მყოფს) იმავდროულად, ღმერთს, რომელსაც შეუძლია თავის მიერ შექმნილი წესრიგის შეცვლა (სასწაულქმედება); ღმერთს, რომელიც ცნობს თავის ქმნილებას, მითუმეტეს ადამიანს; ღმერთს, ვისთანაც ადამიანს შეუძლია ურთიერთობა; ღმერთს, რომელიც არის პიროვნება და, რომელსაც შეგიძლია მიმართო — «შენ»; ღმერთს, რომელსაც შეგიძლია მოუხმო გასაჭირში იმ იმედით, რომ მოგისმენს, ღმერთს, რომელმაც იცის ადამიანის ასავალ-დასავალი და კითხულობს მის ზრახვებს, და რომელსაც არაფერი დაემალება. ასეთი ღმერთისადმი რწმენის არსებობამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ფსალმუნები, სადაც ღმერთი და ადამიანი დიალოგში არიან ჩაბმულნი. «მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოებაჲ ჩემი. უფროის გამბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე...» (ფსალმ. 50). მხოლოდ

ასეთი ღმერთისგან მოელის ადამიანი გამოცხადებას, რომელიც ნამდვილი რელიგიის წყაროა. «უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისანი გამომიცხადე მე...»

ეროვნული და უნივერსალური. დაბოლოს, კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც განასხვავებს რელიგიებს. არის რელიგიები ეროვნული და არის რელიგიები უნივერსალური. ეროვნული (ნაციონალური) ის რელიგიებია, რომელთა აღმსარებელნი ერთი ეროვნების (ნაციის, ეთნოსის) საზღვრებს არ სცილდებიან. დღესდღეობით ასეთებია მაზდეანობა, იუდაიზმი (მეტ-ნაკლებად), ეზიდობა. თავდაპირველად ისლამი ერთი ხალხის, არაბების, წიაღში მათი ინტერესებისთვის ჩაისახა და შემდეგ მოიცვა მსოფლიოს სხვა (ირანული, თურქული, სლავური მოდგმის) ხალხები. ასეთი იყო თავდაპირველად ბუდიზმიც, ინდუიზმიც, რომელთაც მხოლოდ შემდგომ მიიღეს უნივერსალური ხასიათი. პირველი ტიპის რელიგიები იმდენად არის განსაზღვრული ეროვნულობით (ეთნიკურობით), იმდენად არის ერთმანეთში გადაწნული ეროვნული და რელიგიური ღირებულებები, რომ მათი აღმსარებელი რელიგიურ იდენტობასთან ერთად, ეროვნულ იდენტობასაც იცვლის.

აღმსარებლობა ადამიანთა ჯგუფის, ტომის, ეთნოსის, ერის, სახელმწიფოს იდენტობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ნიშანია, თუმცა ტომისა და ეთნოსის შიგნით ჯგუფები, შესაძლებელია, რელიგიის ნიშნით უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს; ხალხებს ერთ ერად ხშირად ერთი რელიგიის აღმსარებლობა აერთიანებს (მაგალითად, არაბებს); იშვიათია, მაგრამ ისტორიაში არსებობდნენ სახელმწიფოები, რომელთა საიდენტიფიკაციო ნიშანი მხოლოდ რელიგია იყო (ძველი ისრაელისთვის — იუდაიზმი, ბიზანტიისთვის — მართლმადიდებლობა, არაბთა სახალიფოსთვის — ისლამი, ხაზართა სამეფოსთვის — იუდაიზმი...).

ძველი და ახალი მსოფლიოს ფორმით და შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავებულ მრავალრიცხოვან რელიგიათა შორის ჩვენს «ენციკლოპედიაში» წარმოდგენილია მხოლოდ ის რელიგიები და აღმსარებლობები, რომლებიც საქართველოში გვხვდება.

ზურაბ კიკნაძე

რელიგიის ელემენტები, კლასიფიკაცია და ფორმები

რელიგიის ელემენტები. სოციოლოგი რ. ჯონსტოუნი ჩამოთვლის ხუთ ძირითად ელემენტს, რომელთა მეშვეობით იგი განსაზღვრავს, რამდენადაა რწმენათა ესა თუ ის სისტემა რელიგია. უპირველეს ყოვლისა, რელიგია გულისხმობს მორწმუნეთა ჯგუფის არსებობას, თუმცა ის, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ღრმად პერსონალურ განცდებთანაც. მეორე — რელიგია ასოცირებულია წარმოდგენებთან, რომლებიც საკრალურად ითვლება, იგი ზღვარს ავლებს ყოველდღიურობასა და უჩვეულო მოვლენებს, სასწაულებს შორის. სასწაული დაკავშირებულია რაღაც ზებუნებრივთან, ისეთ ძალასთან ან არსებასთან, რომლის შესაძლებლობები არ არის შეზღუდული ბუნების კანონებით. მესამე ელემენტის მიხედვით, რელიგია გულისხმობს რწმენათა განსაზღვრულ ერთობლიობას — სარწმუნოებას. ეს რწმენები ხსნის ადამიანურ ბუნებას, არსებულ გარემოსა და ზებუნებრივ ძალებს, რომლებიც საკრალურად მიიჩნევა. მეოთხე — რელიგია მოიცავს რიტუალებისა თუ სხვა ტიპის ქმედებების განსაკუთრებულ ერთობლიობას. რიტუალებს რ. ჯონსტოუნი განმარტავს, როგორც ქცევის თავისებურებას წმინდა და ზებუნებრივ ძალთა მიმართ (მაგალითად, ეკლესიასთან ახლოს გავლისას მართლმადიდებელი ქრისტიანი პირჯვარს იწერს და ლოცვას წარმოთქვამს). და ბოლოს, რელიგია თავის თავში მოიცავს განსაზღვრულ წარმოდგენებს ცხოვრების მართლმორწმუნე წესზე. რელიგიათა უმრავლესობა მორწმუნეებს ქცევის მარეგულირებელ მცნებათა თუ ნორმათა სისტემას უწესებს. ეს ნორმები ადგენს, თუ როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე ამა თუ იმ გარემოში.

რელიგიის კლასიფიკაცია. დღესდღეობით მსოფლიოში დაახლოებით 5 000-მდე აღმსარებლობა არსებობს. იმისათვის, რომ ეს მრავალფეროვნება სისტემატიზებული იყოს, ჩვეულებრივ, რელიგიურ ჯგუფებს ზოგიერთი საერთო ნიშნის მიხედვით ყოფენ. არსებობს განსხვავებული ტიპოლოგიური სქემები, რითაც რელიგიებს «დახშულ და ღია», «ბუნებრივ და ეთიკურ», «ბუნებრივ და გამოცხადებისეულ» ან სხვა, მსგავს ჯგუფებად მიჯნავენ. არსებობენ მკვდარი და ცოცხალი (დღეს არსებული) რელიგიები. რელიგიები შეიძლება კლასიფიცირებული იყოს როგორც მონოთეისტური (ერთღმერთიანი) და პოლითეისტური (ღმერთების პანთეონი); გვარ-ტომობრივი (გავრცელებულია ხალხებში, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ უძველესი საზოგადოებრივი სტრუქტურა, მაგალითად, ავსტრალიის აბორიგენებში); ხალხურ-ნაციონალური (ინდუიზმი, კონფუციანელობა, სიქჰიზმი, შინტოიზმი და სხვ.) და მსოფლიო. მსოფლიო (ზენაციონალურ) რელიგიებს მიეკუთვნებიან: ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი (ბოლო პერიოდში მსოფლიო რელიგიად ინდუზმსაც მოიხსენიებენ). მაგრამ, შეიძლება თუ არა, მაგალითად, ქრისტიანობისა და ჰარე კრიშნას მოძღვრების დახასიათებისას იდენტური ტერმინების გამოყენება?

ამ შემთხვევაში რელიგიათა კლასიფიცირება, მათი მიმდევრების მიერ მინიჭებული სახელწოდების შესაბამისად საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს: პროტესტანტული, მართლმადიდებელი, კათოლიკე, იუდაისტური, მუსლიმური და ა.შ. თუმცა სოციოლოგიაში, ევოლუციის მიხედვით, მიღებულია რელიგიათა კლასიფიკაციის სისტემა პრიმიტიულიდან თანამედროვე მოძღვრებებამდე. ეს სისტემა XIX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. XX საუკუნის დამდეგს იგი მკაცრად იქნა გაკრიტიკებული, სოციოლოგიაში კი აღიარება მოიპოვა რობერტ ბელახის მიერ

წარმოდგენილმა ახალმა თეორიამ. ბელახმა წარსულისა და თანამედროვე რელიგიათა კლასიფიკაციაში გამოყო ხუთი კატეგორია:

პრიმიტიული რელიგია: მაგალითად, ავსტრალიური; სიმბოლოთა სისტემა — ადამიანისა და საგნების მითური გამოსახვა; რელიგიური ქცევა — იდენტიფიკაცია, საგვარეულო გამოსახულებებზე ისტორიათა «კვლავწარმოება»; რელიგიის ორგანიზაცია — ეკლესიის არარსებობა, რელიგიურისა და საზოგადოებრივის ერთიანობა; სოციალური ასპექტი — სოციალური სოლიდარობის განმტკიცება.

არქაული რელიგია: მაგალითად, პოლინეზიური და აფრიკული; სიმბოლოთა სისტემა — ძლევამოსილი მითური არსებები (ღმერთების მსგავსი); რელიგიური ქცევა — თაყვანისცემა და მსხვერპლშეწირვა; რელიგიის ორგანიზაცია — განსხვავებული კულტები; სოციალური ასპექტი — სოციალური კონფორმიზმის მოთხოვნა.

ისტორიული რელიგიები: მაგალითად, ძველებრაული; სიმბოლოთა სისტემა — გამიჯვნა ბუნებრივსა და ზებუნებრივს შორის; რელიგიური ქცევა — ხსნა კეთილი საქმეების საფუძველზე; თავისუფალი ნების კონცეფცია; რელიგიის ორგანიზაცია — ეკლესიები; რელიგიური ორგანიზაციების გამოყოფა სხვა საზოგადოებრივი სისტემებისაგან; სოციალური ასპექტი — დაძაბულობა რელიგიასა და საზოგადოებას შორის.

ადრეული მოდერნისტული რელიგია: მაგალითად, რეფორმაციის ეპოქის პროტესტანტიზმი; სიმბოლოთა სისტემა — პირდაპირი კავშირი ზებუნებრივსა და ინდივიდს შორის; რელიგიური ქცევა — მთლიანად მოიცავს ცხოვრებას, რწმენის კონცეფცია; რელიგიის ორგანიზაცია — ნებაყოფლობითი წევრობა რელიგიურ ერთობაში; სოციალური ასპექტი — ძირეული ცვლილებები სოციალურ სისტემებში.

მოდერნისტული რელიგია: მაგალითად, ქრისტიანობა თანამედროვე დასავლეთში; სიმბოლოთა სისტემა — პიროვნება და მისი ვალდებულება; რელიგიური ქცევა — პიროვნული ეთიკური პრინციპების ძიება; რელიგიის ორგანიზაცია — გარკვეულწილად ეკლესიის წევრობა, თუმცა, უმთავრესად, პირადი პასუხისმგებლობა; სოციალური ასპექტი — საზოგადოების კულტურისა და პიროვნული ღირებულებების შესაძლო მუდმივი სრულყოფა.

რელიგიის ფორმები. რელიგიის, როგორც დამოუკიდებელი სულიერი სფეროს ჩამოყალიბებას, წინ რწმენისა და რიტუალების ფორმირებისა და განვითარების გრძელი გზა უძღოდა. გვარტომობრივი რელიგიის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა ტოტემიზმი — რწმენა ტომისა და რომელიმე ცხოველის, მცენარის ან ბუნებრივი მოვლენის სულიერ კავშირზე. პირველყოფილ საზოგადოებაში გავრცელებული იყო ფეტიშიზმი — საგნების თაყვანისცემა, რომელთაც თითქოს ზებუნებრივი თვისებები ჰქონდათ. ამის გარდა, გვაროვნული წყობისათვის დამახასიათებელი იყო წინაპრების კულტი, რომლებიც თითქოს გავლენას ახდენენ შთამომავლობაზე, აგრეთვე სულებისა და სულის რწმენა, ბუნების გასულიერება, რასაც ანიმიზმი ეწოდება. პირველყოფილი რელიგიური წარმოდგენების ეს ფორმები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში თანაარსებობდნენ. ასევე გავრცელებული იყო მაგია. მაგს გარკვეული ქმე-

დებებისა და შელოცვის მეშვეობით გავლენა უნდა მოეხდინა ადამიანზე ან ბუნებრივ მოვლენებზე. მოგვიანებით ყალიბდება უფრო რთული წარმოდგენები სულზე, მის არსებობაზე ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, მიღმურ სამყაროზე, ღმერთების ქმედებებსა და გმირებზე. ანტიკურობაში ღმერთების მკაცრი, მოწესრიგებული სისტემა არსებობდა, მაგრამ ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო დადებული ზღვარი მითოლოგიურ და რელიგიურ პერსონაჟებს შორის. თუმცა საკრალური გმირები მაღლდებიან მთავარ, უმაღლეს ღმერთამდე. ბევრი ასეთი რელიგია დღემდე არსებობს: ინდუიზმი, შინტოიზმი, დაოსიზმი, ზოროასტრიზმი, ჯაინიზმი. პარალელურად იქმნება თეისტური რელიგიები. უფრო მკაფიოდ ხდება სხეულისა და სულის, მიწიერისა და ზეციურის განყოფა და მათი სხვადასხვა მხარეს დაყენება. თეისტურ რელიგიებს მიეკუთვნებიან: იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი. ეთნიკურ ან პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეული ადრეული რელიგიები ადგილს უთმობენ ზენაციონალურ მსოფლიო რელიგიებს (ბუდიზმს, ქრისტიანობას, ისლამს), რომლებიც აერთიანებენ ყველა ადამიანს დაბადების ადგილის, ენისა და ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.

გავრცელებულ რელიგიათა მიმდევრების რაოდენობა მსოფლიოში

წყარო — ენციკლოპედია «ბრიტანიკა», 2001 წელი

ქრისტიანები	–	2.1 მილიარდი
ისლამის აღმსარებელნი	–	1.5 მილიარდი
ინდუიზმის აღმსარებელნი	–	900 მილიონი
ჩინური ხალხური რელიგიების მიმდევარნი	–	394 მილიონი
ბუდიზმის აღმსარებელნი	–	376 მილიონი
არატრადიციული რელიგიების მიმდევარნი	–	121 მილიონი
გვარტომობრივი რელიგიების მიმდევარნი	–	111 მილიონი
სიქჰიზმის მიმდევარნი	–	19 მილიონი
იუდაიზმის აღმსარებელნი	–	14 მილიონი
სპირიტუალისტები	–	15 მილიონი
ბაჰაის მიმდევარნი	–	7 მილიონი
ჯაინიზმის მიმდევარნი	–	4.2 მილიონი
არარელიგიურები	–	641 მილიონი
ათეისტები	–	220 მილიონი

რელიგიურობის ისტორიიდან საქართველოში

საქართველოში, მისი გეოპოლიტიკური რეალობის გამო, ძველთაგანვე ერთმანეთს სხვადასხვა შინაარსის კულტურა და რელიგია კვეთდა. ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებითი რწმენა-წარმოდგენების გარდა, აქ ბერძნულ-რომაული და ქანაანურ-მესოპოტამიური პოლითეიზმი და რიტუალები იკაფავდა გზას. არქეოლოგიურმა ძიებებმა ცხადყვეს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტების არსებობა. ჩვენი წინაპრების ნაწილია ქრისტეს შობამდე, მონოთეისტურ და დუალისტურ თეოლოგიასაც ეზიარა იუდაიზმისა და ზოროასტრიზმის სახით.

ქართული კულტურისა და ზოგადი ქართული ეთოსის (ხასიათის) დვრიტა და საფუძველი მართლმადიდებლობა, უფრო ზუსტად, აღმოსავლური ტრადიციის ქრისტიანობაა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის არამარტო საეკლესიო წარსული, არამედ სამოქალაქო ისტორიაც გამსჭვალა. თუმცა ეს ფაქტი (ქართულ კულტურაში მართლმადიდებლობის პრიმატი) სხვა ქრისტიანული ტრადიციებისა და აღმსარებლობების როლსა და თანამონაწილეობას არ გამორიცხავს. საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, ფოლკლორი და ეთნოგრაფია სხვაგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა (მაგალითად, ზაქარია ფალიაშვილის, აღმსარებლობით კათოლიკეს, საოპერო ხელოვნება ეფუძნება როგორც ფოლკლორს, ისე, საკუთრივ, მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ტრადიციებს; აჭარული ფოლკლორი, რომლის მკვებავი არტერია ისლამია, ქრისტიანული ტრადიციის აქსესუარებსაც მოიცავს).

თანამედროვე ეთნოგრაფები ბევრს საუბრობენ ზოროასტრიზმის ნაშთებზე როგორც საქართველოს მთიანეთში, ისე ბარში. ქართულ მწერლობასა და ფოლკლორში ისლამის ადგილი უფრო თვალსაჩინოა. სინაგოგასა და ებრაულ დიასპორას წვლილი შეჰქონდათ ქართული კულტურის განვითარებაში. ჩვენი წინაპრები ინდურ-ტიბეტურ სამყაროსაც იცნობდნენ, — ამის თაობაზე ძველი ქართული მწერლობის როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ძეგლებიც მეტყველებენ. ურბანული და საეკლესიო კულტურისა და არქიტექტურის განვითარებაში შესამჩნევ როლს ასრულებდა სომეხთა თემი და ეკლესია. კათოლიკეებმა წვლილი შეიტანეს საქართველოში მეცნიერებისა და განათლების გავრცელების საქმეში. ასე რომ, საქართველო, ისე როგორც კავკასიის ბევრი სხვა რეგიონი, ძველთაგანვე მსოფლმხედველობრივ სისტემათა გზაჯვარედინი, რელიგიათა დიალოგისა და კულტურათა ურთიერთგაცნობის ეპიცენტრი იყო.

წარსულის მსგავსად დღესაც საქართველოში სხვადასხვა რელიგიური გაერთიანება მოქმედებს, რომლებიც კვალს ცხოვრების სხვადასხვა უბანზე ტოვებენ.

ქვემოთ საქართველოს ისტორიაში მრავალფეროვანი რელიგიური გამოცდილების ამა თუ იმ გამოვლენათა ერთგვარ მოზაიკურ მიმოხილვას შემოგთავაზებთ. შედარებით უფრო ვრცლად იმ რელიგიურ მოვლენებს შევეხებით, რომლებსაც ცალკე სტატია არ

ეთმობა წიგნის მომდევნო ნაკვეთებში. აქვე გაეცნობით რელიგიურ სი-ნამდვილეს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე.

პრეისტორიული ხანა

არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად დასტურდება, რომ ადამიანი კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში წინარეისტორიულ ხანაშიც ცხოვრობდა (იგულისხმება ძვ. წ. III ათასწლეულამდელი პერიოდი). დღეისათვის არქეოლოგებს მოეპოვებათ საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოძიებული მდიდარი მასალა, რომელიც აღნიშნული ეპოქით თარიღდება და რომლის რელიგიური შინაარსი გამჟვირვალეა — ესენია საფლავები, საკრალური ადგილები და ნაგებობები. რელიგიათმცოდნეები არ დავობენ იმაზე, რომ დაკრძალვა, თავისთავად, რელიგიური აქტია და საიქიო ცხოვრების რწმენაზე მეტყველებს. ამის დასტურია მიცვალებულისათვის სამარეში ნივთების ჩატანების წესი. მაშასადამე, პრეისტორიულ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანი იყო homo religiosus — გარკვეული რელიგიური მსოფლმხედველობის მქონე.

ქვის ხანა (VI-V ათასწლეულები). ხრამის დიდი-გორის მიდამოებში აღმოჩენილია გამოუწვავი თიხისაგან გამოძერწილი ქალის მინიატურული ქანდაკებები, რომლებიც, მკვლევართა დაკვირვებით, «დიდი დედის» — ბუნებისა და ყოველგვარი სულიერის შემქმნელის — გამოსახულებებს წარმოადგენენ. იქვე გამოვლინდა ცხვრის ძვლები და სამსხვერპლო შეწირულობის სხვა ნაშთები, რაც ცხადყოფს, რომ ეს ადგილი იყო «რიტუალური კერა», სადაც საკულტო ცერემონიები იმართებოდა. გარკვეულია, რომ ამ პერიოდში, ახალ ქვის ხანაში (ნეოლითში), საკულტო წესების შესასრულებლად უკვე საგანგებო შენობებსაც — ტაძარ-სამლოცველოებს — აგებდნენ (ერთ-ერთი მათგანი აღმოჩენილია ირმის გორაზე).

ადრეული ლითონების ეპოქა (IV-III ათასწლეულები). ამდროინდელი რელიგიური ტრადიციისათვის ნიშანდობლივია მამაკაცი ღვთაების კულტის განვითარება (ამის დამადასტურებელი უხვი მასალა მოიპოვება მტკვარ-არაქსის სამაროვნებში). ეს ღვთაება ხშირად ხარის, გამანაყოფიერებლის სიმბოლოს, სახითაა წარმოდგენილი. გამოვლენილია ხარის ქანდაკებები მამაკაცის რქოსანი თავითაც (ახალციხე, ამირანის გორა). ვარაუდობენ, რომ ამ დროს საკულტო მსახურება სახლებშიც იმართებოდა. ამას ქვაცეცხლის ნამოსახლარის მონაცემები ადასტურებს. იქ ნაპოვნი ნივთებით დგინდება, რომ სახლს მტერი მაშინ დაესხა და გაანადგურა, როდესაც ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული რაღაც რიტუალი სრულდებოდა.

დიდი ყორღანების ეპოქა, ანუ თრიალეთური კულტურა (III-II ათასწლეულები). ამ ეპოქისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ნიშანდობლივია, ე.წ. «სამეფო აკლდამების კულტურა». იგულისხმება ტომთა ბელადების დიდი სამარხები, რომელთა გარშემო დაკრძალვის რთული რიტუალები სრულდებოდა და მიცვალებულს სამკაულებსა და პირადი მოხმარების სხვა ნივთებსაც ატანდნენ. ასეთია სოფ. მარტყოფის მიდამოებში (ულევარი) აღმოჩენილი ყორღანები, რომლებსაც ჩვ. წ. აღ-მდე XXIV-XXII საუკუნეებით ათარიღებენ. ყორღანებში მთავარი მიცვალებულის გვერდით სხვა მიცვალებულთა, როგორც ფიქრობენ, მსხვერპლად შეწირულ ადამიანთა ჩონჩხებიც

დასტურდება. აშკარაა, საქართველოში, ისევე როგორც ძველი ეპოქის თითქმის ყველა სხვა ქვეყანაში, ადამიანების მსხვერპლად შეწირვის წესი არსებობდა (შდრ. ქვემოთ).

ისტორიული ხანა

III-II ათასწლეულებში ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიად ძირითადად ის რწმენა-წარმოდგენები რჩებოდა, რაც პრეისტორიულ ხანაშიც არსებობდა — ბუნებითი რწმენა-წარმოდგენები და შესაბამისი ქმედებანი — ქვათა, ხეთა, ტყეთა, მთათა თუ მნათობთა თაყვანისცემა, რაც მეცნიერებაში ნატურრელიგიის სახელითაა ცნობილი. მისი არსებითი ნიშანია რელიგიურობის პირველყოფილი, თვითნაბადი ანუ ველური ფორმებით შემოფარგვლა. ეს ფორმებია: ანიმიზმი, ფეტიშიზმი, ტოტემიზმი და მაგია, რაც წარმართული რელიგიებისა და, ზოგადად, წარმართული ცნობიერების საფუძველს შეადგენს. მართალია, რელიგიურობის ეს ფორმები ამა თუ იმ დოზით ყველა რელიგიურ სისტემაში არსებობს, მაგრამ განვითარებულ რელიგიებში ისინი არ დომინირებს.

წარმართობის არსებითი ნიშანია მრავალღმერთიანობა და კერპთაყვანისმცემლობა. თითოეული კერპი შესაბამისი ღვთაების ანიმაციაა და ეს ანიმა მატერიალურ საგანში მყოფობს. ამდენად, ღვთაება და კერპი ერთი და იგივეა. წარმართული ღმერთი ბუნების ამა თუ იმ ძალას და სტიქიონს გამოხატავს. რადგანაც ამ ძალებისა და სტიქიონების რიცხვი განსაზღვრული არაა, არც ღმერთების რიცხვია დადგენილი. წარმართობას ღვთაებათა მატება და კლება ახასიათებს; მისი შინაგანი და გარეგანი სამყარო მუდმივ ცვალებადობაშია. ამის მაგალითი ქართული წარმართული პანთეონიაცაა, რომლის შესახებ ჩვენს მატეანეში ნათქვამია: მოვიდა აზო, მოიტანა კერპნი ღმრთად გაცი და გა; დადგა ფარნავაზ, აღმართა კერპი არმაზ; დადგა საურმაგ, აღმართა კერპი აინინა; მეფობდა მირვან, აღმართა დანინა; მეფობდა ფარნაჯორ, აღმართა ზადენ...

არქეოლოგიური მასალითა და უცხოელ ავტორთა ლიტერატურული ცნობებით დასტურდება, რომ კავკასიის ხალხთა რელიგიურ ცნობიერებასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული ადგილი მნათობთა თაყვანისცემას ეჭირა. არსებობდა ტაძრები და სამსხვერპლოები მზის, მთვარისა და ვარსკვლავების სახელზე. დიდი ადგილი ეკავა მთვარის ღვთაებას, რომელიც ქვემოთ დამოწმებული წყაროს მინიშნებით, დედაკაცად მოიაზრებოდა. მას იმდენად აღმატებულ პატივს მიაგებდნენ, რომ მსხვერპლად ადამიანებსაც სწირავდნენ. ამის თაობაზე ბერძენი მოგზაური და გეოგრაფი სტრაბონი წერს: «[ალბანელები] ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით — მთვარეს. მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად. ქურუმობს კაცი უწარჩინებულესი მეფის შემდეგ. ის განაგებს ტაძრის მიწას, რომელიც დიდია და კარგად დასახლებული, და [ეს პირი განაგებს] მიწასაც და ტაძრის მონებსაც, რომელთაგან მრავალნი, შთაგონებულნი, წინასწარმეტყველებენ ხოლმე. მას, რომელიც უფრო მეტად იქნება შთაგონებული და მარტო დაეხეტება ტყეში, დაიჭერს ქურუმი, შეკრავს წმინდა ჯაჭვით და ერთი წლის განმავლობაში საგანგებოდ კვებავს. შემდეგ მიიყვანენ მას ქალღმერთის სამსხვერპლოსთან და ნელსაცხებლით დაზელილს, სხვა სამსხვერპლო ცხოველებთან ერთად, მსხვერპლად შესწირავენ. მსხვერპლშეწირვას ასეთი სახე აქვს: ერთს უჭირავს წმინდა შუბი, რომ-

ლითაც ადამიანს მსხვერპლად წირავდნენ. ის გამოდის სახლიდან, არტყამს გვერდიდან გულში ისე, რომ ამ საქმეში გამოუცდელი არ არის. როდესაც დაეცემა მსხვერპლი, აღინიშნება მისნობა დაცემის მიხედვით და საზოგადოდ ცხადდება, ხოლო გვამი მიაქვთ რომელიმე ადგილას და მოდიან ყველანი და ეხებიან ფეხით განსაწმენდელად» (Geographica XI, 4,7. თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი). ამ ინ-ფორმაციისა და ზოგი სხვა არგუმენტის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ საქართველოში, ქართველურ ტომებს შორის, მეზობელი ალბანელების მსგავსად, მთავარი ღვთაება იყო მთვარე, რომელმაც აქ მამაკაცის სახე მიიღო. ამის ერთერთი მაგალითია ხალხური ლექსი «ნათელმა მთვარემა ბრძანა», რომელშიც ნათქვამია: «მზე დაწვა და მთვარე შობა იავ ნანი-ნაო... მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაა ჩემი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი». ივ. ჯავახიშვილის თეორიის თანახმად, მთვარის კულტი საქართველოში წმ. გიორგის კულტმა შეცვალა და მისი ადგილი დაიჭირა. ამასთანავე, ამ წარმართულმა მოდელმა პოზიციები გაქ-რისტიანების შემდეგაც მყარად შეინარჩუნა და ჩვენს დრომდე მოაღწია. ეს თეორია გააკრიტიკა ევროპაში მოღვაწე თეოლოგმა და ფილოლოგმა გრიგოლ ფერაძემ; უარ-ყოფილია ჩვენს დროში ზ. კიკნაძისა და ზოგი სხვა მკვლევარის მიერ (შდრ. ქვემ. «წარმართობა» საქართველოში).

ცნობები, რომ წარმართულ საქართველოში მსხვერპლად ადამიანებსაც სწირავდნენ, ძველმა ქართულმა საისტორიო ძეგლებმაც შემოგვინახა, ხოლო ზეპირმა გადმოცემებმა გვიან შუასაუკუნეებამდეც მოაღწია, მაგალითად, — ლეგენდა კარსანელებსა და კოდმონელებზე, რომელშიც შეწირულ თუ გაწირულ ადამიანთა შეჭმაზეა ლაპარაკი (იმოწმებს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე წმ. ნინოსადმი მიძღვნილ ქადაგებაში. გრ. რობაქიძის მისტერია «ლონდაც» უმშვენი-ერესი ქალწულის მსხვერპლად შეწირვის მოტივს უკავშირდება).

ფალოსის კულტი საქართველოში. ძველი მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხისთვის იყო ცნობილი ე.წ. ფალოსის კულტი. ესაა რეგენერაციის (განაყოფიერებისა და აღორძინების) კულტი, რომლის სიმბოლოს მამაკაცისა და დედაკაცის სასქესო ორგანოები, ფალოსი და კტეისი, წარმოადგენს. ფიქრობენ, რომ პირველყოფილი ადამიანი სხეულის ცალკეულ ნაწილს ცალ-ცალკე სულად და არსებად აღიქვამდა, გამანაყოფიერებელი ორგანო კი მას სხვა ორგანოებზე უფრო ავტონომიურად და მარგინალურად წარმოედგინა. ამის გამო ყველგან, განსაკუთრებით კი საბერძნეთსა და რომში, გავრცელებული იყო ფალოსის გამოსახულებანი, რომელთაც მაგიური დატვირთვა და თილისმის ფუნქცია ჰქონდა. ამ კულტის გამოვლინებაა საღმრთო როსკიპებისა და ტაძრის მეძავების ინსტიტუტი ასურულ-ბაბილონურ ცივი-ლიზაციებში. იგი დღეს ყველაზე მკაფიოდ შინტოიზმში დასტურდება (იაპონია).

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა ავლენს, რომ ფალოსის კულტი საქართველოშიც არსებობდა. აღმოჩენილია სხვადასხვა «ფალოსი», რომელთაგან ყვე-ლაზე დიდ ინტერესს სოფ. ზეკარში (ბაღდადი) ნაპოვნი ბრინჯაოს ქანდაკება იწვევს. ესაა ორსქესოვანი არსება, რომელსაც ტანი ქალისა აქვს, სასქესო ორგანო კი კაცის. ამდენად, საქმე თავისებური სტილის ანდროგინულ ღვთაებასთან გვაქვს. ს. მაკალათია ფალოსის კულტის ანარეკლს ბერიკაობისა და ყეენობის სცენებში, სწორფრობისა და წაწლობის ადათებში ხედავს. ამ მხრივ უფრო საყურადღებო მონაცემებს შეიცავს სამეგრელოსა და აფხაზეთის, განსაკუთრებით, სვანეთის

ეთნოგრაფია. წმ. გიორგი და წმ. ბარბარე, ხალხური რწმენით, ნაყოფიერების ღვთაებანიც არიან. დღესასწაულ «ლიჩანიშობაზე» სოფ. ადიშში მლოცველები წმ. გიორგის (ჯგრაგს) შვილიერებას შესთხოვენ. უფრო გამჭვირვალეა სვანური საწესო სანახაობების «ჰარიკელას», «ადრეკილაჲს» და «საქმისაჲს» შინაარსი, რომელთა მთავარ ატრიბუტს შიშველი მამაკაცის გარეთ გამოსვლა და ხისაგან გაკეთებული მამაკაცის სასქესო ასო წარმოადგენს (ბოლო დრომდე სრულდებოდა მულახში). თანამედროვე საქართველოს ეთნოგრაფიულ-რელიგიურ ყოფაში ასეთი კულტის არსებობა აღარ დასტურდება.

საქართველო — რელიგიათა გზათშესაყარი. II და I ათასწლეულების მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე ტომების გაერთიანება იწყება და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ჩნდება, რომლებშიც სხვადასხვა შინაარსის კულტურები და რელიგიები ხვდებოდნენ ერთმანეთს. საქართველოში, უძველესი დროიდან, აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გადაკვეთისთანავე, საქარავნო გზები გადიოდა, რაც ბუნებრივად უწყობდა ხელს კულტურულ და რელიგიურ მრავალფეროვნებას. ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების, რიტუალებისა და ღვთაებების («ადგილის დედების») პარალელურად ბერძნულ-რომაული და აღმოსავლური, ძირითადად, ქანაანური და მესოპოტამიური (შუამდინარული) პოლითეიზმი იკაფავდა გზას. ეს ნიშნავს, რომ კავკასიაში მეზობელი ქვეყნების კერპები და საღვთისმსახურო რიტუალები ძველი დროიდანვე ადვილად აღწევდა. ვანის ნოქალაქევის, მცხეთა-არმაზისა და სხვა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ქართლისა და კოლხეთის ტერიტორიებზე როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტების არსებობა დაადასტურა. დასავლეთ საქართველოში, კოლხეთსა და აფხაზეთში, მეტწილად ბერძნული პანთეონი იყო გავრცელებული. ამას ადასტურებს ზევსის, პრომეთეს, ათენას, აპოლონის, აფროდიტეს, ჰერმესისა და სხვათა სტატუეტები და მათი სახელობის ტაძრები (ზოგიერთ შემთხვევაში — დიდი და მონუმენტური), რომლებიც აღნიშნული რეგიონის სხვადასხვა კუთხეშია მიკვლეული.

აღმოსავლეთ საქართველოში ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე უფრო ირანული წარმოშობის რელიგიური ტრადიციები ჭარბობდა. ამას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ეს მხარე, მეტწილად, ირანის პოლიტიკური გავლენის სფეროში იყო მოქცეული და ქართლის სამეფო ტახტს III-VI საუკუნეებში ირანელ სასანიანთა დინასტია განაგებდა. ამიტომ ირანული რელიგიის ზეგავლენა საქართველოში ხშირად სერიოზულ მასშტაბს ღებულობდა. ეს რელიგია კი თავის თავში ორ მიმართულებას (შტოს) მოიცავს: ზოროასტრიზმსა და მითრაიზმს. ძველ საქართველოში ორივეს ერთი და იმავე სახელით მოიხსენიებდნენ — ცეცხლის (არტოშანის) თაყვანისცემა, ე.ი. ცეცხლთაყვანისმცემლობა ანუ, სხვაგვარად, მაზდეიზმი (მაზდეანობა).

ზოროასტრიზმი და მითრას კულტი საქართველოში. ზოროასტრიზმი ჩაისახა და აღმოცენდა სპარსეთში. ამის გამო მას ხშირად ფარსიზმს უწოდებენ. მისი დამაარსებელია ზოროასტრი ანუ ზარათუშტრა, რომელიც ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში ცხოვრობდა. ამ სახელისგანაა წარმომდგარი ტერმინი — ზოროასტრიზმი.

მაზდეიზმი დუალისტური რელიგიაა (თუმცა რელიგიათმცოდნეთა ნაწილი მასში მძლავრ მონოთეისტურ ელემენტებს ხედავს). სახელწოდება უზენაეს და კეთილ

ღვთაებას — აჰურამაზდას — უკავშირდება. მაზდეიზმი გავრცელებული იყო სპარსელთა წინაპრებს, არიელებს, შორის. მის მოძღვრებასა და ღვთისმსახურების წესებს საბოლოო სახე ზარათუშტრამ (ბერძნული წარმოთქმით — «ზოროასტერ», იგივე ზარატუსტრა) მისცა, რისთვისაც მას რეფორმატორად და წინასწარმეტყველად მოიხსენიებენ. მას მიეწერება გათების ანუ საგალობლების კრებულის შექმნა, რომელიც შესულია აღნიშნული რელიგიის ფუძემდებელ წიგნში «ავესტა».

უზენაესი ღვთაებაა აჰურამაზდა ანუ ორმუზდი. მას დასაბამიდანვე უპირისპირდება და ებრძვის არიმანი — ბოროტებისა და წყვდიადის მეუფე. ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის განუწყვეტელია. ეს ჭიდილი კი, თავის მხრივ, მსოფლიოს განვითარებისა და ცივილიზაციის საფუძველს წარმოადგენს, რადგან სიკეთე უძლეველია. აჰურამაზდას გვერდით კეთილი ძალები დგანან: მისი შვილი მითრა, რომელიც ციდან ქვეყნად ჩამოვიდა და კაცის სახე მიიღო და კეთილი ანგელოზები (აზატები). არიმანთან ბოროტი სულები არიან: დევები (იგივე დემონები) და ეშმაკები. აჰურამაზდას სიმბოლოა ცეცხლი. იგი მზის ანარეკლია და ასახიერებს ღვთის სამართალს («არტის»). აქედან წარმოდგება ცეცხლთაყვანისმცემლობა. ათეშკებში, მაზდეანურ ტაძრებში, საკურთხევლის წინ, ჩაუქრობლად ენთო კოცონი, რასაც მორწმუნენი ემსახურებოდნენ. დღეისათვის ეს რელიგია შეცვლილი სახითაა შემორჩენილი ინდოეთსა და ირანში: ინდოეთში — ფარსების სექტა, ირანში — გებრებისა. ზოროასტრიზმის ელემენტებს შეიცავს აგრეთვე ეზიდების რელიგიური რწმენა და პრაქტიკა (იხ. ეზიდიზმი).

ცეცხლთაყვანისმცემლობა პოზიციებს საქართველოს გაქრისტიანების შემდეგაც არ თმობდა. ქართლ-კახეთის მოსახლეობის საშუალო ფენაში იგი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. მცხეთელ მაზდეანებს V საუკუნეში საკუთარი მღვდელმთავარიც (მოგპეტა) ჰყოლიათ. ერთ-ერთ ასეთ მღვდელ-მთავარს ბინქარანი რქმევია. ამ რელიგიას ზოგჯერ, ფორმალურად თუ რეალურად, ქრისტიანი ერისმთავრებიც აღიარებდნენ (მაგალითად, არშუშა პიტიახში და მისი შვილი ვარსქენი). იყო შემთხვევები, როდესაც მისი მრწამსის გავლენის ქვეშ ეკლესიის მსახურებიც ექცეოდნენ. მატიანე მოგვითხრობს, რომ წმ. არჩილ მეფემ (V ს.) დასვა ეპისკოპოსი, სახელად მობიდანი, რომელიც იყო «მოგვი უსჯულო და შემშლელი წესთა... რომელიც ფარულად წერდა წიგნებს ყოვლისა საცთურისასა». როდესაც ამ წიგნების შინაარსი «ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ» გააცხადა, მათი აუტოდაფე მოაწყვეს. სამეფო ხელისუფლებაც ერთბაშად ვერ გათავისუფლდა აღმოსავლური ორიენტაციისაგან. ვახტანგ გორგასალი, მაგალითად, ხან ბიზანტიის მხარეს იდგა, ხან ირანისა, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა და განაცხადებდა: «...სადაცა მიპოვნიეს სახლი ცეცხლისა, დამივსია ფსლითა და მოგვნი და მზირნი მათნი მიმიცემიან სატანჯველსა...»; «აწ გამცნებ თქვენ, — მიმართა მან სიკვდილის წინ ქვეყნის წარჩინებულებს, — მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდეგთ და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა... და სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტევებთ». ანტიმაზდეანურ პოლემიკაში ის სპარსელებიც ერთვებოდნენ, რომლებიც ქართლში გაქრისტიანდნენ (წმ. ევსტათი მცხეთელი). ერთ-ერთი სირიელი მამა, ნეკრესის ეპისკოპოსი აბიბოსი (VI ს.), შევიდა მაზდეანთა სალოცავში, მარადმოგიზგიზე ცეცხლს წყალი დაასხა და ჩააქრო, რაც მისი მოწამებრივი აღსასრულის მიზეზი გახდა.

მკვლევრები (ს. მაკალათია, კ. კეკელიძე) მიიჩნევენ, რომ მითრას კულტი საქართველოში, ისევე როგორც აზიისა და ევროპის სხვა ქვეყნებში, ფართოდ იყო გავრცელებული და ადგილობრივ რელიგიურ ტრადიციებს დიდ კონკურენციას უწევდა. მისი კვალი გამოვლენილია ძველ ქართულ ონომასტიკონშიც (საკუთარ სახელებში): მითრიდატე, მირდატ («მითრას ბოძებული»), მირიან («მითრასეული») და სხვ., აგრეთვე — ეთნოგრაფიაში. დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოში, სვანეთსა და გურიაში) შემორჩენილია წეს-ჩვეულება, რომელსაც მისრობა (მირსობა) ეწოდება. ესაა დიდმარხვის წინა დღეებში, ყველიერის ორშაბათამდე, ღორის დაკვლა, რომელსაც გარკვეული რიტუალი ახლავს (ღორში მითრას სული მოიაზრება და ის წმინდა ცხოველია). ამ დროს «მირსას», როგორც სინათლის ღვთაებას, ხალხი თვალის ჩინსა და გამჭრიახობას შესთხოვს. ნეკრესში დღემდე შემორჩენილია ღორების მსხვერპლად შეწირვის ტრადიცია, რაც მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, მითრაიზმის გავლენა უნდა იყოს.

იუდაიზმი. იუდეველები, ანუ ებრაელები (იხ. იუდაიზმი) საქართველოში პირველად ძვ.წ. VI საუკუნეში გამოჩნდნენ. ისინი ნაბუქოდონოსორის აგრესიას და ოკუპაციას გამოექცნენ, მოვიდნენ მცხეთაში და ქართლის სხვადასხვა კუთხეში დასახლდნენ. მეტ-ნაკლები მასშტაბის შემოსახლებები შემდგომაც ხდებოდა, განსაკუთრებით ახ. წ. 70 წლის ახლო ხანს, იერუსალიმის წარტყვევნისა და სოლომონის ტაძრის დაქცევის შემდეგ. ქართლის მოქცევის ქრონიკაში ნათქვამია: წმ. ნინომ, როდესაც ქართლში მოვიდა, პირველად ებრაელთა სინაგოგას, ბაგინად წოდებულს, მიაკითხა, რადგან მათი ენა, არამეული, იცოდა. იგი იქ რამდენიმე ხანს დარჩა და ამ ქვეყნის «ძალს განიცდიდა». ეს ნიშნავს: იუდეველები უკვე ისე იყვნენ ქართულ სინამდვილეში ინტეგრირებული, რომ უცხოელს, მათთან სტუმრად მყოფს, ამ სინამდვილის ობიექტურად აღქმა შეეძლო. იმავე წერილობითი ძეგლიდან ჩანს, რომ მოციქულთა სწორმა პირველად ებრაელები გააქრისტიანა (აბიათარი, სიდონია, სუსანა).

ძველ ქართულ საზოგადოებაში ებრაელების თვალსაჩინო ადგილზე მიუთითებს IV საუკუნემდელი ებრაული სასაფლაოები და წარწერები ამ საფლავებზე, რომლებიც მცხეთასა და ქართლის სხვადასხვა ხეობაში გვხვდება. იუდეველები საქართველოში ქალაქური ტიპის დასახლებებს ქმნიდნენ; ვაჭრობდნენ, მოგზაურობდნენ და ექსპორტ-იმპორტს მისდევდნენ, რითაც საქართველოს გარესამყაროსთან ურთიერთობის გაღრმავებას უწყობდნენ ხელს. ხანგრძლივად და ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართულ-ებრაულ კულტურათა ურთიერთგამდიდრების პროცესი. ამ მხრივ მდიდარ მასალას ქართული ენის ლექსიკური ფონდი (განსაკუთრებით ტოპონიმიკა), ფოლკლორი და ეთნოგრაფია შეიცავს. რაც მთავარია, ებრაელებმა საქართველოში მოიტანეს თორა და მონოთეიზმის იდეა, რამაც ქრისტიანულ მოძღვრებას ნიადაგი შეუმზადა.

ქრისტიანობა. ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საქართველოს რელიგიური ატმოსფერო თითქოს (წინარე პროცესების თვალსაზრისით) მზად იყო იმისათვის, რომ იქ სახარება ექადაგათ. «მოქცევაჲ ქართლისაჲ» მოგვითხრობს, რომ მცხეთელმა ებრაელებმა — ელიოზმა და ლონგინოზმა, რომლებიც ქრისტეს გასამართლებას დაესწრნენ, მაგრამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ, საქართველოში ქრისტეს კვართი ჩამოიტანეს. საეკლესიო გადმოცემით, სამოციქულო ქადაგებისთვის ივერია ღვთისმშობელს წილის ყრით ერგო, მაგრამ ხანდაზმულობის

გამო მან ამ მხარეში მოსვლა ვერ მოახერხა. მისი თხოვნით ეს მისია მოციქულებმა — ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა — იტვირთეს. მათგან მეორე აფხაზეთში, ნიკოფსიაში, გარდაიცვალა. ამის შემდეგ საქართველოში ქრისტეს მოძღვრება მოგზაურებს, ვაჭრებს, ტყვეებსა და გადმოსახლებულებს შემოჰქონდათ. III ს-ის შუა წლებში ქართლის ტახტს განაგებდა მეფე რევი, რომელსაც ქრისტიანული ტრადიციის ისტორიოგრაფია «მართალს» უწოდებს და დასძენს: მართალია, იგი წარმართი იყო, მაგრამ «იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა, რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი და აქვნდა რამე სიყვარული ქრისტესი». არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება, რომ ქრისტიანული ეკლესიები (თემები) როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში IV საუკუნემდეც მოქმედებდა. ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ ამ ეკლესიებმა ქვეყნის იმდროინდელ სულიერ და მატერიალურ კულტურაზე თვალსაჩინო გავლენა ვერ მოახდინეს. ქართლისა და ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) სრულმასშტაბიანი ევანგელიზაცია რომის იმპერიის გაქრისტიანების შემდეგ მოხერხდა (IV-V სს.) და ეს მისია აღმოსავლეთ საქართველოში კაპადოკიელმა ქალწულმა, ნინომ, განახორციელა, რისთვისაც იგი, ქალი, მოციქულთა სწორად და ქართველთა განმანათლებლად იწოდება (ეს ფაქტი, ანუ ქალი — მოციქული, თითქმის უპრეცედენტოა).

ქრისტიანობამ საქართველოში (იხ. ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა) ბევრ კულტურულ ინიციატივას დაუდო სათავე. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი საღვთო წერილისა და ლიტურგიის ქართულ ენაზე ამეტყველებაა, რამაც ენა გაამდიდრა და დახვეწა. ამას კი შედეგად ქართული ქრისტიანული მწერლობის წარმოშობა და აღმავლობა მოჰყვა (არსებობს თვალსაზრისი, რომ ქართული დამწერლობა და მწერლობა ქრისტიანობამდეც არსებობდა, რომ ქართული ანბანი ძვ.წ. III ს-ში მოღვაწე ქართლის პირველი მეფის, ფარნავაზის, კულტურული რეფორმის ნაყოფია). ქრისტიანული საქართველო მძლავრი სამონასტრო კერებითა და ბერ-მონაზონთა სიმრავლით გამოირჩეოდა. ეს ინსტიტუტი ქართლსა და კახეთში სირიიდან შემოვიდა (ცამეტი მამის მეშვეობით), ეგრისსა და აფხაზეთში კი — ბიზანტიიდან.

IV-V საუკუნეებიდან როგორც საქართველოში, ისე საქართველოს საზღვრებს გარეთ ასპარეზზე გამოვიდნენ მწერლები, რომელთა მეშვეობით ქართველების საღვთისმეტყველო ცოდნა და შემეცნება მაღალ საფეხურზე ავიდა. ამ პერიოდიდან ქართველი ქრისტიანები თვალყურს ადევნებენ საღვთისმეტყველო დისკუსიებს, რაც მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობდა, და ასეთ ფორუმებში ხშირად მონაწილეობენ კიდეც. ამის პირველი მაგალითია იერემია იბერიელი (კათალიკოსი), რომელიც მცირე აზიაში გაემგზავრა და ეფესოს მსოფლიო კრების (431 წ.) ანტინესტორიანელ მონაწილეებს დაუჭირა მხარი. დღემდე კამათობენ მეცნიერები, თუ რა პოზიცია დაიკავა მცხეთის საკათალიკოსომ 451 წლის ქალკედონის ანტიმონოფიზიტურ კრებასთან მიმართებაში. საფიქრებელია, რომ ერთსულოვნება არ იყო. ამასთანავე, ფაქტია, რომ VI საუკუნის მიწურულიდან ქართლის ეკლესიამ (კოლხეთ-ეგრისისა იმხანად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა) გეზი ქალკედონიტობისაკენ (დიოფიზიტობისაკენ) აიღო. ამ კურსის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი კირიონ ქართლის კათალიკოსს მიუძღვის.

IX-XI საუკუნეებში კონსტანტინოპოლისა და რომის ეკლესიები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რაც 1054 წლის დიდი სქიზმით დამთავრდა: დასავლეთისა და

აღმოსავლეთის მართლმადიდებელმა, ე.ი. შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებათა მაღიარებელმა ეკლესიებმა ერთმანეთთან ევქარისტიული (ლოცვითი) კავშირი გაწყვიტეს (იხ. დიდი სქიზმა). თუ რა პოზიციაზე იდგა საქართველოს ეკლესია იმხანად, დოკუმენტურად ცნობილი არ არის. სამაგიეროდ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ათონის მთის ქართველთა მონასტრის წინამძღვარმა მაშინ, გარკვეულწილად, რომის ეკლესიის პოზიცია დაიჭირა. ამას ადასტურებს გიორგი მთაწმინდელის საჯარო სიტყვა, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის, დარბაზის ერისა და სტუმრების წინაშე 1065 წელს, დიდი სქიზმის ოფიციალურად გაფორმების შემდეგ, წარმოითქვა. წმ. მამამ განაცხადა: რომს, საბერძნეთისაგან განსხვავებით, არასდროს გადაუხვევია ჭეშმარიტებიდან, ხოლო ის, რაშიც მას ედავებიან (უფუარი პურით და წყალშეურეველი ღვინით ზიარება), არის არა სიახლე, არამედ ეკლესიის ძველი ტრადიცია, იესო ქრისტესა და მისი მოციქულების მიერ გამყარებული. ამ სიტყვას, აგიოგრაფ გიორგი მცირის ცნობით, ლათინები იმდენად აღუფრთოვანებია, რომ მათ წმ. მამის რომში ჩაყვანისა და წმ. პაპის წინაშე წარდგენის სურვილი გამოუთქვამთ (დაეთანხმა თუ არა ათონელი ბერი ამ წინადადებას, ცნობილი არ არის. რამდენიმე დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა). ამის მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ, ისე როგორც ბერძნული ტრადიციის ყველა სხვა ეკლესიამ აღმოსავლეთში, რომის ეკლესიის სპეციფიკური (კათოლიკური) დოგმატები და ჩვეულებები არ გაიზიარა და დარჩა იმ მოძღვრებასა და წეს-განგებაზე, რასაც მართლმადიდებლობა ჰქვია. მისმა წარმომადგენლებმა ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438-1439 წწ.) რომთან სარწმუნოებრივი გაერთიანების საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს და უნია უარყვეს.

საქართველოს ეკლესიამ IX-X საუკუნეებში ძველი საღვთისმსახურო ტრადიცია, რომელიც იერუსალიმურ-ანტიოქიური ტიპიკონის სახელითაა ცნობილი, შეცვალა და ბიზანტიურ-კონსტანტინოპოლურ წესზე გადავიდა. რეფორმის მიზანს მსოფლიო ეკლესიასთან სრული თანხმობა წარმოადგენდა, რათა ეს ეკლესია, როგორც ამას მოგვიანებით (XVIII ს.) კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I იტყვის, «არა სხვად მედღეასწაულედ» გამოჩენილიყო. აღნიშნულ ეპოქაში იერუსალიმური წარ-მოშობის ლიტურგიკული წიგნები (ჟამისწირვისა და კურთხევათა ტექსტები) აიასოფიის (ე.ი. კონსტანტინოპოლის) ტიპიკონის სტილსა და თარგზე გაწყობილმა კრებულებმა ჩაანაცვლა. ეს დრო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში ელინოფილურ ხანადაა ცნობილი, რაც XVII-XVIII საუკუნეებში რუსოფილობამ შეცვალა. საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნების ქართული ვერსიები სლავურ ვერსიებს მიუსადაგეს. ამ პროცესს დასრულებული სახე დეკ. ალექსი მესხიშვილმა და კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა მისცეს. თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკაშიც ეს რედაქციები გამოიყენება. ამასთანავე, როგორც რუსულ, ისე ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიებში ლიტურგიის ენად დღემდე ძველი ენები რჩება (სლავური და ძველი ქართული), რადგან ისინი მეტი მადლის მქონე ენებად მიიჩნევა (თუმცა არსებობს განსხვავებული თეორიები და პოზიციები).

IX-XI საუკუნეებში ბერძნები და სხვა ერების წარმომადგენლები სკეპტიკურად უყურებდნენ მორწმუნე ქართველების ეკლესიოლოგიურ და საღვთისმეტყველო შესაძლებლობებს, არ მიიჩნევდნენ მათ ავტოკეფალიის ღირსად და მათ მიერ თარგმნილი თუ ორიგინალური ლიტერატურის კანონიკურობაში ეჭვი შეჰქონდათ. ასეთი შეხედულობების გასაქარწყლებლად ყველაზე ავტორიტეტული სიტყვა

გიორგი მთაწმინდელმა (+1065 წ.) და ეფრემ მცირემ (+1101 წ.) თქვეს. ამის შემდეგ ქართველების მისამართით ახალი ბრალდება წამოაყენეს: ისინი არ ემორჩილებიან პენტარქიის (ხუთმთავრობის) საყოველთაო კანონს, რომლის მიხედვით კათოლიკე ეკლესია ხუთ საპატრიარქოდაა დაყოფილი (რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის) და ყველა სხვა ადგილობრივი ეკლესია ხუთიდან ერთ-ერთს უნდა დაექვემდებაროს. ბრალმდებელთა სიტყვით, ქართველები «არა რომლისა პატრიარქისა ხელმწიფებასა ქვეშე არიან... და თვით დაისვამენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა...». ლაპარაკია ავტოკეფალიაზე, რომელიც, ძველი ტრადიციის მიხედვით, მხოლოდ მოციქულისაგან დაარსებულ ეკლესიას ეკუთვნის. საქართველოს ეკლესიას, ანტიოქიის სამღვდელოებისა და თვით პატრიარქის თქმით, ეს პატივი «თვითრჩულობით და ქედფიცხლობით», ე.ი. თვითნებობის (კაპრიზის, აკვიატების) და ამპარტავნების გამო აქვს მითვისებული, რადგან მათ მიწაზე არცერთ მოციქულს არ უქადაგიაო. საქართველოს ეკლესიამ ამ ბრალდებას რამდენიმე არგუმენტი დაუპირისპირა — დაიმოწმა წიგნი «ანდრია მოციქულის მიმოსვლა», რომლის თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ეკლესიები ანდრია პირველწოდებულმა დააარსა, თუმცა არსებითი და მთავარი ის იყო, რომ იმ დროისათვის (XI ს.) საქართველოს ეკლესიას უკვე შემენილი ჰქონდა საკუთარი თავის დამოუკიდებლად მართვის უნარი და გამოცდილება; ქართულად თარგმნილი იყო ქრისტიანული მოძღვრებისა და პრაქტიკის ყველა პირველხარისხოვანი ძეგლი; არსებობდნენ კვალიფიციური ღვთისმეტყველები და კანონისტები, რაც მომავალშიც ამ ეკლესიის მართებულ პოზიციაზე მყარად დგომის იმედს იძლეოდა.

საქართველოში, მისი ისტორიის ოქროს ხანაში, ქალის სამოციქულო და სამეფო უფლებათა შესახებაც მსჯელობდნენ. როგორც არაქართველები, ისე ქართველები ხშირად (ზოგჯერ ცინიკურად) ასეთ კითხვას სვამდნენ: საქართველოს (და მხოლოდ საქართველოს) გასანათლებლად რატომ აირჩია ღმერთმა ქალი? ეს კითხვა პოპულარული და აქტუალური თამარის გამეფებასთან დაკავშირებით გამხდარა. ამ დროს მას მეორე კითხვაც დაერთო: საღვთო წერილის მიხედვით გამართლებულია თუ არა ქალის მეფედ კურთხევა? მაშინდელმა კათალიკოსმა ნიკოლოზ გულაბერისძემ ასეთი თეორია და პასუხები ჩამოაყალიბა: 1. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მისი მოქცევა ქალს შეშვენოდა, 2. ვინაიდან ჩვენ, ქართველები, ყველაზე ჩამორჩენილები და აგრესიულები ვიყავით, ღმერთმა, თავისი სიძლიერის გამოსაჩენად, აირჩია არა ძლიერი, ენამჭევრი და შეუდრეკელი მამაკაცი, არამედ სუსტი ქალი: «...ამისათვისცა უძლურისა ბუნებისა დედაკაცისა მიერ მოალბო ქედფიცხელობაჲ ულმობელთა მათ და უგლიმთა ნათესავთაჲ», 3. ღვთის წინაშე ქალი და მამაკაცი თანასწორია (გალ. 3:28). ამიტომაა, რომ ღმერთი მოციქულის საქმეს ზოგჯერ ქალსაც მიანდობს: მაცხოვრის აღდგომა პირველად დედაკაცებს ეუწყათ და მათ მიერ სხვებსაც (მათე 28:1-11; მარკოზი 16:9-10; ლუკა 24:1-12; იოანე 20: 1-18).

ხალხური ქრისტიანობა. ქრისტიანული რელიგია საქართველოში წარმოდგენილია როგორც ხალხური, ისე კანონიკური ფორმებით, რომლებიც, მეტწილად, ჰარმონიულად თანაარსებობენ. ცივილიზებული მსოფლიოს თვალში ეს ქვეყანა იმითაცაა ცნობილი, რომ მის მიწაზე კათოლიკე ეკლესიის დიდი მამები და მასწავლებლები მოღვაწეობდნენ. მათ ხსოვნას ხალხის მეხსიერება (ფოლკლორი) დღემდე ინახავს,

რაც ასახულია სხვადასხვა ლეგენდასა და პაგანიზებულ მსახურებაში (ასეთი მსახურების მაგალითია ხალხური დღესასწაული «ბასილობა»). მსოფლიოს უდიდესი წმინდანები, რომლებმაც სიცოცხლე საქართველოში დაასრულეს, არიან: იოანე ოქროპირი (+407 წ.) და მაქსიმე აღმსარებელი (+662 წ.). წმ. იოანემ ბიჭვინთის გზაზე, კომანაში, წარმოთქვა ის უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც რწმენისა და სასოების ნიმუშად იქცა: «დიდება ღმერთს ყველაფრისათვის!», ხოლო წმ. მაქსიმემ, რწმენის ერთგულებისათვის ენაამოგლეჯილმა და მკლავმოკვეთილმა, ლეჩხუმში, ხალხური გადმოცემის თანხმად, მრავალი სასწაული მოახდინა — მოჭრილ ხელზე კალამი მიიბა და ქადაგება ენის გარეშეც წარმოთქვა. აქვე შემონახულია გადმოცემა, რომ იგი, თითქოს, ვინმე ქარეიშვილ-ჭაბუკიანმა მოკლა. ამის გამო ჭაბუკიანთა საგვარეულო თავს დღესაც დასჯილად თვლის და ყოველწლიურად კლავს კურატს წინაპრის ურჯულოების წარხოცვის მიზნით.

მართალია, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იურიდიული საფუძვლები დადასტურდა, გაირკვა საღვთო და სამღვდელო წიგნების ქართულ თარგმანთა სანდოობა, ქართული ლიტურგიკული პრაქტიკის მსოფლიო ეკლესიის ანალოგიურ პრაქტიკასთან თანხმობა, გაიფანტა ქართველთა რელიგიური სეპარატიზმისა თუ ერეტიკოსობის შესახებ არსებული ეჭვები, მაგრამ ბერძნები (მაგ., პატრიარქები მაკარი და დოსითეოზი), რუსები (ელჩები, დიპლომატები და სხვ.) და კათოლიკე მისიონერები ზოგჯერ მაინც ეჭვის თვალით უყურებდნენ ქართველების ქრისტიანობას. ასეთ შთაბეჭდილებას მათზე შემდეგი ფაქტები ახდენდა: 1. ლიტურგიკული პრაქტიკის მოუწესრიგებლობა (არაკანონიკური გამოვლინებები წირვა-ლოცვის დროს, მიცვალებულის მონათვლა და ბევრი სხვა), 2. რელიგიურ-ეთნიკური ანუ საწესჩვეულებო რიტუალები (სისხლიანი მსხვერპლშეწირვა, საკურთხი მიცვალებულისათვის და ა.შ.) და 3. ცრუმორწმუნეობა (თილისმები და მაგიური ელემენტების სიჭარბე), რაც მეტ-ნაკლები დოზით საქართველოს ყველა კუთხეში შეინიშნებოდა. მსგავს წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს არამარტო უცხოელები, არამედ სწავლული ქართველი ქრისტიანებიც გმობდნენ. ამის მაგალითია ქართლ-კახეთის 1748 წლის საეკლესიო კრება, რომელმაც ამ ქვეყნის რელიგიურ სინამდვილეს მკაცრი შეფასება მისცა და ღვთისმსახურებს მოუწოდა, გათავისუფლებულიყვნენ სხვადასხვა სახის ცრურწმენებისაგან. კრების ინიციატორმა და თავმჯდომარემ, კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა მეცნიერული სამუშაო ჩაატარა იმის გასარკვევად, თუ საიდან შემოვიდა ქართველი ქრისტიანი ხალხის რელიგიურ პრაქტიკაში სისხლიანი მსხვერპლის შეწირვის წესი და ისიც ეკლესიათა გალავნებში (ეზოებში). მისი გამოკვლევით («მზამეტყველება»), ეს წესი სომხურიდანაა შემოსული. იქ მას ეწოდება «მათარ»და ებრაული (ძველი აღთქმისეული) წარმოშობისაა. მოგვიანებით სამეცნიერო წრეებისათვის (ნ. მარის, რ. ჰარნაკისა და კ. კეკელიძის ნაშრომთა მეშვებით) ცნობილი გახდა კურთხევანთა ძველი ქართული ვერსიები, რომლებშიც წარმოდგენილია ვაცთა და ზვარაკთა შეწირვისათვის განკუთვნილი ლოცვები და რიტუალები. კ. კეკელიძემ ისიც გაარკვია, რომ ეს ტექსტები ბერძნულიდან არის თარგმნილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი აღმოსავლეთის ძველ ეკლესიებში ყოფილა სანქცირებული. დღეისათვის ასეთი წეს-ჩვეულებები სხვა ეკლესიების პრაქტიკაში ცნობილი არ არის და ისინი მხოლოდ ქართველებისა და სომხების ეთნიკურმა ქრისტიანობამ შემოინახა. საეკლესიო ტრადიცია მსგავს ქმედებას ცოდვის წარმხოც და გამომსყიდველ მსხვერპლად კი არ მიიჩნევს, არამედ ჩვეულებრივ შესაწირავად (შესაწევარად, ქველმოქმედებად). ამის

მიუხედავად, ხალხში მას უფრო ღრმა საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებენ. სისხლიანი მსხვერპლის ეკლესიათა გალავნებში შეწირვის ფაქტები დღესაც ხშირია.

ხალხური ქრისტიანობა საქართველოში დასტურდება როგორც სოფლად, ისე ქალაქად. როგორც ქართულ, ისე არაქართულ მოსახლეობაში: აფხაზებსა და ოსებში (იხ. ქვემოთ) და კანონიკური ქრისტიანობის პარალელურად თანაარსებობს. ის მკაფიოდაა წარმოდგენილი მთის ტრადიციულ საზოგადოებებში. ამ მხრივ კარგადაა შესწავლილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (იხ. «წარმართობა» საქართველოში), შედარებით სუსტად — სვანეთი.

სვანეთი საყოველთაო ყურადღებას, პირველ ყოვლისა, ქრისტიანული კულტურის ძველი ძეგლებით იქცევს. ზემო სვანეთს (ენგურის ხეობა) «ბუნებრივ მუზეუმსაც» უწოდებენ, რადგან თითქმის ყველა სოფელში არაერთი სალოცავი ტაძარი ან კოშკი, იშვიათი ფრესკები, უნიკალური ჯვარი, ხატი და სხვა საეკლესიო ჭურჭელი მოიპოვება. განსაკუთრებით საყურადღებოა ხელნაწერი წიგნებისა და გრაგნილების კოლექცია, რომელიც უმდიდრესი და უძვირფასესია. მისი ნაწილი დღესაც ადგილზეა დარჩენილი (ზოგი სათემო ეკლესიებში ინახება), ნაწილი გამოტანილია და სხვადასხვა მუზეუმს ამშვენებს. ამ ხელნაწერებში, უპირატესად, სასულიერო მწერლობის ნიმუშებია წარმოდგენილი, რაც ცხადყოფს, რომ ერთ დროს სვანეთში წერილის რელიგია (ეკლესიური ქრისტიანობა) მაღალ საფეხურზე იდგა. ასეთი რელიგიის ადგილი გვიან შუა საუკუნეებში, საეპისკოპოსო ცენტრებთან კავშირის გაწყვეტის გამო, აქაც სოფლურმა ქრისტიანობამ, ნატურრელიგიის ელემენტებით გაჯერებულმა კულტმსახურებამ, დაიკავა. ამ სფეროს მიმართ მეცნიერულ ინტერესს შემდეგი გარემოება აძლიერებს: სვანეთი IX-X საუკუნეებამდე, დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, ბერძნულ-ბიზანტიური ეკლესიის გავლენას განიცდიდა. ამიტომ იქ ადგილობრივ სუბსტრატთან ერთად ბერძნული ელემენტებიც არის შემორჩენილი (ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე, ე. გაზდელიანი, ზ. ჭუმბურიძე), რაც სვანური ენის რელიგიურ ლექსიკაშიც აისახა (ჯვარი — სტავროს, მღვდელი — ბაჰ, სანთელი — კერიონი) და იქაურ ეპიგრაფიკაშიც (ბერძნული წარწერები ეკლესიის კედლებსა და წმინდა საგნებზე). სვანეთმა ბერძნული ხელნაწერებიც შემოინახა, რომელთაგან მსოფლიო მნიშვნელობისაა სახარება — კორიდეთის ოთხთავი, რომელიც სოფ. კალიდან, წმ. კვირიკეს ეკლესიიდან, 1869 წელს გამოიტანეს, რამაც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი მითქმა-მოთქმა და პროტესტი გამოიწვია, მაგრამ ეს ხელნაწერი უკან ეპ. გაბრიელმა (ქიქოძემ) არ დააბრუნა (გელათის სეიფში დატოვა) იმ მოტივით, რომ ადგილობრივი მორწმუნეები მას «გადამეტებით ეალერსებოდნენ» (ეპ. კირიონის ცნობა) ანუ ჰკოცნიდნენ, რის გამოც ხელოვნების ნიმუში ზიანდებოდა. ცნობილია ხატებისა და სხვა საკრალური საგნების მიმართ სვანების რიდი და კრძალვა. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, სვანებს «უმჯობესი ხატი უბიათ ძეწკვითა ოქროსათა და იტყვიან: უკეთუ აუშვათ, დალეწავს ყოველსავე აქა მყოფსა ხატ-ჯვართა».

ზემო და ქვემო სვანეთში ხალხური ქრისტიანობის ბევრი ცენტრი არსებობს (კანონიკური მსახურება იქ გვიან შუა საუკუნეებში უკვე შეწყვეტილი იყო). თითოეულ ხევს საკუთარი მთავარი სალოცავი და დღესასწაული აქვს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ძველი ეკლესია (შესაძლებელია, მონასტერი) სოფ. კალაში წმ. კვირიკესა და ივლიტას სახელზე, რომელსაც სვანურად «ლაგურკა» ეწოდება

(ქართ. «საკვირიკოს» ლინგვისტური შესატყვისი). იქ დაცულია ბიზანტიური წარმოშობის ხატი-სანაწილე — «შალიანი», რომელიც, ადგილობრივი მორწმუნეების მტკიცებით სასწაულმოქმედია და ეს ადგილი დასაბრძანებლად თავად გამოირჩია; მასზე ფიცს დებენ და ადრე მას, ზოგიერთი სხვა ხატის მსგავსად, ბანდნენ. წმ. კვირიკეს ხსენების დღეს (15/28 ივლისი) იკვლება უამრავი საკლავი (თხა და ხარი), ხდება მართალთა დალოცვა, დამნაშავეთა დასჯა და მოღალატეთა შერისხვა.

ქრისტიანი მართლმადიდებლები და სხვადმადიდებლები. საქართველო არამარტო მრავალეროვან, არამედ მრავალკონფესიურ ქვეყნადაც ჩამოყალიბდა. საქართველოში ყოველთვის თანაარსებობდა ქრისტიანობის რამდენიმე მიმართულება. იყვნენ ქალკედონის, ე.ი. IV საეკლესიო კრების (451 წ.), მიმდევრები (დიოფიზიტები) და მათ გვერდით — ანტიქალკედონიტები, ასევე — ნესტორიანები და, სავარაუდოა, სხვებიც, მაგ., არიოზიანელები (კ. კეკელიძე), პავლიკიანები ანუ მანიქეველები (პ. ინგიროყვა), ბოგომილები (ი. ლოლაშვილი) და ა.შ., თუმცა მათ შესახებ ისტორიას მკაფიო და დოკუმენტური ცნობები არ შემოუნახავს.

ქრისტიანთა ეკლესია ერეტიკოსებს ანათემას უცხადებს, ანუ ადასტურებს, რომ ის (ერეტიკოსი, მწვალებელი) ეკლესიას აღარ ეკუთვნის. შუა საუკუნეებში, როდესაც ეკლესია და სახელმწიფო რეალურად გაერთიანებული იყო, ანათემიზებულ ხალხს სახელმწიფოც სჯიდა — ზოგჯერ სიკვდილითაც. ასეთი ფაქტები წარსულ ეპოქაში უხვად მოიპოვება, თუმცა მსგავს შემთხვევას საქართველოს ისტორია არ იცნობს.

VI-VII საუკუნეების ქართველი სასულიერო პირების წინაშე დასმულა კითხვა, როგორ მოქცეულიყვნენ იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის ერეტიკოსი, მაგალითად, ნესტორიანი, მართლმადიდებელ ეკლესიაში შემოსვლას მოინდომებდა, ჩაეთვალათ თუ არა მათ წიაღში ერეტიკოსის ხელით შესრულებული ნათლობა მადლმოსილად? ამ შეკითხვით მიმართა კირიონ ქართლის კათალიკოსმა რომის პაპს, წმ. გრიგოლ დიდს, დიალოღონს (+604 წ.). ჩვენამდე მოაღწია პასუხმა, რომლის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, ნათლისღების რიტუალის ჩატარება, ანუ ხელახალი მონათვლა, საჭირო არ არის.

XIII საუკუნის შუა წლებიდან, როდესაც რომისა და საქართველოს ეკლესიები ევქარისტიულად ერთმანეთს განშორდნენ, საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწეობას იწყებენ კათოლიკე მისიონერები. ამ მოღვაწეობის შედეგად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კათოლიკობა მეტ-ნაკლები წარმატებით იკაფავდა გზას. მისი მიმდევრები ზოგჯერ მეფე-მთავრები, ეპისკოპოსები და თვით კათალიკოს-პატრიარქებიც ხდებოდნენ. ანტონ კათალიკოსმა 1755 წელს მცხეთის საეკლესიო კრებაზე აღიარა, რომ მან ირწმუნა რომის კათოლიკე ეკლესიის ძირითადი დოგმატები და ამ რწმენით მან პატრიარქის თანამდებობაზე თვრამეტი თვის განმავლობაში იღვაწა.

საქართველოში კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიათა ურ-თიერთობას მეტწილად ტოლერანტობა და თანხმობა ახასიათებდა. ამის თაობაზე აკად. კ. კეკელიძე წერს: «საქართველოში არ იზიარებდნენ საბერძნეთის რიგორისტულ და კონსერვატიულ-რიტუალურ შეხედულებას რომაელთა ეკლესიის შესახებ. აქ, იმთავითვე, ბატონობდა მეორე მიმართულება, ლიბერალურ-სპირიტუალური, რომლის

მკვეთრად გამომხატველია გიორგი მთაწმინდელი... ბერძნული შეხედულება კათოლიკობის შესახებ ჩვენში მყარდება გაცილებით გვიან, ვიდრე რომისა და საბერძნეთის განყოფა მოხდა და ისიც თანდათანობით, თან ამ შეხედულებას ისეთი უკიდურესი ხასიათი და გონჯი სახე არ მიუღია, როგორც საბერძნეთში». ამასთანავე, ირკვევა, რომ ხსენებული წმინდანი არა მხოლოდ რომაელთა საეკლესიო წესებისა და რიტუალების მიმართ ამჟღავნებდა სიმპათიებს, არამედ ამ ეკლესიის დოგმატებსაც არ უპირისპირდებოდა — ათანასე ალექსანდრიელის სახელით ცნობილი რწმენის სიმბოლო მან წმ. სულის ძისაგანაც გამოსვლის ფორმულით (ფილიოკვეთი) თარგმნა (თ. კოჭლამაზაშვილი, ა. ღამბაშიძე). ქართული კულტურის ისტორიაში კათოლიკე მისიონერების სახელთან ბევრი სიახლეა დაკავშირებული: პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, ქართული ენის პირველი გრამატიკა, ქართული ზღაპრების პირველი კრებული და სხვ. აღსანიშნავია მათი თანამშრომლობა XVII-XVIII საუკუნეების ქართველ სასულიერო მწერლებთან, განსაკუთრებით ანტონ კათალიკოსთან, რომელსაც ისინი დაეხმარნენ დიდი საღვთისმეტყველო-პოლემიკური ნაშრომის — «მზა--მეტყველების» მომზადებაში, მაგრამ ეს წიგნი კათოლიკე ეკლესიასთან პოლემიკასაც შეიცავს. უფრო ანტიკათოლიკურია კათალიკოს-პატრიარქ ბესარიონ ორბელიშვილის თხზულება «გრდემლი», თუმცა ეს თხზულებაც კათოლიკე მღვდლის, ფრანცისკო ბოლონიელის დახმარებით მომზადდა. ქართველმა კათოლიკეებმა (სულხან-საბა ორბელიანმა და ბევრმა სხვამ) ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების, მეცნიერებისა და კულტურის ასპარეზზე ერთობ გამოიჩინეს თავი.

VII საუკუნის დამდეგიდან, როდესაც სომხეთის ეკლესიამ ქალკედონის კრების საწინააღმდეგო კურსი აიღო, ორი მეზობელი ქვეყნის — საქართველოსა და სომხეთის — ეკლესიებს შორის ევქარისტიული კავშირი გაწყდა, თუმცა თეოლოგიური და კულტურულ-შემოქმედებითი კონტაქტები შენარჩუნებულ იქნა. ეწყობოდა საჯარო დისპუტები (მაგალითად, სიტყვისგება ექვთიმე გრძელსა და სოსთენ სომეხთა მოძღვარს შორის 1046 წელს ღრტილაში, არტანუჯში), რომლის დროსაც დოგმატიკის სფეროში მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეცნობოდნენ და უმეგობრდებოდნენ. ასეთი ურთიერთობის ნაყოფია, მაგალითად, ქართულ ენაზე თეოლოგიური ტრაქტატების უძველესი სქელტანიანი წიგნი — «შატბერდის კრებული» (X ს.) და საღვთისმეტყველო-პედაგოგიური თანამშრომლობა, რომელიც თბილისელ სომხებსა და ქართველებს შორის XVIII საუკუნეში დამყარდა. 1755 წელს თბილისში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის რექტორად სომეხთა ეკლესიის მღვდელი ფილიპე ყაითმაზაშვილი დაინიშნა. ქართლ-კახეთში მცხოვრები სომეხთა იმდროინდელი ეპისკოპოსი ავეტიქი მაღალი ერუდიციითა და ეკუმენური სულისკვეთებით გამოირჩეოდა, რის გამოც მასთან თანამშრომლობდა კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I და მის ლექციებს ქართველი მართლმადიდებლებიც ისმენდნენ. ასეთი კონტაქტები XIX საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა.

მართლმადიდებელი, კათოლიკე და სომეხთა ეკლესიების დაახლოების ტენდენციები საქართველოში განსაკუთრებით იმ დროს გამოიკვეთა, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მშენებლობას შეუდგა (1917-1921 წწ.). საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა კათალიკოს-პატრიარქ კირიონის (საძაგლიშვილის) ეპისტოლეებს აღმოსავლეთის პატრიარქთა, რომის პაპისა და ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათალიკოსის მიმართ, რომლებშიც სიმპათიითაა აღნიშნული «ლათინური და სომხური წესის» ეკლესიების ადგილი და როლი საქართველოს

წარსულსა და თანამედროვეობაში. გახშირდა დიალოგი კათოლიკე და მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებს შორის. ქართველი მართლმადიდებელი იერარქები მიესალმნენ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრის განახლების იდეას და პაპის მოციქულებს, რომლებიც თბილისში 1919-1920 წლებში ჩამოვიდნენ. კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ (ოქროპირიძემ) წმ. საყდარს ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომა სთხოვა. ამჟამად (პერესტროიკიდან დღემდე) მართლმადიდებელ ეკლესიასთან სომეხთა და კათოლიკე ეკლესიების ურთიერთობა სა-ქართველოში პრობლემურ ფონზე მიმდინარეობს.

XIX-XX საუკუნეებში საქართველოში ევროპული და რუსული წარმოშობის პროტესტანტული მიმდინარეობების შემოსვლა იწყება. ლუთერანებმა, დუხობორებმა, მალაკნებმა, ძველმართლმადიდებლებმა, ბაპტისტებმა, ორმოცდა-ათიანელებმა, იეჰოვას მოწმეებმა და სხვებმა (იხ. ცალ-ცალკე), რომლებიც სხვადასხვა მიზეზითა და მოტივით აღმოჩნდნენ საქართველოში, უფრო აღმოსავლეთში, ქვეყნის ყოფაცხოვრებასა და კულტურაში მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ კოლორიტი შემოიტანეს. ამასთანავე საქართველოსა და მთელ კავკასიაში აქტიურ მოღვაწეობას შეუდგნენ «მართლმადიდებლობის აღმდგენელი საზოგადოება», «ბრიტანეთისა და უცხო ქვეყანათა ბიბლიური საზოგადოებები» და რამდენიმე ევანგელური მისია, რო-მელთა დახმარებით საქართველოს მთის რეგიონებში აშენდა (ანდა განახლდა) ეკლესიები, განხორციელდა ბიბლიისა და ბიბლიური ლიტერატურის გამოცემები, დაიწყო ზრუნვა ბიბლიის ახალ ქართულ ენაზე გადმოსათარგმნად, მოეწყო (ევანგე-ლური მისიების დახმარებით) საჯარო ლექციები თბილისსა და სხვა ქალაქებში. ად-გილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების დამოკიდებულება ევანგელური ეკლე-სიებისადმი და მისიებისადამი, ცალ-კეულ ექსცესებს თუ არ მივიღებთ მხედვე-ლობაში, ნორმალური იყო. ამის საუკეთესო მაგალითია ანგლიკანური ეკლესიის მღვდლის, სოლომონ მალანის სტუმრობა ქუთაისში ეპ. გაბრიელთან 1872 წელს და მასთან ხანგრძლივი თეოლოგიური საუბრები, ლიტურგიაზე დასწრება და ქადაგების წარმოთქმა.

1962 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანდა, 1978 წელს — ევროპის ეკლესიათა კონფერენციაში. 1978 წელს აღნიშნული საბჭოს თანაპრეზიდენტად აირჩიეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე (იხ. ეკუმენიზმი). ამის მიუხედავად 1997 წელს, რამდენიმე ქართული მონასტრის რადიკალური მოთხოვნის შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეკუმენური ორგანიზაციების რიგები დატოვა, რამაც ქრისტიანული სამყაროსგან ამ ეკლესიის ნაწილობრივი იზოლაცია განაპირობა.

ისლამი. VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში შემოდის ისლამი და, შესაბამისად, არაბული კულტურა. ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილი ამ დრო-იდან ისლამის მიმდევარი ხდება, რაც დამატებით სტიმულს იძლეოდა იმისათვის, რომ ქართულად ისლამურ აღმოსავლეთში შექმნილი კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები ეთარგმნათ და ქართული ენა ისლამთან დაკავშირებული ტერმი-ნოლოგიით გამდიდრებულიყო.

ისლამი (მისი ორივე ძირითადი ფრთა) (იხ. ისლამი) ზეგავლენას ახდენდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სივრცესა და ეთნიკურ ყოფა-ცხოვრებაზე. აჭარაში, სამცხე-

ჯავახეთსა (ახალციხის საფაშო) და აღმოსავლეთ საქართველოში ხელისუფლების სადავეები ხანგრძლივად მუსლიმთა ხელში იმყოფებოდა (ქართლის ტახტს XVI-XVIII სს-ში მეტწილად მუსლიმი მეფეები განაგებდნენ). ამის საფუძველზე ისლამით შთაგონებული ქართული დიპლომატიური და სამდივნო-საკანცელარიო ლიტერატურა აღმოცენდა, რაც ქართული წერილობითი ტრადიციის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც ისლამური ორიგინალური სამეცნიერო (ფარსადან გორგიჯანიძე) და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა. საქართველოს მუსლიმ მოქალაქეთა რიცხვი დღეს დაახ. ნახევარი მილიონია. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ქართულ სინამდვილეში ქრისტიანობისა და ისლამის ურთიერთგავლენა თვალსაჩინოა და ეს არამარტო სამოქალაქო ისტორიასა და კულტურულ წარსულს ეხება, არამედ თანამედროვე ეთნოგრაფიასაც, რაც განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს (უფრო ქიზიყისა და ქვემო ქართლის) მუსიკალურ ფოლკლორსა და ზეპირ--სიტყვიერებაში ჩანს.

ისლამის გახალხურების თვალსაჩინო მაგალითია ჩრდილო კავკასია, სადაც ქრისტიანობა და ისლამი დიდი ხნის განმავლობაში თანაარსებობდა. ამის გამო ამ მხარის მკვიდრთა საკულტო-ტრადიციულ ყოფაში უხვადაა წარმოდგენილი როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური ელემენტები. ქისტები, მაგალითად, დღეს მუსლიმები არიან (უმნიშვნელო რაოდენობის გარდა), მაგრამ ისინი სხვა ქრისტიანი მთიელების (მათ შორის ოსებისა და აფხაზების) მსგავსად სალოცავად ჯვარ-ხატებშიც (საკრალურ, «კვრივ» ადგილებში) დადიან და აღდგომასაც დღესასწაულობენ.

ისლამმა ქართული კულტურის გამდიდრებას და მისი მასშტაბის გაფართოებას შეუწყო ხელი.

ეზიდობა. ეზიდთა ურთიერთობა სამხრეთ კავკასიასთან გაცილებით ადრინდელია, ვიდრე ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობდა. ცნობილია, რომ კავკასიაში მრავალი ქურთული ტომი სახლობდა და გამორიცხული არ არის, მათში ეზიდებიც ყოფილიყვნენ. საქართველოში ეზიდების ძირითადი მასა 1918 წლიდან იწყებს შემოსვლას, როდესაც ოსმალეთის იმპერიაში ეზიდური რელიგიის მიმდევარ ქურთებს სდევნიან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991 წ.), მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ეზიდური მოსახლეობის ნახევარზე მეტმა რუსეთს, უკრაინასა და ევროპის ქვეყნებს მიაშურა. რაკი საზღვრების გადალახვა გამარტივდა, ეზიდებს თავიანთი წმინდა ადგილების, კერძოდ, ლალიშის (ერაყის ქურთისტანი) მონახულების საშუალება მიეცათ. ბოლო 15 წლის განმავლობაში სომხეთისა და საქართველოს ეზიდები სხვა ეკონომიკურად ძლიერი კონფესიების გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ და ბევრი, ფორმალურად თუ არაფორმალურად, სხვა რელიგიას მიაკუთვნებს თავს. ეს ვითარება ეკონომიკურმა პრობლემებმა და ეზიდური რელიგიის საფუძვლების ზედაპირულმა ცოდნამ განაპირობა (იხ. ეზიდიზმი).

რელიგიურ-თეოსოფიური სისტემები. რელიგიური მრავალფეროვნება და, ამ თვალსაზრისით, მდიდარი წარსული საქართველოს შესაბამისი დარგის მოღვაწეებისათვის მიმზიდველს ხდიდა. საქართველოში გაიზარდა (თბილისის გიმნაზია დაამთავრა) დიდი მეცნიერი და თეოლოგი პავლე ფლორენსკი. შემთხვევითი არ

არის, რომ თეოსოფიური საზოგადოების ფუძემდებელმა ელენე ბლავაცკაიამ (იხ. თეოსოფია) რუსეთის იმპერიის სამხრეთის რეგიონებს შორის საქართველო გამოარჩია. იგი 1863 წელს ქუთაისში ჩამოვიდა, იქ რამდენიმე თვე გაატარა და ლექციების კურსი წაიკითხა. ეს ქალაქი XIX საუკუნის შუა წლებში განთქმული იყო ბულვარით, სადაც საჯარო ინტელექტუალური საუბრები ეწყობოდა და რელიგიურ-საღვთისმეტყველო საკითხებზეც იმართებოდა დისპუტები. იქაური საზოგადოებაც რელიგიური მრავალფეროვნებითა და ეკუმენური სულისკვეთებით გამოირჩეოდა. ნიკო ნიკოლაძე, მაგალითად, იგონებს, რომ მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მართლმადიდებლები და კათოლიკეები და ერთად ლოცულობდნენ. ცხადია, ბლავაცკაიას მსმენელებიც სხვადასხვა კონფესიისა და წოდების წარმომადგენლები იყვნენ.

უფრო შთამბეჭდავია ფენომენალური მონაცემების მქონე პიროვნების, პოპულარული რელიგიური ფილოსოფოსისა და ოკულტისტის გიორგი გურჯიევის საქართველოსთან კავშირი. მის მოძღვრებას *ადამიანის ევოლუციის თეორიას* უწოდებენ. იგი, ზოგადად, ასე გადმოიცემა: ადამიანი არასრულქმნილი არსებაა და ასეთად დარჩება, თუკი განსაკუთრებული აქტივობა არ გამოავლინა. მას არა აქვს გაცნობიერებული თავისი თავი, ვერ უწევს კონტროლს საკუთარ ქცევებს, ინსტინქტების ტყვეა. ასეთი ადამიანის სული მოკვდავია. ამიტომ ადამიანმა პიროვნება უნდა მოიპოვოს. ეს კი ცნობიერების გაბატონებას და თვითკონტროლის მიღწევას გულისხმობს. გურჯიევის დევიზია: «გახსოვდეს შენი თავი!»

გიორგი გურჯიევი ეთნიკურად თურქულენოვანი ბერძენი იყო — ურუმი; დაიბადა სომხეთში, 1872 წელს. XX საუკუნის პირველ წლებში ეჩმიაძინელ მეგობართან და თანამოაზრესთან, სარქის პოღოსიანთან ერთად იგი თორმეტწლიან მოგზაურობას იწყებს; შემოივლის შუა აზიასა და ინდოეთს, ეზიარება აღმოსავლურ რელიგიათა ეზოთერულ სიღრმეს; 1919 წელს კი თბილისში აარსებს «ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტს», რომელსაც სპირიტუალური, კვლევითი და სასწავლო ფუნქცია ჰქონდა და, ძირითადად, გურჯიევის სისტემის «წმინდა ცეკვებსა» და «წმინდა გიმნასტიკას» ეფუძნებოდა. მთავრობამ ინსტიტუტს სამსართულიანი შენობა გამოუყო (ახლანდელი ი. ჯავახიშვილის 22), სადაც გ. გურჯიევი საჯარო ლექციებსაც კითხულობდა. ამ ლექციებს ესწრებოდა გრიგოლ რობაქიძე და, როგორც ზეპირი გადმოცემითაა ცნობილი, ისინი დამეგობრდნენ.

უახლეს ეპოქაში, ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი აღმოსავლური და დასავლური წარმოშობის რელიგიური და თეოსოფიური სისტემებით დაინტერესდა: ბუდიზმი, კრიშნას ცნობიერება, ბაჰაი, ანთროპოსოფია, საინტოლოგია. ინტერესი იოგის, რერიხის მოძღვრებისა და ოშოს (იხ. ლექსიკონი: რაჯნეშიტები) მიმართაც გამომჟღავნდა; ითარგმნა ფხაგვან შრი რაჯნიშის (ოშოს) რამდენიმე წიგნი («მდოგვის მარცვალი», «სექსიდან ზეცნობიერებამდე», «კომენტარები»), თუმცა ამ მიმდინარეობას საქართველოში ცენტრი არ გააჩნია.

ქართული მესიანიზმი
(თეორიები და აპოლოგეტები)

«მესიანიზმი» მომდინარეობს «მესია»-დან, რომელიც ებრაული სიტყვაა და ცხებულს ნიშნავს. ამ სახელწოდების ქვეშ მოიაზრება ის მისტიკურ-რელიგიური თეორიები და რწმენა-წარმოდგენები, რომელთა თანახმად ესა თუ ის ერი, ენა, მიწა-წყალი და ა.შ. ღვთის მიერ სხვა ერებზე, ენებსა და ქვეყნებზე აღმატებული მადლითაა ცხებული და გამორჩეულად მაღალი მისია აქვს მიმადლებული.

ქართული მესიანიზმის შემთხვევაში ესაა ესქატოლოგიური მისია, რაც მსოფლიოს ხსნისა და გადარჩენის საქმეში ამ ერის ფენომენის განსაკუთრებულ როლს გულისხმობს. ლაპარაკია ისეთ ვითარებაზე, როდესაც ან ქართველი ერი, ან ქართული ენა, ან ქართული მიწა, ანდა ნებისმიერი, რასაც ქართული ჰქვია, საღვთო თვისებების მატარებლადაა აღიარებული და არსებობს რწმენა, რომ ეს თვისებები ბუნებითია, ე.ი. შესაქმისეული, დასაბამიერი. ერთი სიტყვით, ქართული მესიანისტური ცნობიერება ქართველ ერსა და საქართველოს რელიგიის ასპექტით განსაკუთრებულ მოვლენად წარმოსახავს და ეს წარმოსახვა პოეტური აღმაფრენის საზღვრებს სცილდება — ის რწმენაა.

ძველ ქართულ სასულიერო ტექსტებში არაერთგზის დადასტურებული წინადადება — ქრისტეს მორწმუნე ქართველი ერი არის «საზეპურო ერი» — ეკლესიოლოგიის ენაზე ნიშნავს შემდეგს: მორწმუნე ქართველების ეკლესია, ისე როგორც ნებისმიერი მორწმუნე ხალხის (ერის) ეკლესია (კრებული), არის «საზეპურო ერი», ე.ი. რჩეული ერის, ახალი ისრაელის — კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის — ნაწილი. ქართულ მესიანიზმთან იმ შემთხვევაში გვექნება საქმე, თუკი «ქართველ ერში» მოვიაზრებთ არა მხოლოდ ქრისტიან ქართველთა კრებულს — საქართველოს ეკლესიას, რომელიც მსოფლიო ეკლესიის ანუ ჭეშმარიტად «საზეპურო ერის» განუყოფელი ნაწილია, არამედ — ქართველ ერს როგორც ასეთს — გენის და სისხლის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ერს.

ქართული მესიანიზმი XX საუკუნის ბოლო ათწლეულების მოვლენაა, თუმცა მას აქვს თვითშეგნება იმისა, რომ იგი ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას ეფუძნება. ქართველ მესიანისტებს სწამთ, რომ რწმენა ქართველების გამორჩეულობის შესახებ მათ წინაპრებს, განსაკუთრებით IV-X საუკუნეების სასულიერო პირებს, უფრო ღრმად ჰქონდათ გამჯდარი და გაცნობიერებული.

თანამედროვე ქართული მესიანისტური მიმართულებები არსობრივად ერთმანეთის იდენტურია; ერთმანეთისაგან მათ სტილი, პათოსი და ორგანიზაციის ფორმები განასხვავებთ.

ქართული ენისა და ქართველი ერის რჩეულობა. ისინი, ვინც რელიგიური ასპექტით საქართველოს გამორჩეულობას უსვამენ ხაზს, ძირითადად, X საუკუნის არქეოგრაფსა და მწერალს, იოანე-ზოსიმეს იმოწმებენ, რომელსაც დაუწერია (უფრო სავარაუდოა, რომ ძველი ხელნაწერიდან გადაუწერია) ლექსი «ქებაი და დიდებაი ქართულისა

ენისაი». ესაა შესხმითი ჟანრის ტექსტი, რომელშიც ნათქვამია შემდეგი: ქართულ ენაში შენახულია საიდუმლო. ეს ენა დღეს მძინარეა, მდაბალი და დაწუნებულია, მაგრამ სინამდვილეში იგი ლაზარეა, ე.ი. ქრისტეს მეგობარი (შდრ. იოანე 11:1-45). მაშასადამე, მას ლაზარეს მსგავსი მომავალი აქვს — მეორედ მოსვლის ჟამს იესო ქრისტე ქართულ ენას აღადგენს და ყველა ენას ამ ენით გაასამართლებს.

ამ მსჯელობას ჩვენს ეპოქაში დაუკავშირდა აზრი ქართული ენისა და გენის ღვთიური წარმომავლობის შესახებ. XX საუკუნის 70-80-იან წლებში გამოქვეყნდა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები, რომლებშიც უწყება ქართული ენის ესქატოლოგიური მისიის შესახებ, იოანე-ზოსიმეს ტექსტში მოცემული, უკომენტაროდაა გადმოტანილი, ზოგ შემთხვევაში, გაზიარებული და გაღრმავებულია. დაიწყო ქართული ფენომენის მითოლოგიზაციის პროცესი. ამ მიმართულებით სიტყვა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მაც თქვა. მისი ლოცვა-კურთხევით 1986 წელს დაწესდა დღესასწაული «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი» (მიბმულია ლაზარეს შაბათს), რამაც ქართული მესიანიზმის გაღრმავებას ახალი სტიმული მისცა.

ქართველი ერის რჩეულობის რწმენას საზოგადოების დიდი ნაწილის თვალში დამაჯერებლობა შემატა ზვიად გამსახურდიას წიგნმა «საქართველოს სულიერი მისსია» (თბ., 1990 წ.). მასში ნათქვამია: «ღვთისმშობელი... ყველაზე მეტად მახლობელი იყო ამ (ქართველთა. — ნ. პ.) მოდგმასთან და აქ არის სწორედ მისტიკური წინასწარგანსაზღვრულობა... საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს იმის გამო, რომ ტრადიციულად ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო ღვთისმშობლის მისიასთან, რომელიც არის იგივე სულიწმინდის მისსია»... ქვეყნის დასასრულის ჟამს ქართველთა მოდგმა «იქნება მთავარი მატარებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა და ის ამხელს დანარჩენ ცოდვილ კაცობრიობას». ამ განწყობილებამ XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე ქართველ საერო და სასულიერო წრეებში ღრმად გაიდგა ფესვი და მას მიმდევრები ენათმეცნიერთა შირისაც გამოუჩნდნენ.

ქართული ენისა და ერის გამორჩეულობის რწმენა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ნაციონალურ-ფილეტურ ტენდენციებს აღრმავებს.

«იბერიონთა საძმო». 1989 წლის ნოემბერში გაზეთ «ახალგაზრდა კომუნისტის» რედაქციამ ასეთი წერილი მიიღო: «უნდა გაუწყოთ ერისა და ქვეყნისათვის უაღრესად საგულისხმო ამბავი, რომელიც ლაზარეს თქმულებას ეხმიანება... ერთ სოფელთან ახლოს ასახვევია. იმ მხარესაა ერთი პატარა საკურორტო სოფელი. იქ არის მცირე ეკლესია, კიდია ზარი. მოსულმა კეთილმა სტუმარმა სამჯერ უნდა ჩამოჰკრას ზარს, შემდეგ კი გაბმულად დარეკოს. ამ ნიშნით მალე მასთან მოვლენ და წაიყვანენ იმ ადგილისაკენ, სადაც მიმდინარეობს კვლევა-ძიება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. ეძებენ ჩვენი მამულის, ენისა და სარწმუნოების საიდუმლოს — ეძებენ წიგნს, რომელიც, გადმოცემით, ლაზარეს სახელთან არის დაკავშირებული და დღემდე საიდუმლოდაა დაფარული».

გაირკვა შემდეგი: 1) იმ დროისათვის, 1989 წლის 1 ნოემბრამდე, ჩამოყალიბებული ყოფილა «მართლმადიდებელ ქრისტიან ახალგაზრდების» ჯგუფი სახელწოდებით

«იბერიონთა საძმო», რომელსაც ბინა დაუდევს ხარაგაულის რაიონში, სოფ. ნუნისის მახლობლად, ძველი ეკლესიის ნანგრევებში — «ბერთა საყუდელში», 2) «ბერთა საყუდელი» არის გამოქვაბული და მას «ბერთა კლდესაც» ეძახიან, 3) იქ, ჯგუფის წევრთა მტკიცებით, «ღვთის წყალობითა და ნებით აღმოჩენილია საიდუმლო საფარველი», 4) ჯგუფის ხელმძღვანელია გიორგი მაზიაშვილი, რომელსაც სჯერა, რომ ის ბერია და მისი სახელია გიორგი იონთა იბერიონი, 5) იგი გვარწმუნებს, რომ მას შიო მღვიმელი გამოეცხადა და აჩვენა ადგილი, რომელიც საქართველოს შუაგულია. წმ. მამამ მას გაანდო საიდუმლო, რომ ამ ადგილას, მიწის სიღრმეში, არის «ქალაქი», რომელშიც დევს წიგნი, რომელიც სახარებაში მოხსენიებულია «ლაზარედ». «ეს წიგნი დღე-დღეზედ ელოდება მზის შუქს. იგი ერს აუმაღლებს რწმენას და სიყვარულს უფლისას».

შედგა ექსპედიცია და საკვლევაძიებო სამუშაოები დაიწყო. 1990 წლის 8 დეკემბერს გაზეთ «ახალგაზრდა ივერიელში» გამოქვეყნდა სტატია სათაურით «მსოფლიო დასაბამისეული აღმოჩენა — ნოეს საკურთხეველი საქართველოშია». «იბერიონთა საძმოს» წევრმა გივი ალაზნისპირელმა განაცხადა, რომ ნუნისის გამოქვაბული სინამდვილეში ნოეს კიდობანია! მისი თვალთახედვით ნუნისში დედამიწის მაგნიტური ველი გადის და ეს ადგილი მსოფლიოს ცენტრია. ზუსტად აქ, ამ გამოქვაბულში, ეცემა «კოსმიური სვეტი», რომელიც ხალხს, წარღვნის გამო იქ შეკრებილებს, ჟანგბადით ამარაგებდა. ამდენად, ქართველები «ზენაარი ძალის (წმინდა სვეტის) მასპინძლები ვართ».

«იბერიონთა საძმო» ასეთ კითხვებს სვამს: «... რატომ ჩამოიტანეს ქრისტეს კვართი საქართველოში? რატომ ჰქვია ჩვენს მიწას მარიამისეული? ან რატომ გაგვიჯდა მითი, თითქოს მიწების დანაწილებისას, უწინ, ღმერთს დაეთმოს თავისი წილი ქართველებისათვის?!. რა უნდა ეძებნათ არგონავტებს კოლხეთის მიწაზე? რა საფუძველზე შეიქმნა მიჯაჭვული ამირანის ფენომენი?... დადგა დრო გაიგოს მსოფლიომ, რომ მათი გადამრჩენელი ყოფილა საქართველოს მიწა თავისი კოსმიური დაცემის ცენტრით (სვეტიცხოველით), რომლის დაპროექცირება ხდება ხარაგაულის რაიონში, სოფელ ნუნისის მახლობლად... ლაზებს გადაურჩენიათ თურმე ადამიანი მსოფლიო წარღვნისაგან, ლაზებს! და ეს მომხდარა ჩვენს მიწაზე. აი, რა შეიძლება ეწეროს წიგნში «ლაზარეს აღდგინება».

გამოქვაბულ-კიდობანის გახსნისა და იქიდან «ლაზარედ» წოდებული წიგნის ამოღების დღე რამდენჯერმე დაინიშნა. ნუნისს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან უამრავი ადამიანი რამდენჯერმე მიაწყდა, მაგრამ იონთა იბერიონმა გადამწყვეტ წუთებში გამოქვაბულის გახსნასა და იქიდან წიგნის გამოტანაზე უარი თქვა. ამ ფაქტმა ბევრს ნოეს კიდობნისა და «ლაზარეს» ნუნისში არსებობის რწმენა დააკარგვინა. ამის მიუხედავად, საძმო მოღვაწეობას აგრძელებდა.

მწერალ-ეზოთერიკოსმა გივი ალაზნისპირელმა 1994 წელს ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოაქვეყნა წიგნი «მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენა (დიდი სენსაცია)», რომელშიც ვრცლად გადმოსცა აღნიშნული საძმოს მესიანისტური თეორია. ამასთანავე, განავითარა აზრი, რომ საქართველოს ყველა უბედურების, მათ შორის ეკონომიკურის, მიზეზი ებრაელები არიან. ამიტომ იგი 1995 წელს ანტისემიტიზმის ქადაგების ბრალდებით გაასამართლეს და პატიმრობა მიუსაჯეს. გათავისუფლების

შემდეგ (1997 წლის მარტი) მასსა და საძმოს მოძღვარს იონთა იბერიონს შორის უთანხმოება მოხდა. უკანასკნელმა არ გაიზიარა გ. ალაზნისპირელის მტკიცება, რომ «უახლოეს დროში საქართველოს ტერიტორიას ჩაარტყამს მოკაშკაშე ბირთვი». ამ წინასწარმეტყველებას მან «აბსოლუტური აბსურდი» უწოდა, რის გამოც გ. ალაზნის-პირელმა «იბერიონთა საძმო» დატოვა («ასავალ-დასავალი», 1997, 5-11. VIII, №32; 8-24. XI. №47).

ამ ორგანიზაციის მიმართ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიამ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გამოავლინა. საპატრიარქოს პრესცენტრმა იგი სექტად მოიხსენია — არ გაიზიარა თეორია, რომლის თანახმად ნოეს კიდობანი საქართველოშია და ის ნუნისის გამოქვაბულს წარმოადგენს, რის გამოც საზოგადოების დიდი ნაწილი ამ თეორიის მიმართ სკეპტიკურად განეწყო.

«მძლეველი». ესაა პოლიტიკურ-რელიგიური პარტია თვითსახელწოდებით: «საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვთაებრივი მოძრაობა — მძლეველი საქართველო», ანუ, სხვანაირად, «ახალი სიტყვა». მას საკუთარი გაზეთებიც ჰქონდა — «მეტი სინათლე» და «ახალი იერუსალიმი».

რელიგიური ასპექტით ამ ორგანიზაციის სპეციფიკური ნიშანი არის იმის რწმენა, რომ ქრისტე მეორედ უკვე მოვიდა. ამაზე აღნიშნული გაზეთის დევიზი და რუბრიკები მეტყველებს: «მეორედ მოსვლა მოხდა, მეორედ მოსვლა დაიწყო, მეორედ მოსვლის პროცესი მიმდინარეობს!» «მეორედ მოსვლა მოხდა საქართველოში, რამეთუ დასაბამიდან საქართველოს ერგო წილი ღვთისმშობლისა»; «მეორედ მოსვლა მოხდა სიტყვის სახით».

«მძლეველის» დამაარსებელი და ლიდერი არის მწერალი აკაკი ჯორჯაძე. მან 1995 წლის 9 იანვარს ასეთი განცხადება გააკეთა: «სამყაროდან, კოსმოსიდან, მაღალი ღმერთისგან საქართველოში ქართულ ენაზე მოგვეწოდა ღვთაებრივი ახალი სიტყვა, რომელიც ერთიანად ეკუთვნის დედამიწაზე მცხოვრებ ყოველ ადამიანს... და ამით დაიწყო კიდეც მეორედ მოსვლა... მაღალი ღმერთის მეორედ მოვლენილი ძის — ქრისტეს მოსვლის მიზანია იხსნას ჩვენი ფიზიკური სხეული გარდაუვალი დაღუპვისაგან, რაც ძველი, ანუ არსებული სიტყვის წყალობით, მაღალი ღმერთის სულიერ სამყაროში უკვე გადაწყვეტილია. სიცოცხლის დამღუპველი ერები, პიროვნებები უკვე შერჩეულია, დრო განსაზღვრულია... ახალ სიტყვასთან ერთად მე, მთლიანობაში ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად, ვცხოვრობ იესო ქრისტეს — ნაზარეველის ცხოვრების მსგავსად!».

ამდენად, «მძლეველის» რწმენით, ღვთის სიტყვის ახალი შობა ანუ საჯაროდ გაცხადება 1995 წლის 9 იანვარს, დღის 2 სთ-ზე საქართველოში მოხდა.

აკაკი ჯორჯაძემ დააზუსტა, რომ მასში ქრისტეა, ქართველი ერი სასძლო ერია, ხოლო თვითონ — ღვთის სასძლო. ამის გამო მან სახელად «კაცი იგი სასძლოჲ», მოკლედ — «სასძლო კაცი», დაირქვა და პოლიტიკურ ასპარეზზეც ამ სახელით გამოვიდა. მისმა პარტიამ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა. შეიქმნა პოლიტიკური ბლოკი «მძლეველი საქართველო — ღვთის ტაძარი» (ბლოკის ლიდერი — ლაშა-გიორგი ლომიძე). მისმა აქტივისტებმა 2000 წლის

ივნისიდან «სიცოცხლის წიგნი» შემოიღეს და მასში იმ ადამიანების სახელისა და გვარის შეტანა დაიწყეს, რომლებიც პრეზიდენტ შევარდნაძის შეცვლის სურვილს ადასტურებდნენ. კამპანია 2001 წლის იანვრამდე გაგრძელდა. ამ მოთხოვნას, ა. ჯორჯაძის განცხადების თანახმად, 2002 წ. 5 ივნისამდე მილიონ 670 ათასმა ადამიანმა დაუჭირა მხარი. ამის მიუხედავად, იმ წელს შევარდნაძის გადაყენება არ მოხერხდა (იგი 2003 წლის ნოემბერში «ვარდების რევოლუციის» შედეგად გადადგა).

იმის გარდა, რაც ა. ჯორჯაძემ 1995 წლის 9 იანვრის საპრეზიდენტო განცხადებაში ჩამოაყალიბა (მეორედ მოსვლა საქართველოში უკვე მოხდაო), «მძლეველის» მიმდევრებს სწამთ ქართველი ერის, ქართული ენის, ქართული ანბანისა და, ზოგადად, ქართული გენის საღვთო წარმომავლობა. ამდენად, ისინი ითავისებენ წინასწარმეტყველებას «ივერიის გაბრწყინების» შესახებ. ა. ჯორჯაძე, რომელიც საკუთარ თავს ღვთის სიტყვის ჭურჭელს უწოდებს, კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორესაც დაუპირისპირდა და მორწმუნეებს მოუწოდა, აიძულონ ეკლესიის საჭეთმპყრობელი, რათა თანამდებობა ნებაყოფლობით დათმოს. თავის მხრივ «მძლეველი» მართლმადიდებელმა ეკლესიამაც დაგმო და მის იდეოლოგიასა და საქმიანობას სექტანტობა უწოდა.

პოსტრევოლუციურ საქართველოში «მძლეველის» მესიანური ქადაგება და პოლიტიკური აქტივიზაცია შენელდა, თუმცა ა. ჯორჯაძე მოღვაწეობას განაგრძობს. 2008 წლის ივლისში მან და მისმა გაერთიანებამ («ახალი სიტყვა») საზოგადოებაში ასეთი მოწოდება გაავრცელეს: «...ჩვენი დაღუპვა არის გადაწყვეტილი. გადარჩენა შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სულით მოსული სიტყვის მიხედვით ქვეყანაში შევცვლით პოლიტიკურ სისტემას!».

რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება

რელიგიურ მრავალფეროვნებას საქართველოში მისი ადგილმდებარეობა აპირობებდა და დღესაც აპირობებს. ხშირად დაისმის კითხვა: რა ვითარება იყო აქ ზოგადად სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების თვალსაზრისით? ცხადია, ისეთი, როგორც ყველგან — არსებობდა თავისუფლება მეტ-ნაკლები შეზღუდვებით. ქრისტიანები არაქრისტიანების ანუ სხვადმადიდებლების (ჰეტეროდოქსების) მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების მეთოდს რომ არ იწონებდნენ, სადავო არაა. ქრისტიანული მისიოლოგია, სახარების პრინციპის შესაბამისად (მათე 26:52), ძალადობას გამორიცხავს. ამ მცნებით ხელმძღვანელობდა წმ. ნინო, როდესაც მან დაგმო მეფე მირიანისა და მისი ერისთავის ძალისმიერი პოლიტიკა მთიელების გაქრისტიანების პროცესში (დაახლოებით ამავე დროს მილანის ეპისკოპოსმა ამბროსიმ ეკლესიაში არ შეუშვა მართლმორწმუნე მეფე თეოდოსი იმის გამო, რომ მან ერეტიკოსების მიმართ ძალა გამოიყენა), თუმცა საეკლესიო და სამოქალაქო ისტორია (როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის) სარწმუნოების საქმეში ძალის ენაზე ლაპარაკის ბევრ ფაქტს იცნობს: იოანე ოქროპირი მართლმადიდებელმა მეფემ და ეპისკოპოსებმა დასაჯეს; ბოგომილების მეთაური ვასილი 1111 წლის ახლო ხანს კონსტანტინოპოლში დაწვეს; კოცონში შეაგდეს, ანდა ჩამოახრჩვეს არაერთი სტაროვერი (იხ. ძველმართლმადიდებლები). გაკათოლიკების ბრალდებით კათალიკოს-

პატრიარქი ანტონ I დილეგში ჩააგდეს. ევროპის ისტორიაში ცნობილია ინკვიზიციის, რელიგიური ომებისა და დევნის არაერთი ტრაგიკული ფურცელი, მაგრამ ეკლესიის საერთო პოზიცია ნებისმიერი სახის (ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური) ძალადობის უარყოფაა. ამ კონტექსტში არსებობს იურიდიული ტერმინი «არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი», რაც სხვადასხვა სახის ცდუნებისა თუ შეფარული მუქარის გზით მოქალაქეებისათვის სარწმუნოების თავსმოხვევას ნიშნავს.

რელიგიის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება არის ადამიანის უფლებათა შემადგენელი ფუნდამენტური ნაწილი, რომელმაც კონცეპტუალურად დასრულებული სახე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში მიიღო (1948 წ.). ეს თავისუფლება გამყარებულია 1966 წლის საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით და სხვ. რელიგიის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას იცავს საქართველოს კონსტიტუცია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რელიგიის თავისუფლების იდეა მანამდე არ არსებობდა. იგი ყველა მსოფლიო რელიგიაში გვხვდება, რის გამოც მას ყველა სახელმწიფო ასე თუ ისე ანგარიშს უწევს და რაღაც ფორმით მაინც აღიარებს. შესაბამისად, ზოგიერთ საზოგადოებაში იგი მეტადაა რეალიზებული, ზოგში — ნაკლებად, რაც დამოკიდებულია არა იმდენად მოცემული რელიგიის შინაარსსა და დოგმატიკაზე, რამდენადაც საზოგადოების ჰუმანიზაციასა და მის წევრთა რელიგიურობის გამოვლენის კულტურაზე. ეს კულტურა საქართველოში, მისი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა საფეხურზე იდგა. სარწმუნოების ძალადობით გავრცელება არც ერთი რელიგიის არსებას არ წარმოადგენს. ყურანში პირდაპირაა ნათქვამი: «არანაირი იძულება სარწმუნოებაში!» (2:270). ამის მიუხედავად, «არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი» არც ერთი ქვეყნისა და რელიგიის ისტორიისათვის არაა უცხო. იგი, როგორც წესი, ინდივიდუალურსა თუ კოლექტიურ მოხიბლვასა და მოქრთამვებში გამოიხატება. სპარსელებსა და ქართველებს V ს-ში ასეთი შეთანხმებისათვის მიუღწევიათ: თუ ვინმე ქართველთაგანი თავისი ნებით აირჩევდა მაზდეანობას, ქართველებს (ქრისტიანებს) მისთვის ხელი არ უნდა შეეშალათ, მაგრამ მაზდეანის გაქრისტიანება დაუშვებელი იყო (თუმცა სპარსელები ამ პრინციპს ზოგჯერ არბილებდნენ).

დღეისათვის (2008) საქართველოში მოქმედებს რელიგიათა სამი საბჭო: ე.წ ტრადიციულ კონფესიათა საბჭო (კათოლიკე ეკლესია, სომეხთა სამოციქულო ეკლესია, ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, იუდაური და ისლამური საკრებულოები), საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო (მასში შედის საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება, მართლმადიდებელი ეკლესიებისა და იეჰოვას მოწმეების გამოკლებით), სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მხარდამჭერი რელიგიათა საკოორდინაციო საბჭო (მოქმედებს საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით. მისი წევრებიც, ე.წ. ტრადიციული კონფესიებია). რელიგიათა საბჭოების ამოსავალ მიზანს საქართველოში რელიგიის თავისუფლების დაცვა და ტოლერანტობის კულტურის გაღრმავება წარმოადგენს.

რელიგია და სახელმწიფო

საზოგადოებრივი და მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო საკითხია რელიგიისა და სახელმწიფოს, ეკლესიისა და საერო საზოგადოების ურთიერთობა საქართველოს ისტორიაში და მის თანამედროვე ცხოვრებაში. ცნობილია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ოთხი სახე: 1. სახელმწიფოს ბატონობა ეკლესიაზე ანუ ცეზაროპაპიზმი, 2. ეკლესიის ბატონობა სახელმწიფოზე ანუ პაპოცეზარიზმი (თეოკრატია), 3. სიმფონია (თანასწორთა ჰარმონიული თანამშრომლობა და ურთიერთდაცვა), 4. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნა. პირველმა ყველაზე მკაფიოდ ბიზანტიაში იჩინა თავი (იმპერატორ კონსტანცის სიტყვები: «რაც მე მსურს, ეკლესიის კანონი ის არის!») და მართლმადიდებელი ქვეყნების დამახასიათებელ მოვლენად ითვლება (კლასიკური ნიმუშია ბიზანტია და რუსეთის იმპერია), მეორემ — დასავლეთ ევროპაში რომის იმპერიის დაშლის (395 წ.) შემდეგ, როდესაც პაპმა იმპერატორის ფუნქციები იტვირთა. ამის გამო იგი კათოლიკურ მოვლენად მიიჩნევა. მესამე წარმოადგენს თეორიას, რომელიც იმპ. იუსტინიანემ (+565 წ.) ჩამოაყალიბა და ეკლესიისა და სახელმწიფოს თანაარსებობას გულისხმობს ურთერთჩარევისა და ურთიერთდაპირისპირების გარეშე (ქრისტეს ორბუნებოვნების დოგმატის შესაბამისად). ესაა იდეალი ყოველი ქრისტიანისათვის, მაგრამ მისი სრულყოფილად რეალიზაცია არასდროს მომხდარა. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მეოთხე ფორმა თანამედროვე დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა იგი არ გამორიცხავს სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობას.

შუა საუკუნეების საქართველო მეტწილად (IX-X სს-იდან მაინც) ბიზანტიური ტრადიციის სახელმწიფოა, რის გამოც მას უფრო ცეზაროპაპიზმი ახასიათებდა. ამის ნიმუშებია: ა) ჯავახეთის საეკლესიო კრება გრიგოლ ხანძთელის დროს (IX ს.), როდესაც ერისმთავრებმა, საეკლესიო კანონების უგულებელყოფით, კათალიკოსად თავიანთი კანდიდატი გაიყვანეს, ბ) რუის-ურბნისის საეკლესიო კრება (1105 წ.) და, ზოგადად, დავით აღმაშენებლის კურსი (სახელმწიფოს კონტროლი ეკლესიაზე), რომლის შესახებ მემატიანე ამბობს: «მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიო განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან», გ) მეფეებისა და ფეოდალების განკარგულებით ეპისკოპოსებად დანიშვნისა და გადაყენების, ეკლესია-მონასტრებისათვის მამულების შეწირვისა და გამოწირვის, საეკლესიო კრებების მოწვევისა და დახურვის ფაქტები. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკლესიის როგორც სასულიერო, ისე საერო უწყება ყოველთვის იუსტინიანესეული სიმფონიის პრინციპს აიდეალებდა, რაც ვახტანგ VI-მ (სჯულმდებელმა) ასე ჩამოაყალიბა: «მეფე ხორცის ხელმწიფეა, კათალიკოსი — სულისა».

რუსეთის იმპერია თავის თავს ბიზანტიის მემკვიდრედ განიხილავდა, რაც ცეზაროპაპიზმის ათვისებაშიც გამოიხატა. იქ 1722 წლიდან უწმიდეს სინოდს, როგორც ერთ-ერთ სახელმწიფო კოლეგიას, ობერპროკურორი მართავდა. ამიტომ, როდესაც საქართველოში ცარისტული რუსეთის მმართველობა დამყარდა, ამ ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოს სრულ დაქვემდებარებაში აღმოჩნდა.

საბჭოთა კანონმდებლობით მართლმადიდებელი ეკლესია (და ნებისმიერი რელიგიური ორგანიზაცია) კერძო პირად იქნა გამოცხადებული და სახელმწიფოსაგან გამოყოფილი, რაც იურიდიულად კანონზომიერ და დადებით მოვლენად ჩაითვლებოდა, ეკლესია ათეისტური რეჟიმის მსხვერპლი რომ არ გამხდარიყო.

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს განახლების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობაში სრული გარდატეხა მოხდა. 2002 წელს სახელმწიფომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსტიტუციური, უმაღლესი რანგის შეთანხმება დადო, რითაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სხვა აღმსარებლობებთან შედარებით, გარკვეული პრივილეგიები მიენიჭა. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციით, სახელმწიფო და ეკლესია გამიჯნულია. საქართველოს კანონმდებლობა დანარჩენ რელიგიურ გაერთიანებებს კერძო სამართლის იურიდიულ პირებად აღიარებს, რაც მათ ერთ ნაწილს არ აკმაყოფილებს — ისინიც სახელმწიფოსაგან რელიგიურ გაერთიანებებად ცნობას მოითხოვენ.

რელიგიები აფხაზეთში

აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებიდან ბერძნული ქალაქ-კოლონიები არსებობდა. თანამედროვე არქეოლოგიურმა მასალამაც დაადასტურა, რომ იქ ელინური კერპები და ტაძრები იდგა. აბორიგენი მოსახლეობა ქვათა, ხეთა და მნათობთა კულტს, ე.ი. ბუნებით რელიგიას, მისდევდა. საფიქრებელია, რომ იმ დროს გზადაგზა ელინიზების პროცესიც მიმდინარეობდა.

ძველი საეკლესიო გადმოცემის თანახმად, აფხაზეთში, ისე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ქრისტიანობა მოციქულთა ხანიდან გავრცელდა. პირველი მქადაგებლები ათორმეტ მოციქულთაგანნი — ანდრია პირველწოდებული და სვიმეონ კანანელი — იყვნენ. სვიმეონ კანანელი ანაკოფიაში (ახალ ათონში) მოწამებრივად აღესრულა და იქვე დაიკრძალა. მის საფლავზე IX საუკუნეში გუმბათოვანი ტაძარი აშენდა.

I-III საუკუნეებში აფხაზეთის ქრისტიანთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ მათ საკუთარი ეპარქია შექმნეს. ეპისკოპოსი ქ. ბიჭვინთაში (პიტიუნტში) იჯდა. I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ნიკეაში 325 წელს ამ ეპარქიის მმართველიც მონაწილეობდა (ეპ. სტრატოფილე), ხოლო IV კრებაზე ქალკედონში 451 წელს — ნიკოფსიის ეპისკოპოსი. ეს ეპარქიები, ძირითადად, ბერძნულენოვან მორწმუნეებს აერთიანებდა, მაგრამ მათ თანდათან ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობაც უერთდებოდა. ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების თანახმად, აფხაზეთის საყოველთაო გაქრისტიანება ბიზანტიის წმ. იმპერატორ იუსტინიანე დიდის დროს მოხდა, ე.ი. 527-565 წლებში. კონკრეტული თარიღი ცნობილი არაა, მაგრამ შემონახულია ცნობა, რომლის მიხედვით იუსტინიანემ, აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის ქრისტეს რჯულზე მოქცევის ნიშნად, ბიჭვინთაში დიდი საკათედრო ტაძარი ააგო. ასე დაარსდა აბაზგიის საარქიეპისკოპოსო.

აბაზგიის საარქიეპისკოპოსო, ისევე როგორც ლაზიკის ანუ ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტო, თავიდან კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა, მაგრამ VIII-IX საუკუნეებში მან დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) მოიპოვა. ბიჭვინთის საარქიეპისკოპოსო დასავლეთ საქართველოს დედა ეკლესიად იქცა და მისმა ეპისკოპოსმა კათალიკოსის ტიტული მიიღო. ამრიგად, შეიქმნა აფხაზეთის საკათალიკოსო, რომლის სულიერი მეურვეობის ქვეშ დასავლეთ საქართველოს, იმავე ძველი კოლხეთის ანუ ეგრისის, ე.ი. ლაზიკის სამიტროპოლიტო, გაერთიანდა. ამ დროს სამღვდელმსახურო პრაქტიკიდან თანდათან განიდევნა ბერძნული ენა და მისი ადგილი ქართულმა დაიკავა. საკათალიკოსო საყდრად (კათედრად) ბიჭვინთის ანდრია პირველწოდებულის ტაძარი გამოცხადდა. აფხაზეთის კათალიკოსს ბიჭვინთის კათალიკოსსაც უწოდებდნენ. კათალიკოსის ტიტული, ე.ი. დამოუკიდებელი ეკლესიის ნიშანი, მან საქართველოს გაერთიანების შემდეგაც შეინარჩუნა. მისი იურისდიქცია კავკასიის ჩრდილო-დასავლეთის სამრევლოებზეც ვრცელდებოდა და იქაურ ხალხებში ლიტურგიის ენის ფუნქციას ქართული ასრულებდა. ენის ფაქტორი კი კავკასიის ტომთა გაერთიანებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში მაშინ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. ამის თაობაზე X საუკუნის აგიოგრაფი, გიორგი მერჩულე, ამბობს: «ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის...»

1054 წლის დიდი საეკლესიო განხეთქილების შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო, აღმოსავლეთის სხვა ეკლესიებთან ერთად, მართლმადიდებლური აღმსარებლობის წიაღში დარჩა ბერძნული ტიპიკონით.

XIII საუკუნეში აფხაზეთში გენუელი ჯვაროსნები მოვიდნენ, რომლებმაც ანაკოფიაში, მდ. ფსირცხის შესართავთან, ციხე ააგეს და 1280 წელს სოხუმში სავაჭრო ფაქტორია დააარსეს. მათმა მისიონერებმა იქ საფუძველი ლათინური ტიპიკონის კათოლიკე ეკლესიას ჩაუყარეს და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. 1318 წელს აფხაზეთში კათოლიკური ეპარქია გაიხსნა, რომელმაც დაახლოებით ორი საუკუნე იარსება. «პროპაგანდა ფიდეს» (კათოლიკეთა რწმენის) მქადაგებლები აფხაზეთში XIX საუკუნემდე მოღვაწეობდნენ და, ზოგ შემთხვევაში, წირვას მართლმადიდებელთა ეკლესიაშიც ატარებდნენ (მაგ., დრანდაში). XVII-XVIII საუკუნეების მისიონერთა წერილები რომის პაპისადმი ამ კუთხის რელიგიური სურათის წარმოდგენისათვის მდიდარ მასალას შეიცავს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ძველი დროიდან სინაგოგებიც მოქმედებდა. ჩანს, რომ ებრაელები იქ კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდნენ. ამის დასტურია მსოფლიო მნიშვნელობის ხელნაწერი — თორა, რომელიც X საუკუნეში აფხაზეთის ერთ-ერთ ებრაულ თემში უნდა იყოს გადაწერილი. იგი ბოლოს სოფ. ლაილაშში (ლეჩხუმში) ინახებოდა, რის გამოც მას ლაილაშის ბიბლიას უწოდებენ (დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში). ამჟამად აფხაზეთში ებრაელების რიცხვი რამდენიმე ათეულს არ აღემატება.

XVI საუკუნეში, კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის დროს (1558-1578), როდესაც თურქეთის ზეგავლენით აფხაზთა სამთავროში ინტენსიური ისლამიზაცია დაიწყო, აფხაზეთის საკათალიკოსოს რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს. ამ ფაქტის გამო აფხაზეთში საეკლესიო-კანონიკური წყობილება კიდევ უფრო შეირყა:

გაუქმდა ეპარქიები (მოქვისა და დრანდის) მხარე ქრისტიანი სასულიერი პირებისაგან თითქმის დაცარიელდა. მართლმადიდებელი სარწმუნოების ადგილი ისლამმა და, უფრო მეტად, ნატურალურმა (ბუნებითმა) რწმენა-წარმოდგენებმა დაიკავა. ეს პროცესი XVII საუკუნეში იმდენად შესამჩნევი ყოფილა, რომ უცხოელი მართლმადიდებელი თეოლოგები ამბობდნენ: «აფხაზები ქრისტეს რჯულს გადაუდგნენ, ქრისტეს მცნებებს განეშორნენ!» სხვა ქართული და უცხოური წყაროების, მოგზაურებისა და კათოლიკე მისიონერების ცნობების თანახმადაც, აფხაზეთში XVII-XVIII საუკუნეებში ერთობ გაურკვეველი რელიგიური ვითარება იყო. სარწმუნოებას, რომელსაც აფხაზების დიდი უმრავლესობა მისდევდა, ვერც ქრისტიანობას დაარქმევდით და ვერც ისლამს. ორივე სარწმუნოების თვალთახედვით, იქ ცრუმორწმუნეობა ყვაოდა.

ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII საუკუნის შუა წლები) წერს: «...ბიჭვინთის ეკლესია დიდი, დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზღვის კიდესა ზედა! ეს აღაშენა იუსტინიანე კეისარმან შემკობითა დიდითა. პირველ იყო საეპისკოპოზო. ჟამსა აფხაზთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ, და არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ აწ ხუცის ამარად, ვინაითგან აფხაზნი არღარა მონებენ რჯულსა და სარწმუნოებასა... (ისინი) სარწმუნოებით არიან ქრისტიანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხვიან, ვითარცა კერპნი, ვინაითგან არა დაფლვენ მკუდართა თვისთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა, და უკუეთუ შტვენს მკუდარი იგი ეშმაკისა მიერ, სწამთ განსუენებულად მერმესა მას. გარნა უწყიან ნათესაობა, ცოლი ერთი, მარხუა, აქუთ სასოება მღუდელთა ფრიად. არა იქმნებიან მათ შორის სიძვა, მრუშება, რამეთუ დასწუენ შემცოდეთა, უყუართ სტუმარი და პატივსა უყოფენ, და შეიწყნარებენ ფრიად».

გერმანელი დიპლომატი, ბუნებისმეტყველი და ლინგვისტი, იაკობ რაინეგსი, რომელიც ერეკლე II-ის კარზე მრჩევლად მსახურობდა, ამბობს: «აფხაზების რიცხვი შვიდი ათასი კომლია და იკვეხიან, რომ ადრე ქრისტიანები იყვნენ. ამჟამად ქრისტიანობის მოსაგონებლად შემორჩათ მხოლოდ... წმ. ანდრიას ეკლესია ბიჭვინთაში და კიდევ რამდენიმე დანგრეული ეკლესია. აგრეთვე ის, რომ იბერიის (ე.ი. იმერეთის. — ნ.პ.) პატრიარქი აფხაზთა მთავარეპისკოპოსად იწოდება. მაჰმადის მოძღვრებაც საკმაოდ სუსტად იციან; ზოგი თავის ბავშვებს წინადაცვეთას უკეთებს, ზოგი — არა. არავინ ჭამს ღორის ხორცს და ქორწილისას იცავენ ნათესავთა სისხლის აურევლობის წესს».

იმავე ეპოქის მეორე გერმანელი მეცნიერი და დიპლომატი იოჰან გიულდენშტედტი ამ საკითხზე მეტ ინფორმაციას გვაწოდებს: «იქაც (აფხაზეთშიც. — ნ.პ.), ისე როგორც სხვა კავკასიელებთან, ქრისტიანობა ჩაქრა, მაგრამ ისევე, როგორც სხვა მთიელ ხალხებში, იგი არ შეიცვალა სხვა რელიგიით. გარდა ქვის ეკლესიებისა და მათი ნანგრევებისა, ძველი ქრისტიანობისაგან აქ კვალი საყოფაცხოვრებო პირობებშიც დარჩა. მაგალითად, მათ აქვთ დიდმარხვა, უქმობენ კვირა დღეს, მაგრამ არა ღვთისმსახურებით, არამედ ისვენებენ ყველა სამუშაოსაგან, ჭამენ ღორის ხორცსაც. ამ ხალხს ჰყავს კალთაკოსი, რომელიც ცხოვრობს ძველი ქვის ეკლესიასთან და მისდევს შეუბღალავ ჩვეულებებს და, განსაკუთრებით, მარხვის შემდეგ აკურთხებს ხოლმე ხორცს. მისი ტიტული («კალთაკოსი») არის დამახინჯებული ქართული «კათალიკოსი», ანუ პატრიარქი... აფხაზები საკმაოდ მშვიდობისმოყვარენი არიან და, თუკი ისინი ვინმეს

თავს ესხმიან, უმეტესად მიყენებული შეურაცხყოფისათვის შურის საძიებლად. ასეთი თავდამსხმელი ჯგუფი იკრიბება ბებერი მუხის ქვეშ, რომელშიც არჭობენ ხმალს, რამდენჯერმე გარს უვლიან მას და თავიანთ ენაზე ამბობენ: ჩვენ მივდივართ მტრის წინააღმდეგ (მტერს ასახელებენ), დაგვაჭერინე და დაგვახოცინე ისინი».

როდესაც აფხაზეთში რუსეთის კოლონიური რეჟიმი დამყარდა, იქ არცერთი ეკლესია არ მოქმედებდა. 1860 წელს შეიქმნა «კავკასიაში მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმდგენი საზოგადოება», რომელმაც აფხაზეთში მისიონერები შეგზავნა. 1875 წელს ახალ ათონში ღვთისმშობლის მიძინების გრანდიოზული ტაძარი აშენდა და მამათა მონასტერი დაარსდა. იგი დიდ რელიგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა (ვეებერთელა მამულებითა და საწარმოებით, პირველი ჰიდროელექტრო სადგურით კავკასიაში). მან აფხაზეთში რუსეთის სახელმწიფოს საეკლესიო-ნაციონალური პოლიტიკის მსახურის როლი იკისრა.

იმთავითვე აშკარა გახდა, რომ იმპერიული მთავრობა მიზნად ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციას ისახავდა. ამის გამო რუსი მისიონერების საქმიანობას აფხაზები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ, რაც ზოგჯერ ტრაგიკული შედეგებით მთავრდებოდა. XIX ს-ის 60-70-იანი წლები აფხაზეთის ისტორიაში ანტიკოლონიური და ანტიეკლესიური გამოსვლებით აღინიშნა. ამბოხების მონაწილეთა წინააღმდეგ მთავრობამ სადამსჯელო ღონისძიებებს მიმართა; დაიწყო მუსლიმი აფხაზების თურქეთში ძალდატანებით გადასახლება ანუ მუჰაჯირობა. ყველაზე მასშტაბური გადასახლებები 1866 და 1877 წლების აჯანყებათა შემდეგ მოხდა. ამ დროს ქართველი საზოგადოება აფხაზი ხალხის ეროვნული ინტერესების მხარეზე დადგა და მათი გენოციდის შეწყვეტა მოითხოვა. რუსეთის საერო და სასულიერო მთავრობა იძულებული გახდა, რომ სამისიონერო საქმიანობის უფლება ქართველებისთვის დაებრუნებინა. ქართველი მისიონერები — ეპ. გაბრიელი (ქიქოძე), ეპ. (შემდეგ კათალიკოსი) კირიონი (საძაგლიშვილი), არქიმანდრ. ამბროსი (კავკასიძე), მღვდ. ბესარიონ ხელაია (შემდეგ კათალიკოსი ამბროსი), დეკ. დავით მაჭავარიანი და სხვანი — ამ ასპარეზზე დიდი ენთუზიაზმით იღვწოდნენ და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწიეს. წმ. ეპ. გაბრიელის სახელთანაა დაკავშირებული აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო ლიტერატურის თარგმნის ტრადიცია. მან ეს საქმე დიდ ქალბატონს, კესარია შარვაშიძეს, მიანდო. თბილისის სასულიერო სემინარიაში აფხაზური ენის კათედრის დაარსებისთვისაც ქართველი მისიონერები ზრუნავდნენ, მაგრამ ამ ინიციატივამ, წმ. ამბროსის (ხელაიას) ცნობით, ქვეყნის უმაღლესი ინსტანციებიდან მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

რუსული მმართველობის დაწყების (1810 წ.) შემდეგ აფხაზეთი იმერეთის საეპისკოპო დაქვემდებარებაში შევიდა. 1885 წელს სოხუმის რუსული ეპარქია შეიქმნა, რის გამოც იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი აფხაზეთში სამისიონერო საქმეს ჩამოაშორეს. ამ ნაბიჯს იმდენად სავალალო შედეგები მოჰყვა, რომ უწმიდესი სინოდი იძულებული გახდა 1906 წელს აფხაზეთის ეპისკოპოსად ქართველი, ეპ. კირიონი (საძაგლიშვილი), დაენიშნა, მაგრამ აფხაზების გაქართველების მცდელობის ბრალდებით იგი თანამდებობიდან მალე გაათავისუფლეს. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ აფხაზთა და ქართველთა ეკლესიური ერთიანობა რუსეთის იმპერიულ გეგმას ეწინააღმდეგებოდა. ამის დასტურია ფილეტური შინაარსის პროექტი, რომელიც 1916 წელს უწმიდეს სინოდში შეიმუშავეს და, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის ეთნიკურ

ნიადაგზე დაყოფას ისახავდა მიზნად (ქართველებისათვის ცალკე ეპარქია და არაქართველებისათვის — ცალკე). ეს იმდენად უკანონო გადაწყვეტილება იყო, რომ მან საქართველოს ეგზარქოსისგანაც ვერ მოიპოვა მხარდაჭერა.

აფხაზეთში მართლმადიდებელი სარწმუნოების აღორძინების პროცესი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ (1921 წლიდან) შეფერხდა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აფხაზეთში პროტესტანტული ეკლესიებიც გაჩნდა. ისინი გერმანელმა და ბალტიისპირელმა ლუთერანებმა დააარსეს, რომლებიც აფხაზეთში სამუშაოდ ჩამოვიდნენ და დასახლდნენ. მიგრანტების ყველაზე დიდი ნაკადი რუსეთიდან მოედინებოდა. ისინი, ძირითადად, მართლმადიდებლები იყვნენ, მაგრამ მათში ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, მე-7 დღის ადვენტისტები და სხვა პროტესტანტულ მიმდინარეობათა წარმომადგენლებიც ერივნენ.

კომუნისტური რეჟიმის დროს აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე და მთელ საბჭოთა კავშირში, ათეისტური იდეოლოგია ბატონობდა. საბჭოთა ხელისუფლებამ იერიში, პირველ ყოვლისა, მართლმადიდებელ ეკლესიასა და, განსაკუთრებით, ქართველ სამღვდელოებაზე მიიტანა. აფხაზეთის იმდროინდელი მღვდელმთავარი, ცხუმ-ბედიელი მიტროპოლიტი ამბროსი (შემდეგ კათალიკოსი), კომუნისტების შემოსვლასა და ანტირელიგიური ისტერიის გაჩაღების ამბავს ასე აღწერს: «როდესაც ახალი ხელისუფლება მყარდებოდა საქართველოში, მე განვაგებდი სოხუმის ეპარქიას. რა ვნახე? I. სოხუმში ახალი მთავრობის თითქმის პირველი აქტი იყო ქართველებისა და აფხაზებისათვის საკათედრო ტაძრის ჩამორთმევა და გადაცემა რუსებისათვის, რომლებიც რაოდენობით სოხუმის მკვიდრთა ერთ მეოთხედსაც არ შეადგენენ და რომლებიც არ ემორჩილებიან საქართველოს ეკლესიას, II. სამღვდელმთავრო სახლის ჩამორთმევა, ჩემი იქიდან ძალით გამოგდება, ბარგის ქუჩაში გამოყრა, ჩემი კომისარიატიდან კომისარიატში შეიარაღებული მილიციონერების საშუალებით ტარება და ჩემი ხუთი თვის განმავლობაში ხან ვისთან და, ხან ვისთან თავის შეფარება, III. კარის ეკლესიის დანგრევა, IV. კანცელარიისა და ისტორიისათვის ძვირფასი არქივის სანახევრო განადგურება და ნაშთის სამზარეულოსთან ნესტიან ოთახში შეყრა, სადაც სისტემატურად ნადგურდებოდა, V. საეკლესიო სახლის ჩამორთმევა და მღვდელმსახურთა შევიწროვება... ყველა ეს მოხდა ახალი მთავრობის დამყარების პირველ დღესვე» (1924 წლის მარტს სასამართლო პროცესზე წარმოთქმული სიტყვიდან).

ანტირელიგიური პროპაგანდის შედეგად აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი რელიგიურ ცხოვრებას ჩამოშორდა. იგულისხმება როგორც ქრისტიანობა, ისე ისლამი.

აფხაზი მუსლიმები, ძირითადად გუდაუთის რაიონში ცხოვრობენ, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მათ არცერთი მეჩეთი არ შერჩათ. მართლმადიდებელ ეკლესიასაც სუსტი პოზიცია ეჭირა. ოფიციალურად სამი ტაძარი ფუნქციონირებდა: სოხუმში, გუდაუთასა და ახალ ათონზე. განსაკუთრებული პატივისცემით გამოირჩეოდა ილორის წმ. გიორგის ტაძარი (ოჩამჩირე), რომელიც მღვდელმსახურებისათვის დაკეტილი იყო, მაგრამ იქ დღესასწაულებზე აუარებელი მლოცველი იყრიდა თავს ხალხური რიტუალების შესასრულებლად (საკლავის

დაკვლა, ინდივიდუალური ლოცვა და ტაძრის გარშემო ფეხშიშველა სიარული). ეს დღესასწაულები ქართველი და აფხაზი ხალხების კონსოლიდაციის საქმეში დიდ როლს ასრულებდა.

ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემები, რაც რუსეთის სამეცნიერო-ჰუმანიტარულმა ფონდმა და ინსტიტუტმა «ღია საზოგადოებამ» მოიპოვა, ასეთია: 1997 წელს გამოკითხულთა 55 პროცენტი თავს ქრისტიანად მიიჩნევდა, 17% — მუსლიმად, 2% — წარმართად ან «აფხაზური რელიგიის» მიმდევრად, 14,6% — ათეისტად, 7,4% კი საკუთარ რელიგიურ მრწამსს ვერ აკონკრეტებდა. ათეისტების უმრავლესობა ამბობდა, რომ მათ, ზოგადად, სარწმუნოებისადმი «დადებითი» და «ნორმალური» დამოკიდებულება აქვთ. ზოგიერთი ნათლობისთვისაც აცხადებდა მზადყოფნას. მხოლოდ 3% ამბობდა, რომ შეგნებული და მტკიცე ათეისტია. 2003 წელს ნიჰილისტებისა და ათეისტების ხვედრითი წილი კიდევ უფრო შემცირდა. გამოკითხულთა 60%-მა თავი ქრისტიანად აღიარა, 16%-მა — მუსლიმად, 8%-მა — ნიჰილისტად და ათეისტად, 5%-მა — წარმართად, 3%-მა — «აფხაზური რელიგიის» მიმდევრად, 1 პროცენტზე ნაკლებმა — იეჰოვას მოწმედ, იუდეველად და სხვად. 6 პროცენტს პასუხის გაცემა გაუჭირდა. როგორც ვხედავთ, შესამჩნევია ქრისტიანთა, წარმართთა და «აფხაზთა სარწმუნოების» მიმდევრების რაოდენობის ზრდის ტენდენცია. 1%-ით შემცირებულია მუსლიმთა რიცხვი.

რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის თანამშრომელი, დოქტ. ა. კრილოვი, რომელმაც აფხაზთა დღევანდელ ყოფაში რელიგიური ცნობიერების თავისებურებანი შეისწავლა, აღნიშნავს: «აფხაზეთში საველე სამუშაოების ჩატარების შედეგად დადასტურდა, რომ აფხაზების დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელ ეკლესიაში ნათლისღების წესს ფორმალურად ასრულებს და მათთვის ეს მხოლოდ დეკლარაციაა. უდიდეს დღესასწაულებზეც კი ეკლესიებში მრევლის უმცირესი ნაწილი დადის. და ეს მაშინ, როდესაც აფხაზურ სალოცავებში რიტუალებს ასობით ადამიანი ესწრება. ამ თვალსაზრისით თანამედროვე აფხაზეთი იმ სურათს გვაგონებს, რის თაობაზეც ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში ჟამთააღმწერელი ბერები ნაღვლიანად გვიამბობდნენ: «აქეთ ცარიელი ქრისტიანული ტაძრები და იქით ხმაურიანი ხალხმრავალი საკერპეები... აფხაზებს გულწრფელად მხოლოდ შემოქმედი ღმერთის არსებობა სწამთ, რომლის სახელია «ანცვა». მათთვის უცხოა ერთარსება-სამება, არ მიაგებენ პატივს არც წმიდა სულს და არც იესო ქრისტეს როგორც ღვთის ძეს, არ დადიან ეკლესიაში, არ ღებულობენ ზიარებასა და არცერთ მარხვას არ ინახავენ, არ აინტერესებთ ქრისტიანული რჯულ-მოძღვრების საფუძვლები და ბიბლიას არ კითხულობენ...». მართლმადიდებელ სამრევლოებს აფხაზეთში, ძირითადად, რუსები შეადგენენ.

ასეთი ვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ხსენებული მკვლევარი მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრის გარეშე დარჩენას ასახელებს. 1993 წელს აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ დაწყებული ეთნოწმენდის შედეგად, ცხუმ-აფხაზეთის მიტრ. დანიელი (დათუაშვილი) იძულებული გახადეს სამწყსო დაეტოვებინა. იგი ეპარქიის მართვის შესაძლებლობას დღემდე მოკლებულია.

ამ ეპარქიის რუსულენოვან მრევლს მოსკოვის საპატრიარქო მართავს, რისი იურიდიული უფლება მას არ აქვს. მით უმეტეს, რომ რმე-ის უწმიდესმა სინოდმა

2003 წლის ივლისში ერთხელ კიდევ დაადასტურა წერილობით, რომ აფხაზეთი სომეხის კანონიკური ტერიტორიაა.

ამჟამად მართლმადიდებელი ეკლესიების საქმეებს აფხაზეთში დროებითი ეპარქიალური საბჭო განაგებს, რომელიც ადგილობრივი სასულიერო პირებისაგან (რუსებისა და რამდენიმე აფხაზისაგან) შედგება. ასე რომ, საეკლესიო კანონის თვალსაზრისით აფხაზეთში ოდიოზური ვითარებაა: იქ მცხოვრები მართლმადიდებლები (ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს) ეპისკოპალური დაქვემდებარების (იურისდიქციის) მიღმა იმყოფებიან (ასეთი ეკლესია საეკლესიო კანონების მიხედვით მადლმოსილ ეკლესიად ვერ ჩაითვლება); რუსეთისა და საბერძნეთის ეკლესიათა წარმომადგენლებს აფხაზეთში მოღვაწეობის უფლება ადგილობრივ ეპისკოპოსთან (მიტრ. დანიელთან) შეთანხმების გარეშე არ გააჩნიათ.

ისლამი აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობაში, ქრისტიანული აღმსარებლობის მსგავსად, ინტეგრირებულია ხალხურ ტრადიციებთან და ნატურრელიგიასთან. იქაური მუსლიმები (კომპაქტურად გუდაუთის რაიონში ცხოვრობენ) მეტწილად სუნიტები არიან, მაგრამ მათი პოზიციები სუსტია. უმრავლესობას წინასწარმეტყველზე, ყურანსა და ისლამის ხუთ ბურჯზე წარმოდგენა არა აქვს, ღორის ხორცს ჭამენ და ღვინოს სვამენ. რელიგიური მუსლიმები მხოლოდ მუჰაჯირების ის შთამომავლები არიან, რომლებიც წინაპრების სამშობლოს დაუბრუნდნენ, მაგრამ ისინი მცირერიცხოვნობისა და იმის გამოც, რომ ნაკლებ ურთიერთობენ დამხვდურებთან, აფხაზური ეთნოსის რელიგიურ ყოფაზე გავლენას ვერ ახდენენ. დღემდე აფხაზეთში არც ერთი მეჩეთი არ ფუნქციონირებს. 1992-1993 წლების ომში აფხაზების მხარეზე მებრძოლმა კონფედერალისტმა ბოევიკებმა (განსაკუთრებით ჩეჩნებმა) ვაჰაბის მიმართულებაც შემოიტანეს, მაგრამ აფხაზი ვაჰაბისტების რაოდენობა ჯერჯერობით უმნიშვნელოა.

აფხაზეთში ამჟამად რამდენიმე სხვადმადიდებლური (ჰეტეროდოქსული) ეკლესია მოქმედებს. მათგან ყველაზე ძველი კათოლიკე ეკლესიაა, თუმცა იგი არ არის იმ ეკლესიის შთამომავალი, რომელიც ერთ დროს მისიონერებმა აქ დააარსეს. ეს აფხაზეთში XIX-XX საუკუნეებში შემოსული სხვადასხვა ეროვნების კათოლიკეთა ეკლესიაა, რომელიც საბჭოთა პერიოდში არ ფუნქციონირებდა. იგი აღორძინა პოლონელმა მისიონერმა ბოგდან სევერინმა, რომელიც აფხაზეთში ომის შემდეგ შევიდა და ფაქტობრივი ხელისუფლებისაგან ქადაგების უფლება მიიღო.

სოხუმში ძველი (რევოლუციამდელი) ლუთერანული ეკლესია (კირხე) დგას, რომელიც, ასევე, ახლო წარსულში ამოქმედდა.

საკმაოდ ძლიერი ორგანიზაცია ჰქონდათ სოხუმში ბაპტისტებსაც. მათ შორის ქართველებიც იყვნენ, რომელთა დიდმა ნაწილმა ქართველთა ეთნოწმენდის დაწყების შემდეგაც არ მიატოვა სახლ-კარი და სამლოცველო სახლი. ისინი, ზეპირი ინფორმაციის თანახმად, ამ სახლში ამოხოცეს.

«იეჰოვას მოწმეებისა» და კრიშნა-იდების პირველი საკრებულოები საქართველოში აფხაზეთში ჩამოყალიბდა (იხ. «იეჰოვას მოწმეები», «კრიშნას ცნობიერება»).

საინფორმაციო არხებიდან ცნობილია, რომ აფხაზეთში ხშირია კონფლიქტები აფხაზეთისათვის ტრადიციული რელიგიების მიმდევრებსა და პროტესტანტებს შორის. აფხაზეთის პირველმა დე ფაქტო პრეზიდენტმა ვ. არძინბამ არაერთგზის გაილაშქრა იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ და 1995 წელს მათი საქმიანობა აკრძალა, რადგან ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირების დროს ისინი ხალხს იარაღის დაყრისაკენ, ომის შეწყვეტისა და ქართველთა ეთნოწმენდაზე უარის თქმისაკენ მოუწოდებდნენ.

სხვადასხვა აღმსარებლობის ეკლესიათა აქტიურობის მიუხედავად, აფხაზური ეთნოსის რელიგიად, მის ერთ-ერთ საიდენტიფიკაციო ნიშნად და ეთოსად «აფხაზური ხალხური რწმენა-წარმოდგენები» რჩება.

რელიგიები სამხრეთ ოსეთში

ოსი ხალხის წარსული განუყოფლადაა დაკავშირებული კავკასიის სხვა ხალხებთან და, განსაკუთრებით, ქართველ ხალხთან. გაქრისტიანებამდე მათი რელიგია, ისე როგორც მათი წინაპარი ტომებისა (სკვითების, სარამატებისა და ალანების), წარმართობა (ბუნებითი რჯული) იყო.

ძველი საეკლესიო ტრადიციის თანახმად, სკვითთა ქვეყანაში სახარება პირველად ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა. მისი სამოციქულო მარშრუტი XI საუკუნის ქართულ წერილობით ძეგლებში რამდენადმე დაზუსტებულია — იგი ოსეთში აფხაზეთიდან გადავიდა (ეფრემ მცირე). გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ოსი ხალხის ნაწილი ქრისტიანობას მოციქულთა ეპოქაში ეზიარა (I-II სს.). სომხურ და ქართულ ენებზე ცნობილია ერთი აგიოგრაფიული თხზულება, რომელიც ჩვიდმეტი (თუ ცხრამეტი) ოსი ახოვანი მხედრის, სუქიასა და მისი თანამებრძოლების, ქრისტესთვის თავდადებას ასახავს. ისინი დიდგვაროვანი ოსი ქალის, სათენიკის, პირადი დაცვის წევრები იყვნენ და იგი ჩააცილეს სომხეთში, სადაც ის გათხოვდა და დედოფალი გახდა. იქ ოსი მხედრები მოინათლნენ და წარმართი თანამემამულეების ხელით მოწამებრივად აღესრულნენ. მკვლევართა უმრავლესობა ამ მარტვილობას II-III საუკუნეებით ათარიღებს.

ქრისტიანობა ოსთა სახელმწიფოს ზედაფენამ ოფიციალურად X საუკუნის დასაწყისში აღიარა (უძველესი ქრისტიანული ტაძრებიც X-XII საუკუნეებით თარიღდება). მისიონერები, ძირითადად, ქართველები (ნაწილი ბიზანტიელები) იყვნენ, რის გამოც ეს მხარე საქართველოს ეკლესიის კანონიკურ ველში მოექცა. მას შემდეგ, როდესაც კავკასია მონღოლებმა დაიპყრეს, ოსეთის სამრევლოებმა მეტროპოლიასთან ანუ მცხეთის საკათალიკოსოსთან კავშირი ველარ შეინარჩუნეს. ამის გამო ამ მხარეში, ისე როგორც ამიერ და იმიერ კავკასიის მთის რეგიონებში, ეკლესიური ქრისტიანობა გასოფლურდა. პოზიციები ბუნებით კულტმსახურებას (წარმართობას) დაუთმო.

XIV-XV საუკუნეებიდან ოსეთში, მეტწილად მაღალ სოციალურ წრეებში, ისლამი გავრცელდა. ოსთა სამეფო ოფიციალურად გამუსლიმდა, მაგრამ კანონიზებული ფორმით იქ ვერც ეს რელიგია დაინერგა.

XVII-XVIII საუკუნეების როგორც ჩრდილოელი, ისე სამხრეთელი ოსების რელიგიური ცნობიერებისა და მათში გავრცელებული წეს-ჩვეულებების შესასწავლად საინტერესო მასალას გვაწოდებენ ქართველი და გერმანელი სწავლულები.

ვახუშტი ბატონიშვილი: ოსნი «სარწმუნოებით არიან ძუელად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზისანი, და უფროს დუალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დუალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხუასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღუდელოთა პატივსა უყოფენ და თაყვანსცემენ და სხვისა სრულიად უმეცარნი. არა უვისთ მღუდელი, და უნათლისღებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათლვიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიდგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი, და დაბალნი გლეხნი ქრისტეანენი, გარნა უმეცარნი ორივეს რჯულისანი. რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი, და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მაჰმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მზგავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა და ხორცს შესჭამენ თვითავე, ხოლო ტყავსა გასჭიმავენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანისცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყუანი და მოსცეს ნაყოფნი ქუეყანისანი». იქვე აღნიშნულია, რომ ხალხი ციხე-კოშკებისა და ეკლესიების უმეტესობას თამარ მეფის სახელთან აკავშირებს.

მაშასადამე, XVIII საუკუნის შუა წლებში, როდესაც ხსენებული ისტორიკოსი მასალებს კრეფდა და ამუშავებდა, ჩრდილო და სამხრეთელი ოსები ნიქოზის ეპარქიის სამწყსოს შეადგენდნენ. იმათგან ქრისტეს რჯულს შედარებით მყარად სამხრეთელები, დვალები, ინახავდნენ. ჩრდილოელი თავადაზნაურობა უფრო მუსლიმობას იჩემებდა, ქვედაფენა კი (ანუ უმრავლესობა) — ქრისტიანობას, თუმცა არც ერთი მხარე იცნობდა საკუთარი რჯულის საკითხებს და არც მეორე; ერთიც და მეორეც ისეთ რიტუალებს ასრულებდა, რაც კაცს კერპთმსახურებას მოაგონებდა და შორს იდგა როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური ღვთისმსახურებისაგან. წინასწარმეტყველ ელიას კულტი (ოსურად: ვაცილა) ოსთა შორის, ისე როგორც საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის ტრადიციულ მოსახლეობაში, ტაროსის ღვთაების კულტმსახურებას ემსგავსებოდა.

იაკობ რაინეგსი: «ოსების ერთი ნაწილი მაჰმადიანია, უმრავლესობა ურწმუნოა, წარმართი, მხოლოდ მცირედნი აღიარებენ ქრისტიანობას. ქართული (გეორგიული) გადმოცემების მოწმობით, ყველა ოსი თამარ მეფის მიერ იქნა დამორჩილებული და გაქრისტიანებული. ეს სარწმუნოება საკმაოდ შორს უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან ოსების მთებში აქა-იქ კვლავ გვხვდება ქვის ძველი ეკლესიები და პატარა სამლოცველოები. მაგრამ ქრისტიანობამ მათ არც ბედნიერება მოუტანა და არც განწმენდა, რადგან მალე კვლავ თავის ძველ ჩვევებს და უვიცობას დაუბრუნდნენ და ქრისტიანობა დაივიწყეს. ამავე დროს მათ ერთხმად სწამთ, რომ მარხვა არის ძალზე საპატიო საქმე და ამიტომ სომეხ და ქართველ ქრისტიანებთან ერთად მთელი დიდმარხვის დროს არ ჭამენ არც ხორცს, არც თევზს, არც ქონს, ზეთს ან რძეს; მათ საკვებს ამ დროს შეადგენს გამხმარი პური, მარილწყალში მოხარშული ლობიო, მუხუდო და ხახვი. ისინი ძალზე ცრუმორწმუნენი არიან... მათ სწამთ კეთილი და

ბოროტი სულების გავლენით მოქმედი ძალების არსებობა, რომლებსაც საკუთარ სახელებსაც კი არქმევენ. სწამთ, რომ სულების სიჯიუტის დაშოშმინება მარხვით, შეწირულობით და მსხვერპლშეწირვით შეუძლიათ, ხოლო ჯადოქრული (მაგიური) სიტყვებითა და წყევლით (თუ შელოცვით) ჰგონიათ, სულაც აიძულებენ მათ სარგებლის მოტანას...»

იოჰან გიულდენშტედტი: «...ქართველთა ბატონობის დროს გავრცელებულ იქნა ბერძნული ქრისტიანული რელიგია, რომელსაც ბევრი ქართველთა ქვეშევრდომი ოსი აღიარებს. ამას გარდა, რუსი მისიონერები ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში თაგაურში, ქურთაში, ვალაგირსა და ნარში არწმუნებდნენ ოსებს, რომ მონათლულიყვნენ. საერთოდ, რაც აფხაზებზე ვთქვით, ეხება ოსებსაც, ე.ი. რომ ქრისტიანული რელიგია, რომლის კვალს წარმოადგენენ ძველი ეკლესიები, დიდმარხვის შენახვა და სხვა, მოუგვარებელი, ველური წყობილების გამო გაქრობილ იქნა, ისე რომ მის მაგივრად ახალი რელიგია არ მიუღიათ... საერთოდ ისინი რელიგიაში და კანონებში უცოდინარნი არიან, ხოლო ჩვევებში უხეშნი...» სოფ. სახლებში «ჯერ კიდევ არის პატარა ძველი ქვიტკირის ეკლესია, რომელზეც ჯერაც დგას ვერცხლით მოჭედილი ჯვარი, რომელიც ... თავადმა მაჩაბელმა და მისმა მეუღლემ შემოსწირეს... ეს ეკლესია ახლა მხოლოდ დამნაშავე ოსებს ემსახურება თავშესაფრად. ეკლესიის გარშემო ბევრი ირმის რქებია, ასევე ბევრია საფლავები. ერთ ახალ საფლავზე ჩარჭობილ სარზე ჩამოკიდებული იყო თმის ნაწნავები, რომლებიც ჭირისუფლებმა დაიგლიჯეს...»

ინფორმაცია, რასაც წარმოდგენილი ციტატები შეიცავს, მეტწილად, უშუალო დაკვირვების შედეგია. ამის გამო ისინი ანგარიშგასაწევია, მაგრამ ი. გიულდენშტედტის ცნობა რუსი მისიონერების შესახებ დაზუსტებას და შევსებას მოითხოვს. XVII-XVIII საუკუნეებში აქტიურ სამისიონერო მოღვაწეობას ოსეთში ქართლის სა-მეფო ტახტი და საპატრიარქო ეწეოდა. მათ მწირი ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდათ, რის გამოც აუცილებელი გახდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს დახმარება. მათ კი 1744 წლის დამდეგს «ოსეთის სასულიერო კომისია» შექმნეს. მისი მიზანი ოსთა შორის ქრისტიანობის აღდგენა და გავრცელება იყო. კომისიის ბირთვს ქართველი სასულიერო პირები წარმოადგენდნენ, რადგან რუსები, ენის პრობლემის გამო, ამოცანას თავს ვერ ართმევდნენ. პირველ ეტაპზე ქართველთაგან ყველაზე მეტად ეფრემ ჯანდიერი და არქიმანდ. პახომი აქტიურობდნენ. გრიგოლ რომანიშვილი, ამავე კომისიის წევრი, თურქეთის აგენტებმა 1768 წელს მოკლეს, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ დროს სუნიტი ისლამისტებიც გააქტიურდნენ.

ოსეთის სასულიერო კომისია ოსთა შორის ქართულ მწიგნობრობას ავრცელებდა. დაიწყეს ქართულიდან ოსურ ენაზე საეკლესიო წიგნების თარგმნა, რისთვისაც ქართულ ანბანს იყენებდნენ. ხსნიდნენ სკოლებს, რაც ქართველ და ოს ხალხს ერთმანეთთან კიდევ უფრო აახლოებდა. ეს კი, ჩანს, რუსეთის პოლიტიკურ გეგმაში არ შედიოდა, რის გამოც კომისიაში ქართველების ადგილი შეამცირეს. ამ ნაბიჯმა იმდენად უარყოფითი შედეგები გამოიღო, რომ კომისიამ 1792 წელს მუშაობა შეაჩერა და მხოლოდ 1815 წელს განაახლა. მთავრობა კვლავ გახდა იძულებული, რომ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ ისევ ქართველი არქიმანდრიტი, დოსითეოზ ფიცხელაური, დაენიშნა. ირკვევა (შ. ხანთაძე), რომ მან კავშირი ბრიტანეთის ბიბლიურ საზოგადოებასთანაც დაამყარა და საღვთო წერილის ახალქართულ და

ოსურ ენებზე თარგმნისათვის ზრუნვა დაიწყო. ამ იდეას სინოდი მტრულად შეხვდა და იგი თანამდებობას ჩამოაშორა. დოსითეოზმა 13 000-მდე ოსი გააქრისტიანა. კომისიამ 1861 წლამდე იარსება.

1860 წელს «კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება» დაარსდა. მან ჩრდილოელ და სამხრეთელ ოსებს შორისაც ბევრი იღვაწა, მაგრამ ეს საზოგადოება რუსეთის პოლიტიკური ინტერესების სამსახურში იდგა, რის გამოც იგი თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ ასრულებდა და მის საქმიანობას თვალსაჩინო წარმატებები არ მოჰყოლია.

XVIII-XIX საუკუნეებში ქართულ რელიგიურ და კულტურულ ასპარეზზე არა ერთი და ორი ოსი იღვწოდა. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავთ არქიმანდრიტებს: პართენი, გამალიელი, ნეოფიტე; დიაკვნებს: ვანიშვილი, გიორგი ჭათიაშვილი და იოანე იალღუზიძე (გაბარათი). ეს უკანასკნელი თბილისის სასულიერო სემინარიაში (1817 წლიდან) ქართულ და ოსურ ენებს ასწავლიდა და ლიტერატურულ შემოქმედებას ორივე ენაზეც მისდევდა. მან ოსურად თარგმნა ოთხთავი, გამოკრებილი კურთხევანი და სხვა.

1917 წლის რევოლუციებისა და რუსეთ-საქართველოს გასაბჭოების შედეგად ოსი ხალხი, სოციალისტური ბანაკის სხვა ხალხებთან ერთად, ათეიზმის წნეხის ქვეშ მოექცა. უკიდურესად შეიზღუდა როგორც ქრისტიანობის, ისე ისლამის ქადაგება. არც ჩრდილოეთ და არც სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დროს არც ეკლესია და არც მეჩეთი არ ფუნქციონირებდა. ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი გაურკვეველი, სინკრეტული (უფრო ეკლექტიკური) კონფესიის მიმდევრად დარჩა. ხალხის რელიგიურ-ეთნოგრაფიულ ცხოვრებაში წამყვანი ადგილი საკრალური ადგილების თაყვანისცემამ, სისხლიანმა მსხვერპლშეწირვამ დაიკავა. ეს ტრადიცია არსობრივად საქართველოს მთიანეთისა და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხების რელიგიური ტრადიციებისაგან არ განსხვავდება. მათ საერთო სალოცავები და ჯვარხატები აქვთ: ლომისა, ლაშარი, კოპალა, იახსარი, წმ. გიორგი, წმ. ელია და სხვა; საერთოა კალენდარიც და სადღესასწაულო ადათები — ლუდის მოხარშვა, ხაბიზგინების გამოცხობა, საკლავის დაკვლა, ჩამოლოცვა და დამწყალობება, რასაც მოწმინდარი ხუცესები ასრულებენ.

აღნიშნულმა წეს-ჩვეულებებმა ოსი ეთნოსის საიდენტიფიკაციო ფუნქცია შეიძინა და ოსები მათ ცარისტული და კომუნისტური რეჟიმების პირობებშიც ერთგულად იცავდნენ. როდესაც ამ ხალხის რომელიმე ჯგუფი მამაპაპეულ საცხოვრისს ტოვებდა და სხვა რეგიონში სახლდებოდა, კულტმსახურების ტრადიციული სისტემაც გადაჰქონდა. მაგალითად: გარკვეულია (ხ. მამისიმედიშვილის მიერ), რომ პანკისის ხეობაში გადასახლებულმა გუფთელმა და მორგოელმა ოსებმა (ჯავის რ-ნი) ჯვარხატებისადმი თაყვანისცემის ტრადიციაც გადაიტანეს. მათ იქ აღმართეს საკულტო ნიშები, რომლებსაც «გუფთაჟვარი» და «მორგოსჟვარი» უწოდეს. ისინი, აგრეთვე, თაყვანს სცემენ «ვასტირჯის», რომელიც, მათი რწმენით, მამაკაცთა და მგზავრთა მფარველია. იგი თეთრწვერა, თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდანია, რომელიც დედამიწას ელვის სისწრაფით უვლის. «ვასტირჯი» გახალხურებული წმ. გიორგია, რომლის მიმართ ოსებს დიდი სასოება აქვთ.

რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების 1943 წლის შეთანხმების თანახმად, ჩრდილოეთ ოსეთს მართლმადიდებელი სამრევლოები, მათ შორის ვლადიკავკაზის ქართული სამრევლო, მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია, სამხრეთ ოსეთის როგორც ოსური, ისე ქართული სამრევლოები — საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში (ნიქოზის ეპარქიაში).

სამხრეთ ოსეთში ამჟამად, ეკლესიური თვალსაზრისით, ასეთი ვითარებაა: იმ ტერიტორიაზე არსებულ სამრევლოებს, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები მართავენ, დანარჩენი ნაწილი კი იურიდიულადაც და რეალურადაც ნიქოზისა და ცხინვალის ეპისკოპოსის განმგებლობის ქვეშაა. ამ ეპარქიას დღეს მთავარეპისკოპოსი ესაია ჭანტურია განაგებს. ცხინვალის სამღვდელოებამ 2004 წელს ახალი ეპარქიის გახსნა გამოაცხადა სახელწოდებით «ალანიის ეპარქია», რომელსაც ეპისკოპოსი გიორგი პუხათი განაგებს. ეპარქია ე.წ. კვიპრიანეს სინოდის (ერთ-ერთი სქიზმატური ბერძნული ეკლესია. იხ. განხეთქილებაში მყოფი მართლმადიდებელი ეკლესიები) იურისდიქციად აღიარებს თავს. 2004 წელს დეფაქტო ხელისუფლებამ მართლმადიდებლობა «სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო» რელიგიად გამოაცხადა.

ი. გიულდენშტედტი იმასაც აღნიშნავს, რომ მისი მოგზაურობის დროს (1771 წ.) ოსეთში მისიონერულ მოღვაწეობას გერმანელი ევანგელისტებიც ეწეოდნენ. თუ რა წარმატება ხვდა წილად ამ მოღვაწეობას, ცნობილი არაა. ათეისტური საბჭოთა ხელისუფლების მიუხედავად, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში ბაპტისტებისა და ორმოცდაათიანელების რამდენიმე ეკლესია ჩამოყალიბდა. მორწმუნეთა სიმრავლით ცხინვალის ევანგელისტ-ბაპტისტთა ეკლესია გამოირჩევა, რომელსაც, არასასურველი პოლიტიკური კლიმატის მიუხედავად, საქართველოს დანარჩენ თანამორწმუნეებთან ქმედითი კავშირი შენარჩუნებული აქვს. ბევრი ოსი, როგორც სამხრეთ ოსეთიდან, ისე საქართველოს სხვა კუთხიდან, იეჰოვას მოწმეთა კავშირშია გაერთიანებული, პანკისელი ოსები კი, მეტწილად, ახალსამოციქულო ეკლესიის მიმდევრები არიან. მას სამლოცველო სახლი სოფ. ქორეთში აქვთ.

თანამედროვე საქართველოს რელიგიური დემოგრაფია

საქართველოში ეთნიკური ქართველების უმრავლესობა მართლმადიდებლები არიან. მართლმადიდებლები არიან ოსების, რუსების, ბერძნების, აფხაზების, ასურელებისა და უდიების უმეტესი ნაწილი, ასევე გარკვეული რაოდენობა სომხებისა, რომელთა დიდი უმრავლესობა სომეხთა სამოციქულო ეკლესიას მიაკუთვნებს თავს. როგორც ქართველების, ასევე აღნიშნულ ეთნიკურ ჯგუფთა უმცირესობა კათოლიკე ან პროტესტანტია. კათოლიკური ეკლესიის მრევლი ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა (ქართველები, სომხები, ასურელები, პოლონელები, გერმანელები, რუსები და სხვ.). საქართველოს მოსახლეობის როგორც ეთნიკურად ქართველი (აჭარლების ნაწილი), ისე სხვა ეთნიკური ჯგუფების (აზერბაიჯანელები, ქისტები, ლეკები, აფხაზები) საგრძნობი რაოდენობა, ისლამს აღიარებს. ქურთების ნაწილი ეზიდია, ნაწილი გაქრისტიანებული და გამუსლიმებულია. საქართველოს ებრაელები იუდაიზმს მისდევენ, ხოლო გერმანელები ლუთერანული ეკლესიის წევრები არიან (ნაწილი — კათოლიკეები).

თუკი ქართველების დიდი უმრავლესობა სარწმუნოებას ეროვნულობის მაიდენტიფიცირებელ როლს ანიჭებს, ასეთთა რიცხვი მათ თანამოქალაქე სომეხთა და აზერბაიჯანელთა შორის ნაკლებია. 2003 წელს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით (ი. ორდანიძე), მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში თავი მორწმუნედ სომეხ რესპოდენტთა 58%-მა ჩათვალა, 20-მა — არა; მხოლოდ 40%-მა აღიარა, რომ რელიგიის შეცვლით იცვლება ეროვნულობა, 38,5% ამ აზრს არ დაეთანხმა, 13-მა თავი შეიკავა. რუსთაველი აზერბაიჯანელების 47,5% თვლის, რომ რელიგიის შეცვლით ეროვნულობაც იცვლება, 52,2% კი ასე არ ფიქრობს. იმავე ქალაქის მართლმადიდებელ ქართველთა 50% ეროვნებასა და რელიგიას შორის ტოლობის ნიშანს დებს, 45,5% — არა; დანარჩებს პასუხი არ გააჩნია.

მათი რაოდენობა, ვინც თავს მორწმუნედ თვლის, პერესტროიკის შემდეგ დიდად გაიზარდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგალითად, 1978 წელს მორწმუნედ თავს სტუდენტობის 1% თვლიდა; 2000 წელს კი თავი მორწმუნედ 88,8%-მა გამოაცხადა, 6,2-მა — არამორწმუნედ, ხოლო 5-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა. მორწმუნე სტუდენტთა 97,5% მართლმადიდებელია, დანარჩენი — ისლამის, იუდაიზმის, კათოლიციზმისა და ბაპტიზმის მიმდევარი (თ. ფანჯიკიძე).

საქართველოს მასშტაბით (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით) მოქმედი რელიგიური გაერთიანებების სტატისტიკური გამოკვლევა პირველად თავისუფლების ინსტიტუტის დავალებით ჩატარდა: 2002 წლის გაზაფხულზე რელიგიურ გაერთიანებათა ხელმძღვანელი პირებისაგან ჩვენ მიერ მოპოვებულ იქნა ინფორმაცია წევრთა რაოდენობის შესახებ. შესაბამისი მაჩვენებლების შეფარდებამ 2001 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად დადგენილ რაოდენობასთან (4 452 100) ასეთი სურათი მოგვცა:

№	დასახელება	რიცხვი	მოსახლ. %
1.	«სომეხთა სამოციქულო ეკლესია»	200 000	4.0
2.	კათოლიკე	50 000	1
3.	ლუთერანი	700	0.01
4.	ბაპტისტი	6000	0.1
5.	ორმოცდაათიანელი	5000	0.1
6.	დუხობორი	1500	0.03
7.	მალაკანი	2000	0.04
8.	მე-7 დღის ადვენტისტი	400	0.0
9.	იეჰოვას მოწმე	15 000	0.3
10.	«ხსნის არმია»	800	0.02
11.	«ახალსამოციქულო ეკლესია»	700	0.01
12.	სხვადასხვა დასახელების ჯგუფები	მაქს. 300	0.0
13.	იუდეველი	10 000	0.2

14.	მუსლიმანი	500 000	11.2
15.	ეზიდი	30 000	0.7
16.	კრიშნაიტი	200	0.0
17.	ბაჰაიტი	500	0.01
	სულ	**823**	**100**

მაშასადამე, 2002 წლის გაზაფხულზე არამართლმადიდებლების საერთო რიცხვი 823 100 კაცს ანუ მოსახლეობის 18,5%-ს შადგენდა, შესაბამისად, მართლმადიდებლებისა — 81,5%-ს (სარწმუნოებისადმი გულგრილი ადამიანები თანამედროვე საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის პოტენციურ წევრებად განიხილებიან).

2002 წელს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსახლეობის რელიგიურობის ნიშნით აღწერა აწარმოა, რომლის შედეგები 2004 წელს გახდა ცნობილი. გაირკვა: საქართველოს იმ ტერიტორიის მოსახლეობა, რომელსაც მაშინ ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა, 4 375 535 სულს ითვლიდა; მართლმადიდებლად თავს 3 666 233, ანუ 83, 9% თვლიდა, კათოლიკედ — 34 727, ანუ 0,8%, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის წევრად — 171 139, ანუ 3,9%, იუდეველად — 3 541, ანუ 0,1%, მუსლიმად — 433 784, ანუ 9,9%, სხვა რელიგიური რწმენის აღმსარებლად — 28 631, ანუ 0,8%, ხოლო 28 631, ანუ 0,6% არცერთი რელიგიის მიმდევარი არ იყო. ამრიგად, არამართლმადიდებლების საერთო რაოდენობა (ათეისტების, ნიჰილისტებისა და აგნოსტიკოსების ჩათვლით) უკანასკნელი ოფიციალური მონაცემების მიხედვით 705 302, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 16,1%-ს შეადგენს.

სხვადასხვა სტატისტიკური გამოკვლევებიც, წარმოებული 2004-2008 წლებში, ადასტურებს, რომ მართლმადიდებელთა რიცხვი იზრდება. მცირდება, შესაბამისად, სხვა აღმსარებლობათა მიმდევრების რაოდენობა.

ნუგზარ პაპუაშვილი

წარმართობა საქართველოში

წარმართობაზე დღევანდელ საქართველოში მხოლოდ პირობითად შეიძლება საუბარი (ამიტომაც ამ სიტყვას ბრჭყალებში ვსვამთ სათაურში). ქვეყანაში, რომელმაც ქრისტიანობის თხუთმეტი საუკუნე გამოიარა, ძნელი იქნება რაიმე კვალის დადასტურება ისტორიული წარმართობისა, რომელიც წინ უძღოდა ქრისტიანობის შემოსვლას და რამდენიმე ხანს ამის შემდგომაც გრძელდებოდა ინერციით.

რა თქმა უნდა, ქრისტიანობის დამკვიდრება არ მომხდარა «მყისიერი» აქტით, კერპების ნგრევის «მეორე დღესვე», ეს იყო პროცესი, რომელიც გრძელდებოდა საუკუნეთა განმავლობაში და, გარკვეული აზრით, დღესაც არ დასრულებულა ადამიანთა ცნობიერებაში.

როდესაც წარმართობის პრობლემას ეხებიან, ძირითად რეგიონებად მხედველობაში აქვთ საქართველოს მთა, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი რეგიონები. დასავლეთში არის სვანეთი, ხოლო აღმოსავლეთში — ფშავ-ხევსურეთი, გუდამაყარ-მთიულეთი და თუშეთი თავისი ადგილობრივი რელიგიური ტრადიციებით. ამ ორ სფეროს შორის იმდენად დიდია განსხვავება, რომ ძნელი ხდება საუბარი საერთოქართულ (თუ — ქართველურ) წარმართულ სისტემაზე; აპრიორულად კი მიჩნეულია, რომ დასავლეთის და აღმოსავლეთის მთა ძირძველ რელიგიურ წარმოდგენებს და რიტუალებს ინახავს. მთის მოსახლეობის ყოფის, მისი ცნობიერების კონსერვატიულობა აქსიომად არის მიჩნეული. ისმის კანონზომიერი კითხვა: რა წარმომავლობის არის ის რელიგია, რწმენა-წარმოდგენები თუ რიტუალები და წეს-ჩვეულებები, რომელთაც ორივე მთიანეთი, ცალკე დასავლეთი და ცალკე აღმოსავლეთი, აღიარებს რწმენასა და პრაქტიკაში?

ორიოდე სიტყვა წარმართობის შესახებ. პირველ ყოვლისა, წარმართობა აბსოლუტურად უპირისპირდება მონოთეისტურ რელიგიებს. წარმართობა პრინციპულად მრავალღმერთიანობაა. ქრისტიანული თვალსაზრისით, ეს მრავალღმერთიანობა მეორეული წარმოშობისაა. სამოთხეში მყოფი ადამი, ბუნებრივად, მონოთეისტი იყო, სხვა ღმერთი მისთვის, გარდა მისი გამჩენისა, არ არსებობდა. სამოთხიდან განდევნის შემდეგ ადამმა და მის კვალზე მისმა მოდგმამ დაკარგეს ერთი ღმერთის რწმენა, ღმერთი დანაწილდა ბუნებაში, ბუნების მოვლენებში, თუმცა ერთი ღმერთის წარმოდგენა სავსებით არ გამქრალა. ქრისტიანობის თვალსაზრისით, კაცობრიობის ისტორია ადამის განდევნიდან ძველი აღთქმის მონოთეიზმამდე ერთი ჭეშმარიტი ღმერთის ძიების პროცესია.

მრავალღმერთიანობის გარდა წარმართობისთვის დამახასიათებელია ქალღმერთის კულტი, რომელსაც ხანგრძლივი წარსული აქვს, მისი ფესვები უხსოვარ დროში იკარგება. არც ერთი წარმართული რელიგიური სისტემა მის გარეშე არ არსებულა. ამას უამრავი არქეოლოგიური ძეგლი მოწმობს, მათ შორის, ქალისა და მამაკაცის

ფიგურები მკვეთრად გამოხატული გენიტალიებით მიუთითებს ნაყოფიერების კულტის წამყვან ადგილზე ძველ რელიგიებში, რამაც დიდხანს გასტანა და აქა-იქ დღესაც შეიძლება დადასტურდეს. ჩვენში ლაპარაკობენ ფალოსის კულტის არსებობაზე იმ გამოსახულებების საფუძველზე, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია შემორჩენილი. ერთი ასეთი ქვათახევის მონასტრის ტერიტორიაზე მოიპოვება. უშვილო დედაკაცები მიდიან იმ ქვასთან შესაწირავითა და აღთქმებით შვილიერების გამოსათხოვად. ეს უძველესი რელიგიური პრაქტიკა, როგორც ჩანს, მშვიდობიანად თანაარსებობს ქრისტიანული რელიგიის წმიდა ადგილზე. ფალოსის ქანდაკთან მიახლებულ უშვილო ქალს არაფერი უშლის ხელს ილოცოს ამავე თხოვნა-ვედრებით ღვთისმშობლის მიმართ. მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ეს რელიგიური სინკრეტიზმი ჯერ რელიგიური ცნობიერების ფაქტია, მერეღა — რიტუალური.

და მაინც, რელიგიურ-ისტორიული აზრი იქითკენ იხრება, რომ ამგვარი მოვლენები ხალხის საკულტო ყოფაში მეორეულ ფაქტებად ჩაითვალოს და არა ყოველთვის ძველი ისტორიული წარმართობის გადმონაშთად (თუ დღესდღეობით ნიადაგგამოცლილ გადმონაშთების თეორიას საერთოდ ვირწმუნებთ). მრავალი ფაქტი ხალხური რელიგიისა მოწმობს, რომ ქრისტიანობას ყველა ეტაპზე თან ახლავს პაგანიზაციის («გაწარმართების») განუწყვეტელი პროცესი. პაგანიზმი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან პაგუს — «სოფელი», პაგანუს — «სოფლური». ამრიგად, პაგანიზმი სოფლური რელიგიაა, რომელსაც მისდევს სოფლის ხალხი. სოფლური რელიგია დაუპირისპირდა ქალაქის ქრისტიანობას და ეს ტერმინიც ამ რეალობას ასახავს.

ძნელია ქართულ სინამდვილეში პაგანიზმზე, როგორც რელიგიურ სისტემაზე ლაპარაკი. როგორი სახე ჰქონდა მას საქართველოში, უცნობია. ერთადერთი საისტორიო წყარო, საიდანაც ჩვენ გვაქვს ერთგვარი, თუმცა მწირი, წარმოდგენა წარმართულ პანთეონზე, ქართლის მოქცევის ამსახველი ტექსტია, სადაც *არმაზი*, *გაცი* და *გაიმი*, *ზადენი*, *აინინა* და *დაინინა* (თუ *ინინა*) მიჩნეული არიან ქართლის მფარველებად, ნაყოფიერებისა და კეთილდღეობის გარანტებად. მათი კერპები მცხეთაში, მტკვარგაღმა, მაღალ მთაზე მდგარან და როგორც მცველები გადმოჰყურებდნენ ქალაქს. ხალხური გადმოცემები მათ შესახებ დუმან; არ ჩანს, რომ ისინი ისტორიის თვალსაწიერში კულტის ობიექტები ყოფილიყვნენ. მხოლოდ აქა-იქ მიკროტოპონიმებად შემორჩა მათი სახელები: *არმაზი* (მცხეთაში და სამცხეში), *ზადენი* — ადგილის სახელში *ზედაზენი* (ანუ *ზედა ზადენი*).

საქართველოში დღესდღეობით აქტუალურად პაგანიზმის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტული, არასისტემური გამოვლინებები შეიძლება დავადასტუროთ. პაგანიზმის გამოვლენაა, მაგალითად, ის, რომ ქსნის ხეობის ერთ სოფელში წმ. გიორგი მამრია, მეორეში — მდედრი და დღეობაზე მათი დროშებიც მათი სქესისდა მიხედვით დაეწყობოდნენ. პაგანიზებულია სოფ. ალმატის წმ. ბარბარესა და ნეკრესის წმ. გიორგის სასიყვარულო ურთიერთობა, რომელსაც რიტუალური გამოხატულებაც ჰქონდა (კახეთი). პაგანიზმის გამოვლენაა საქართველოს ბევრ კუთხეში გავრცელებული ჩვეულება *საღმრთოს* (*საღვთო*, *სახვთო*) სახელწოდებით, როდესაც ცალკეული ადამიანი, ოჯახი ან მთელი საგვარეულო, ზოგჯერ სოფელიც, კი შეუთქვამს ამა თუ იმ ქრისტიანულ წმიდანს საკლავს, ხარი იქნება თუ ცხვარი, ან მამალი, რომელთაც შეწირვამდე ეკლესიის გარშემო შემოატარებენ. სამაგიეროდ წმიდანისგან პრინციპით «დო უტ დეს» სამაგიეროს მოელიან. ეს ყოფითი ფრაგმენტი წმინდაწყლის პაგანიზ-

მია, მაგრამ სოფლის ცნობიერებაში იგი სავსებით უთავსდება ქრისტიანობას, რამდენადაც სისხლიანი მსხვერპლის შეწირვის რიტუალი, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ გააუქმა, ეკლესიის გალავანში ხდება. თუმცა ბოლომდე ვერ გამოვრიცხავთ ქრისტიანულ მომენტს ამ ჩვეულებიდან: მსხვერპლი არ იწირება ცოდ-ვის გამოსასყიდად, ანუ მას სოტერიოლოგიური ფუნქცია არ აკისრია, არამედ სამადლო-ბელია, რომელიც წინასწარ ან პოსტ ფაქტუმ შეიწირება. ქრისტიანობამ გააუქმა სისხლიანი მსხვერპლი, როგორც რიტუალი, მაგრამ პირუტყვის დაკვლას ლეგიტიმა-ცია დაუწესა. დღემდე ძალაშია და ეკლესიას მარაგად აქვს, თუმცა პრაქტიკულად ნაკლებად გამოიყენება, *კურთხევანის* ტექსტები, რომელთაც მღვდელი წარმოთქვამს პირუტყვის დაკვლისას (ტექსტი იხსენებს ძველაღთქმისეულ არქეტიპულ მსხვერპლ-შეწირვებს აბელისას, აბრაამისას და სხვათა). მიზანი ცხადია: საკლავი რომ კანონიერი იყოს, იგი კურთხეული უნდა იყოს (მკაცრი ქრისტიანული აზრით, სხვაგ-ვარად დაკლული პირუტყვის ხორცი არც იჭმევა). დღესასწაულებზე ეკლესიის გალავანში დაკლულ საქონელს ახლავს გარკვეული ლეგიტიმურობა, თუმცა დამკვ-ლელი, ჩვეულებრივ, საერო პირია (ზოგიერ კუთხეში ამ ფუნქციას ოჯახის ან გვარის უხუცესი წევრი ასრულებს, ზოგან უფლებამოსილი, საკულტო სტატუსის მქონე პირი, რომელიც სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი).

შეიძლებოდა კიდევ სხვა ტიპის რიტუალური ქმედებები მოგვეყვანა იმის საილუსტრაციოდ, რომ პაგანისტური ელემენტები შეჭრილია ჩვენი სოფლის რელი-გიურ-საზოგადოებრივ ყოფაში და, შეიძლება ითქვას, ბევრგან მისი განუყოფელი ნაწილია.

თუ ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ პაგანიზებულ ქრისტიანობაზე მთელი საქართველოს მასშტაბით, არის რეგიონი, რომლის მიმართაც ეს ხერხდება. ეს არის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებები ხევსურეთში, ფშავში, მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში, თუშეთში, სადაც პაგანიზებული ქრისტიანობა სის-ტემის სახით დასტურდება და დღემდე ძალაშია. ამაში ყველას შეუძლია ადვილად დარწმუნდეს, ორიოდე დღეს თუ მაინც გაატარებს ამ კუთხის რელიგიურ დღე-სასწაულზე. სისტემა ამ ერთ, ცალკე აღებულ დღესასწაულზეც საცნაური იქნება.

ტრადიციულად (დღეს მეტ-ნაკლებად) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ცალკეულ საყმოებად წოდებულ თემებშია გაერთიანებული. ესენი რე-ლიგიურ-საზოგადოებრივი გაერთიანებებია. საყმო ნიშნავს ერთი ბატონის გარშემო შემოკრებილ ადამიანთა ჯგუფს ყოველნაირი, მთაში შესაძლებელი, ინფრასტრუქ-ტურით. ბატონი, რომელიც ადგილობრივ დიალექტზე ღვთისშვილადაც ან ჯვარად იწოდება, საზოგადოების მფარველია, საზოგადოების თითოეული წევრი კი — ყმა. ეს ტერმინი, რომელიც ფეოდალური ურთიერთობებიდან არის ნასესხები, ორ რამეს ნიშ-ნავს: ყმას, როგორც დამორჩილებულს, რელიგიური მნიშვნელობით, და ყ(რ)მას, როგორც მფარველობაში მყოფს. ორივე ეს სტატუსი ყმისა — მორჩილება და მფარ-ველობაში ყოფნა — რელიგიური აზრის შემცველია. ყმა მორჩილებს ღვთისშვილს და, იმავდროულად, მისი მფარველობის ქვეშაა. აი, ამგვარი სტატუსის მატარებელ ყმათა გაერთიანებაა საყმო, როგორც უფრო მაღალი სტატუსის მქონე საფეხური. აღმოსავ-ლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებებში თითოეული ადამიანი რომელიმე ღვთისშვილის ანუ ჯვარის ყმაა, სხვანაირად ის დაკარგულია, როგორც ბოგანო, როგორც ძველი რომის *პლებსი*, რომელიც მოკლებულია წინაპართა რელიგიას და

კულტის გარეშე დგას. ამრიგად, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ *საყმო* შედგება პატრიციებისგან ანუ იმათგან, ვინც *იცის* მამების გზა და მონაწილეობს მამათა კულტში.

რას წარმოადგენს საყმოს ბატონი, ღვთისშვილი, ჯვარი? ეს უკანასკნელი სახელწოდება არაორაზროვნად ამხელს თავის ქრისტიანულ წარმომავლობას. ამ ზოგად სახელწოდებათა უკან კონკრეტული საყმო ხედავს კონკრეტულ წმიდანს — წმიდა გიორგის, ღვთისმშობელს ან მთავარანგელოზ მიქაელს, რომელთა საეკლესიო წარმომავლობა, აგრეთვე, უეჭველია. მათი სახელების ძლიერი ტაბუირების მიზეზით, განსაკუთრებით ეს წმინდა გიორგის სახელზე ითქმის, საკულტო ტექსტებში გამოყენებულია «ფსევდონიმები» — კოპალა და იახსარი. პირველი ქართული სიტყვაა და *კოპალის* ანუ კომბლის (ლახტის) მპყრობელს ნიშნავს, მეორე ოსურია და «ძლიერს» ნიშნავს. თითოეული საყმო ეყმობა ერთ რომელიმე ღვთისშვილს, რომელიც მორიგე ღმერთმა ჩამოგზავნა დედამიწაზე მათთვის დევებისა და სხვა ავსულების მოსაგერიებლად. მათვე მოუპოვეს საყმოებს ტერიტორია, რომელიც ადრე ადამიანების მეზობლად დევებს ეჭირათ. ტერიტორიის მოპოვებასთან, ანუ დევების განდევნასთან ერთად არსდება საყმო ანუ რელიგიური თემი თავისი სალოცავით (*ჯვრით*) და მისი ატრიბუტებით (საკულტო შენობები, კულტმსახურები, კულტმსახურების წესები, დღეობები და სხვ.). უნდა შევნიშნოთ, რომ ჯვარი ფშავ-ხვსურულ დიალექტზე ერთსა და იმავე დროს ნიშნავს როგორც მფარველ ღვთისშვილს, ასევე იმ არეს, სადაც დაარსებულია მისი სალოცავი.

უკეთ რომ წარმოვიდგინოთ საყმოს, ანუ რელიგიური თემის სტრუქ-ტურა, მივმართოთ კონკრეტულ საზოგადოებას, კერძოდ, ფშავისხევს, რომელიც მდებარეობს ფშავის არაგვის ხეობაში, მისი ზემოდინების გაყოლებით, ორწყლიდან ბოთანისწყლამდე.

როგორც სოფელი, სადაც დგას, დავუშვათ, წმ. გიორგის ან წმ. ბარბარეს ეკლესიები (ან ორივე ერთად) და სოფელი შემოკრებილია ამ ეკლესიების გარშემო, იგი არის მისი ეთნიკურ-რელიგიური და საზოგადოებრივი შუაგული, ასევე ფშავისხევის ერთი რომელიმე საყმო, ვთქვათ, გოგოლაურების თემი შემოკრებილია წმ. გიორგის (მთავარმოწამის) სალოცავის გარშემო, და სადაც არ უნდა იყვნენ გაფანტულნი (და დღეს ეს ასეა) თემის წევრები, აქ (ჯვრის კარზე) იკრიბებიან და ადასტურებენ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას და უხილავი პატრონისადმი ერთგულებას (ლოიალობას). ფშავის თორმეტი საყმო წელიწადში ერთხელ იკრიბება ლაშარის ჯვარში, რომელიც აერთიანებს მათ. აქ თორმეტივე საყმო ადასტურებს ერთმანეთისადმი სოლიდარობას. რელიგიის სოციალური ასპექტი თავს იჩენს საზოგადოებრივი დანაწილების ყველა დონეზე. ეს დონეებია: საყმო, საყმოს შემდეგ მასში შემავალი სოფლები, სოფლებში — საგვარეულოები, საგვარეულოებში — ოჯახები. თითოეულ მათგანს თავისი სალოცავი აქვს, რომელიც შეიძლება იმავე წმ. გიორგის სახელს ატარებდეს, ოღონდ ზედწოდება სხვა იყოს. ასე რომ, საყმოს თითოეული სრულუფლებიანი წევრი ერთსა და იმავე დროს ეკუთვნის აქ ჩამოთვლილ დონეებს როგორც თითოეული მათგანის სალოცავის, ჯვარის ყმა, დაწყებული ოჯახიდან ლაშარის ჯვრით დამთავრებული. საბოლოო, ყველაზე მაღალი ინსტანცია, როგორც ითქვა, ლაშარის ჯვარია, რომელიც თორმეტი თემის შემკვრელი და გამაერთიანებელი.

განსხვავებული სტრუქტურა აქვს ხევსურეთის საყმოებს. აქ ვერ შევხვდებით ლაშარის ჯვრის ანალოგიურ საერთოხევსურულ ჯვარს. ხევსურეთში რამდენიმე რელიგიურ-საზოგადოებრივი ცენტრია, მათ შორის, ვაჟა-ფშაველას პოემების წყალობით, ყველაზე ცნობილი გუდანის ჯვარია, რომელიც თავის გარშემო სხვადასხვა სოფლებში განსახლებულ სამ გვარს (არაბულს, ჭინჭარაულს და გოგოჭურს) იკრებს. მიუხედავად სტრუქტურული განსხვავებისა, რაც მხოლოდ საყმოების ურთიერთობას და ჯვართან მათ მიმართებას ეხება, საკულტო-რიტუალური სისტემა მთელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ერთია.

კულტმსახურების სათავეში დგას პირი, რომელიც სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებებით არის ცნობილი: *ხუცესი*, *დეკანოზი*, *ხევისბერი* (ეს უკანასკნელი ყაზბეგის რომანების წყალობით გავრცელდა). მას ჯვარი მოითხოვს ჭაბუკობის ასაკიდან, მისი ლეგიტიმაციისთვის აუცილებელია *მხარის განათვლა* საკლავის სისხლით წელიწადში ცხრაჯერ. თვითნებურად დადგომა ხუცესად, მისი ფუნქციების უზურპაცია, დაუშვებელია. ჯვრისავე მოთხოვნით ან კენჭისყრით რიგითი ყმა ხდება *დასტური*, დაბალი რანგის ფუნქციონერი, ხუცესის დამხმარე კულტმსახურებისას (რაც ქრისტიანულ ეკლესიაში დიაკვანს შეესაბამება). სტატუსით მასზე დაბალია შულტა, რომლის სამსახური ტექნიკური ხასიათისაა და ამიტომაც არ მოითხოვს იმ სიწმიდის დაცვას, რომელიც ჯერ ხუცესს და მერე დასტურს ევალება კულტმსახურებისას. ჯვარივე ირჩევს მისი წმიდა ჭურჭლის (თას-განძის, ადგილობრივი ტერმინოლოგიით) და ინვენტარის (მაგ., დროშის) შემნახველს და მატარებელს (მეგანძური, მედროშე). ყველაზე მაღალი რანგის სამსახურია ქადაგობა. რიგითი ჯვარის მოწოდებით ხდება *ქადაგი,* რომლის მოწოდება საყმოსთვის ჯვარის ნების გაცხადებაა, ამიტომაც არის მისი სტატუსი ხუცესისაზე მაღალი.

კულტმსახურების დაწყებამდე, დღესასწაულის მოახლოების პერიოდში, ხუცესი წმიდად ინახავს თავს (*წმიდობს*), იცავს აკრძალვებს, დადის გაუთელავი, თავისი საკუთარი ბილიკებით, ერიდება გარეშე ხალხთან ურთიერთობას ან განმარტოვდება სოფლიდან მოშორებით ქოხში, სადაც მას არასრულწლოვანი გოგონები უზიდავენ საკვებს. ჯვარში მისი ფუნქციაა საკლავის დაკვლა, რომელსაც წინ უძღვის სახუცო ტექსტების (*ხუცობანი*) წარმოთქმა, საყმოსგან შეწირული პირუტყვის *დამწყალობნება*, ჯვრისადმი თხოვნა, რომ მან მეოხება გაუწიოს მის კარზე შეკრებილ საყმოს (მლოცველს) *მორიგე ღმერთის* წინაშე. შესაწირავი პირუტყვი არის ხარი ან ცხვარი, არავითარ შემთხვევაში — თხა. ჯვარში მიაქვთ საგანგებოდ გამომცხვარი ქადები, რომელთა გასერვის შემდეგ ხუცესი მათ შეწირულად ჩათვლის. ეს არის უსისხლო მსხვერპლი, რომელიც, როგორც წესი, თან ახლავს სისხლიანს.

ხუცობანი წარმოითქმის *ხუცესის* მიერ საყმოს სახელით ანუ ამ დროს საყმო თავის სათხოვარს *ხუცესის* პირით გამოხატავს. ამრიგად, *ხუცესი* დგას საყმოსა და ჯვარს შორის. მას მიაქვს ჯვართან როგორც მსხვერპლი, ასევე სიტყვა. მიმართულება: ქვევიდან ზევით, ადამიანური სამყაროდან ჯვრის სამყაროსკენ. *ქადაგის* ფუნქცია საპირისპიროა. *ქადაგის* პირით ჯვარი მეტყველებს. ჯვარს ჩამოაქვს *მორიგე ღმერთის* გადაწყვეტილება: წყალობა ან რისხვა. ქადაგიც შუამავალია საყმოსა და ჯვარს შორის, მაგრამ მისი სიტყვის მიმართულება საპირისპიროა — ზემოდან ქვემოთ. ამის გამო *ხუცობათა* და *ნაქადაგართა* ტექსტები განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც

შედგენილობით, სტრუქტურით, ასევე ენობრივად. ის, რასაც ამ რეგიონებში *ჯვართ-ენას* უწოდებენ, არსებითად, *ნაქადაგარის* ენაა.

ხუცობის სამნაწილიანი ტექსტი (*სადიდებელი*, საკუთრივ *ხუცობა* და *კურთხევანი*) «ინკრუსტირებულია» ქრისტიანული ტექსტებიდან მომდინარე ელემენტებით — სიტყვებით, გამოთქმებით თუ ფრაზათა ფრაგმენტებით. აი, მაგალითები: «ააა, დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, რჯულ-ქრისტიან-თა, მზესა დ' მზის მყოლ ანგელოზთა. დიდება დ' გამარჯვება შენდა, ბატონო ხთიშო-ბელო...», «ხთისგან გამარჯვება შენი, წმიდაო ხთიშობელო, შენ გადიდას, შენ გაგიმარჯვას...». *კურთხევანის* ბუნდოვანება, ერთი შეხედვით, შეიძლება წარმართულ შრედ მოგვეჩვენოს, მაგრამ იგი ლიტურგიული ტექსტის ფოლკლორიზაციის თავისებური ნიმუშია: «დღესა ხსნილობა ჯვარსა კურთხეულობა კურთხეულჩია ღმერთია უფალია ასტა მარასტას უკუნის უკუნანდე ჩვენო მამაო მოვლილებულო რომელნი ხარ ცათაშია აგრე ხოყანაშია მოგვიშვი და მიგვიტიე პური ჩვენი არსობილ-თა» და მისთ. (საკმაოდ მოზრდილი ტექსტი ხუცესის მიერ წარმოითქმის სულმოუთქმელად როგორც, ერთი წინადადება).

დღესასწაულის განუყოფელი ატრიბუტია ლუდი, რომელსაც საგანგებოდ ადუღებენ ამ დღისთვის. მზადების პროცესი მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობად ითვლება, ამიტომაც იგი სიწმიდის პირობებში მიმდინარეობს. ცეცხლისთვის ფიჩხის მოტანა და სხვა ტექნიკური საქმე შულტას აბარია, რომელიც გარკვეული პერიოდით *წმიდობს*. მასზე მეტი სიწმიდის დაცვა ევალება დასტურს, რომელიც უშუალოდ ლუ-დის ხარშვის პროცედურას, როგორც წმიდა საქმიანობას, უძღვება. სალუდეში შესვლა, სადაც ის ტრიალებს მთელი კვირის განმავლობაში, ყველას ეკრძალება, თვით შულტასაც კი (ხუცესსაც კი, რომლის სიწმიდის ხარისხი ძალზე მაღალია, ერიდება იქ შესვლა).

ლუდი ჯვრის სახელზე მზადდება. მოდუღებული ლუდი დგას დახურულ კოდში, რომლის გახსნისთვის ხუცესი საგანგებო *ხუცობას* წარმოთქვამს (*კოდის გახსნა*). ამის შემდეგ საყმო, თითოეული ყმა, საგანგებო თასებით, რომლებიც ჯვარში ინახება როგორც ჯვრის საკუთრება, ეზიარება წმიდა სასმელს. ტერიტორია, სადაც საყმოა შეკრებილი დღესასწაულზე, ჯვრის ტერიტორიაა; ლუდიც და ჭურჭელიც ჯვრისაა. ამრიგად, ჯვარი მასპინძელია, საყმო — მისი სტუმარი.

გარდა რეგულარული დღესასწაულებისა, რომლებიც, ძირითადად, იმეორებენ საეკლესიო დღესასწაულებს (შობა, ნათლისღება, გიორგობა, აღვსება, პეტრეპავლო-ბა...) ხუცესს და მის დამხმარეთ მთელი წლის განმავლობაში უხდებათ საყმოს მომსახურება, იქნება ეს ყრმის (ყმის) ჯვარში გაყვანა, რათა იგი საყმოს სრულუფ-ლებიანი წევრი გახდეს ან ნიშნობა-ქორწილი, ჯარში წასვლა და ჯარიდან დაბრუნება, მოშუღარი გვარების შერიგება, გვარების შეერთება, მიცვალებულის დაკრძალვა თუ სხვა, საყმოს ცხოვრებაში მეტნაკლებად მნიშვნელოვანი შემთხვევები. ყველა ამ დროს დუღდება ლუდი, წარმოითქმის *ხუცობა*, იკვლება საკლავი, რის გა-რეშე ვერც ერთი მნიშვნელოვანი თავყრილობა ვერ ჩაივლის.

ყველაზე პოპულარული და ხალხმრავალი დღესასწაული, განსაკუთრებით, ხევსურეთში *ათენგენობაა*, რომელიც ნააღდგომევს, გარკვეული დროის შემდეგ,

იმართება, ანუ აღდგომაზეა მიბმული. ძველ ქრისტიანულ კალენდარში ამ დღეს წმ. მოწამის ათენოგენის სახსენებელია დადებული. ამ დღესასწაულის პოპულარობა არ არის გამოწვეული მისი სახელის მნიშვნელოვნებით, არამედ იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ დროს, გაზაფხულზე, მთაში გზები იხსნება და ბარად გაფანტულ საყმოს ნაწილს უკვე შეუძლია ეწვიოს თავ-თავის სალოცავებს (აღდგომას მთაში გზებზე ჯერ კიდევ თოვლი დევს და მიმოსვლა გაძნელებულია). ცხადია, გულუბრყვილობაა, ათენოგენის სახელს რომელიღაც წარმართულ ღვთაების სახელთან ვაკავშირებდეთ, მაგრამ ასეთი მცდელობა ყოფილა ჩვენს ლიტერატურაში.

ღვთისშვილთა დღეობების კალენდარი რომ ქრისტიანული წარმოშობისაა ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ გაზაფხულის დღესასწაულები პეტრეპავლობის დღეზეა მიბმული, იგი იწყებს, მაგალითად, ფშავში დღესასწაულების მთელ სერიას სხვადასხვა საყმოებში. საგაზაფხულო დღესასწაულები იწყება პეტრეპავლობის მომდევნო კვირას გოგოლაურთის ჯვარში (ქმოდის გორზე), მეორე დღეს (ორშაბათს) გადადის ლაშარის ჯვარში, სამშაბათს — თამარღელეში (თამარის სალოცავში), ოთხშაბათი უქმეა (საკლავი არ იკვლის), ხუთშაბათს კი იახსარში იწყება დღესასწაული, პარასკევს უქმეა და ა. შ., ვიდრე თორმეტივე სალოცავის გავლით არ ჩამოთავდება დღესასწაულები.

ერთი შეხედვით, თითქოს ამას ყველაფერს ქრისტიანობასთან მხოლოდ ფორმალური კავშირი აქვს. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ რაღაც წარმართობის კვალია, მით უმეტეს იმ წარმართობისა, რომელიც წმ. ნინოს დახვდა საქართველოში, კერძოდ, მთაში (ფხოვში). ყველაზე მართებული და ჭეშმარიტებასთან ახლოს იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ საყმოების რელიგიის სახით ჩვენ წინაშეა პაგანიზებული ქრისტიანობა, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი. ამას მოწმობს ხუცობათა ტექსტები, ღვთისშვილთა საკუთარი სახელები (წმ. გიორგი, ღვთისმშობელი, მიქაელ მთავარანგელოზი, კვირია), დღესასწაულთა სახელები და თარიღები. ამ შეხედულებას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ამ რელიგიაში სავსებით გამორიცხულია მრავალღმერთიანობა, თუ, რა თქმა უნდა, ღვთაებებად არ ჩავთვლით, როგორც ჩვენს ეთნოგრაფიაშია მიღებული, ღვთისშვილებს, რომელთაც საყმო არამც და არამც არ აღიქვამს ღვთაებებად, არამედ ერთი ღმერთის, *მორიგე ღმერთის*, შვილებად მიაჩნია ისინი, ასევე გამორიცხულია კერპთაყვანისმცემლობა, რომელიც წარმართობის დამახასიათებელი ნიშანია.

ძნელია განისაზღვროს ამ რელიგიური სისტემის შექმნის კონკრეტული ხანა. ყოველ შემთხვევაში, მისი აპოგეა მოდის XVII საუკუნეზე, როცა საყმოთა არსებობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორიაზე უკვე ფაქტია. მათი ცხოველმყოფელობა, როგორც რელიგიურ-საზოგადოებრივი თემებისა, ზურაბ ერისთავთან ბრძოლებში გამოიცადა, რაც ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით დასტურდება.

დღევანდელ პირობებში, როცა სეკულარიზაციის პროცესი შორს არის წასული, ამ სისტემას არსებითი ცვლილებები არ განუცდია. იგი დღემდე ფუნქციონირებს, ოღონდ შეკვეცილი სახით. ამის ერთ-ერთი მიზეზია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის) მოსახლეობის საგრძნობი კლება. საყმოთა არასაკმარი რიცხოვნება არ იძლევა კულტმსახურების სრულყოფილად და მრავალმხრივ წარმართვის საშუალებას. მაგრამ, რაც საინტერე-

სოა და საგულისხმო, ჯვარ-ხატთა სისტემა დღემდე ასრულებს სოციალურ როლს ამ რეგიონებში აქტუალურად მცხოვრები და საქართველოს სხვა კუთხეებში გაფან-ტული მოსახლეობის კონსოლიდაციაში. კულმინაცია ჯვარ-ხატებთან და ერთმანეთთან შეჭიდულობისა, რაც არსებობს მათ ცნობიერებაში, დღესასწაულებზე თვალსაჩინო ხდება.

ზურაბ კიკნაძე

აბრაამული რელიგიები

საერთო ძველსემიტური ტრადიციიდან აღმოცენებულ სამ მონოთეისტურ რელიგიას: იუდაიზმს, ქრისტიანობასა და ისლამს ერთი აბრაამული საწყისი აქვს. მათი წარმომავლობა სემიტური ტომის ლეგენდარულ პატრიარქ აბრაამს (არაბულად იბრაჰიმ) უკავშირდება.

ისინი აღიარებენ წინასწარმეტყველებსა და ძველ აღთქმას (თორას, თაურუ), რომელიც ადამიანის ღვთაებრივ დანიშნულებაზე სწავლებას შეიცავს. ეს სამი რელიგია აღიარებს ერთ ღმერთს, როგორც სამყაროს შემოქმედსა და ყოველი ადამიანის მამას, როგორც ღმერთს სიკეთისა, სიყვარულისა და სამართლიანობისა.

აბრაამულ რელიგიებს გამოცხადებისეულ და წერილობით რელიგიებსაც უწოდებენ, რადგან მათი სწავლება საღვთო გამოცხადებაზეა დაფუძნებული — ღმერთი ადამიანს ეცხადება და თავის ნებას გადასცემს. ამ კონტექსტში წმინდა წერილი საღვთო გამოცხადების ფიქსაციაა. საღვთისმეტყველო ენაზე გამოცხადება ადამიანისათვის შეუცნობელ, ღვთიურ საიდუმლოებაზე მიანიშნებს და ღვთაებრიობის მანიფესტაციას (გამოვლინებას) წარმოადგენს.

მიიჩნევა, რომ ყველა აბრაამული რელიგია ძველი ებრაელების მონოთეისტური რელიგიის ნიადაგზე წარმოიშვა, რომელიც გავრცელებული იყო ისრაელის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვით პირველი ათასწლეულის დამდეგამდე.

ახალი წელთაღრიცხვით I საუკუნეში ამავე ტერიტორიაზე სათავე დაედო ქრისტიანობას, რომელმაც იუდაიზმის რელიგიური საფუძვლები გამოიყენა, მაგრამ მისი კარდინალური რეფორმირება მოახდინა და მსოფლიოს წინაშე ზენაციონალურ, ახალ მოძღვრებად წარმოსდგა.

VII საუკუნეში არაბეთის ტერიტორიაზე აღმოცენდა ისლამი, რომელიც, გარკვეულწილად, იუდაიზმისა და ქრისტიანობის რელიგიურ მემკვიდრეობას ეყრდნობა, მაგრამ მათ ბუნებრივ გაგრძელებად და განვითარებად არ მოიაზრება. მუჰამედი, ისლამის დამაარსებელი, ამ რელიგიური სისტემების შემცვლელად აცხადებს ალლაჰის რელიგიას.

აბრაამული რელიგიების პირველი წერილობითი წყაროა თორა (ქრისტ. ხუთწიგნეული; არაბულად თაურუ). იგი ყველა ამ რელიგიის მიერაა აღიარებული,

ოღონდ განსხვავებული ინტერპრეტაციით. ქრისტიანული ტრადიციის ძველი აღთქმა თითქმის მთლიანად შეესაბამება ებრაულ თანახს. ისლამი მხოლოდ თორას, დავითის ფსალმუნებსა (ზაბურ) და სახარებას (ინჯილ) მიიჩნევს საღვთო წიგნებად, იუდაიზმის მიმდევრებსა და ქრისტიანებს კი წიგნის ხალხად (ალჰ ქითაბ) მოიხსენიებს.

იესო ქრისტეს ისტორიულობისა და ღვთაებრიობის საკითხი სხვადასხვაგვარად განიმარტება ქრისტიანობაში, იუდაიზმსა და ისლამში.

იუდაიზმი ქრისტეს მესიად არ მიიჩნევს, მით უმეტეს, არ აღიარებს მის ღვთაებრიობას. იუდაიზმში ქრისტე და სახარება უგულებელყოფილია.

ქრისტიანებისათვის იესო ქრისტე ღვთის ძეა, მამის თანაარსი, სამების მეორე პირი, მესია — ცოდვების გამომსყიდველი და კაცობრიობის მხსნელი. ქრისტე ახალი აღთქმის ქრისტიანული ეკლესიების თავია, სახარება კი საღვთო უწყებად განიხილება.

ისლამი აღიარებს ქრისტეს (არაბულად ისა) წმინდანობას, მის მესიანისტურ მიზანსა და ესქატოლოგიურ როლს (მაჰდი) და პატივს მიაგებს მას, როგორც ერთ-ერთ დიდ წინასწარმეტყველს. ისლამი ახალი აღთქმის რამდენიმე თეზისსაც იზიარებს, მაგრამ უარყოფს ქრისტეს ღვთაებრიობასა და მის თანასწორობას ალაჰთან. მუსლიმების წარმოდგენით, ქრისტეს მიეცა სახარება (ინჯილი), რომელიც ქრისტიანებმა უხეშად დაამახინჯეს.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აბრაამულ რელიგიებს შორის აქტიური დიალოგის პროცესი მიმდინარეობს.

იუდაიზმი

უძველესი მონოთეისტური რელიგიის სახელწოდება *იუდაიზმი* მოგვიანებით ჩნდება, მაგრამ მისი ფესვები ორი ათასწლეულის მიღმა ბიბლიურ წიგნებშია საძიებელი. იუდაიზმი იმთავითვე მჭიდროდ არის დაკავშირებული ებრაელი ხალხის ისტორიასთან, რომელიც ბიბლიურ წიგნებშია გადმოცემული. ამდენად, იუდაიზმი ისტორიული და ნაციონალური რელიგიაა, რომელმაც გამოხატა ებრაელთა სულისკვეთება, ყოფა, კულტურა, იმედები და მოლოდინები.

თავად ტერმინი «იუდაიზმი» მომდინარეობს იუდას (*იეჰუდა*) ტომის სახელწოდებიდან, რომელიც თორმეტი ტომიდან (ბენიამინის მცირერიცხოვან ტომთან ერთად) გადაურჩა ძვ. წ. 722 წლის კატასტროფას, როცა აშურის მეფემ ებრაელთა ჩრდილო სამეფო დაიპყრო და ხალხი აშურის სხვადასხვა ქალაქში გადაასახლა. ამიერიდან ებრაელმა ხალხმა არსებობა ერთი ტომის — იუდას — სახით განაგრძო. აქედან მოდის თნამედროვე ებრაელების სახელწოდება ევროპულ ენებზე — იუდეველი, რომელიც აღნიშნავს როგორც ეროვნებას, ასევე რელიგიურ აღმსარებლობას.

წიგნები

იუდაიზმი ეფუძნება ბიბლიურ წიგნებს — *თანახს (ქრისტიანული ტრადიციით ძველი აღთქმის წიგნები)*, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება. სახელწოდება *თანახ* წარმოადგენს აბრევიატურას, შედგენილს ამ სამი ნაწილის სახელწოდებათა პირველი ასოებისგან: თ — *თორა* (მოსეს რჯული ან ხუთწიგნეული), ნ — *ნაბიიმ* (წინასწარმეტყველნი), ხ — *ქეთუბიმ* (წერილნი, ქ ბგერა ხ-დ იცვლება ხმოვნის შემდეგ). მაგრამ იუდაიზმის სახე გამოკვეთა მთელმა წყებამ წიგნებისა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და, საბოლოოდ, განსაზღვრა ებრაელი ხალხის რელიგია, ყოფა და მენტალიტეტი.

სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული ებრაელობის რელიგიურ, საოჯახო და საზოგადოებრივ ცხოვრებას, გარდა რჯულის ფუძემდებლური წიგნისა (*თორა*), აწესრიგებს თაობიდან თაობამდე ზეპირად გადმოცემული *აგადა* (ლეგენდები ბიბლიურ პერსონაჟებზე, იგავები და შეგონებები, ფილოსოფიურ-თეოლოგიური მოსაზრებანი...) და *ჰალახა* (ავტორიტეტული ნორმატიული დებულებები). *აგადა* და *ჰალახა*, საბოლოოდ, ჩაწერილი იქნა და მათ შეადგინეს *თალმუდის* ერთი ნაწილი.

თორასთან ერთად იუდაიზმის ფუძემდებლური წყარო შეიქნა *თალმუდი* (ზოგადად, თორის კომენტარები, სიტყვა ნიშნავს «მოძღვრებას»), რომელიც წარმოადგენს მრავალი თაობის რელიგიურ-სამწერლო მოღვაწეობის ნაყოფს. მისი ძირითადი

ნაწილებია *მიშნა* («განმეორება»), ე. წ. ზეპირი თორა და *გემარა* («განსრულება»). *მიშნა* შედგება ბრძენთა ლაკონიური გამონათქვამებისგან, რომლებიც განმარტავენ თორის ამა თუ იმ ადგილს, ხოლო *გემარა*, თავის მხრივ, განმარტავს *მიშნას,* მის, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვან კომენტარებს და საგრძნობლად აღემატება მას მოცულობით.

ჰაინრიხ ჰაინეს ცნობილი სიტყვები, რომ ბიბლია ებრაელთა ჯიბის სამშობლოა, სწორედ თალმუდის ხანას და მისი შემდგომი ხანგრძლივი პერიოდის სულისკვეთებას ახასიათებს. შუასაუკუნეების ებრაელობის მთელი სულიერი ძალისხმევა იქით მიიმართა, რომ როგორმე თორის სიწმიდისათვის დრო-ჟამისაგან გამოწვეული შერყვნა აერიდებინა. *თალმუდი*, რომელიც თავისი ფართო მნიშვნელობით თორის ახსნა-განმარტებებია, სწორედ მის დასაცავად არის მოწოდებული.

ერი და რელიგია

აბრაამიდან ტაძრამდე (XX ს. ძვ. წ. — IV ს. ძვ. წ.). თანახი ისრაელის ღმერთს სამყაროს ერთადერთ შემოქმედთან აიგივებს. სამოთხედაკარგულმა კაცობრიობამ იგი ნელ-ნელა დაივიწყა. მონოთეისტური მრწამსი ახლიდან იღებს სათავეს გამოცხადებიდან, რომელიც ებრაელთა მამამთავარმა აბრაამმა მიიღო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის მესოპოტამიის ქალაქში, ხარანში ცხოვრობდა. ღმერთი აბრაამს კვლავ გამოეცხადა უკვე ქანაანში დასახლებულს და აღუთქვა, რომ მისი წიაღიდან დიდი ხალ-ხი გამოვიდოდა და ქანაანის მიწაზე დამკვიდრდებოდა. ისიც იყო ნაწინასწარმეტყველევი, რომ მისგან გამოსული მოდგმა უცხო ქვეყნის მონობაში მოექცეოდა, მერე თავს დააღწევდა მონობას და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლებოდა ქანაანს დამკვიდრება. ეს უცხო ქვეყანა ეგვიპტე იყო. ეგვიპტეში ხალხი, მართალია, გამრავლდა, მაგრამ აბრაამის ღმერთიც თითქმის დავიწყებული ჰყავდათ, რომ მოსეს (დახლოებით XIII ს. ძვ. წ.) არ შეეხსენებინა მათთვის აბრაამის, ისააკის და იაკობის — მათი წინაპრების ღმერთი. ღმერთი მას ახალი კუთხით გამოეცხადა: «მე ვარ, რომელიც ვარ». ამ სიტყვებით ღმერთი მოსეს თავის დაუსაბამობასა და მარადიულობასთან ერთად იმასაც მიანიშნებდა, რომ მასშივეა მისი არსებობის მიზეზი, განსხვავებით პოლითეისტური ღმერთებისა, რომელთა წარმოშობაზე ლაპარაკობდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მითოლოგიური გადმოცემები.

თანახი გვაუწყებს, რომ მოსეს წინამძღოლობით და ამ ღმერთის ხელშეწყობით, რომელშიც მოსემ შეიცნო არა მხოლოდ თავისი მამა-პაპის ღმერთი, არამედ სამყაროს შემოქმედი, აბრაამის მოდგმა სასწაულებრივად გამოვიდა ეგვიპტიდან და უდაბნოს გზით ქანაანისკენ გაემართა. მაგრამ ვიდრე ქანაანში შევიდოდა, მანამდე სინაის მთის ძირას ხალხმა მიიღო ღვთისგან რჯული — კონსტიტუცია, რომლის თანახმად უნდა ეცხოვრა მას ქანაანში და ყველგან, სადაც კი მოუწევდა ცხოვრება. პირველ ყოვლისა, ეს იყო ათი მცნება, რომელთაგან ოთხი ადამიანების ღმერთთან ურთიერთობას აწესრიგებდა, ექვსი კი — ადამიანთა შორის ურთიერთობას. იგი დღემდე ისე ჟღერს, როგორც მაშინ ჟღერდა — არც მიმატებია რამე და არც დაკლებია:

«1. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან. არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები..., 2. არ გაიკეთო კერპები და არ სცე მათ თაყვანი, 3. არ დაიფიცო ამაოდ უფლის, შენი ღვთის სახელი, 4. გახსოვდეს

შაბათი და წმიდად შეინახე სხვა დღეებს შორის, ექვს დღეს იმუშავე, მეშვიდე დღე კი უფლის დღეა, 5. პატივი ეცი შენს მამას და შენს დედას, 6. არა კლა, არ იმრუშო, 8. არ იქურდო, 9. არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი მოყვასის წინააღმდეგ, 10. არ ინდომო შენი მოყვასის არანაირი ქონება, არც ცოლი, არც ყმა, არც მხევალი...

ასე მკაფიოდ არც ერთი ხალხის კანონმდებლობაში არ განსაზღვრულა ადამიანის პასუხისმგებლობა ღვთისა და თავისი მოძმის, მერე კი საკუთარი თავის წინაშე. იუდაიზმის მიმდევრებს სწამთ, რომ ღმერთმა უფრო მეტი დააკისრა ამ ხალხს. სინაის მთიდანვე გამოუცხადა, რომ იგი «მღვდელთა სამეფო და წმიდა ხალხი იქნებოდა», ანუ ღმერთმა ეს ხალხი არა მხოლოდ იხსნა მონობიდან, არამედ გამოარჩია კიდეც სხვა ხალხებს შორის. მაგრამ ეს არ იყო აღზევება. რჩეულობა და სიწმიდე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მათ. *წმიდა* ნიშნავდა, რომ ისინი არ უნდა შერეოდნენ მრავალღმერთიანობის აღმსარებელ ხალხებს, რათა არ შეებღალათ ერთი ღმერთის რწმენა. მათ უნდა ეცხოვრათ იმ კანონებისა და წესების მიხედვით, რომელთაც ღმერთი უწესებდა.

ამგვარად, ეგვიპტიდან ამოსული «ჭრელი» ხალხისგან (ასეა ნათქვამი თანახში) სინაის მთის ძირას და შემდეგ უდაბნოში მოძრაობისას ქანაანისკენ მიმავალ გზაზე შეიქმნა არა მხოლოდ ერი, ერთიანი ხალხი — ეს საკმარისი არ იყო — არამედ ერთი ღმერთის მოწამე რელიგიური ერი.

რაკი იუდაიზმს მიაჩნია, რომ ის ღმერთი, რომელიც ებრაელთა მამა-პაპას გამოეცხადა მათი ისტორიის გარიჟრაჟზე, მთელი კაცობრიობის ღმერთია, სამყაროს შემოქმედი, მესიაც, რომელსაც ისინი ყოველდღიურად მოელიან, არა მხოლოდ ისრაელის მხსნელი იქნება, არამედ მთელი კაცობრიობისა. საბოლოოდ, ყოველი ხალხი აღიარებს მის ერთდერთობას და მისი თაყვანისმცემელი გახდება. საბოლოო ადგილი, სადაც ხალ-ხები უნდა შეეგებონ ღმერთს, სიონის მთაა, სადაც იქ ერთ დროს დავით მეფემ (ძვ. წ. XI ს.) თავისი სამეფო რეზიდენცია დააარსა. დავითი იყო ისრაელის ერთიანი სამეფოს მეფე. მისი სიკვდილის შემდეგ მეორე თაობაში სამეფო გაიხლიჩა და ეს დარჩა ხარვეზად ებრაელი ხალხის ისტორიას. გამთლიანების მოლოდინი დავითის სახელს დაუკავშირდა. მის შთამომავლობაში დაიბადებოდა მესია («ცხებული»), რომელიც ისრაელს ძველ დიდებას დაუბრუნებდა, დედამიწის ზურგზე გაფანტულთ შემოიკრებდა... ჭრილობებს შეუხვევდა მათ, დაფხრეწილ კარვებს შეუკეთებდა. სრულყოფილებით აღადგენდა რჯულს (რელიგიას), რომელსაც ზურგი შეაქციეს.

ტაძრის პერიოდი. ძვ. წ. 958 წ. დავითის ძემ, მეფე სოლომონმა იერუსალიმში, სიონის მთაზე ტაძარი აღმართა ერთი ღმერთის სადიდებლად. ტაძარში აღთქმის კიდობანი იყო დასვენებული, რომელშიც, თანახის გადმოცემით, რჯულის დაფები ინახებოდა. იუდაიზმის ისტორიაში ამით ახალი დრო დაიწყო — ტაძრის პერიოდი, რომელიც 1200 წლის განმავლობაში გაგრძელდა. მთელი ეს ხანი იერუსალიმის ტაძარი იუდაიზმის რელიგიური ცენტრი და ერთადერთი ადგილი იყო, სადაც მსხვერპლი იწირებოდა. VI საუკუნის დამდეგს ისრაელში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II შეიჭრა, იერუსალიმის ტაძარი დაანგრია და ებრაელთა უმრავლესობა ბაბილონში გადაასახლა. ამ ტყვეობაში წინასწარმეტყველმა იეზიკელმა, ისრაელის თეოკრატიული სახელმწიფოს აღორძინების იდეა განავითარა, რომლის საფუძველი,

დაბრუნების შემდეგ, იერუსალიმის ტაძრის ხელახალი მშენებლობა უნდა გამხდარიყო. მალე აქემენიდთა სპარსეთმა ასურეთი დაიპყრო, დევნილი ებრაელები იერუსალიმს დაუბრუნდნენ (VI-V სს. ძვ. წ.) და მეორე ტაძრის მშენებლობას შეუდგნენ. დაბრუნებულთა რელიგიურმა ლიდერებმა — ეზრამ და ნეემიამ იმათ, ვისაც ბაბილონი არ გაუვლია, ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობაზე უარი განუცხადეს და გარიყეს ისინი, რადგან მიაჩნდათ, რომ ამ ხნის განმავლობაში დარჩენილები წარმართობას იგემებდნენ და შეიგუებდნენ. უარყოფილთა ერთი ნაწილი, სამარიტელები, დღესაც ცხოვრობენ პალესტინაში.

ელინისტური ხანა (ძვ. წ. IV ს. — ახ. წ. II ს). ალექსანდრე მაკედონელის მიერ 332 წელს ისრაელის დაპყრობამ და მისი ელინისტური სამყაროს ნაწილად ქცევის სურვილმა, ბუნებრივია, იუდაიზმზეც მოახდინა გავლენა. ყველაზე სწრაფად ელინიზაცია სწორედ სასულიერო წოდებამ განიცადა, რომელიც ჯერ პტოლომეოსის, ხოლო შემდეგ სელევკიდების სამეფოებში შემავალი ებრაული თვითმმართველობის სათავეში იყო მოქცეული. მღვდელმთავრების ძალაუფლება სოფრიმთა — რჯულის მეცნიერთა წინააღმდეგობას წააწყდა. სოფრიმები თორასთან ერთად ზეპირ გადმოცემასაც ეყრდნობოდნენ. ისინი წინამორბედები იყვნენ ფარისევლებისა (*პერუშიმ*), რომელთა მოძღვრების ცენტრს შეადგენდა რწმენა, რომ ღმერთმა მოსეს ზეპირი რჯული წერილობითი რჯულის (თორა) გამოცხადებისთანავე აუწყა. ფარისევლებს თორის ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო კანონი სავალდებულოდ მიაჩნდათ. მათ ოპონენტებისგან — სადუკევლებისგან — განსხვავებით, რომლებიც რელიგიის არსს სატაძრო მსახურებაში ხედავდნენ, სწამდათ საღვთო განგებულება, ანგელოზთა შუამავლობა, სიკვდილის შემდეგ ღვთის სამსჯავრო და მიცვალებულთა აღდგომა. ფარისეველთა მოძრაობა ერთგვარი რეაქცია იყო ელინიზმზეც, რომელმაც ტაძრის, მისი მღვდელმსახურების, გარშემო შემოკრებილ სადუკევლებში შეაღწია. მიუხედავად იმისა, რომ იუდაიზში ამ დროს ტაძარი ისევ ცენტრალურ ადგილს ინარჩუნებდა, ახალი და უფრო ეგალიტარული ინსტიტუტი — სინაგოგა, რომელიც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბაბილონის ტყვეობაში წარმოიშვა, მეორე ტაძრის პერიოდში უკვე საყოველთაოდ იყო გავრცელებული როგორც ისრაელში, ასევე დიასპორაში.

რაბინთა პერიოდი (II-XVIII სს.). სელევკიდების მეფის, ანტიოქე IV ეპიფანეს დროს (ძვ. წ. 175-164 წლებში) იუდეველთა დევნას *კიდუშ ჰა-შემის* (სიტყვასიტვით: ღვთის სახელის კურთხევა) კონცეფციის კრისტალიზაცია მოჰყვა, რაც რწმენისთვის პირად თავგანწირვას გულისხმობდა და რომლის იდეურ-ფილოსოფიურ დასაბუთებას მაკაბელთა IV წიგნში ვხვდებით. მაკაბელთა (ჰასმონეები) აჯანყებით მოპოვებული ხანმოკლე პოლიტიკური დამოუკიდებლობა (142 ძვ.წ. — 6 წ. ახ. წ.) მალე რომაული ბატონობით შეიცვალა. იუდაიზმის თავისებურებების მიმართ პროკურატორთა ცინიზმმა, ზოგჯერ კი პირდაპირმა პროვოკაციებმა, ვითარების დაძაბვასა და რადიკალური ნაციონალურ-რელიგიური ოპოზიციის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ახ. წ. 67-68 წლებში რომის იმპერიული მმართველობის წინააღმდეგ გაჩაღებული ომისას იერუსალიმის ტაძარი ისევ დაინგრა (70 წ.). ბარ-კოხბას აჯანყებას (132-135 წწ.) ებრაელთა ხელახალი განდევნა მოჰყვა და იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტულმა ერმა მრავალრიცხოვანი დიასპორების სახით გააგრძელა ცხოვრება. რომაელთა წინააღმეგ აქტიური ბრძოლის მომხრეები ზომიერად განწყობილმა რელიგიურმა ლიდერებმა, რაბინებმა (*რაბი* — მოძღვარი) შეცვალეს.

რაბინთა თეორია და პრაქტიკა ტაძარს, სამღვდელო დასსა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას არ ეყრდნობოდა. მათი ყურადღება ახალ გარემოპირობებში ებრაელობის სათემო კულტურის — კეჰილას განვითარებასა და გაძლიერებაზე იყო გამახვილებული. რამდენადაც რომაელები ხედავდნენ რაბინთა ზომიერებას, მათ იმის ნებაც დართეს, რომ სინედრიონი და აკადემია (*იეშივა*) აღედგინათ. ამ დროისათვის ლოცვის, როგორც სატაძრო მსხვერპლშეწირვის ეკვივალენტის კონცეფციაც ჩამოყალიბდა; მსხვერპლშეწირვა პილიგრიმობით, საღვთო წერილის შესწავლით, ლოცვითა და მორალური ნორმებით შეიცვალა. მიზანი ის იყო, რომ ებრაელობა იმგვარ რელიგიურ თემად ქცეულიყო, რომელიც ნებისმიერ ადგილას შეძლებდა ღვთის წინაშე დგომასა და მის მსახურებას. ამიტომაც თორას შესწავლა იუდეველის უწმიდესი და უპირველესი მოვალეობა შეიქნა.

თალმუდის ეპოქა. ძვ. წ. II და ახ. წ. VI საუკუნეები თალმუდის ხანად არის მიჩნეული. ამ საუკუნეებში იუდაური კულტის სისტემატიზაცია და რიტუალიზაცია მიმდინარეობდა, რომლის აქცენტი სატაძრო ღვთისმსახურებიდან განჩინებათა სკრუპულოზური სისტემის შექმნაზე იყო გადატანილი. რაბინებმა შეიმუშავეს რელიგიური და საყოფაცხოვრებო ადათები — გალაჰა. მასში ისეთი დეტალებიც კია გათვალისწინებული, თუ როგორი ვარცხნილობა ან სამოსი უნდა ატაროს მორწმუნემ. ორთოდოქს ებრაელს დღესაც სწამს, რომ ნამდვილმა ღვთისმოსავმა ყოველდღიურობაში ამ განჩინებებით უნდა იხელმძღვანელოს. I-II საუკუნეებში რჯულის მოძღვრებმა (*თანაებმა*) ზეპირი თორა დაამუშავეს და მისი კანონიზაცია მოახდინეს, რომელიც იეჰუდა ჰა-ნასის მიშნამ დაასრულა (III ს.). მიშნა იუდაიზმის შემობრუნების წერტილი გახდა. იეჰუდა ჰა-ნასის კოდექსი საფუძვლად დაედო ებრაულ რელიგიურ და სამოქალაქო კანონმდებლობას და მომდევნო თაობის რჯულის მოძღვრების — ამორაების — განმარტების საგნად იქცა. ამორაების დისკუსიები გემარაში — მიშნას კომენტარებში — არის თავმოყრილი. ერთიც და მეორეც ერთობლივად შეადგენს თალმუდს. თალმუდის შექნით, შესწავლითა და გავრცელებით დაკავებულნი იყვნენ როგორც ისრაელში დარჩენილი, ასევე ბაბილონელი სწავლულებიც. სწორედ ამიტომ არსებობს ორი თალმუდი: იერუსალიმური და ბაბილონური.

გაონატი. ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში არაბების გაბატონების შემდეგ (VII-VIII სს.) ბაბილონის თემის სულიერი ლიდერები, გაონები, მთელი ებრაელობის უპირველესი რელიგიური ავტორიტეტები ხდებიან. მათი მოღვაწეობის შედეგად სწორედ ბაბილონური თალმუდი იქცა საყოველთაოდ მიღებულ საკანონმდებლო კოდექსად, რამაც შუა საუკუნეებში იუდაიზმის მთლიანობა უზრუნველყო. მაგრამ ზეპირი რჯულის უნივერსალურ კანონმდებლობად ჩამოყალიბებას რეაქციაც მოჰყვა: VIII საუკუნის დამდეგს კარაიმთა (ხაზართა სამეფოშიც კარაიმული იუდაიზმი იყო გავრცელებული) მოძრაობა დაიწყო, რომელიც ამ კანონის ღვთივსულიერებას უარყოფდა. კარაიმებთან პოლემიკას ბაბილონელი გაონები შეუდგნენ. მათ დაიწყეს მოკლე და გასაგები ჰალახური სახელმძღვანელოებისა და რჯულის საკითხებზე რესპონსების — წერილობითი პასუხების — შედგენა. ბაბილონელ გაონთაგან ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინომ — საგადიამ (X ს.) — იუდაიზმისა და ფილოსოფიის სინთეზს დაუდო სათავე.

შუა საუკუნეები. როცა ბაბილონური თემი შიდა კრიზისმა მოიცვა, სხვა ქვეყნებში — ეგვიპტეში, კაირუანსა (ტუნისი) და მუსლიმურ ესპანეთში — ბაბილონისგან დამოუკიდებელი იუდაისტური ცენტრების აღმოცენება დაიწყო. გაონატმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. მაგრამ საყოველთაო რელიგიური ხელმძღვანელობის არარსებობამ და იმანაც, რომ ებრაელობა ამ დროისთვის უკვე ორ ნაკადად — აშქენაზებად და სეფარადებად — იყო დაყოფილი, მაინც ვერ შეარყია შუა საუკუნეთა იუდაური რელიგიურობის ფუნდამენტური ერთობა. თავდაპირველად სეფარადებმა (სეფარადი — ესპანეთის ებრაული დასახელება შუა საუკუნეებში) ისლამურ ესპანეთში, ხოლო აშქენაზებმა (აშქენაზი — გერმანიის დასახელებაა შუა საუკენეების ებრაულ ლიტერატურაში) ფრანკო-გერმანულ მიწებზე მოიკიდეს ფეხი.

ამავდროულად, შუა საუკუნეებში პირველად — შესაძლოა ქრისტიანული და ისლამური თეოლოგიის გავლენითაც — იუდაიზმის ძირითადი პრინციპების ფორმულირების მცდელობა განხორციელდა. XII საუკუნის ცნობილმა ებრაელმა მოაზროვნემ და რაბინმა, მოსე მაიმონიდმა ანუ რამბამმა (1135-1204) იუდაიზმის ძირითად დოგმატებს მოუყარა თავი და სისტემატიზებული სახით გადმოსცა ვრცელ ტრაქტატში *მიშნე თორა* (თორის განმარტება), რომელიც ენციკლოპედიურ სახელმძღვანელოდ იქცა თორისა და თალმუდის შესასწავლად. ოთხი საუკუნის შემ-- დეგ რაბინმა იოსებ კარომ (1488-1575) თალმუდის განჩინებათა სისტემატიზაცია დაასრულა. მის მიერ შედგენილი კოდექსი *შულხან არუხი* (გაშლილი მაგიდა) ორთოდოქსულმა იუდაიზმმა თალ-მუდური სამართლის პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ აქცია.

ახალი დრო. ებრაელთა სამშობლოდან განდევნის შემდეგ იუდაიზმში მისტიკური მიმდინარეობები გავრცელდა საერთო დასახელებით კაბალა (გადმოცემა). კაბალიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ცენტრი XVII საუკუნეში გალილეის ქალაქ ცფათში ჩამოყალიბდა რაბინ იცხაკ ლურიას, ანუ არის (1536-1572) ხელმძღვანელობით. კაბალისტები თორისა და სხვა წმიდა წიგნების საკრალური აზრის წვდომას ცდილობდნენ, რაც, მათი აზრით, ღმერთისა და მისი განგების სიმბოლურ აღწერაში იყო ჩადებული. მათ განავითარეს მოძღვრება *სფირონის* — საკრალური ღმერთის ათი ჰიპოსტასის შესახებ, რომლის თანახმად, თითოეულ ჰიპოსტასს თავისი განსაკუთრებული თვისება გამოარჩევს. ეს თვისებები დინამიკურად თანაარსებობენ და მატერიალურ სამყაროს განაგებენ. კაბალისტები თავიანთ მთავარ თხზულებას *ზოჰარს* (ნათება) ისეთივე პატივს მიაგებენ, როგორსაც თორასა და თალმუდს. კაბალამ სხვა მისტიკური სკოლების განვითარებაზეც იქონია გავლენა, უპირველეს ყოვლისა, ხასიდიზმზე, რომელიც მე-18 საუკუნეში აღმოცენდა და ვოლინის, პოდოლისა და გალიციის ებრაელებს შორის გაიჩინა მიმდევრები (იხ. ქვემოთ).

XVIII საუკუნის მიწურულს გაჩნდა მოძრაობა *ჰასქალა* (განათლება), რომელმაც იუდაიზმის ევროპულ რეალიებთან ადაპტირება დაისახა მიზნად. ჰასქალა ორთოდოქსულ იუდაიზმს დაუპირისპირდა და რეფორმიზმის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. მაგრამ არაებრაულ მოსახლეობასთან ასიმილაციის შიშმა უკვე XIX საუკუნის დამდეგს ტრადიციული ორთოდოქსული იუდაიზმის გააქტიურება გამოიწვია.

მიმდინარეობები

ყველა მიმდინარეობა, რაც კი იუდაიზმში საუკუნეების განმავლობაში დღევანდლამდე შექმნილა, წმიდა წიგნებიდან იღებს სათავეს. წყარო ყველასთვის ერთია, ოღონდ მათი ინტერპრეტაციაა განსხვავებული. იუდაიზმის ქმნადობა განუწყვეტელი პროცესია და თავის წიაღში ხშირად ითავსებს ერთმანეთის საპირისპირო იდეებსა და ტენდენციებს. მას ახასიათებს მაქსიმალიზმი, მთელი მოძღვრების დაყვანა ერთ რომელიმე დებულებაზე, რომელიც სკოლის ემბლემად იქცევა. ჩვ. წ. III საუკუნის ბრძენი თალმუდში იუდაიზმის არსს გამოხატავს წინასწარმეტყველ აბაკუმის სიტყვებით: «მართალი კაცი თავისი რწმენით იცოცხლებს» (2: 4), ხოლო მეორე ბრძენი მოძღვარი — ჰილელი — მთელ რჯულს ასე განსაზღვრავს: «რაც შენთვის საძულველია, ნუ გაუკეთებ შენს თვისტომს». არსებობს კიდევ სხვა განსაზღვრებანი, მაგრამ არც ერთი მათგანი რელიგიურ დოგმად არ ქცეულა. შუა საუკუნეებში ევროპელი იუდაისტები ცდილობდნენ, ერთი მხრივ, ფილოსოფიური, მეორე მხრივ, მისტიკური დასაბუთება მიეცათ იუდაიზმისთვის. ასე წარმოიშვა ფილოსოფიური სისტემები (შლომო იბნ გაბიროლი, იეჰუდა ჰალევი, მოშე მაიმონიდი) და *კაბალა*.

დღესდღეობით იუდაიზმის ძირითადი მიმდინარეობებია: ორთოდოქსული იუდაიზმი, კონსერვატიული იუდაიზმი, რეფორმირებული იუდაიზმი, ხასიდიზმი, ნეტურეი კართა. არ არსებობს იუდაიზმის ერთიანი და საყოველთაოდ გაზიარებული დოგმატიკა. თალმუდში განსხვავებული თვალსაზრისები ჩვეულებრივი მოვლენაა. თალმუდის ბრძენები — *თანაები* და *ამორაები* — ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და კა-მათობენ. გარდა ამისა, იუდაიზმის მიმდინარეობები მერყეობენ მკაცრ რელიგიურობასა და სეკულარობას შორის.

ორთოდოქსული მიმდინარეობა თავის თავს თვლის იუდაიზმის არსის (როგორც რელიგიური, ისე საზოგადოებრივი თუ საოჯახო ყოფის მასაზრდოებელი იდეის) ერთადერთ მატარებლად. იგი ყალიბდებოდა შუა საუკუნეთა და ახალი დროის მიჯნაზე და საბოლოო სახე XIX ს-ის პირველ ნახევარში მიიღო. ორთოდოქსული მიმდინარეობა დაუპირისპირდა რეფორმატორულ მოძრაობას, როგორც შეურიგებელი მოწინააღმდეგე სეკულარიზაციისა და ემანსიპაციისა ებრაელობის ცხოვრებაში. ეს მიმდინარეობა «საეროთაგან» (*ხილონიმ*) განსხვავებით თავის თავს ასე მოიხსენიებს: «ღვთის მოსავნი» (*ადუკიმ*) და «რელიგიურნი» (*დათიმ*). ის ეწინააღმდეგებოდა ებრაელთათვის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების გაფართოებას და, აქედან გამომდინარე, საერთოდ, არა მხოლოდ ევროპულ, არამედ ებრაულ განმანათლებლობას (*ჰასქალა*), რაც მათი აზრით შეუთავსებელია ებრაელობის, როგორც ღვთის რჩეული ხალხის, თავად არსებობასთან. მათი აზრით, გეტოს გაუქმება გამოიწვევდა ებრაელთა სწრაფ ასიმილაციას და, საბოლოოდ, დაემუქრებოდა იუდაიზმს, როგორც მოძღვრებასა და ცხოვრების წესს. ამიტომაც მათი მესვეურნი იქამდეც მიდიოდნენ, რომ ადგილობრივი სახელმწიფო ენის შესწავლასა და გამოყენებაზეც კი უარს ამბობდნენ.

კონსერვატორული იუდაიზმი წარმოიშვა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. კონსერვატორები არ იყვნენ წინააღმდეგნი, რომ ებრაელობა ზიარებოდა დასავლურ სეკულარულ კულტურას და ჩართულიყო მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა გააზრებული ჰქონდათ, რომ ეს აუცილებლად გამოიწვევდა ცვლილებებს ებრაელობის რელიგიურ ყოფაში. იმ ისტორიულ ჭეშმარიტებასაც ხედავდნენ, რომ ისრაელის ცხოვრებაში ყოველთვის იყო პერიოდები, როცა აუცილებელი ხდებოდა რელიგიური კანონების მისადაგება შექმნილ სასიცოცხლო გარემოსთან.

კონსერვატორები ცდილობდნენ მოეხდინათ სინთეზი ტრადიციისა რეფორმებთან, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ *ჰალახის* პრინციპებსა და იუდაიზმის სულისკვეთებას, ანუ რეფორმები არ უნდა შეხებოდა რელიგიის ფუძემდებლურ პრინციპებს და შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ებრაული ენის ლიტურგიული სტატუსი, დაცული ყოფილიყო წმიდა-არაწმიდას კატეგორია და შაბათის სიწმიდე. ამ მიმდინარეობის მესვეურთა რწმენით, იუდაიზმი ცოცხალი და დინამიკური ორგანიზმია, რომელსაც აქვს უნარი გარესამყაროში მიმდინარე ცვლილებებისადმი შეგუებისა და ტრანსფორმაციისა ისე, რომ არ დაკარგოს თავისი მარადიული და უცვლელი არსი.

რეფორმისტული იდეების ცალკეული გამოვლინებები ახალ დროს ეკუთვნის. გააზრებული იქნა, რომ ებრაულ რელიგიაში ბევრი რამ არის ადამიანური წარმოშობის, რომ ადამიანებმა თავიანთი ნებით ბევრი დამატება შეიტანეს ღვთის გამოცხადებაში. ამიტომ აუცილებელია რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალის მისადაგება დროების სულთან, ებრაელობის, როგორც სახელმწიფოს მოქალაქეთა სტატუსის შეცვლა. პირველი ნაბიჯი რეფორმისკენ ამსტერდამში გადაიდგა, სადაც განხორციელდა ლიტურგიის რეფორმა: ამოღებული იქნა ყავლგასული ლოცვები და შემოღებული იქნა ქადაგება ჰოლანდიურ ენაზე. მაგრამ რეფორმიზმის ცენტრი მაინც გერმანია შეიქნა. ჯერ კიდევ მოშე მენდელსონი (1729-1786) აუცილებლად მიიჩნევდა ებრაელთაგან გერმანული ენის შესწავლასა და გერმანულ საზოგადოებასთან ებრაელობის ინტეგრაციას. იუდაისტური რეფორმაცია, ამრიგად, ემანსიპაციისა და განმანათლებლობის (*ჰასკალა*) იდეებს ეფუძნებოდა. გერმანიის ზოგიერთ სინაგოგაში გერმანულად იკითხებოდა ქადაგებები და იგალობებოდა საგალობლები. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთ სინაგოგაში ლოცვანიდან ამოიღეს ფრაზები მესიის მოლოდინზე, ებრაელი ხალხის ღვთივრჩეულობაზე, სიონზე დაბრუნებაზე, ანუ ყველაფერი, რასაც ნაციონალური და არა ზოგადსაკაცობრიო ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ორთოდოქსთა მხრიდან წინააღმდეგობისა, რეფორმისტული მოძრაობა მეტ-ნაკლები რადიკალიზმით გავრცელდა ავსტრიის, უნგრეთის, საფრანგეთის, დანიის, ინგლისის ქალაქებში. ბრიტანეთში რეფორმისტები უფრო შორს წავიდნენ: აღიარებდნენ რა *თანახს* (ბიბლიას), როგორც ღვთის სიტყვას, უარყოფდნენ თალმუდს, როგორც ადამიანურ შემოქმედებას.

რეფორმისტებს შორის არიან ჯგუფები, რომლებიც, მიუხედავად ორთოდოქსთა სასტიკი წინააღმდეგობისა, მხარს უჭერენ ქალთა ემანსიპაციას თვით იქამდე, რომ მოითხოვენ მამაკაცთა და ქალთა სრულ თანასწორუფლებიანობას რელიგიურ ცხოვრებაში, კერძოდ, სარწმუნოებასთან რაიმე შეუსაბამოს ვერ ხედავენ ქალის რაბინობაში.

მათი ლოიალობა ისრაელის სახელმწიფოს მიმართ შემდეგნაირად არის გამოთქმული: «ჩვენ ვაცხდებთ, რომ სოლიდარულნი ვართ ისრაელის სახელმწიფოსა და მისი ხალხის მიმართ. მათი გამარჯვებები ჩვენი გამარჯვებებია. მათი განსაცდელები ჩვენი განსაცდელებია. მათი ბედი ჩვენი ბედია». რეფორმიზმი ეყრდნობა თორის ფუძემდებლურ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანი შექმნილია ღვთის ხატებად და მსგავსებად და ამიტომაც თითოეული ადამიანის ცხოვრება, განურჩევლად აღმსარებლობისა, კურთხეულია. ამ კუთხით, რეფორმიზმის ერთ-ერთი პოსტულატია: «ჩვენ გვსურს ვიხილოთ ისრაელის სახელმწიფო თავისი მოსახლეობის სამოქალაქო, რელიგიურ და ზოგადსაკაცობრიო უფლებათა დამცველად, რომელ ეროვნებას და რელიგიასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი და ვესწრაფით სამართლიანი მშვიდობის დამყარებას ისრაელსა და მის მეზობლებს შორის». რეფორმისტებს აქვთ თავიანთი სინაგოგები და ჰყავთ რაბინები როგორც ისრაელში, ისე მის ფარგლებს გარეთ (ევროპაში, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში). რეფორმიზმის ცენტრი ისრაელშია, რომლის სათავეში დგას «ებრაელთა გაერთიანებული კოლეჯი» (Hebrew Union Coledge), რომელიც გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა ამზადებს რაბინებს, გარშემო იკრებს რეფორმისტულად განწყობილ ახალგაზრდობას და სხვ.

მიუხედავად აშკარად გამოკვეთილი სეკულარული ტენდენციებისა, რეფორმისტებს მიაჩნიათ, რომ ორი რამ ხელშეუხებელი რჩება იუდაიზმში: მონოთეიზმი და მორალური მცნებები. ხოლო ყველაფერი, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოსთან და ტაძართან, არაარსებითია და, ამდენად, წარმავალი ღირებულებისაა. რიტუალი ამ იდეების გამოხატვის მხოლოდ საშუალებაა, ამიტომაც იგი ცვალებადი ელემენტია იუდაიზმში. იდეა წარუვალია, საშუალება კი — წარმავალი. რაც შეეხება მესიანიზმს, რომელიც იუდაიზმს საუკუნეთა განმავლობაში გასდევს, რეფორმისტები მასში უნივერსალურ აზრს დებენ და იგი ვიწროეროვნული მნიშვნელობით აღარ ესმით.

ხასიდიზმი. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ევროპაში წარმოშობილმა თავისებურმა მისტიკურმა რეფორმისტულმა მოძრაობამ *ხასიდობამ* (ებრ. *ხასიდუთ*) ისრაელში გადაინაცვლა და დღესდღეობით ეზოთერული სახით განაგრძობს არსებობას. თავდაპირველად იგი მდაბიო, წერა-კითხვის სრულიად უცოდინარი ხალხის რეაქცია იყო თალმუდის წიგნური რელიგიისა და სიბრძნისადმი. მისი დამაარსებელი ისრაელ ბენ ელიეზერი (1700-1760) თუმცა არ უარყოფდა თალმუდს, ებრაული კულტურის ათასწლოვან ტრადიციებსა და რიტუალებს, მაგრამ ის ამბობდა, რომ შესაძლებელია მათ გარეშეც აღმოვაჩინოთ ჩვენს თავში ღვთის ნაპერწკალი, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანში მოიძევება. «უფალმა სიწმიდის ნაპერწკლები ჩადო ბუნების ყოველ ნივთში, ორ-განულშიც და არაორგანულშიც. მას სურს, რომ ადამიანმა გამოაკვესოს ეს ნაპერწკლები თავისი წმიდა საქმეებით და მათ წყარომდე აიყვანოს ისინი», — ხასიდობის დამაარსებლის ამ ფრაზებმა გამოხატეს ხასიდობის მთელი არსი. და კიდევ: «რასაც მე მივაღწიე, ლოცვით მივაღწიე და არა თალმუდის შესწავლით». ხასიდობამ ადამიანის პიროვნების განუმეორებლობას დასდო ფასი. თითოეული ადამიანის უნიკალობა და სიღრმე აღმოაჩინა ხასიდურმა მისტიკამ უბრალო ხალხში. თუ თალმუდი, როგორც კედელი, იცავდა იუდევლობის თავისთავადობასა და განსაკუთრებულობას, რომ იგი ხალხებში არ გათქვეფილიყო, ხასიდობას უნდა დაეცვა თითოეული პიროვნების თავისთავადობა და უნიკალობა.

ხასიდობა მოუწოდებდა ადამიანს, შეეცნო თავისი თავი, რათა სრულყოფილად გამოევლინებინა საკუთარი შესაძლებლობები ღვთის სამსახურში. ხასიდმა თავისი ინდივიდუალური გზა უნდა მონახოს ღვთისკენ. ხასიდი პასუხისმგებელია ღვთის წინაშე არა მხოლოდ საკუთარი პიროვნებისთვის, არამედ ყოველი არსებისთვის, მთელი ნივთიერი სამყაროსთვის. ის შუამავალია გამჩენსა და გაჩენილს შორის, რომელიც მან კვლავ ღმერთამდე უნდა აიყვანოს. ნივთიერ სამყაროში გაფანტული «ღვთიური ნაპერწკლები» ადამიანმა უნდა გაათავისუფლოს და აიყვანოს ქვედა საფეხურებიდან უფრო მაღალ საფეხურებზე, ვიდრე საბოლოოდ არ მიაღწევს ღმერთს, ვიდრე არ მიიღწევა სრული ერთიანობა შემოქმედსა და ქმნილებას შორის. თითოეული ხასიდი თავისი მოქმედებით, ღვთისადმი სრულყოფილი მსახურებით აახლოებს მესიის მოსვლის ჟამს. პიროვნული ხსნა ებრაელი ხალხის და, შესაძლოა, მთელი კაცობრიობის ხსნისკენ გადადგმული პირველი და აუცილებელი ნაბიჯია.

ნეტურეი კართა. ხასიდობის განაყოფია ულტრაორთოდოქსული თემი *ნეტურეი კართა,* ანუ «ქალაქის მცველნი», როგორც იწოდებიან თალმუდში თორის სრულყოფილად მცოდნენი და მისი მცნებების განუხრელი დამცველნი. მათ სხვაგვარად დათიმებს (*დათიმ*) უწოდებენ, რაც «რელიგიურებს» ნიშნავს. მცირერიცხოვნობის მიუხედავად (მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულ ოჯახს ითვლის), ისინი გამორჩეულნი არიან იუდაიზმში, როგორც რელიგიური ექსტრემისტები. ცხოვრობენ უპირატესად იერუსალიმში და ხასიდების მიერ დაარსებულ ქალაქ, ბნეი-ბრაკში. *ნეტურეი კართას* ღვთის მგმობელ ქმედებად მიაჩნია ისრაელის საერო სახელმწიფოს შექმნა და არ ცნობს მას, როგორც *ჰალახას* პრინციპების უარისმყოფელს. მათი რწმენით, ამგვარი სახელმწიფოს არსებობა აშორებს ქვეყანას და ხალხს მესიის მოსვლის ჟამისგან. ბევრი მათგანი არ აღიარებს არა მხოლოდ ისრაელის სახელმწიფოს, არამედ უზენაესი რაბინატის სასამართლოს იურისდიქციას, უარს ამბობს სახელმწიფოსგან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიღებაზე, რამდენადაც ღვთის გმობად მიაჩნიათ მისი მოქალაქეობა. *ნეტურეი კართა* იქამდეც კი მიდის, რომ აშკარად უჭერს მხარს პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციას, უფრო მეტიც: ისრაელის დამოუკიდებლობის დღე (14 მაისი) მათგან გლოვის დღედ არის გამოცხადებული; ამ დღეს ისინი დემონსტრაციულად წვავენ ისრაელის სახელმწიფოს დროშას და შეურაცხყოფენ მის სიმბოლოებს. ყოველგვარი სეკულარიზაციის მოწინააღმდეგენი, ისინი, კერძოდ, პროფანაციად მიიჩნევენ ებრაული ენის გამოყენებას ყოველდღიურ სასაუბრო ენად.

მიუხედავად ზოგჯერ რადიკალური განსხვავებებისა, იუდაიზმის ყველა მიმართულების (მიმდინარეობის) ცენტრალურ თეოლოგიურ და ეთიკურ თემებად რჩება: შენდობა, შაბათი, ისრაელის მიწა, თანახი (თალმუდთან ერთად), მესიანური იდეა.

დღეისათვის აშშ-ისა და ევროპის ებრაელთა უმრავლესობა რეფორმირებულ იუდაიზმს მიაკუთვნებს თავს, ხოლო ისრაელში უმრავლესობას ორთოდოქსები წარმოადგენენ.

მოძღვრება

იუდაიზმის მრწამსი ასეთია: არსებობს არარაობისგან სამყაროს შემოქმედი ღმერთი, რომელიც ერთია, უსხეულო, უხილავი, მარადიული; ღმერთი ხედავს თითოეული ადამიანის ფიქრებს და საქმეებს; ყოველი ადამიანის ლოცვა უშუალოდ მისკენ აღვალს, იგი სახელით ცნობს თითოეულ ადამიანს; ღმერთი წყალობს კეთილთ და სჯის უკეთურთ; არსებობს უკანასკნელი სამსჯავრო; მოვა მესია და მკვდრები აღდგებიან.

ეს არის იუდაიზმის ძირითადი პრინციპები, მაგრამ იუდაიზმის თავისებურება, სხვა რელიგიებისგან განსხვავებით, ის არის, რომ არ არსებობს ერთიანი მოძღვრება, რომელიც ამ პრინციპების ერთადერთ ინტერპრეტაციას მისცემდა მორწმუნეს. ერთნი, ორთოდოქსები, ფიქრობენ, რომ პრინციპები უცვლელია და აბსოლუტური; მეორენი, რეფორმატორები, ამბობენ, რომ ისინი დროთა ვითარებაში იცვლებიან; მესამეთათვის (ლიბერალებისთვის) ისინი მხოლოდ მითითებებია, რომელთა შესრულება-დაცვა ადამიანთა ნებაზეა დამოკიდებული. ადამიანს შეუძლია აირჩიოს, რომელს გაჰყვეს და რომელს — არა.

იუდაიზმის თანახმად, მსოფლიო ისტორია, ებრაელი ხალხის ისტორიის ჩათვლით, არ არის დაუსრულებელი პროცესი. ისტორიას აქვს მიზანი, მაშასადამე, დასასრული. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ქადაგებებში ქვეყნის დასასრულის ორი პერსპექტივაა გაცხადებული იმისდა მიხედვით, თუ როგორი მორალური სახით შეეგებება ადამიანი განკითხვის დღეს («უფლის დღეს»). წინასწარმეტყველი ამოსი (ძვ. წ. VIII ს.) ამბობდა: «ვაი, უფლის დღის მონატრულთ! რისთვის გსურთ უფლის დღე? ბნელია იგი და არა ნათელი!.. წყვდიადია და შუქის ნატამალი არ არის მასში». მაგრამ ესაია ხალხს აიმედებდა: «ვინც კურთხეული იქნება ამ ქვეყანაზე, ჭეშმარიტი ღვთისგან იქნება კურთხეული. ვინც მოფიცარი იქნება ამ ქვეყანაზე, ჭეშმარიტი ღვთის მოფიცარი იქნება. რადგან დავიწყებული იქნება წარსული სალმობანი და ჩემს თვალებს მიეფარება... რადგან, აჰა, შევქმნი ახალ ცას და ახალ მიწას, აღარ გაიხსენება წინანდელნი და ფიქრადაც არავის მოუვა... დღისით მზე აღარ გექნება მანათობლად და არც მთვარის ბრწყინვალება გაგინათებს: უფალი გეყოლება საუკუნო მნათობად და შენი ღმერთი — შენს დიდებად....». ადამიანის მართალი ცხოვრება, მისი ცხოვრებისეული ზნეობრივი აქტები მომავლის ჰარმონიას განაპირობებს, რომელიც სამოთხის ბაღში ადამის შეცოდების მიზეზით დაირღვა: «დადგება მგელი ცხვართან ერთად და ვეფხვი დაბინავდება ციკანთან ერთად. ხბო, ლომი და ნასუქალი პირუტყვი ერთად იქნებიან და ჩვილი ბავშვი წარუძღვება მათ...»

იუდაიზმში დამკვიდრდა ტრადიცია, არ გამოიყენონ ღმერთის სახელი ჩვეულებრივ მეტყველებაში. მას ცვლიან სიტყვით *ადონაი* (უფალი). ამ წესის დასამკვიდრებლად, წმიდა ტექსტების მცველები თანხმოვან ასოებს აწერდნენ სიტყვა იაჰვეს — ეს იყო გახმოვანების ნიშანი სიტყვისათვის *ადონაი*. აქედან გავრცელდა ტრანსკრიფცია *იეჰოვა*, დამახინჯებული ფორმა სიტყვისა *იაჰვე*.

მრწამსის ფორმულა გამოხატულია სიტყვებით: *შმა ისრაელ* («ისმინე, ისრაელ»). *შმა ისრაელ* მონოთეისტური იდეის გამომხატველი სიტყვებია თორიდან. ასე იწ-ყება ფრაზა: «*შმა ისრაელ*, უფალი, ჩვენი ღმერთი, ერთი უფალია» (რჯლ. 6:4). შმა-მ ებრაულ სულიერ ცხოვრებასა და ლიტურგიაში ერთ-ერთი ცენტრალურ ად-გილი დაიკავა. მისი კითხვა (*კრიათ შმა*) რელიგიურ მოვალეობად ჯერ კიდევ ახ. წ. III საუკუნეში იყო გამოცხადებული. ზეპირი კანონი ამ ბიბლიურ მოწოდებას ერთ-ერთ აღთქმად მიიჩნევს და ამის საფუძველზე მის წარმოთქმას ყოველ დილასა და საღამოს აწესებს. *მიშნა* განსაზღვრავს *შმა*-ს როგორც ერთი და ერთადერთი ღმერთის ერთგულების დეკლარირებას, როგორც მისი მსახურებისა და აღთქმების აღსრულების ვალდებულებას.

ადამიანი შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსებად. ეს დებულება ფუძემდებლურია იუდაისტური ანთროპოლოგიისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ისევე თავისუ-ფალია თავისი ნების (თავისი უფლების) აღსრულებაში, როგორც ღმერთი. უფრო კონკრეტულად ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავისუფალია არჩევაში კეთილსა და ბოროტს შორის, რომელთა გარჩევის უნარი მას მიეცა სამოთხეში ცოდვით დაცემის შემდეგ. მართალია, — ამბობს იუდაიზმი, — რომ ადამიანის გარკვეული ასპექტები (თვისებები, ნიჭი, პოტენცია, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვ.) დაბადე-ბიდანვე განსაზღვრულია გამჩენი ღვთის მიერ, მაგრამ ამ მონაცემთა წრეში ადამიანი სავსებით დამოუკიდებელია ზნეობრივ არჩევანში. ამიტომ იუდაიზმი თვლის, რომ ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია თავის საქციელზე.

იუდაიზმისთვის სინამდვილე ერთფეროვანი არ არის: უფალო, ჩვენო ღმერთო, — ლოცულობს იუდეველი შაბათის გასვლის ჟამს, — შენ ბრძანე, რომ გაიმიჯნოს ერთ-მანეთისგან წმიდა და სადაგი, ნათელი და ბნელი, ისრაელი და სხვა ხალხები, მეშვიდე დღე და საქმიანობის ექვსი დღე. როგორც გამოგვაცალკევე, უფალო, ღმერთო ჩვენო, ქვეყნიერების ხალხებისგან, ისევე გვიხსენი ბოროტი სატანისგან... ჭეშმარიტ იუდეველს ევალება გაარჩიოს (ე. წ. *ჰავდალას* ანუ გამიჯვნის პრინციპი) ყველა სფეროში წმიდა რიოშისგან, ყოველდღიურისგან, — ეს რელიგიური თვალსაზრისით, ხოლო ზოგადად, მთავარი და მნიშვნელოვანი მეორეხარისხოვანისგან და უმნიშვნელოსგან. რეალობის განსხვავებულ სფეროთა აღრევა ყველაზე ძნელი ასატანია იუდეველის ცნობიერებისთვის. ყველაზე არაბუნებრივი, რაც შეიძლება მოხდეს, ეს არის შეუთავსებელთა შეთავსება, ურთიერთდაპირისპირებულ მხარეთა კომპრომისი.

იუდეველს სწამს, რომ თუ მან მკაცრად დაიცვა *ჰავდალას* წესი, უფალი მოავლენს მესიას და ხსნას. ნათქვამია: მესია მაშინ მოვა, თუ მთელი ებრაელობა ორ შაბათს ერ-თმანეთის მიყოლებით დაიცავს.

ბიბლიური ეპოქიდან მოკიდებული, არ შეწყვეტილა მესიის მოსვლისა და მესიანური ჟამის მოლოდინი. ეს არის ებრაელ წინასწარმეტყველთა ძირითადი თემა, რომელიც განაგრძობს არსებობას იუდეველის რელიგიურ და, თუნდაც, ყოფით ცნობიერებაში. მესიის მოსვლასთან დაკავშირებულია ხსნა (*გეულა*). იგი გამოიხატება წმიდა მიწაზე ისრაელის დაბრუნებითა და იერუსალიმის ტაძრის აღდგენით, რითაც უფალი განასრულებს ყველა აღთქმას, რაც თავის რჩეულ ხალხს დაუდო. დაბრუნება (*თეშუვა*) იუდაიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მორალურ-რელიგიური კატეგორი-

აა. სიტყვა «დაბრუნება» გააზრებულია როგორც პიროვნების საყოველთაო აღდგენა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მის აწმყოს, არამედ მის წარსულს და მომავალს ერთჟამობაში. საბოლოოდ, დაბრუნების ჟამი უფლის მეუფების დამკვიდრების ჟამია. გარკვეული აზრით, იუდაიზმი ამ ჟამის განუწყვეტელი მოლოდინია. ეს ესქატოლოგიური თემა იყო მთავარი *მოტივი* წინასწარმეტყველთა ნაწერებში. ერთი ესპანელი პოეტი შუა საუკუნეებში სვამდა კითხვას: რატომ არ მოდის იშაის ძე? (იშაის ანუ იესეს ძე დავითია). იგივე კითხვა ძალაშია დღემდე. ებრაელთა იმედი დღემდე არ გადაწურულა. «იდიდოს და იწმიდოს მისმა დიადმა სახელმა სამყაროში, რომელიც შეიქმნა მისი ნებით. გაამეფოს თავისი მეფობა და აღმოაცენოს თავისი ხსნა, მოაახლოოს თავისი ცხებული თქვენს სიცოცხლეში, თქვენს დღეებში, მთელი ისრაელის სახლის სიცოცხლეში, დაუყოვნებლივ, უახლოეს ჟამს. წარმოთქვით: ამინ!» — მიმართავს კანტორი (მგალობელთა ხელმძღვანელი) შაბათის მწუხრზე სინაგოგაში შეკრებილებს.

ამქვეყნიური ცოდვებისთვის ადამიანს საიქიოში სასჯელი მოელის, მაგრამ სასჯელი უფრო განწმედის პროცესია, ვიდრე საბოლოო დასჯა. იუდაიზმში მიუღებელია სამუდამო ჯოჯოხეთის არსებობა. იუდაიზმი მიიჩნევს, რომ ადამიანს არ ძალუძს ისეთი ცოდვის ჩადენა, რომლისთვისაც მარადიულ სასჯელს დაიმსახურებს. ცოდვილის სული სალხინებელში იწმიდება, რათა ღმერთთან სიახლოვის ღირსი შეიქნას. ყველა ადამიანი თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით ღმერთთან სიახლოვის ხარისხს იმსახურებს. ამგვარად, სასჯელი სასურველიც კი არის ცოდვილი ადამიანისთვის — იგი გზას უხსნის მას სასუფეველში.

იუდაიზმი მკვდრეთით აღდგომას აღიარებს, რომლის წინასწარმეტყველებას ის იუდეველთა წმინდა ტექსტებში კითხულობს. დასამარებული, გახრწნილი და გაცამტვერებელი ძვლები სულთან კვლავ შეერთებას მოელის, თუმცა ამ თემაზე გარკვევით ჩამოყალიბებული აზრი იუდაიზმში არ არსებობს.

ამ რელიგიის უნიკალურობას ორი ურთიერთსაპირისპირო იდეა განსაზღვრავს: ეროვნული რჩეულობა და უნივერსალიზმი. სწორედ რჩეულობის შესახებ მოძღვრება გახდა დამაბრკოლებელი ფაქტორი იუდაიზმის გავრცელებისათვის სხვა ხალხებში, თუმცა ყოფილა შემთხვევები სხვა ეროვნების ადამიანთა და ზოგჯერ მთელი ეთნიკური ჯგუფების მიერ იუდაიზმის აღიარებასა.

დღესასწაულები

ყოველკვირეულ სადღესასწაულო დღედ ითვლება შაბათი. «აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდა ჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ყოველი თავისი საქმისაგან», — ნათქვამია თორაში. შაბათის დადგომა აღინიშნება სანთლების დანთებით, განსაკუთრებული კურთხევით და სადღესასწაულო ტრაპეზით პირველი სამი ვარსკვლავის ამოსვლისას პარასკევ საღამოს. შაბათს იკრძალება ყოველგვარი შრომა (ცეცხლის დანთებაც კი), ტრანსპორტით გადაადგილება და სიმშვიდის ყველანაირი დარღვევა. შაბათი იუდეველმა ლოცვებსა და თორის კითხვას უნდა მიუძღვნას.

იუდაიზმის მთავარი დღესასწაულები წარმოშობითვე ორგვარ ხასიათს ატარებს: ისინი აღნიშნავენ, როგორც წელიწადის სეზონების ცვლილებას, ისე ისტორიულ მოვლენებს.

ებრაული წელიწადის სამი მთავარი დღესასწაულია *ფესახი*, *შავუოთი* და *სუქოთი*, რომელთაც ტრადიციულად მომლოცველობის დღესასწაულები ეწოდება, რადგან მოსეს რჯული ყოველ ისრაელიანს ამ დღესასწაულებზე იერუსალიმის მოლოცვას და ტაძარში მსხვერპლის შეწირვას ავალებდა.

პესახი, რომელიც გაზაფხულის პირზე იდღესასწაულება, ებრაელი ხალხის ეგვიპტიდან გამოსვლის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღესასწაულია. გრძელდება ერთ კვირეულს. პირველი და მეშვიდე დღეები უქმეა, ისინი გათანაბრებულია შაბათთან (მხოლოდ საჭმლის კეთებაა დაშვებული), დანარჩენ დღეებში შეიძლება საქმიანობა, ოღონდ მცირეოდენი შეზღუდვებით. სადღესასწაულო დღეებში საფუარიანი საკვები აკრძალულია. პესახის ძირითადი რიტუალური წესია 7 დღის განმავლობაში მაცის ჭამა — განსაკუთრებული ბურღულეულით დამზადებული პურისა, ეგვიპტური მონობის მოსაგონებლად. 7 დღის განმავლობაში იკრძალება სახლში საფუარის შემცველი საკვების შენახვაც კი. პირველ და მეორე დღეს განსაკუთრებული ტრაპეზი იშლება — *სეგერი*, რომლის განმავლობაში ყოველმა ზრდასრულმა ებრაელმა 4 ჭიქა ღვინო უნდა იხმიოს. დღესასწაულის წინა საღამოს, როცა საზეიმო სუფრა გაწყობილია, ბავშვის კითხვაზე, თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს, ოჯახის უფროსი კითხულობს *აგადას*, სადაც ეგვიპტიდან გამოსვლის ამბავია მოთხრობილი.

შავუოთი (კვირეული) პასექიდან შვიდი კვირის თავზე სივანის (მაის-ივნისი) თვეში იდღესასწაულება. ტრადიციულად იგი ეძღვნება პურის მკის დასაწყისს, როცა პირველი თაველები შეიწირებოდა უფლისათვის. ამავე დროს, ეს დღეები დაუკავშირდა რჯულის (*თორის*) მიღებას სინაის მთის ძირას, სადაც ეგვიპტიდან ამოსული ისრაელიანები დროებით დაბანაკდნენ.

სუქქოთის (კარვობის) ასევე შვიდდღიან დღესასწაულს ორმაგი დატვირთვა აქვს: ამ დროს აღინიშნება მოსავლის აღება და იმ ისტორიული პერიოდის გახსენება, როცა უდაბნოში მოხეტიალე ისრაელიანები კარვებში ცხოვრობდნენ (ამის აღსანიშნავად ყოველი ებრაელის ოჯახი შვიდი დღით ნედლი შტოებისგან გაკეთებულ კარვებში ცხოვრობს). მედღესასწაულენი პირველ დღეს უქმობენ, დანარჩენი დღეები სადაგია.

ახალი წელი *როშ ჰაშანა* (წლის სათავე) იდღესასწაულება ებრაული კალენდრის პირველი თვის *თიშრის* (სექტემბერ-ოქტომბერი) პირველ ორ დღეს. ამ დღეებში ღმერთი განსჯის ადამიანს გასული წლის ქმედებებისთვის, ჩაწერს ან არ ჩაწერს მის სახელს სიცოცხლის წიგნში და განსაზღვრავს მის ბედს დამდეგი წლისთვის.

ახალი წლის დღეებს მოსდევს მარხვისა და მონანიების ათი დღე, რომლის კულმინაცია არის *იომ კიფური* ანუ «შენდობის დღე», როცა შესაძლებელია ახალი წლის დღეს გამოტანილი განაჩენის შეცვლა.

ხანუქა (სატფურება, განახლება) იდღესასწაულება ქისლევის (ნოემბერ-დეკემბერი) თვეში ბერძნებისგან შეურაცხყოფილი ტაძრის განახლების (ძვ. წ. II ს.) გასახსენებ-

ლად და იმ სასწაულის აღსანიშნავად, როცა ტაძარში აღმოჩენილი ერთი დღის სამყოფი წმიდა ზეთი რვა დღის განმავლობაში ენთო. დღესასწაულისას რვა დღის განმავლობაში სასანთლეზე (*მენორა*) თითო სანთელი ინთება.

ფურიმიც ისტორიული მოვლენის აღმნიშვნელი დღესასწაულია: ამ დროს, ადარის თვის (თებერვალ-მარტი) 14-15 რიცხვებში იკითხება «ესთერის გრაგნილი» (*მეგილათ ესთერ*), რომელიც მოგვითხრობს ებრაელი ხალხის სასწაულებრივ გადარჩენას სრული განადგურებისგან, რომელიც მას წილის ყრით (*ფურ* — წილი) განუმზადა სპარსეთის კარისკაცმა ჰამანმა.

როგორც ზემოთ ითქვა, იუდაიზმში მიღებულია მარხვის შენახვა და, როგორც წესი, ის ებრაული ისტორიის მძიმე ფურცლების გახსენებას უკავშირდება. მარხვის წესი დღის განმავლობაში, მზის ჩასვლამდე, სასმელსა და საკვებზე მთლიანად უარის თქმას გულისხმობს. ყველაზე მნიშვნელოვან მარხვებად მიიჩნევა *თიშა ბე-ავ* — პირველი და მეორე ტაძრის დანგრევის დღე, *ცომ გედალია* — გედალიას, იუდეის ბოლო ებრაელი მმართველის, მკვლელობის დღე (ძვ. წ. 186 წ.), *ასარა-ბე-თევეთ* — იერუსალიმის დაცემის დღე (ძვ. წ. 586 წ.) და *შივა-ასარ-ბე-თამუ* — რომაელთა მიერ იერუსალიმის დანგრევის დღე (ახ. წ. 70 წ.).

იუდაიზმში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია *ქაშრუთს* — საკვების აკრძალვის წესს. აკრძალულია ღორის ხორცის, არაწყვილჩლიქოსანი (ცხენი, ვირი) და უჩლიქო (კურდღელი) ცხოველების, მტაცებელი ფრინველების, უფარფლო თევზის საკვებად გამოყენება. სუფთა საკვებად მიიჩნევა ცხვარი, თხა, ძროხა, ოღონდ ხორცი განსაკუთრებული წესით უნდა იყოს მომზადებული: სისხლისგან მთლიანად უნდა გაიწმინდოს. არსებობს აგრეთვე აკრძალვა ხორცისა და რძის პროდუქტების, ბურ-ღულეულისა და ბოსტნეულის შერეულ მიღებაზე.

რიტუალთაგან ებრაელის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია *წინადაცვეთა,* რომელსაც ერთდროულად რელიგიური და ნაციონალური ხასიათი აქვს. დაბადებიდან მერვე დღეს წინადაიცვეთს ყოველი მამრი ღმერთსა და მას შორის აღთქმის ნიშნად. ამ დღეს ეძლევა მას სახელი. მოწიფულობის ასაკის მიღწევისას ებრაელი ბავშვი ხდება *ბარ-მიცვა* ანუ «მცნების ძე», რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე შეუძლია თორის მცნებათა აღსრულება. ამ დღეს, როცა მას 13 წელი და ერთი დღე უსრულდება, მიიწვევენ სინაგოგაში დამოუკიდებლად შედგენილი ქადაგებისა და თორის წასაკითხად და იგი ხდება ებრაელობის სრულუფლებიანი წევრი. ამიერიდან იგი პასუხისმგებელია თავის საქციელზე. გოგონასთვის *ბათ-მიცვას* («მცნების ასული») სტატუსი 12 წლისა და ერთი დღის ასაკში დგება. ამ დღეს გოგონა ლოცვების კითხვით სინაგოგაში ღვთისმსახურებაში მონაწილეობს. ეს დღე ოჯახშიც და სკოლაშიც აღინიშნება. ზოგან კი მის მამასაც და ძმებსაც იწვევენ სინაგოგაში თორის წასაკითხად. ხშირად ორივე ამ რიტუალის აღსრულებას შავუოთის დღესასწაულს ამთხვევენ.

თალმუდის ეპოქაში ებრაული ქორწინების წესიც ჩამოყალიბდა, რაც ნიშნობის (*კიდუშინ*), საქორწინო კონტრაქტისა (*ქთუბა*) და საქორწინო ცერემონიის რიტუალებს მოიცავს. ქორწინებას რაბინი აღასრულებს ორი მოწმის თანდასწრებით.

მსახურება

ტაძრის დანგრევამდე სატაძრო ღვთისმსახურების (რომლის ძირითადი კომპონენტი მსხვერპლშეწირვა იყო) უფლება მხოლოდ აარონიდების, აარონის (მოსეს ძმის) შთამომავლებს ჰქონდათ. აარონიდები სამღვდელოების უმაღლესი კატეგორიის კოჰანიმები (მღვდელ-მთავრები) იყვნენ. მათ ლევიტელები ემსახურებოდნენ, ლევის შთამომავლები. იერუსალიმის ტაძრის მსახური საზოგადოების გამორჩეულ კატეგორიას განეკუთვნებოდა. დღესაც მსახურთა შთამომავლები განსაკუთრებულ რიტუალურ ფუნქციებს ასრულებენ და გარკვეულ აკრძალვებს იცავენ. მაგალითად, კოჰანიმი არ უნდა იმყოფებოდეს იმ სახლში, სადაც მიცვალებულია, არ უნდა დაქორწინდეს ქვრივზე ან ქმარგაყრილზე და ა.შ.

იერუსალიმის პირველი ტაძრის დანგრევის (ძვ. წ. 686) შემდეგ ღვთისმსახურება კარდინალურად იცვლება. თუ ტაძრის არსებობის პერიოდში ღვთისმსახურების ძირითადი სახე მსხვერპლშეწირვა იყო, ამიერიდან, უტაძრობის პერიოდში, აქცენტმა წმიდა წერილის შესწავლაზე, კომენტირებასა და წიგნების კოდიფიკაციაზე გადაინაცვლა. ეს პროცესი განსაკუთრებით გაღრმავდა მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ (ახ. წ. 70 წ.). ებრაელობამ ამ კატასტროფის შედეგად დაკარგა ტაძარი, აღთქმული მიწა, მიწასთან ერთად სახელმწიფოებრიობა და იერუსალიმის ტაძართან დაკავშირებული კულტი. იამნიის აკადემიის დამაარსებელი ფარისეველთა სექტის უკანასკნელი წარმომადგენელი იოხანან ბენ ზაქაი ამბობდა, რომ იუდაიზმს შეუძლია ტაძრისა და პოლიტიკური ორგანიზაციის გარეშეც გააგრძელოს არსებობა.

ტაძრის დანგრევის შემდეგ რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად სინაგოგა იქცა. სინაგოგაში აუცილებლად უნდა იყოს სპეციალური სათავსო, რომელშიც თორის გრაგნილები ინახება, იგი ემიჯნება კედელს, რომელიც იერუსალიმისაკენ იყურება. დარბაზის ცენტრში არის ბიმი, ამაღლებული ადგილი მაგიდით თორის საკითხავად. სინაგოგის ატრიბუტებია: მენორა — შვიდსანთლიანი შანდალი, რომელიც იერუსალიმის ტაძრის შანდლის სიმბოლოა, ლომისა და არწივის გამოსახულებიანი კიდობანი თორის გრაგნილით, ქვის დაფები ათი მცნების საწყისი სიტყვებით და დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავი — *მოგენდავიდი*, რომელიც გადმოცემის თანახმად, მეფე დავითის ფარზე იყო აღბეჭდილი. რამდენადაც იუდაიზმში ღმერთს ხატება არ გააჩნია, საკრებულოში ღმერთისა და ასევე ადამიანის გამოსახვა აკრძალულია.

სინაგოგაში მსახურებისას ცენტრალურ ფიგურას *რაბი* (რაბინი) წარმოადგენს. სეფარადულ თემში კი ამ ფუნქციას *ხახამი* — რელიგიური ტრადიციის დიპლომირებული მცოდნე ასრულებს, რომელიც უფლებამოსილია დამოძღვროს კეჰილა, რელიგიურ სასამართლოში მიიღოს მონაწილეობა, ასწავლოს რელიგიურ სასწავლებელში. ორთოდოქსულ იუდაიზმში რაბინი მხოლოდ მამაკაცი შეიძლება იყოს, მაგრამ არაორთოდოქსულ ნაკადში ეს შესაძლებლობა ქალებსაც ეძლევათ. სინაგოგაში ღვთისმსახურების დროს ლოცულობენ ერთად და ინდივიდუალურადაც, კითხულობენ თორას, გუნდი კანტორის ხელმძღვანელობით გალობს. შაბათობით და დღესასწაულებზე იკითხება წინასწარმეტყველებები. ორთოდოქსულ სინაგოგაში ქალების ადგილი გამოყოფილია ან ისინი იარუსზე სხედან. რეფორმირებულ

სინაგოგაში ქალები და მამაკაცები ერთად სხდებიან. სინაგოგაში, როგორც წესი, სარიტუ-ალო განბანისათვის (*მიკვა*) ცალკე ადგილია მიჩენილი.

დღის განმავლობაში აუცილებელია დილის (*შაჰარით*), დღისა (*მინხა*) და საღამოს (*მაარივ*) მსახურება, რომლებიც სრულდება როგორც საჯაროდ სინაგოგაში, ასევე ინდივიდუალურადაც, სახლში. საჯარო ლოცვას რელიგიური ზრდასრულობის ასაკს მიღწეული სულ მცირე ათი მამაკაცი უნდა ესწრებოდეს. სატაძრო მსხვერპლშეწირვის მოსაგონრად შაბათობით და დღესასწაულებზე განსაკუთრებული ლოცვა — მუსაფი — იკითხება. სინაგოგის ღვთისმსახურებაში ცენტრალური ადგილი უკავია ლოცვას *შმონე ესრე* (18 კურთხევა). მსახურების მნიშვნელოვანი ნაწილია ასევე *კადიში* — მოსაგონარი ლოცვა, რომელიც ადამიანის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში გარდაცვლილის ვაჟმა უნდა აღავლინოს. დილის მსახურებისას ორშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით თორას თითო გრაგნილს კითხულობენ. მამაკაცები ლოცვისას სარიტულო სამოსით — თალესით — იმოსებიან (ეს არის თეთრი ფერის ოთხკუთხა ნაჭერი განსაკუთრებული ნახატით და გვერდებზე ფოჩებით), იხურავენ მრგვალ ქუდს (*კიპა*), იკეთებენ უსწორმასწორო ფორმის სალოცავ ქამარს. სადაგ დღეებში, დილის ლოცვისას, მორწმუნე შუბლსა და მარჯვენა ხელზე *თეფლინს* იმაგრებს, პატარა ყუთს, რომელშიც ლოცვის ტექსტი ინახება. სინაგოგაში ყოფნის დროს მამაკაცებისთვის თავსაბურავი აუცილებელია, უფრო მკაცრი იუდეველები მას ტაძრის გარეთაც ატარებენ.

იუდაიზმის გავრცელება

აღთქმულ ქვეყანაში საბოლოო დაბრუნების (*ალია*) რწმენა, რომელიც ვლინდება ყოველდღიურ ლოცვასა და პასქალურ სურვილში — «შემდეგ წელს იერუსალიმში!» სიონიზმის საფუძველს წარმოადგენს. სიონიზმი ისტორიულ სამშობლოში — პალესტინაში დაბრუნებისა და იქ ებრაული სახელმწიფოს აღორძინების იდეით გამსჭვალული ნაციონალურ-პოლიტიკური მოძრაობა იყო და არის. მისმა ფუძემდებელმა თეოდორ ჰერცლმა (1860-1904) 1896 წელს გამოსცა წიგნი «ებრაული სახელმწიფო», ხოლო 1948 წელს სიონისტური ორგანიზაციის აქტიური მოქმედების შედეგად შეიქმნა კიდეც სახელმწიფო ისრაელი.

ისრაელში იუდაიზმი სახელმწიფო რელიგიად არ არის აღიარებული (ანუ ის არ მიიჩნევა მოქალაქეთათვის სავალდებულოდ), მაგრამ, ამავდროულად, იგი სახელმწიფოსგან ბოლომდე არცაა გამიჯნული. მთელი რიგი საკითხებისა (ქორწინება, გაყრა, გარდაცვალება, გიიური — იუდაიზმის მიღება) უშუალოდ რელიგიურ უწყებათა პრეროგატივის სფეროში შედის. არის სხვა თემებიც, რომლებიც რელიგიური სასამართლოს, *ბეით დინის* მიერ განიხილება. ისრაელში გარკვეული კანონები გალაჰას საფუძველზეა დადგენილი.

ებრაელთა ყველაზე დიდი ჯგუფი ევროპელი ებრაელები — აშკენაზები — არიან. ისინი ევროპის მრავალ ქვეყანაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში სახლობენ. აშკენეზთა წიაღში აღმოცენდა სალაპარაკო ებრაული ენა იდიში. ებრაელთა მეორე მნიშვნელოვან ჯგუფს სეფარადები შეადგენენ. 1492 წელს სეფარადები ესპანეთიდან განდევნეს და ისინი ახლო

აღმოსავლეთის ქვეყნებში, თურქეთსა და ბალკანეთში დასახლდნენ. მათ შეინარჩუნეს ესპანეთში შეთვისებული წეს-ჩვეულებები და ენა ლადინო, რომელიც ძველი ესპანური ენის ბაზაზე შეიქმნა. მოგვიანებით ევროპელი ებრაელების საპირწონედ აზიურ ქვეყნებში მცხოვრები ყველა ებრაელი სეფარადად იწოდა. აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა სხვა თემებიც: ფალაშები — ეთიოპიაში, «შავი ებრაელები» — ინდოეთში, ესელონები — ჩინეთში და ირანელი ებრაელები.

სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემით ებრაელთა რაოდენობა მსოფლიოში 13 დან 14 მილიონამდე მერყეობს, მათგან 4,6 მლნ. ისრაელში ცხოვრობს, ერთ მილიონზე მეტი — ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. იუდაისტური ორგანიზებული თემები 80-ზე მეტ ქვეყანაშია. იუდაიზმის მიმდევრები მისიონერობას არ ეწევიან. იუდეველად მიიჩნევა ყველა ადამიანი, რომელსაც ჰყავს ებრაელი დედა ან სწამს იუდაიზმი რელიგიური ადათ-წესების დაცვით, ანუ სხვა სარწმუნოების ადამიანისათვის იუდაიზმის მიღება შესაძლებელია, თუმცა ეს საკმაოდ რთულია. არაებრაელი, რომელიც იუდაიზმს მიიღებს, მოქცევის რიტუალის გავლის შემდეგ ხდება ებრაელი და მას თავის არაებრაულ წარმომავლობაზე საუბარი ეკრძალება. გარდა ამისა, არსებობენ ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც იუდაიზმს აღიარებენ, მაგრამ ამავე დროს აცნობიერებენ ებრაელთაგან თავიანთ განსხვავებულობას. ესენი არიან სამარიტელები და ყარაიმები, ასევე იუდაიზმის მიმდევრები აფრიკაში (ეთიოპია, ზამბია, ლიბერია) ინდოეთში, ჩინეთში, ბირმაში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

იუდაიზმი საქართველოში

ძველი ქართული საისტორიო მწერ-ლობა ებრაელთა საქართველოში მოსვლას ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებასა და იავარქმნას უკავშირებს (ძვ. წ. 586 წ.). იეჰუდას სახელმწიფოდან ებრაელებს საქართველომდე მოუღწევიათ, მცხეთაში მისი მამასახლისისგან ხარკით მიწები აუღიათ და ძველი დედაქალაქის გარეუბანში, ზანავში დასახლებულან. მომდევნო პერიოდში საქართველოში დევნილ ებრაელთა კიდევ რამდენიმე ნაკადი შემოდის. მეორე ტალღა ახ. წ. I საუკუნეში რომაელი კეისრის იულიუს ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის დარბევის შემდეგ (ახ. წ. 70 წ.) ჩნდება. «მოქცევაი ქართლისაიზე» დაყრდნობით ზოგი ვარაუდობს, რომ ებრაელთა ერთი ტალღა საქართველოში ძვ. წ. 169 წელს ბარ-კოხბას აჯანყების დამარცხების შემდეგ შემოვიდა. IV საუკუნეში, მცხეთის გარდა, ებრაელებს ვხედავთ ურბნისსა და ბოდბეში, კოდისწყაროსა და ხობისში. VI საუკუნისათვის ისრაელიანთა კიდევ ერთი ჯგუფი, ბიზანტიიდან დაძრული, ჯერ დასავლეთ, ხოლო მოგვიანებით აღმოსავლეთ საქართველოში მკვიდრდება. ვარაუდობენ, რომ აქ X საუკუნეში, ხაზართა სამეფოს დაცემის შემდეგ, სლავი ტომებისგან დევნილი ხაზარი ებრაელების ერთი ნაწილიც დაბინავდა. XIX ს. დამდეგს თურქეთიდან არამეელი ებრაელები (ლახლუხები) შემოსულან. ამავე პერიოდში ებრაელები ირანიდან და ერაყიდანაც გადმოდიან. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები) აქ პირველად 1804 წლიდან გამოჩნდნენ.

აღსანიშნავია, რომ IV საუკუნეში რამდენიმე უბნად დაყოფილ ქალაქ მცხეთის იმ ნაწილს, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, «უბანი ჰურიათა» ეწოდებოდა. აქ მათ ძველთაგანვე ჰქონდათ თავიანთი რელიგიური ცენტრები, ე.წ. «ბაგინი ჰურიათა». ეს

ბეით-ქნესეთები (სინაგოგები) იყო. მემატიანენი მიუთითებენ, რომ ქართლის იმდროინდელ მოსახლეობაში თანაბარი უფლებით გავრცელებულ ექვს ენას შორის ებრაულიც ყოფილა, თუმცა ამის მიუხედავად საქართველოს ებრაელობამ ადრევე შეითვისა ქართული ენა და იმთავითვე ეზიარა ქართულ ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს. «მოქცევაი ქართლისაში» ხაზგასმულია იერუსალიმისა და ებრაელთა განსაკუთრებული როლი საქართველოში მონოთეიზმის იდეის გავრცელებისა და საქართველოს გაქრისტიანების საქმეში. «მოქცევაი ქართლისაის» მიხედვით, მცხეთელი ებრაელი ქალი სიდონია ქართული ეკლესიის პირველი წმინდანია, ხოლო ქართველი ებრაელი ელიოზ მცხეთელი — ქრისტეს კვართის ჩამომტანი საქართველოში. ამავე ქრონიკაში ნათქვამია: წმ. ნინომ, როდესაც ქართლში მოვიდა, პირველად ებრაელთა სინაგოგას, ბაგინად წოდებულს, მიაკითხა, რადგან მათი ენა, არამეული, იცოდა. იგი იქ რამდენიმე ხანს დარჩა და ამ ქვეყნის «ძალს განიცდიდა». ეს ნიშნავს: იუდეველები უკვე ისე იყვნენ ქართულ სინამდვილეში ინ-ტეგრირებულნი, რომ უცხოელს, მათთან სტუმრად მყოფს, ამ სინამდვილის ობიექტურად აღქმა შეეძლო. იმავე წერილობითი ძეგლიდან ჩანს, რომ მოციქულთა სწორმა პირველად ებრაელები გა-აქრისტიანა.

26-საუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანაცხოვრებამ შექმნა ქართველი ებრაელის ფენომენი. იგი სიმბოლურად ორი ერის შვილია: ქართულ მიწას ამუშავებს, ქართუ-ლად მეტყველებს, ქართულ სახლს აშენებს და იმავ დროს მტკიცედ იცავს იუდაური ცხოვრების წესს. ებრაული, მათი მშობლიური ენა, რომელზეც დაწერილია ბიბლიის წიგნები, განაგრძობდა არსებობას სწავლულ რაბინთა წრეებში. ამ ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურება ებრაულ სალოცავებში. ბეით ქნესეთი და მისი ეზო ყველა ჭირთათმენისა და სიხარულის ადგილი იყო ებრაელთათვის. ჯამაათის (ებრაული თემი, *კეჰილა*) ზრდასთან ერთად, ქალაქებსა თუ სხვა სახის დასახლე-ბებში, მატულობდა სალოცავების რიცხვიც.

VIII-IX საუკუნეებში რაბინულ-თალმუდისტურ და ყარაიმულ მიმდინარეობათა დაპირისპირებამ საქართველოს ებრაელობაშიც ჰპოვა გამოძახილი. IX საუკუნეში საქართველო აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ხაზართა სამეფოს ესაზღვრებოდა, რომლის ელიტამაც, როგორც ჩანს, VIII საუკუნის 40-იან წლებში მიიღო იუდაიზმი. საქართველოში იუდაიზმის გავრცელებაში ყარაიმული მიმართულების ხაზართა წვლილზე ზუსტი ცნობები არ შემორჩა, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ X საუკუნის შუა ხანებში ხისდან იბნ შაფრუთს ხაზართა მეფესთან საქართველოს გავლით უნდოდა წერილი გაეგზავნა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ IX სა-უკუნის მიწურულს საქართველოში იუდაისტური ჯგუფი წარმოიქმნა, რომელიც *გალახას* ზოგიერთ პუნქტს უარყოფდა, მათ შორის სქესობრივ ცხოვრებასთან და საკ-ვების აკრძალვასთან დაკავშირებულ დებულებებს. ჯგუფის დამფუძნებელი აბუ-იმ-რან მუსა (მოშე) თბილისში ბაბილონიდან ჩამოსულა. მისი მიმდევრების რე-ლიგიური თემი, რომელმაც 300 წელზე ოდნავ ნაკლები იარსება, ებრაულ წყაროებში «თბილისურ სექტად» არის მოხსენიებული. მკაფიოდ ერთი შეიძლება ითქვას: საბოლოოდ ქართველი ებრაელები თალმუდისტური იუდაიზმის ერთგულნი დარჩ-ნენ.

ადრე შუა საუკუნეებში საქართველოს ებრაელები, როგორც ჩანს, ძირითადად ირანის ებრაულ თემთან იყვნენ დაკავშირებული, რომლის მეშვეობითაც აღმოსავლეთის

ებრაელობის რელიგიურ ცენტრთან, ბაღდადთან, ინარჩუნებდნენ ურთიერთობას. ბენიამინ ტუდელი XII საუკუნის 70-იან წლებში წერდა: საქართველოდან ებრაელები ჩამოდიან ხოლმე ბაბილონში, ექსილარხთან, «რათა მისგან ხელდასხმა და მფარველობა მიიღონ და მისთვის ძღვენიც მოაქვთ». რეგენსბურგელი პთახის სამგზავრო ჩანაწერებიდან (XII ს.) შეიძლება დავასკვნათ, რომ «არარატის მხარის» (ანუ ამიერკავკასიის) ებრაელთა ნაწილი იმ დროისთვის სხვა ქვეყნებში გადასულა. ეს ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ბაღდადში ყოფნისას მან «თავისი თვალით» იხილა «მეშეხთა მიწის» მთავრის მიერ წარმოგზავნილნი, რომელთაც უთქვამთ, რომ «მეშეხთა მთავარი და მთელი მათი მიწა გაებრაელდა». იგი აღნიშნავს, რომ მეშეხთა შორის იპოვებიან მოძღვრები, რომლებიც «მათ (მეშეხებს) და მათ შვილებს თორასა და იერუსალიმურ თალმუდს» ასწავლიან. საეჭვოა, «მეშეხებში» პთახი მესხებს გულისხმობდეს, რადგან პარალელურ წყაროებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომ მესხობა ან თუნდაც მისი ნაწილი იუდაიზმს ეზიარა.

მარკო პოლო თბილისში იმ დროს შემოვიდა (1272 წელს), როცა ქალაქი მონღოლების უღელქვეშ იყო მოქცეული. მოგზაური გადმოგვცემს, რომ ის აქ ებრაელთა ერთობ მცირერიცხოვან ჯგუფს შეხვდა. ამ დროისთვის ებრაელების ნაწილი მონღოლთა მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან უფრო თავისუფალ დასავლეთ საქართველოში გადასულა და იქ ახალი თემები ჩამოუყალიბებია. XIV საუკუნეში ებრაული თემი მომძლავრებულა ქალაქ გაგრაში, რაბი იოსებ თბილისელის თაოსნობით. ამ პერიოდში გაგრაში ცხოვრობდა სწავლული ფილოლოგი რაბი იეჰუდა ბენ იაკობიც, ავტორი (ან უფრო გადამწერი) ებრაული გრამატიკისა, რომელსაც ყარაიმული გრამატიკული სკოლის გავლენა ეტყობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მონღოლების ზეწოლის გამო ებრაელების ნაწილი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან სხვადასხვა ქვეყნებში გადასახლდა. XIV საუკუნის დამდეგს ქალაქ თავ-რიზში (თებრიზ, ჩრდილო-დასავლეთ ირანი) მოღვაწეობს იუდაიზმის კანონების მცოდნე იეშაიაჰუ ბენ იოსებ თბილისელი, რომელსაც 1330 წელს «სეფერ გან ედენ» («სამოთხის წიგნი») დაუწერია.

ამ ეპოქიდან ჩვენამდე უმნიშვნელოვანესმა ებრაულმა ხელნაწერებმა მოაღწია. X საუკუნით თარიღდება ლაილაშის (ლეჩხუმი) სინაგოგის თორის ცნობილი ხელნაწერი, რომელიც იქ 1930 წლებამდე ინახებოდა. მას ქართველ ებრაელებთან ერთად ქრისტიანული მოსახლეობაც სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდა. გარდა ამისა, ჩვენამდე შემორჩენილია ე. წ. ბრეთის ანუ ავალიანთ (ავალიშვილების) ბიბლია (გადაწერილია ქ. სალონიკში, 1513 წელს. სულთან სელიმ I-ის მეფობის დროს, იეჰუდა გედალიას ოჯახში, ვინმე ყაზრიელის მიერ).

გვიანფეოდალურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელთა ძირითად სამოსახლო პუნქტებს წარმოადგენდა: სურამი, ახალდაბა, ალი, ბაზალეთი, არაგვისპირი, ცხინვალი, ატენი, თამარაშენი, ძეგვი, ზანავი, ხერკი, მეტეხი, კასპი, მუხრანი, კავთისხევი და მთელი ტერიტორია არაგვისა და მტკვრის შეყოლებით; სამცხე-ჯავახეთში — ფანასკერტი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე; კახეთსა და ქიზიყში — ბოდბისხევი, ზემო ხოდაშენი, ველისციხე, ურიათუბანი, საგარეჯო; დასავლეთ საქართველოში: იმერეთში — ქუთაისი, ვანი, კულაში; სამეგრელოში — ფოთი, ბანძა, სენაკი; რაჭა-ლეჩხუმში — ონი, ლაილაში, ხოტევი; გურიაში — ოზურგეთი. ებრაელთა ეპიგრაფიკული ძეგლები ებრაულ და არამეულ ენებზე (III-IV სს.)

აღმოჩენილია ურბნისსა და მცხეთაში, მაგრამ გვიანფეოდალურ ხანაში ისინი აღარ ჩანან. ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის განსახლების ადგილებში შემორჩა მხოლოდ ტოპონიმები («უბანი ურიათა», «ურიათუბანი», «ნაურიები», «ურია»).

ქართული ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილია, რომ საქართველოს ცალკეული რეგიონის კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებს შეესაბამებოდა დასახლების გარკვეული ფორმა და საცხოვრებელი ნაგებობა. უბნური დასახლების ხასიათს გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობის, ებრაელთა სპეციფიკური საქმიანობის (ვაჭრობა, ხელოსნობა) ან კუთხური ნიშან-თვისებების გარდა, რელიგიური ფაქტორიც განსაზღვრავდა. ებრაელთა კონცენტრაციას, ძირითადად, სამლოცველოს ახლომდებარე უბნებში ვხვდებით, რადგან სამლოცველო წარმოადგენდა როგორც რელიგიურ-კულტურული, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს.

ბატონყმური ურთიერთობებიდან თავისუფალ მდგომარეობაზე გადასვლამ და ურბანიზაციის პროცესმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ქართული ებრაული თემის სტრუქტურა. ებრაელები, როგორც წესი, ამა თუ იმ ქალაქში ერთად სახლდებოდნენ და ცდილობდნენ საკუთარი სინაგოგა დაეფუძნებინათ. ჩვეულებრივ, ასეთი ჯგუფი დიდი ოჯახებისგან შედგებოდა, რომლებიც სამოთხ თაობას აერთიანებდნენ. ჯგუფში ოჯახების რაოდენობა შეზღუდული იყო. მათ არჩეული *გაბაი* თავკაცობდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო სინაგოგაში საქმეთა წარმოებაზე. *ხახამი* კი თემის რელიგიურ ცხოვრებას უძღვებოდა, ადგენდა *რაბინის*, *ხაზანის* (მლოცველი სინაგოგაში), *შეხოტის* (ძღვენის ადამიანი, რომელიც კლავს შეწირულ ფრინველსა და ცხვარს) და *ხედერას* (მედრესის მასწავლებელი) ფუნქციებს. სოფლებიდან წამოსულები ერთმანეთთან ახლოს სახლდებოდნენ, რის გამოც ქალაქებში ებრაული დასახლებები იქმნებოდა. თბილისშიც ებრაელთა უბანს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ებრაელებმა ჩაუყარეს საფუძველი. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ეს უბანი «სიონის მახლობლად, ფეთხაინის ეკლესიის ძირას ყოფილა». XIX საუკუნის პირველ ნახევარში ებრაელებმა თხოვნით მიმართეს გუბერნატორს, რათა მას დედაქალაქში მათთვის ახალი სამლოცველოს აშენების ნება დაერთო. 1905-1906 წლებში ახალი სინაგოგის მშენებლობა დასრულდა და ებრაული მოსახლეობაც, ძირითადად, მის მახლობლად განსახლებულა. ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ ლესელიძისა და ვერცხლის ქუჩის მიდამოებში.

მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა საცხოვრებელი კომპლექსი, ძირითადად, ქართული ეროვნული საცხოვრებლის ტრადიციას ემყარება, მასში მაინც მკაფიოდ ჩანს ებრაელი ხალხის სულიერი კულტურის სპეციფიკასთან დაკავშირებული დეტალები. ყოველი ებრაელის სახლს ჰყავდა თავისი მფარველი, მშვიდობისა და დოვლათიანობის მცველი, რომელსაც *მეზუზა* ჰქვია. ამავდროულად, მეზუზა — ოთხკუთხა, თავდახურული თხელი ყუთია, რომელშიც ჩასვენებულია *სოფერის* (წმიდა ტექსტის გადამწერის) მიერ პერგამენტის ქაღალდზე ნაწერი თორიდან «მეორე სჯულის» ფრაგმენტი და მიმაგრებულია შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს. დღეს-დღეობითაც ოჯახის ყველა წევრი სახლიდან გასვლისას და დაბრუნებისას ასრულებს გარკვეულ რიტუალს, რათა მშვიდობიანი დღისთვის მადლობა უთხრას გამჩენს.

ებრაული სამზარეულო განსაზღვრავდა ებრაელთა პურობის ხასიათს, მაგრამ როგორი შინაარსის ან სიდიდისაც არ უნდა ყოფილიყო სუფრა, მას ყოველთვის სამი

საკრალური ელემენტი ახლდა: მარილი, პური, ღვინო. მარილზე დაწებული პურის ნატეხის — *ხამოცის* და *კიდუშის* — ღვინის კურთხევის — რიტუალით პურობის დაწყების აუცილებლობა ეტიკეტის სავალდებულო წესი იყო. ქართველ ებრაელთა კვებაში არსებული აკრძალვები ზოგადებრაულია. მკვლევართა აზრით, ამ აკრძალვების დაცვა არის სწორედ ებრაელი ხალხის მორალური და ფიზიკური სიმტკიცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ისტორიულ სამშობლოში ებრაელთა თავმოყრისა და გაერთიანების იდეამ ხორცი შეისხა სიონიზმის სახით. საქართველოში ამ იდეის შემომტანები და გამავრცელებლები, ძირითადად, აშკენაზები იყვნენ. სიონისტური წრეები თბილისში, ფოთში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში XIX საუკუნის დამლევს ამოქმედდა. 1905 წლის რევოლუციის დროს შეიქმნა ებრაელთა ეროვნული კომიტეტი, რომელმაც 1919 წლის ივნისში თავი საქართველოს სიონისტურ კომიტეტად გამოაცხადა, აგვისტოში კი საქართველოს პირველი სიონისტური კონფერენცია მოიწვია. მეექვსე სიონისტური კონგრესის მუშაობაში (ბაზელი, 1903 წ.) მონაწილეობა მიიღო რაბინმა დავით ბააზოვმა, რომელიც საქართველოს ებრაელთა სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი იყო. XX საუკუნის პირველ ათწლეულებში მასთან ერთად სიონისტურ მოღვაწეობას ეწეოდა ნათან ელიაშვილი (1893-1929). სიონიზმის გავრცელებას წინააღმდეგობაც შეხვდა მოძრაობა ხაბადის წევრების მხრიდან, რომლებმაც საქართველოში 1916 წლიდან დაიწყეს მოღვაწეობა. მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყვნენ ორთოდოქსი ლიდერებიც — ხახამები. მართლაც, XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს დიდი არ იყო საქართველოდან ისრაელში ასული ხახამების რიცხვი. მათგან მხოლოდ რამდენიმეს სახელია შემორჩენილი: ეფრაიმ ბენ იაკობ ჰალევი კუკია, რომელმაც 1877 წელს იერუსალიმში გამოაქვეყნა რელიგიურ-ფილოსოფიური თხზულება *იალკუთ ეფრაიმ ალ ჰა-თორა იმ ხაშემ მეგილლოთ* («ეფრაიმის განმარტებათა კრებული ხუთწიგნეულსა და თორაზე") და *სამ ხაიმ: ლიკკუთიმ უ-მუსარიმ ტოვიმ* («სიცოცხლის ელექსირი: ამონარიდები სათნო ცხოვრების შესახებ»). ახალციხელი ხახამი იოსებ დავითაშვილი ერეც-ისრაელს XIX საუკუნის 90-იან წლებში დაუბრუნდა. სიმან ბენ მოშე რიჟინაშვილმა 1892 წელს იერუსალიმში გამოსცა ებრაულ-ქართული სახელმძღვანელო-სასაუბრო (ებრაული დამწერლობით) *სეფერ ჰინნუხ ხა-ნეარიმ* («ყრმათა აღზრდის წიგნი»).

გასაბჭოების შემდეგ, «მეცნიერული» ათეიზმის მძვინვარების მიუხედავად, იუდაიზმის ტრადიციების რღვევის საქმეში კომუნისტურმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია. 1960-70-იან წლებში ქართველ ებრაელთა უმრავლესობა განაგრძობდა სინაგოგაში სიარულს, იცავდა ქაშრუთს. წინადაცვეთა, ქორწინება და დასაფლავება რელიგიური წესების დაცვით სრულდებოდა. ბავშვები 13 წლის ასაკამდე სწავლობდნენ იატაკქვეშა არალეგალურ ხედერებში. მართალია, მათი არსებობის შესახებ ხელისუფლებამ იცოდა, მაგრამ ამჯობინებდა ამ ფაქტისათვის ყურადღება არ მიექცია.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაჩაღდა ბრძოლა ალიასთვის (ისრაელში ასვლისთვის). ქართველი ებრაელებიც ჩაებნენ ამ მოძრაობაში. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი ზღვარგადასულმა ანტისიონიზმმა მოიცვა, მხოლოდ საქართველოდან ხდებოდა, შეძლებისდაგვარად, უმტკივნეულოდ ებრაელთა რეპატრიაცია. დღემდე ლეგენდად რჩება ქართველ ებრაელთა 18 ოჯახის

მიერ 1967 წლის 9 აგვისტოს გაგზავნილი მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელზე და მათი ბრძოლა ისრაელში ასვლის უფლების მოსაპოვებლად. პირველმა სწორედ საქართველოს ებრაელობამ შეძლო საბჭოური «რკინის ფარდის» გარღვევა. ეს დიდი ალიის დასაწყისი იყო. საქართველოდან ებრაელთა გადინებამ კულმინაციას 1991-1994 წლებში მიაღწია.

სადღეისოდ საქართველოს ებრაული თემი მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობს საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების მხრიდან, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული კომიტეტი «ჯოინთი» (დაარსდა 1914 წ.). «ხესედები», საქველმოქმედო ცენტრები მოქმედებს თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავსა და ონში. ფუნქციონირებს ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი (დაარსდა 1993 წ.), რომლის მხარდაჭერით გამოიცემა ჟურნალი «ნაბიჯი თორისაკენ». საქართველოს თანამედროვე ებრაული თემის არსებობასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ებრაული სააგენტო ისრაელისათვის («სოხნუთი»). იგი საერთაშორისო ებრაული ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიო ებრაელობის შეკავშირებასა და ისრაელის სახელმწიფოსთან თანამშრომლობას (გაიხსნა 1989 წ.).

საქართველოს მთავარი რაბინის, არიელ ლევინის, თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით შექმნილ საგანმანათლებლო ცენტრში — «თიფერეთ ცვი» — უკვე კარგა ხანია მოქმედებს ებრაული სკოლა, საბავშვო ბაღი, რელიგიური აკადემია — იეშივა. მისივე ინიციატივით 1999 წლის ივნისში დაარსდა მსოფლიო ქალთა ორგანიზაციის «ემუნა»-ს (რწმენა) თბილისის ფილიალი, რომელიც მორწმუნე ქალების მოძრაობაა და თორის მიხედვით ცხოვრების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ხაბად ლუბავიჩის წარმომადგენელმა, რაბინმა აბრამ მიხელაშვილმა, საქართველოში მოღვაწეობა 2001 წლის ბოლოს დაიწყო. ხაბად ლუბავიჩის ფონდის დახმარებით მან თბილისში ებრაულ ტრადიციებზე დაფუძნებული სკოლა-სასწავლებელი გახსნა, სადაც ბავშვები მშობლიურ ენას, ისტორიასა და ტრადიციებს ეუფლებიან. რაბინი აბრამ მიხელაშვილი აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. 2006 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა და რაბინმა აბრამ მიხელაშვილმა მეგობრული შეხვედრისას წარმოთქვეს ფსალმუნი და დაანთეს სანთლები საქართველოსა და ისრაელის საკეთილდღეოდ.

დღესდღეობით (2008 წლისათვის) საქართველოში დაახლოებით 4 ათასამდე ებრაელი ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი (დაახ. 80%) სეფარადები, დანარჩენნი კი, ე.წ. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები) არიან. სინაგოგები მოქმედებს თბილისში, გორში, ბათუმში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში.

სტატია მომზადებულია ტოლერანტობის ცენტრში
ზაირა დავარაშვილისა და ზურა კიკნაძის
მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე

ქრისტიანობა

ყველაზე გავრცელებული და მრავალრიცხოვანი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიაა. ქრისტიანულ მოძღვრებასა და ღვთისმსახურებას, რომელიც განსხვავებულ შინაარსსა და ფორმას ატარებს, თანაბრად აქვს ფესვები გადგმული სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის საზოგადოებებში. მსოფლიოს უდიდესი ნაწილი ახალი წელთაღრიცხვის ათვლას მისი დამაარსებლის, იესო ქრისტეს დაბადებიდან იწყებს.

ქრისტიანობა ჩაისახა ჩვ. წ. I საუკუნეში პალესტინაში როგორც იუდაიზმის ერთერთი მცირე განშტოება, რომელიც რამდენიმე ათეული ადამიანისგან შედგებოდა. თავდაპირველად ქრისტიანობა პალესტინასა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, ძირითადად, ებრაულ დიასპორებში ვრცელდებოდა, მაგრამ მოკლე ხანში, პავლე მოციქულის ქადაგების წყალობით, მან მიმდევრები სხვა ე.წ. წარმართ ხალხებშიაც გაიჩინა. V საუკუნემდე ქრისტიანობა უმთავრესად რომის იმპერიასა და მისი კულტურული გავლენის არეალში დამკვიდრდა (სომხეთი, საქართველო, სირია, ეთიოპია), შემდეგ (ძირითადად პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში) ანგლოსაქსსა და სლავ ხალხებში, უფრო გვიან კი (XIII-XIV ს.) ბალტიელ და ფინელ ხალხებშიაც შეაღწია. ახალ და უახლეს პერიოდში ევროპის მიღმა ქრისტიანობის გავრცელება კოლონიალური ექსპანსიისა და სამისიონერო მსახურების შედეგად გახდა შესაძლებელი. დღეს ქრისტიანობა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა და ეროვნებაშია წარმოდგენილი. ამ პერიოდისთვის ქრისტიანთა რაოდენობა მთელ მსოფლიოში 2 მილიარდს აჭარბებს, მათგან ევროპაში, სხვადასხვა შეფასებით, 400-დან 550 მილიონამდე ქრისტიანი ცხოვრობს, ლათინურ ამერიკაში — 380 მლნ., ჩრდილო ამერიკაში — 180-250 მლნ., აზიაში — 300 მლნ., აფრიკაში — 300-400 მლნ., ავსტრალიაში — 14 მლნ.

წარმოშობა და გავრცელება

სახარებისეული გადმოცემით, ქრისტიანობის დამაარსებელი იესო ქრისტე დაიბადა ბეთლემში, დავით ისრაელის მეფის შორეული შთამომავლის, ნაზარეთელი დურგლის იოსებ მართლისა და ასევე დავითის შთამომავლის, ქალწული მარიამის, ოჯახში — თორმეტ მოწაფესთან ერთად მიმოდიოდა გალილეას, იუდეისა და იორდანიის გაღმა დაბა-სოფლებში და ქადაგებდა მოახლოებულ ღვთის სასუფეველზე, სინაგოგებში რჯულის მასწავლებლებსა და მწიგნობრებს შეახსენებდა წმიდა წერილის წინასწარმეტყველებებს მესიაზე, თავს აშკარად აცხადებდა ღვთის ძედ და მესიად, რომელსაც უნდა ეხსნა ისრაელი. სახელი გაითქვა როგორც მკურნალმა და ყველგან, სადაც კი მივიდოდა, სნეულები, დავრდომილები, ბოროტი სულით შეპყრობილნი მიჰყავდათ მასთან და ისიც კურნავდა მათ. ბოლოს ოთხი დღის მკვდარიც გააცოცხლა. მისი ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა, საშიში ხდებოდა იერუსალიმის სამღვდელოებისთვის და მათაც აიძულეს იუდეის პროკურატორი

პილატე, რომის ხელისუფლების მტრობისთვის, სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა მისთვის. ოცდაცამეტი წლის ასაკში ჯვარს აცვეს ორ ავაზაკს შორის, რომელთაგან ერთმა ირწმუნა მისი და მასთან ერთად მოხვდა სამოთხეში.

ქრისტიანებად პირველად ანტიოქიაში იწოდნენ ქრისტეს მორწმუნეები, რომლებიც ინახავდნენ იესო ქრისტეს პიროვნებისა და საქმეთა ცოცხალ ხსოვნას და ხალხში ქადაგებდნენ. ამ დროს ჯერ კიდევ არც ერთი სახარება არ იყო დაწერილი. ქრისტიანულ თემებში, რომლებიც მრავლად წარმოიშვა ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ როგორც პალესტინაში, ისე მის გარეთ, მთელ რომის იმპერიაში, თანდათანობით გაჩნდა საჭიროება წერილობით აღნუსხულიყო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ეპიზოდები და, რაც მთავარია, საქვეყნოდ გაცხადებულიყო მისი მოვლინების მისია. პირველი, რაც თავდაპირველმა ქრისტიანულმა სამყარომ *წაიკითხა*, ეს პავლე მოციქულის ეპისტოლეები იყო (48-63 წწ.), რომელთაც იგი სხვადასხვა ქრისტიანულ თემებს (ეკლესიებს) უგზავნიდა მათი დამოძღვრისა და ქრისტეს ჭეშმარიტ გზაზე წარმართვის მიზნით. მხოლოდ მოგვიანებით, ჯვარცმიდან ორმოციოდე წლის შემდეგ, გამოჩნდა სახარებები, რომელთაგან საბოლოოდ ოთხი შეირჩა.

ადრეული ქრისტიანები «ახალ ერად» იწოდებოდნენ და, მართლაც, ისინი თავიანთი ქცევით განსხვავდებოდნენ ყველა ქვეყნის ხალხისგან, სადაც უხდებოდათ მათ ცხოვრება. «ქრისტიანები, — ვკითხულობთ «დიოგნეტესადმი ეპისტოლეში», — თავიანთ სამშობლოში ცხოვრობენ როგორც მწირნი... მათთვის ყოველი უცხო ქვეყანა სამშობლოა და ყოველი სამშობლო — უცხო ქვეყანა... მყოფობენ დედამიწაზე, მაგრამ ცის მოქალაქენი არიან».

ერთარსება სამება

ქრისტიანობა ერთ, ყოვლისშემოქმედ ღმერთს, აბრაამის, ისააკისა და იაკობის პიროვნულ ღმერთს აღიარებს. ამავდროულად, ქრისტიანს სწამს და ამით განსხვავდება ქრისტიანობა სხვა მონოთეისტური რელიგიებისგან (იუდაიზმი, ისლამი), რომ ღმერთი არა მხოლოდ ერთია, არამედ სამპიროვანიც არის. ქრისტიანი თაყვანს სცემს მამას, ძესა და სულიწმიდას, ანუ სამებას (არსებობს ე.წ. არატრინიტარული მრწამსის ქრისტიანობაც, რომელიც განსხვავებულად იაზრებს მამის, ძისა და სულიწმიდის ურთიერთობას. იხ. იეჰოვას მოწმეები, მორმონები). სამება არ არის სამი ღმერთი, არამედ ერთი ღმერთი სამ პიროვნებაში (ჰიპოსტასში), ანუ სამი პირი ერთი ღვთიური არსებაა. სამი რომ ერთია, ლოგიკურად ვერ შეიმეცნება, რადგან იგი აბსურდია. მისი შეცნობა მხოლოდ რწმენის ძალით არის შესაძლებელი. ქრისტიანობა აღიარებს სამებას, მაგრამ ამავე დროს აღიარებს მის შეუცნობლობას ადამიანის გონების შეზღუდულობის გამო. სამების სულიერი გამოცდილება სიტყვით ძნელად გადმოიცემა, მისი წარმოდგენა ისევ და ისევ ბუნების მოვლენების ანალოგიით ხდება შესაძლებელი: წმიდა მამებს სამების არსის წარმოსაჩენად ხილული ბუნებიდან მოჰყავდათ მაგალითად მზე, რომელიც არსებობს თავისთავად, მაგრამ იმავე დროს იძლევა სხივებს და ანათებს და არ იყოფა ნაწილ-ნაწილად. ღვთაებრივ სამებაში მამა შეუქმნელია, ძე — მარადიულად შობილი (*მრწამსით*: «უწინარეს ყოველთა საუკუნეთა»), სულიწმიდა — მამისაგან (კათოლიკეთა მრწამსით: და ძისაგან) გამომავალი და ძის მეშვეობით მოვლენილი ამქვეყნად.

ხსნა

ქრისტიანული რელიგიის ძირითადი არსის გამოსახატავად ორადორი სიტყვა საკმარისია: ქრისტიანობა არის *ხსნის რელიგია*. ბუდიზმსაც მიაჩნია, რომ იგი ხსნის რელიგიაა. ორივე რელიგია აცხადებს, რომ აუცილებელია და შესაძლებელია კიდეც ხსნა, მაგრამ ისმის კითხვა: ხსნა რისგან? ბუდიზმი ამბობს, რომ ამქვეყნიური ცხოვრება სატანჯველია, რისგანაც ადამიანი უნდა განთავისუფლდეს. ამისთვის კი აუცილებელია, რომ მან ყოველგვარ სურვილზე უარი თქვას, რადგან სწორედ სურვილები იწვევენ ტანჯვას, სურვილებია, რომ ქმნიან ამ წუთისოფლის სახეს, სადაც ყველაფერი წარმავალია. ეს არის, რისგანაც ადამიანმა უნდა დაიხსნას თავი და ბუდიზმი კარნახობს ადამიანს ხსნის მეთოდებს და გზას.

ქრისტიანობისთვისაც ეს სოფელი წარმავალია, სატანჯველია და სურვილები, ვნებები ქსოვენ წუთისოფლის სახეს. ქრისტიანობაც სთავაზობს ადამიანს ხსნას, მაგრამ ხსნას არა უბრალოდ სურვილებისგან, არამედ ცოდვებისგან, რომლებმაც ადამიანი მოსწყვიტეს ღმერთს და ნამდვილ ცხოვრებას ღმერთთან ურთიერთობაში. ამრიგად, ქრისტიანობის მთავარი საკვანძო სიტყვა-ცნება არის *ცოდვა*. ადამმა, კაცობრიობის წინაპარმა, რომელიც «ღვთის ხატად და მის მსგავსებად» იყო გაჩენილი, დაარღვია აღთქმა — იგემა აკრძალული ნაყოფი იმ იმედით, რომ ღმერთივით სრულყოფილი გახდებოდა. იგი დაჰყვა სატანის ნებას, რომელიც გველის პირით ლაპარაკობდა და არად ჩააგდო ღვთის ნება. მაგრამ ერთადერთი სიკეთე ამ საქციელში ის იყო, რომ ადამმა გამოიყენა, თუმცა უკუღმართად, თავისუფალი ნება, რომელიც მიემადლა მას. ამით მან დაამტკიცა, რომ იგი ნამდვილად ღვთის ხატად იყო შექმნილი, ღმერთთან იმ მსგავსებით, რომელიც სწორედ თავისუფალი არჩევანის უნარში მდგომარეობდა. მაგრამ ამის სანაცვლოდ ადამმა და მისმა მოდგმამ მიიღო სატანჯველი ამ სოფელში და, საბოლოოდ, სიკვდილი. პირველსავე გამოყენებამ (დემონსტრაციამ) თავისუფალი ნებისა ადამი ცოდვაში ჩააგდო, ხოლო «ცოდვის საზღაური სიკვდილია», — ამბობს პავლე მოციქული (რომ. 3:23). ამრიგად, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ცოდვა ღვთის ნების საწინააღმდეგოდ ადამიანის ნებით არის გამოწვეული. ღმერთს სიკვდილი არ შეუქმნია, მან ადამიანი არა სიკვდილისთვის, არამედ სამარადისო სიცოცხლისთვის შექმნა, რის საბუთსაც ქრისტიანობა სამოთხეში დანერგილ «სიცოცხლის ხეში» ხედავს (დაბ. 2:9).

ცოდვის შედეგები და ქრისტეს მისია

ქრისტიანობა ამბობს, რომ პირველჩადენილმა ცოდვამ იბარტყა კაცობრიობაში, ცოდვა ცოცხლობს ყველა ადამიანში, თითოეული ადამიანი ნაზიარებია ადამის ცოდვას, რადგან ის ადამის სისხლი და ხორცია, მისი სული და სამშვინველია. ადამმა დატოვა სამოთხე, ანუ ჭეშმარიტი ცხოვრება და გავიდა წუთისოფელში, რომელიც მის მიერ ჩადენილი ცოდვის გამო ბოროტებას დაემონა. «მთელი სოფელი ბოროტის ხელშია», — ამბობს იოანე ღვთისმეტყველი (1 იოან. 5:19). «თავადი ამის სოფლისა» — ასე იწოდება სატანა სახარებებში.

ამრიგად, ქრისტიანული მოძღვრება ერთ უწყვეტელ ჯაჭვზეა აგებული, რომლის თითოეული რგოლი მეორეს განაპირობებს.

1. ყველანი ცოდვილნი ვართ, რამდენადაც ერთი წინაპრიდან, ადამიდან, მოვდივართ, რომელმაც შესცოდა,
2. ცოდვამ დაგვაშორა ღმერთს,
3. იესო ქრისტე ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად განკაცდა და ეცვა ჯვარს, მისი სიკვდილი იყო ჩვენი ცოდვების სასყიდელი,
4. გამოსყიდული აღდგება უკეთეს მდგომარეობაში (ესაია 65:17-25),
5. ვისაც სწამს ქრისტე, როგორც მხსნელი, ის მიიღებს ხსნას, ხსნა, ისევე, როგორც ცოდვით დაცემა, ნებაყოფლობითი აქტია.

ქრისტიანობა ამბობს, რომ ღმერთმა სამოთხიდან ურჩობისთვის გაძევებული ადამიანი საბოლოოდ არ გაწირა. სიკვდილიც, რომელიც დაცემის შემდეგ შევიდა ადამის ბუნებაში, ისევ და ისევ მის სასიკეთოდ შევიდა: დაცემულ ადამს, რომელიც ერთგვარად სატანის ტყვეობაში ჩავარდა, არ უნდა ეგემნა *სიცოცხლის ხის* ნაყოფი, რათა ამგვარად ცოდვილი არ გაუკვდავებულიყო. სიკვდილმა სამანი დაუდო ცოდვას და, თუმცა უკვდავებას ადამი ვერ ეზიარა, მისი მოდგმა ევას მეოხებით, რომლის სახელი «სიცოცხლეს» ნიშნავს, დაუსხლტა სიკვდილს, ღვთის ქმნილება გადაურჩა ტოტალურ გადაშენებას. და, თუმცა სამოთხის მისადგომებს მრისხანე ქერუბიმი ცეცხლოვანი მახვილით ხელში იცავს, ადამის მოდგმას მიეცა იმედი ედემის ბაღისკენ ანუ უკვდავებისკენ სხვაგვარად, სხვა გზით, დაბრუნებისა.

ქრისტიანობა ამბობს, რომ რაკი კაცობრიობაში ცოდვა ერთი ადამიანის (ადამის) მეშვეობით შემოვიდა, კაცობრიობის ხსნა ასევე ერთი ადამიანის მეშვეობით უნდა მომხდარიყო. ეს ადამიანი იესო ქრისტეა, გალილეველი, წარმოშობით იუდა ბეთლემიდან, ბეთლემში შობილი. მაგრამ იესო რომ მხოლოდ ადამიანი ყოფილიყო, იგი ვერ შეძლებდა კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვას. მისი სიკვდილი არ იქნებოდა საკმარისი სასყიდელი მთელი ქვეყნიერების ცოდვებისთვის (1 იოან. 2:2). ყოფით ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, კაცობრიობის ვალების (თანანადებთა) გასტუმრება მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ამისთვის ამოუწურავი მარაგი აქვს (რომ. 5:8; 2 კორ. 5:21). მაგრამ გამომსყიდველმა სიცოცხლის გაცემა რომ შეძლოს, იგი მოკვდავი არსება უნდა იყოს. და მხოლოდ ღმერთს შეუძლია სიკვდილი ხსნის იარაღად გამოიყენოს, მაგრამ ღმერთი უკვდავია. ღმერთი რომ მოკვდეს, ჯერ უნდა განკაცდეს ანუ შეიმოსოს მოკვდავი ადამიანის ხორცი. ამრიგად, ღვთის განკაცების საიდუმლო იგივე ხსნის საიდუმლოა. ეს არის ქრისტიანობის თავი და თავი, რითაც იგი აბსოლუტურად განსხვავდება სხვა რელიგიებისგან და, კერძოდ, იუდაიზმისგან, საიდანაც გამოვიდა იგი, როგორც ერთ-ერთი მიმდინარეობა.

ქრისტიანობა ამბობს, რომ კაცთა მოდგმის ხსნა წმიდა სამების ჩანაფიქრში გადაწყდა, იმავე სამებისა, რომელმაც, ბიბლიისავე თანახმად, კაცთა წინაპარი შექმნა («შევქმნათ ადამი ჩვენს ხატად...» დაბ. 1:26). ადამიანი უნდა ეხსნა საკუთრივ მას, ვის ხატადაც იგი შეიქმნა. ეს იყო წმიდა სამების მეორე წევრი, ძედ წოდებული. მამამ, რათა ეხსნა თავისი ქმნილება, გაწირა თავისი მხოლოდშობილი ძე. ეს არის ღვთის უსაზღვრო სიყვარულის დასტური თავისი ქმნილებისადმი. ერთ-ერთი მორალური სენტენცია,

რომელსაც სახარებაში ვკითხულობთ, საღვთისმეტყველო საიდუმლოს შეიცავს: «მე ვარ მწყემსი კეთილი, მწყემსი კეთილი თავის სულს (სიცოცხლეს) გაწირავს ცხვართათვის» (იოან. 10:11), და მეორე: «იმაზე დიდი სიყვარული არავის აქვს, როცა ვინმე თავს წირავს თავისი მეგობრებისათვის. თქვენ კი ჩემი მეგობრები ხართ...» (იოან. 15:13-14ა). ამ სიყვარულისთვის გაწირა მამამ მხოლოდშობილი ძე. «ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის...» (რომ. 5:9).

ქრისტიანული მოძღვრების არსი თავად ქრისტიანობის დამაარსებლის, ქრისტე იესოს პიროვნებაშია გამოხატული, თავად ქრისტეა მოძღვრება, როგორც ის ამბობს: «მე ვარ გზა და ჭეშმარიტება» (იოან. 14:6). ყველაზე დიდი საიდუმლო ქრისტეს პიროვნებაში მისი ღმერთკაცობის საიდუმლოა, რაც გულისხმობს, რომ ქრისტე არის სამების მეორე პირის (ძის) განხორციელება. მრწამსი ამბობს, რომ სამების მეორე წევრი ქრისტე არის «მამისაგან შობილი უწინარეს საუკუნეთა», მაგრამ როგორც კაცი, იგი გარკვეულ დროს იშვა. ამრიგად, მის პიროვნებაში ერთმანეთს შეხვდა უჟამო და ჟამიერი, მარადიული და დროული, ღვთიური და ადამიანური. ამრიგად, იგი თავის პიროვნებაში მოიცავს ორ ბუნებას — ღვთისას და კაცისას, იგი არის სრული კაცი და სრული ღმერთი. *სრული კაცი* ნიშნავს, რომ მას ჰქონდა ხორცით შემოსილი ადამიანური სხეული, რომ ჰქონდა ადამიანის სამშვინველი და სული, რომ ჰქონდა ადამიანური თვისებები (თანაგრძნობა, სიყვარული, მრისხანება...). არაფერი ადამიანური, გარდა ცოდვისა, ქრისტესთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო, რადგან სხვი-სი ცოდვების ტვირთვა მხოლოდ მას შეეძლებოდა, ვისაც საკუთარი ცოდვები არ დაამძიმებდა.

ქრისტე მოვიდა მხსნელად, როცა ადამიანს, ცოდვებით უზომოდ დატვირთულს, უკვე აღარ შეეძლო თავისი თავის შველა, ანუ მეტაფორულად რომ ვთქვათ, ვალების («თანანადებთა») გასტუმრება («მოგვიტევე თანანადებნი ჩვენი»). ქრისტე მოვიდა და მოკვდა არა მართალთათვის და უცოდველთათვის, არამედ სნეულთათვის და ცოდვილთათვის, უპოვართათვის, მათთვის, ვისაც სასყიდელის გაღება არ შეუძლიათ. ქრისტე მოვიდა იმ ერთი დაკარგული ბატკნისთვისაც, ანუ ქრისტე თი-თოეული ადამიანის მოსაძებნად და გადასარჩენად მოვიდა. ქრისტემ, რომელიც პიროვნულად ცნობს თითოეულს, დაფარა ყოველი ადამიანის ვალები.

მაგრამ არ არის საკმარისი ვალების დაფარვა და ადრინდელი მდგომარეობის აღდგენა. ღვთის განკაცების, ღმერთკაცობის დოგმატის მეორე საზრისია: ღმერთი კა-ცი გახდა, რათა კაცი ღმერთი გამხდარიყო და უკვდავებას, რომელიც ცოდვის გამო სამოთხეში დაკარგა, ზიარებოდა. ქრისტემ შეიმოსა დაცემული ადამიანის ხორცი, რათა ნაკისრი ცოდვები ჯვარზე ასვლისას თავის მოკვდავ ადამიანურ ბუნებასთან ერთად მოეკლა, ჯვარზე გაეკრა ისინი. ქრისტე ჯვარზე მოკვდა როგორც კაცი, მაგრამ მისმა ღვთაებრივმა ბუნებამ სძლია სიკვდილს და ჯვარცმიდან მესამე დღეს ქრისტე აღდგა, აღდგა არა ძველი სხეულით, რომელიც მას ემოსა, არამედ განახლებული, გაუკვდავებული სხეულით.

ქრისტეს ამქვეყნიური გზა

ქრისტეს ცხოვრების გზაზე მნიშვნელოვანი აქტებია:

შობა. ის, რაც მოხდა ბეთლემის მახლობლად ბაგაში, რასაც მწყემსები შეესწრნენ და ანგელოსები უხილავად, ესაიას წინასწარმეტყველებაში იყო გამოთქმული: «აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებენ სახელად ემანუელს» (ესაია 7,14.). *ემანუელ* ებრაული სიტყვაა და ნიშნავს «ჩვენთან არს ღმერთი». ხუთასზე მეტი წელი აშორებს ამ სიტყვების წარმოთქმის დროს იმ დროისგან, როცა ქალწულმა მარიამმა გაბრიელ მთავარანგელოზისგან მიიღო ხარება (უწყება), რომ მას, ჯერ კიდევ უქორწინებელს, სულიწმიდისგან ჩაესახებოდა ძე, რომელიც მიიღებდა თავისი მამის, დავითის ტახტს და მის მეფობას დასასრული არ ექნებოდა. ადამიანური სახელი მისი იქნებოდა იესო (რაც თავისთავად ნიშნავს «მხსნელს»), მაგრამ მისი ჭეშმარიტი სახელი — *ღვთის ძე*. ისიც იყო უწყებული, რომ ღვთისთვის შეუძლებელი არაფერია. (ლუ-კა, 1:26-38). მახარებლის თანახმად, არა მხოლოდ მართალი იოსები, რომლის სახლში უნდა დაბადებულიყო *ღვთის ძე*, არამედ თავად მარიამიც ბეთლემელი და-ვით მეფის შთამომავალი იყო. მართალია, სამების დოგმატით ძე მარადიულად არის შობილი მამის წიაღში, მაგრამ მისი განკაცება ისტორიულ დროში მოხდა. სახარება ზუსტად ათარიღებს ქრისტეს შობას: იგი დაემთხვა აღწერას, რომელიც ჩატარდა მთელ რომის იმპერიაში ავგუსტუს კეისრის ბრძანებით. აღწერის წესის თანახმად, ყველა ადამიანი, იმპერიაში მცხოვრები, იმ ადგილზე უნდა აღწერილიყო, საიდანაც მისი წინაპრები იყვნენ წარმოშობილი. ამიტომაც იმხანად ნაზარეთში მცხოვრები იოსები და მარიამი ჩავიდნენ ბეთლემში, რათა იქ აღწერილიყვნენ. ბეთლემ-ქალაქში ღამის სათევი რომ ვერ ნახეს, ბაგაში მოუხდათ ღამის გათევა. სწორედ იქ დაიბადა იესო.

იესოს ტაძრად მიყვანება. ებრაელთა ჩვეულებისამებრ, ორმოცი დღის შემდეგ, როცა გასრულდა მათი — მარიამისა და ახალშობილის — განწმედის დღეები, ჩვილი იესო მიიყვანეს იერუსალიმის ტაძრად და იგი მიირქვა სიმეონ მოხუცებულმა. მან ჩვილში გამოიცნო ყრმა, რომლის მოლოდინს იგი ატარებდა მრავალი ათეული წლის განმავლობაში: «სულიწმიდისგან ჰქონდა ნაუწყები, რომ არ იხილავდა სიკვდილს უფლის ცხებულის ხილვამდე» (ლუკა, 2:26).

ნათლისღება იორდანეზე იოანე ნათლისმცემლისა და წინამორბედის ხელით. შეხვედრა იესო ქრისტესი და იოანე ნათლისმცემლისა ღირსშესანიშნავია როგორც ორი ეპოქის შეხვედრა. იოანე, ზაქარიასა და ელისაბედის სიბერის ძე, ძველი აღთქმის უკანასკნელი წინასწარმეტყველი, რომელიც თავის წინამორბედთა მსგავსად, თავად წინამორბედი, ერთი მხრივ, იუწყებოდა, რომ განაახლებდა მესიანისტურ თემას, იმეორებდა რა ესაიას სიტყვებს — «განუმზადეთ გზა უფალს, მოასწორეთ მისი ბი-ლიკები», მეორე მხრივ, მოუწოდებდა სინანულისკენ მოახლოებული ცათა სასუფევლის წინ. «მოინანიეთ!» — ეს მოწოდება პირველად გაისმა ამ ენაზე უკანას-კნელი წინასწარმეტყველის პირით. ეს სიტყვა იქცა ქრისტიანობის საკვანძო სიტყვად. ცათა სასუფეველს ატარებდა ის, ვის პიროვნებაშიც მან შეიცნო «კრავი, რომელიც იტვირთავს სოფლის ცოდვებს» (იოან. 1:29); მანვე მონათლა იგი იორდანეზე, რა დროსაც პირველად მოხდა ძველი აღთქმის ტექსტში დაფარული სამების განცხადება

მამა-ღმერთის, (რომლის ხმა გაისმა: «აჰა, ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მოვიწონე მე». — მათე, 3:17), იორდანეში შთაფლული ძისა და ძის მხარზე ციდან გარდამოსული მტრედის სახით. იორდანეზე ამოიწურა იოანე ნათლისმცემლის მისია, როცა მან თქვა იესოზე თავის მოწაფეთა გასაგონად: «აჰა, კრავი», და მისი მოწაფეები გაჰყვნენ იესოს (იოან. 1:36-37).

ეშმაკის მიერ გამოცდა უდაბნოში. იესომ, როგორც კაცმა (არა ღმერთმა), სძლია სამ საცთურს, რომელიც ეშმაკმა გაუმზადა მას: ნივთიერს, რაზედაც ჰქონდა პასუხი: «დაწერილია, რომ არა მხოლოდ პურითა ცოცხლობს კაცი», უფლის გამოცდის საცთურს, რაზედაც უპასუხა: «კვლავ დაწერილია: არ გამოსცადო უფალი, ღმერი შენი» და ამქვეყნიური დიდების საცთურს, რაზედაც მიუგო: «განვედ» და კვლავ წმიდა წერილი დაიმოწმა: «უფალს, შენს ღმერთს, ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე» (მათე, 4:1-11). ასე სძლია მან სატანას, მაგალითი მისცა ადამიანებს და ანგელოზების მხარდაჭერა მოიპოვა. ისიც შევნიშნოთ, რომ თავის მოღვაწეობას იესო წმიდა წერილის სიტყვების დამოწმებით იწყებს და მითვე ამთავრებს: ჯვარზე გაკრულის უკანასკნელი სიტყვები ფსალმუნიდან იყო: «ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე» (მათე, 27:46).

ფერისცვალება. უდაბნოში ეშმაკის პირისპირ ქრისტე გამოჩნდა როგორც სრული კაცი, თაბორის მთაზე კი თავის სამ მოწაფეს — პეტრეს, იაკობსა და იოანეს — გამოეცხადა როგორც სრული ღმერთი, რომლის შეუქმნელმა ნათელმა მისი სამოსელი განასპეტაკა. მათი მოძღვარი მოევლინა მათ როგორც საუკუნეთა უწინარეს შობილი ძე, სამების მეორე პირი, რაც მამის სიტყვებმა დაადასტურა: «ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე» (მათე, 17:1-8).

უკანასკნელი სერობა. უმნიშვნელოვანესი მომენტია ქრისტეს ცხოვრებასა და ქრისტიანობის ისტორიაში. იუდაური ჩვეულებისამებრ, ქრისტე და მისი მოწაფეები შეიკრიბნენ მთავარი დღესასწაულის, პასექის, აღსანიშნავად, რათა დაეკლათ და ეჭამათ პასექი, ანუ კრავი. ეს იყო იესოს უკანასკნელი პასექი, რომლის შემდეგ, მის მეორე დღეს, იესო თავად შეიწირა როგორც საპასექო მსხვერპლი. სერობის დროს იესომ პური აკურთხა თავის ხორცად და ღვინო — თავის სისხლად; უთხრა: ჭამეთ, ეს ჩემი ხორცია, შესვით, ეს ჩემი სისხლია (მათე, 26:26-28). ამ დღეს ამ აქტით დაწესდა ევქარისტიის ანუ ზიარების საიდუმლო. როცა ამ ფუძემდებელ სიტყვებს ამბობდა იესო, იუდას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მისი გაცემა.

უკანასკნელი ლოცვა გეთსიმანიაში. სერობის შემდეგ იესოს იგივე სამი მოწაფე (პეტრე, იაკობი და იოანე) თან რომ ახლდა ფერისცვალების დროს, ესწრება მის უკანასკნელ ლოცვას ზეთისხილის მთაზე, გეთსიმანიაში. თაბორის მთაზე იესო მათ თავისი მარადიული დიდებით, შეუქმნელი ნათლით შემოსილი, ეჩვენა, აქ კი მათ იხილეს მუხლმოყრილი კაცი, მამის წინაშე მხურვალედ მლოცველი, რომელსაც შუბლიდან სისხლის ოფლი სდიოდა. მწუხარებდა მისი ადამიანური სული სატანჯველის მოლოდინში. ამ დროს წარმოთქვა მან სიტყვები, რითაც დაადასტურა, რომ მისი მსხვერპლი ნებაყოფლობითია: «მამაო ჩემო, თუ შესაძლებელია, ამარიდე ეს სასმისი. მაგრამ არა, როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ» (მათე, 26:36-46; ლუკა, 22:39-46).

გაცემა. ქრისტეს სიტყვები «ძე კაცისა მიდის, როგორც დაწერილია მასზე, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა ძე კაცისა» (მათე, 26:24) გამოხატავს ტრაგიზმს, რომელშიც მოექცა კაცობრიობა ცოდვით დაცემის შემდეგ. სოფელში (ადამიანის ცხოვრებაში) შემოვიდა სიკვდილი, მაგრამ ვაი მას, ვისი ხელითაც მოკვდება ადამიანი. ვაი კაენს, ვისი ხელითაც გზა ნახა პირველად სიკვდილმა! ძე ღვთისას წასვლა გარდაუვალია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი იშვა როგორც მოკვდავი, როგორც ერთი ჩვენგანი. მაგრამ რატომ გაიცა იგი და რატომ აღმოჩნდა გამცემი მისი მოწაფე? პასუხი: ქრისტე უნდა მომკვდარიყო სწორედ იმიტომ, რომ *ასეთია* კაცი (მკვლელი, გამცემი...), სხვანაირად, როგორც პავლე მოციქული ამბობს, ქრისტეს გაღებულ გამომსყიდველ მსხვერპლს აზრი არ ექნებოდა: «ქრისტე... განწესებულ ჟამს მოკვდა უკეთურთათვის. ძნელად თუ ვინმე მოკვდება მართლისათვის» (რომ. 5 : 6ბ-7ა). გამცემი რომ ქრისტეს თორმეტ მოწაფეს შორის აღმოჩნდა, ეს ერთი და უკანასკნელი წვეთია სასწორის იმ პინაზე, რომელსაც მისი ამგვარი წასვლა უნდა გადაეწყვიტა. «მამაო ჩემო, თუ შესაძლებელია, ამარიდე ეს სასმისი. მაგრამ არა, როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ» — «ამარიდე ეს სასმისი» ადამიანური თხოვნაა, მაგრამ მამა (და ქრისტე, როგორც ღმერთი) მეტს ხედავს: იმდენად გაიხრწნა კაცობრიობა, რომ ბოროტებამ ქრისტეს წრეშიც შეაღწია, ანუ იქ, სადაც მას ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

ჯვარცმა. ქრისტე ჯერ მისმა მოწაფემ გასცა, მერე სამღვდელოებამ და მწიგნობრებმა გადასცეს რომის ხელისუფლებას, ბოლოს ხალხმა გაწირა, როცა პილატეს საბოლოო შეკითხვაზე — ვინ გსურთ გაგითავისუფლოთ, ბარაბა თუ იესო? — მან ერთხმად აირჩია ავაზაკი ბარაბა, ქრისტესთვის კი ჯვარცმა მოითხოვა. ამრიგად, ქრისტეს რომის ხელისუფლებამ ხალხის სახელით გამოუტანა განაჩენი და რომისავე სასჯელით — ჯვარზე გაკვრით დაისაჯა, როგორც ავაზაკებს სჯიდნენ. ყველაფერი მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო, ანუ როგორც პროვიდენციაში იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ადამიანის ხელით ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ასე მომხდარიყო. დაისაჯა უცოდველი ადამიანი, რომელსაც არავითარი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი არც იუდეველთა რჯულის, არც რომის კანონების წინააღმდეგ. ჯვარცმაც აუცილებელი იყო პროვიდენციულად, რამდენადაც ჯვარი კოსმიური მნიშვნელობის მატარებელი სიმბოლო იყო (თუმცა სასჯელად გამოყენებულს ეს მნიშვნელობა არ ახლდა), ხოლო ჯვარცმამ გახსნა მისი იდუმალი სიღრმეები. პროვიდენციული იყო ისიც, რომ იესო მისმა თანამოძმეებმა, საკუთარი რჯულის თანახმად, ჩაქოლვით ან საზოგადოებისგან ამოძირკვით ვერ დასაჯეს, რადგან დიდი დღესასწაული პასექი ახლოვდებოდა...

აღდგომა. ქრისტიანობის პარადოქსია, რომ მკვდრის აღდგომა — ეს უნიკალური ფაქტი — ყველაზე მეტი დამარწმუნებლობით გამოირჩევა და სახარებისეულ სხვა ფაქტებს შორის ურყევ მტკიცებულებებს შეიცავს. ახალი აღთქმის ხანაში (I ს-ის მეორე ნახევარი) არავისთვის იგი საეჭვო არ ყოფილა. ცარიელი საფლავი ბევრმა იხილა, ხოლო პავლე მოციქული საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იმ ხუთასიდან, რომელთაც აღმდგარი გამოეცხადა, უმეტესობა ცოცხალია და შეუძლიათ დაადასტურონ ეს ფაქტიო (1 კორ. 15:6). პირველად პავლე მოციქულმა ქრისტეს აღდგომაზე დააფუძნა საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის საიდუმლო, განმარტა, რომ ქრისტეს აღდგომა საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის გარანტიაა (1 კორ. 15:1-12-19). ამავე დროს, ყველაფერი, რაც ნათქვამია ქრისტეზე, როგორც ღვთის ძეზე, ძველ აღთქმასა თუ სახარებებში, დადასტურებას აღდგომის ფაქტში პოულობს.

აღდგომის შემდეგ. მას შემდეგ, რაც აღდგა მოძღვარი და რეალობაში (ისტორიაში) შემოვიდა აბსოლუტური სიახლე — *მკვდრეთით აღმდგარი სხეული*, იგი სამებაში დაბრუნებამდე, ანუ ამაღლებამდე, კიდევ ორმოცი დღის განმავლობაში ეცხადებოდა მოწაფეებს. ემაუსის გზაზე (ლუკა, 24:13) ამგზავრებულმა აღმდგარმა იესომ მოწაფეებს აჩვენა თავისი ჭრილობები ყოველი ეჭვის გასაფანტავად, რომ იგი არც აჩრდილია, არც სხვა სხეული, არამედ იგივე ხორცი და ძვალი (ლუკა, 24:39), რომელსაც ეხებოდნენ, ვიდრე მათთან მიმოდიოდა. მაგრამ ეს აღმდგარი სხეული ისეთივე არ ყოფილა, როგორიც ადრე იყო. ამ ფერნაცვალი, სულქმნილი სხეულისთვის არ არსებობდა დაბრკოლება: მას შეეძლო კარდახშულ ოთახში შესვლა და გამოსვლა, გამოჩენა და კვლავ გაუჩინარება, არ ჰქონდა შიმშილის გრძნობა, მაგრამ შეეძლო ჭამა და მან მიიღო მათთან ერთად საზრდელი. ეს იყო წინასწარჩვენება იმისა, თუ როგორ სხეულს შეიმოსავდნენ მკვდრეთით აღმდგარნი, დასტური იმისა, რომ მისი აღდგომა საყოველთაო აღდგომის საწინდარია.

ქრისტიანული ეკლესიების უმრავლესობას სწამს, რომ იესო ქრისტეს განვლილი გზა შობიდან გოლგოთამდე, როგორც მას სახარებები გადმოგვცემენ, სავსებით ამართლებს მის ორბუნებოვნების დოგმატში ჩაწერილ სიტყვებს — *სრული კაცი*. მას გადახდა და შეემთხვა, თვინიერ ცოდვისა, ყველაფერი, რაც შეიძლება გადახდეს და შეემთხვეს ადამიანს ცხოვრების განმავლობაში.

იესო დაიბადა ბაგაში პირუტყვებთან, როგორც ერთი უსახლკარო ვინმე (სამეფო წარმომავლობის კი იყო); დაემორჩილა რჯულს, როცა წინადასაცვეთად მიიყვანეს, რჯულს, რომლის აღსასრულებლად მოვიდა; ახალშობილის სიცოცხლეს დაემუქრა საფრთხე, როცა ჰეროდემ ყრმები გაწყვიტა იმ იმედით, რომ მათ შორის იქნებოდა «ჰურიათა მეფე»; განიცადა მსხემობა თავის გადასარჩენად უცხო ქვეყანაში — ეგვიპტეში, წინაპართა კვალზე; განიცადა უნდობლობა ახლობელთაგან, ეჭვით ყურება, მითქმა-მოთქმა წარმომავლობის გამო; დევნა სასიკვდილოდ თვისტომთაგან; ღალატი მოწაფისგან; უარყოფა იმ მოწაფისგან, ვისაც ანდო დასამწყესად თავისი სამწყსო; ურწმუნოება და სულმოკლეობა მოწაფეთაგან, მისი ჯვარცმის შემდეგ სირცხვილისა და შიშისგან რომ გაიფანტნენ; ფიზიკური (გვემა, გაშოლტვა) და მორალური შეურაცხყოფა (ფურთხება, დაცინვა, აბუჩად აგდება); დაბოლოს — ჯვარცმა, როგორც კულმინაცია ყველაფრისა, რაც დაითმინა — დასჯა ავაზაკებთან ერთად.

იმ ნეგატიური გამოცდილების გვირგვინად, რაც უხვად იყო მის ცხოვრებაში, სულ რაღაც ორი ათეული წლის შემდეგ მისი ეკლესია მოეფინა მთელს ეკუმენას — რომის იმპერიას. ეს არის მისი სამარადისო მემკვიდრეობა.

ქრისტიანული რელიგიის აბსოლუტური სიახლე და უნიკალობა, რაც ღვთის განკაცებისა და ჯვარცმის საიდუმლოში მდგომარეობდა, პავლე მოციქულმა ერთ ფრაზაში გამოთქვა: «ჩვენ ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს და ელინთათვის — უგუნურებას...» (1 კორ. 1:23).

ეკლესია

ქრისტიანთა უმრავლესობას სწამს, რომ ქრისტიანობა ეკლესიის გარეშე არ არსებობს.

ეკლესია ბერძნული სიტყვაა და მომდინარეობს ზმნიდან *ეკკალეო* — «მოვუწოდებ», «მოვუხმობ». მაშასადამე, ახალი აღთქმის ეკლესია წოდებულთა, მოხმობილთა კრებულია.

ქრისტიანული რელიგიის მრწამსმა, რომელიც ჯერ ნიკეის (325 წ.) და მერე კონსტანტინოპოლის (381 წ.) მსოფლიო კრებაზე იქნა მიღებული, ამგვარად ჩამოაყალიბა ქრისტიანული ეკლესიის ოთხი ნიშანი: «მწამს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქული ეკლესია». განვმარტოთ, რას ნიშნავს თითოეული მათგანი.

ერთი. ქრისტემ შექმნა მხოლოდ ერთი ეკლესია, ეკლესია, რაზედაც ლაპარაკობს მრწამსი. როგორც *ერთია* ღმერთი, როგორც *ერთია* ძე ღვთისა ქრისტე, როგორც *ერთია* ქრისტეს სხეული, ასევე *ერთია* ეკლესია.

წმიდა. რაკი ეკლესია ქრისტეს დაფუძნებულია და ის არის მისი სხეული, იგი წმიდაა. ის წუთისოფელშია, მაგრამ განრიდებულია მისგან. წუთისოფლის სიბილწე არ ბღალავს მას. წმიდა არ ნიშნავს, რომ ყველა წევრი ეკლესიისა წმიდაა. წმიდა ნიშნავს, რომ ცოდვილნი, რომელთა მოწოდებისთვის მოვიდა ქრისტე, სიწმიდის გზაზე არიან, ეკლესიაში ეზიარებიან სიწმიდეს.

კათოლიკე. ერთი მნიშვნელობით ეს არის «მთლიანი», «მრთელი». ეკლესია შეიქმნა და არსებობს როგორც მთლიანი, დაუნაწევრებელი, ისევე როგორც ქრისტეს სხეულია მთლიანი. ყველა ცალკეული ეკლესია მთლიანად, არა ფრაგმენტულად, არა დანაწილებულად მოიცავს ერთს. მეორე მნიშვნელობით, *კათოლიკე* ნიშნავს საყოველთაოს, უნივერსალურს. ეკლესია აერთებს ყველა ქრისტიანს, მთელ მსოფლიოში განფანტულთ, ყველას — ცოცხალსა და განსვენებულს, წმიდასა და ცოდვილს, განურჩევლად ეთნიკურ-ენობრივი, კულტურული, სოციალური კუთვნილებისა. არსებობს ქრისტეს ერთი ეკლესია თავის უნივერსალურ მთლიანობაში, ყველა მოდგმისათვის — ყველასათვის ერთნაირად განტეხილ-დათხეული ქრისტეს ხორცი და სისხლი, მაგრამ მაინც მთლიანი ხორცით და სისხლით. «უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი... თქვენ ყველანი ერთნი ხართ ქრისტე იესოში» (გალ. 3:28).

სამოციქულო. სამოციქულო ნიშნავს, რომ ეკლესია დაარსებულია მოციქულთა მიერ და ინახავს მოციქულთა მოძღვრებას, რომელიც მათ უშუალოდ ქრისტესგან მიიღეს. ქრისტეს სიცოცხლეში თორმეტი მოციქული უკანასკნელ სერობაზე უკვე შეადგენდა ეკლესიას თავისი ევქარისტიის საიდუმლოთი (ქრისტეს ხორცისა და სისხლის ზიარებით), მაგრამ ეკლესიის დაარსების დღედ ითვლება აღდგომიდან ორმოცდამეათე დღე, როცა მოციქულთა კრებულზე გადმოვიდა სულიწმიდის მადლი და სხვადასხვა ქვეყნიდან იერუსალიმში შეკრებილ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ებრაელებს ყველას საკუთარ ენაზე ექადაგა სახარება (საქმე, 2:1-11).

ქრისტეს მეორედ მოსვლა და მკვდრეთით აღდგომა

თავისი პირველი მოსვლით ადამიანის მიწიერ სხეულში ქრისტემ კაცობრიობას ახარა ხსნის შესაძლებლობა და ასწავლა გზა ხსნისკენ, ხოლო მეორედ მოსვლისას იგი მოჰკითხავს ადამიანს თავისი ცხოვრების ნაყოფს და უკანასკნელ სამსჯავროზე მიაგებს საზღაურს. ამ დროს საბოლოოდ გაიმიჯნება ერთმანეთისგან კეთილი და ბოროტი.

ქრისტიანს სწამს მკვდრეთით აღდგომა, ადამიანთა მკვდრეთით აღდგომა, რომელიც მოხდება ქრისტეს მეორედ მოსვლისას. მკვდრები აღდგებიან იმ სულიერ (ნათლის) სხეულში, როგორიც მათ ჰქონდათ სამოთხეში ცოდვით დაცემამდე. ამავე დროს ეს იქნება არა სხვა სხეული, არამედ მათი კუთვნილი ინდივიდუალური სხეული, რომლითაც ისინი მიწიერ ცხოვრებაში იყვნენ შემოსილნი. მკვდრეთით აღმდგარი სხეული თავისუფალი იქნება ხრწნადობისგან და სიკვდილისგან... «ჯეჯილივით აყვავდება თქვენი ძვლები...» (ესაია). «მოველი აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა», ნათქვამია «მრწამსში».

ქრისტიანი მკვდრეთით აღდგომასთან ერთად მოელის მთელი ქმნილების განახლებას, ანუ ახალ შესაქმეს, რომლის მოლოდინი ჯერ კიდევ ძველი აღთქმის ეპოქაში ჰქონდათ მორწმუნეებს. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველი ესაია ამბობდა უფლის სახელით: «აჰა, შევქმნი ახალ ცას და ახალ მიწას, აღარ გაიხსენება წინანდელნი...». განქარდება ცოდვის ყოველი შედეგი, ღმერთი შეირიგებს ადამიანს და მისი ყოველი ქმნილება შეურიგდება ადამიანს, ბოროტება საბოლოოდ აღმოიფხვრება. ახალი აღთქმის წინასწარმეტყველი პერსპექტივაში უკვე ხედავს ამ სურათს: «ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგან პირველი ცა და პირველი მიწა გადაეგნენ...» (იოანე ღვთისმეტყველის «გამოცხადება»).

ქრისტიანობის ფუძემდებლური ტექსტები

ქრისტიანობა მწიგნობრული რელიგიაა. ქრისტიანული მოძღვრება ეფუძნება ბიბლიას (ბერძნულად ნიშნავს «წიგნებს»), რომელიც შედგება ძველი და ახალი აღთქმებისგან. მათ შორის მჭიდრო კავშირია, თუმცა ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კულტურულ-რელიგიურ გარემოში იწერებოდა. ძველი აღთქმა დაწერილია ებრაულ ენაზე ძვ. წ. I ათასწლეულში და მოიცავს 39 წიგნს, ახალი აღთქმა — ჩვ. წ. I საუკუნეში და მოიცავს 24 წიგნს. ძველ და ახალ აღთქმებს შორის კავშირი გამოიხატება წინადადებით, რომელიც IV-V საუკუნეების ღვთისმეტყველს ეკუთვნის: «ძველ აღთქმაში დაფარულია ახალი აღთქმა, ხოლო ახალში გამოცხადებულია ძველი», რაც ნიშნავს, რომ ძველ აღთქმაში ფარულად თუ ბუნდოვნად გამოხატული მესიანისტური იდეები ახალ აღთქმაში პოულობენ ხორცშესხმას. ძველი აღთქმა მოგვითხრობს ებრაელი ხალხის ისტორიულ-რელიგიურ თავგადასავალს, მასში გადმოცემულია მონოთეისტური რელიგიის მრწამსი. ახალი აღთქმის წიგნები გადმოგ-

ვცემენ იესო ქრისტეს ამქვეყნიურ მოღვაწეობას შობიდან ჯვარცმამდე (ოთხი სახარება), იესო ქრისტეს მოციქულთა მოღვაწეობას და ქრისტეს ეკლესიის დაარსებას («მოციქულთა საქმე»), მოციქულთა მიერ გადმოცემულ მოძღვრებას (ეპისტოლეები) და მსოფლიოს საბოლოო ხვედრს («გამოცხადება»).

ლოცვა

ლოცვები ქრისტიანობაში სამი ტიპის არის: ვედრებითი, სამადლობელი და ქება-დიდების. ქრისტიანი ადამიანის პირადად წარმოსათქმელი ლოცვები შედგება კანონიკური და თავისუფალი (საკუთარი) ლოცვებისაგან. *კანონიკურში* ვგულისხმობთ თავად ქრისტეს მიერ შემოთავაზებულ ტექსტს: «თქვენ კი ასე ილოცეთ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...» (მათე, 6:9), ლოცვებს, როგორიც არის ე. წ. მეზვერის (მებაჟის) ლოცვა: «ღმერთო, მილხინე მე, ცოდვილსა ამას» (ლუკა, 18:13), იესოს ლოცვა: «უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე, ცოდვილი», ზოგიერთ ფსალმუნს (განსაკუთრებით 51-ე ფსალმუნს) და სხვ. *თავისუფალში* კი იგულისხმება ადამიანის გულში და გონებაში დაბადებული ყოველი სიტყვა ან ფიქრის განწყობა, რომლითაც მორწმუნე ადამიანი მიმართავს ღმერთს კონკრეტულ გასაჭირში. არის ლოცვები ინდივიდუალური და საზოგადო, როცა მთელი კრებული, ეკლესია, ღმერთს სავედრებელი ან სამადლობელი სიტყვებით მიმართავს.

ისტორიული ეპოქები

ქრისტიანობის ისტორიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპოქა და გარდამტეხი ხდომილებაა: დევნილობის ხანა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება რომის იმპერიაში, მსოფლიო საეკლესიო კრებების ეპოქა და დიდი სქიზმა. 1054 წელი ითვლება (თუმცა პირობით) ერთიანი ეკლესიის გახლეჩის თარიღად, რისი შედეგიც არის დღევანდელი მართლმადიდებელი და რომის კათოლიკე ეკლესიების ურთიერთდაპირისპირებულობა. მაგრამ რადგან არსებითად ქრისტეს ეკლესია განუყოფელია, თითოეული მათგანი თავს ერთიან ეკლესიად მიიჩნევს, მეორეს კი — მისგან ჩამოცილებულად თვლის. რეფორმაციის ხანაში (XVI ს.) კათოლიკურ ეკლესიას გამოეყო ლუთერანული, კალვინისტური, ანგლიკანური ე. წ. პროტესტანტული ეკლესიები, რომელთაგან თავ-თავის მხრივ, სხვადასხვა *დენომინაციები* (იხ. *რელიგიურ ტერმინთა განმარტება*) წარმოიშვა. XIX-XX საუკუნეებში ევროპას სეკულარიზაციის, ხოლო რუსეთის იმპერიას კომუნისტური რევოლუციის ტალღამ გადაუარა, რამაც ქრისტიანობის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული გავლენა შეასუსტა. ამავდროულად, საფუძველი ჩაეყარა ეკუმენურ მოძრაობას, რომელიც, იესო ქრისტეს მოწოდების თანახმად, ქრისტიანული ეკლესიების ხელახალ გაერთიანებას ისახავს საბოლოო მიზნად.

უმთავრესი ქრისტიანული კონფესიების დაახლოებითი რაოდენობრივი მაჩვენებელი დღეისათვის ასე გამოიყურება: 1 მილიარდი კათოლიკე, 400 მილიონი პროტესტანტი და 70 მილიონი ანგლიკანი, მართლმადიდებლებისა და ძველაღმოსავლური ეკლესიების მიმდევრების რაოდენობა (არაქალკედონიტური ეკლესიები და ნესტორიანელები) 240 მილიონია.

სოციალური განზომილება

პირველქრისტიანთა ცხოვრების წესი დემოკრატია, ე.ი. რელიგიურ წინამძღოლთა არჩევითობა, ნების თავისუფლება, ე.ი. საეკლესიო ცხოვრებაში ნებაყოფლობითი მონაწილეობა, კოლექტიურობა, ე.ი. სარჩო-საბადებლის ურთიერთშორის განაწილება და ეგალიტარიზმი, ე.ი. «ბერძენისა» და «იუდეველის», მონისა და ბატონის, ქალისა და კაცის თანასწორობა გახლდათ — ეს ეკლესიის ამოსავალი სოციალური პრინციპები და მახასიათებლებია. ამის გამო მათკენ, როგორც იდეალებისკენ, ილტვის წუთისოფლის მტვრით დამძიმებული და შევიწროებული ეკლესია, რომლის მიზანი წუთისოფლის დაძლევა და მასზე გამარჯვებაა. ეს ქრისტიანული პრინციპები კვებავს თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობასა და ცივილიზაციას, რომლის უპირველეს მონაპოვრად პიროვნებისა და მისი ნების ხელშეუვალობა, სიტყვისა და არჩევანის თავისუფლება, თანასწორობა და ინდივიდუალიზმი, სოციალური სამართლიანობა, სამართლებრივი სახელმწიფო და ღია საზოგადოება მიიჩნევა.

ზურაბ კიკნაძე

მართლმადიდებლობა

მართლმადიდებლობა, ბერძნულად *ორთოდოქსია*, ეწოდება ქრისტიანობის იმ მიმართულებას, რომელიც ინახავს ქრისტიანულ პრაქტიკას და მოძღვრებას, როგორც ის ჩამოყალიბდა მწვალებლებთან ბრძოლაში შვიდ მსოფლიო კრებაზე (325-787), სადაც მიღებული იქნა ქრისტიანობის ძირითადი დოგმატები.

მართლმადიდებლობა, ქრისტეს მოძღვრების მართალი აღმსარებლობა, თვითშეფასებით, დასაბამს მოციქულთა ხანიდან იღებს და დღემდე შეურყვნელად და მრთელად ინახავს მას. ამიტომაც იგი თავის თავს მიიჩნევს იმავე ეკლესიად, რაზედაც მრწამსშია ნათქვამი: «ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქული ეკლესია». რაც შეეხება სხვა ეკლესიებს, რომლებთანაც მას არა აქვს ევქარისტიული კავშირი, ისინი გაიაზრებიან არა ერთი, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის განშტოებებად, (*ერთი* არასოდეს დაშლილა), არამედ მისგან ჩამოშორებულებად (განდგომილებად) ისტორიის განმავლობაში.

მართლმადიდებლური მოძღვრება, ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმების) გარდა, ეფუძნება ზეპირ თუ წერილობით ტექსტებს საერთო სახელწოდებით — *წმიდა გადმოცემა*, რომელიც შეიცავს: «მოციქულთა წესებს», სადაც აღნუსხულია მოციქულთა ხანის საეკლესიო პრაქტიკა; მსოფლიო და ზოგიერთი ადგილობრივი კრებების დოგმატურ და პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს; წმ. მამათა და ეკლესიის მოძღვართა ქმნილებებს; ლიტურგიულ ტექსტებს, რომელთაგან ბევრი სამოციქულო წარმოშობისაა; მოწამეთა აქტებს, რომლებიც შედგენილია მათი ტანჯვის უშუალო მოწმეთა მიერ. თავდაპირველად, გარდა ძველი აღთქმისა, ქრისტიანული მოძღვრების შემცველი ტექსტები (ეპიზოდები ქრისტეს ცხოვრებიდან, ქადაგებები, იგავები და სხვ.) ზეპირად ვრცელდებოდა, მაგრამ პირველი საუკუნის მეორე ნახევარშივე მათ წერილობითი სახე მიიღეს.

ორგანიზაცია

მართლმადიდებელი ეკლესიის ორგანიზაცია ეფუძნებოდა პენტარქიის (ხუთმმართველობის) პრინციპს. მსოფლიო კრებებმა, რომლებიც პერიოდულად იმართებოდა სხვადასხვა დოგმატური და ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად, გამოავლინა ხუთი ავტორიტეტული ქალაქი, რომლებიც რომის იმპერიის მთელ ტერიტორიას მოიცავდნენ: რომი, კონსტანტინოპოლი, ალექსანდრია, ანტიოქია და იერუსალიმი თავიანთი დიოცეზებით აერთიანებდა მთელს საქრისტიანოს. დიდი იყო რომის ეკლესიის ავტორიტეტი, როგორც იმპერიის სატახტო ქალაქისა და მოციქულთა თავთა — პეტრესა და პავლეს მოწამებრივი აღსასრულის ადგილისა. მაგრამ ეს იყო ღირსების ავტორიტეტი, როგორც პირველისა თანასწორთა შორის. ერთ-ერთ მსოფლიო კრებაზე დადგინდა, რომ კონსტანტინოპოლი, როგორც ახალი სატახტო, *ახალ რომად,* ხოლო მისი პატრიარქი,

მსოფლიო პატრიარქად წოდებულიყო. ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი რომსა და კონსტანტინოპოლს შორის უთანხმოებას, რაც საბოლოოდ განხეთქილებაში (სქიზმაში) გადაიზარდა. უთანხმოებანი, დაწყებული IX საუკუნიდან, ძირითადად პოლიტიკურ-ორგანიზაციული იყო, რასაც დოგმატური დაემატა.

აღმოსავლეთში ყველა ეკლესია თანასწორად ითვლებოდა. ისევე, როგორც ეკლესიის დაარსების დღეს (სულთმოფენობას) ყველა მოციქულს თანაბრად მოეფინა სულიწმიდა, ასევე გაგრძელდა, ტრადიციულად, შემდგომ: ყველა ეპისკოპოსს, რომლებიც მოციქულთა მემკვიდრეები იყვნენ, თანაბარი მადლი ჰქონდა მონიჭებული, სწორედ მადლი და არა ავტორიტეტი. ამის გამო არც ერთ ეკლესიას არ შეეძლო მეორის დამოძღვრა ჭეშმარიტებაში. თუ რამ დოგმატური გადაწყვეტილება იყო მისაღები ან დასაზუსტებელი, ყველანი იკრიბებოდნენ მოციქულთა კვალად და მიაჩნდათ, რომ მათზე კვლავ გადმოდიოდა სულიწმიდის მადლი. ეს ტრადიცია გაგრძელდა მსოფლიო კრებებზე, რაც წმიდაწყლის აღმოსავლური მოვლენა იყო ქრისტიანობის ისტორიაში.

ამასთან ერთად, პენტარქია, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ თანდათან დაკარგა აქტუალობა, საფუძვლად დაედო ეკლესიათა ორგანიზაციული დამოუკიდებლობის (ავტოკეფალობის) პრინციპს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეკლესიის საზღვრები სახელმწიფოს საზღვრებს დაემთხვა, რასაც ჰქონდა და აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დამოუკიდებელი ქვეყანა — დამოუკიდებელი (ავტოკეფალური) ეკლესია, სხვანაირად რომ ვთქვათ, მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთ სახელმწიფოში გაბატონებული პოზიცია დაიკავა: გახდა სახელმწიფო რელიგია, ანუ მოექცა სახელმწიფოს (სამეფო სახლის) მეურვეობის ქვეშ. ამგვარ ვითარებაში სასიკეთო ის იყო, რომ ეკლესიამ მყუდრო თავშესაფარი პოვა ხელისუფლების ჩრდილქვეშ, რამაც შესაძლებლობა მისცა, ხელისუფლების დახმარებით, დაუბრკოლებლად დაენერგა ქრისტიანული მოძღვრება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხელი შეეწყო ეროვნული ენის, მწიგნობრობის, არქიტექტურის განვითარებისთვის. საქართველოს მაგალითზე ეს მეტად თვალსაჩინოა. რაც შეეხება ნეგატიურ მხარეს, ეკლესიის მოწყობას ნაციონალურ საფუძველზე (ერთი ხალხი — ერთი ეკლესია, ერთი ხალხის ეკლესია) მოჰყვება იმ პრინციპის დარღვევა, რომელიც პავლე მოციქულმა გამოთქვა: «უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი.... თქვენ ყველანი ერთნი ხართ ქრისტე იესოში» (გალ. 3: 28). ეკლესიის *კათოლიკეობას* (როგორც მთლიანობის, ისე საყოველთაობის აზრით) უპირისპირდება ე.წ. *ფილეტიზმი* ანუ ეკლესიის გააზრება და მოწყობა ეთნიკური პრინციპით, საბოლოო საზრისით — ბერძნული ეკლესია, ქართული ეკლესია, რუსული ეკლესია და ა.შ.

ტრადიციულად მართლმადიდებელი ქვეყნებია: საქართველო, რუსეთი, სერბეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, თუმცა მართლმადიდებელი ეკლესია თხუთმეტი ავტოკეფალური და ოთხი ავტონომიური ეკლესიის იურისდიქციით დღეს მთელ მსოფლიოშია განფენილი. ავტოკეფალური ეკლესიებია:

1. კონსტანტინოპოლის (კათედრა კონსტანტინოპოლში ანუ სტამბოლში), 2. ალექსანდრიის (კათედრა ალექსანდრიაში), 3. ანტიოქიის (კათედრა დამასკოში), 4. იერუსალიმის (კათედრა იერუსალიმში), 5. რუსეთის (კათედრა მოსკოვში), 6. საქართველოსი (კათედრა თბილისში), 7. სერბეთის (კათედრა ბელგრადში), 8. რუმი-

ნეთის (კათედრა ბუქარესტში), 9. ბულგარეთის (კათედრა სოფიაში), 10. კვიპროსის (კათედრა ლევკუსიაში), 11. ელადის (კათედრა ათენში), 12. ალბანეთის (კათედრა ტირანაში), 13. პოლონეთის (კათედრა ვარშავაში), 14. ჩეხოსლოვაკიის (კათედრა პრაღაში) და 15. ამერიკის (კათედრა ნიუ-იორკში).

ავტონომიური ეკლესიებია: 1. სინაის (კათედრა კაიროში), 2. ფინეთის (კათედრა კუიპოში), 3. იაპონიის (კათედრა ტოკიოში), 4. ეს-ტონეთის (კათედრა ტალინში).

იერარქია

მართლმადიდებელ საეკლესიო სამყაროს არ ჰყავს ერთი მეთაური მიწიერი იერარქის (ეპისკოპოსის, პატრიარქის, პაპის) სახით. ავტოკეფალური ეკლესიების მეთაურები პატრიარქებია (ან მიტროპოლიტები და მთავარეპისკოპოსები), რომლებიც ორგანიზაციულად სრულიად დამოუკიდებელნი არიან და სხვა რომელიმე ეკლესიისგან ჩაურევლად მართავენ მათდამი რწმუნებულ ეკლესიას. არის ერთიანობა არა ორგანიზაციული, არამედ ევქარისტიული და დოგმატური. ეს არის ქრისტეს მოძღვრება, რომელსაც ინახავს ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. მსოფლიო პატრიარქი მხოლოდ ნომინალურად, ტრადიციის ძალით ატარებს ამ ტიტულს (როგორც ღირსებას) და არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ავტორიტეტს დოგმატურ საკითხებში.

მართლმადიდებლური მოძღვრებით ეკლესიის თავია ქრისტე. საეკლესიო იერარქიის ავტორიტეტი დაფუძნებულია ეკლესიის თავის — იესო ქრისტესგან მომდინარე უწყვეტ ხელდასხმაზე მოციქულთა ხანიდან დღემდე. მიუხედავად ადგილობრივი და ისტორიის განმავლობაში წარმოქმნილი განსხვავებებისა, ეკლესიის მმართველობის პრინციპი არ შეცვლილა. ეკლესიის მსახურის ხარისხი განიზომება ეკლესიის ძირითად საიდუმლო ქმედებაში — ევქარისტიაში მონაწილეობის ხარისხით.

საეკლესიო იერარქია სამ ხარისხად განიყოფება: 1. ეპისკოპოსობა, 2. მღვდლობა, 3. დიაკვნობა.

ეპისკოპოსის ხარისხი არ იცვლება იმის მიხედვით, თუ რა ღირსება (ტიტული) მიენიჭება მას — მთავარეპისკოპოსის, მიტროპოლიტის (დიდი ქალაქის ეპისკოპოსი) თუ პატრიარქის (ადგილობრივი ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური). ეპისკოპოსობა საეკლესიო იერარქიის უმაღლესი საფეხურია (ხარისხია), რომლის პრეროგატივებია: ლიტურგიის აღსრულება, ეპისკოპოსების, მღვდლებისა და დიაკვნების ხელდასხმა, წმიდა მირონის კურთხევა, მირონცხების აღსრულება, ტაძრების კურთხევა და სატფურება. ეპისკოპოსები მონაწილეობენ პატრიარქის კურთხევაში. ეპისკოპოსს ემორჩილება მის საეპისკოპოსოში (ეპარქიაში) შემავალი ეკლესიები, სასწავლებლები, მონასტრები. ეპისკოპოსად კურთხევის აუცილებელი პირობაა უქორწინებლობა — ეპისკოპოსი შავი სამღვდელოებიდან უნდა იყოს, ანუ — ბერი.

მღვდელს ხელდასხმის შემდეგ ენიჭება ლიტურგიის აღსრულების, აღსარების მიღების, ცოდვათა მიტევების (ქრისტეს სახელით), ზიარების გაცემის, ნათლისცემის,

წესის აგების, ქრისტიანულ ზნეობაში დამოძღვრის, ქადაგებისა და სწავლების უფლება.

დიაკვანი მღვდელმსახურების დაბალი საფეხურის წოდებაა. იგი დამოუკიდებელი ხარისხია და არ გულისხმობს მომდევნო საფეხურად მღვდლობას (როგორც ხშირად ფიქრობენ). *დიაკონოს* ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს «მომსახურეს». დიაკვნის მოვალეობაა ემსახუროს მღვდელს ლიტურგიისა და სხვა საიდუმლოებების (ნათლობა, ქორწინება, წესის აგება...) აღსრულებაში. მას აქვს საკურთხეველში შესვლის, კვერექსების კითხვის, საკმევად საცეცხლურის ხელში პყრობის უფლება. დიაკვანს ევალება, ასევე, სამეთვალყურეო სამსახური, ეკლესიაში წესრიგისთვის თვალის დევნება.

მოძღვრება

მიუხედავად საღვთისმეტყველო აზრის ინტენსიური მუშაობისა აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებში (განსაკუთრებით ალექსანდრიაში) და ბრწყინვალე ღვთისმეტყველთა არსებობისა (კლიმენტი ალექსანდრიელი, გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, მაქსიმე აღმსარებელი, გრიგოლ პალამა...), არ ყოფილა მცდელობა სისტემატური სახე მისცემოდა მოძღვრებას — ამის საჭიროება თითქოს არ იყო, რამდენადაც მოძღვრების ძირითადი უბნები (ქრისტოლოგია, ტრიადოლოგია...) ცალკეულ დოგმატებად ქვეყნდებოდა მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებათა სახით. ეს საკმარისი იყო. მართლმა-დიდებლებს მიაჩნიათ, რომ მთლიან მოძღვრებას, რომელიც დოგმატთა შინაგან კავშირებზე იყო დაფუძნებული, ეკლესიის შეგნება ინახავდა და ინახავს და სრულებითაც არ საჭიროებს სისტემატიზაციას, როგორც ეს თავის დროზე დასავლეთში თომას აქვინელმა გააკეთა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტრადიციულად მართლმადიდებელ ეკლესიაში დოგმატური გადაწყვეტილებების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობაა სავალდებულო თითოეული მისი წევრისთვის. ეს მინიმუმი შეიცავს ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსს, რომელიც იკითხება ნათლისცემისა და ლიტურგიის დროს და შვიდი მსოფლიო კრების გადაწყვეტილებებს. თუმცა მთელი მოძღვრება ამით არ ამოიწურება, მაგრამ რწმენის ბევრი ფაქტი, მიუხედავად მათი უაღრესი მნიშვნელობისა, დოგმატად არ ჩამოყალიბებულა (მაგ., წმიდანთა თაყვანისცემა, მოძღვრება საიდუმლოთა შესახებ, ესქატოლოგია და სხვ.). აღმოსავლელ (ბიზანტიელ) ღვთისმეტყველთა თითქმის ყველა შრომა დაწერილია როგორც კერძო პასუხი იმ შეხედულებათა საპირისპიროდ, რომლებიც, მათი რწმენით, ამახინჯებდა ძირითად დოგმატებს, როგორიც არის განხორციელების ან სამების საიდუმლო. სისტემატიზაციის პრეცედენტი იყო იოანე დამასკელის «წყარო ცოდნისა» (VIII ს.), მაგრამ მოგვიანებით, როცა XVII-XVIII სს-ში საჭიროებამ მოითხოვა მართლმადიდებლობას გამოეთქვა თავისი დოქტრინალური ჭეშმარიტებები სისტემის სახით დასავლური ქრისტიანობის წინაშე, დამასკელის შრომა საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან იგი არ მოიცავდა მთლიან მოძღვრებას, მოძღვრების ყველა უბანს. ვერც ამ საჭიროების ხანაში, როცა დრომ მოითხოვა მართლმადიდებლობა კათოლიკური სამყაროსა და პროტესტანტული ეკლესიების წინაშე გამოსულიყო თავისი ჩამოყალიბებული საერთო, ყველა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მისაღები დოქტრინით, ეს ამოცანა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. დღემდე არ არსებობს მართლმადიდებელი

მოძღვრების ერთიანი გადმოცემა, სადაც ყველა პრობლემაზე ზუსტი პასუხი იქნებოდა გაცემული. ეს არამც და არამც არ არის დოქტრინის ნაკლი. ბოლოს და ბოლოს, ყველაფრის სისტემატიზაცია შეიძლება, მაგრამ არსებობს რეალობა, რომლის სისტემატიზაცია ვერ ხერხდება მისი შინაგანი არსის დაუზიანებლად. მართლმადიდებელი თეოლოგიის პრინციპი, რომელიც გამოსჭვივის ეკლესიის ყველა მასწავლებლის ნაწერებიდან, შეიძლება ამ ერთი ფრაზით გამოიხატოს: ერთადერთი, რაც შეიძლება ვიცოდეთ ღვთის ბუნების შესახებ არის ის, რომ ჩვენ არაფერი ვიცით. ეს არის მართლმადიდებლური თეოლოგიური აზროვნებისთვის დამახასიათებელი აპოფატიკის ანუ ნეგატიური ღვთისმეტყველების პრინციპი: ღმერთზე უმჯობესია ითქვას, რა *არ არის* იგი. ღმერთი ყველა განსაზღვრებასა და სახელწოდებაზე განუზომლად მაღლა დგას. როგორც დიონისიოს არეოპაგელი წერს, ღმერთი არ არის არც გონება, არც სიტყვა, არც აზრი, არც სიდიდე, არც ძალა, არც სინათლე, არც სიცოცხლე, არც დრო, არც მარადისობა და ა. შ. უსასრულოდ, რადგან თავად ღმერთის ბუნებაა უსასრულო. ყოველი განსაზღვრება საზღვარს უდებს უსასრულობას. ამრიგად, ღმერთი ვერ იქნება შემეცნების საგანი (რამდენადაც საგანიც კი არ არის). ღმერთი პრინციპულად შეუცნობელია. თუ რამ შეცნობილია მასში, ეს მისი შეუცნობლობაა. შესაბამისად, შემეცნება (იგივე ღვთისმეტყველება) უსასრულო გზაა, ღვთისმეტყველი (თუნდაც, უბრალოდ ქრისტიანი ადამიანი) მგზავრია ამ დაუსრულებელ გზაზე. ღვთის შემეცნების კიბეზე არ არსებობს უკანასკნელი საფეხური. დასრულებულ სისტემაში მოქცეული ღმერთი აღარ არის ღმერთი. პრინციპულად, ქრისტიანული მოძღვრება არ შეიძლება დასრულ-დეს შემეცნებაში ღვთის ჭეშმარიტი ბუნების დაუზიანებლად.

საღვთო საიდუმლონი

მართლმადიდებელ ეკლესიაში შვიდი ძირითადი საიდუმლო სრულდება:

1) ნათლისღება. ძირითადი აქტი, რომლის ძალითაც ადამიანი ქრისტიანად ანუ ქრისტეს ეკლესიის შვილად ითვლება, არის ნათლობა, მაგრამ ნათლობის რიტუალს უძღვის კათაკმევლობის პერიოდი, რომლის განმავლობაში ახლადმოქცეული ემზადება ნათლისღებისთვის, ეცნობა ძირითად ქრისტიანულ ჭეშმარიტებებს (მოძღვრებას წმიდა სამებაზე, ეკლესიაზე და სხვ.), სწავლობს მრწამსს («მწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა...»), ესწრება საკვირაო ლიტურგიას, ოღონდ არა ბოლომდე. კათაკმევლობის პერიოდის ხანგრძლივობა არ არის განსაზღვრული, ასევე განუსაზღვრელია ასაკი ადამიანისა, რომელიც ინათლება.

ნათლისღება ხდება წყალში სამგზის ჩაღრმავებით ან, თუ ამის საშუალება არ არის, წყლის სამგზის სხურებით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წყალი არსად არის, ხოლო ნათლისცემა გადაუდებელია (სიკვდილის სარეცელზე), ქვიშის მეშვეობით. ნათლისცემის პრეროგატივა ეკუთვნის ხელდასხმულ მღვდელს, რომელსაც ეძლევა სამების სახელით ნათლისცემის უფლება. თუ მღვდელი არ არის, ხოლო ნათლისღება აუცილებელია (სიკვდილის სარეცელზე), ნათლობის ჩატარება შეუძლია საერო პირსაც, მაგრამ ამგვარად მონათლულის გადარჩენის შემთხვევაში მღვდელმა სრული წესით უნდა აღასრულოს ნათლისცემა. ნათლისღებისას ნათელღებული ღვთის წყალობით განიწმიდება ადრე ჩადენილი ცოდვებისგან და ამიერიდან იგი ქრისტეს

ეკლესიის შვილად (წევრად) ითვლება, მაგრამ ნათელღებულმა ქრისტიანული წესით ცხოვრებით უნდა შეინარჩუნოს ეს სიწმიდე. ნათლისღება მეორედ დაბადებაა, სულიერი შობაა და იგი მხოლოდ ერთხელ ხდება ადამიანის ცხოვრებაში (მრწამსში ნათქვამია: «აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა...»).

2) მირონცხება. წმ. მირონის ცხება ხდება ნათლობის შემდეგ, რაც ანიჭებს ნათელღებულს სულიწმიდის მეშვეობით სასიცოცხლო ძალას, სულიერ ზრდასა და განმტკიცებას ღვთის რწმენაში. მირონცხება უშუალოდ მოსდევს ნათლობას და აღიქმება ნათლობის შემადგენელ ნაწილად, თუმცა ის დამოუკიდებელი საიდუმლოა.

3) ზიარება ანუ ევქარისტია. ყოველი ქრისტიანი — სამღვდელო და ერისკაცი — ეზიარება ქრისტეს ხორცსა და სისხლს პურისა და ღვინის სახით, ამით იგი მისტიკურად მონაწილეობს საიდუმლო (უკანასკნელ) სერობაში, როცა ქრისტემ გაუნაწილა მოციქულებს თავისი უკვდავი სიცოცხლე. «ესე არ ხორცი ჩემი მრავალთათვის განტეხილი მოსატევებელად ცოდვათა; სვით, ესე არს სისხლი ჩემი, მრავალთათვის დანთხეული მისატევებელად ცოდვათა». პურისა და ღვინის გარდაარსება ქრისტეს ხორცად და სისხლად ხდება წმიდა სულის მოხმობით (ეპიკლესისი). რა სიხშირით უნდა ეზიაროს მართლმადიდებლი, არ არის განსაზღვრული.

4) აღსარება. ქრისტიანი პერიოდულად აღიარებს ცოდვებს მღვდლის წინაშე, რომელიც მას მიუტევებს იესო ქრისტესა და მისი ეკლესიის სახელით.

5) ქორწინება. წყვილის შეუღლება რომ სულიერად კანონიერი იყოს, იგი საჭიროებს კურთხევას, რომლის პრეროგატივა ეკლესიას ეკუთვნის: მღვდელი, ეკლესიის სახელით, აკურთხებს საქორწინო გვირგვინს. რასაც ის შეკრავს, ზეცაშიც შეკრული იქნება.

6) ზეთის კურთხევა. ეს საიდუმლო აღსრულდება მძიმე სნეულებაში მყოფი ქრისტიანის სულისა და სხეულის საკურნებელად და იმ ცოდვების მისატევებლად, რომ-ლებიც უღიარებელი დარჩა სიკვდილის სარეცელზე მწოლარეს.

7) მღვდლობა. საიდუმლო, რომელსაც ასრულებს მღვდელმთავარი რომელიმე პირის მიმართ, რომელიც განწესებულია საეკლესიო იერარქიის რომელიმე საფეხურისთვის (საეპისკოპოსოდ, სამღვდელოდ თუ სადიაკვნოდ). სულიწმიდის მადლით პირი სულიერად უფლებამოსილი ხდება ასწავლოს ქრისტიანული ჭეშმარიტებები, აღასრულოს საეკლესიო საიდუმლოებები და ზნეობრივად დამოძღვროს მრევლი, ქრისტეს სამწყსო.

ეკლესია და ტაძარი

მართლმადიდებლური მოძღვრებით, ეკლესია არის ყველა წმიდის და ცოდვილის თავშესაფარი ამ სოფელში, როგორც ნოეს კიდობანი. ეკლესია ხომალდია, რომელიც დაცურავს წუთისოფლის აბობოქრებულ ზღვაში და იფარებს თავის წიაღში მორწმუნეებს, რომელთაც თავისუფალი ნებით აირჩიეს თავიანთი ხვედრი, რათა ასულიყვნენ ხომალდში. ამიტომაც ადრექრისტიანული წარმოდგენით, ეკლესიის

შენობის არსის განმსაზღვრელი ტიპი ბაზილიკაა, რომელსაც გემის ფორმა აქვს იმის ნიშნად, რომ ის მიაპობს ამაოების ტალღებს. არსად ის არ მკვიდრობს, მისი მკვიდრობა მხოლოდ გზაშია და გზას აქვს მიზანი — ღვთის სასუფეველი და თავად არის, საბოლოო აზრით, თვითმიზანი (რადგან ის დაუსრულებელია, გრძელდება სასუფეველშიც, როგორც ამას ასწავლიდა გრიგოლ ნოსელი), როგორც ქრისტე ამბობს: «მე ვარ გზა» (გზა ეწოდებოდა ქრისტიანობას მის საწყის ხანაში).

თუ ეკლესია სადმე მკვიდრობს, ეს არის ცა, მაგრამ მას, ცის მკვიდრს, სოფელშიც ჰყავს თავისი შვილები. ამ აზრით, «ეკლესია არის მიწიერი ცა, სადაც ზეციერი ღმერთი მყოფობს და მოძრაობს» (გერმანე კონსტანტინოპოლელი). ცაში მკვიდრობის ამ იდეას გამოხატავს ცენტრალურგუმბათოვანი ეკლესიები, რომელთა გუმბათი მდგრადობის, უძრაობის, თითქოს ციური გუმბათის მიწაზე გარდამოსვლისა და მასზე დავანების განცდას ბადებს. VI საუკუნიდან ბაზილიკების გუმბათებით დაგვირგვინებამ თითქოს შეაჩერა ბაზილიკა-ხომალდის სვლა და მყარად დაამკვიდრა ერთ ადგილზე. ამით აღინიშნა დევნილებისგან თავდაღწეული და გამარჯვებული ეკლესიის სტატუსი, რაც არანაირად არ აუქმებს ეკლესიის, როგორც წუთისოფელში მსვლელი ხომალდისა იდეას. ის საძირკვლიანი სახლიც არის და ხომალდიც. თუმცა ხომალდის ცურვას თავისი საბოლოო მიზანი აქვს — სასუფეველი, რასაც ძველქრისტიანულ სიმბოლიკაში ღუზა გამოხატავს.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა რომის იმპერიის ოფიციალური (სახელმწიფო) რელიგია გახდა, მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დღის წესრიგში დადგა ეკლესიების მშენებლობა. შენობა ღვთისმსახურებას უნდა ყოფილიყო მისადაგებული, ამან განსაზღვრა მისი შიდა სივრცის ფორმა. მიუხედავად საეკლესიო შენობების განსხვავებებისა დროსა და სივრცეში, ეკლესიის შიდა სივრცე, ლიტურგიული საჭიროებიდან გამომდინარე, ორ ძირითად ნაწილად განიყოფება: ტერიტორია, რომელიც მრევლისთვის არის განკუთვნილი და ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია საკურთხევლისთვის. ისინი ერთმანეთისგან გამიჯნულია ტიხრით (კანკელით) იმის ნიშნად, რომ მრევლს არა აქვს უფლება შევიდეს იქ, სადაც აღესრულება საღვთო ლიტურგიის ყველაზე დიდი და წმიდა საიდუმლო (პურისა და ღვინის გარდაარსება ქრისტეს ხორცად და სისხლად).

ქრისტიანული ეკლესიის რამდენიმე ტიპი არსებობს: ბაზილიკა, ანუ სიგრძივი დაგეგმარების შენობა, რომელიც ხომალდის ასოციაციას იწვევს; ჯვარგუმბათიანი, გუმბათიანი ბაზილიკა; ცენტრალურგუმბათოვანი; წრიული (როტონდა); რვაკუთხა (ოქტოგონი) შენობები. ეკლესიის შენობა, როგორც წესი, საკურთხევლით აღმოსავლეთისკენ არის მიმართული, იმ მხარისკენ, საითაც, ჩვეულებრივ, მლოცველია მიპყრობილი. შენობას ადგას ჯვარი, ახლავს სამრეკლო, რომელიც მის შორიახლო შენდება. ზარი, რომლის ხმა უნდა წვდებოდეს მორწმუნეებს, ამცნობს მათ ღვთისმსახურების — წირვა-ლოცვის დაწყებას.

წმიდანების თაყვანისცემა

ეკლესია წმიდანებად შერაცხავს სარწმუნოებისთვის წამებულთ და ეკლესიისთვის განსაკუთრებულად ღვაწლმოსილ ადამიანებს — მათი ნეშტები თაყვანისცემის საგნე-

ბია, ისინი დაცულია ეკლესია-მონასტრებში საგანგებო ლუსკუმებში ან საკურთხევლის ტრაპეზის ქვეშ.

ქრისტიანული ეკლესიის უპირველესი წმიდანი ღვთისმშობელია, რომელიც *ყოვლად წმიდად* იწოდება. ღვთისმშობელი, მარადქალწული მარიამი, არის ყოველი ქრისტიანის, ვინც კი მას ლოცვისას მიმართავს, მეოხი მისი ძის წინაშე. მარიამის, როგორც ღვთისმშობლისა და მარადქალწულის, თაყვანისცემა ქრისტიანულ ეკლესიასა და საზოგადოებაში უძველესი დროიდან მოდის, მაგრამ საბოლოო დოგმატური განსაზღვრება ეფესოს კრებაზე (431 წ.) მიიღო, როგორც შედეგმა ქრისტეს ორბუნებოვნობის აღიარებისა.

მართლმადიდებლური რწმენით, წმ. მარიამი არ არის მხოლოდ საშუალება ღვთის ძის შობისა, მისი პატივი დამოუკიდებელი პატივია, როგორც ადამიანისა, რომელმაც შეგნებულად, უყოყმანო და უეჭველი რწმენით იტვირთა ეს საკაცობრიო ამოცანა, ღვთაებრივი განგების აღსრულება, ადამიანურად მძიმე, რადგან მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ მის სულში გაივლიდა მახვილი (ლუკა, 2:35), იგულისხმება მისი ძის აღსასრული ჯვარზე.

მოწამენი ისინი არიან, ვინც თავიანთი სიცოცხლით (სისხლით) დაამოწმეს ქრისტეს ჭეშმარიტება. მოწამენი დევნილების ხანიდან ჩნდებიან ეკლესიის ცხოვრებაში და მათმა მოწამებრივმა სიკვდილმა განამტკიცა რწმენაში ეკლესია. რომ არაფერი ვთქვათ რომში წამებულ მოციქულებზე (მოციქულთა თავად წოდებულებზე) პეტრესა და პავლეზე, მოწამეთა შორის გამორჩეულნი და განსაკუთრებულად პოპულარულნი არიან დიდმოწამენი: ძლევამოსილი წმ. გიორგი, კაბადოკიელი მხედარი, რომელიც დიოკლეტიანეს დროს ეწამა (303 წ.) და ქალწული ბარბარე (თითქმის იმავე დროს).

წმიდანთა შორის არიან აღმსარებელნი, რომელნიც თუმცა იტანჯნენ სარწმუნოებისთვის, მაგრამ გადარჩნენ. ასეთია VI საუკუნის გამოჩენილი ღვთისმეტყველი წმ. მაქსიმე აღმსარებელი, რომელმაც გადასახლებაში (კერძოდ, ლეჩხუმში) დაასრულა სიცოცხლე.

წმიდანები მოიხსენებიან ქრისტიანის მიერ ყოველდღიურ ლოცვებში, მლოცველი შესთხოვს მათ მეოხებას მამაღმერთისა და ქრისტეს წინაშე. არსებობენ საყოველთაო (მსოფლიო) ეკლესიის წმიდანები და ადგილობრივი ეკლესიების (საქართველოს, რუსეთის, რუმინეთის...) წმიდანები. საყოველთაო წმიდანებია: მოციქულნი, რომელთაგან უმეტესობამ მოწამებრივად დაასრულა სიცოცხლე; ძველი აღთქმის პატრიარქები; ეკლესიის მამები და ღვთისმეტყველნი, რომელთა ღვაწლმა სიწმიდე შეუნარჩუნა ეკლესიას, რომელთა მონაწილეობით ჩამოყალიბდა და დაიხვეწა ქრისტიანული მოძღვრება.

ეკლესიის რწმენით, წმიდანთა სულიერი ძალის აქტივიზაცია განსაკუთრებით საღვთო ლიტურგიის პროცესში ხდება: ისინი უსხეულო ძალებთან (ანგელოზებთან) ერთად მონაწილეობენ ღვთის-მსახურებაში, ეკლესიის კედლებიდან გადმომყურე მათი ხატები მდუმარედ ესწრებიან ლიტურგიას.

ხატების თაყვანისცემა

მართლმადიდებელი ეკლესია წარმოუდგენელია ქრისტეს, ღვთისმშობლისა და სხვა წმიდანების ხატების გარეშე. ისევე, როგორც სახარებები სიტყვიერად გადმოსცემენ იესოს, ღმერთკაცის მიმოსვლას მიწაზე, მის მიწიერ ცხოვრებას, ასევე ხატები სახიერად წარმოგვიდგენენ მას.

ქრისტეს ორბუნებოვნების დოგმატი და საიდუმლო, რაც, პრინციპში, ღვთის განხორციელება-განკაცების სიდუმლოა, საფუძვლად უდევს და ამართლებს ხატის არსებობას (შესაძლებლობას). ამავე დროს ხატი, თავის მხრივ, ადასტურებს განხორციელების საიდუმლოს.

ხატმობრძოლეობამ, რომელიც მთელი საუკუნენახევარი გრძელდებოდა მთელ ქრისტიანულ იმპერიაში (საქრისტიანოში), ღვთისმეტყველები აიძულა ხატებისთვის მეტაფიზიკური გამართლება მიეცათ. ხატების საზრისისა და მნიშვნელობის დასაბუთება იოანე დამასკელს (650-730) ეკუთვნის, რომელმაც პირველმა შეადგინა მართლმადიდებელი (სწორი) სარწმუნოების მოკლე კატეხიზისი. იმდენად მნიშვნელოვანია მართლმადიდებელი სამყაროსთვის ხატების თაყვანისცემა, რომ მისი აღდგენის თარიღი (843 წ.) მართლმადიდებლობის ზეიმის სახელწოდებით არის შესული საეკლესიო კალენდარში (აღინიშნება დიდ-მარხვის პირველ კვირას).

VII მსოფლიო კრებამ ამგვარად შეაფასა და გამოხატა ხატების მიმართ ეკლესიის დამოკიდებულება: «ჩვენ უცვლელად ვინახავთ ყველა საეკლესიო გადმოცემას, წერილობით იქნება თუ არაწერილობით. ერთ-ერთი მათგანი გვავალებს შევქმნათ ფერწერული ხატები, რადგან ეს ეთანხმება სახარებისეულ ქადაგებას, ადასტურებს, რომ ქრისტე ჭეშმარიტად და არა მოჩვენებითად განკაცდა...»

ხატი, პორტრეტისგან განსხვავებით, არ გამოხატავს ადამიანის მიწიერ მდგომარეობას ან მის ფსიქოლოგიას, თუნდაც სიღრმისეულ შინაგან სამყაროს. ხატი წარმოგვიდგენს წმიდანის განღმრთობილ სახეს სულიერი სხეულით, რომელსაც აღარ ეკარება სიკვდილის ხრწნილება. ხატი გამოხატავს წმიდანის ისეთ სახეს, როგორსაც მკვდრეთით აღმდგარი და მარადიულობას ნაზიარები ადამიანები შეიმოსავენ. ხატის სივრცეც არ არის ჩვეულებრივი, აქტუალური, სამგანზომილებიანი სივრცე, რომელშიც მოკვდავნი იმყოფებიან. მას არა აქვს უკანა პლანი, არ ჩანს სიღრმე, რაშიც რაიმე დაფარული იქნება, რაც აბსოლუტური ცოდნის განცდას ქმნის. ხატზე ყველაფერი ჩანს ერთდროულად, როგორც მარადისობაში, ანუ დრო სივრცედ არის ქცეული და ყველა დრო ერთჟამობაშია მოცემული, როგორც ერთი მარადიული წამი. ხატს არ ახასიათებს პერსპექტივა, როგორც ჩვეულებრივ ნახატს. ყველაფერი — ახლობელი და შორეული საგნები წინა პლანზეა. ხატზე არ ჩანს გარეგანი შუქის წყარო, რომელიც ჩრდილებს დააფენდა საგნებზე. ყველაფერი დაუსაბამო ღვთიურ ნათელშია განზავებული, როგორც ესაიას აქვს ნათქვამი მომავლის წინასწარმეტყველებაში: «აღარ გექნება შენ მზე დღის სინათლედ და მთვარის ნათება აღარ გაგინათებს, არამედ უფალი გეყოლება საუკუნო სინათლედ და შენი ღმერთი შენ დიდებად» (ეს. 60:19).

ამრიგად, ხატზე გამოსახული წმიდანი და მის წინაშე მლოცველი სხვადასხვა განზომილებაში იმყოფებიან: განღმრთობილი წმიდანი სულიერად გარდაქმნილ სამყაროდან ეპასუხება მლოცველს, როგორც შუამავალი ამ წუთისოფელსა და ღვთის სასუფეველს შორის. ხატის საზრისი არის ლოც-ვა, ხოლო ლოცვა, თავის მხრივ, საიდუმლო რიტუალია.

ამიტომ არავითარი საერთო ხატებს რელიგიური შინაარსის მხატვრობასთან არა აქვს. ეკლესია არ უარყოფს რელიგიურ მხატვრობას, მაგრამ მას არც რაიმე მნიშვნელობას ანიჭებს ქრისტიანის რელიგიურ ცხოვრებაში, რადგან მას არანაირი კავშირი არა აქვს ლოცვასთან, არის მხოლოდ და მხოლოდ ილუსტრაცია, რომელსაც ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების ფუნქცია აქვს. მის უკან არავითარი მეტაფიზიკური სინამდვილე არ არის.

ჩვეულებრივ, ეკლესიის კედლები მოხატულია ძველი და ახალი აღთქმის სცენებით გარკვეული წესის მიხედვით: გუმბათზე გამოსახავენ ქრისტე პანტოკრატორს (ყოვლისმპყრობელს) გადაშლილი წიგნით ხელში განკითხვის დღეს, საკურთხევლის აფსიდზე — ღვთისმშობელს ყრმით ხელში, როგორც ხიდს მიწასა და ცას შორის, საკურთხევლის კედლების ზემო რეგისტრზე ანგელოზებს, ქვემოთ — მოციქულებს, ეკლესიის მამებს — გრიგოლ ღვთისმეტყველს, ბასილი დიდს, იოანე ოქროპირს; კანკელზე ღვთისმშობლის, ქრისტეს და მთავარანგელოზთა ხატებია განლაგებული. დასავლეთის კედელზე გამოსახულია ღვთისმშობლის მიძინების სცენა.

ფრესკებს არა აქვთ იგივე დანიშნულება, იგივე ღირსება, სიწმიდე და ძალა, რაც ხატებს. ისინი დამხმარე საშუალებებია წმიდა წერილის გასაგებად და გასახსენებლად. ამბობენ, ფრესკები წერა-კითხვის უცოდინართა ბიბლია არისო. მართლაც, უბირი ადამიანები წარმართობის წრიდან ხატების მეშვეობით უკეთ ხვდებოდნენ განკაცების საიდუმლოებას, ვიდრე წიგნიდან. ამიტომაა, რომ ხატები და, საზოგადოდ, საეკლესიო ხელოვნება ასრულებდა მორწმუნეთა რწმენაში განმტკიცების ფუნქციას.

ხატების გარდა, ყოველ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიას საერთო და თავისი სიწმიდეები (მაგ., ღვთისმშობლის ხალენი, იოანე ნათლისმცემლის მუხლისთავი), ასევე სათაყვანო წმიდა ადგილები აქვს (იერუსალიმი, სინას მთა, ათონის მთა, მცხეთა).

ღვთისმსახურება (საღვთო ლიტურგია)

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში გავრცელებული უამრავი სხვადასხვა ტიპის ლიტურგიებს შორის მართლმადიდებელ ეკლესიაში დღეს სამი სახის ლიტურგია სრულდება: იოანე ოქროპირის (მთელი წლის განმავლობაში), ბასილი დიდის (მხოლოდ დიდმარხვის კვირადღეებში) და გრიგორი რომის პაპისა პირველშეწირულის წირვის სახელწოდებით (დიდმარხვის ოთხშაბათ-პარასკევს). ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიები ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდება, მათ შორის სხვაობა მხოლოდ ზოგიერთ ლოცვაშია. პირველშეწირული

ლიტურგია თავისებურია: ამ დროს არ ხდება ხორცისა და ღვინის გარდაარსება, მორწმუნენი წინა კვირას შეწირულს ეზიარებიან, რადგან დიდმარხვის ოთხშაბათ-პარასკევს ძღვენი არ შეიწირება.

უძველესი ლიტურგიებიდან იაკობის ლიტურგია აღსრულდება იერუსალიმის ეკლესიაში წელიწადში ერთხელ.

ლიტურგიის, ანუ სხვანაირად, ჟამისწირვის საბოლოო მიზანია ქრისტეს ხორცისა და სისხლის ზიარება, ანუ ევქარისტია, და იგი სამ ნაწილად განიყოფება. პირველ ნაწილში, რომელსაც პროსკომიდია (ბერძნ. «მომზადება») ეწოდება, ხდება შემოწირული პროსფორების (საფუვრიანი პურის კვერების) კვეთა. ამ დროს იკითხება დასაწყისის და მოსამზადებელი ლოცვები. მეორე ნაწილს ეწოდება კათაკმეველთა ლიტურგია, იგი მთავრდება სამოციქულოსა და სახარების კითხვით, რასაც კათაკმეველნიც ისმენენ (ძველად უშუალოდ სახარების წაკითხვის შემდეგ მღვდელი წარმოთქვამდა ქადაგებას წაკითხულის თემაზე. ახლა ეს ნაწილი გადატანილია ლიტურგიის ბოლოს). მღვდლის ძახილზე «კათაკმეველნო, განვედით!», კათაკმეველნი გადიან ეკლესიიდან, რადგან მათ არა აქვთ უფლება დაესწრონ მართალთა ლიტურგიას, როცა სრულდება ჟამისწირვის გადამწყვეტი საიდუმლო — კვეთილი პროსფორებისა და შემოწირული ღვინის გარდაქმნა ქრისტეს ხორცად და სისხლად. საკუთრივ ევქარისტიის საიდუმლო ქმედება (რიტუალი) იწყება «რომელნი ქერუბიმთას» საგალობელით, რომელიც მოუწოდებს მღვდელმსახურთ აღივსონ ღვთის შიშით და დაუტეონ ყველა ამქვეყნიური ზრახვა და საზრუნავი და ქერუბიმებს (ანგელოზთა უმაღლესი დასი) მიმსგავსებულნი შეუდგნენ მსახურებას. პურისა და ღვინის საიდუმლო (უხილავი) გარდაქმნა ქრისტეს ხორცად და სისხლად ხდება საკურთხეველში სულიწმიდის მოხმობით (ეპიკლესისი).

წმიდა ნაწილს ჯერ სამღვდელონი ეზიარებიან დახურულ საკურთხეველში. შემდეგ მღვდელს წმიდა ნაწილი ბარძიმ-ფეშხუმით გამოაქვს აღსავლის კარიდან ტაძარში და აზიარებს მრევლს. ბარძიმ-ფეშხუმის წმ. ტრაპეზზე გადაბრძანების შემდეგ მღვდელი წარმოთქვამს ქადაგებას, განმარტავს რა სახარების საკითხავს და ილაპარაკებს წმიდანის ღვაწლზე, რომელსაც ახსენებს იმ დღეს ეკლესია, დამოძღვრავს მრევლს, ამთხვევინებს ჯვარზე და დაითხოვს.

მართლმადიდებლური ღვთისმსახურება ქმედებაში წარმოგვიდგენს ქრისტეს გზას შობიდან აღდგომამდე და მის მოძღვრებას. მისი არსის გამოსახატავად შეგვიძლია გავიმეოროთ II-III საუკუნეების ღვთისმეტყველ ირინეოს ლიონელის სიტყვები, რომ «ჩვენი მოძღვრება თანხმობაშია ევქარისტიასთან, ევქარისტია კი თავის მხრივ ადასტურებს მოძღვრებას».

დღესასწაულები (წლიური ციკლი)

ამ ეტაპზე მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობა (იერუსალიმის, რუსეთის, სერბეთისა და საქართველოს ეკლესიების გამოკლებით) საღვთისმსახურო პრაქტი-

კაში ახალ სტილს (გრიგორიანულ კალენდარს) იყენებს, მაგრამ აღდგომის თარიღს ძველი, იულიანური კალენდრით ადგენს.

საკუთრივ საეკლესიო წელიწადი იწყება 1 სექტემბერს (ახალი სტილით 14 სექტემბერს). საეკლესიო წელიწადი შედგება ყოველდღიური ღვთისმსახურებისგან და დღესასწაულებისგან. მთელი წლის განმავლობაში ეკლესია იხსენებს წმინდანებს, თითოეულ მათგანს თავისი დღე აქვს განკუთვნილი. დღესასწაულები დაწესებულია: 1) ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ხდომილებების (შობა, ნათლისღება, მირქმა, აღდგომა, ამაღლება, ფერისცვალება) აღსანიშნავად, 2) ღვთისმშობლის თაყვანსაცემად (შობა, ტაძრად მიყვანება, ხარება, მიძინება...), 3) უსხეულო ძალთა (ანგელოზთა და მთავარანგელოზთა) და 4) წმიდანთა თაყვანსაცემად, 5) ეკლესიის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტების სამახსოვროდ (სულთმოფენობა, ჯვართამაღლება, მსოფლიო კრებები და სხვა მოვლენები).

ლოცვა

ლოცვას წმიდა მამები «ჭეშმარიტ ღვთისმეტყველებას» უწოდებენ, ანუ ლოცვა ქრისტიანული მოძღვრების ერთგვარი გამოხატულებაა. ლოცვა არ არის მხოლოდ მონოლოგი მლოცველისა, ლოცვაში უფლის პასუხიც მონაწილეობს. მართლმადიდებლისთვის ლოცვა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი დღეში ორჯერ მაინც (დილით ადგომისას და საღამოთი, ძილის წინ) ლოცულობს ხატებისა და ანთებული სანთლის წინ. დაწესებულია ლოცვები ასევე ყოველი საქმის დაწყების წინ და დასრულების შემდეგ, საზრდელის მიღების წინ და საზრდელის მიღების შემდეგ, ტაძარში შესვლისას, ლოცვა ეფრემ ასურისა სინანულისთვის და სხვა შემთხვევებისთვის. დილის ლოცვებში მლოცველი ავედრებს იესო ქრისტეს სამოციქული ეკლესიას, ღვთივ დაცულ ერს, საეკლესიო იერარქიას, თავის მოძღვარს, თავის მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს, მოხუცებულთ და ყრმათ, დავრდომილებს, ტყვეობასა და საპყრობილეში მყოფთ, ქრისტიანობის გამო დევნილთ; მლოცველი წყალობას გამოითხოვს უფლისგან თავისი მაჭირვებლებისთვის, რომლებიც უსჯულოებას სჩადიან მის მიმართ, ევედრება მას არ დასაჯოს ისინი, არამედ მოაქციოს სიკეთისკენ. მლოცველი არ ივიწყებს მართლმადიდებლობის უარმყოფელთ და შესთხოვს უფალს, მოაქციოს ისინი. მლოცველი ლოცულობს გარდაცვლილთა სულებისთვის — მშობლები და ღვიძლი ნათესავები იქნებიან თუ ახლობელ-მეგობრები. ყოველ მლოცველს, ჩვეულებრივ, თავის შესავედრებელთა სია აქვს და მათ ჯანმრთელობას თუ სულის განათლებას შეავედრებს უფალს.

მონასტრები და ბერმონაზვნობა

ბერმონაზვნური და სამონასტრო ცხოვრება მართლმადიდებლობის მუდმივი თანამდევია. მისი ტრადიციულობა და ერთგულება ადრექრისტიანული ხანისადმი ამა-შიც გამოიხატება.

ბერმონაზვნობის განსაკუთრებით განდეგილური სახე გამოწვეული იყო მრავალწილად იმ გარემოებით, რომელიც შეიქნა ეკლესიაში ქრისტიანობის ლეგალი-

ზაციისა და მისთვის პრივილეგიების მინიჭების შემდეგ და, საზოგადოდ, მისი ტრიუმფის პირობებში. ჭეშმარიტ რწმენასთან ნაკლებად დაკავშირებული მოტივებით ერობა მოაწყდა ეკლესიას და სეკულარიზაციის საფრთხე შეუქმნა მას. აზრიც გავრცელდა, რომ წუთისოფელში ხსნა შეუძლებელი იყო და მორწმუნე უნდა გასცლოდა ამ სოფელს. გაჩნდა ამ წუთისოფლის ცოდვილობის გამძაფრებული განცდა.

ადამიანს, ადამიანთა ჯგუფს, გაუჩნდა მოთხოვნილება, მიეძღვნა მთელი თავისი ცხოვრება ასკეტური და მჭვრეტელობითი მოღვაწეობისთვის განდგომილებასა და მარტომყოფობაში. ისინი ტოვებენ მშობლიურ სახლს, ქალაქს, მშობლებს, ნათესავ-მეგობრებს და უკაცრიელ ადგილებში, უდაბნოებში, გადახვეწილნი მთელ ცხოვრებას თავიანთი სულისა და ყველა ადამიანის სახსნელად ლოცვა-ვედრებაში ატარებენ. ბერ-მონაზვნობა რამდენიმე ტიპისაა. არიან განდეგილნი და მარტომყოფნი, დაყუდებულნი; არიან საზოგადოებებად გაერთიანებულნი, რომლებიც ემორჩილებიან სამონასტრო ცხოვრების კანონს. ასკეტიზმი აქ ნაკლებია, სამაგიეროდ, ისინი ეწევიან როგორც ფიზიკურ, ისე ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომას (ხელნაწერთა გადაწერა, ხატწერა და სხვ.), ასევე ქველმოქმედებას. დროთა ვითარებაში მონასტრები კულტურულ ცენტრებად გადაიქცა.

ადრეულ ხანაში განდეგილობა და მონასტრები ეკლესიისგან დამოუკიდებლად არსებობდა, მაგრამ თანდათან ეკლესიამ კონტროლი დაამყარა მონასტრებზე, შეუქმნა რა მათ წესდება, რომლის მიხედვითაც უნდა ეცხოვრათ და ემოღვაწათ. წუთისოფლისგან განდგომილ ბერებს უშუალო კავშირი არა აქვთ საეკლესიო იერარქიასთან, ისინი არ ეკუთვნიან სამღვდელოებას, თუ, რა თქმა უნდა, არ იქნებიან ნაკურთხნი მღვდლებად, რათა შეძლონ ღვთისმსახურების აღსრულება. მაგრამ მათი სტატუსი არ იცვლება: ისინი რჩებიან ე. წ. *შავ სამღვდელოებად* საპირისპიროდ *თეთრი სამღვდელოებისა*, რომელიც ერში (სოფელში) მოღვაწეობს და საეროებს ემსახურება.

ბიზანტიაში ბერმონაზვნობას ხალხში მეტი ავტორიტეტი ჰქონდა, ვიდრე *თეთრ სამღვდელოებას*, ისინი იყვნენ ყოველთვის ჭეშმარიტი სარწმუნოების, ქრისტიანული სამართლიანობის, სულიერი სიწმიდისა და ზნეობის დამცველნი, რის გამოც, არცთუ იშვიათად, კონფლიქტი მოსდიოდათ როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლებასთან, რაც ბევრი მისი წარმომადგენლისთვის ტრაგიკულად მთავრდებოდა ხოლმე.

ქრისტიანული მართლმადიდებლური კულტურა

წარსულში მართლმადიდებლურ ხელოვნებას, როგორც გარკვეული ტიპის რელიგიური კულტურის გამოხატულებას, ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვი როგორც ელიტარულ, ისე ხალხურ ყოფაში. საუკუნეთა განმავლობაში მან ბევრი მხატვრული ძეგლი დატოვა ხელოვნების ძირითად დარგებში (ხუროთმოძღვრება, მწერლობა, ფერწერა, მუსიკა), რაც, თავისთავად, კულტურის დიდი მონაპოვარია.

მიუხედავად ამისა, დაწყებული ხუროთმოძღვრებით და მხატვრობით დამთავრებული, მართლმადიდებლური ხელოვნება თავისი არსით საკრალურია, კერძოდ, ლიტურგიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელოვნების დარგები, რომლებიც კი შეიძლება გამოყენებული იქნენ ღვთისმსახურებაში, ემსახურებიან ერთ რამეს — ღვთაებრივი სინამდვილის, ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა თუ საიდუმლოთა თვალსაჩინოებას, ლიტურგიის პროცესში მისი სიღრმეების წვდომას. არქიტექტურა ეკლესიის შენობის გარე და შიდა სივრცის მოწყობით უზრუნველყოფს ღვთისმსახურებისთვის სათანადო ატმოსფეროს შექმნას (ცის ჩამოტანას მიწაზე). ნებისმიერი ტიპის (ბაზილიკა, ჯვარგუმბათოვანი...) მართლმადიდებლური ეკლესია სხვადასხვაგვარად გამოხატავს ღვთის სახლის, განკაცების, ღვთის მიწაზე მყოფობის და, ზოგადად, მატერიის განსულიერების იდეას. ეკლესიის შიდა სივრცეში არაფერია ისეთი (ფრესკების ჩათვლით), რომელიც არ ატარებდეს სიმბოლურ მნიშვნელობას, რაც, თავისთავად, კულტურის (თუ ხელოვნების) უმაღლესი გამოხატულებაა. სიმბოლურია ლიტურგიის ყოველი ეპიზოდი, სიმბოლურია შესამოსელით შემოსილ მღვდელმსახურთა ყოველი მოქმედება, შესვლა-გამოსვლა, ხმის თანაბარზომიერად ამაღლება და დაწევა. სიტყვიერ ტექსტს, რომელიც შეადგენს ლიტურგიის ლოგოსურ სხეულს, შექმნილს წმიდა წერილისა და საკრალური ტექსტებისგან, თან ახლავს გალობა, რომელსაც თითქოს (საკმევლის კვამლთან ერთად) გუმბათზე გამოსახულ ქრისტემდე მიაქვს კრებულის ლოცვა-ვედრება. სიტყვას, რომელიც ლიტურგიის გუ-ლისგულია, ენაცვლება ხატებისა და ფრესკების უსიტყვო მეტყველება, ისინი განასრულებენ სიტყვით გამოუთქმელ რეალობას.

მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო ნივთები — ეკლესიის შენობა იქნება იგი, ჭურჭელი თუ წიგნი — საკრალობით მოსილი ნივთებია, ისინი მაინც გარეგან შემკობას საჭიროებენ ისევ და ისევ მათდამი პიეტეტის ნიშნად. საეკლესიო ხელოვნება აქ იყენებს საერო გამოცდილებას: ეკლესიებს ამკობს ჩუქურთმებით, სხვადასხვა რეალურ თუ მითიურ ცხოველთა გამოსახულებებით, რომელთაც ნაკლებად ან საერთოდ არა აქვთ სიმბოლურ-რელიგიური დანიშნულება, არ გამოხატავენ რელიგიურ ჭეშმარიტებებს. წმიდა წერილის ხელნაწერები იმკობა მინი-ატურებით, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ილუსტრაციებია და არამც და არამც თაყვანისცემის ობიექტები, ანუ ხატები. საეკლესიო ჭურჭელი (ბარძიმი, დროშები, სამწერობლები...) მზადდება როგორც ხელოვნების ნიმუშები თავიანთი საგნობრივი და მხატვრული ფორმით. სამღვდელო შესამოსელი იქარგება ოქრომკედით, მშვენდება მცენარეული და აბსტრაქტული ორნამენტებით, რომლებიც დიდებულებას ანიჭებს მას.

საერთო მოძღვრებისა და ლიტურგიული პრაქტიკის მიუხედავად ყოველი ადგილობრივი ეკლესია თავისი კულტურული სპეციფიკით გამოირჩევა, რასაც ზოგ-ჯერ არამარტო ეთნიკური, არამედ რელიგიური ხასიათიც აქვს.

ზურაბ კიკნაძე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

ადგილობრივ მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიებს შორის ერთ-ერთი უძველესი ეკლესიაა, რომლის ოფიციალური სახელწოდებაა «საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია». ხშირად მას «ქართულ ეკლესიას» უწოდებენ, თუმცა თვითგანსაზღვრებით იგი ტერიტორიული ცნებაა და არა ნაციონალური (ეროვნული).

სმე-ის კანონიკური ველი მოიცავს საქართველოს, მისი ეპარქიები მოქმედებს თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის (საინგილოს) ტერიტორიაზე და დასავლეთ ევროპაში მისი იურისდიქცია ამჟამად, პოლიტიკური ვითარების გამო, ვერ ვრცელდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარკვეულ ნაწილში.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს სმე-ს ისტორიულ როლს, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ მასთან აქვს დადებული კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც კონსტიტუციის ტოლფარდ საკანონმდებლო დოკუმენტად არის მიჩნეული.

ბოლო მონაცემებით სმე-ს წევრთა რიცხვი დაახ. 4 მილიონია.

I საუკუნიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე

უძველესი ქართული წერილობითი წყაროების ცნობებით, საქართველოში ქრისტიანობა მის სათავეებს უკავშირდება. ქართველმა ებრაელებმა საქართველოში ჩამოიტანეს ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი რელიკვია — ქრისტეს კვართი, რომელიც დამარხულია მცხეთაში, ძელი ცხოველის ძირში.

საქართველოში ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის ქადაგებას მოწმობენ ძველი ქართული წყაროები, რომელთა მიხედვით სიმონ კანანელი აქვე აღესრულა და დაკრძალულია აფხაზეთში, ახალ ათონში. ძველი ქართული წყაროები გვამცნობენ აგრეთვე საქართველოში ბართლომე და მატათა მოციქულების ქადაგების შესახებ, ხოლო ტრადიცია მატათას საფლავს ქ. ბათუმის ახლოს, გონიოში მიუთითებს. ამავე წყაროების ცნობით, ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში ჩამოიტანა ხის ფიცარზე აღბეჭდილი ღვთისმშობლის ჩვილედი ხატი და აქ არის დაცული ღვთისმშობლის კვართი, ელია წინასწარმეტყველის ხალენი, მაცხოვრის ჯვრის ფიცარნი, სამსჭვალნი და სხვა რელიკვიები.

უძველესი დროიდან დღემდე საქართველო თავს თვლის ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყნად, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სამოციქულო ეწოდება, ხოლო მაცხოვრის კვართმა საქართველოს სამეფო დინასტიის, ბაგრატიონთა სამეფო ღერბის სიმბოლიკაში ცენტრალური ადგილი დაიმკვიდრა.

უმთავრესი გზა ქრისტეს სჯულის ქართველი ხალხისთვის გაცნობისა იყო საქართველოში უკვე ძვ. წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან ძლიერი ებრაული თემის არსებობა, რომელსაც თავის ისტორიულ სამშობლოსთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია. ქრისტიანობის ცოდნას, ძველი ქართული წყაროების ცნობით, სამეფო სახლშიც შეუღწევია. ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის მეცხრამეტე მეფეს, რევს გაგონილი ჰქონია ქრისტეს სახარების შესახებ და, თუმცა წარმართად დარჩენილა, მსხვერპლის შეწირვას მაინც ახალი სჯულით ბრძანებდა. ამის გამო უწოდა მას ისტორიამ რევ მართალი.

ნიკეის პირველ მსოფლიო კრებაში (325 წ.) მონაწილეობდნენ ტრაპიზონის ეპისკოპოსი დამნუსი და პიტიუნტის (ბიჭვინთის) ეპისკოპოსი სტრატოფილოსი. დაბეჯითებით თქმა, რომ ისინი ბერძნული ახალშენების წარმომადგენლები არ იყვნენ, შეუძლებელია, მაგრამ ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა გავრცელებული ყოფილა.

ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად ქართლში გამოცხადდა არა უგვიანეს 337 წლისა, შესაძლოა, 326 წელს. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციით, ქართლი ქრისტიანობაზე მოექცა მოციქულთა სწორის, წმ. ნინო კაპადოკიელის ქადაგებისა და ღვაწლის შედეგად. საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე და დედოფალი იყვნენ მირიანი და ნანა.

დაახლოებით ამავე ხანაში ხდება დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანებაც, რომელიც ამისათვის უკვე შემზადებული იყო ბერძნული ახალშენების გავლენით.

მცხეთისა და მისი შემოგარენის ქრისტიანული ხანის ტოპონიმიკა მთლიანად იმეორებს ქრისტეს მიწიერი ცხოვრებისა და მოწამეობის წმინდა ადგილთა სახელწოდებებს (ბეთლემი, გოლგოთა, ამაღლების მთა, ბეთანია, გეთსიმანია), რაც დოკუმენტურად უჩვენებს საქართველოში ქრისტეს მცნების შემოსვლის გზას.

წყაროები ქართლში საეკლესიო მშენებლობის დასაწყისს ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების პირველსავე დღეებს უკავშირებს. სახელდახელოდ აგებული ხის ეკლესიების გვერდით მალე დაიწყო ქვით მშენებლობა საბერძნეთიდან მოწვეული ოსტატების დახმარებით. მეფეთა ხელშეწყობით, და მთელი ხალხის მონაწილეობით აიგო სამთავროს, წუნდის, მანგლისის, წილკნისა და ბევრი სხვა ეკლესია. თავიდანვე განისაზღვრა ქართული საეკლესიო არქიტექტურის ორი ტიპი: ბაზილიკური და გუმბათოვანი.

V საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში ნიშანდებულია მძლავრი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლით ირანის წინააღმდეგ და გაერთიანებისაკენ სწრაფვით, რომელიც ვახტანგ გორგასლის მეთაურობით გამარჯვებით დამთავრდა. პოლიტიკური გამარჯვება დაგვირგვინდა მნიშვნელოვანი საშინაო რეფორმებით. საქართველოს სამოციქულო ეკლესია ავტოკეფალურად გამოცხადდა. შეიქმნა თორმეტი საეპისკოპოსო, რომელთაც დაახლოებით 468 წელს სათავეში ჩაუდგა საბერძნეთიდან მოწვეული კათალიკოსი და მამათმთავარი პეტრე. ეკლესიამ სრული იერარქიული სტრუქტურა შეიძინა.

ერთიანობას, თავისუფლებას, ეკონომიკურ აღორძინებასა და საეპისკოპოსოთა დაარსებას შედეგად მოჰყვა საქართველოში საეკლესიო კათედრალური არქიტექტურის შედევრების (ბოლნისი, ურბნისი) აგება. დაიბადა ორიგინალური ქართული საეკლესიო მწერლობა.

V საუკუნიდან ქართველი საეკლესიო მოღვაწეები უკვე ჩანან საერთაშორისო სარბიელზე. მაიუმის ეპისკოპოსმა პეტრე იბერმა (411-491) და მისმა თანამებრძოლმა იოანე ლაზმა იერუსალიმში ააგეს ქართველთა მონასტერი და შექმნეს თეოლოგიური სკოლა. მეცნიერთა ერთი ნაწილი პეტრე იბერს თვლის არეოპაგიტული ლიტერატურის შექმნელად. დოგმატიკაში პეტრე იბერი ეძებდა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების გამაერთიანებელ ფორმულას, რომელიც, მოგვიანებით (VII ს.), მონოთელიტებმა გამოიყენეს.

ამავე ხანებში ინტენსიური ხდება ქართველთა პილიგრიმობა წმიდა მიწისკენ. VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე გვაქვს დოკუმენტური ცნობები საქართველოს ეკლესიის იერარქების რომის პაპთან და იერუსალიმის პატრიარქთან სარწმუნოების საკითხებზე მიმოწერის შესახებ, აგრეთვე საქართველოს ეკლესიის კათალიკოსის მიერ წმინდა მიწის მოლოცვისა და იერუსალიმის პატრიარქთან პირადად შეხვედრის სურვილის შესახებ. პროკოპი კესარიელის ცნობით, იუსტინიანე კეისარს (525-565) განუახლებია მანამდე უკვე არსებული იბერთა მონასტერი იერუსალიმში.

ამ ეპოქის უშუალო ნაყოფია ქართული ჰაგიოგრაფიის დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი პირველი ნიმუში, ქართული მხატვრული აზროვნების შედევრი «შუშანიკის მარტვილობა». ქართულ ენაზე უკვე თარგმნილი იყო ბიბლიური წიგნები და ლიტურგიკული პრაქტიკისათვის აუცილებელი სხვა ლიტერატურა. ქართველი მთარგმნელები იმთავითვე მისწვდნენ მთელს მაშინდელს ქრისტიანულ სამყაროს: ბერძნულ, ებრაულ, კოპტურ, სირიულ და სომხურ მწერლობას.

ქვეყანა პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მთლიანად იყო დაკავებული მაზდეანური ირანის აგრესიის მოგერიებით. ამიტომ არის V-VI საუკუნეები მდიდარი ქრისტიან მოწამეთა სახელებითა და მათ შესახებ დაწერილი ისეთი ორიგინალური თხზულებებით, როგორიც არის შუშანიკის, ევსტათი მცხეთელისა და აბიბოს ნეკრესელის მარტვილობები.

პირველად დოგმატურ პოლემიკაში ქართლის ეკლესია ჩაერთო დვინის 506 წლის საეკლესიო კრებაზე, რომელშიც ქართლიდან მონაწილეობდა 24 ეპისკოპოსი გაბრიელ მცხეთელის მეთაურობით. კრებამ მხარი დაუჭირა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შემარიგებელ პოლიტიკას იმპერატორ ზენონის «ჰენოტიკონის» (482 წ.) საფუძველზე. მთელი VI საუკუნე ქართლისათვის არის პერიოდი შემარიგებლური პოზიციიდან აშკარა დიოფიზიტობისკენ სწრაფვისა. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი დიოფიზიტობას გულისხმობდა, როდესაც VI საუკუნის შუა ხანებში წერდა: ქართველები ქრისტიანობის წესებს ყველა იმ ხალხზე უკეთ იცავენ, ვინც ირანის იმპერიის გავლენის ქვეშ იმყოფებიანო.

VI საუკუნის პირველ ნახევარში უკვე გვაქვს პირდაპირი ცნობა ქართულ ენაზე ლიტურგიული და ბიბლიური წიგნების არსებობის შესახებ. საბა განწმენდილის ანდერძით (532 წ.), საბაწმიდის ლავრაში ნებადართული იყო ქართულ ენაზე ლიტურგიის აღსრულება და «ახალი აღთქმის» წიგნების კითხვა.

VI საუკუნეში საქართველოში შემოდის 13 ასურელი მამა იოანე ზედაზნელის მეთაურობით და საფუძველი ეყრება სამონასტრო ცხოვრებას. ქართლი და კახეთი დაიფარება მონასტერთა ქსელით (ზედაზენი, დავით-გარეჯა, ნეკრესი, წილკანი, შიომღვიმე და სხვ.). ასურელ მამათა შემოსვლას მოჰყვება ქალკედონიტობის (დიოფიზიტობის) გაძლიერება და ქართლი, კირონ ქართლის კათალიკოსის მეთაურობით, VII საუკუნის დამდეგს აშკარად აცხადებს თავის არჩევანს მართლმადიდებლობის სასარგებლოდ. ამ არჩევანმა კავკასიაში დიდი რელიგიური განხეთქილება გამოიწვია (604-609 წწ).

VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც ქართლში ირანელთა ზეწოლით მოშლილია სამეფო ხელისუფლება, ეკლესიის მეთაურობით ქვეყანა კვლავ ახერხებს გაერთიანებას, სასაზღვრო პროვინციებში, სადაც შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა, ქართულ ენაზე მღვდელთმსახურების დაკანონებას, რაც აქ მართლმადიდებლობის განმტკიცებას ნიშნავდა. არის ცნობები, რომელთა მიხედვით VII საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიები ერთ სამწყსოს წარმოადგენენ.

ეროვნული აღმავლობა არ დააყოვნებს თავისი შედეგის გამოვლენას კულტურაში და მცხეთის მახლობლად, წმიდა ნინოს მიერ აღმართული ჯვრის ადგილზე აიგება ქართული არქიტექტურის შედევრი — ჯვრის ტაძარი «მცველად ყოვლისა ქართლისა». ესაა ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობა, რომლის ინტერიერი თანაბარმკლავებიან ჯვარს გამოსახავს. ჯვრის ტაძრის ზუსტი ასლები აღიმართება, თითქმის ერთდროულად, აღმოსავლეთსა (ქართლში — ატენის სიონი, კახეთში — ძველი შუამთა) და დასავლეთ საქართველოში (ეგრისში — მარტვილი), როგორც მოწმობა საეკლესიო ერთიანობისა.

ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებამ და არაბთა ბატონობამ VII-IX საუკუნეებში ქვეყანა კვლავ დაშალა რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად, თუმცა ერთიანობის ხსოვნა არ წაშლილა ქართველთა პოლიტიკურ თუ რელიგიურ ცნობიერებაში. ეკლესიამ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის იდეოლოგის ფუნქციაც იკისრა. სწორედ ამ ხანებში შეიქმნა ეროვნული მარტიროლოგიური მწერლობის («აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა», «აბო ტფილელის მარტვილობა», «კონსტანტი კახის მარტვილობა», «გობრონის მარტვილობა») მთელი სერია.

როდესაც ხატმებრძოლეობამ აღმოსავლური ქრისტიანული სამყარო მოიცვა, საქართველო ერთადერთ ქვეყნად დარჩა, რომელსაც ეს წვალება არ შეხებია. წყაროთა ცნობით, გუთების მართლმადიდებელი ეპისკოპოსი იოანე საქართველოში ჩამოდის ეპისკოპოსად ხელდასასხმელად, ვინაიდან ბიზანტიურ სამყაროში ამ აქტის კანონიერი აღმსრულებელი აღარ ჩანდა (VIII ს.). სწრაფად ვითარდება ხატმწერლობა (რასაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მოციქულთა მიერ შემოტანილი და კონსტანტინე დიდის მიერ გამოგზავნილი ხატების თაყვანისცემის ტრადიცია), მონუმენტური ფერწერა (ატენის სიონის ძველი ფენა), მოზაიკის (ბიჭვინთის, წრო-

მის), ბარელიეფის (მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი), ქვაჯვარებისა (ხანდისი) და ტიხრული მინანქრის (მარტვილის კარედი, ხახულის კარედის ადრეული დეტალები) ხელოვნება.

ამავე პერიოდში არ შეწყვეტილა საეკლესიო არქიტექტურის განვითარება. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აშენდა ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა სამშვილდის სიონი (777 წ.), გურჯაანისა და ვაჩნაძიანის ყველაწმინდა (VIII ს.), ბიჭვინთისა და მოქვის კათედრალები, ხანძთის, ოპიზისა და სხვა ეკლესიები.

IX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება საქართველოს პროვინციებში სამეფო ხელისუფლების აღდგენა ბაგრატიონთა სახლის მეთაურობით. საგვარეულო ლეგენდა ბაგრატიონებს წარმოშობით ბიბლიურ მეფე დავითთან აკავშირებს და ამით ხაზს უსვამს საქართველოს კავშირს წმინდა მიწასთან, ქრისტიანობის სათავეებთან.

X საუკუნე აღბეჭდილია საქართველოს სამეფო-სამთავროების ბრძოლით ერთიანობისათვის. ეკლესიის წიაღში ყალიბდება ფორმულა, რომელმაც უნდა გააერთიანოს ქვეყანა: საქართველოა იქ, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულება. ქართველისა და მართლმადიდებელი ქრისტიანის ცნება კავკასიელთა ცნობიერებაში უკვე ემთხვევა ერთმანეთს.

ქართული ლიტურგიკა ამ დროისათვის ჯერ კიდევ იერუსალიმურ ტრადიციებს ეყრდნობა. ამის მაჩვენებელია იაკობის «ჟამისწირვის» არქაული რედაქციების გავრცელება საქართველოში და მის გარეთ ქართულ სამონასტრო ცენტრებში, ე. წ. «ხანმეტი ლექციონარი», რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ლექციონართაგან უძველესი (V ს-ის I ნახ.) უნდა იყოს, «იერუსალიმის ლექციონარი», «კურთხევანი», «უძველესი იადგარის» მრავალი ნუსხა, ჰომილეტური კრებული «მრავალთავი», რომელთაც შემოგვინახეს ადრეული ქრისტიანული პრაქტიკის ამსახველი ძეგლები. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთიან კრებულად ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული საისტორიო თხზულება «მოქცევაჲ ქართლისაჲ», რომელშიც ასახულია საქართველოს ისტორია დასაბამიდან VII ს-მდე, ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებაზე აქცენტით.

საქართველოს გაერთიანებამდე დასავლეთ საქართველოში შეიქმნა აფხაზეთის (ბიჭვინთის) საკათალიკოსო, ტაძრით ბიჭვინთაში. იგი იერარქიულად სრულიად საქართველოს პატრიარქს დაექვემდებარა და დაასრულა ძველი ლაზიკის სამიტროპოლიტოს ბიზანტიის იურისდიქციიდან გამოსვლის პროცესი.

გაერთიანება დასრულდა თუ არა (X-XI სს-ის მიჯნა), კვლავ საქართველოს ეკლესიამ შეიმუშავა ქვეყნის სახელწოდება «საქართველო» და პირველმა გამოიყენა იგი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1105 წ.) აქტებში.

საქართველოში აღზრდა-განათლების კერების ფუნქციას ეკლესია-მონასტრები ასრულებდნენ. ცნობილია ხანძთის სამონასტრო სკოლა (IX ს.) და ის საგნები, რომლებიც აქ ისწავლებოდა: საღმრთო წერილი, გალობა, უცხო ენები, საეკლესიო მამათა სწავლანი, საერო ფილოსოფია. ჩვენამდე მოაღწია, ე.წ. «შატბერდულმა კრებულმა» (X

ს-ის 60-70-იანი წწ.), რომელში შეტანილი თხზულებები მოიცავენ მაშინდელი ცოდნის ყვე-ლა დარგს.

ქართული სკრიპტორიუმების ჩამოყალიბებამ ჩვენში (ტაო-კლარჯეთი, კუხეთი) და უცხოეთის ქართულ მონასტრებში (პალესტინა, სირია, მცირე აზია) საფუძველი დაუდო ხელნაწერი წიგნის გაფორმების მაღალ ხელოვნებას, ერთმანეთისაგან განსხვავებულსა და დახვეწილ კალიგრაფიას. X საუკუნემდე საქართველოში საწერ მასალად იყენებდნენ პერგამენტს (საქართველოს გარეთ, იშვიათად, პაპირუსსაც). ამ ხანებიდან ჩვენამდე მოღწეულია ბრწყინვალე მინიატურებით შემკული ადიშისა (897 წ.) და ჯრუჭის I (940 წ.) ოთხთავები.

X საუკუნემდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია პალესტინურ ანუ იერუსალიმის (მაცხოვრის საფლავის) რედაქციის ტიპიკონს იყენებდა. ჩვენამდე მოღწეულია ამგვარი ტიპიკონის VII საუკუნის რედაქციის ტექსტი. IX საუკუნიდან უკვე დადასტურებულია საქართველოს მონასტრებში ადგილობრივი, ე. წ. ქტიტორული ტიპიკონების (ილარიონ ქართველის, გრიგოლ ხანძთელის) გამოყენება, რომელსაც მონასტერს მათი დამაარსებელნი უწესებდნენ.

ბერძნულიდან ქართულ ენაზე ჰიმნოგრაფიული ტექსტები პირველად პალესტინის სამონასტრო კერებში ითარგმნა V-VII საუკუნეებში. თანდათან ამ ჰიმნებმა თავი მოიყარეს უნიკალურ კრებულში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია «უძველესი იადგარის» სახელით. ამ კრებულმა შემოინახა ისეთი ლიტურგიკული ძეგლები, რომელთა დედნებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მიქაელ მოდრეკილმა X საუკუნეში შექმნა უნიკალური კრებული (978-988 წწ.), რომელშიც თარგმნილ ტექსტებთან ერთად (ანდრია კრიტელის, კოზმა იერუსალიმელის, იოანე დამასკელისა და სხვ.) შევიდა ორიგინალური ქართული ძეგლებიც (მიქაელ მოდრეკილის, იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, გიორგი მერჩულესი და სხვ.). კრებული ნევმირებულია (აქვს სანოტო ნიშნები), ერთვის ლიტურგიკული შენიშვნები და წარმოადგენს კალიგრაფიული ხელოვნების შედევრს. იგი, როგორც ჩანს, იყო ლიტურგიკული გალობის სახელმძღვანელო.

დოგმატურ-პოლემიკური ძეგლების შექმნა საქართველოში დაიწყო კავკასიაში მომხდარი დიდი საეკლესიო განხეთქილების შემდეგ საქართველოს ეკლესიის მიერ აღებული მართლმადიდებლური კურსის დასასაბუთებლად და განსამტკიცებლად. მართალია, ამ ხანებში უკვე ითარგმნება პოლემიკური თხზულებები მაშინ არსებული მწვალებლობების წინააღმდეგ (არიანობა, ნესტორიანობა, მონოთელიტობა და სხვ.), მაგრამ წამყვანი მაინც არის პოლემიკა მონოფიზიტურ ეკლესიებთან (ძირითადად, სომხურთან).

ბერძნულიდან თარგმნილ ტრაქტატებთან ერთად, იქმნება ორიგინალური თხზულებებიც. აღსანიშნავია არსენ საფარელის ისტორიულ-პოლემიკური ტრაქტატი «განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა» (X-XI სს.). მასში გააზრებულია საეკლესიო განხეთქილების წინამავალი პროცესი და მისი შედეგები, გარკვეულია ამ განხეთქილების ისტორიული საფუძვლები და ობიექტური კანონზომიერებანი, რომელთაც განაპირობეს კონფლიქტის სუბიექტური მხარე.

XI-XIII საუკუნეებში საქართველომ თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების ზენიტს მიაღწია. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი (ნიკოლოზ III — 1250-1282) კათალიკოს-პატრიარქად და მსოფლიოს მეექვსე პატრიარქად ამავე ხანების დამახასიათებელია საქართველოს ეკლესიის მისიონერული მოღვაწეობა კავკასიის მთიანეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ამ მხარეთა ქრისტიანული მოსახლეობა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მრევლს ეკუთვნოდა, რის გამოც იგი (მელქისედეკ I — 1010-1030) იწოდებოდა «აღმოსავლეთისა პატრიარქადაც».

ქართული ფილოსოფიური აზროვნება (იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი) დიდი ინტენსივობით იყო ჩაბმული მსოფლიო ქრისტიანულ ცივილიზაციაში. სინას, ათონისა და შავი მთების, პეტრიწონისა და იერუსალიმის მონასტრები გახდნენ ხიდები მთელს ქრისტიანულ სამყაროსა და საქართველოს შორის. იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელების, ეფრემ მცირის (შავი მთა), იოანე-ზოსიმეს (საბას ლავრა და სინას მთა) და სხვათა დამსახურებაა, რომ საქართველოს შემორჩა ქრისტიანული აზროვნების თითქმის ყველა მიღწევის ბრწყინვალე (ზოგჯერ რამდენიმე) თარგმანები და, ბევრ შემთხვევაში, მხოლოდ მათ შემოგვინახეს დიდ საეკლესიო მამათა თხზულებები. ათონელ მამათა თარგმანებისა და მოღვაწეობის შედეგად ქართული საეკლესიო პრაქტიკა იერუსალიმურიდან ღვთისმსახურების, ე.წ. კონსტანტინოპოლურ წესზე გადავიდა.

XI საუკუნის მიწურულს ამიერკავკასიის ქვეყნების განვითარებას საფრთხე შეუქმნა თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა. კავკასიის ერთიანობის, მისი სოციალურ- პოლიტიკური განვითარების დასავლური გზის გადარჩენა საქართველომ იკისრა დავით აღმაშენებლით სათავეში (1089-1125). მრავალეროვან და მრავალრელიგიურ კავკასიაში ერთიანობის სულისკვეთების შენარჩუნება განსაკუთრებულ პოლიტიკურ ალღოსა და სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას მოითხოვდა. მონოფიზიტი და მუსლიმი ვაჭრები, მეცნიერები და პოეტები საქართველოში თავს გრძნობდნენ, როგორც ამ ქვეყნის მკვიდრნი. დავით აღმაშენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა საქართველოს გარეთ არსებული მონასტრებისადმი, ეხმარებოდა მათ დიდი საფასურით, აგებდა ეკლესიებს. იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული ჯვაროსნებთან და მისი ჯარი მონაწილეობას იღებდა მაცხოვრის საფლავის გამოხსნისათვის ბრძოლებში.

წყაროების თანახმად, დავით აღმაშენებელმა საერო მწერლობასთან ერთად, ბრწყინვალედ იცოდა სასულიეროც. თვითონაც გახდა ქართული ჰიმნოგრაფიის შედევრის — «გალობანი სინანულისნის» — ავტორი. დავით აღმაშენებელი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მისი მოხსენების დღედ 26 იანვარი დააწესა.

დავით აღმაშენებლის შვილთაშვილის, თამარ მეფის (1184-1213) დროს ქვეყანა სვლას იწყებს დემოკრატიული მოწყობისაკენ.

საეკლესიო, სამხედრო, ეკონომიკური რეფორმების შედეგად საქართველოში, რომლის საზღვრები აჭარბებდა კავკასიის საზღვრებს, შინაგანი ჰარმონია დამკვიდრდა. ერთიანობის ხანის საქართველო არნახული კულტურული აღმავლობის მოწმე გახდა, რომლის უმაღლეს გამოვლინებად «ვეფხისტყაოსანი» (XII ს.) უნდა ჩაითვალოს.

ადრინდელი საეკლესიო კრებების შესახებ ბევრი ცნობა არ შემონახულა. ისინი, უპირატესად, იმართებოდა მეზობელ ქვეყნებთან დოგმატიკის საკითხებზე შესათანხმებლად ან პოლემიკის გასამართავად. საეკლესიო სამართლის განხორციელების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუის-ურბნისის კრება (1105 წ.). კრების მოწვევა და წარმატებით ჩატარება შესაძლებელი გახდა ამ პერიოდის საქართველოში კანონიკური აზროვნების წარმატების შედეგად. X საუკუნეში ქართულ ენაზე უკვე არსებობდა ორიგინალური კრებული «მცირე რჯულის კანონი», რომელიც საქართველოს ეკლესიის პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანით ბერძნულ ენაზე არსებული სხვადასხვა დროის კანონებისაგან შეადგინა ექვთიმე მთაწმიდელმა. XI-XII საუკუნეების მიჯნაზე არსენ იყალთოელმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნა «დიდი სჯულის კანონი», რომელიც დღემდე რჩება საქართველოს ეკლესიის მართვის ძირითად კანონად.

დოგმატურმა და პოლემიკურმა მწერლობამ განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია XI-XII საუკუნეების საქართველოში. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა, თეოფილე ხუცესმონაზონმა, ნიკოლოზ გულაბერისძემ და სხვ. ბერძნულიდან თარგმნეს ბასილი დიდის, მიქელ სვინკელოსის, გრიგოლ ნოსელის, მაქსიმე აღმსარებლის, იოანე დამასკელის, ათანასე ალექსანდრიელის, ფოტიოს პატრიარქისა და სხვათა დოგმატური ტრაქტატები. განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც არსენ ვაჩეს ძის მიერ შედგენილ კრებულს — «დოგმატიკონს» (XII ს.) ჰქონდა, რომელმაც მოიცვა მთელი მაშინდელი ქრისტიანული სამყაროს გამოცდილება დოგმატიკისა და პოლემიკის დარგში.

საქართველოს ეკლესიის გაძლიერებასთან ერთად ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა წინაშე დაისვა ამოცანა საერთაშორისო ასპარეზზე მისი ავტორიტეტის განმტკიცებისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკური საფუძვლების დაცვისა. ეს მისია იკისრეს ეფრემ მცირემ ნაშრომით «უწყება მიზეზთა ქართველთა მოქცევისა» და გიორგი მთაწმინდელმა ზეპირი პოლემიკით (1057 წ.) შავ მთაზე, რომლის სრული ჩანაწერი შემოგვინახა ქართულმა მწერლობამ. ეფრემ მცირის ტრაქტატი არის მიმოხილვა ბერძნული წყაროებისა, რომელთა საფუძველზეც ავტორი ამტკიცებს საქართველოს ეკლესიის სამოციქულო წარმოშობასა და საქართველოში მირონის, რომელიც ადრე იერუსალიმიდან მოჰქონდათ, დამოუკიდებლად მოხარშვის კანონიერებას.

ძლიერი საქართველოს მესვეურნი ახალ სამონასტრო კერებს ქმნიან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და მათთვის აწესებენ ტიპიკონებს. ასეთია ბიზანტიის დიდი დომესტიკოსის, გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ ბულგარეთში დაარსებული პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი (1084 წ), შედგენილი ქართულ და ბერძნულ ენებზე, დავით აღმაშენებლის «ანდერძი» (1123 წ.), «ვაჰანის ქვაბთა განგება» (1204-1234) და სხვ.

საქართველოს ხელისუფალნი და ეკლესია ქართველ მოზარდთა ჯგუფებს ბიზანტიაში აგზავნიან განათლების მისაღებად. მანგანის აკადემიაში მიიღეს სწავლა-განათლება იოანე პეტრიწმა და არსენ იყალთოელმა. ყოველივე ამან შეამზადა ნიადაგი საქართველოში გელათისა (1106-1110) და იყალთოს სასულიერო აკადემიების დაარსებისათვის.

სახელი მოიხვეჭა გელათის აკადემიამ, რომელსაც ქართულ წყაროებში «მეორე იერუსალიმი და სხვა ათინა» ეწოდება. აკადემიის სასწავლო დისციპლინები, სწავლების დონე და პედაგოგები (იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი) სავსებით შეეფერებოდა მაშინდელი ქრისტიანული სამყაროს ყველაზე მაღალ მოთხოვნებს. ასწავლიდნენ დიალექტიკას (ღვთისმეტყველება), რიტორიკას, გრამატიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას, მუსიკასა და პოეზიას, სამართალს.

ერთიან საქართველოში განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია ფილოსოფიურ-თეოლოგიურმა აზროვნებამ. აღსანიშნავია იოანე პეტრიწის მიერ თარგმნა და კომენტირება ბერძენი ნეოპლატონიკოსების ნემესიოს ემესელის (IV-V სს.) და პროკლე დიადოხოსის (V ს.) თხზულებებისა «ბუნებისათვის კაცისა» და «კავშირნი ღვთისმეტყველებითნი». იოანე პეტრიწის ნაშრომებმა კავკასიაში მაშინვე ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ დაუყოვნებლივ ითარგმნა ქართულიდან სომხურად. ამ თარგმანებითა და თავისი ორიგინალური ნაშრომებით იოანე პეტრიწმა შექმნა მთელი სკოლა და დი-დი გავლენა მოახდინა მომდევნო თაობებზეც.

პოლიტიკური და საეკლესიო ერთიანობის შედეგი იყო ქართული კათედრალური არქიტექტურის შედევრების შექმნა: ქუთაისში — ბაგრატის (1003 წ.), მცხეთაში — სვეტიცხოვლის (1010—1029), კახეთში — ალავერდის (XI ს.), ქართლში — სამთავისის (1030 წ.), იმერეთში — გელათის (დაიწყო 1106 წ.). ჩამოყალიბდა ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის სტილი, ბუნებრივი შედეგი მთელი წინამავალი ხუროთმოძღვრული პროცესებისა. მნახველზე შთაბეჭდილებას ახდენდა მსუბუქი, ჰაეროვანი, ზეცისკენ მიმართული, ერთ მთლიან მონუმენტად გააზრებული ტაძრები, რომელთა ფასადები შემკული იყო სრულყოფილი ორნამენტით (სამთავისი, ნიკორწმინდა, წუღრუღაშენი), ხოლო ინტერიერი ბრწყინვალე ფრესკებით (ატენის სიონი, ყინწვისი, უბისა, ტიმოთესუბანი) და, შედარებით იშვიათად, ასევე ბრწყინვალე მოზაიკით (გელათის ღვთისმშობელი). ყოველივე ამის მთლიანობა ქმნიდა ანსამბლს, რომელშიც იკითხებოდა წმინდა წერილის, ქრისტიანული იკონოგრაფიისა და სიმბოლიკის ღრმა ცოდნა. კედლის მხატვრობაში გაბატონდა მონუმენტური, საზეიმო სტილი და საერთო ქრისტიანული იკონოგრაფიის გარდა, მასში აისახა ეროვნული წმინდანები (წმიდა ნინო, დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი) და მთელი წყება ქართველ ქტიტორთა (მეფეები, პატრიარქები, ფეოდალები, ეპისკოპოსები). ჩამოყალიბდა ლოკალური სკოლებიც, რომელთაგან გამოირჩევა ზე-მო სვანეთისა და გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სკოლები.

XI საუკუნისათვის დამთავრდა ქართული ხელნაწერების მოხატვისა და მინიატურებით შემკობის პრინციპების ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი, დამუშავდა ეროვნული სტილი და იკონოგრაფიული ნორმები. მინიატურა, ორნამენტი, კალიგრაფია (ასომთავრული და ნუსხური) და ჭედური ყდის ხელოვნება (ბექა და ბეშქენ ოპიზრები) ქართულ ხელნაწერ წიგნს სახვითი ხელოვნების შედევრების რიგში აყენებს (ალავერდის, გელათის, წყაროსთავის, ბერთის, ჯრუჭი II ოთხთავები).

ახალ სიმაღლეებზე ავიდა ხატების, ჯვრებისა და ლიტურგიკული დანიშნულების ჭურჭლის (ღვთისმშობლის ლაკლაკისძეთა ხატი, ბედიის ოქროს ბარძიმი, მარტვილის სანაწილე ჯვარი, წმიდა მამაის ტონდო, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი)

მოჭედვის ხელოვნება, ტიხრული მინანქარი (ლაზარეს აღდგინება, მირქმა უფლისა, სული წმიდის მოფენა, ხახულის ტრიპტიქის დეტალები). ლითონის მხატვრული დამუშავების ცენტრები იქმნება ზემო სვანეთში, რაჭაში, გურიაში, ცაგერში.

საქართველოს არ მიეცა შესაძლებლობა თავისი ბუნებრივი პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სულიერი პროგრესი შეუფერხებლად განევითარებინა. დაიწყო მონღოლთა ასწლიანი ბატონობა, რომელსაც მოჰყვა მთელი სერია ირანელ და თურქ-ოსმალო დამპყრობთა შემოსევებისა. მოიშალა სოფლის მეურნეობის ტრადიციული კულტურები, განადგურდა უდიდესი რაოდენობა როგორც საერო, ისე სასულიერო მატერიალური და კულტურული ძეგლებისა.

მაგრამ დროდადრო საქართველო მაინც ახერხებდა აღდგენას და აღორძინებას. გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346) შეძლო მონღოლთაგან ქვეყნის განთავისუფლება, ეკონომიკის აღორძინება და საქართველოს შერყეული პოლიტიკურ-საეკლესიო ერთიანობის აღდგენა. მისი მეფობის ხანაში ქართველებმა მოახერხეს იერუსალიმში დაკარგული პოზიციების დაბრუნებაც. მიზგითად ქცეული ჯვრის მონასტერი კვლავ ქართველთა მფლობელობაში გადმოვიდა და აღდგა ქრისტიანული მღვდელთმსახურება. ქართველებმა ჩამოართვეს ეგვიპტელ მამლუქებს მაცხოვრის საფლავის კარიბჭის კლიტენი და აღადგინეს იერუსალიმში ქართველთა უფლებები. განახლდა ბევრი დანგრეული ეკლესია-მონასტერი, აშენდა ახლები და მოიხატა ბრწყინვალე ფრესკებით, რომელთა შორისაც გამოირჩევა უბისის მოხატულობა.

თემურ-ლენგის ლაშქრობათა შედეგების აღმოფხვრა შეძლო ალექსანდრე დიდმა (1412-1442). მან აღადგინა თითქმის ყველა დანგრეული ეკლესია, რომელთაგანაც აღსანიშნავია საქართველოს დედა-ეკლესიის, მცხეთის სვეტიცხოვლის, განახლება, დაუბრუნა დაკარგული მამულები და ახალიც შესწირა ეკლესია-მონასტრებს და, რაც მთავარია, დაუბრუნა ერთიანი ეკლესიის წიაღს სამცხის (სამხრეთ საქართველოს) განდგომილი ეპარქია.

XV საუკუნის II ნახევარში უცხოელ დამპყრობთა შემოსევების შედეგად ერთიანი საქართველო რამდენიმე სამეფო-სამთავროდ დაიშალა, რასაც შედეგად მოჰყვა ერთიანი საქართველოს ეკლესიის დაშლაც.

სრულიად საქართველოს მცხეთის საპატრიარქოს გამოეყო აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) საკათალიკოსო, რომლის მწყემსმთავარიც იწოდა აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქად. აფხაზეთის კათალიკოსი საქართველოს პატრიარქს, მართალია, მხოლოდ პატივითღა ემორჩილებოდა, მაგრამ ქართული ეროვნულ-კულტურული ერთიანობიდან არ გასულა. XVI საუკუნის შუა ხანებში აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენციამ ბიჭვინთიდან გელათში გადაინაცვლა. მალე საქართველოს საპატრიარქომ დაკარგა მრევლი სამცხე-საათაბაგოსი, რომელიც თურქეთის ხელში გადავიდა. შესუსტდა საქართველოს ეკლესიის პოზიციები იერუსალიმსა, ათონსა და სინაზე. ქვეყნისა და ქრისტიანობისათვის მოწამეთა ისედაც უსასრული რიგი შეავსეს ახალ მოწამეთა სახელებმა (მეფეები დიმიტრი თავდადებული და ლუარსაბ II, ქეთევან დედოფალი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები), რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. დაინგრა ეკლესიები, განადგურდა და გაიზიდა საქართველოდან ხელნაწერები,

ხატები, საეკლესიო მსახურების ძვირფასი ნივთები. უდიდესი სისხლის ფასად, მაგრამ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და ქრისტიანული სარწმუნოება მაინც გადარჩა და ოდესმე ხელახლა გაერთიანების იდეაც არ ჩამკვდარა.

ყველაზე მძიმე საქართველოსთვის მაინც ის იყო, რომ მკვეთრად შეიცვალა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა. 1453 წელს დაეცა კონსტანტინოპოლი. ევროპიდან აზიისაკენ მიმავალმა სავაჭრო გზებმა ჩრდილოეთით გადაინაცვლა. საქართველოს დაეხშო ყველა გზა ცივილიზებული ქრისტიანული სამყაროსაკენ და მარტო აღმოჩნდა ისლამის გარემოცვაში. ევროპის ქვეყნებზე დიპლომატიური გასვლით საქართველომ რამდენჯერმე წარუმატებლად სცადა საბედისწერო გარემოცვის გარღვევა. რომის პაპისა და ქართველთა ერთობლივი გეგმა ოსმალთა წინაღმდეგ ლაშქრობისა ჩაიშალა. უნაყოფო აღმოჩნდა ქართველი მწერლისა და ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპის ქვეყნებში. ასევე უშედეგო აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფალთა მრავალგზისი მიმოწერა ევროპის ქვეყნებთან და ვატიკანთან. საქართველომ პოლიტიკური ორიენტაცია ერთმორწმუნე რუსეთზე აიღო.

ქვეყნის საერთო მძიმე პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ თავისი დაღი დაასვა საეკლესიო სახვით ხელოვნებას. მართალია, კვლავ შენდება ეკლესიები, ზოგჯერ საკმაოდ ეფექტურიც ადგილის შერჩევით და საერთო სილუეტით (გრემის მთავარანგელოზი — 1565 წ.), იხატება ან ახლიდან იხატება ეკლესიები (გელათის ფრესკები), ცოცხალია ოქრომჭედლობა (მამნე ოქრომჭედელი), წიგნის მინიატურებით შემკობის ხელოვნება (ანჩისხატის ჟამნგულანი), მაგრამ ყველაფერი დაქვეითების, დაწვრილმანების, საზეიმო განწყობილების დაკარგვის ნიშნით არის აღბეჭდილი.

XVI საუკუნის დამლევს (1593 წ.) კონსტანტინოპოლის პატრიარქმა იერემია II-მ რუსეთის ეკლესიის მეთაური, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტი იობია პატრიარქად აკურთხა. მან მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა.

XVIII საუკუნეში საქართველომ რამდენჯერმე შეძლო გამოესწორებინა პოლიტიკური სიტუაცია, რასაც მაშინვე მოჰყვა საეკლესიო ცხოვრების გამოცოცხლება. 1709 წელს თბილისში მეფე ვახტანგ VI-მ, ანთიმოზ ივერიელის დახმარებით, აარსებს ქართულ სტამბას. ხელნაწერი წიგნების გვერდით უფრო დიდი ტირაჟით დაიწყო გავრცელება საეკლესიო პრაქტიკისათვის საჭირო ნაბეჭდმა წიგნებმა. პირველი ნაბეჭდი წიგნი იყო «სახარება», რომლის ერთი ცალი, ოქროს ყდაში ჩასმული, ანთიმოზმა ვლახეთის მმართველ კონსტანტინე ბრაკოვიანუს მიართვა. ვახტანგ მეექვსემვე შექმნა სწავლულ კაცთა კომისია. კომისია შეუდგა ძველი ქართული საისტორიო წყაროების შესწავლას, რედაქტირებასა და მათში საეკლესიო ისტორიის ეპიზოდებისა თუ სასულიერო მოღვაწეთა შესახებ ცნობების შეტანას.

საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში განსაკუთრებული ეტაპი შექმნა კათალიკოსმა ანტონ I-მა (1720-1788). მისი აქტიური მონაწილეობით განახლდა ეკლესია-მონასტრებში ინტენსიური ლიტერატურული საქმიანობა, გაიხსნა

პირველდაწყებითი სკოლები (რამდენიმე თბილისში და ნეკრესში), სემინარია თბილისსა (1755 წ.) და თელავში (1758 წ.), მომზადდა პროექტი უმაღლესი სასწავლებლების გახსნისა თბილისში, გორსა და თელავში. ანტონ დიდი უცხო ენებიდან თარგმნიდა და თვითონ ქმნიდა სახელმძღვანელოებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ქართული თეოლოგიურ-ფილოსოფიური და პოლემიკური აზროვნების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის თხზულებებს «მზამეტყველება» და «წყობილსიტყვაობა». მანვე შექმნა ორიგინალური ჰაგიოგრაფიული კრებული «მარტირიკა» და ასევე ორიგინალური ჰიმნოგრაფიული კრებული «სადღესასწაულო», რომელშიც ვერსიფიკაციული სიახლეც კი შეიტანა (რითმიანი იამბიკო). ანტონ კათალიკოსმა, თავის სკოლასთან ერთად, ქართული საეკლესიო ცხოვრება, თეოლოგიური და ჰუმანიტარული აზროვნება ერთბაშად აიყვანა საერთაშორისო დონეზე.

1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო ხელშეკრულება (გეორგიევსკის ტრაქტატი). აღმოსავლეთი საქართველო ნებაყოფლობით შედიოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ იმ პირობით, თუ მისი შინაგანი პოლიტიკური მოწყობა, სამეფო ხელისუფლება და ეკლესიის ავტოკეფალია ხელუხლებელი დარჩებოდა.

რუსეთზე ორიენტაციის აღება საქართველოს არ აპატია ირანმა, რომელმაც გატეხა მოხუცებული მეფის ერეკლე II-ის მედგარი წინააღმდეგობა და 1895 წელს მიწასთან გაასწორა თბილისი.

ზაზა ალექსიძე

საქართველოს ეკლესია XIX საუკუნიდან დღემდე

მე-19 ს-ის დამდეგს ერთიანი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ორივე ეკლესია — ქართლისა ანუ საქართველოს საპატრიარქო და აფხაზეთის, ანუ იმერეთის საკათალიკოსო — არსებობას განაგრძობდა.

იმის მიუხედავად, რომ სამეფოებისა და სამთავროების პოლიტიკური დამოუკიდებლობა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა, იმხანად აღნიშნული ეკლესიების ეპარქიათა მეტ ნაწილში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გამოცოცხლება შეინიშნებოდა, მაგრამ ეს პროცესი იმ რეორგანიზაციის გამო შეფერხდა, რაც ორივე ეკლესიაში რუსეთის ხელისუფლებამ მოახდინა.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის სახელმწიფოსთან ინკორპორაციამ (1801 წ.) დღის წესრიგში საქართველოს ეკლესიის რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიერთების საკითხიც დააყენა. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაავალა უწმინდესი სინოდის ობერპროკურორსა და საქართველოს მთავარმართებელ ალ. ტორმასოვს, დაეწყოთ მუშაობა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის სასწრაფოდ, მაგრამ უმტკივნეულოდ შეცვლისათვის. ფორმალური საფუძველი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი აღმოჩნდა. ამ დოკუმენტის მე-8 მუხლი საქართველოს კათალიკოს-

პატრიარქს რუსეთის უწმიდესი სინოდის მუდმივ წევრად აცხადებდა და დასძენდა, რომ «სა-ქართველოს ეკლესიების» უწმიდეს სინოდთან სამომავლო ურთიერთობას საგანგებო «პროტოკოლი» განსაზღვრავდა. ტრაქტატის ტექსტის შემუშავებაში საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი ანტონ I-ლიც მონაწილეობდა. ამის გამო მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე გააუქმა (თუმცა ტრაქტატში არც სამეფოსა და არც ეკლესიის რუსეთთან ინკორპორაციაზე ლაპარაკი არაა).

როდესაც რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო შეიერთა, ადგილობრივ ეკლესიას კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II (ბაგრატიონი) განაგებდა (1788 წ-დან). ახალმა ადმინისტრაციამ მისი შევიწროება აღსაყდრების პირველივე დღიდან დაიწყო. ერეოდნენ მის სამღვდელმთავრო საქმეებში და მიანიშნებდნენ, თუკი პეტერბურგში გამგზავრების თაობაზე ხელმწიფე-იმპერატორის ნებას არ დაჰყვები, საეკლესიო-სახელმწიფო ქონების განიავებისა და იმპერიის მტრებთან საიდუმლო კავშირის ბრალდებით შენს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებაო. ანტონ II-ემ გაითვალისწინა საფრთხე, რაც უარის თქმის შემთხვევაში მის სამწყსოს ელოდებოდა და 1810 წლის 3 ნოემბერს სამშობლო დატოვა. პეტერბურგში იგი 1811 წლის 20 მარტს ჩავიდა. იმპერატორმა ის ბრწყინვალედ მიიღო და სახელმწიფო ორდენი უბოძა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცა, რაც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებას ნიშნავდა.

იმპერიულ მთავრობას ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთი და იმავე მრწამსის ორი დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა ქვეყნის მთლიანობისა და, კერძოდ, საქართველოს რუსეთთან ინტეგრაციისათვის დამაბრკოლებელ ფაქტორად წარმოედგინა. გასათვალისწინებელია, რომ თვითმმართველობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასაც წართმეული ჰქონდა. პატრიარქის ინსტიტუტი იქ პეტრე I-ლის რეფორმების შედეგად (1722 წ.) გაუქმდა და უწმიდესი სინოდი ერთ-ერთ სამთავრობო კოლეგიად გამოცხადდა, რომელსაც უმაღლესი საერო მოხელე — ობერპროკურორი მართავდა. კათალიკოს-პატრიარქის ტიტული «სამოდერჟავული» სახელმწიფოსათვის აუტანელი აღმოჩნდა. ეკლესიის ავტონომიურობა კი მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნაზე მიანიშნებდა, რაც იმპერიული პოლიტიკური რეჟიმისთვის მიუღებელი იყო. იგი ერს, ეკლესიასა და სახელმწიფოს განუყოფელ მთლიანობად მოიაზრებდა. ასე რომ, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და მისი ტრადიციული იერარქია (საჭეთმპყრობლითურთ) რუსეთის როგორც კოლონიურ პოლიტიკასთან, ისე სახელმწიფოებრივ სტრუქტურასთან შეუსაბამო ჩანდა.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმა მთავარმართებელმა ალ. ტორმასოვმა, ობერპროკურორმა ალ. გოლიცინმა და არქიეპისკოპოსმა ვარლამმა (ერისთავმა) შეიმუშავეს. გაუქმდა საქართველოს საკათალიკოსო და დაარსდა საეგზარქოსო, აგრეთვე, სასულიერო დიკასტერია (სასამართლო), რომელიც 1815 წელს საქართველო-იმერეთის «სინოდალურ კანტორად» გადაკეთდა. ეპარქიების რიცხვი ორამდე შემცირდა: მცხეთა-ქართლისა და ალავერდ-კახეთისა, მონასტრებსა და საკათედრო ტაძრებს ჩამოერთვა ყმა-მამულები და ხაზინას გადაეცა, ქალაქის ეკლესიებში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა თანდათან შეიზღუდა; დამყარდა საეკ-

ლესიო მმართველობის ზუსტად ის წესი, რაც რუსეთში არსებობდა. აღმოსავლეთ საქართველოს ეგზარქოსად ვარლამ ერისთავი დაინიშნა.

ეს პროექტი «ტორმასოვის რეფორმის» სახელითაა ცნობილი. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა იგი 1811 წლის 30 ივნისს დაადასტურა, რის გამოც აღნიშნული თარიღი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების ოფიციალურ თარიღად უნდა ჩაითვალოს.

აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმების პროცესი უფრო დრამატულად და ტრაგიკულად წარიმართა.

XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტი (XVI ს-ის შუა წლებიდან გელათში გადმოტანილი) დაქვრივებული იყო. მას მიტროპოლიტი დოსითეოზ ქუთათელი (წერეთელი) და ეპისკოპოსი ექვთიმე გაენათელი (შარვაშიძე) განაგებდნენ.

1810 წლის 20 თებერვალს რუსეთის სამხედრო ბრიგადამ მეფე სოლომონ II დააპატიმრა და სამეფო გააუქმა. 1814 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებით კი აფხაზეთის საკათალიკოსოც გაუქმდა და მისი ეპარქიები აღმოსავლეთ საქართველოს საეგზარქოსოსთან გაერთიანდა. ამის გამო ამიერ და იმიერ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას «საქართველოსა და იმერეთის საეგზარქოსო» ეწოდა, მის მღვდელმთავარს — «საქართველოსა და იმერეთის ეგზარქოსი» (აღსანიშნავია, რომ საქართველოს საეგზარქოსოს საზღვრები მთელ კავკასიას მოიცავდა).

დაიწყო გლეხთა საეკლესიო გადასახადის გაზრდა, რამაც 1819-1820 წლებში იმერეთის დიდი აჯანყება გამოიწვია. მღვდელმთავრები დოსითეოზი და ექვთიმე დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მხარეზე დადგნენ, რის გამოც ისინი 1820 წლის 4 მარტს დაატყვევეს, თავზე ტომრები ჩამოაცვეს და რუსეთში გაგზავნეს. ასეთ სისასტიკეს მოხუცმა დოსითეოზმა ვერ გაუძლო და გზაში გარდაიცვალა. მისი გვამი სოფელ ანანურში დაკრძალეს «ყოვლად მარტივად და უცერემონიოდ». ექვთიმე პეტერბურგში ჩაიყვანეს, სადაც მან ალექსანდრე I-ს «ახალი დროის ნერონი» უწოდა.

მართალია, საქართველოს ეკლესია რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაიქვემდებარა, მაგრამ თავის განუყოფელ ნაწილად იგი მაინც ვერ აქცია. ამაზე ხელწოდება «ეგზარქატი» მეტყველებს. ეს ბერძნული სიტყვაა და ისეთ ადგილს აღნიშნავს, რომელიც განსაზღვრული ტერიტორიის მიღმა იმყოფება. «ეგზარქოსი» («ექსარხოსი») ასეთი ადგილის (ჩვენს შემთხვევაში — ეკლესიის) განმგებელია. აკად. კორნელი კეკელიძის დაკვირვებით, ტერმინი «საქართველოს საექსარხოსო» გვეუბნება, რომ საქართველოს ეკლესიის ინკორპორაცია ჯერ არ მომხდარა და მას, როგორც «დაქვრივებულს», რუსეთის «ეგზარქოსი» განაგებს.

საქართველოს საეგზარქოსომ 106 წელიწადს იარსება და 18 ეგზარქოსი გამოიცვალა. ისინი საერო ხელისუფლისაგან — იმპერატორისაგან ინიშნებოდნენ და, ცხადია, იმპერიის სამსახურში იდგნენ. საქართველოს ეგზარქოსები, პირველის გამოკლებით, რუსები იყვნენ. მათ შორის ქართული ენის შესწავლის სურვილი მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა და კიდეც შეისწავლა. უმრავლესობა ადგილობრივ კულტურასა და

ტრადიციულ გარემოს ზევიდან დაჰყურებდა, რის საფუძველზეც არა ერთი და ორი კონფლიქტი წარმოიქმნა. მათგან რამდენიმე ტრაგედიით დამთავრდა.

ამ ტრაგედიებიდან ორს გამოვყოფთ.

1886 წლის 24 მაისს იოსებ ლაღიაშვილმა მოკლა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი დეკ. პავლე ჩუდეცკი. გავრცელდა ხმა, რომ რექტორის დაკრძალვის დღეს ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა თქვა: «წყეულიმც იყოს საზოგადოება, რომელიც ასეთ ბოროტმოქმედს წარმოშობს». სიტყვა «საზოგადოება» ქართველ ერთან იქნა გაიგივებული, რის გამოც ეგზარქოსის წინააღმდეგ საპროტესტო ტალღა აზვირთდა. პროტესტი ყველაზე აქტიურად დიმიტრი ყიფიანმა გამოხატა: ეგზარქოსს წერილი მისწერა და მოსთხოვა ან გაექარწყლებინა ბრალდება, ან დაეტოვებინა საქართველო. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული სიტყვები არ გვხვდება ეპიტაფიის გამოქვეყნებულ ტექსტში, რომელიც ერთობ მჭევრმეტყველური და შინაარსიანია. მღვდელმთავარმა ბრალდება არც დაადასტურა და არც უარყო. ამიტომ დაბეჯითებით დღესაც ვერავინ ამბობს, ასეთი რამ მართლა წარმოითქვა თუ არა. თუმცა არავის ეპარება ეჭვი, რომ ეს პროტესტი დ. ყიფიანის სტავროპოლში გადასახლების ერთ-ერთ მიზეზად იქცა. იქ იგი 1887 წლის 24 ოქტომბერს მოკლეს. მისი ნეშტის საქართველოში გადმოსვენება და მთაწმინდაზე დაკრძალვა გრანდიოზულ ანტიიმპერიულ აქციაში გადაიზარდა. ანდერძი ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძემ) აუგო. ის და მისი თანამსახური სამღვდელოება საპროტესტო აქციას შეუერთდნენ, რითაც ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ქართველი სასულიერო პირების აქტიური და ავტორიტეტული ფრთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარეზე იდგა. ეს მოძრაობა XIX საუკუნის 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულების თაოსნობით დაიწყო და იმ ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებს დაეფუძნა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მეტწილად მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ გამოკვება.

უფრო დიდი და მძაფრი რეზონანსი მოჰყვა 1908 წლის 28 მაისს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობას. მკვლელი ვერ დააკავეს, ეჭვი კი რამდენიმე ქართველ მღვდელსა და მღვდელმთავარზე მიიტანეს. მათ შორის ეპისკოპოს კირიონზე (სამაგლიშვილი), არქიმანდრიტ ამბროსიზე (ხელაია) და მღვდელ ნიკოლოზ ნამორაძეზე. უკანასკნელი გამოძიებას გაექცა, თავი კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეს შეაფარა და სამშობლოში მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა. დანარჩენებს ბრალი ვერ დაუმტკიცეს. მათ დასაცავად ხმა საერთაშორისო საზოგადოებრიობამაც აიმაღლა. ვითარება დაიძაბა, დაიწყო რეპრესიები, ქართველები და რუსები თბილისში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, მაგრამ შეტაკება არ მოხდა.

ეგზარქოსებისა და მათი თანამოსაგრეების ქართულ კულტურასთან დამოკიდებულება ერთნაირი არ ყოფილა. ცნობილი არიან ისეთი რუსი სასულიერო პირები, რომლებსაც შეეძლოთ ქართული გალობისათვის «ძაღლების ყეფა» ეწოდებინათ (თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდ. სერაფიმე), და იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული ტრადიციის აღორძინებისათვის იღვწოდნენ (ეგზარქოსები ისიდორე, ვლადიმირი და სხვ.). ზოგჯერ ერთი და იგივე პიროვნება ერთ შემთხვევაში უკიდურესად ანტიქართულ

განწყობილებას ამჟღავნებდა, მეორე შემთხვევაში კი — პირიქით — პროქართულს. ქართველოფობიით გამორჩეული დეკ. ივანე ვოსტორგოვი, მაგალითად, ქართველი წმინდანების სიის შედგენაზედაც მუშაობდა და, როდესაც საკითხი ოფიციალურად დაისვა, თამარ მეფის წმინდანად აღიარებასაც დათანხმდა, თუმცა ასეთი გადაწყვეტილების საფუძველს ძველი (XVIII ს-მდე) საეკლესიო-ლიტურგიკული ტრადიცია ნაკლებად იძლეოდა.

რუსიფიკაციის მცდელობამ დაპყრობილ ერებში წინააღმდეგობის ჟინი და თვითმყოფადობის შენარჩუნების ინსტინქტი გააღვივა. დაიწყეს ზრუნვა თავ-თავიანთი ისტორიული ფესვებისა და წარსულის მემკვიდრეობის შესაცნობად. თითქოს შეუსაბამოა, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარ მუშაობას სტიმული იმპერიული მთავრობისა და იდეოლოგიის იმ მსახურებმაც მისცეს, რომლებიც სწავლა-განათლე-ბით გამოირჩეოდნენ. ასე მოხდა საქართველოშიც. აღსანიშნავია მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის დაინტერესება ქართული კულტურით და მისი ღვაწლი ამ უბანზე, რის გამოც პლატონ იოსელიანსა და სხვა ქართველ თუ არაქართველ სწავ-ლულს, ქართველოლოგიის განხრით, სერიოზული კვლევა-ძიების წარმოების სა-შუალება მიეცა. ამ გზით XIX საუკუნის შუა წლებში ძველი ქართული მწერლობისა და, ზოგადად, კულტურის ბევრი პირველხარისხოვანი ძეგლი გამოვლინდა, გაჩნდა ქართულენოვანი საეკლესიო პრესა («საქართველოს სასულიერო მახარობელი», «ში-ნაური საქმეები», «სიტყვა», «მწყემსი»), დაიწყო ძველი ქართული საგალობლების შესწავლა და საფუძველი ჩაეყარა ქართულ საეკლესიო არქეოლოგიას. ამაზე მეტ-ყველებს: რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობა, რომელიც 1882 წელს თბილისში ჩატარდა და რომელმაც ქართული საეკლესიო წიგნებისა და ნივთების პირველი გამოფენა მოაწყო, საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმის გახსნა (1888 წ.), რომელსაც მაღალი კვალიფიკაციის ქართველი სწავლულები დ. ბაქრაძე, ეპისკოპოსი კირიონი, თ. ჟორდანია და მ. ჯანაშვილი ხელმძღვანელობდნენ.

ყოველივე ამან ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების აღმავლობას შეუწყო ხელი. რუსეთის სასულიერო აკადემიებში, სადაც მეცნიერული მუშაობა საკმაოდ მა-ღალ საფეხურზე იდგა, ეკლესიის ისტორიის ქართველი მკვლევარები აღიზარდნენ. მათ ხელმისაწვდომი გახადეს ის დოკუმენტები, რომლებიც სმე-ის ავტოკეფალიის იურიდიულ საფუძვლებს ადასტურებდა და ამ სტატუსის განახლებისათვის ბრძო-ლას კანონიერების ფარგლებში აქცევდა. ამავე აკადემიებში ჩამოყალიბდნენ ქართველი პროფესიონალი ღვთისმეტყველები და მისიონერები, რომლებმაც ძველი ქართული ტრადიციები ააღორძინეს და გაამდიდრეს. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩი-ნოა ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძის) სამეცნიერო (ფსიქოლოგიური), პედაგოგიური და სამოძღვრო-საღვთისმეტყველო მოღვაწეობა. მისი ქადაგებები, რომლებიც მისსავე სიცოცხლეში რუსულ და ინგლისურ ენებზე ითარგმნა (ინგლისური თარგმანი ანგ-ლიკანმა მღვდელმა მალანმა შეასრულა), მსოფლიო ჰომილეტიკის საგანძურშია შესუ-ლი. მან აღზარდა ისეთი სასულიერო და საერო პიროვნებები, რომლებმაც სმე-ის *დაფარული ტალანტი* (მათე 25:25) წარმოაჩინეს და ამით დაადასტურეს, რომ საქართველოს ეკლესიას თვითმმართველობის ძალა და უნარი საკუთარ წიაღში მო-ეპოვებოდა.

პირველი სტატია, რომელიც წარსულში საქართველოს ეკლესიის ფაქტობრივი და იურიდიული ავტოკეფალიის დადასტურებას ისახავდა მიზნად და, რომელმაც აღ-

ნიშნული სტატუსის განახლებისათვის ბრძოლას სტიმული მისცა, 1894 წელს ჟურნ. «პასტირ»-ში გამოქვეყნდა. ესაა მღვდელ (შემდ. კათოლიკოს-პატრიარქი) კალისტრატე ცინცაძის მონოგრაფია «საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია».

1905 წლიდან დაიწყო აქტიური კამპანია სმე-ის დამოუკიდებლობის მოთხოვნით: გამოქვეყნდა უამრავი მასალა, მოეწყო დისკუსიები, კრებები და მანიფესტაციები. აღსანიშნავია ქართველ სამღვდელოთა არასანქცირებული ყრილობა, რომელმაც მუშაობა 1905 წლის 29 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიაში დაიწყო. ეგზარქოსმა ალექსიმ კაზაკები გამოიძახა და მათი დახმარებით დელეგატები დარბაზიდან გაყარა. ამ ფაქტმა საპროტესტო მოძრაობა უფრო გააააქტიურა. მთავრობა იძულებული გახდა, დაეწყო მზადება სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებისათვის, რომელსაც მოცემულ საკითხზე საბოლოო სიტყვა უნდა ეთქვა. 1906-1907 წლებში უწმიდესი სინოდის საკონფერენციო დარბაზში კრების წინმსწრები თათბირ-სემინარები მიმდინარეობდა. მოისმინეს ეპისკოპოსების: კირიონის, ლეონიდეს, ევთიმეს, პროფ. ალექსანდრე ცაგარელის, პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილისა და პროფ. ნიკო მარის მოხსენებები. ავტოკეფალიის განახლების მთავარ საფუძვლად დასახელდა ის ფაქტი, რომ რუსული საეკლესიო მმართველობის პირობებში კავკასიაში მართლმადიდებლობის დანერგვისა და განმტკიცების მისია მიზანს ვერ აღწევს, ხალხი წარმართობის და ურწმუნოების ჭაობში ეფლობა, საქართველოს ტერიტორიიდან გააქვთ ისტორიული ნივთები, არაპროფესიულად და ეროვნული კულტურის ტრადიციათა უგულებელყოფის ფონზე მიმდინარეობს სიძველეთა კონსერვაციისა და რესტავრაციის საქმე (იგულისხმება სვეტიცხოვლისა და ზოგი სხვა ძველი ტაძრის ფრესკების გადაღებვა, რაც, ცხადია, მდარე კულტუროლოგიური ცნობიერების გამო მოხდა). რუსების მხრიდან ავტოკეფალიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ პროფ. გლუბოკოვსკი და პროფ. ოსტროუმოვი, დეკანოზები ვოსტორგოვი და ბუტკევიჩი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, მაგალითად, პროფ. სოკოლოვი და ზაოზერსკი, განსაკუთრებით დურნოვო, რომლებიც ქართველების ინტერესებს იცავდნენ. დებატები მეტ-ნაკლებად კონსტრუქციულ კალაპოტში მიმდინარეობდა, მაგრამ სინოდმა მათი გაგრძელება საჭიროდ აღარ მიიჩნია და სხდომები შეწყვიტა. ავტოკეფალიის მომხრეებს აღუთქვეს, საეკლესიო კრებას მალე მოვიწვევთო, მაგრამ დაპირება არ შესრულდა.

არსებობდა საერო და სასულიერო პირების ჯგუფი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რომის ეკლესიასთან უნიის ფორმით შეერთებისათვის და ამ გზით ავტოკეფალიის მოპოვებისათვის იღვწოდა. აქტიურობდნენ გელათის მონასტრის ბერები, ქუთაისელი თავადაზნაურები, აკაკი წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები, მაგრამ მათ იდეას ბევრი არ მიემხრო. ოპონენტები ამბობდნენ, თუკი საქართველოს ეკლესია გაკათოლიკდება, რუსეთი მას ჩამორთმეულ ქონებას არ დაუბრუნებსო. ქართველ კათოლიკეთა ჟურნალის «ჯვარი ვაზისა»-ს კარი ღია იყო ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირებისათვის (მაგ., ეპისკოპოს ლეონიდესათვის), რომლებიც იქ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მხარდასაჭერად პირველხარისხოვან დოკუმენტებს აქვეყნებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, რასაც მთავრობის ისტერიული რეაქცია მოჰყვა. ობერპროკურორმა შეიმუშავა პროექტი, რომელიც «საქართველოს საეგზარქოსოს»

გაუქმებას, მის ნაცვლად «კავკასიის სამიტროპოლიტოს» შექმნასა და, მაშასადამე, საქართველოს ეკლესიის სრულ ინკორპორაციას ისახავდა მიზნად. ინფორმაციამ ამ ჩანაფიქრის შესახებ საქართველოში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პროტესტი გამოთქვა მაშინდელმა ეგზარქოსმა პლატონმა, რის გამოც ამ განზრახვის რეალიზაცია შეჩერდა. სამაგიეროდ, საქართველოსათვის არანაკლებ სახიფათო, ფილეტური ერესის შემცველი პროექტი შეიმუშავეს — აფხაზეთში არაქართული სამრევლოების სოხუმის ეპარქიისგან ჩამოშორება და მათი რუსეთის ერთ-ერთ ეპარქიაში გაერთიანება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმპერიის მთავრობა მაშინ მეგრელებს, სვანებსა და სამურზაყანოელებსაც არაქართველებად მიიჩნევდა. ეს აშკარა ანტიქართული პოლიტიკის ნიშანი იყო, რომ-ლის წინააღმდეგ ხმა ყველაზე მეტად დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ აღიმაღლა.

1917 წლის 25 თებერვალს რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა. დაიწყო იმპერიის დეცენტრალიზაცია და რღვევა. გამოიცა დეკრეტები სინდისის თავისუფლებისა და ერთა თვითგამორკვევის შესახებ. ამ გარემოებით ისარგებლა საქართველოს ეკლესიამ და იმავე წლის 12 (ახ. სტ. 25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში 10 ათასი სამღვდელო და საერო პირი შეიკრიბა, გამოცხადდა სმე-ის დამოუკიდებლობა. ეს აქტი იურიდიულად პირველმა საეკლესიო კრებამ დაადასტურა (თბილისი, 1917 წლის 8-17 სექტემბერი). გაუქმდა ეგზარქოსის თანამდებობა და განახლდა კათალიკოს-პატრიარქის ტიტული. საქართველოს ეკლესიის საჭეთმყრობლად ეკლესიისა და ეროვნული კულტურის წინაშე ღვაწლმოსილი პიროვნება, ცნობილი არქეოგრაფი, ეპისკოპოსი კირიონი აირჩიეს (გიორგი საძაგლიშვილი). ამ ფაქტს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, მათ შორის მუსლიმთა თემი, სიხარულით შეეგება, მაგრამ ეს განცდა მალე გაფერმკრთალდა. კათალიკოს-პატრიარქსა და მის თანამოსაყდრეს, მიტროპოლიტ ლეონიდის შორის სმე-ის ორგანიზების საკითხში უთანხმოებამ იჩინა თავი. კირიონი ეროვნული ეკლესიის იდეისაკენ იხრებოდა, რასაც სამღვდელოების მეტი ნაწილი ფილეტიზმის კვალიფიკაციას აძლევდა. ღრმავდებოდა წინააღმდეგობა სმე-ის მაშინდელ მმართველ ორგანოს — «საკათალიკოსო საბჭოსა» და მთავრობას შორის, რაც კათალიკოსის სულიერ მდგომარეობას ამძიმებდა. 1918 წლის 27 ივნისს, დილით, საზაფხულო რეზიდენციაში, მარტყოფში, იგი გან-გმირული იპოვნეს. ეს ტრაგედია დღემდე ბურუსითაა მოცული.

რუსეთის პოსტრევოლუციურმა მთავრობამ აღიარა საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობა, მაგრამ ეს ეკლესია მიიჩნია არა ტერიტორიულ, არამედ ეროვნულ, ე.ი. მხოლოდ ქართველების ეკლესიად. უწმიდესმა სინოდმა და, შემდეგ, პატრიარქმა ტიხონმა (აირჩიეს 1917 წლის 5 ნოემბერს) საქართველოს ეკლესიის იერარქია მადლმოკლებულად გამოაცხადეს და საქართველოში მცხოვრებ მართ--ლმადიდებლებს მოუწოდეს, არ მიიწვიონ «ავტოკეფალისტი მღვდლები» მღვდელმსახურებაში მონაწილეობის მისაღებად, არ მიიღონ მათგან ლოცვა-კურთხევა, არ შევიდნენ «ქართველების ეკლესიაში», თორემ «უსათუოდ ჯოჯოხეთში მოხვდებიან». ნაეგზარქოსალმა პლატონმა, რომელსაც საქართველოს მოყვარულ მღვდელმთავრად იცნობდნენ, რუსეთის საეკლესიო კრებაზე განაცხადა, ქართველები მართლმადიდებლობას გადაუდგნენო. ამ კრებას (1917-1918 წლების მიჯნა) აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელი პატრიარქებიც ესწრებოდნენ. ისინი რუსეთის ეკლესიის გავლენის ქვეშ მოექცნენ და ფიქრობდნენ, რომ ქართველებმა ისარგებლეს რუსეთის იმპერიის

ავადმყოფობით, ე.ი. გაკომუნისტებით და «უმადური შვილების მსგავსად ხელი აღმართეს მასზე».

საქართველოს დამოუკიდებელმა მთავრობამ ეკლესიის (რელიგიურ ორგანიზაციების) სეპარაციის კურსი აიღო. 1918 წლის 26 ნოემბერს სკოლა გამოეყო ეკლესიას, 1920 წლის 19 ნოემბერს — ეკლესია სახელმწიფოს, რაც დაადასტურა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციამ (მ. 16). სახელმწიფომ სმე-ს ჩამოართვა მიწები და ბევრი სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, რის გამოც ეკლესია დიდი ეკონომიკური სიძნელეების წინაშე დადგა.

სმე XX საუკუნის 20-30-იან წლებში ყოველი მხრიდან რეპრესირებული აღმოჩნდა. მის უფლებებს ზღუდავდნენ მენშევიკები, მაგრამ ბოლშევიკების ანტირელიგიურ კამპანიას პრეცენდენტი არ მოეძებნება. ხურავდნენ და ანგრევდნენ ეკლესიებს, აბუჩად იგდებდნენ და სცემდნენ მორწმუნეებს, არა ერთმა და ორმა საეკლესიო თუ საერო პირმა სიცოცხლე მოწამებრივად აღასრულა, ეკლესიას ხელიდან ყოველგვარი სარჩო-საბადებელი გამოეცალა. ასეთ პირობებში კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) იძულებული გახდა, რომ დახმარების აღმოსაჩენად საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის მიემართა. მან გენუის კონფერენციას (1922,10-19.V) მემორანდუმი გაუგზავნა, რითაც დაგმო საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოება და სამართლიანობის აღდგენა მოითხოვა. 1923 წლის იანვარში კათალიკოს-პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭოს ყველა წევრი დააპატიმრეს, გაასამართლეს (1924 წლის 10-19 მარტს) და მსჯავრი დასდეს, მაგრამ 1925 წლის დასაწყისში ამნისტიის წესით ყველა გაათავისუფლეს. ამ დროს ქართველი მართლმადიდებლების ნაწილმა კომუნისტური ხელისუფლების მიმართ ლოიალობის პლატფორმა აირჩია. მათ, ეპისკოპოს ქრისტეფორესა და ეპისკოპოს დავითის თაოსნობით, 1926 წლის 26-27 დეკემბერს ქუთაისში საეკლესიო ყრილობა მოაწყვეს. ეკლესიის თავს დამტყდარი უბედურების მთავარ მიზეზად კათალიკოს-პატრიარქ ამბროსისა და საკათალიკოსო საბჭოს «ანტისამთავრობო კურსი» გამოაცხადეს. დაგმეს ეს გზა და შეიმუშავეს დეკლარაცია, რომელშიც არსებული პოლიტიკური რეჟიმისადმი ერთგულება გამოხატეს.

კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის გარდაცვალების (1927, 29. III) შემდეგ პატრიარქის ტახტს ეპისკოპოსი ქრისტეფორე ციცქიშვილი დაეუფლა. მისი პოლიტიკა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილით გამოირჩეოდა, მაგრამ დევნილობის, ეკლესიათა დახურვისა და, ხშირ შემთხვევაში, დანგრევის პროცესის შენელება ასეთი დიპლომატიის მეშვეობითაც ვერ მოხერხდა.

ყველაზე კრიზისულ მდგომარეობაში საქართველოს ეკლესია 30-იან წლებში აღმოჩნდა. ამ დროს საკათალიკოსო ტახტს ავტორიტეტული სასულიერო პირი, მკვლევარი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე კალისტრატე ცინცაძე განაგებდა (1932-1952), მაგრამ იმ პრობლემების მოგვარება, რაც ეკლესიას კატასტროფას უქადდა, მისთვისაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ადმინისტრაცია ეკლესიებს ისეთ ბეგარას აკისრებდა, რაც შენაწირი თანხის რაოდენობას ბევრად აღემატებოდა. 1934 წელს მართლმადიდებელ სამრევლოთა რიცხვი 15-მდე შემცირდა. დაიკეტა სვეტიცხოველი. ეს საფრთხე სიონსაც ემუქრებოდა. კათალიკოს-პატრიარქმა ტელეგრამა გაუგზავნა სტალინს და შუამდგომლობა სთხოვა. მისი თქმით, «საქართველოს ეკლესიას კარს მოსდგომია ისეთი განსაცდელი, რომელსაც შეუძლია სავსებით მოუღოს მას ბოლო

სულ მოკლე დროში». ადრესატის პასუხი ცნობილი არაა. ამასობაში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. რადგან კალისტრატე ცინცაძეს ცოლი გერმანელი ჰყავდა და გერმანულ ენას ფლობდა, გესტაპო მის მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა და მისი მიმხრობის იმედს გამოთქვამდა, მაგრამ სმე-ის მეთაური საბჭოთა კავშირის რელიგიურ ორგანიზაციათა ლიდერებს შორის ანტიფაშისტურ კოალიციას პირველი შეუერთდა. ამ და სხვა მიზეზების გამო საბჭოთა მთავრობა ეკლესიის მიმართ შედარებით ლმობიერი გახდა და სმე-საც ამოსუნთქვის საშუალება მიეცა.

სმე-მ დევნილობის პირობებშიც კი განახლებისა და რეფორმირების სურვილი გამოავლინა. გამოიკვეთა მისი ინტერკონფესიური და ეკუმენური მისწრაფებები. კირიონ II-მ, როდესაც იგი კათალიკოს-პატრიარქად აღასაყდრეს, ეპისტოლეები გაუგზავნა არა მარტო მართლმადიდებელ პატრიარქებს, არამედ რომის პაპსა და სომეხთა კათალიკოსს და მათ ეკლესიათა დაახლოების სურვილი გაუზიარა. მომდევნო პატრიარქმა ლეონიდემ (ოქროპირიძემ) მხარი დაუჭირა თბილისის კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის იდეას და პაპის წარმომადგენლებს ყოველმხრივი თანადგომა აღუთქვა. გელათის კრების (1921 წ.) გადაწყვეტილებით, ევროპაში სასულიერო განათლებისათვის გაიგზავნა ახალგაზრდა სწავლული გრიგოლ ფერაძე, რომელსაც კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ ეკუმენური შინაარსით გამსჭვალული სარეკომენდაციო ბარათი გაატანა. გრიგოლ ფერაძემ, რომელიც 1942 წელს არქიმანდრიტის ხარისხში მოწამებრივად აღესრულა, ვენისა და ლოზანის დიდ ეკუმენურ კრებებში (1926-1927) მიიღო მონაწილეობა. მან კავშირი დაამყარა ბრიტანეთის ბიბლიურ საზოგადოებასთან და საღვთო წერილის რამდენიმე მონაკვეთი თარგმნა, რითაც საფუძველი ჩაუყარა იმ იდეის განხორციელებას, რაზედაც ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი ოცნებობდნენ. საკათალიკოსო საბჭოს წევრი რაფიელ ივანიცკი-ინგილო, წმ. კათალიკოს ამბროსის დავალებით, ეახლა რომის პაპს და რამდენიმე წლის განმავლობაში დარჩა მის კარზე, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დესპანი. 1923 წელს საკათალიკოსო საბჭომ, პატიმრობაში მყოფ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევით, ახალი სტილის კალენდარზე გადასვლა გამოაცხადა, რაც 1927 წელს საეკლესიო კრებამაც დასტურყო. შემცირდა ჟამისწირვისა და სხვა კერძო ღვთისმსახურების წესები, გამარტივდა სამღვდელო პირთა ყოფა-ცხოვრების რეგლამენტი და სხვ. მართალია, განჩინებები კალენდარულ რეფორმასა და საეკლესიო პრაქტიკაში სხვა ცვლილებების შესახებ მრევლმა კომუნისტების შემოტანილ სიახლეებად აღიქვა, რის გამოც ისინი ცხოვრებაში ვერ დაინერგა, მაგრამ ფაქტია, რომ სასულიერო და საერო საზოგადოებათა ელიტარული ნაწილი მაშინ რეფორმებისა და ეკუმენური მოძრაობის მხარეზე იდგა. ასეთი განწყობილების არაერთი სასულიერო და საერო პირი ეკლესიის ასპარეზზე მთელი არსებით იღვწოდა და ზოგიერთმა სარწმუნოებისათვის სისხლიც დაღვარა. XIX-XX საუკუნის მოწამეები და მოღვაწეები, რომლებიც სმე-ის უწმიდესმა სინოდმა წმინდანებად გამოაცხადა, არიან: დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი, ეპ. გაბრიელი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ეპ. ალექსანდრე, კათალიკოს-პატრიარქი კირიონი, კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი, მიტრ. ნაზარი, დეკ. გერასიმე ჯაჯანიძე, მღვდ. სიმონ მჭედლიძე, მღვდ. იერეთეოზ ნიკოლაძე, დეკ. ბესარიონ კუხიანიძე, არქიმანდ. გრიგოლ ფერაძე, მღვდელმონაზონი ალექსი შუშანია, დეკ. ნესტორ მაჭარაშვილი, ბეთანიელი ბერები გიორგი მაისურაძე და ექვთიმე კერესელიძე.

1941-1945 წლებში საქართველოს ეკლესიას, სსრკ-ს სხვა რელიგიური ორგანიზაციების მსგავსად, აქტიურობის მეტი საშუალება მიეცა. საკავშირო მინისტრთა საბჭოში 1943 წელს შეიქმნა «რელიგიის საქმეთა კომიტეტი», რომლის თავმჯდომარეს რწმუნებულები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებშიც ჰყავდა. ისინი ეკლესიებსა (რელიგიურ ორგანიზაციებს) და სახელმწიფოს შორის შუამავლის როლს ასრულებდნენ. მართლმადიდებელი ეკლესიების რიცხვი საქართველოში 1945 წელს 29-მდე გაიზარდა, გამოიცა რამდენიმე წიგნი, მათ შორის საეკლესიო კალენდარი, ჩაისახა სასულიერო სასწავლებლის გახსნისა და პერიოდული ჟურნალის დაარსების იდეა, მაგრამ ხელისუფლებამ შედარებით ლოიალური კურსი დიდხანს არ გააგრძელა.

1943 წლის 31 ოქტომბერს აღდგა ძმური ურთიერთობა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის, რის თაობაზეც რუსეთის პატრიარქმა სერგიმ აღმოსავლეთის პატრიარქებს აუწყა. 1962 წლიდან დამყარდა კავშირები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან — ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან, ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციასთან, ევროპის ეკლესიათა კონფერენციასთან (1979 წ.), ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტთან და ბიბლიურ საზოგადოებებთან (1993 წ.). განხორციელდა ვიზიტები საზღვარგარეთ, მაგალითად, 1963 წელს კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ისა საფრანგეთში, სადაც მან იქაური ქართული დიასპორა მოინახულა და პარიზში გრიგოლ ფერაძის მიერ გახსნილ წმ. ნინოს ეკლესიასაც ეწვია. ე.წ. უძრაობის წლების უმნიშვნელოვანეს მოვლენად მცხეთის სასულიერო სემინარიის დაარსება უნდა ჩაითვალოს, თუმცა 70-იან წლებში, კათალიკოს-პატრიარქ დავით V დროს (1972-1977), სმე-ის სამღვდელოება ნაკლებად აქტიური იყო.

მას შემდეგ, რაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად ილია II (ირაკლი შიოლაშვილი) აღასაყდრეს (1977, 25.XII), საქართველოში საეკლესიო-სასულიერო ცხოვრების განახლების პროცესი დაიწყო. ეკლესიები (განსაკუთრებით სიონის ტაძარი) მალე დისიდენტურად განწყობილი ახალგაზრდებისა და ინტელიგენტების თავშესაყარ ადგილად იქცა. კათალიკოს-პატრიარქის პიროვნება საზოგადოების დიდი ნაწილის, მათ შორის მმართველი ზედაფენის თვალში მიმზიდველობას ინარჩუნებდა. ამის გამო, კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც კი, შესაძლებელი გახდა სხვადასხვა პროექტის დანერგვა და განხორციელება. 1978 წელს დაარსდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი «ჯვარი ვაზისა» და «საღვთისმეტყველო კრებული» (1980 წ.; იგი შიდამოხმარებისათვის იყო განკუთვნილი), გაიხსნა ორი სასულიერო აკადემია — თბილისისა (1988 წ.) და გელათისა (1990 წ.), და რამდენიმე სემინარია, ითარგმნა ბიბლია (დედნის ენებიდან ზ. კიკნაძის, ბ. ბრეგვაძისა და მ. სონღულაშვილის მიერ), დაიწყო ეკლესიის მამათა ფუნდამენტური შრომების თანამედროვე ქართულ ენაზე ამეტყველების პროცესი (ე. ჭელიძე), გაიხსნა დაკეტილი ეკლესიები და ამოქმედდა მონასტრები, გამოიცა ლიტურგიკული და საღვთისმეტყველო წიგნები.

სმე-ის საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის წინგადადგმული ნაბიჯი იყო კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტად არჩევა (1979 წ.), რამაც, იმხანად, საყოველთაო სიხარული გამოიწვია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია 1990 წლის 3 მარტს კონ-

სტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმაც დაამოწმა, რის თაობაზე მან საგანგებო ეპისტოლეები სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებსაც გაუგზავნა. ეს დიდმნიშვნელოვან მოვლენად ითვლება, თუმცა პრობლემა ბოლომდე მოგვარებული არ არის. სმე მოითხოვს, რომ აღდგეს ისტორიული ტრადიცია და ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების დიფტიქში საქართველოს საპატრიარქოს მეექვსე ადგილი დაუკანონდეს.

პერესტროიკის ხანიდან საქართველოში საერო და სასულიერო საზოგადოების ნაწილს ინტერკონფესიური მოძრაობის საწინააღმდეგო განწყობილებები მოეძალა, რასაც ერთგვარი ანტიეკუმენური ფრონტის შექმნა მოჰყვა. კათალიკოს-პატრიარქმა და სინოდმა გაითვალისწინეს მათი განწყობა და 1997 წლის 20 მაისს მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმად სმე-მ ეკუმენური მოძრაობის რიგები დატოვა. ამით საფუძველი გამოეცალა სქიზმას, რომლის წინაშეც მაშინ ეკლესია იდგა.

სმე-ის ახლო წარსულში ცხარე დებატები სხვა საკითხების გამოც გაიმართა. 2000-2002 წლებში ფართომასშტაბიან დისკუსიებს ჰქონდა ადგილი უნათლავ ჩვილთა იმქვეყნიურ ხვედრთან დაკავშირებით. ნაწილი მიიჩნევდა, რომ ისინი საეკლესიო დოგმატით მარადიულ წარწყმედას ექვემდებარებიან, მეორე მხარე კი ემხრობოდა აზრს, რომ მათი ხვედრი ჩვენგან დაფარულია და ღვთის მიუწვდომელ განგებას განეკუთვნება. კამათში ათონის მთა, იერუსალიმი და რუსეთის ეკლესიებიც ჩაერთვნენ. გამოგზავნეს შეტყობინებები, რითაც მეორე პოზიციას გაუმაგრეს ზურგი.

სმე-ის მმართველობის უმაღლესი ორგანოა საერო და სასულიერო პირებისაგან შემდგარი საეკლესიო კრება, რომელსაც საჭიროებისამებრ იწვევენ. კრებათაშორის პერიოდში პასუხისმგებელი პირია მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, რომელსაც კრებაზე ფარული კენჭისყრით ირჩევენ. მისი აღსაყდრება (ინტრონიზაცია) სვეტიცხოვლის ტაძარში ხდება. იგი მოვალეობას უწმიდესი სინოდის ანუ მთელი ეპისკოპატის თანადგომით ასრულებს, საეპისკოპოსო კანდიდატს კი თავად გამოარჩევს, სინოდს წარუდგენს, ბერად აღკვეცს (თუ ბერი არ არის) და აკურთხებს. სმე-ის უწმიდესი სინოდი ამჟამად (2008 წ.) 34 წევრისგან შედგება (თავმჯდომარის, კათალიკოს-პატრიარქის, ჩათვლით). არის 35 ეპარქია (ორს, ცხუმ-აფხაზეთისას და ჭიათურა-საჩხერისას, ერთი და იგივე მღვდელმთავარი ჰყავს). საპატრიარქოში 22 განყოფილება მუშაობს; მოქმედებს ორი აკადემია (იხ. ზემ.) და ოთხი სემინარია (თბილისი, ქუთაისი, ახალციხე, ბათუმი). თითქმის ყველა ეპარქიაში გამოიცემა საეკლესიო ჟურნალ-გაზეთები, ეთერით გადის საპატრიარქოს რადიო და ტელევიზია «ივერია». საპატრიარქოს თაოსნობით გახსნილია მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა და მოხუცებულთა სახლები, ხორციელდება ანტინარკოტიკული და სხვა ჰუმანიტარული პროგრამები.

2004 წლის 23 ნოემბერს, თბილისში იკურთხა წმინდა სამების საკათედრო ტაძარი.

დღეს საქართველოში მართლმადიდებლად თავს მოსახლეობის 83 პროცენტზე მეტი მიიჩნევს. სმე-ისა და მისი მეთაურის რეიტინგი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური ლიდერების რეიტინგს ბევრად აღემატება. მთავრობა და მთელი პოლიტიკური სპექტრი ეკლესიის მიმართ განსაკუთრებულ რიდსა და პროტექტორატს ამჟღავნებს. სმე-ის როლი ქვეყნის ისტორიის წინაშე კონსტიტუციითაა აღიარებული

(მუხლი 9). სახელმწიფოს მხოლოდ მასთან აქვს გაფორმებული «კონსტიტუციური შეთანხმება» (2002 წ. 14 ოქტომბერი), რაც საქართველოს საპატრიარქოს დიდ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ პრივილეგიებს ანიჭებს.

ნუგზარ პაპუაშვილი

სქიზმა

სქიზმა — განხეთქილება რელიგიურ გაერთიანებაში, ეკლესიაში. ამ ტერმინით უმთავრესად ქრისტიანული ეკლესიის წიაღში მომხდარი განხეთქილება აღინიშნება. მაგალითად, სქიზმა რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებს შორის ან განხეთქილებები კათოლიკურ ეკლესიაში, რამაც ანტიპაპიზმი წარმოშვა. განხეთქილებაში მყოფ ქრისტიან თანამორწმუნეთა ჯგუფს სქიზმატებს უწოდებენ. კათოლიკეები ასეთებად მიიჩნევენ მართლმადიდებლებს. მართლმადიდებელ ეკლესიაში არ არსებობს ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, კათოლიკეები ერეტიკოსებად უნდა ჩათვალონ თუ სქიზმაში მყოფებად.

სქიზმა კათოლიკე ეკლესიაში. სხვადასხვა დროს პაპის სავარძელი შეიძლებოდა ერთდროულად რამდენიმე პაპს დაეკავებინა, რომლებსაც სხვადასხვა წარჩინებულები უჭერდნენ მხარს სასულიერო თუ საერო ფენებიდან. ასეთ მდგომარეობასაც სქიზმას უწოდებდნენ, ოღონდ უფრო ვიწრო, კათოლიკე ეკლესიასთან დაკავშირებული, მნიშვნელობით.

1378 წელს დაიწყო დასავლეთის დიდი სქიზმა. არჩეულ იქნა ორი პაპი — იტალიელი ურბან მეექვსე, რომელიც რომში დამკვიდრდა და კლიმენტ მეშვიდე, რომელიც თავიდან ნეაპოლში გაიხიზნა, შემდეგ კი ავინიონში დაბრუნდა. 1529 წელს პაპმა კლიმენტ მეშვიდემ უკანონოდ გამოაცხადა ჰენრი მერვეს ქორწინება ეკატერინე არაგონელთან. ამის გამო ჰენრი მერვემ გაწყვიტა კავშირი პაპთან. შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი ანგლიკანური ეკლესია. 1870 წელს ძველკათოლიკეებმა არ მიიღეს ვატიკანის პირველი კრების გადაწყვეტილებები, 1962-65 წლებში ტრადიციონალისტ-კათოლიკეთა ნაწილმა (პიუს მეათის წმინდა საძმო) არ მიიღო ვატიკანის მეორე კრების გადაწყვეტილებები.

სქიზმა მართლმადიდებელ ეკლესიაში. ე.წ. მართლმადიდებელი ქვეყნების ეკლესიები, ჩვეულებრივ, ავტოკეფალურია, მაგრამ იმათაც, ვინც არაა ავტოკეფალური და დამოუკიდებლობა სურს, ამის შესაძლებლობა, საეკლესიო კანონმდებლობის თანახმად, მოეპოვება. თუმცა სხვადასხვა პოლიტიკური თუ რელიგიური მიზეზის გამო ავტოკეფალიის აღიარება უკიდურესად გართულებულია ხოლმე. მაგალითად, უკრაინის თვითაღიარებული საპატრიარქოს მართლმადიდებელი ეკლესია წლებია, მოსკოვის საპატრიარქოსგან ავტოკეფალიის მიღებას ითხოვს, რასაც მხარს უჭერს კონსტანინოპოლი და ეწინააღმდეგება მოსკოვის საპატრიარქო (ასეთია აგრეთვე ბელორუსის, ჩერნოგორიისა და

მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიები). ამგვარი ვითარება, ჩვეულებრივ, ეკლესიების დაპირისპირების მიზეზი ხდება და მათ შორის ევქარისტიული კავშირი წყდება. ადგილობრივი უღიარებელი ეკლესიის მხრიდან ამა თუ იმ ქვეყნის საპატრიარქოსთან თანაზიარების შეწყვეტას, როგორც წესი, დანარჩენ ეკლესიებთან ევქარისტიული კავშირის გაწყვეტაც მოჰყვება.

აზრთა და პრინციპთა სხვადასხვაობას ადგილი აქვს საღვთისმსახურო პრაქტიკასა და სახელმწიფოსთან, თუ განსხვავებულ კონფესიებთან ურთიერთობის საკითხშიც. 1051 წლის შემდეგ ამ მოტივების საფუძველზე, მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში პირველი სერიოზული განხეთქილება 1652-1666 წლებში მოხდა. პატრიარქ ნიკონის ბრძანებით რუსეთის ეკლესიაში რამდენიმე საღვთისმსახურო წიგნი ჩაასწორეს, რაც მორწმუნეთა ნაწილმა ერესად გამოაცხადა და კავშირი გაწყვიტა მოსკოვის ეკლესიასთან. განხეთქილების შედეგად წარმოიშვა სტაროობრიადცების ეკლესია, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დღემდე ნიკონის ეკლესიას უწოდებს. სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებშიც მოხდა სქიზმები. მსოფლიოში დღეს ათეულობით დამოუკიდებელი მართლმადიდებლური სინოდია. ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზის გამო დაუპირისპირდნენ ამა თუ იმ ეკლესიას სქიზმატური ეკლესიები შექმნეს. ამგვარი სქიზმა ზოგჯერ კალენდარული ცვლილებების, ზოგჯერ ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობის, ზოგჯერ კი კომუნისტურ რეჟიმთან ეკლესიის ლოიალური დამოკიდებულების საწინააღმდეგოდ განხორციელდა. ავტოკეფალურ ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირის გაწყვეტას ბუნებრივად მოსდევს ხოლმე თხუთმეტივე მართლმადიდებლური ავტოკეფალიის-გან გამიჯვნაც. ბოლო პერიოდში საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსგან განდგომილი რამდენიმე მართლმადიდებელი ეკლესია ჩამოყალიბდა.

ძველმართლმადიდებლები

ანტირეფორმატორული მიმდინარეობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში და ეთნოგრაფიული ჯგუფი რუს ხალხში წარმოიშვა XVII საუკუნის შუა წლებში; დამაარსებლები: სპირიდონ პოტიომკინი, პროტოპოპი ამბაკუმი, ეპ. პავლე კოლომნელი, ბერი აბრაამი, დიაკონი ფიოდორი და სხვანი; საფუძველი — ძველი წეს-ჩვეულებებისა და რჯულმოძღვრებისადმი განსაკუთრებული ერთგულების გამოვლენა. ცნობილია სხვა სახელითაც: «სტაროვერები» (ძველმორწმუნეები), «სტაროობრიადცები» (ძველმოწესეები), „რასკოლნიკები» (სქიზმატები).

ახასიათებს მძაფრი ესქატოლოგიური მოლოდინი, მეტწილად — კონკრეტულ თარიღზე მინიშნებით. დაგმო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებამ როგორც «რასკოლი» (სქიზმა). მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს, შესაბამისად, სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებსაც, მასთან ევქარისტიული კავშირი დღემდე გაწყვეტილი აქვთ და მისი იერარქიის მადლმოსილებას არ აღიარებენ.

ძირითადად რუსეთში სახლობენ, მაგრამ მათი მცირერიცხოვანი ეკლესიები თითქმის ყველა კონტინენტზე გვხვდება, არიან საქართველოშიც.

ძველმართლმადიდებლების საერთო რიცხვი 2 მილიონს აღემატება.

ისტორია

XVI-XVII საუკუნეების რუსულ საზოგადოებაში მესიანისტური იდეები გამოიკვეთა. ფართო ასპარეზი მიეცა რწმენას, რომ რუსეთის სამეფო მსოფლიო მართლმადიდებლობის ბურჯია. მიაჩნდათ, რომ მართლმადიდებლობა ყველაზე წმინდად და შეუცვლელად რუსეთის მიწაზეა დაცული. საბერძნეთში, უკრაინა-ბელორუსსა და სხვაგან, ყველგან კათოლიკეებისა და პროტესტანტების გავლენის გამო იგი შეირყვნა. ამიტომ გვმართებს, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მოსკოვის საეკლესიო წესებს, მის წიგნებს და წეს-განგებათა კოდექსს, დავიცვათ არამართლმადიდებლური გავლენისაგან, მაგრამ იზოლაციისაკენ ასეთი მისწრაფება წინააღმდეგობაში აღმოჩნდა სახელმწიფოსა და ეკლესიის უმაღლესი იერარქიის პოლიტიკასთან, კერძოდ, მეფე ალექსეი მიხეილის ძისა და პატრიარქ ნიკონის პოზიციებთან. ისინი თავს ბიზანტიისა და კონსტანტინოპოლის მემკვიდრეებად მოიაზრებდნენ, მიიჩნევდნენ, რომ რუსეთი ყოველი მართლმადიდებლის მფარველი და პატრონია. შესაბამისი პროგრამა, მათ შორის კონსტანტინოპოლის გათავისუფლების გეგმა, ამ ქვეყნის საერო და საეკლესიო ხელისუფლებს აიძულებდა, რომ რუსეთის ეკლესიის პრაქტიკა სხვა მართლმადიდებელი ხალხებისა და ეკლესიების რელიგიურ პრაქტიკასთან შეთანხმებაში.

აღნიშნულ ნიადაგზე რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილება (სქიზმა, რასკოლი) 1653 წლიდან დაიწყო. ამ დროს პატრიარქმა ნიკონმა (1652-1666) შემდეგი ოფიციალური განცხადება გააკეთა: ბიბლიის, წმ. მამების თხზულებებისა და ლიტურგიკული წიგნების თარგმანები, შესრულებული ძველ საეკლესიო სლავურზე X-XII საუკუნეებში, ჟამთა ვითარების გამო ბერძნულ ორიგინალებს იმდენად დაშორდა, რომ, ზოგ შემთხვევაში, აზრიც დამახინჯდა. იმისათვის, რომ მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიაში საღვთისმსახურო წიგნებისა და წესების უნიფიკაცია მოხდეს, საჭიროა დავიწყოთ ხსენებული ლიტერატურის მეცნიერული კორექტირება და მოვახდინოთ ზოგიერთი საეკლესიო წესის რევიზია დახვეწისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით. პატრიარქმა არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ამ ტექსტებმა საუკუნეთა მანძილზე თვითკმარი სიწმინდის (ანუ იმისი, რასაც ებრაულად «კოდეში» ჰქვია) მნიშვნელობა შეიძინეს. ეს იყო მიზეზი, რომ მორწმუნეთა ნაწილმა, პროტოპოპ (იგივე დეკანოზ) ამბაკუმ პეტროვისა და კოლომნის ეპისკოპოს პავლეს ინიციატივით, «ღვთისმოსაობის დამცველთა საზოგადოება» შექმნეს. მისი აქტიური წევრები იყვნენ, მღვდლები დანიელი, ლაზარე და ლონგინი, დიაკონი ფეოდორ ივანოვი, თავადი ივან ვოროტინსკი და ბევრი სხვა. ნიკონის რეფორმები სიწმინდეთა ხელყოფად (მკრეხელობად) მონათლეს, უწოდეს მას «რწმენის წახდენა» და ერესი. მეტიც, ეს რეფორმები გააიგივეს აპოკალიფსურ სისაძაგლესთან, რომელიც უკანასკნელი ჟამის მომასწავებელია. ამის მიუხედავად, აღნიშნული რეფორმები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებამ 1666-1667 წლებში მოიწონა, თუმცა მათი ინიციატორი ნიკონი ამავე კრებამ სხვა, პოლიტიკური, მოტივით (სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის სურვილის გამოვლენის გამო) გაასამართლეს და დასაჯეს. ეკლესიის მართვის სადავეები რეალურად მეფე ალექ-სი მიხეილის ძის ხელში აღმოჩნდა. ამდენად, «ღვთისმოსაობის დამცველები» დაუპირისპირდნენ როგორც სამეფო კარს, ისე ოფიციალურ ეკლესიას. ცნობილია მოსკოველი, სოლოვეცელი, დონელი «ძველმორწმუნეების» აჯანყებები.

ზემოხსენებულ კრებაზე პოლემიკამ უმძაფრესი ხასიათი მიიღო. ან-ტირეფორმატორები საკმარის წიგნიერებას, არგუმენტებში სიმყარეს და რწმენაში სიმტკიცეს იჩენდნენ. ამბაკუმი ღრმად განათლებული პიროვნება და მხატ-ვრული სიტყვის ჯადოქარი იყო. იგი რუსული ენის ერთ-ერთ რეფორმატორადაა აღიარებული. მან მდიდარი ლიტერატურული მემ-კვიდრეობა დაგვიტოვა, რომელ-შიც გამორჩეული ადგილი ავტობიოგრაფიულ მოთხრობას უჭირავს, მიმართულს «ნიკონური ერესის» წინააღმდეგ (თარგმნილია ქართულად — «ცხოვრება დეკანოზ ამბაკუმისა»: თბ., 1987).

კონსერვატორ-ფუნდამენტალისტები, ქარიზმატულ და საკუთარ რწმენაში მყარად მდგომ ლიდერებთან ერთად, მეორედ მოსვლას ელოდნენ. ისინი ამბობდნენ: «რამაც ჩვენამდე მოაღწია, უკუნითი უკუნისამდე უცვლელად უნდა დარჩეს. ესაა მართლმა-დიდებლობა და მის გარეშე მე სიცოცხლე არ მსურს!» თვითგანადგურება გადარჩენის ყველაზე ეფექტურ საშუალებად გამოცხადდა, რის გამოც ზოგი თავს იმარხავდა, ზოგი თავს იწვავდა, ზოგიც შორეული ციმბირის უღრან და მიუვალ ტყეებში, კეჟერნსა და ბრიანში, გარბოდა, იქ სახლდებოდა და გარესამყაროსთან, «ანტიქ-რისტეს სამეფოსთან», ყოველგვარ კავშირს წყვეტდა.

დაიწყო სტაროვერების სასტიკი და ულმობელი დევნა: გადასახლება, დაპატიმრება, ენის ამოგლეჯა, ხელის მოკვეთა, სხვადასხვა ფორ-მით დასახიჩრება, ჩამოხრჩობა და დაწვა. აპატიმრებდნენ და ასამართლებდნენ არა მარტო «ერესიარქებს», არამედ ყველას, ვინც სამი თითით არ გადაიწერდა პირჯვარს. ამბაკუმი, მაგალითად, ჯერ გააციმბირეს, მერე დააბრუნეს და შემორიგება მოინდომეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. 1667 წლის 17 მაისს მან და პატრიარქმა ნიკონმა ერთმანეთს ანათემა გამოუცხადეს, რის შემდეგ იგი კვლავ დააპატიმრეს და 1682 წლის 14 აპრილს ძველმოწესეობის სხვა მგზნებარე დამცველებთან (ლაზარესთან, ეპიფანესა და ფიოდორთან) ერთად დაწვეს, მაგრამ უკვე აზვირთებული ტალღის ამ გზით დაცხრომა ვერ მოხერხდა. მოხდა «რასკოლი» (განხეთქილება). წარმოიშვა «სტაროვერების» (იგივე სტაროობრიადცების) ეკლესია, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დღემდე ნიკონის ეკლესიას უწოდებს და მადლაყრილად მიიჩნევს, იქ შესრულებულ საეკლესიო წესებს, მაგალითად, ნათლობის საიდუმლოს — ძალადაკარგულად.

სტაროობრიადცებმა კანონიკური და ორგანიზაციული ერთიანობა ვერ შეინარჩუნეს. ისინი მალე დაიქსაქსნენ «ბეზპოპოვცებად» და «პოპოვცებად» ანუ უმღვდლო და მღვდლიან ეკლესიებად. სტაროვერების მხარეზე, საბოლოოდ, არც ერთი ეპისკოპოსი არ აღმოჩნდა (პავლე კოლომნელი 1654 წ. ნოვგოროდში დაწვეს), რის გამოც მღვდლად კურთხევა აღარ ხდებოდა. ძველი მღვდლები გარდაიცვალნენ. სტაროვერების ნაწილმა ეკლესიური ცხოვრების მღვდლის გარეშე წარმართვა შესაძლებლად მიიჩნია. ასე შეიქმნა ბეზპოპოვცების ეკლესია, რომელიც თავის მხრივ, ორ ძირითად დასად (ტოლკად) დაიყო. უთანხმოების საფუძველი ქორწინების საიდუმლოს აღსრულების საკითხი გახდა. ვინაიდან მღვდელთა ხელდასხმა, ეპისკოპოსთა არარსებობის გამო, აღარ ხდებოდა, აღნიშნულ საიდუმლოსაც ვერავინ ასრულებდა. სტაროვერებმა, რომლებიც განსაკუთრებული მოშურნეობით გამოირჩეოდნენ და ქვეყნის დასასრულს დღე დღეზე ელოდნენ, ქორწინებაზე უარი თქვეს. ესენი არიან «ფილიპოვცები», რომლებიც, ცხადია, არ მრავლდებოდნენ. მათი რიგების შევსება პროზელიტიზმის ხარჯზე ხდებოდა. ამის გამო ამ დასმა საბჭოთა ეპოქამდე თითქმის ვერ მოაღწია. სხვა დასი («ფედოსეევცები») სამოქალაქო ქორწინებასაც დასაშვებად მიიჩნევდა და ამ წესს «ქორწინების საიდუმლოს სადარ» აქტად რაცხდა.

სტაროვერების ნაწილი უმღვდლოდ ყოფნას ვერ შეეგუა და ოფიციალური ეკლესიის მღვდლების მოქრთამვა და გადაბირება დაიწყო. 1848 წელს ავსტრიელმა პოპოვცებმა ერთ-ერთი ეპისკოპოსის მიმხრობა შეძლეს და ამ გზით სასულიერო იერარქია აღადგინეს; ჩამოყალიბდა პოპოვცების ეკლესია.

სტაროვერებს (რასკოლნიკებს) სდევნიდა როგორც ოფიციალური ეკლესია, ისე საერო ხელისუფლება. იმ მონასტრებს, რომელთა ბერები ახალი წიგნებისა და წესების მიღებაზე უარს ამბობდნენ, ჯარი ალყაში აქცევდა და პოზიციების დათმობას ამ გზით აიძულებდა. ვინც შეხედულებას არ შეიცვლიდა, მისთვის ხშირად სასჯელის უმაღლესი ზომა (კოცონი და სახრჩობელა) გამოიყენებოდა. ეს დევნა პეტრე I-ის ცნობილი რეფორმების პირველ ეტაპზე შენელდა, მაგრამ დისკრიმინაცია ძალაში დარჩა. 1705 წლის დადგენილებით, სტაროვერებს შეეძლოთ ეტარებინათ მოუვლელი წვერი (მათი ერთ-ერთი კონფესიური ნიშანი), თუკი ამისათვის ბაჟს გადაიხდიდნენ,

დაწესდა ბეგარა ეკლესიების აშენებისა და ქადაგების უფლების მოპოვებისათვის და ა.შ. სტაროვერების დევნამ პეტრე პირველის შემდეგ ახალი ძალით იფეთქა და იგი მეტ-ნაკლები სიმწვავით 1885 წლამდე გაგრძელდა. ამ წელს სტაროვერებს სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლება მიეცათ და მათი დისკრიმინაცია კანონით აიკრძალა.

რუსეთის სამოქალაქო ომის დროს (1917-1922) სტაროვერების დიდმა ნაწილმა თეთრგვარდიელების მხარე დაიჭირა. დენიკინისა და კოლჩაკის არმიებში მათ საგანგებო პოლკები ჩამოაყალიბეს. ამის გამო მოსალოდნელი იყო, რომ საბჭოთა მთავრობა მათ მიმართ სადამსჯელო ოპერაციებს დაიწყებდა. ასეც მოხდა, მაგრამ ლენინმა, ამასთან ერთად, სტაროვერების მიმხრობის კურსი აიღო. გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ისინი, ძირითადად, ვაჭრები იყვნენ და დიდ ეკონომიკურ ბერკეტებს ფლობდნენ. 1921 წლის 5 ოქტომბერს გამოქვეყნდა მოწოდება „სტაროვერებისა და სექტანტებისადმი», რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა ქვეყანაში „არავინ არასდროს დევნილი არ იქნება». სტაროვერები და „სექტანტები» ამ აქტს კმაყოფილებით შეხვდნენ, მაგრამ ვითარება მალე რადიკალურად შეიცვალა. სტაროვეროზა საბჭოთა ხელისუფლების თვალში კულაკობასთან გაიგივდა და კოლექტივიზაციის დროს სტაროვერების, ისე როგორც ნებისმიერი რელიგიური ორგანიზაციის, მიმართ რეპრესიების ტალღა დაიძრა. ბევრი სტაროვერი ემიგრაციაში წავიდა, მეტი წილი — რუმინეთსა და ჩინეთში. საბჭოთა კავშირში მათი ეკლესიები და მონასტრები დაიკეტა. მოხდა მათი ქონების კონფისკაცია. ამ დროს ბევრი ძველი ხელნაწერი და ხატი დაიკარგა. მღვდლები და ეპისკოპოსები დაიჭირეს და გაასამართლეს. ისინი, რომლებიც დახვრეტას და ციმბირის ყინვებს გადაურჩნენ, მეორე მსოფლიო ომის დროს გამოუშვეს, რადგან ანტიფაშისტურ კოალიციაში გაერთიანების სურვილი გამოთქვეს. ამდენად, ამ ეკლესიამ რეგისტრაციის უფლება მეორე მსოფლიო ომის დროს მოიპოვა.

«ბეზპოპოვცები» თავიდანვე განსაკუთრებით მძიმე დღეში აღმოჩნდნენ. მეფის მთავრობა მათ აციმბირებდა, ანდა ქვეყნის სხვა მიუვალ და დაუსახლებელ ადგილებში აძევებდა. ბევრი თავისი ნებით გარბოდა. ასე აღმოჩნდნენ სტაროვერები, მეტწილად ბეზპოპოვცები, დასავლეთ ევროპაში, ჩინეთში, ამერიკასა და ავსტრალიაშიც ისინი იძულებულნი გახდნენ, რომ თავიანთი ცხოვრება და რელიგიური პრაქტიკა სექტის ყაიდაზე მოეწყოთ ანუ ნახევრად კონსპირაციულად ეცხოვრათ; ჩაკეტილი გეტოები შეექმნათ.

«ბეზპოპოვცების» რიცხვი დღეს ძალზე მცირეა. სტაროვერების ძირითად ნაწილს «პოპოვცები» შეადგენენ. ისინი, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფიან: სამიტროპოლიტო და საარქიეპისკოპოსო ეკლესიებად. სამიტროპოლიტო ეკლესიის წევრები კომპაქტურად რუსეთში, უკრაინასა და მოლდავეთში ცხოვრობენ. მათ 150 ეკლესია (სამრევლო) და 3 მონასტერი აქვთ. საარქიეპისკოპოსო ეკლესიის სამრევლოები, ძირითადად, რუსეთის აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება. მათი რიცხვი 30-მდეა.

1897 წლის სტატისტიკით, რუსეთის იმპერიაში 2 240 556 სტაროვერი ცხოვრობდა. ეს რიცხვი დღეისათვის შემცირებულია. ბოლო მონაცემებით, რუსეთში 1 682 264 სტაროვერი ცხოვრობს (ძირითადად პერმის, დონის, სარატოვის, მოსკოვის, ტომსკის, სამარისა და სხვა ოლქებში, განსაკუთრებით, ამურის მხარეში). სტაროვერთა კომპაქ-

ტური დასახლებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გვხვდება. ყველა სამრევლო რეგისტრირებული არაა, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ამ რწმენის აღმსარებელთა რაოდენობა 2 მილიონზე მეტია.

მოძღვრება და პრაქტიკა

ტერმინი «სტაროობრიადცი» კარგად გამოხატავს ამ მიმდინარეობის ბუნებას — წესებისათვის იმ მნიშვნელობის მინიჭებას, რა მნიშვნელობაც დოგმატს შეჰფერის. სტაროვერობის სპეციფიკური ნიშნებია: ნათლობა წყალში სამგზის შთაფლვით (და არა სხურებით), ბავშვების მონათვლა დაბადებიდან მე-7 დღეს; პირჯვრის ორი თითით გადაწერა, ნათლობისას მზის მიმართულებით (და არა მზის საწინააღმდეგოდ) სვლა, ორჯერ «ალილუია», ფორმის „იისუს» არმიღება და ძველი ფორმის „ისუს» დატოვება, რვაბოლოიანი ჯვარი (ოთხბოლოიანის ნაცვლად), თავის მიწამდე დახრით თაყვანისცემა და სხვა. ძველმოწესობის პრინციპი წარმოჩენილია იმ სიტყვაშიც, რომელიც ამბაკუმმა გასამართლების დროს წარმოთქვა: «მაშ ასე, მორწმუნენო, წარმოთქვით ქრისტეს სახელი, დადექით მოსკოვის შუაგულში, ხუთი თითით (!) დაიწერეთ პირჯვარი მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ნიშისამებრ, ვითარ გადმოგვეცა წმიდა მამათაგან... ეწამეთ თითების სწორად დაჭერისათვის... რა გამოვა, თუკი შვილები მამისაგან განდგომას მოისურვებენ?»

ძველმართლმადიდებელთა ღვთისმსახურება, ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებების გარდა, დანარჩენი მართლმადიდებლების მსახურებისაგან არ განსხვავდება. ყველა ძველმართლმადიდებელი დღესასწაულებს ძველი სტილით, იულიუსის კალენდრით, აღნიშნავს.

სტაროვერი მამაკაცები წვერს უშვებენ და ულვაშს იყენებენ. აცვიათ (მეტწილად) თეთრი სამოსი. ისეთ ქამრებს ატარებენ, რომელმაც ჭიპი უნდა დაფაროს. ქალები თმას არ იკვეცენ, ატარებენ მანდილს, იცვამენ გრძელ კაბას. ამ რწმენის ხალხი მკაცრად იცავს ზნეობრივ ნორმებს და იმ ადათ-წესებს, რაც, მათი რწმენით, ძველ ეკლესიას ახასიათებდა. ისინი გამოირჩევიან შრომისმოყვარეობით — რუსეთის სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკაში ძველმოწესეები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ და დღესაც ასრულებენ.

ძველმართლმადიდებლები საქართველოში

დევნილობის გამო სტაროვერების ნაწილი კავკასიის სხვადასხვა რეგიონში ნებით გადმოსახლდა, ნაწილი — გადმოასახლეს. 1898 წლის სტატისტიკის მიხედვით, ამიერკავკასიაში სულ 65 123 სტაროვერი ცხოვრობდა. ისინი მოსახლეობის 1,32 პროცენტს შეადგენდნენ.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ, რადგან რუსეთში სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება გამოცხადდა, რელიგიის საფუძველზე ემოგრაციაში მყოფმა რუსებმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყიტეს და ბევრი კიდეც დაბრუნდა. ასეთი გადაწყვეტილება თურქეთის სტაროვერთა დიასპორამაც მიიღო, მაგრამ, ჩანს, ბოლშევიკურ

რუსეთში შესვლა ყველამ ვერ გაბედა და ამ დიასპორის ერთი ჯგუფი, რუსეთისაკენ მიმავალი, 1918 წელს საქართველოში დარჩა. ისინი ოზურგეთისა და ფო-თის სოფლებში: შეკვეთილში, გრი-გოლეთსა და მალთაყვაში დასახლდნენ.

სტაროვერები საქართველოშიც ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტში, სავაჭრო ურთიერთობის გარდა, არ შედიოდნენ, თუმცა სტუმართმოყვარენი იყვნენ. როდესაც უცხო მათ კარს მიადგებოდა და თავშესაფარს ითხოვდა, მასპინძლები ბინას მიუჩენდნენ და მისი კარგად ყოფნისათვის ლოცვებს აღავლენდნენ. მათი დღესასწაულები გამოირჩეოდა არა ქეიფით, არამედ ოჯახებში საღვთო წერილის კითხვით და მოწყალების გაცემით.

XX საუკუნის 80-ანი წლების დასაწყისიდან სტაროვერული იდეების ქადაგებას მწერალი მურთაზ ჩახავა შეუდგა (ამ კონფესიის პრინციპით იგი, ოჯახთან ერთად, 1975 წელს მოინათლა). 1989 წელს «საქართველოს ძველმართლმადიდებელთა საღვთო კავშირი» შეიქმნა, თბილისსა და ზოგიერთ სხვა რეგიონში მცირერიცხოვანი ეკლესიები ჩამოყალიბდა, თბილისის ზღვის მიდამოებში გუმბათოვანი ტაძარიც აიგო (აკურთხეს 1995 წლის 5 აგვისტოს ელია წინასწარმეტყველის სახელზე).

ამდენად, ქართველ ძველმართლმადიდებელთა ეკლესია 1989 წელს შეიქმნა. იგი თავიდან რუსეთის არქიეპისკოპოსს ექვემდებარებოდა, მაგრამ 1991 წელს მ. ჩახავა პერმის ეპისკოპოსმა ლეონტიმ თბილისისა და სრულიად იბერიის ეპისკოპოსად აკურთხა; მას იონა დაარქვეს. ეპ. იონას იურისდიქციაში მალე ფოთის სტაროვერთა ეკლესიების ნაწილიც მოექცა (ნაწილი კვლავ პერმის ეპისკოპოსის დაქვემდებარება-შია).

1989 წელს გამოქვეყნდა მ. ჩახავას წიგნი «ერი, ღმერთი და კანონი» და გამოიცა გაზეთი «ღვთიური გზა», რომელშიც ამ აღმსარებლობის პრინციპებია ჩამოყა-ლიბებული და გატარებულია აზრი, რომ ღმერთი კანონია და კანონი სიყვარულზე მაღლა დგას («ღმერთი უპირველესად კანონია, შემდეგ კი სიყვარული»), მეტიც — კანონი სამშობლოზე მაღლა დგას! განსაკუთრებით ამ უკანასკნელი დებულების გამო ძველმართლმადიდებლები ანტიქართველობასა და უცხო ქვეყნის აგენტობაში და-ადანაშაულეს, რადგან მათი მრწამსი და ტრადიცია რუსულ მოვლენად და კოლორიტად მოინათლა, ხოლო ეს მოვლენა და კოლორიტი — ქართველთა ეროვნული მთლიანობის საზიანო სიახლედ. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ გა-ზეთმა მუშაობა ვეღარ გააგრძელა, იგი ფაქტობრივად აიკრძალა. კამათში სასულიერო აკადემიის პროფესორი ედიშერ ჭელიძე ჩაება. მან 1990 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი «ეკლესია — სძალი უფლისა», რომელშიც, ერთი მხრივ, ძველმართლმადიდებელთა წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია ცილისწამებად და ძალადობადაა შეფასებული, მეორე მხრივ კი, წყაროთმცოდნეობის დონეზეა განხილული და გაანალიზებული ის პოზიციები და არგუმენტები, რითაც ეს ეკლესია მართლმადიდებელთა ეკლესიის მრწამსსა და პრაქტიკას უპირისპირდება.

1994 წელს გამოქვეყნდა ეპ. იონას 882-გვერდიანი ნაშრომი ასეთი ტიტულით: «იოანე-იონა, რა უნდა ვაკეთოთ, იბერია». აქ შეჯამებულია ძველმართლმადიდებელთა და, კერძოდ, ქართველ ძველმართლმადიდებელთა რწმენისა და მსახურების საკითხები, მათი პოზიციები არა მარტო საღვთისმეტყველო, არამედ სხვადასხვა კულტუროლო-

გიურ საკითხზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათი ესქატოლოგიური მოლოდინი, რომელიც უკანასკნელ დღეზე მინიშნებასაც შეიცავს. ავტორი ეყრდნობა ძველი ქართული მწერლობის ცნობილ ძეგლს «ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ» და აყალიბებს რწმენას, რომლის თანახმად, ქართული ენის გაღვიძების, აღდგინებისა და გაბრწყინების პროცესი 1994 წლიდან დაიწყება; მეორედ მოსვლა კი 2000 წლის ახლოხანსაა სავარაუდებელი.

პოლემიკამ და აგრესიულმა დაპირისპირებამ საქართველოს საპატრიარქოსა და ძველმართლმადიდებლებს შორის თავი არაერთგზის იჩინა, მაგრამ ფიზიკურ ანგარიშსწორებაში არ გადაზრდილა.

ეპ. იონა 2003 წელს გარდაიცვალა.

დღეს საქართველოს ძველმართლმადიდებელთა ეპისკოპოსია პავლე (ავთანდილ ხორავა). იგი მღვდელმთავრად ხელდასხმულ იქნა 1997 წელს ეპ. იონას მიერ.

პერესტროიკის შემდეგ ბევრი სტაროვერი რუსეთში გადასახლდა. ამჟამად რუსი სტაროვერები მხოლოდ შეკვეთილსა და გრიგოლეთში ცხოვრობენ. მათი რიცხვი ორ ასეულს არ აღემატება.

საქართველოში ძველმართლმადიდებელთა საერთო რაოდენობა (ეროვნების განურჩევლად) ამჟამად 1000-მდე აღწევს.

ნუგზარ პაპუაშვილი

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან (სმე)განხეთქილებაში მყოფი მართლმადიდებელი ეკლესიები

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში გაჩნდა საქართველოს საპატრიარქოსთან დაპირისპირებული სასულიერო პირებისა და მათი სამრევლოების რამდენიმე ჯგუფი. ეს დაპირისპირება ძირითადად ორმა — ეკლესიოლოგიურმა და პოლიტიკურმა — მიზეზმა განაპირობა.

პირველი მიზეზი, ამ შემთხვევაში, განსხვავებული მრწამსის ეკლესიებთან ურთიერთობის პრობლემას გულისხმობს, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეკუმენურ ორგანიზაციებში მონაწილეობამ წარმოშვა. ანტიეკუმენური განწყობებისა და მოწოდებების («ეკუმენიზმი არის ერესთა ერესი!») გავრცელება საქართველოში XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დაიწყო. «ეკუმენისტობა», როგორც ბრალდება, კათალიკოს-პატრიარქ ილია II-საც წაუყენეს. მათი აზრით, ეს «ცოდვა» არა მხოლოდ ეკუმენურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გამოიხატებოდა, არამედ სხვა აღმსარებლობის ქრისტიანებთან თანალოცვითაც. იმოწმებდნენ იმ ფაქტსაც, რომ კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 80-იან წლებში სიონის საკურთხეველში ორი კათოლიკე მღვდელი აზიარა.

ამ კამპანიამ აგრესიული ფორმა და ფართო მასშტაბი მიიღო. საბოლოოდ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1997 წლის 20 მაისს ეკუმენური ორგანიზაციები დატოვა. ამ ნაბიჯით ფართომასშტაბიანი განხეთქილება თავიდან იქნა აცილებული, მაგრამ ანტიეკუმენისტების ერთმა ჯგუფმა ახალი მოთხოვნა წამოაყენა, რომლის მიხედვით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ევქარისტიული კავშირი უნდა გაეწყვიტა ეკუმენურ მოძრაობაში ჩაბმულ ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთანაც — ასეთი კი თითქმის ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია იყო. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც რამდენიმე სასულიერო პირი და მონაზონი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციიდან გავიდა და თავის მრევლთან ერთად მსოფლიოში არსებულ ამა თუ იმ «სქიზმატურ» მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაამყარა ევქარისტიული კავშირი.

დაპირისპირების მეორე, პოლიტიკურ, მიზეზად, ძირითადად, პრე-ზიდენტ ზვიად გამსახურდიას პიროვნებასთან დამოკიდებულება იქცა. პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრე სასულიერო პირებსა და მრევლს მიჩნდათ, რომ საქართველოს საპატრიარქომ არაფერი იღონა პრეზიდენტის დასამხობად დაწყებული საბრძოლო მოქმედებებისა და სისხლისღვრის შესაჩერებლად. ამის გამო 1992-1995 წლებში ეკლესიაში კათალიკოს-პატრიარქისა და წმიდა სინოდის ავტორიტეტი პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა შორის ერთობ შეილახა.

სქიზმატური ეკლესიების სია

საქართველოს საპატრიარქომ 1999 წელს გამოაქვეყნა იმ ეკლესიებისა და ჯგუფების სია, რომლებიც მასთან იმხანად განხეთქილებაში იმყოფებოდნენ («საპატრიარქოს უწყებანი», 6-12.XI, №44).

ესენია (საპატრიარქოს ფორმულირებით):

1. ბოსტონის დაჯგუფება, ე.წ. აქვსენტიოსის ფრთა (მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში),
2. ბერძნული სქიზმა, ე.წ. ქრიზოსტომოსის ფრთა (არქიმანდ. გრიგოლ კობახიძის ჯგუფი);
3. მოსკოვის სქიზმა (ეპისკოპოსების: ამბროსის, მოსესა და ნოდარის შემადგენლობით),
4. ბერძნული სქიზმა, ე.წ. კვიპრიანეს ფრთა (გლდანის ეპარქია),
5. სტაროვერები (ეპისკოპოსები იონა და პავლე),
6. ზედაზნის ჯგუფი (მღვდელი ლავრენტი ბუზიაშვილი და ბორის ივანოვი),
7. სრულიად საქართველოს ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანთა კავშირი (ეპისკოპოსი ნიკოლოზი, ფოთი).

ერთი წლის შემდეგ ამ სიას დაემატა ეპისკოპოს ქრისტეფორეს ეკლესია («სხვენის ეკლესია»), რომელიც, ჩამოთვლილი გაერთიანებებისაგან განსხვავებით, ეკუმენური მოძრაობის მიმართ თანაგრძნობით გამოირჩევა.

ქვემოთ წარმოდგენილი სტატიები იმ ეკლესიებს შეეხება, რომლებიც საქართველოს საპატრიარქოს ბოლო ოცწლეულში გამოეყვნენ და რომელთა აქტიურობა სადღეისოდ (2008 წლისთვის) უფრო მეტად შესამჩნევია.

«გლდანის დევნილი ეპარქია»

ზვიად გამსახურდიას მომხრე ანტიეკუმენური გაერთიანებაა, რომელიც რადიკალიზმით გამოირჩევა. ცალკე ეკლესიად 1994 წელს ჩამოყალიბდა. წინამძღვარია დეკანოზი *ბასილ მკალავიშვილი*, რის გამოც ამ ეკლესიას ხშირად «მკალავიშვილის მრევლს», ანდა «მკალავიშვილის ჯგუფს» უწოდებენ. თავის თავს «გლდანის დევნილ ეპარქია»-დაც მოიხსენიებს. ცნობილია განსხვავებული დენომინაციების, განსაკუთრებით კი იეჰოვას მოწმეების, წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმებით.

მიმდევრების რიცხვი ამჟამად (2008 წლისთვის), სავარაუდოდ, ორი ათასია.

1991-1995 წლებში ზვიად გამსახურდიას მომხრე სასულიერო პირთა ნაწილმა ეკუმენური ორგანიზაციებისადმი კათალიკოს-პატრიარქის დამოკიდებულებას ერესის კვალიფიკაცია მისცა და მას მონანიებისკენ მოუწოდა. ამ კუთხით ყველაზე მეტად გლდანის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ბასილ მკალავიშვი-

ლი აქტიურობდა. 1995 წელს მისი საქციელი წმ. სინოდმა «თავხედობად» შეაფასა და სინანულისაკენ მოუწოდა, თუმცა იგი ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა, რის გამოც სამღვდელო დასისაგან განკვეთეს («დაყვანილ იქნა ერისკაცის მდგომარეობამდე»). საპასუხოდ დეკანოზმა ბასილ მკალავიშვილმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირი გაწყვიტა.

განდგომილი მღვდელი და მისი თანამორწმუნეები დაუკავშირდნენ საბერძნეთის ერთ-ერთ (სქიზმატურ) სინოდს, რომელსაც მიტროპოლიტი კვიპრიანე ხელმძღვანელობს და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან სქიზმაში იმყოფება. მათ აღიარეს ამ ეკლესიის მადლმოსილება და მისი იურისდიქციის საზღვრებში «გლდანის ეპარქია» შექმნეს.

«გლდანის ეპარქიის» საზღვრები მალე გაფართოვდა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონი მოიცვა. მიმდევრებისა და თანამგრძნობელების რიცხვმა 1999-2003 წლებში, სავარაუდოდ, ათიათასს გადააჭარბა.

თბილისის მრევლი წირვა-ლოცვისათვის, თავდაპირველად, საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე იკრიბებოდა, შემდეგ თბილისში, გლდანის მასივის ტერიტორიაზე ეკლესიის აღმართვის ნებართვა მიიღო და კიდეც ააშენეს წმ. გიორგის სახელობის ტაძარი. გამოსცემდნენ გაზეთს «ლომისა» და რელიგიურ-პოლიტიკური შინაარსის სხვა ლიტერატურას.

1997 წლიდან «გლდანის ეპარქიამ» წამოაყენა ლოზუნგი «მართლ-მადიდებლობა ან სიკვდილი!» და ფართოდ გაშალა განსხვავებული აღმსარებლობის მქონე ეკლესიების, უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და ეკუმენური ღონისძიებების საწინააღმდეგო კამპანია, რაც თითქმის ყოველდღიურ თავდასხმაში, დარბევაში, სხვისი საკუთრების ხელყოფასა და «მწვალებლური ბიბლიების» საჯარო განადგურებაში გამოიხატებოდა. ყველაზე დიდი რეზონანსი მოჰყვა ეკუმენური ლოცვის ძალადობრივ ჩაშლას, რომელიც ამ ეპარქიამ 2003 წლის 24 იანვარს თბილისში, ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიაში, განახორციელა. ლოცვას სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ უცხოეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც, რომელთა მეშვეობით ამ ინციდენტის შესახებ ინფორმაცია მთელ მსოფლიოში გავრცელდა. საქართველოს საერთაშორისო იმიჯი სერიოზულად შეილახა, რამაც ედუარდ შევარდნაძის მთავრობა აიძულა, კანონით გათვალისწინებული ზომები მიეღო. თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლომ 2003 წლის 4 ივნისს დეკანოზ ბასილ მკალავიშვილსა და მის რამდენიმე აქტივისტს თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა, მაგრამ მათი დაკავება მხოლოდ ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წლის 12 მარტს, მრევლის მხრიდან მძლავრი ფიზიკური წინააღმდეგობის გადალახვის შედეგად მოხერხდა.

წინამძღვრისა და ზოგიერთი აქტივისტის დაპატიმრების შემდეგ ამ ეკლესიის სამღვდელო და საერო პირთა ექსტრემიზმი შენელდა. 2008 წლის 25 ივლისს დეკანოზი ბასილ მკალავიშვილი გათავისუფლდა პატიმრობიდან.

«სხვენის მართლმადიდებელი ეკლესია»

ესაა გაერთიანების პირობითი სახელი, რადგან ღვთისმსახურებას წინამძღვარი ეპისკოპოსი საკუთარი სახლის სხვენზე ატარებს. ეს ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქადაგებას. საღვთო წერილი თანამედროვე ენაზე იკითხება. «სხვენის მართლმადიდებელ ეკლესიას» (ცალმხრივად) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიასთან ევქარისტიული კავშირი გაწყვეტილი არა აქვს (ლოცვებში კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მოიხსენიება), მაგრამ ორგანიზაციულად მისგან დამოუკიდებელია.

არსებობს 2000 წლიდან. მიმდევართა რიცხვი 1000-მდე აღწევს.

ამ ეკლესიის წარმოშობის მოტივი და ისტორია დაკავშირებულია ეპისკოპოს ქრისტეფორეს (ომარ წამალაიძის) ბიოგრაფიასთან, მის ეკლესიოლოგიურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პოზიციასთან. ომარ წამალაიძე 1979 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსად აკურთხეს. კომუნისტურ-ათეისტური რეჟიმის პირობებში მან აქტიური მისიონერული მოღვაწეობა წამოიწყო, რაშიც იმდროინდელი პოლიტიკური დისიდენტები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ეხმარებოდნენ.

პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობის შემდეგ ეპისკოპოსის ურთიერთობა წმიდა სინოდის წევრებთან და იმჟამინდელი სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაიძაბა. ეპისკოპოს ქრისტეფორესა და მისი თანამოსაგრეების მონათხრობის მიხედვით, 1995 წელს, როცა ის ურბნის-რუისის ეპარქიის მმართველი იყო, მას რამდენჯერმე დაესხნენ თავს და შვილებზე ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ. იგი იძულებული გახდა ქვეყნიდან ემიგრირებულიყო.

1998 წელს პრეზიდენტმა შევარდნაძემ წინამორბედი პრეზიდენტის მომხრეების შემორიგების პროცესი წამოიწყო. ეპისკოპოსი ქრისტეფორე სამშობლოში დაბრუნდა. მან წერილობით სამჯერ მიმართა საპატრიარქოს და ეპარქიაში აღდგენა ითხოვა. საპატრიარქომ გამოყო კომისია, რომელსაც უნდა გაერკვია, რა მიზეზით წავიდა იგი უცხოეთში. სინოდალურმა კომისიამ, რომლის შემაჯამებელი სხდომა 1999 წლის 2 თებერვალს შედგა, შემდეგი დასკვნა გამოიტანა: «როგორც საბუთებიდან ირკვევა, ეპისკოპოსი ქრისტეფორე იძულებული გამხდარა, რომ საზღვარგარეთ წასულიყო. ამას წინ უძ-ღოდა მისი შევიწროება ეპარქიაში და იარაღით მუქარა, რამაც შემდგომ, რა თქმა უნდა, გამოიწვია მისი იქ დაყოვნება... არაფერი არ უშლის ხელს, რომ იგი დაბრუნებულ იქნეს ეპარქიაში».

ასეთი რეკომენდაციის მიუხედავად, ეპისკოპოს ქრისტეფორეს (რომელსაც სასულიერო ხარისხი და პატივი შენარჩუნებილი აქვს) რეაბილიტაცია არ განხორციელდა. ამიტომ მან, თანამოაზრე საერო და სასულიერო პირებთან ერთად ცალკე საეკლესიო ორგანიზაცია შექმნა. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, მისივე განმარტებით, იგი დაეყრდნო რჯულის კანონის იმ მუხლს, რომელშიც ნათქვამია: «თუ ეკლესია ურწმუნოებს უპყრიათ და იქ მისვლა არ შეიძლება, სახლში შეკრიბე, ჰოი

ეპისკოპოსო, მრევლი» (პეტრე-პავლე 9). 2000 წლის დეკემბერში მან პირველად ჩაატარა წირვა საკუთარი სახლის სხვენზე.

«სხვენის ეკლესიის სამრევლოები» თბილისის გარდა მარნეულში, გორში, თერჯოლასა და სხვა რაიონებშიც არსებობს. ლიტურგია, რომელიც ამ ეკლესიებში სრულდება, სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების ლიტურგიისაგან არსებითად არ განირჩევა, თუმცა ღვთისმსახურების (ლოცვებისა და კვერექსების) ენა თანამედროვე ქართულთანაა ადაპტირებული. ეპისკოპოსი ქრისტეფორე მიიჩნევს, რომ ეს ეკლესია, დოგმატური და დოქტრინალური თვალსაზრისით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელი ნაწილია და ელოდება იმ დღეს, როდესაც მას მიეცემა შესაძლებლობა, «თანახმად სინოდალური კომისიის გადაწყვეტილებისა, დაუბრკოლებლად შეასრულოს თავისი მოვალეობა ჩვეულებრივ საკრებულო ტაძარში საქართველოს ეკლესიის ნებისმიერ მართლმადიდებელ მღვდელმსახურთან ერთად".

«მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში» (მეს)

«მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში» დამოუკიდებელ იურიდიულ ორგანიზაციად 1997 წელს ჩამოყალიბდა. მის წევრებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში ყოფნა ჭეშმარიტ მართლმადიდებლობაზე უარის თქმის ტოლფასია. ამგვარი დასკვნა გაპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით: ე.წ. სერგიანობით და ეკუმენიზმით, რომლებიც, მათი შეხედულებით, ათწლეულების მანძილზე საპატრიარქოს მოღვაწეობის მთავარ ვექტორებს წარმოადგენდნენ.

ანტისერგიანული პოზიცია. «მეს» წევრები მიიჩნევენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში კომუნისტური ხელისუფლებისადმი ლოიალობა ქრისტეფორე ციცქიშვილის პატრიარქობიდან იწყება, რომელმაც, მათი აზრით, აღმსარებელ პატრიარქის ამბროსის (ხელაია) წინააღმდეგ ბრძოლის საფასურად ხელისუფლებისაგან 1927 წელს საპატრიარქო ტახტი მიიღო. მაგრამ ვინაიდან სსრკ-სთან თანამშრომლობის ნოვატორი მოსკოვის მიტროპოლიტი სერგი იყო, საპატრიარქოთა ამ ახალ კურსს საეკლესიო წრეებში «სერგიანელობა» ეწოდა.

«სერგიანელობა» «მეს» წარმომადგენლებს საბჭოთა ათეისტური ხელისუფლების ნაყოფად მიაჩნიათ. საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიისა და რელიგიის განადგურება სახელმწიფოებრივ მიზნად დაისახა და ათასობით ტაძარი დაანგრია, მილიონობით მორწმუნე, ათი ათასობით სასულიერო პირი და ორასზე მეტი ეპისკოპოსი ფიზიკურად გაანადგურა. პარალელურად კი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უხეში ათეისტური პროპაგანდა გააჩაღა. მაგრამ, ყოველივე ამასთან ერთად, საგანგებოდ გამორჩეულ ეპისკოპოსთა მცირე ჯგუფს ღვთისმსახურებისთვის ტაძრებს გადასცემდა, ნებას ამლევდა, გაეხსნათ სასულიერო სასწავლებლები და მათ რიგით საბჭოთა მოქალაქეებთან შედარებით, უკეთეს მატერიალურ პირობებს უქმნიდა.

«მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში» ამის მიზეზად იმას თვლის, რომ ზემოხსენებული ეპისკოპოსები საბჭოთა ხელისუფლებასთან გარიგებაში შევიდნენ

და რელიგიურ ასპარეზზე მისი ნების უსიტყვო გამტარებლები გახდნენ. ამგვარი დასკვნის უფლებას მათ საბჭოთა მთავრობისადმი სრული ლოიალობის თაობაზე რუსეთის ეკლესიის მეთაურის, მიტროპოლიტ სერგის, მიერ 1927 წელს გამოქვეყნებული დეკლარაცია აძლევს. მათი აზრით, დეკლარაციამ საფუძველი დაუდო საბჭოთა სახელმწიფო მანქანასთან ინტეგრირებული მოსკოვის საპატრიარქოს წარმოშობას, რომელიც საბჭოთა უშიშროებასთან ერთად დევნიდა მორწმუნე სამღვდელოებასა და მრევლს. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ სამღვდელო პირი, რომელიც «საბჭოთა სამღვდელოებისადმი სრული ლოიალობის თაობაზე» დეკლარაციას ხელს არ მოაწერს, სამღვდელო ხარისხიდან განიკვეთება. განკვეთილ სამღვდელო პირებს უშიშროება დაუყოვნებლივ აპატიმრებდა.

«მეს» თვალთახედვით, სერგიანული პოზიცია რუსეთისა და საქართველოს საპატრიარქოებისთვის ჩვეულებრივ მოვლენად და წესად იქცა. მაგალითად, საქართველოს კათალიკოს პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ასე მიმართავს სტალინს: «თქვენ სიჭაბუკითგანვე არა სცანით ძილი თვალთა, რული წამთა და განსვენება ხორცთა ტვირთმძიმეთა და მაშვრლთა ცრემლთა მოსასპობად, ამისათვის მადლიერმა ერმა დაგსვათ ძლიერთა თვისთა შორის და შეგმოსათ დაუჭკნობელი დიდებით... კაცთა შორის რჩეულო! ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო საკუთარი თვალით მენახა ჩვენი ხალხის სიამაყე... მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება. ალბათ ამისი ღირსი არა ვარ...». როდესაც «მეს» მესვეურები ამ სიტყვებს იმოწმებენ, ხაზს უსვამენ სტალინის უკიდურეს ანტირელიგიურობას და იხსენებენ მის სიტყვებს: «ღმერთის სახელი დავიწყებას უნდა მიეცეს!”

ანტისერგიანელებს მიაჩნიათ, რომ ეკლესიის ამგვარმა ლოიალობამ სავალალო შედეგი გამოიღო: ეკლესია, როგორც სტრუქტურა, ფიზიკურად გადარჩა, მაგრამ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მოკვდა. მან თავისი ნამდვილი მართლმადიდებლური შინაარსი და სული დაკარგა, იგი კომუნისტურ-სოციალისტური პროპაგანდის რუპორად იქცა. ამის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშად რუსეთის, საქართველოსა და ზოგიერთი სხვა საპატრიარქოს 1966 წლის ერთობლივ განცხადებას იხმობენ, რომელშიც ჩამოყალიბებულია ასეთი აზრი: იესო ქრისტე საყოველთაო რევოლუციის სათავეა, მისი «ულევი წყაროა». მას სურს, თავისი სასუფეველი დედამიწაზე დაამკვიდროს და ამას იგი მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის მეშვეობით იქმს.

«მეს» აცხადებს: დიდი რჯულის კანონის თანახმად, თუ ეპისკოპოსი საერო მთავრებს დაიხმარს საეკლესიო ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, იგი უნდა განიკვეთოს და უზიარებელი იქნეს ისიც და ყველა მისი თანამოზიარეც (მოც. კან. 30). საბჭოთა პერიოდის მღვდელმთავრების დიდი ნაწილი კი, მართლმადიდებლური პრინციპების დათმობის ფასად, ათეული წლების განმავლობაში საერო ათეისტი მთავრების დახმარებით ეპატრონებოდნენ საეკლესიო ძალაუფლებას.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, «მეს» წევრებს გამოაქვთ დასკვნა, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ადგილი საქართველოს საპატრიარქოს სრულიად უკანონოდ აქვს მითვისებული.

ანტიეკუმენურობა. საპატრიარქოსგან გამიჯვნის მეორე, მაგრამ უმთავრესი მიზეზი არის ეკუმენიზმი. «მეს»-თვის ეკუმენიზმი ყველა აღმსარებლობის, კონფესიის

(შემდგომ ეტაპზე კი ყველა რელიგიის) ერთ კოლოსალურ ეკლესიად გაერთიანების მცდელობას წარმოადგენს, თითოეული მათგანის სარწმუნოებრივ-დოგმატური განსხვავებების შენარჩუნების პირობებში. ამ მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბებულია მსოფლიო მასშტაბის მქონე გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთაგან უმთავრესს «ეკლესიათა მსოფლიო საბჭო» წარმოადგენს (ემს). საქართველოს საპატრიარქო, სხვა საპატრიარქოებთან ერთად, 1962 წლიდან ემს-ში გაწევრიანდა და მაშასადამე, ეკუმენურ მოძრაობაში იყო ჩაბმული.

«მეს» თანამედროვე ეკუმენური პრაქტიკის მიმართ ასეთი პოზიცია აქვს: მართლმადიდებელი მოძღვრება უცდომელი მოძღვრებაა და ის ეკლესია, რომელიც ამ მოძღვრებიდან გადაუხვევს, ეკლესია აღარაა, ის ერეტიკოსთა (მწვალებელთა) შესაკრებელია. ეკლესიას აქვს თავისი კონსტიტუცია — რჯულის კანონი, რომელიც მორწმუნეებს ცალსახად უკრძალავს არამართლმადიდებლებთან ლოცვას (მოც. კან. 45, 65). ვინაიდან ეკუმენისტურ პოზიციებზე მდგომი ეკლესიები აღნიშნულ კანონს თანმიმდევრულად არღვევენ და ერეტიკოსებთან ერთად ლოცულობენ, ისინი მადლს და ჭეშმარიტებას მოკლებულნი არიან.

ზემოთ წარმოდგენილი ხედვა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ეკლესიის ერთმა ნაწილმა მკაფიოდ და პრინციპულად 1996-97 წლებში ჩამოაყალიბა, რის შემდეგ პატრიარქსა და სინოდს ეკუმენური ორგანიზაციებიდან გამოსვლა და ეკუმენიზმის დაგმობა მოსთხოვა, რაც საპატრიარქომ 1997 წლის 20 მაისს დააკმაყოფილა. ამავე დროს მან ეკუმენურ მოძრაობაში დარჩენილ მართლმადიდებელ ეკლესიებთან სრული ეკლესიური ერთობა შეინარჩუნა. აქედან გამომდინარე, «მეს» მიიჩნევს, რომ, მისტიკურ-ევქარისტიული თვალსაზრისით, საქართველოს საპატრიარქო კვლავ ეკუმენისტთა რიგებში დარჩა და ეკუმენურ მოძრაობას რეალურად არ გამიჯვნია. ამასთან, პერიოდულად კვლავ აქვს ადგილი საქართველოს საპატრიარქოს წევრთა ერთობლივ ლოცვებს უცხო კონფესიის წარმომადგენლებთან.

«მეს» ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში აბსოლუტურად იდენტური მდგომარეობაა შექმნილი. ყველა მართლმადიდებელ ქვეყანაში ეკუმენიზმში ჩაბმული საპატრიარქოების გვერდით არსებობს ეკუმენიზმისაგან გამიჯნული დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიები. ანტიეკუმენურ პოზიციაზე საბერძნეთში მილიონზე მეტი მორწმუნე დგას, რუმინეთში — ნახევარ მილიონზე მეტი და ა.შ.

«მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში» 1997 წლიდან ევქარისტიულად დაუკავშირდა «ჩრდილოეთ ამერიკის წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიას», რომლისგანაც, ადგილობრივი ეპისკოპოსის ჯერჯერობით არყოლის გამო, სამღვდელო ხელდასხმა მიიღო. ამ ეკლესიის დამაარსებელნი და წევრთა უმრავლესობა მართლმადიდებლობის დამცველი ბერძნული წარმომავლობის ემიგრანტები არიან, რომლებიც ეკუმენურ მოძრაობაში ჩაბმული საპატრიარქოებისა და მათი მომხრე სოციალისტური ხელისუფლების ზეწოლის გამო XX საუკუნის 50-იანი წლებიდან აშშ-ში გადასახლდნენ. ამ ეკლესიის სინოდი ხუთი ეპისკოპოსისგან შედგება. ეკლესიის მთავარი რელიგიური ცენტრი კანადის ქ. ტორონტოსა და აშშ-ის ქ. ბოსტონში მდებარეობს, თუმცა მისი სამრევლოები აშშ-ის თითქმის ყველა

შტატშია. იქ საქართველოს მოქალაქეებიც მოღვაწეობენ, მაგ., მღვდელი ანდრია ბოროდა. ამ ეკლესიის ფილიალები არაერთ ქვეყანაში არსებობს.

«მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში», ძირითადად, სამი სამრევლოსგან შედგება: შემოქმედის (გურია) სამრევლო, ქუთაისის სამრევლო, რომელსაც აქვს წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი (ემსახურება მღვდელი დავით გიორგაძე) და თბილისის სამრევლო, რომლის ტაძარიც იყალთოს გორაზეა, მას ემსახურებიან მღვდლები გელასი და ზურაბ აროშვილები. ეკლესიას აქვს გამომცემლობა «ორთოდოქსი». პერიოდულად იბეჭდება თარგმნილი და ორიგინალური ლიტერატურა.

2001 წელს გურიის სოფ. შემოქმედში ერთ-ერთი მორწმუნის კუთვნილ კარ-მიდამოში თითქმის დამთავრებული მშენებარე წმ. გიორგის ტაძარი მოსახლეობის ნაწილმა, როგორც «მეს» წევრები აცხადებენ, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საპატრიარქოს წარმომადგენლების ხელშეწყობით დაანგრია. «მეს» მიმდევართა რაოდენობა 1000-მდე აღწევს.

ნუგზარ პაპუაშვილი

აღმოსავლეთის არაქალკედონური მართლმადიდებელი ეკლესიები

ეკლესიათა ერთიანობის, ანუ პენტარქიის რეალურად მოქმედების ჟამს თანდათან ჩნდებოდა ეკლესიათა საერთო რწმენისგან განსხვავებული რწმენა-თეორიები. ამის გამო, საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენელთა ერთობლივი კომისიები იქმნებოდა, რათა ამ რწმენა-თეორიების ბუნება და ავკარგიანობა გარკვეულიყო. თუკი დადასტურდებოდა, რომ ისინი რწმენის არსებით პუნქტებს, ე.ი. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მაცოცხლებელ ღერძს, უპირისპირდებოდნენ და აზიანებდნენ, საეკლესიო კრებები ასეთ თეორიებს ერესებად, ანუ მწვალებლობებად (წვალებებად) ნათლავდნენ და ანათემას უცხადებდნენ. ეს კი, არც მეტი და არც ნაკლები, ნიშნავდა: მათ მიმდევრებს, თუკი ისინი სინანულს არ მიეცემოდნენ, ეკლესიიდან გარიცხავდნენ — განკვეთდნენ. განკვეთილები თავიანთ ეკლესიებს ქმნიდნენ. წარმოიშობოდა სხვადმადიდებლობა (ჰეტეროდოქსია) და მრავლდებოდნენ სხვადმადიდებლები, იქმნებოდა ახალ-ახალი თეორიები.

არაქალკედონური მართლმადიდებელი ეკლესიები, ე.წ. მონოფიზიტური მრწამსის მქონე ეკლესიებია, რომელთაც არ მიიღეს ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) დადგენილებები. ამ ჯგუფში ასევე მოიხსენიებიან ნესტორიანელებიც, რომელთაც არ გაიზიარეს ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრების (431 წ.) დადგენილებები. მონოფიზიტებმა და ნესტორიანელებმა საკუთარი ეკლესიები შექმნეს.

მონოფიზიტობა (ბერძ. monos — ერთი, physis — ბუნება) მიმართულებაა ქრისტიანობაში, რომელიც აღიარებს ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას, რაც ეწინააღმდეგება ქალკედონის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას — დიოფიზიტურ პოზიციას ქრისტეში ორი ბუნების შესახებ. დიოფიზიტურ მრწამსს იზიარებენ მართლმადიდებელი (კონსტანტინოპლის, საქართველოს, რუსეთის, საბერძნეთისა და ა.შ.), კათოლიკე და პროტესტანტული ეკლესიები.

მონოფიზიტობის შემცვლელი ტერმინია მიაფიზიტობა (ბერძ. mia — ერთი, physis — ბუნება), რომლითაც, აგრეთვე, აღნიშნავენ არაქალკედონური მრწამსის ეკლესიების დიოფიზიტურ ქრისტოლოგიას. ტერმინი «მიაფიზიტობა» შემოღებულია, რათა თავიდან იქნეს არიდებული ნეგატიური კონოტაცია, რომელიც ახლავს ტერმინ «მონოფიზიტობას», როდესაც მას ქალკედონის ქრისტოლოგიის მაღიარებელი ეკლესიის წარმომადგენლები იყენებენ (ორი ბუნება, ერთი ჰიპოსტასი). ტერმინი დაფუძნებულია წმინდა კირილე ალექსანდრიელის ცნობილ გამონათქვამზე: «ღვთის სიტყვის ერთგვაროვანი განკაცებული ბუნება».

მონოფიზიტური მიმართულება 433 წელს ბიზანტიაში ჩამოყალიბდა და დანარჩენ ქრისტიანობას 451 წელს ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ გამოეყო. ამ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარა კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი დიდი მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ევტიქიმ (დაახ. 378-454 წწ.).

მონიფიზიტობა ასწავლის, რომ თავიდან ცალ-ცალკე არსებობდა ქრისტეს ორი ბუნება — ღმერთის და კაცის, მაგრამ განკაცების შემდეგ ეს ორი ბუნება შეერთდა და მხოლოდ ღვთაებრივი ბუნება დარჩა. ზოგიერთი მონოფიზიტი მიიჩნევს, რომ ქრისტეში ადამიანურისა და ღვთაებრივის შერწყმამ წარმოქმნა რაღაც სხვა, ახალი და განსაკუთრებული ბუნება.

მონოფიზიტები სვამდნენ კითხვას ქრისტეში ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების შეერთების შესახებ, უარყოფდნენ ამ ორი ბუნების თანაარსებობას და აღიარებდნენ, რომ ქრისტეში ღვთაებრივმა შთანთქა ადამიანური ბუნება და ამ სახით ევნო კაცობრიობისათვის არა ღმერთკაცი (როგორც ამას ამტკიცებენ დიოფიზიტი ღვთისმეტყველები), არამედ ღმერთი.

ტერმინი «მონოფიზიტობა» მხოლოდ VII საუკუნის ბოლოდან მკვიდრდება. მონოფიზიტების სწავლება გავრცელდა ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებში, სადაც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი მოკვდავი ღმერთის კულტი.

451 წელს მონოფიზიტების სწავლება ქალკედონის კრებამ განიხილა, რამაც წარმოქმნა მწვავე რელიგიური და პოლიტიკური დაპირისპირება.

V საუკუნის ბოლოს მონოფიზიტებმა დაიკავეს ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქო საყდრები. VI საუკუნეში სწავლება გავრცელდა ნუბიასა და არაბეთში. თუმცა ამავე პერიოდში თეოლოგიურმა პაექრობამ მეორე პლანზე გადაინაცვლა, ხოლო მონოფიზიტურ და დიოფიზიტურ მოძღვრებებს შორის დაახლოების შესაძლებლობა გაჩნდა. გამოიკვეთა, აგრეთვე, მონოფიზიტების პოლიტიკური სურვილი, რომ ბიზანტიისაგან აღმოსავლეთის პროვინციები

ჩამოეშორებინათ. სირიაში და ეგვიპტეში რელიგიური განხეთქილების შემდეგ სეპარატიზმმა იჩინა თავი. ამის გამო VI საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორები ხშირად უთმობდნენ მონოფიზიტებს. ეს ერთგვარ ტენდენციად იქცა, განსაკუთრებით იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობის დროს, რომლის მეუღლეც, თეოდორა, მონოფიზიტებს ფარულად მფარველობდა. აღნიშნულმა მიზეზებმა VII საუკუნეში ახალი «მონოთელიტური" (სწავლება ქრისტეს ერთი, ღვთაებრივი ნების შესახებ) მოძღვრება წარმოქმნა.

არაქალკედონური მრწამსის მაღიარებელი ეკლესიებია: 1. სომხეთის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, 2. კოპტური მართლმადიდებელი ეკლესია (ნუბიისა და ეთიოპიის ეკლესიების ჩათვლით), 3. სირიის მართლმადიდებლი (იაკობიტური) ეკლესია, რომელიც მალაბარის სირიულ ეკლესიასაც მოიცავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინ «მონოფიზიტობას» სომეხთა სამოციქულო ეკლესია საკუთარი მრწამსის აღსანიშნავად არ იყენებს. იგი მისთვის მიუღებელია.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული, ე.წ. არაქალკედონურ და მართლმადიდებელ, ასევე კათოლიკე ეკლესიებს შორის აქტიური და იმედისმომცემი საღვთისმეტყველო დიალოგი მიმდინარეობს.

სომეხთა წმიდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია

ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია, რომელიც მთელი რიგი არსებითი ნიშნებით განსხვავდება როგორც მართლმადიდებელი, ასევე რომის კათოლიკე ეკლესიებისგან. რელიგიათმცოდნეები ჩვეულებრივ მას არაქალკედონური აღმოსავლური ეკლესიების ჯგუფს მიაკუთვნებენ. მისი აღმსარებლობა წარმოადგენს სომეხი ხალხის ეროვნულ სარწმუნოებას.

დაარსდა გრიგოლ განმანათლებლის (+326 წ.) მოღვაწეობის შედეგად, დაარსების თარიღად ტრადიციულად მიიჩნეულია 301 წელი; დოგმატურად ეფუძნება პირველი სამი მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს და იზიარებს კირილე ალექსანდრიელის ქრისტოლოგიას. არ მოიაზრებს თავს მონოფიზიტური აღმსარებლობის ეკლესიად. 551-554 წლებში ჩამოშორდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას, რაც საბოლოოდ გააფორმა 726 წელს მანასკერტის კრებაზე.

დღესდღეობით სომხეთში 8 ეპარქია მოქმედებს. ეპარქიებითაა წარმოდგენილი ეს ეკლესია ამერიკის, აზიის, ევროპისა და ოკეანეთის მთელ რიგ ქვეყნებში.

საქართველოში მოქმედებს სომეხთა ეკლესიის საქართველოს ეპარქია, საეპისკოპოსო რეზიდენციით თბილისში.

სახელწოდება

სომხური ეკლესიის სრული სახელწოდებაა «სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესია»: 1. სამოციქულო ეკლესია მას იმიტომ ეწოდება, რომ, ტრადიციის თანახმად, სომხეთში ქრისტიანობა იქადაგეს და იქვე მოწამებრივად აღესრულნენ თადეოს და ბართლომე მოციქულები, 2. სომეხთა ან სომხური (და არა სომხეთის) კი ეწოდება, ვინაიდან მისი ეპარქიები განთავსებულია მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, 3. რა თქმა უნდა, ყველა ეკლესია, და მათ შორის სომხურიც, თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს, ამიტომ ასეთი სახელწოდება არ უნდა აგვერიოს აღმოსავლეთის ქალკედონური ეკლესიების ტრადიციულ სახელწოდებაში — ორთოდოქსი (მართლმადიდებელი) ეკლესია.

სრულიად სომეხთა ეკლესია ინახავს ყველა ქვეყნის სომეხთა ეროვნულ თვითიდენტიფიკაციას.

რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, 1836 წელს, რუსეთის თვითმპყრობელობამ კანონმდებლობით («პოლოჟენიე») განსაზღვრა სომხეთის ეკლესიის ურთიერთობა იმპერიასთან და, ამასთანავე, უწოდა მას «სომხურ-გრიგორიანული». ასეთი სახელწოდება მთელი სისრულით არ ასახავდა რეალურ ვითარებას და მხოლოდ იმას მიუთითებდა, რომ სომხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება გრიგოლ განმანათლებლის ქადაგებათა და ღვაწლის შედეგი იყო. რუსეთის იმპერიის კანონმა 1917 წლამდე იმუშავა, თუმცა სომხური ეკლესიისა და მისი სამწყსოს მიმართ სახელწოდება «გრიგორიანული» არაოფიციალურად დღემდე იხმარება.

სტრუქტურა

დღეს სომხური სამოციქულო ეკლესია იყოფა ოთხ მთავარ საეკლესიო საყდრად — ორ საკათალიკოსოდ და სამ საპატრიარქოდ: 1. სომხეთის სამოციქულო ეკლესია, ცენტრით ქ. ვაღარშაპატში, წმ. ეჩმიაძინის მონასტერში. მას სათავეში უდგას უწმიდესი, უმაღლესი პატრიარქი და სრულიად სომეხთა კათალიკოსი. იგი არის პატივით უპირველესი ყველა სხვა სომეხ იერარქთა შორის და სრულიად სომეხთა ეკლესიაში საეკლესიო განსაზღვრებათა და დოგმატთა სიწმიდის მცველი. სრულიად სომეხთა კათალიკოსის უშუალო დაქვემდებარებაში, სომხეთისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ საეპისკოპოსოთა გარდა, შედის აირარატისა (ცენტრი ერევანში) და დასავლეთ ევროპის (ცენტრი პარიზში) საპატრიარქოები, 2. «კილიკიის დიდი სახლის საკათალიკოსო», ცენტრით ლიბანში, ქ. ანტილიასში. მას სათავეში უდგას უწმიდესი კათალიკოსი, რომელსაც ემორჩილებიან ეპისკოპოსები და აქვს მათი ხელდასხმისა და მირონის კურთხევის უფლება, 3. იერუსალიმის საპატრიარქო, რომელსაც სათავეში უდგას უნეტარესი პატრიარქი. მისი საყდარი მდებარეობს ქ. იერუსალიმში (ისრაელი), 4. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, რომელსაც სათავეში უდგას უნეტარესი პატრიარქი. მისი საყდარი მდებარეობს ქ. სტამბოლში (თურქეთში). კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის საპატრიარქოებს ამჟამად არა აქვთ საეპისკოპოსო კათედრები.

სრულიად სომეხთა სამოციქულო ეკლესიის მართვის უმაღლესი ორგანოა საეკლესიო-ეროვნული კრება საერო წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც ფარული კენჭისყრით ირჩევს სრულიად სომეხთა უმაღლეს პატრიარქსა და კათალიკოსს.

იერარქია

სრულიად სომეხთა ეკლესიის უმაღლესი ხარისხებია: 1. უმაღლესი პატრიარქი და კათალიკოსი, აგრეთვე, კილიკიის კათალიკოსი — შეუძლიათ ეპისკოპოსების ხელდასხმა, 2. კერძო პატრიარქი ან კათალიკოსი — არა აქვთ ეპისკოპოსების ხელდასხმის უფლება, 3. არქიეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი, 4. ეპისკოპოსი.

სომხური სამოციქულო ეკლესიის სამღვდელოება შედგება სამი ხარისხისაგან: 1. ეპისკოპოსი — შეუძლია საიდუმლოს აღსრულება და სამღვდელოთა ხელდასხმა, 2.

მღვდელი — შეუძლია საიდუმლოს აღსრულება, 3. დიაკვანი — ემსახურება მღვდელს საიდუმლოს აღსრულებისას.

სომხური ეკლესიის სამღვდელოება იყოფა შავ (დაუქორწინებელ) და თეთრ (დაქორწინებულ) სამღვდელოებად. ეპისკოპოსებს ირჩევენ შავ სამღვდელოთაგან, რომელთაც აქვთ ვარდაპეტის (მოძღვრის) ხარისხი. ვარდაპეტის ხარისხს შავ სამღვდელოთა შორის თეოლოგიური შრომებით გამორჩეულ მღვდელს ანიჭებს ისეთი ეპისკოპოსი, რომელიც თვითონ ფლობს უმაღლესი ვარდაპეტის ხარისხს.

მოძღვრება

სომხური ეკლესია ცნობს მხოლოდ პირველ სამ მსოფლიო კრებას და მათ მიერ დადგენილ დოგმატებს. ესენია: ნიკეის (325 წ.), კონსტანტინოპოლის (381 წ.) და ეფესოს (431 წ.) კრებები.

სრულიად სომეხთა ეკლესია იყენებს სამ სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამსს): მოკლეს, საშუალოსა და ვრცელს. მოკლე და საშუალო ისეა შედგენილი, რომ არა ჩანს განსხვავება ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) სიმბოლოსაგან. ვრცელი კი შეიცავს ფრაზას, რომელიც არსებითად განასხვავებს სომხური სარწმუნოების სიმბოლოს ქრისტეს ბუნებათა საკითხში: «ერთი პირი და გაერთიანებული ერთი ბუნება».

სომეხ ღვთისმეტყველთათვის ძე ღვთისა, განხორციელებამდე, ორი ბუნებისაგან შედგება, ხოლო განხორციელების შემდეგ, ბუნებათა შერწყმის შედეგად, ვიღებთ ერთ, ღვთაებრივ ბუნებას. ქალკედონის კრების სარწმუნების სიმბოლოს მიმდევარი ღვთისმეტყველებისთვის კი განხორციელების შემდეგ ძე ღვთისას ბუნებათა შერწყმა არ მომხდარა, ამიტომ ქრისტეს ორი ბუნება გულისხმობს სრულ ღმერთს და სრულ კაცს: ორი ბუნება და ერთი ჰიპოსტასი (სახე).

VI-X საუკუნეებში, ქრისტოლოგიის საკითხებზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან პოლემიკის პროცესში, სომეხ თეოლოგთა პოზიციამ ცვლილებები განიცადა უკიდურესად მემარცხენე მონოფიზიტობიდან (ივლიანე ჰალიკარნასელის მიმდევართა სწავლება ქრისტეს ხორცის უხრწნელობის შესახებ) უკიდურესად მემარჯვენე მონოფიზიტობამდე (იაკობიტთა სწავლება ქრისტეს ხორცის ხრწნადობის შესახებ). სირიელ იაკობიტებთან (იაკობ ბარადეის მიმდევრები) დაახლოების შემდეგ ორთოდოქსი (მათ შორის ქართველი) პოლემისტები სომხებს მათგან აღარ განასხვავებენ და ხშირად მოიხსენიებენ სახელწოდებით «იაკობნი», ხოლო სომხური სარწმუნოება მათთვის არის «სჯული იაკობთაჲ».

სომეხი თეოლოგები, რაკიღა არ უარყოფენ განხორციელებამდე მაცხოვრის ორბუნებოვნებას, თავის თავს მონოფიზიტებად კი არა, კირილე ალექსანდრიელის მიმდევრებად მიიჩნევენ.

საბოლოო სახით სომხური ეკლესიის დოგმატური ხედვა ჩამოაყალიბა კათალიკოსმა ნერსეს შნორალიმ (მადლმოსილმა) თავის ეპისტოლეში ბიზანტიის კეისრის მანუილ

კომნენისადმი — «გარდამოცემა სომხური ეკლესიის სარწმუნოებისა» (1166 წ.): 1. ძე ღვთისას განხორციელება გამოიხატა ღვთაებრივ და კაცებრივ ბუნებათა გაერთიანებით, 2. იესო ქრისტეს ხორცი თანაარსია ღვთისმშობლის ხორცისა, 3. განხორციელების შემდეგ მივიღეთ ერთი ბუნება ისე, რომ კაცებრივმა ბუნებამ შეინარჩუნა ყველა თავისი თვისება.

საღვთისმეტყველო საკითხებში სომხური ეკლესიისა და სამწყსოსათვის სახელმძღვანელოდ უკვე VII საუკუნიდან შედგენილი იყო სპეციალური კრებულები («ეპისტოლეთა წიგნი» და «სარწმუნოების ბეჭედი», ანუ «სარწმუნოების საფუძველი»), რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ივსებოდა ახალი მასალით. ამ კრებულებში მოთავსებული იყო, სრულად ან შესაბამისი ფრაგმენტების სახით, ადგილობრივი და საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მამათა ეპისტოლეები, ქადაგებები, კითხვა-მიგებანი ან სხვა დოგმატურ-პოლემიკური ხასიათის თხზულებები.

ღვთისმსახურება

სომხურ ეკლესიაში ღვთისმსახურება აღესრულება ძველ სომხურ ენაზე (გრაბარი), ხოლო ქადაგება წარმოითქმის ახალ სომხურ ენაზე (აშხარაბარი).

სომხური ეკლესიის უმთავრესი ლიტურგიკული წიგნებია: ჭაშოცი (ლექციონარი), პატარაგატეტრი (კონდაკი), ჟამაგირქი (ჟამნი), მაშტოცი (კურთხევანი) — ეს სახელწოდება წიგნმა მიიღო კათალიკოს მაშტოც ელივარდელის პატივსაცემად, რომელმაც IX საუკუნის ბოლოს კურთხევანის საბოლოო რედაქცია შეიმუშავა.

სომხური ეკლესიის საიდუმლოებებია: ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, ქორწინება, სინანული, მღვდლობა, ზეთის კურთხევა.

სომხური ეკლესია ზიარებისას იყენებს უსაფუარო პურსა და წყალ-გაურეველ ღვინოს. ქრისტეშობასა და ნათლისღებას იგი აღნიშნავს ერთად — 6 იანვარს. სამწმიდა გალობას ემატება პეტრე ანტიოქელის მიერ შემოღებულ «რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი» («ხაჩეცარი»). პირჯვარს იწერენ სამი თითით მარცხნიდან მარჯვნივ. სომხური ეკლესიის თავისებურებაა სამკვირიანი მარხვის («არაჯავორქ») შენახვა დიდმარხვის წინ.

სომხური საეკლესიო ნაგებობებისთვის დამახასიათებელია შედარებით მაღალი საკურთხეველი და ფრესკულ მოხატულობათა არარსებობა.

1924 წლიდან სომხური სამოციქულო ეკლესია (გარდა საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის ეპარქიებისა) გადასულია ახალ საეკლესიო კალენდარზე.

კანონიკა და კალენდარი

სომხური სამოციქულო ეკლესიის თანამედროვე კანონმდებლობა ეყრდნობა შუა საუკუნეების საეკლესიო სამართლებრივ ტრადიციასა და სინოდის გადაწყვეტილებებს. შუა საუკუნეების სომხური საეკლესიო სამართალი გამომუშავებულია

მოციქულთა კანონების, პირველი სამი მსოფლიო კრების დადგენილებათა, ეკლესიათა ადგილობრივი კრებების (ანკვირიის — 315 წ., ნეოკესარიის — 315 წ., განგრის — 380 წ., კესარიის ანტიოქიის — 341 წ., ლაოდიკიის — 365 წ., სარდიკიის — 344 წ.) და სომხური ადგილობრივი საეკლესიო კრებების (შაჰაპივანის — 365 წ., აშტიშატის — 443 წ., დვინის — 648 წ. და სხვ.) გაწყვეტილებათა საფუძველზე.

სომხურ ენაზე არსებულ კანონიკურ ძეგლებს ერთ კრებულად თავი მოუყარა კათალიკოსმა იოანე ოძუნელმა VIII საუკუნის I ნახევარში. ამ კრებულს ეწოდება «კანონაგირქ ჰაიოც» («სომხურ კანონთა წიგნი»). სომხური კანონების წიგნი შემდგომშიც, სხვადასხვა დროს, ივსებოდა სხვადასხვა რედაქტორის მიერ. სომხურ კანონთა კორპუსის ჩამოყალიბების პროცესი XVII საუკუნეში დამთავრდა. ვინაიდან სომხური საეკლესიო კანონმდებლობა იქმნებოდა ქვეყანაში, რომელსაც დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა, იგი ქვეყნის საშინაო, საერო ცხოვრების სფეროზეც ვრცელდებოდა.

სომხური კანონმდებლობის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XII საუკუნის ბოლოს მხითარ გოშის მიერ შედგენილ «სამართლის წიგნს». კრებულში ცალკეა გამოყოფილი საეკლესიო სამართალი. მხითარ გოშის «სამართლის წიგნი» გადამუშავებული სახით არის შესული ვახტანგ VI-ის «სამართალში» სახელწოდებით «სამართალი სომხური».

ძველი სომხური კალენდრით 552 წლის 11 ივლისი არის სომხური ეროვნული და საეკლესიო წელთაღრიცხვის პირველი წელიწადი («დიდი სომხური სათვალავი») ან, სხვა ტრადიციით, მეორე წლის დასაწყისი. წელიწადში არის 365 დღე, ხოლო ერთი მოქცევის ციკლი 532 წლისგან შედგება. სომხური ეროვნული კალენდარი პრაქტიკაში დაინერგა 584 წლიდან. ქალკედონიტი პოლემისტების თვალსაზრისით, ეროვნული სომხური წელთაღრიცხვა 551 წელს მიიღო დვინის მეორე ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ ახალი სარწმუნოების პირველი დღის აღსანიშნავად («ესე არს დღე პირველი ჩუენისა სარწმუნოებისაჲ»). პირველი 532-წლიანი ციკლის დასრულების შემდეგ, 1084 წლიდან, იწყება ე. წ. «მცირე სომხური სათვალავი».

სომხურმა საეკლესიო კალენდარმა საუკუნეთა განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა (ანანია შირაკელისა და იოანე სარკავაგის კალენდრები). დღევანდელი ლიტურგიკული კალენდარი, ანუ სალექციონარო სისტემა, ძველ სომხურ ეროვნულ კალენდარს ეყრდნობა.

ძველი სომხური ტრადიცია რაიმე მოვლენის თარიღის ქრისტეს შობიდან გამოთვლისას ქრისტეშობას, საყოველთაოდ მიღებულისგან განსხვავებით, ორი წლით ადრე იწყებს.

საეკლესიო მწერლობა

სომხური საეკლესიო მწერლობა სათავეს უდებს სომხური ლიტერატურის ისტორიას. V საუკუნიდან მოკიდებული სომხურ ენაზე ითარგმნება არა მარტო წმინდა წერილები (ძველი და ახალი აღთქმა, მათი კომენტარები), არამედ გამოჩენილ საეკლესიო

მამათა (იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნაზიანზელის, სევერიანე გაბალოვნელის, ევაგრე პონტოელის, ეფრემ ასურის, ათანასე დიდის, ბასილი დიდის, კირილე ალექსანდრიელისა და სხვათა), თეოლოგიური და საეკლესიო (ევსები კესარიელის, სოკრატე სქოლასტიკოსისა და სხვათა) თხზულებები.

სომხურ ენაზე შემონახულია უმდიდრესი ორიგინალური და თარგმნილი საღვთისმეტყველო და პოლემიკური ლიტერატურა, რომელთა ავტორები, მთარგმნელები ან სპეციალურ კრებულთა შემდგენლები არიან იოანე ოძუნელი (სიბრძნისმოყვარე), სტეფანე სივნიელი, კომიტასი, იოანე მაირაგომელი, ანანია ნარეკელი, ანანია მოკელი, ნერსეს შნორალი (მადლმოსილი), იოანე ვოროტნელი, გრიგოლ ტათეველი და სხვანი.

სომხური მწერლობის გამორჩეული დარგია ისტორიოგრაფია. უმეტეს შემთხვევაში სომეხი ისტორიკოსები, იმავდროულად, საეკლესიო მოღვაწეებიც იყვნენ, ხოლო მათი თხზულებები საეროსთან ერთად საეკლესიო ისტორიასაც ასახავს. მაგალითად: აგათანგელოსის «ისტორია», რომელიც სომხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების ისტორიას გადმოგვცემს, მონაზონ ლაზარე ფარპელისა და მალაქია აბელას, ეპისკოპოსების: სებეოსის, უხტანესის, სტეფანოს ორბელიანის, ვარდაპეტების (მოძღვრების): ვარდან დიდის, თომა არწრუნის, კირაკოს განძაკელის, კათალიკოს იოანე დრასხანაკერტელისა და სხვათა საისტორიო თხზულებები.

წმინდანად შერაცხილ ეროვნულ საეკლესიო მოღვაწეთა და მოწამეთა (V-XIX სს.) მრავალრიცხოვნობის გამო სომხური მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია ჰაგიოგრაფია, ანუ წმინდანთა ცხოვრება და მოწამეობა. სომხური ეროვნული ჰაგიოგრაფიის უმთავრესი მახასიათებლებია: 1. ქრისტიანობისათვის მოწამეობისა და ღვაწლის შერწყმა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლასთან, 2. მარტიროლოგიური ჟანრის შენარჩუნება ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის არსებობის ბოლომდე.

IX საუკუნიდან მოყოლებული სომ-ხეთსა და დიასპორაში (უპირატესად კილიკიის სომხეთში) ვითარდებოდა და XII-XIII საუკუნეებში განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია საეკლესიო ხელნაწერი წიგნის კალიგრაფიამ, ტექსტისა და ყდის მხატვრულმა გაფორმებამ.

ისტორია

სომხეთში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად IV საუკუნის დამდეგს გამოცხადდა. ამ აქტის თარიღად საეკლესიო ტრადიცია 301 წელს ასახელებს, ხოლო ბოლო ხანების სამეცნიერო გამოკვლევები 313 წლის უშუალოდ მომდევნო წლებს უჭერენ მხარს. სომხეთში სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობა გამოცხადდა თრდატ მესამის დროს, გრიგოლ განმანათლებლის (პართელის) მოღვაწეობისა და ქადაგების შედეგად. ამავე ხანაში გამოჩნდნენ სომხეთის პირველი ქრისტიანი მოწამენი — რომიდან ლტოლვილნი გაიანე, რიფსიმე და მათი მოყვასნი.

გრიგოლ განმანათლებელი ლეონტიოს კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოსის ხელდასხმით გახდა სომხეთის პირველი ეპისკოპოსი. მანვე საეპისკოპოსო საყდარი დაარსა ვაღარშაპატში. კათედრალს ეწოდა ეჩმიაძინი (ფონეტიკურად ზუსტი გადმოცემით, «ეჯმიაწინ» — «მხოლოდშობილის გარდამოსვლა»). გრიგოლ განმანათლებლის დროსვე შეიქმნა რამდენიმე ეპარქია არსებული სანახარაროების (სამთავროების) შესაბამისად. ერთხანს საეპისკოპოსო ხარისხი გრიგოლის სახლში მემკვიდრეობით გადადიოდა. 368 წლამდე სომხეთის ეპისკოპოსები ხელდასხმას კაპადოკიის კესარიაში იღებდნენ.

387 წელს ბიზანტიისა და ირანის იმპერიების მეცადინეობით სომხეთი ორად — ბიზანტიურ და ირანულ ნაწილებად — გაიყო. მალე ორივე ნაწილში ეროვნული სამეფო ხელისუფლება მოიშალა: 391 წელს — ბიზანტიის ნაწილში, ხოლო 428 წელს — ირანის ნაწილში. ამიერიდან ერთიანი სომხეთის სიმბოლო გახდა სომხეთის სამოციქულო ეკლესია, რომელსაც V საუკუნის შუა ხანებიდან სათავეში ჩაუდგა ავტოკეფალური ეკლესიის კათალიკოსი და პატრიარქი. კათალიკოსის რეზიდენცია პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად ხან ვაღარშაპატში იმყოფებოდა, ხან დვინში.

ვარაუდობენ, რომ სომხური დამწერლობის შექმნამდე მღვდელმსახურება სომხეთში ბერძნულ და სირიულ ენებზე წარმოებდა. მას შემდეგ, რაც V საუკუნის დამდეგს მაშტოცმა (მესროპმა), საჰაკ კათალიკოსისა და მეფე ვრამშაპუჰის თანადგომით, სომხური დამწერლობა შექმნა (ზოგი მეცნიერის ვარაუდით, უკვე არსებულ ანბანს რეფორმა ჩაუტარა გრაფემათა სომხური ენის ფონემურ სისტემასთან შესაბამისობის დაცვის თვალსაზრისით), სომხურ ენაზე ითარგმნა წმინდა წერილები და ღვთისმსახურებისათვის აუცილებელი ლიტერატურა, შეიქმნა სომხური სალიტერატურო ენა, რომელიც მაშინვე სომხური ეკლესიის ლიტურგიკის ენა გახდა.

სომხეთის ეკლესიის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ პირველი სამი მსოფლიო კრების (ნიკეის — 325 წ., კონსტანტინოპოლის — 381 წ., ეფესოს — 331 წ.) მუშაობაში და იზიარებდნენ მათ სარწმუნოების სიმბოლოსა და განსაზღვრებებს. რთული საშინაო და საგარეო ვითარების გამო (V საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ორი დიდი აჯანყება მაზდეანური ირანის წინააღმდეგ) სომხეთის ეკლესიამ ვერ მიიღო მონაწილეობა ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) მუშაობაში და შემდგომ გაემიჯნა მას.

V საუკუნის ბოლოდან სომხური ეკლესიის საკათალიკოსო კათედრალი გადადის დვინში. V საუკუნის II ნახევარში სომხეთის ეკლესიას ირანის წინააღმდეგ ორი დიდ აჯანყების გამო არ მიუღია მონაწილეობა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის გამართულ პოლემიკაში. დვინის 506 წლის საერთოკავკასიურ კრებაზე სომხეთის ეკლესიამ ბაბგენ კათალიკოსის მეთაურობით ქართლისა და კავკასიის ალბანეთის ეკლესიებთან ერთად მიიღო ბიზანტიის იმპერატორის ზენონის «ჰენოტიკონი» (482 წ.), დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა შემარიგებელი და დაგმო ნესტორიანობა.

თანდათანობით სომხურმა ეკლესიამ იწყო გადახრა მონოფიზიტობისკენ, რომლის უკიდურესად მემარცხენე ფრთა — ივლიანიტობა (თეოფასქიტობა, ანუ მაცხოვრის ხორცის უხრწნელად გამოცხადება) — 551-554 წლებში თავის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოაცხადა დვინის II ადგილობრივ კრებაზე (შედგა ორი კრება ერთი

თემატიკით). დვინის კრებამ მიიღო პეტრე ანტიოქელის (წყვეტილებით 469-488) თეოფასქიტური დამატება სამწმიდა გალობისათვის: «რომელიც ჩვენთვის ჯვარს ეცვი». ქალკედონიტი პოლემიკოსები ამ დამატებას აღნიშნავდნენ სომხური სიტყვით «ხაჩეცარ». ამავე კრებამ მიიღო სომხური ეროვნული კალენდარი.

591 წელს დიდი სომხეთი კვლავ ორად გაიყო ბიზანტიასა და ირანს შორის. შესაბამისად, დვინის საკათალიკოსოს საპირისპიროდ ავანში ჩამოყალიბდა მეორე, დიოფიზიტური სომხური საკათალიკოსო. ასე თანდათან, VI საუკუნის მეორე ნახევარში, მზადდებოდა, ერთი მხრივ, სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასა და, მეორე მხრივ, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიებს შორის დიდი საეკლესიო განხეთქილება, რომელიც VII საუკუნის დამდეგს, 609 წელს, მოხდა კიდევაც: სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიის საპირისპიროდ ქართლმა და ალბანეთმა აშკარად გამოხატული დიოფიზიტობა (ქალკედონიტობა) აირჩიეს.

VII საუკუნის 10-იან წლებში ირანმა გაიმარჯვა ბიზანტიაზე და მოიწვია ე.წ. სპარსული კრება. ამ კრებას კავკასიიდან მხოლოდ სომხეთისა და ალბანეთის იერარქები ესწრებოდნენ. ხოსრო მეორის ბრძანებით, მის ქვეშევრდომ ყველა ქვეყნის იერარქს ან «სომხური სარწმუნოება» უნდა ეღიარებინა, ან სამშობლო დაეტოვებინა. სომხეთში აღდგა ერთიანი მონოფიზიტური ეკლესია და კავკასიის ალბანეთმაც მონოფიზიტური სარწმუნოება მიიღო.

VII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს ბიზანტიამ კვლავ გაიმარჯვა ირანზე და დაიწყო მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა შემარიგებელი პოლიტიკის გატარება მონოთელიტობის (ორი ბუნება და ერთი ნება მაცხოვარში) ნიადაგზე. სომხეთის ეკლესია ეზრა ფარაჟნაკერტელის მეთაურობით 631 წელს თეოდოსიოპოლის კრებაზე ეზიარა კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან ერთობას. ეს ერთობა VII საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. 726 წელს იოანე ოძუნელის (717-728) მიერ მანასკერტში მოწვეულ კრებაზე სომხური ეკლესია საბოლოოდ დაუბრუნდა მონოფიზიტურ დოგმატიკას და საწესო პრაქტიკას: აიკრძალა ზიარებისას საფუარიანი პურისა და წყალგარეული ღვინის გამოყენება. იოანე ოძუნელსვე ეკუთვნის საეკლესიო სამართლის კრებული («კანონაგირქ ჰაიოც»), რომელშიც შევიდა პირველი სამი მსოფლიო კრებისა და ადგილობრივი საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები. დაახლოვებით ამავე ხანებში ალბანეთის ეკლესიამაც საბოლოოდ სომხური ეკლესიის მხარე დაიკავა.

886 წელს სომხეთში აღდგა სახელმწიფოებრიობა ბაგრატუნთა დინასტიით სათავეში (აშოტ I — 886-890 წწ.): დაარსდა ანისის სამეფო, რომელმაც იარსება XI საუკუნის შუა წლებამდე. ამ ხანებში სომხეთის იერარქებს აქტიური ურთიერთობა აქვთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან (ფოტიოს პატრიარქი), რომელიც ცდილობს სომხური ეკლესია ქალკედონიტობაზე მოაქციოს. მართალია, სომხურმა ეკლესიამ ქალკედონიტობა არ მიიღო, მაგრამ დოგმატიკის საკითხებში მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაახლოება მაინც მოხდა.

893 წელს ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია დვინი და საპატრიარქო რეზიდენციამ აღთამარის მონასტერში, ვანის ტბაში მდებარე კუნძულზე, გადაინაცვლა. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, X საუკუნის მეორე ნახევარში საკათალიკოსო

რეზიდენცია დედაქალაქ ანისის მახლობლად, დაბა არგინაში, გადავიდა. მიუხედავად ამისა, აღთამარის ეპისკოპოსებს ამის შემდეგაც კარგა ხანს ჰქონდათ პრეტენზიები სომხურ ეკლესიაში განსაკუთრებულ იერარქიულ მდგომარეობაზე, და, მართლაც, 1114 წელს აღთამარის ეპისკოპოსმა თავი სომხეთის კათალიკოსად და პატრიარქად გამოაცხადა. მართალია, ეს ვითარება დიდ ხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ აღთამარის ეპისკოპოსებმა კათალიკოსის ტიტული მაინც ხანგრძლივად შეინარჩუნეს. X საუკუნის 90-იან წლებიდან სომხეთის კათალიკოსის რეზიდენცია ქ. ანისში დამკვიდრდა.

1045 წელს ბიზანტიამ სამეფო ქალაქი ანისი დაიკავა და სომეხთა საკათალიკოსო რეზიდენცია სებასტიაში გადაიტანა.

XI საუკუნის 60-იანი წლებიდან სომხეთში თურქ-სელჩუკები მკვიდრდებიან. დაიწყო სომხური მოსახლეობის მასობრივი გადასახლება მცირე აზიის დასავლეთში და განსაკუთრებით კილიკიაში, სადაც 1198 წლიდან შეიქმნა რუბენიდთა სამეფო. 1149 წელს სრულიად სომეხთა ეკლესიის საკათალიკოსო რეზიდენციამ კილიკიაში, ქ. ჰრომკლაში გადაინაცვლა, ხოლო 1293 წლიდან კილიკიის სამეფოს დედაქალაქ სისაში დამკვიდრდა.

XII საუკუნის მეორე ნახევრიდან ცენტრალური და ჩრდილოეთი სომხეთი საქართველოს სამეფომ თურქ-სელჩუკთაგან გაათავისუფლა და თავის შემადგენლობაში გააერთიანა. საკათალიკოსოს გარეშე დარჩენილი ქვეყნის ქრისტიანი მოსახლეობის მწყემსმთავრობა თბილისის სომეხმა არქიეპისკოპოსმა იკისრა. საქართველოს სამეფოში მოხვედრილი სომხეთის ჩრდილო ნაწილში ეროვნული, ეკონომიკური და რელიგიური აღმავლობა დაიწყო, რამაც შესაძლებელი გახადა XV საუკუნეში სრულიად სომეხთა საკათალიკოსოს ეჩმიაძინში დაბრუნება.

ბიზანტიის დაცემამდე კილიკიის საკათალიკოსოს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ეკლესიების დაახლობის მიზნით. ქალაქ ჰრომკლაში გამართული კრება (1178 წ.) ამ დაახლოების დემონსტრაცია იყო, თუმცა ბიზანტიის აღებამ ჯვაროსნების მიერ (1204 წ.) ეს პროცესი შეაჩერა.

ამავე პერიოდში იწყება კილიკიის სომხების აქტიური კონტაქტები ჯვაროსნებთან, სამეფო ხელისუფლების «ფრანკებთან» საქორწინო კავშირების ჩათვლით, რასაც მოჰყვა უნიატების მოძრაობის გაძლიერება. უნიატები გრიგორიანი სომხების კათოლიკეებად მოქცევას ცდილობდნენ. XIV საუკუნეში კილიკიაში გამართულ რამდენიმე კრებაზე სომეხ იერარქთა ნაწილი მართლაც ეზიარა კათოლიკეებთან ერთობას და როგორც დოგმატიკაში, ისე მღვდელმსახურებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს: ორი ბუნება და ორი ნება მაცხოვარში, ზიარებისას წყალგარეული ღვინის გამოყენება, სამწმიდა გალობაში პეტრე ანტიოქელის დამატების რედაქტირება ისე, რომ სამება არ გამოსულიყო ჯვარცმული: «ქრისტე, რომელიც ჩვენთვის ჯვარს ეცვი» და სხვ. სისაში 1361 წელს გამართულ VIII საეკლესიო კრებაზე ეს სიახლეები და კათოლიკეებთან ურთიერთობები აიკრძალა, ხოლო მალე (1375 წ.) კი--ლიკიის სომხური სამეფოც გაუქმდა.

1311 წელს შეიქმნა იერუსალიმის სომხური საპატრიარქო, რომელმაც ჩაიბარა პალესტინის სომხური სამწყსო და მისი კუთვნილი წმინდა ადგილები.

1441 წელს გადაწყდა სრულიად სომეხთა საკათალიკოსო საყდრის კვლავ ეჩმიაძინში დაბრუნება. ამის საპასუხოდ კილიკიის სომხური ეკლესიის უმაღლესმა იერარქმა შეინარჩუნა კათალიკოსის ტიტული და კარგა ხნით გამოვიდა სრულიად სომეხთა კათალიკოსის იურისდიქციიდან.

1453 წელს, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, სომხეთი პოლიტიკურად გაყოფილი აღმოჩნდა ოსმანთა იმპერიასა და სეფიანთა ირანს შორის. ფორმალურად, მარ-თალია, ეკლესია განუყოფელი დარჩა, მაგრამ პოლიტიკური სიტუაციის ასეთ მნიშვნელოვან ცვლილებას სომხურ ეკლესიაში შიდა სტრუქტურული ცვლილებებიც აუცილებლად უნდა გამოეწვია. სრულიად სომეხთა საკათალიკოსო საყდარი ეჩმიაძინში, ირანის ქვეშევრდომ ტერიტორიაზე აღმოჩნდა, ხოლო სტამბოლში 1461 წელს კონსტანტინოპოლის სომხური სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო შეიქმნა. კონსტანტინოპოლის სომხურ საპატრიარქოს სომხების გარდა, ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე არსებული ყველა ანტიქალკედონური ეკლესია დაემორჩილა — მარონიტები, ბოგომილები და სხვ. ოსმანთა ქვეშევრდომები აღმოჩნდნენ კილიკიისა და აღთამარის საკათალიკოსოები, აგრეთვე, ახლადწარმოქმნილი იერუსალიმის სომხური საპატრიარქო.

ეჩმიაძინის იერარქები ცდილობდნენ აღედგინათ კავშირები ოსმანთა იმპერიას დაქვემდებარებულ სომხურ ეკლესიებთან. ასეთი ცდა წარმატებული აღმოჩნდა თავდაპირველად მხოლოდ კილიკიის სომხური საკათალიკოსოს მიმართ, რომელმაც 1651 წელს იერუსალიმში მოწვეულ კრებაზე აღიარა ეჩმიაძინის საყდრის უზენაესობა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ურთიერთობა კი კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც პორტამ მისი იერარქი სრულიად სომეხთა უმაღლეს პატრიარქად გამოაცხადა. 1680 წლიდან ეს კონფლიქტიც მოგვარდა და ეჩმიაძინმა კვლავ აღიდგინა სრულიად სომეხთა უზენაესი პატრიარქისა და კათალიკოსის საყდრის პატივი.

XVII საუკუნიდან იწყება კათოლიკე მისიონერთა აქტივობა ოსმანთა იმპერიის ქვეშევრდომ ეკლესიებში. სომხური სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგობის მიუხედავად, ევროპისა და აზიის ზოგიერთი სომხური თემი მთლიანად გადავიდა კათოლიკობაზე (მაგალითად, პოლონეთისა და უნგრეთის), ზოგი კი ნაწილობრივ. მაგალითად, კონსტანტინოპოლის სომხურ საპატრიარქოს რამდენიმე საეპისკოპოსო გამოეყო. 1740 წელს ოფიციალურად გამოცხადდა «სომხური კათოლიკური ეკლესიის» არსებობა და იგი დაემორჩილა რომის პაპს. სომხური კათოლიკური ცენტრები შეიქმნა ევროპაში, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ვენეციაში წმ. ლაზარეს კუნძულზე დაარსებული მხითარისტთა მონასტერი.

რუსეთსა და ირანს შორის 1828 წელს დადებული თურქმანჩაის ზავის საფუძველზე, აღმოსავლეთი სომხეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. 1836 წლიდან სომხეთის ეკლესია იმართებოდა ნიკოლოზ I-ლის მიერ დამტკიცებული კანონებით. სომხეთის ეკლესიამ შეინარჩუნა ავტოკეფალია, თუმცა კათალიკოსის ხელდასხმა მხოლოდ იმპერატორის თანხმობით შეიძლებოდა. ამ კანონების საფუძველზევე გაუქ-

მდა კავკასიის ალბანეთის საკათალიკოსო და იგი სომხეთის ეკლესიის შემადგენლობაში შევიდა.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ სომხეთის საპატრიარქოსთან დასაპირისპირებლად თურქეთმა გაზარდა კონსტანტინოპოლის სომეხი პატრიარქის სტატუსი, თუმცა იგი მაინც სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და პატრიარქის არჩევას ძალა მხოლოდ სულთნის მიერ გამოცემული დამტკიცების სიგელის შემდეგ ჰქონდა. თუმცა თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების მნიშვნელოვანი ნაწილი საპატრიარქოს შემადგენლობიდან გამოვიდა და კათოლიკობა ან პროტესტანტობა მიიღო, პორტა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მაინც ხელისუფლების წინაშე ყველა სომეხის წარმომადგენლად განიხილავდა. მისი გავლენა ვრცელდებოდა აღთამარისა და კილიკიის საკათალიკოსოებსა და იერუსალიმის საპატრიარქოზეც, აგრეთვე, საბერძნეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის სომხურ თემებზე.

თურქეთში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ასეთმა აღზევებამ სრულიად სომეხთა კათალიკოსის საერთაშორის ავტორიტეტი მსოფლიოს სომხურ სამწყსოთა თვალში მაინც ვერ შეარყია. კონსტანტინოპოლის პატრიარქები მონაწილეობდნენ სრულიად სომეხთა უმაღლესი პატრიარქისა და კათალიკოსის არჩევნებში და ხშირად ეჩმიაძინის სრულიად სომეხთა კათალიკოსის საყდარსაც იკავებდნენ.

1915 წელს თურქეთში სომეხთა მასობრივი დარბევებისა და დევნის შემდეგ კონსტანტინოპოლის ეკლესიამ დიდი დანაკლისი განიცადა. დაიღუპა მრევლის უმრავლესობა, გაუქმდა საეპისკოპოსო ეპარქიები და აღთამარის საკათალიკოსო. კილიკიის საკათოლიკოსო ცენტრი მოიშალა ქ. სისაში და მოგვიანებით აღდგა ბეირუთის ახლოს ქ. ანტილიასში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მებრძოლი ათეიზმის პირობებში, სომხეთში ეკლესიის გავლენის სფეროები ძლიერ შეიზღუდა, დაიხურა ბევრი მოქმედი ეკლესია (მათი რაოდენობა 491-დან 38-დე შემცირდა) და გაუქმდა ბევრი საეპისკოპოსო. 1939 წელს ეჩმიძინს ჩამოართვეს ხელნაწერთა უმდიდრესი საცავი. იგი თავდაპირველად საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა, ხოლო 1939 წლიდან — ახლადგახსნილ «მატენადარანს» (მაშტოცის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს).

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან სომხური ეკლესიის ცხოვრებაში აღმავლობა იწყება, რაც განსაკუთრებით ნათელი გახდა სომხეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პირობებში. აღდგა ძველი და გაიხსნა რამდენიმე ახალი ეპარქია, ეკლესია ჩაერთო განათლების სისტემაში, გაიხსნა ახალი სემინარიები, ამუშავდა სპეციალური სატელევიზიო არხი, საეკლესიო გამომცემლობა «ოშაკანი», მისი არმენოლოგიური საღვთისმეტყველო ცენტრი, მოწესრიგდა ურთიერთობები კილიკიის საკათალი-კოსოსთან.

სომხური კათოლიკური ეკლესია

მისი სახელწოდებაა სომეხთა კათოლიკური საპატრიარქო კილიკიაში (Pariarchatus Ciliciae Armenorum). დამოუკიდებელ ეკლესიად იგი 1740 წლის 26 ნოემბერს ალეპოში გამოცხადდა. კათოლიკური საპატრიარქო ემორჩილება რომის პაპს. მისი რეზიდენცია მდებარეობს ბეირუთში. სომეხ კათოლიკეებს თავისი სამწყსოები აქვთ სომხეთში, ლიბანში (კათალიკოს-პატრიარქი), სირიაში, ეგვიპტეში, ერაყში, ირანში, თურქეთში, რუმინეთში, უნგრეთში, ავსტრიაში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, აშშ-ში სამხრეთ ამერიკაში. 1991 წელს ჩამოყალიბდა საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის კათოლიკური თემი ცენტრით გიუმრიში.

ევროპის სომეხმა კათოლიკეებმა დიდი როლი ითამაშეს სომხური კულტურისა და არმენოლოგიური მეცნიერებების განვითარების საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ვენეციისა (სანლაზაროს აკადემია კუნძულ სანლაზაროზე) და ვენის მხითარისტთა (მხითარ სებასტიელის მიმდევრები) კონგრეგაციებს. მხითარისტთა გამოჩენილ მეცნიერებს შორის შეიძლება დასახელდნენ მ. ჩამჩიანი, ლ. ინჭიჭიანი, ლ. ალიშანი, ნ. აკინიანი და სხვები. მხითარისტთა კონგრეგაციების მნიშვნელოვანი არმენოლოგიური პერიოდული ორგანოები იყო და დღემდე არის სანლაზაროს აკადემიაში «ბაზმავეპი» (არსებობს 1843 წლიდან) და ვენაში «ჰანდეს ამსორეა» (არსებობს 1897 წლიდან).

სომხური ეკლესია საქართველოში

საქართველოში სომხური საეპისკოპოსოს სრული სახელწოდებაა «სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს სომეხთა ეპარქია». არქიეპისკოპოსის რეზიდენცია მდებარეობს თბილისში. კათედრალური საყდარია წმიდა გიორგის სახ. კათოლიკე ეკლესია.

მძიმე საგარეო ურთიერთობების გამო სომეხთა სწრაფვა საქართველოსკენ თავშესაფრის საძებნელად ძალიან ადრე დაიწყო. ირანის წინააღმდეგ 451 წლის სომხეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ მამიკონიანთა საგვარეულოს გადარჩენილი წარმომადგენლები დიდი ამალით შეიფარა გუგარეთის (ცურტავის) პიტიახშმა არშუშამ. მართალია, ზოგი მათგანი მოგვიანებით დაბრუნდა სომხეთში, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში დარჩა.

გუგარეთი სომხეთსა და საქართველოს შორის სასაზღვრო რეგიონი იყო და სავარაუდოა, რომ კომპაქტურად დასახლებული სომხური თემი აქ ადრიდანვე არსებობდა, თუმცა იგი პირველად მხოლოდ VII საუკუნის დამდეგს იხსენიება. გუგარეთის სომხური თემი შედიოდა ცურტავის საეპისკოპოსოში, რომელსაც განაგებდა ეპისკოპოსი, ეთნიკურად ქართველი ან სომეხი, რომელსაც მღვდელმსახურების აღსრულება როგორც ქართულ, ისე სომხურ ენაზე შეეძლო. გუგარეთის სომხური

თემი კიდევ უფრო გაძლიერდა მამიკონიანთა და მათი ამალის აქ გადმოსახლების შემდეგ. წმ. შუშანიკის საფლავზე აშენებული სამარტვილე საქართველოში სომხური მრევლის გამაერთიანებელ ცენტრად იქცა. ქართლის კათალიკოსმა კირიონ I-მა ქართული ენა ცურტავის საეპისკოპოსოში ღვთისმსახურების ერთადერთ ენად გამოაცხადა.

ცხადია, კომპაქტურად დასახლებულ სომხურ თემებს თავიანთი ეკლესიები და სამღვდელოება ჰყავდათ არა მარტო სასაზღვრო ზონებში. X საუკუნის მეორე ნახევრის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი იხსენიებს თბილისში მოღვაწე სომეხ მღვდელ კირაკოზს, რომელმაც «ძალიან კარგად იცოდა ქართული ენა და მწიგნობრობა».

1178 წელს ჰრომკლას (კილიკიაში) საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის მოხსენიებულია «საქართველოს სამეფო ქალაქის თბილისის არქიეპისკოპოსი» ბარსეღი. ვინაიდან ე. წ. ჩრდილოეთი სომხეთი ამ დროს საქართველოს შემადგენლობაში შემოდიოდა, ხოლო სომეხთა საკათალიკოსო გადატანილი იყო კილიკიაში, თბილისის არქიეპისკოპოსი, იმავე დროს, ახპატის (ჰაღპატ) ეპისკოპოსი, მთლიანად სომხეთის ქრისტიანთა მეუფის ფუნქციასაც ასრულებდა.

XI-XIII საუკუნეებში სომეხ-ქართველთა რამდენიმე ერთობლივი კრება შედგა: 1046 წელს ღრტილაში, 1197 წელს თბილისში, 1204 წელს კვლავ თბილისში. საქართველოს ეკლესია ცდილობდა ერთიან სახელმწიფოში სომხური ეკლესიის სრული შეერთებისთვის თუ არა, მისი დოგმატურ-საწესო დაახლოებისთვის მაინც მიეღწია. სომხური საეკლესიო წესებისა და კალენდრის ქართულთან დაახლოების მიზნით ზაქარია მხარგრძელმაც მოიწვია ორი საეკლესიო კრება: ლორეში 1205 წელს და ანისში 1207 წელს. სომხეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ვალაშკერტის დიოფიზიტური საეპისკოპოსო და აშენდა ქართული ეკლესიები.

ძველ სომეხ ისტორიკოსებში დიდი ემოცები გამოიწვია დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჩუკთაგან შევიწროებული მოსახლეობის (უპირატესად ვაჭარ-ხელოსნების) გამოსახლებამ გორში და მათთვის პროფესიული თუ რე-ლიგიური საქმიანობისათვის ყველა პირობის შექმნამ.

ერეკლე მეორემ 1780 და 1787 წლებში ერევნიდან ქართლ-კახეთში 7 000 სული სომეხი გადმოასახლა, რომელთა ნაწილი შემდეგ განჯაში გადასახლდა. 1826-28 წლებში რუსეთ-ირანის ომის დროს 35 000 სული სომეხი გადმოასახლეს ქვემო ქართლში, ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის (1828-29) შემდეგ, დაახლოებით 90 000 სული გადმოსახლდა ჯავახეთში. ცხადია, საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი დიდი რაოდენობით დამკვიდრებულ სომხურ მოსახლეობას თავისი ეკლესიები და სკოლები ესაჭიროებოდა და აშენებდა კიდეც.

1655 წელს თბილისში ხოჯივანქის ეკლესია აშენდა და მასთან სომეხთა სასაფლაო გაიხსნა, რომელიც თანდათან თბილისელ სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დასაკრძალავ ადგილად იქცა. აქ განისვენებენ გამოჩენილი სომეხი მწერლები, სომხური მწერლობის კლასიკოსები: რაფი, მურაცანი, ნარდოსი, პ. პროშიანი, გ. სუნდუკიანი, ჰ. თუმანიანი და მრავალი სხვა.

საქართველოს სომეხთა სამწყსოს იერარქები ხშირად სომხეთის ეკლესიისა და სომხური კულტურის გამოჩენილი მოღვაწეებიც იყვნენ. რამდენიმე მათგანი შემდეგში სრულიად სომეხთა კათალიკოსიც გახდა. 1824 წელს არქიეპისკოპოსმა (1843-1857 წლებში სრულიად სომეხთა კათალიკოსმა) ნერსეს აშტარაკელმა, ე.წ. ნერსესიანის სკოლა დააარსა, რომელმაც დიდხანს იარსება. ამ სკოლაში აღიზარდა სომხეთის კულტურისა და მეცნიერების მრავალი მოღვაწე.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს თბილისსა და საქართვე-ლოს სხვა ადგილებში, სომხებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ბევრი ეკლესია აშენდა. საბჭოთა მმართველობის ხანაში, რა თქმა უნდა, მრავალი მათგანი, ისევე როგორც ქართული ეკლესიები, მოიშალა ან განადგურდა.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან სომეხთა სამოციქულო ეკლესია სახელმწიფოსგან ე.წ. სადავო ტაძრების პრობლემის (ეკლესიები «ნორაშენ»; „შამხორეცოც სურბ ასტვაწაწინ» (კარმირ ავეტარანოც); „სურბ მინას»; «სურბ ნშან»; «მუღნუ სურბ გევორგ», თბილისში და «სურბ ნშან», ახალციხეში) გადაჭრას მოითხოვს, თუმცა ეს საკითხი დღემდე გადაუწყვეტელი რჩება. 2004 წლიდან სომეხთა ეპარქიას ხელმძღვანელობს ვაზგენ მირზახანიანი.

ამჟამად საქართველოში შემდეგი სომხური ეკლესიები მოქმედებს: თბილისში — წმ. გიორგის კათოლიკე ეკლესია და ეჩმიაძინის წმ. გიორგის ეკლესია, ახალქალაქში — სურბ ხაჩის (წმ. ჯვრის), ნინოწმიდაში — სურბ სარგისის (წმ. სარგისის), ახალციხეში — წმ. გრიგოლ განმანათლებლის, ბათუმში — მაცხოვრის, მარნეულში — ღვთისმშობლის ეკლესიები და სხვ.

ზაზა ალექსიძე

დიდი სქიზმა

სქიზმატურმა მოძრაობამ, უფრო ზუსტად, ეკლესიების იერარქთა დაპირისპირებამ, რომი და ბიზანტია IX საუკუნის შუა წლებიდან მოიცვა, რაც ეკლესიათა გათიშვით და პენტარქიის გაუქმებით დამთავრდა. დიდი სქიზმის კონკრეტული თარიღი 1054 წლის 16-20 ივლისია, მაგრამ რაც იმ დღეებში მოხდა, საუკუნეების განმავლობაში მზადდებოდა.

დიდი სქიზმა რთული მოვლენაა. თუ ადრე «დოგმატური ბრალმდებლის» როლში თითქმის ყოველთვის რომი გამოდიოდა, IX საუკუნის მეორე ნახევრიდან საბრალმდებლო სკამზე იგი თავად აღმოჩნდა. საწყის ეტაპზე ბრალდებები კონსტანტინოპოლის მხრიდან, უმთავრესად, კანონიკურ-წეს-ჩვეულებითი და საღვთისმეტყველო-დოგმატური ხასიათისა იყო.

განხეთქილებას საფუძველი ჩაეყარა დაბა ბიზანტიონის დედაქალაქად გამოცხადებისა და იმპერიის გაყოფისთანავე (395 წ). VII-VIII საუკუნეებში

აღმოსავლეთის ეკლესიები მორიგმა წვალებამ მოიცვა და, რადგან ყველა ცდა ხატებზე მართებული შეხედულების შემუშავებისა იმხანად ამაო აღმოჩნდა, პაპებმა კურსი საფრანგეთისაკენ აიღეს. 800 წელს პაპმა ლეონ III-ემ რომის იმპერიის მემკვიდრედ აკურთხა კარლოს დიდი, რაც ბიზანტიელი იმპერატორების იგნორირებას უდრიდა.

რომისა და კონსტანტინოპოლის კათედრებს შორის ატყდა დავა გავლენის სფეროთა განაწილების თაობაზე, კერძოდ, ბულგარეთისა და მიმდებარე რეგიონების გამო. პრობლემები გაჩნდა სამხრეთ იტალიაშიც, სადაც VII-VIII საუკუნებში თავი შეაფარეს ხატთაყვანისმცემლებმა და იქ ბერძნული კოლონიები შექმნეს. კონსტანტინოპოლი მათ საკუთარ სამწყსოდ მიიჩნევდა, რასაც პაპი უკანონობად თვლიდა. რომი ბიზანტიონის მთავარეპისკოპოსს ადანაშაულებდა «მსოფლიო პატრიარქის» ტიტულის უზურპირებისთვის, უძველესი და ჭეშმარიტად სამოციქულო კათედრების — ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის — დამორჩილების გამო უწოდებდა მას «უგვარტომოს», რადგან მიაჩნდა, რომ მისი აღზევება იმპერატორმა განაპირობა და არა სამოციქულო მემკვიდრეობამ.

პირველი სერიოზული კონფლიქტი IX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა ორი პიროვნება — პატრიარქი ეგნატე და ბიზანტიის იმპერატორის რჩეული ფოტი (ფოტიოსი). ამ დავაში პატრიარქ ეგნატეს მხარს უჭერდა პაპი ნიკოლოზ პირველი, რომელმაც მდგომარეობის შესასწავლად კონსტანტინოპოლში თავისი ლეგატები მიავლინა, მაგრამ ფოტიმ ლეგატები მიიმხრო და პაპის მოსაზრებები არ გაითვალისწინა. პაპმა ნიკოლოზ I-მა საგანგებო სხდომა მოიწვია იმპერატორის ელჩების თანდასწრებით, რომელზეც უარყოფითად შეაფასა ლეგატების საქმიანობა, დაგმო ფოტი, მისი მფარველი იმპერატორი, მათი თანამოსაგრენი და აღიარა პატრიარქ ეგნატეს პრეტენზიის საფუძვლიანობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტზე. საპასუხოდ პატრიარქმა ფოტიმ და იმპერატორმა დაგმეს რომის ადმინისტრაციული, კულტმსახურებითი და დოგმატური პოზიციები და კონსტანტინოპოლის მიერ ახლადმოქცეულ ბულგარეთზე იურისდიქციის თვითნებურად გავრცელებაც დასდეს რომს ბრალად. პატრიარქმა ფოტიმ შეადგინა და აღმოსავლეთის პატრიარქებს დაუგზავნა საყოველთაო ეპისტოლე, რომელშიც მან წარმოადგინა იმ ბრალდებათა ვრცელი ნუსხა, რასაც რომის ეკლესიას უყენებდნენ. კონსტანტინოპოლისთვის მიუღებელი იყო შაბათის მარხვა, რძითა და ყველით მარხვა, სამღვდელოთა უქორწინებლობის მოთხოვნა (ცელიბატი), ფილიოკვე (მრწამსისათვის დამატება ფრაზისა ძისაგან სული წმიდის გამოსვლის თაობაზე), წვერის პარსვა, დიაკონთა ეპისკოპოსად კურთხევა და ა.შ., თუმცა თავად პატრიარქი ფოტი არამცთუ დიაკვნობიდან, არამედ ერისკაცობიდან აღაზევეს მღვდელმთავრის რანგში. პატრიარქ ფოტის წერილში მოყვანილი განსხვავებები საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, მაგრამ ამ კონფლიქტამდე აღმოსავლური ეკლესიები მათ შემწყნარებლურად ეკიდებოდნენ.

867 წელს კეისარმა ბასილი I-მა, მაკედონელმა მორწმუნეთა გულის მოგების მიზნით, ფოტი გადააყენა და კონსტანტინოპოლის კათედრაზე პატრიარქი ეგნატე აღადგინა. 869 წელს პაპ ნიკოლოზ I-ის მემკვიდრის, ადრიანეს, ინიციატივით შედგა კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრება, სადაც პაპის ლეგატებმა წაიკითხეს ბულა,

რითაც ხაზი გაუსვეს შვიდი საეკლესიო კრების შეუვალ ავტორიტეტს, ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსის უცვალებლობას და შეაჩვენეს ყველა ერესი და ერეტიკოსი, მათ შორის პატრიარქ ფოტის მიმდევრები, განაჩინეს ანათემა ნებისმიერ ერისკაცზე, ვინც თვითნებურად დაადგენს მღვდელმთავარს.

პატრიარქმა ფოტიმ მოახერხა იმპერატორ ბასილი I-ისა და პაპის მოდგილის, იოანე VIII-ის გულის მოგება. 879 წლის საეკლესიო კრებაზე მან მოიწვია პაპის ლეგატები, ისარგებლა მათ მიერ ბერძნული ენის არცოდნით და თავი მსოფლიო პატრიარქად გამოცხადა. როდესაც ყველაფერი გაირკვა, პაპმა ლეგატები დასაჯა, პატრიარქ ფოტის კი ანათემა გამოუცხადა.

დიდი სქიზმა გარდაუვალი იყო, საამისოდ მრავალი მიზეზი დაგროვდა და XI საუკუნის შუა წლებში, პაპ ლეონია (IX ს.). პატრიარქ მიქაელ კერულარიოსისა და მეფე კონსტანტინე მონომახის (IX ს.) დროს განხეთქილებაც მოხდა. განახლდა დავა სამხრეთ იტალიის მიწების გამო. პაპის ბრძანებით იქიდან გააძევეს ბერძნები, რომლებიც უარს ამბობდნენ რელიგიური ცხოვრების ლათინურ წესზე და თავს კონს-ტანტინოპოლის მრევლად თვლიდნენ. პასუხად პატრიარქმა 1053 წელს კონსტანტინოპოლში ლათინური ტიპის ეკლესიები დახურა და ერესად მონათლა უფუარი პურით ზიარების მათებური წესი. ეკლესიათა საჭეთმპყრობლებმა ურთი-ერთბრალდებით წერილების გამოქვეყნება დაიწყეს. დასავლელებს, ძირითადად, სამი სიახლის, ანუ ცდომილების — უფუარი პურის, შაბათის მარხვისა და ცელიბატის გამო გმობდნენ.

1054 წლის 16 ივლისს პაპის ლეგატებმა წმინდა სოფიის ტაძარში წირვის დროს საკურთხეველზე დადეს ბულა, რომლის მიხედვითაც კერულარიოსს ბრალად ედებოდა წეს-ჩვეულებების გაფეტიშება, უვიცობა, დოგმატისა და კულტის განურჩევლობა და, რაც მთავარია, მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებათა აბუჩად აგდება — რომის საყდრის უპატივცემულობა. პატრიარქთან ერთად ირისხებოდა ყველა, ვისაც ეჭვებოდა, რომ წმინდა ტახტი აღმატებული მადლით იყო მოსილი. ოთხი დღის შემდეგ, 20 ივლისს, შედგა ადგილობრივი კრება თორმეტი მიტროპოლიტის, რამდენიმე ეპისკოპოსისა და სამღვდელო დასის შემადგენლობით. ეს იყო ტრიბუნალი, რომელმაც ანათემა შეუთვალა პაპსა და მის თანამოაზრეთ, ბულა კი დაწვეს.

ამრიგად, რომის პაპმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ერთმანეთი შეაჩვენეს. მოხდა დიდი სქიზმა: დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები გაითიშნენ. მიზეზი პოლიტიკურია, საბაბი — დოგმატური, უფრო სწორად, ისინი გადახლართულია ერთმანეთში პირველის უპირატესობით.

ევქარისტიული კავშირი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის ერთბაშად არ გაწყვეტილა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს რომის ეკლესიის თეორია და პრაქტიკა განსხვავებულ კონფესიად ერთსა და იმავე დროს არ აღუქვამთ. ეს თანდათანობით და, შეიძლება ითქვას, ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიურად გაუცხოებას კატასტროფული შედეგი ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობას მოჰყვა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა სრული და

საბოლოოდ გაყოფა 1204 წელს მოხდა — ეს იყო შედეგი კონსტანტინოპოლის დაპყრობისა.

ეკლესიათა გაყოფის ფაქტი დღემდე სხვადასხვაგვარადაა კვალიფიცირებული. კათოლიკეები მას «ბერძენთა სქიზმას" უწოდებენ, მართლმადიდებლები, უფრო ხშირად, «ლათინთა ერესს». ამ მოვლენის შეფასების თვალსაზრისით, ერთსულოვნება არც დასავლეთში შეინიშნება და არც აღმოსავლეთში. მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა ნაწილი, მაგალითად, მოსკოვის წმ. მიტროპოლიტი ფილარეტი (+1867), რომის ეკლესიას კვლავ ერთიანი ეკლესიის შემადგენელ ნაწილად თვლიდა (ცხადია, სქიზმაში მყოფად) და ამ ეკლესიის მონაწილეობის გარეშე მსოფლიო კრების მოწვევას შეუძლებლად მიიჩნევდა.

1964 წელს კონსტანტინოპოლის ეკლესიის მესაჭე და რომის პაპი დიდი სქიზმის შემდეგ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს იერუსალიმში — ესენი იყვნენ მსოფლიო პატრიარქი ათენაგორა და პავლე VI. ამ ისტორიული შეხვედრის შედეგად ორმხრივი ანათემები მოიხსნა, ხოლო 1965 წელს ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას ეკლესიათა შერიგებისკენ სწრაფვის აუცილებლობის შესახებ, თუმცა დაახლოებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯებს თვალსაჩინო შედეგი არ მოჰყოლია. დღესდღეობით, მართლმადიდებელ ეკლესიასა და რომის კათოლიკე ეკლესიას შორის მიმდინარეობს საღვთისმეტყველო დიალოგი, მაგრამ როგორც კათოლიკე, ასევე მართლმადიდებელ ეკლესიებში, ჯერჯერობით, არ არის მიღწეული რაიმე სახის კონსენსუსი ძირითადი საღვთისმეტყველო, დოგმატური საკითხების გარშემო.

კათოლიკე ეკლესია

მარტივად და ყველასათვის მისაღებად რომ ითქვას, კათოლიკე ეკლესია ის ქრისტიანული ეკლესიაა, რომელთა წევრები თავიანთ ამქვეყნიურ მეთაურად რომის ეპისკოპოსს მიიჩნევენ და მასთან სრულ ერთობაში იმყოფებიან. ეს ერთობა ზოგჯერ, შესაძლოა, მხოლოდ უმცირესს გულისხმობდეს: რომის ეპისკოპოსთან — პაპთან ევქარისტიულ თანაზიარებასა და ღმრთისმსახურების მსვლელობაში მისი სახელის მოხსენიებას. ძველთაგან გავრცელებული კათოლიკური გამოთქმით, «სადაც პეტრეა, იქ არის ეკლესია», ხოლო წმიდა მოციქული პეტრე, რომის პირველი ეპისკოპოსი, კათოლიკეთა თვალსაზრისით, თავის მყოფობას აგრძელებს რომის ყველა შემდგომი ეპისკოპოსის, ანუ რომის პაპის სახით.

კათოლიკეებს სწამთ, რომ ეკლესია დაარსებულია იესო ქრისტეს მიერ და თავად მეთაურობს მას. მან დააკისრა კათოლიკე ეკლესიას კაცობრიობის ხსნა და სწორედ და მხოლოდ ამ ეკლესიაშია დაცული მხსნელ საშუალებათა მთელი სისავსე (სარწმუნოების სწორი და სრული აღიარება წმიდა წერილისა და წმიდა გადმოცემის ურყევი ერთგულებით, ყველა საიდუმლოს აღსრულება იესო ქრისტეს მიერ დაწესებულ განჩინებათა თანახმად, სამღვდელო მსახურება ხელდასხმის გზით მოციქულთა მემკვიდრეობითობის შენარჩუნებით). კათოლიკეებს მიაჩნიათ, რომ იესო ქრისტე მართავს თავის ეკლესიას რომის პაპისა და იმ ეპისკოპოსთა დასის მეშვეობით, რომლებიც პაპთან კანონიკურ თანაზიარებაში იმყოფებიან.

თავად სიტყვა «კათოლიკე» ბერძნული წარმოშობისაა, რაც ნიშნავს «ყოვლისმომცველს», «საყოველთაოს», «მსოფლიოს» და ეს განსაზღვრება ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი იყო ქრისტიანული ეკლესიისათვის ჯერ კიდევ უძველესი დროიდან. ეკლესიას იმიტომ ეწოდება კათოლიკე, რადგან მასში დაცულია მხსნელ საშუალებათა მთლიანობა, მაგრამ, ამის გარდა, ის თავადაა საყოველთაო და მოწოდებულია მთელ მსოფლიოში გასავრცელებლად. მისი მიზანი და სწრაფვაა, ეკლესიის ერთიანობაში მთელ კაცობრიობას მოუყაროს თავი იესო ქრისტეს წინამძღოლობით.

ქრისტიანული სამყაროს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად თანდათანობითი გაყოფის შემდეგ, ტრადიციულად, «კათოლიკე ეკლესიის» სახელწოდება შეინარჩუნა საქრისტიანოს იმ ნაწილმა, რომელიც თანაზიარებაში იმყოფება რომის პაპთან.

კათოლიკეების რწმენით, იესო ქრისტემ წმიდა პეტრეს, როგორც მოციქულთა მეთაურს, მიანდო, ყოფილიყო მთელი ეკლესიის საფუძველი და მომღვარი (შდრ. მთ. 16:18-19; ინ. 21:15-17), პეტრეს მსახურებას კი აგრძელებენ და ქრისტეს მეორედ მოსვლამდე გააგრძელებენ მოციქულთა მეთაურის უშუალო, უწყვეტი და კანონიერი მემკვიდრენი — რომის ეპისკოპოსები, ანუ რომის პაპები (თავად სიტყვა «პაპა» მამას ნიშნავს), რომლებსაც კათოლიკეები ქრისტეს ამქვეყნიურ ნაცვლად მიიჩნევენ.

კათოლიკე ეკლესია ყველაზე მრავალრიცხოვანი ეკლესიაა მსოფლიოში. ამავე დროს, კათოლიკური კონფესია ყველაზე მრავალრიცხოვანია, საერთოდ, მსოფლიოში არსებულ რელიგიურ აღმსარებლობათა შორის. კათოლიკეთა რაოდენობა ერთ მილიარდ ორას მილიონ ადამიანს უახლოვდება. კათოლიკე ეკლესია გავრცელებულია მთელი დედამიწის ზურგზე. არც ერთ კონტინენტზე არ არსებობს სახელმწიფო, სადაც არ ცხოვრობდნენ კათოლიკეები ან არ მოქმედებდეს კათოლიკური საკრებულო. ევროპის, ჩრდილოეთ თუ სამხრეთ ამერიკის, აზიის, აფრიკისა და ოკეანიის მრავალ სახელმწიფოში მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკეა.

კათოლიკე ეკლესია ერთიანი, მთლიანი, საერთაშორისო, ცენტრალიზებული დაწესებულებაა, რომელიც, მოქალაქეობის, ეროვნების, ენისა და კულტურის მიუხედავად, დედამიწის ყველა ქვეყნის კათოლიკეს აერთიანებს. როცა ცალკეულ ადგილას ადგილობრივი საკრებულო ან ადგილობრივი ეკლესია არსებობს, ის მაინც სავსებით კათოლიკურია, თუკი ის თანაზიარებაში იმყოფება რომის ეპისკოპოსთან.

მოძღვრება

კათოლიკეებს მიაჩნიათ, რომ ეკლესიის მოძღვრება ემყარება ღმრთაებრივ გამოცხადებას, ესე იგი, იმ ჭეშმარიტებებს, რომელიც თავად ღმერთმა გამოუცხადა ადამიანებს მათი ხსნისათვის. ამ ჭეშმარიტებებს ეკლესია აყალიბებს მოძღვრების სახით, გადასცემს მას მორწმუნეებს და იცავს მის შეუბღალაობას. კათოლიკე ეკლესიის მოძღვრებას კათოლიკეები «მართლმადიდებელ სარწმუნოებად» მიიჩნევენ.

ღმრთაებრივი გამოცხადება — ადამიანისათვის ღმრთის გაცხადება — სხვადასხვა საშუალებებით ხორ-ციელდება. პირველ ყოვლისა, თავად სამყაროს შეთანხმებულობა, მოწესრიგებულობა და სიდიადე ადასტურებს, რომ უეჭველად არსებობს მისი შემქმნელი — უმაღლესი შემოქმედი გონება. ამასთანავე, ღმერთი ადამიანებს ელაპარაკება მათს გულებში და სწორედ ამ ღმრთაებრივი ხმის გამოვლინებაა სინდისი, რომელიც ზნეობის საფუძვლების გაცნობიერებისა და, შესაბამისად, ზნეობრივი ქცევის საშუალებას იძლევა. მაგრამ ყველაზე უფრო სრუ-ლი და პირდაპირი სახით ღმერთმა საკუთარი თავი ადამიანებს გაუცხადა ზებუნებრივ გამოცხადებაში. ამ გამოცხადებას კაცობრიობა ეზიარა ღმრთის მიერ გამოგზავნილ წინასწარმეტყველთა ქადაგებების საშუალებით და, ამას გარდა, ცალკეულ ისტორიულ მოვლენათა გზით, რომლებშიც ღმრთის განსაკუთრებული მონაწილეობა გამოვლინდა. მაგრამ ღმრთაებრივმა გამოცხადებამ უმაღლესი და საბოლოო სისავსე ქვეყნად მოვლენილი ღმრთის ძის — იესო ქრისტეს ქადაგებასა და საქმიანობაში შეიძინა. სწორედ იესომ დააკისრა მოვალეობად თავის მოწაფეებს, ესე იგი, ეკლესიას, უქადაგოს მისი მოძღვრება ყველა ხალხს და გაავრცელოს ის მათ შორის.

ეკლესიის მოძღვრება ეფუძნება წმიდა წერილსა და წმიდა გადმოცემას. წმიდა წერილი, ანუ ბიბლია, შედგება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებისაგან, რომელთა ტექსტები შექმნილია ღმრთაებრივი შთაგონებით, რის გამოც მათ ღმრთივშთაგონებული ეწოდება. საეკლესიო გადმოცემა ნიშნავს გამოცხადების უწყვეტ გადაცემას ქრისტიანთა ერთი თაობიდან მეორე თაობისათვის — ქადაგების, საღმრთისმსახურო ქმედებათა, ლოცვათა ტექსტების, კატეხიზაციის, რელიგიური

აღზრდის, საღმრთისმეტყველო თხზუ-ლებათა, საეკლესიო ხელოვნების და ა. შ. მეშვეობით. წმიდა წერილი და წმიდა გადმოცემა არ წარმოადგენს მოძღვრების ორ დამოუკიდებელ წყაროს, რამდენადაც ერთიცა და მეორეც განეკუთვნება მთლიან, განუყოფელ, ერთიან ღმრთაებრივ გამოცხადებას. გამოცხადების მისაწვდომად, გასაგებად და მისაღებად აუცილებელია არა მარტო წმიდა წერილი, არამედ გადმოცემაც: პირველ ყოვლისა, სწორედ გადმოცემა შეიცავს ცნობებს იმის შესახებ, თუ, კერძოდ, რომელი წიგნები შეადგენს წმიდა წერილს, ესე იგი, რომელი წიგნებია ღმრთივშთაგონებული. ამის გარდა, გადმოცემა უზრუნველყოფს, რომ წმიდა წერილის ტექსტთა განმარტებისას თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობა და თავისუფალი ინტერპრეტაცია.

კათოლიკური მოძღვრების თანახმად, ისტორიის განმავლობაში ეკლესია თანდათანობით უფრო ღრმად აცნობიერებს ღმრთაებრივ გამოცხადებას. დროდადრო საეკლესიო მღვდელმთავრობა — პაპის ან ეპისკოპოსთა სახით, რომ-ლებიც მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მოიყრიან თავს — საჯაროდ აცხადებს გარკვეულ დებულებებს სარწმუნოების ჭეშმარიტებად, რასაც დოგმა ეწოდება და რასაც უცდომლად აღიარებს მთელი კათოლიკე ეკლესია. ახალ დოგმებს ეკლესია ახლად კი არ იგონებს, არამედ მხოლოდ ცხადყოფს იმას, რაც წმიდა წერილსა და წმიდა გადმოცემაში იმთავითვე იგულისხმებოდა. სული წმიდა, რომელიც მუდმივად და განუშორებლად მყოფობს ეკლესიაში, იცავს მას შესაძლო შეცდომებისაგან როგორც გამოცხადების ჭეშმარიტების რწმენისას, ისევე მაშინ, როცა ეკლესია აცხადებს, გადმოსცემს და განმარტავს გამოცხადების ჭეშმარიტებას. ამდენად, ეკლესიას ღმრთისაგან აქვს მინიჭებული განსჯათა უცდომლობის უნარი, როცა ეკლესია განსჯის სარწმუნოებისა და ზნეობის საკითხებს. ეს უნარი ეკუთვნის არა მარტო ეკლესიას მთლიანობაში, არამედ მის ხილულ მეთაურსაც — რომის პაპს, აგრეთვე, ეპისკოპოსთა დასს, რომელიც თანაზიარებაში იმყოფება პაპთან, როცა ისინი, თავმოყრილნი მსოფლიო კრებაზე, აცხადებენ რომელიმე სარწმუნოებრივ ჭეშმარიტე-ბას, როგორც აუცილებელს მთელი ეკლესიისათვის, ანდა, თუნდაც მთელს მსოფლიოში გაფანტულნი, ერთმანეთს შორის ამგვარ თანხმობას მიაღწევენ.

კათოლიკური სარწმუნოების მიხედვით, სამყარო შექმნილია ყოვლისშემძლე და ერთადერთი ღმრთის მიერ, რომელიც ღმრთაებრივი განგებულების საფუძველზე მართავს სამყაროს. ღმერთი იმდენად აღემატება თავის ყოველ ქმნილებას, რომ ღმრთაების არსი მიწიერი ადამიანისათვის მიუწვდომელ საიდუმლოდ რჩება. ღმერთი იმყოფება ყველგან, იგი სრულიად სამართლიანი და, ამავე დროს, უსაზღვროდ მოწყალეა: ღმერთი სიყვარულია. იგი ერთიანი და სამპიროვანია, ხოლო ამ პირებს (პიროვნებებს) ეწოდება მამა, ძე და სული წმიდა. ღმერთი სამებაა, ხოლო სამების სამივე პირი ერთსულოვნად მონაწილეობს ღმრთის ყოველ გარე გამოვლინებაში, მაგრამ განსხვავებულია მათი ურთიერთდამოკიდებულება: მამა შობს ძეს, სული წმიდა კი გამოდის მამისაგან და ძისაგან. ამავე დროს, მამა არის მთელი სამების წყარო — ძისა და სული წმიდის ერთადერთი საწყისი. ღმრთაებრივი ცხოვრების სისრულე ვლინდება სიყვარულით განმსჭვალულ მუდმივ ურთიერთობაში სამების წევრებს შორის.

სამყარო, რომელიც სრულიად კეთილი ღმრთის შექმნილია, თავადაც კეთილად არის მოწესრიგებული. ღმრთის ქმნილება მოიცავს როგორც ქვეყნიერების მატერიალურ

განზომილებას, ისე ანგელოზებს — ერთიანად სულიერ არსებებს, შუამავლებს ღმერთსა და ადამიანებს შორის. სამყაროს ყველა ქმნილებათა შორის ღმერთთან განსაკუთრებული მსგავსებითა და სიახლოვით გამოირჩევა ადამიანი, რომელსაც ღმერთმა მთელი სამყარო მიანიჭა სამფლობელოდ. ადამიანი თავდაპირველად შექმნილი იყო ნეტარი ცხოვრებისა და ღმერთთან სრულყოფილი ურთიერთობისათვის, თუმცა პირველმა ადამიანებმა ბოროტად ისარგებლეს თავისუფლებით და დაარღვიეს საღმრთო აღთქმა, — ჩაიდინეს პირველი ცოდვა, რაც ეშმაკისეული ცდუნების შედეგი იყო (ეშმაკი ღმრთისაგან განდგომილი და მის მტრად ქცეული ანგელოზია). პირველ ცოდვას შედეგად მოჰყვა მრავალი ტანჯვა და უბედურება, რაც ადამიანის ხვედრად იქცა, მათ შორის — სიკვდილის გარდაუვალობა. პირველ ცოდვას დაერთო სხვა ცოდვებიც, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ადამიანის მდგომარეობა. ცოდვის მონობისაგან ადამიანს აღარ შეეძლო თავად დაეხსნა საკუთარი თავი. ამისათვის აუცილებელი იყო საგანგებო ღმრთაებრივი შემწეობა — მადლი, რომელსაც ღმერთი ანიჭებს ადამიანს, თავად ადამიანის მხრივ რამე დამსახურებათა მიუხედავად და დამოუკიდებლივ.

მთელი საკაცობრიო ისტორია ღმრთის მიერ კაცობრიობის ხსნის ისტორიაა. ხსნის ისტორიის საფეხურებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღმრთის მიერ ერთი ერის, ისრაელის, არჩევას, რომელთანაც იგი დებს აღთქმას — დაჰპირდება მას მფარველობას, თუკი ის შეინარჩუნებს მის ერთგულებას და აღასრულებს მის მცნებებს. თუმცა საუკუნეთა განმავლობაში ისრაელი ხშირად არღვევდა საღმრთო მცნებებს. წინასწარმეტყველნი ჭვრეტდნენ, რომ ხსნა ელოდა ისრაელის მხოლოდ ერთ გარკვეულ ნაწილს და, რომ მას მხსნელად მესია მოევლინებოდა.

ამგვარი მესია ანუ ქრისტე გახდა თავად ძე ღმრთისა, რომელმაც მიიღო ადამიანური ბუნება, იშვა ქალწულ მარიამისაგან და ხორცი შეისხა (განხორციელდა) ადამიანის — იესოს — სახით. ამგვარად, იესო როგორც ჭეშმარიტი ღმერთია, ასევე ჭეშმარიტი ადამიანია, რისი წყალობითაც მან შეძლო ხელახლა შეერიგებინა კაცობრიობა ღმერთთან. თავისი მიწიერი სიცოცხლის განმავლობაში იესო ქადაგებდა და მოძღვრავდა ადამიანებს, კურნავდა სნეულთ, მიუტევებდა შეცოდებებს ცოდვილებს. უდანაშაულო იესოს განუჩინეს სიკვდილით დასჯა და იგი მოკვდა ჯვარზე, რითაც მსხვერპლად შეეწირა კაცობრიობის ხსნას. სიკვდილის შემდეგ იესო აღდგა მკვდრეთით და ამაღლდა ზეცად. თავისი ცხოვრებითა და მოძღვრებით, სიკვდილითა და აღდგომით იესო ქრისტემ აღასრულა კაცობრიობის გამოსყიდვა — გამოისყიდა ადამიანები ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობისაგან.

იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს — მოციქულებს მიანდო თავისი მოძღვრების ქადაგება, საიდუმლოთა აღსრულება და მის მიერ ქვეყნად მოტანილი ხსნის საყოველთაოდ გავრცელება. მათი საქმიანობის დასახმარებლად იესომ მოციქულებს — ამაღლების შემდეგ — გამოუგზავნა სული წმიდა. იმ დროიდან ქვეყნად არსებობას იწყებს ეკლესია. ამდენად, ეკლესია, ერთი მხრივ, ღმრთაებრივი და, მეორე მხრივ, ადამიანური სინამდვილეა. ეკლესია შედგება ადამიანებისაგან, რომლებიც, ისე-ვე, როგორც ყველა მიწიერი ადამიანი, სუსტები და ცოდვილები არიან. მაგრამ, ამავე დროს, თავად ეკლესია წმიდაა, რადგან ის სული წმიდის ძალითა და მეშვეობით სრულიად გარდაქმნის ამ ადამიანებს და, ამავე დროს, — მთელს ამქვეყნიერებას. ეკლესიის სახით ღმერთი ხილულად არსებობს სამყაროში და ადამიანებიც ამ

საშუალებით ეზიარებიან და უერთდებიან ღმრთაებრივ ცხოვრებას. სული წმიდა ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანებს, რომლებიც განეკუთვნებიან სხვადასხვა ერს, კულტურას, ენას და აყალიბებს მათგან ღმრთის ახალ ერს — ეკლესიას. ეკლესია ქრისტეს მისტიკური სხეულია: ისევე, როგორც სხეულის სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვაგვარად ემსახურება ერთმანეთსაც და მთელს სხეულსაც, ასევე, ყოველი მორწმუნეც, მისი განსაკუთრებული მოწოდების შესაბამისად, რაც მას ღმრთისგან აქვს მინიჭებული, აღასრულებს გარკვეულ სამსახურს სხვა მორწმუნეთა და მთელი ეკლესიის მიმართ, რითაც იგი თავად ქრისტეს ემსახურება.

ამქვეყნიერების კურთხევას ეკლესია აღწევს საღმრთისმსახურო ქმედებებით, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია შვიდი საიდუმლო, რაც ღმრთის უხილავი მადლის ხილული ნიშნებია: ნათლობა, მირონის ცხება, ზიარება, აღსარება-მიტევება, ზეთის ცხება, მღვდლობა და ქორწინება. ყოველი საიდუმლო დაწესებულია თავად იესო ქრისტეს მიერ. ეკლესიის მთელი საღმრთისმსახურო ცხოვრების გულისგულია ზიარების (ევქარისტიის) საიდუმლო, რომელშიც იესო ქრისტე სხეულებრივად მყოფობს: პური და ღვინო, რომლებიც არ იცვლის გარეგნულ, ხილულ თვისებებს, ევქარისტიის აღსრულებისას გარდაიქმნება იესო ქრისტეს ნამდვილ ხორცად და ნამდვილ სისხლად. ამავე დროს, პურისა და ღვინის ყოველ ნაწილში ქრისტე მთლიანად მყოფობს. ამიტომ ევქარისტიის აღსრულებისას მორწმუნეები ეზიარებიან თავად ქრისტეს. კათოლიკე ეკლესია სასურველად მიიჩნევს ზიარების მიღებას, რაც, შეიძლება ხშირად, თვით ყოველდღეც კი, ხოლო ყოველკვირეული ზიარება (და, შესაბამისად, ევქარისტიულ წირვაში მონაწილეობა) კათოლიკე ქრისტიანის მოვალეობადაა მიჩნეული. ასევე სასურველადაა მიჩნეული ხშირი აღსარება და მიტევების მოპოვება — ღმერთთან შერიგების საიდუმლოს აღსრულება.

ხსნა მთელი თავისი სისავსით მიღწეული იქნება დროთა დასასრულს, როცა თავად იესო კიდევ ერთხელ მოვა ამქვეყნად, აღადგენს ყველა მკვდარს სულისა და ხორცის ერთიანობაში და განსჯის მათ მათი საქმეების მიხედვით. ამდენად, ადამიანის ცხოვრება ფიზიკური სიკვდილით არ მთავრდება. სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული ან დამკვიდრდება სამოთხეში, ან ჩაინთქმება ჯოჯოხეთში, ან დროებით გაემართება განსაწმედელში. სამოთხე იმგვარი მდგომარეობაა, როცა ადამიანი განიცდის სრულ ბედნიერებას და როცა მას ღმრთის მუდმივი და უშუალო ჭვრეტის საშუალება ეძლევა, ამავე დროს, მას მინიჭებული აქვს ღმრთაებრივ სიყვარულში მონაწილეობის შესაძლებლობა. განსაწმედელი (სალხინებელი) იმათი მდგომარეობაა, რომელთაც არ გააჩნიათ სრულყოფილი სიყვარულის უნარი და რომელთაც კიდევ უნდა გაიარონ სულიერი განწმედის გზა ღმერთთან და წმიდანებთან სრული ერთობის მისაღწევად. ჯოჯოხეთი სამუდამო მარტოობის მდგომარეობაა, ღმრთისა და ადამიანის მიმართ სიყვარულის სრული უქონლობაა, — ეს იმ ადამიანთა პირადი, თავისუფალი არჩევანია, რომელიც ნებაყოფლობით ეუბნება უარს ღმერთს და ამით საბოლოოდ კარგავს შესაძლებლობას, ურთიერთკავშირი ჰქონდეს ღმერთთან და წმიდანებთან.

კათოლიკე ეკლესია აღიარებს წმიდანებს, რომლებიც უშუალო ახლობლობაში იმყოფებიან ღმერთთან, მაგრამ წმიდათა შორის განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ქალწულ მარიამს. წმიდა მარიამი სრულყოფილი სარწმუნოების სახეა. იმის გამო, რაკი იესო ადამიანიცაა და ღმერთიც, წმიდა მარიამს სამართლიანად ეწოდება ღმრთისმშობელი. მაგრამ წმიდა ქალწული არ არის მხოლოდ იესოს დედა, იგი, ამავე

დროს, ყველა ქრისტიანის დედაა და ამდენად — ეკლესიის დედაცაა. იესოს მხსნელი დანიშნულების აღსასრულებლად ღმერთმა მარიამს მიანიჭა განუმეორებელი სიწმიდე ადამიანთა შორის, — უბიწოება მისი არსებობის პირველივე წუთებიდანვე, რაც განჩინებულია წმიდა მარიამის უბიწოდ ჩასახვის დოგმით, რომელიც კათოლიკე ეკლესიამ 1854 წელს გამოაცხადა. თავისი მიწიერი ცხოვრების დასრულების შემდგომ ქალწულმა მარიამმა მიაღწია ღმერთთან სრულ ერთობას: იგი ღმრთის მიერ ზეცად იქნა აღყვანილი მისი სხეულისა და სულის ერთიანობაში, რაც განჩინებულია წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების დოგმით, რომელიც კათოლიკე ეკლესიამ 1950 წელს გამოაცხადა. ეს ორი დოგმა ხაზს უსვამს მის გამორჩეულ ერთობას ღმერთთან, რაკი იგი იესო ქრისტეს დედა იყო, ხოლო ეს ერთობა კი არსებობდა მარიამის ჩასახვის წამიდან და არ შეწყვეტილა არც მისი სიკვდილის შემდეგ.

კათოლიკე ეკლესიის წმიდა მოძღვრება გამოიხატება პაპებისა და სამოციქულო საყდრის კონგრეგაციათა დოგმატურ დადგენილებებში, მსოფლიო საეკლესიო კრებათა გადაწყვეტილებებში, ეკლესიის მოძღვართა სულიერ და საღმრთისმეტყველო მემკვიდრეობაში. კათოლიკე ეკლესია აღიარებს ოცდაერთ მსოფლიო საეკლესიო კრებას (ბოლო, XXI, ანუ ვატიკანის II კრება, ჩატარდა რომში 1962-1965 წწ., რომელმაც მნიშვნელოვანი განახლება შეიტანა ეკლესიის ლიტურგიკულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში) და ეკლესიის ოცდაცამეტ მოძღვარს (ეკლესიის ჯერჯეროვნობით ბოლო მოძღვარი — წმიდა ტერეზა ლიზიელი 1997 წელს გამოცხადდა).

კათოლიკური თვალსაზრისით, ისტორიის განმავლობაში დოგმა შე-იძლება განვითარდეს, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მათი შინაარსი ფარდობითია. ამდენად, ეკლესიას დასაშვებად არ მიაჩნია დოგმატურ დადგენილებათა, როგორც გამოცხადების ჭეშმარიტებათა, არც გაუქმება და არც გადახედვა.

კათოლიკური მოძღვრებით, — რაც დოგმად გამოცხადდა ვატიკანის I კრებაზე 1870 წელს, — იმ შემთხვევაში, როცა პაპი, როგორც რომის პირველმოძღვარი, თავისი კა-თედრიდან მეტყველებს და მთელი ეკლესიისათვის განსაზღვრავს მოძღვრებას სარწმუნოების ან ზნეობის შესახებ, მისი ამგვარი განსაზღვრებანი უცდომელია.

კათოლიკე ეკლესია აცხადებს, რომ კათოლიკური მოძღვრების გადმოცემა უნდა ემყარებოდეს წმიდა თომა აქვინელის (1225-1274) სწავლებას.

მოძღვრების შეუბღალაობას თვალყურს ადევნებს და დოგმების დაცვასა და ახნა-განმარტებას წარმართავს სამოციქულო საყდრის სარწმუნოების მოძღვრების კონ-გრეგაცია (ყოფილი წმიდა ინკვიზიცია).

კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება სარწმუნოებისა და ზნეობის შესახებ სრულად ჩამოყალიბებულია «კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმოში», რომლის ბოლო რედაქცია, პაპის იოანე-პავლე II-ის კურთხევით, 1992 წელს გამოიცა.

საეკლესიო წყობა

იმ მრავალგვარ საეკლესიო მსახურებათა შორის, რასაც, ჩვეულებრივ, მორწმუნეები აღასრულებენ, გამორჩეულია იერარქიული მსახურება, რომელიც ამქვეყნად წარმოადგენს ქრისტეს, როგორც ეკლესიის მეთაურს, და მოიცავს ღმრთისმსახურების ჩატარებას, ქრისტიანული მოძღვრების ქადაგებასა და ეკლესიის მართვას. იერარქიულ მსახურებას აღასრულებენ დიაკვნები, მღვდლები და მღვდელმთავრები — ეპისკოპოსები. საეკლესიო იერარქიაში ეპისკოპოსებს განმსაზღვრელი ადგილი განეკუთვნებათ, ხოლო მღვდლები და დიაკვნები მათი დამხმარეები და მოადგილე-მონაცვლენი არიან გარკვეულ საეპისკოპოსო მოვალეობათა აღსრულებისას. საეკლესიო იერარქიაში შესვლა ხორციელდება ხელდასხმის მეშვეობით. საეკლესიო იერარქიის წევრებს სამღვდელოება ეწოდება, დანარჩენ მორწმუნეებს კი — საერონი.

კათოლიკე ეკლესიაში უმაღლესი, სრული, უშუალო, საყოველთაო და მმართველი ძალაუფლება განეკუთვნება რომის ეპისკოპოსს — პაპს ანუ უმაღლეს პონტიფექსს. პაპის სათათბირო საბჭოს წარმოადგენს კარდინალთა კოლეგია და ეპისკოპოსთა სინოდი. ადმინისტრაციულ-სამოხელეო აპარატს, რომელიც ეხმარება პაპს, აღასრულოს მისი მსახურება, რომის კურია ეწოდება. მის შემადგენლობაში შედის სახელმწიფო სამდივნო, კონგრეგაციები, სასამართლო და სხვა დაწესებულებანი. პაპის საეპისკოპოსო კათედრას რომის კურიასთან ერთად ეწოდება სამოციქულო საყდარი (ან წმიდა საყდარი). წმიდა საყდარი საერთაშორისო სამართლის სუბიექტია. მის წარმომადგენლებს სახელმწიფოთა მთავრობებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებში ნუნციუსი (დესპანი) ან სამოციქულო დელეგატი ეწოდება.

საეკლესიო ძალაუფლების მეორე უმაღლესი ინსტანცია კათოლიკე ეკლესიაში ეპისკოპოსთა კოლეგიაა, რომელიც თავის მსახურებას რომის პაპის ხელმძღვანელობით აღასრულებს. ეკლესიის მმართველობაში ეპისკოპოსთა კოლეგიურობა გამოიხატება ამა თუ იმ რეგიონის ეპისკოპოსთა შეკრებებში (საეპისკოპოსო კრება, სინოდი ან კონფერენცია) ანდა მსოფლიო კრებებში, რომელიც მთელ კათოლიკე ეკლესიას წარმოადგენს.

იმისათვის, რათა ეპისკოპოსმა აღასრულოს თავისი საღმრთისმსახურო-მაკურთხეველი, სამქადაგებლო-სამოძღვრო და მმართველობითი მოვალეობანი, იგი აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს იერარქიულ ურთიერთობაში ეპისკოპოსთა დასთან და ამ დასის მეთაურთან — რომის პაპთან.

კათოლიკე ეკლესია შედგება ცალ-კეული ადგილობრივი ეკლესიებისაგან (მაგალითად, კათოლიკე ეკლესია საქართველოში), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორმითა და სტრუქტურით. ადგილობრივი ეკლესია, შესაძლოა, იყოს: საეკლესიო დიოცეზი (ეპარქია) ან მასთან გათანაბრებული ტერიტორიული პრელატურა, ტერიტორიული სააბატო, სამოციქულო სავიკარიუსო, სამოციქულო პრეფექტურა, სამოციქულო ადმინისტრაცია, სამხედრო სამმართველო, ხოლო აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიებში, აგრეთვე, — საექსარქოსო. ცალკეულ ეკლესიას მეთაურობს დიოცეზური (საეპარქიო) ეპისკოპოსი ანდა, შესაბამისად, სამოციქულო

ვიკარიუსი, სამოციქულო პრეფექტი, სამოციქულო ადმინისტრატორი, ექსარქოსი და ა. შ. დიდ და მჭიდროდ დასახლებულ დიოცეზებში ეპისკოპოსს საეკლესიო ოლქის მართვაში ეხმარება კოადიუქტორი ეპისკოპოსი ან დამხმარე ეპისკოპოსი.

არქიდიოცეზების (ანუ ისტორიულ-სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ანდა დიდი დიოცეზების) მმართველებს ეწოდებათ არქიეპისკოპოსები, თუმცა, ამასთანავე, არსებობენ არამმართველი, ტიტულური არქიეპისკოპოსები, რომლებიც გარკვეულ საეკლესიო თანამდებობებზე იმყოფებიან (მაგალითად, ყველა სამოციქულო დესპანს მინიჭებული აქვს არქიეპისკოპოსის ტიტული). ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევაში დიდი დიოცეზის მმართველი ატარებს პატრიარქის ტიტულს. რამდენიმე ეპარქია, შესაძლოა, გაერთიანებული იყოს მიტროპოლიაში (საეკლესიო პროვინციაში), რომელსაც მეთაურობს მიტროპოლიტის ხარისხში მყოფი ეპისკოპოსი (ან არქიეპისკოპოსი). მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტეს ნაწილში კათოლიკე ეპისკოპოსები აყალიბებენ საეპისკოპოსო კონფერენციას, რომელსაც უფლება აქვს, განსაზღვროს კათოლიკე ეკლესიის მოქმედება ამ კონკრეტულ ქვეყანაში.

ეკლესიის საფუძველი ცალკეული საკრებულოებია. მზრუნველობას საკრებულოს წევრთა მიმართ ეპისკოპოსი მიანდობს მღვდელს — საკრებულოს წინამძღვარს. ზოგჯერ წინამძღვარს ჰყავს ხოლმე დამხმარეები — ვიკარიუსები, რომლებიც, ასევე, მღვდლები არიან. ხანდახან საკრებულოები გაერთიანებულია სადეკანოზოების სახით, რომელთა მეთაურს დეკანოზი ეწოდება.

მსოფლიოს კათოლიკეთა უმრავლესობა განეკუთვნება ლათინური წესის საკრებულოებს, მაგრამ, ამასთანავე, კათოლიკე ეკლესიის მთლიანობა მოიცავს აღმოსავლური წესის კათოლიკე ეკლესიებს. ამ ეკლესიებს საკუთარი და განსაკუთრებული კანონიკური სამართალი აქვს, მათს საეკლესიო ცხოვრებას წარმართავს საკუთარი საეკლესიო იერარქია პატრიარქის ან უმაღლესი მთავარეპისკოპოსის მეთაურობით, რომელიც თანაზიარებაში იმყოფება რომის პაპთან და ორგანიზაციულად ექვემდებარება მას. ამ ეკლესიათა საქმიანობის ხელშეწყობას ემსახურება სამოციქულო საყდრის აღმოსავლეთის ეკლესიათა კონგრეგაცია.

კათოლიკე ეკლესიაში განცალკავებულ ჯგუფს წარმოადგენს სამღვდელოთა და საეროთა გამორჩეული, განსხვავებული დასი, რომელთა წევრები დებენ დროებით ან სამუდამო საგანგებო აღთქმებს და იკისრებენ გარკვეულ სულიერ ვალდებულებებს, რასაც აღიარებს და მიზანშეწონილად მიიჩნევს ეკლესია. ამგვარი ცხოვრე-ბით ეს მორწმუნეები განსაკუთრებული სახით სწირავენ თავს ღმრთის სამსახურს და, შესაბამისად, თავიანთ თავზე იღებენ ღმრთის ერის მიმართ განსაკუთრებულ მოვალეობათა აღსრულებას. ამგვარი ერთობლივი ცხოვრებისა და მსახურებისათვის ისინი აყალიბებენ სხვადასხვა მიზანმიმართულების მქონე ღმრთივშეწირული ცხოვრების დაწესებულებებს (მათ შორის, სამონაზვნო ორდენებსა და კონგრეგაციებს) და, ამის გარდა, სამოციქულო ცხოვრების საზოგადოებებს. მათი სტატუსი, რომელიც არ განეკუთვნება ეკლესიის იერარქიულ სტრუქტურას, განსაკუთრებულია: მათ თავად აქვს საკუთარი მმართველობითი და ტერიტორიული სტრუქტურები, რასაც ცნობს და ადასტურებს სამოციქულო საყდარი. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ექვემდებარება არა დიოცეზურ (საეპარქიო) ეპისკოპოსს, არამედ უშუალოდ რომის პაპს. მამაკაცთა თუ ქალთა ღმრთივშეწირულ დაწესებულებათა

რიცხვი რამდენიმე ასეულია და ისინი განსხვავებულ მისიას აღასრულებენ ეკლესიასა და საზოგადოებაში (ბენედიქტელთა, ავგუსტინელთა, ფრანცისკელთა, დომინიკელთა, კარმელელთა, კამილელთა ორდენები, იესოს საზოგადოება — იეზუიტები, სალეზელთა საზოგადოება, «ოპუს დეი», ქრისტეს ლეგიონერები და სხვ.). მათი საქმიანობის წარმართვას ემსახურება სამოციქულო საყდრის ღმრთივშეწირული ცხოვრების დაწესებულებათა და სამოციქულო ცხოვრების საზოგადოებათა კონგრეგაცია.

კათოლიკე ეკლესიის შიდაწყობა ემყარება «კანონიკური სამართლის კოდექსს», რომლის ბოლო რედაქცია, პაპის იოანე პავლე II-ის კურთხევით, 1983 წელს გამოიცა.

ღმრთისმსახურება

კათოლიკე ეკლესია თავის წიაღში მოიცავს მრავალ, სხვადასხვაგვარ საღმრთისმსახურო ტრადიციას. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს კათოლიკეთა უმრავლესობა ლათინურ, ანუ რომაულ წესს მიეკუთვნება (საკუთრივ მათ მიემართება სახელდება: რომის კათოლიკე), სხვადასხვა ლიტურგიული ტრადიციის კათოლიკეები ღმრთისმსახურებას აღასრულებენ განსხვავებული წესით, რომელთა რიცხვი ოცზე მეტია (მათ შორისაა ბიზანტიური, მარონიტული, ალექსანდრიული, ანტიოქიური, კოპტური, ქალდეური, მალაბარული, სომხური და სხვ.; ისტორიულად დადასტურებულია ქართული წესის კათოლიკური ღმრთისმსახურების არსებობაც). სხვადასხვა აღმოსავლური წესი, რიტუალურად, თითქმის არ განსხვავდება რომის ეკლესიასთან განყოფილობაში მყოფ ამავე ტრადიციის ეკლესიათა საღმრთისმსახურო ქმედებებისა და ტრადიციებისაგან.

ლათინური წესის ღმრთისმსახურება თავდაპირველად მხოლოდ ლათინურად აღესრულებოდა, მაგრამ ვატიკანის II კრების (1962-1965) შემდეგ დაშვებულ იქნა წირვის აღსრულება ეროვნულ ენებზეც, რაც ამჟამად უფრო ჩვეულებრივია. ამავე კრებაზე მნიშვნელოვნად შეიცვალა წირვის აღსრულების წესებიც.

კათოლიკეთა უდიდესი ნაწილისათვის ლიტურგიული წლის საფუძვლად მიღებულია გრიგოლის კალენდარი, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში კათოლიკეები საეკლესიო-ლიტურგიულ ცხოვრებაში იულიუსის კალენდრით სარგებლობენ.

ღმრთისმსახურების სწორ, მოძღვრებასთან შესაბამის აღსრულებას თვალყურს ადევნებს სამოციქულო საყდრის ღმრთისმსახურებისა და საიდუმლოთა კონგრეგაცია.

სოციალური მოძღვრება

კათოლიკე ეკლესიის სოციალური მოძღვრება საფუძვლიანი და მკაფიოა, რაც განპირობებულია იმითაც, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან ეკლესია აქტიურად მონაწილეობდა საერო ცხოვრებაში, ხოლო შემდგომში რთული და ხში-რად

მტკივნეული ურთიერთობის მოგვარება უწევდა თანამედროვე საზოგადოებებსა და სახელმწიფოებთან.

ეკლესიის სოციალურ მოძღვრებად მიჩნეულია სოციალურ-ფილოსოფიური და სოციალურ-თეოლოგიური ცოდნის ერთიანობა ადამიანური საზოგადოების არსისა და მოწყობის შესახებ (სოციალურ-ფილოსოფიური ცოდნა ეფუძნება ადამიანის საზოგადოებრივ ბუნებას, ხოლო სოციალურ-თეოლოგიური ცოდნის საფუძვლად მიჩნეულია ქრისტიანული მოძღვრება ხსნის შესახებ) და, აქედან გამომდინარე, კონკრეტული საზოგადოების მოსაწყობად გამოსადეგი ამოცანები და წესები.

კათოლიკური სოციალური მოძღვრება, რომელიც თავდაპირველად წმიდა ავგუსტინეს სწავლებას ემყარებოდა, შემდგომ კი — წმიდა თომა აქვინელისას, საზოგადოების მოწყობის უმთავრეს საფუძვლად მიიჩნევს ინტეგრალურ პერსონალიზმსა და სოლიდარობას, დანახულს საერთო სარგებლის პერსპექტივიდან. საერთო სარგებლის იდეა პიროვნებისა და საზოგადოების კოლექტიური თანაცხოვრების იმგვარი მოდელია, რომლის განხორციელებითაც პიროვნებას საშუალება ეძლევა დაცულ იქნეს, ერთი მხრივ, ტოტალიტარისტული მმართველობის საფრთხისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, არ იქნეს ჩაკეტილი თავკერძობისა თუ მომხმარებლობის შეზღუდულ ჩარჩოებში, რათა მან საკუთარი მეობის სრული გაღვივება-ხორცშესხმაც შეძლოს — რამე ხელშეშლის ან დაბრკოლების გარეშე — და საზოგადოების ნამდვილი წევრობაც სრულფასოვნად განიცადოს.

ადამიანის ღირსებისა და უფლებების პირველადი წყარო თავად ღმერთია, რომელმაც ადამიანი სულიერ და ხორციელ, პიროვნულ და საზოგადოებრივ არსებად შექმნა. ამის გამო ყველა ადამიანი თანასწორი, ერთადერთი და ღმრთის თანაზიარია, მაგრამ მისი თავისუფალი ნება და თავისუფალი არჩევანის უფლება ხელშეუვალია. კათოლიკური თვალსაზრისით, ცოდვითდაცემამ იმოქმედა ადამიანის ბუნებაზე, მაგრამ მას ვერ წაართვა ბუნებრივი უფლებები, და რამდენადაც მისი ბუნება კაცობრიობის საბოლოო ხსნამდე უცვლელია, თავად ღმერთსაც არა აქვს შესაძლებლობა, წაართვას ან შეზღუდოს ადამიანის თავისუფლება. პაპის იოანე პავლე II-ის სიტყვებით, «ადამიანური პიროვნება არის და უნდა იყოს ყველა საზოგადოების საფუძველი, საგანი და მიზანი».

კათოლიკე ეკლესიისათვის განმსაზღვრელი საზოგადოებრივი ღირებულებებია ადამიანური პიროვნების თავისუფლება და ღირსება, ადამიანის შეულახავი უფლებები ჩასახვის პირველი წუთიდან მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე, ადამიანთა თანადგომა, ქალისა და მამაკაცის ქორწინებაზე დაფუძნებული ოჯახი, შრომის კურთხევა და პატივისცემა.

«ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი», რომელშიც შეჯამებულადაა გადმოცემული კათოლიკე ეკლესიის პოზიცია ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების შესახებ, 2004 წელს გამოქვეყნდა.

ისტორიული მიმოხილვა

კათოლიკური თვალსაზრისით, ეკლესიის ფუძემდებელია იესო ქრისტე და, შესაბამისად, ეკლესიის ისტორიაც ღმრთის ძის — იესოს — განხორციელებიდან იღებს დასაბამს.

ეკლესიის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოციქულთა ხანას, როცა ჩამოყალიბებას იწყებს ეკლესიის მოძღვრება, ღმრთისმსახურება, წყობა. ამ დროიდან IV საუკუნის დასაწყისამდე ეკლესიის ცხოვრებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოწამეობრივი სულისკვეთება — დაპირისპირება ერთი მხრივ, ქრისტიანებს, ქრისტიანულ საკრებულოებს, მთელს ეკლესიასა და, მეორე მხრივ, წარმართულ სახელმწიფოს შორის, რაკიღა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების თავდაპირველი ნიადაგი უმთავრესად რომის იმპერიით შემოიფარგლებოდა. 313 წლის მილანის ედიქტის შემდეგ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის უფრო მშვიდობიანი ურთიერთობა მყარდება, მტკიცდება ეკლესიის საზოგადოებრივი მდგომარეობა, მოწამეობას კი მოღვაწეობა ენაცვლება: იწყება სამონაზვნო ცხოვრების აყვავება ქრისტიანულ აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში. დასავლური მონაზვნობის ფუძემდებლად ბენედიქტე ნურსიელი მიიჩნევა, ხოლო დაფუძნების თარიღად — 529 წელი.

ამავე დროს, თავად იმპერიის ნგრევის მიუხედავად, თანდათანობით უფრო მყარი ხდება ეკლესიის მოძღვრება და წყობა. თუ აღმოსავლეთ საქრისტიანოში საუკუნეების განმავლობაში არ წყდება სამოძღვრო-დოგმატიკური კამათები, რაც საბოლოოდ მართლმორწმუნე მოძღვრების ჩამოყალიბების საფუძველს იძლევა, დასავლეთი საქრისტიანო კანონიკურად და სტრუქტურულად აწესრიგებს საეკლესიო ცხოვრებას.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ჩამოყალიბებას იწყებს პაპის სახელმწიფო — ცალკე პოლიტიკური ერთეული, რომელსაც რომის ეპისკოპოსი უდგას სათავეში. 800 წელს კი პაპის ხელშეწყობით, მისი სულიერი მხარდაჭერით დაფუძნდება რომის საღმრთო იმპერია, სადაც ერთმანეთისაგან მკაცრად უნდა ყოფილიყო გამიჯნული სასულიერო და საერო მმართველობა, თუმცა მაინც, საუკუნეების განმავლობაში, მათ შორის, არც-თუ იშვიათად, გაღვივებულა კონფლიქტი.

შუა საუკუნეების განმავლობაში ეკლესია წარმართავს იმპერიის მოსახლეობის სულიერ ცხოვრებას, გაშლის ფართო სამისიონერო საქმიანობას, შეაქვს ევროპის ხალხებს შორის მეურნეობისა და კულტურის ჩვევები. განსაკუთრებული ღვაწლი ამ საქმეში სამონაზვნო-სამონასტრო ორდენებს ეკუთვნის. ბენედიქტელთა ორდენსა და მის განშტოებებს XIII საუკუნიდან მხარში ამოუდგება უპოვართა ორდენები: ფრანცისკელები და დომინიკელები, რომლებიც ეკლესიას ახალ სულიერ და ინტელექტუალურ სულისკვეთებას შთაბერავენ. ამავე ხანებში ეკლესიის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ხდება ჯვაროსნული ლაშქრობები, რომლებიც მიზნად ისახავდა ქრისტიანულ წმიდა ადგილთა გათავისუფლებას მუსლიმთა ბატონობისაგან.

XI საუკუნიდან იწყება «აღმოსავლური სქიზმა» ანუ აღმოსავლეთის საქრისტიანოს განხეთქილება კათოლიკე ეკლესიასთან, რომელმაც 1054 წლის ურთიერთანათემის შემდეგ თანდათანობით შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რასაც ბოლო ვერ მოუღო ვერც ფერარა-ფლორენციის კრებამ, სადაც 1439 წელს გამოცხადდა უნია, ანუ აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანობის გაერთიანება რომის ეპისკოპოსის მეთაურობით.

XIV საუკუნეში, თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში, პაპების რეზიდენცია რომიდან გადატანილი იყო ფრანგულ ქალაქ ავინიონში, და ეს ხანა «ავინიონის ტყვეობის» სახელითაა ცნობილი. პაპის რომში დაბრუნებას მოჰყვა «დასავლეთის დიდი სქიზმა», როდესაც პაპის საყდარი ერთდროულად ორ ან სამ მღვდელმთავარს ეპყრო, რომლებიც ერთმანეთს არ ცნობდნენ ეკლესიის მეთაურად. ამავე დროს, შესაბამისად, დაყოფილი იყო ევროპული კათოლიკური სახელმწიფოები თავიანთი სამღვდელოებითა და მრევლით. მხოლოდ 1417 წელს, კონსტანცის კრებაზე, მოხერხდა განხეთქილების დაძლევა, რის შედეგადაც კათოლიკე ეკლესია ისევ გაერთიანდა.

XVI საუკუნის დასაწყისში ეკლესია აღმოჩნდა ეგრეთ წოდებული რეფორმაციის პირისპირ, რომელსაც მარტინ ლუთერის ქადაგებებმა დაუდო სათავე. იწყება ბრძოლა ეკლესიის მოძღვრების, სამღვდელოების, მონაზვნობის წინააღმდეგ. მთელ ევროპაში რეფორმაციის ქარიშხალი ამოიჭრა, რომელმაც ბევრი ევროპული ქვეყნის მოსახლეობა მოსწყვიტა კათოლიკე ეკლესიას. შედეგად, ნელ-ნელა შეიქმნა განსხვავებული მიმართულების პროტესტანტული საკრებულოები. ამ გამოწვევას ეკლესიამ უპასუხა ტრიდენტის კრებაზე (1545-1563), რომელზეც მკაფიოდ ჩამოყალიბდა კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება ხსნის, წმიდა წერილისა და წმიდა გადმოცემის, საიდუმლოთა შესახებ. რეფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი წვლილი შეიტანა იესოს საზოგადოებამ (ანუ იეზუიტთა კონგრეგაციამ), რომლის ფუძემდებელია ეგნატე ლოიოლა. ტრიდენტის კრების შემდგომ ეკლესიაში მყარდება დოგმატური და ლიტურგიული წესრიგი, ძლიერდება სამღვდელოების სულიერი და ინტელექტუალური მზადყოფნა (მაგალითად, სემინარიების შექმნით), ფართოდ იშლება სამისიონერო საქმიანობა, საფუძველი ედება ახალი კონგრეგაციების მოღვაწეობას.

საფრანგეთის რევოლუციის დროს, 1789 წლიდან, სისხლიანი სეკულარიზაციის პირობებში, იწყება კათოლიკე ეკლესიის სასტიკი დევნა, რომელიც რამდენადმე შენელდა ნაპოლეონის ბატონობისას. სწორედ მის დროს წყვეტს არსებობას რომის საღმრთო იმპერიაც.

1854 წელს პაპი პიუს IX აცხადებს დოგმას წმიდა მარიამის უბიწოდ ჩასახვის შესახებ, 1870 წელს კი ვატიკანის I-მა კრებამ გამოაცხადა დოგმა პაპის უცდომლობის შესახებ სარწმუნოებისა და ზნეობის საკითხებში.

XIX საუკუნის განმავლობაში ძლიერდება საერო სახელმწიფოთა შეტევა პაპობის წინააღმდეგ, მეტად მწვავდება ე. წ. «რომის საკითხი» — საკითხი პაპის სახელმწიფოს არსებობის შესახებ. 1870 წელს იტალიის სამეფოს ჯარებმა დაიკავეს რომი, რომელიც იტალიის დედაქალაქად გამოცხადდა, რის შედეგადაც არსებობა შეწყვიტა პაპის

სახელმწიფომ. მისი არსებობა განახლდა მხოლოდ 1929 წელს ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის, ანუ წმიდა საყდრის, სახით.

XX საუკუნის პირველ ათწლეულებამდე გამწვავებული იყო დამოკიდებულება ზოგიერთ სახელმწიფოსთან (კერძოდ, იტალიასთან, გერმანიასთან, საფრანგეთთან), რომელთა მთავრობები კათოლიკე ეკლესიის საწინააღმდეგო სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალული. მოგვიანებით ეკლესია ახერხებს კონკორდატების მეშვეობით მოაგვაროს ურთიერთობა ბევრ სახელმწიფოსთან, თუმცა არაერთ ქვეყანაში ანტიეკლესიურმა ძალებმა დაუნდობელი დევნა გააჩაღეს ეკლესიის წინააღმდეგ (ბოლშევიკურ რუსეთში — საბჭოთა კავშირში, რესპუბლიკურ მექსიკაში, რესპუბლიკურ ესპანეთში, მაოისტურ ჩინეთში, კომუნისტურ აღმოსავლეთ ევროპაში). ეკლესიის დევნის, კომუნისტური და ნაციონალ-სოციალისტური გამოწვევების, II მსოფლიო ომის განსაცდელის პირობებში კათოლიკე ეკლესიის დამოუკიდებლობა და მორალური არჩევანი შეინარუნეს პაპებმა პიუს XI-მ და პიუს XII-მ.

1950 წელს პიუს XII აცხადებს დოგმას წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების შესახებ.

ეკლესიის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვატიკანის II კრებას (1962-1965), რომელიც მოიწვია პაპმა იოანე XIII-მ და შემდგომ წარმართა პაპმა პავლე VI-მ. კრებამ განსაზღვრა და განაახლა ეკლესიის ადგილი და როლი თანამედროვე საზოგადოებაში, განახორციელა ლიტურგიული რეფორმა, შესამჩნევი ბიძგი მისცა კონფესიათაშორის დიალოგს.

იოანე პავლე II-ის პაპობის პერიოდი (1978-2005) აღბეჭდილი იყო არა მხოლოდ ეკლესიის ტრადიციული ღირებულებებისადმი მტკიცე ერთგულებით, არამედ ღიაობითაც საზოგადოების სხვადასხვა ფენების მიმართ, რამაც თვალსაჩინოდ გააფართოვა იმათი რიცხვი, ვინც ყურს უგდებს ეკლესიის ხმას. პაპი დაუფარავად დაუპირისპირდა კომუნისტურ იდეოლოგიასა და მმართველობას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ სისტემის მსხვრევაში.

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისისათვის კათოლიკე ეკლესიამ ყველა კონტინენტზე შესამჩნევად გაიმყარა თავისი სულიერი, კანონიკური და საზოგადოებრივი მდგომარეობა.

2005 წლიდან კათოლიკე ეკლესიას სათავეში უდგას პაპი ბენედიქტე XVI.

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

ისტორიულ წყაროთა თანახმად, ქართველების სარწმუნოებრივი კავშირი რომთან ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისთანავე მყარდება: ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო, მეფე მირიანი და მთელი ქართლის ერი იღებს კურთხევის წერილს რომის პაპისაგან, წმ. სილვესტრე I-ისაგან (314-335), რომელსაც მცხეთაში ვინმე „ბრანჯი» მთავარდიაკონი ჩამოიტანს.

596 წელს, მართლმადიდებლობას დაბრუნებულ ნესტორიანელთა ხელახალი მონათვლის საკითხის გადასაწყვეტად ქართლის კათოლიკოსი კირიონ I მსაჯულად და განმსჯელად რომის ეპისკოპოსს მიმართავს და სამოციქულო საყდრიდან იგი წმიდა პაპის, გრიგოლ დიდის (590-604), სამოძღვრო წერილს იღებს.

XIII საუკუნიდან საქართველოში მოღვაწეობას იწყებს ლათინური წესის სამღვდელოება. 1240 წელს პაპი გრიგოლ IX (1227-1241) რუსუდან მეფესთან ფრანცისკელ მოძღვრებს აგზავნის. მათ მალე დომინიკელებიც უერთდებიან, რომლებიც მონასტერს ააგებენ თბილისის შუაგულში. 1328 წელს პაპი იოანე XXII (1316-1334) აფუძნებს თბილისის ლათინური წესის საეპისკოპოსოს, ხოლო 1230 წელს ამ სამღვდელმთავრო კათედრის მმართველად — თბილისის პირველ ლათინ კათოლიკე ეპისკოპოსად — ინიშნება ფლორენციელი დომინიკელი იოანე, რომელსაც, როგორც ჩანს, მანამდე გარკვეულ ხანს უცხოვრია საქართველოში და ქართულ ენასაც დაუფლებია. ამ კათედრამ 1507 წლამდე იარსება და მას თანმიმდევრობით 12 ეპისკოპოსი მართავდა.

სარწმუნოების გავრცელების კონგრეგაციის 1632 წლის დეკრეტის საფუძველზე საქართველოს კათოლიკეები დაექვემდებარნენ ისპაჰანის ლათინური წესის ეპისკოპოსს, ხოლო შემდგომში თბილისში დაწესდა სამოციქულო სავიკარიუსო. XVII საუკუნეში ქართული სამეფო-სამთავროებისაკენ რომიდან წარმოგზავნილი მისიონერები — ავგუსტინელი და იეზუიტი მოღვაწეები — გამოემართებიან. 1626 წელს პაპი ურბანუს VIII (1623-1644) საქართველოში აგზავნის თეატინელთა ორ-დენის წევრებს, რომლებიც ქვეყანაში 1700 წლამდე იმყოფებოდნენ. მალე მათ გვერდით გაჩნდნენ კაპუცელებიც, რომელთა საქმიანობა გრძელდებოდა 1661 წლიდან 1845 წლამდე, — იმ დრომდე, სანამ ისინი საქართველოდან რუსეთის ხელისუფლებამ გააძევა.

ამ დროს კათოლიკეები ღირსშესანიშნავ კვალს ამჩნევენ ქართულ კულტურას. მათი მეურვეობით რომში იბეჭდება პირველი ქართული წიგნები: ლორეტას ლიტურგია, ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული ენის გრამატიკა; ისინი პირველად ჩაიწერენ ქართულ ზღაპრებს, შეადგენენ ქვეყნის სხვადასხვაგვარ აღწერილობებს, შეკრებენ ქართული სინამდვილის ამსახველ წყაროებს და სხვ.

ქართველ მეფეებსა და კათალიკოსებს ინტენსიური მიმოწერა აქვთ რომის საყდართან. კათოლიკე სამღვდელოება ჩნდება მეფეთა და დიდებულთა კარზე. ქვეყანაში ჩნდება კათოლიკური სასკოლო-საგანმანათლებლო და სამკურნალო კერები.

1628 წელს პორტუგალიელი ავგუსტინელი მოღვაწეები მეფე თეიმურაზ I-ს ჩამოუტანენ დედამისის, ქეთევან დედოფლის, ნეშტს. სამადლობელოდ, მეფე ჩამოსულებს მიწას აჩუქებს გორში, სადაც შემდგომში კათოლიკური ტაძარი აშენდება.

საქართველოში კათოლიკე ეკლესიის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სულხან-საბა ორბელიანი (1758-1725), რომელიც 1714 წელს რომში გულთბილად მიიღო პაპმა კლემენტი XI-მ (1700-1721).

XVIII საუკუნეში თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. მეფე თეიმურაზ II-ის დროს კათოლიკობაზე მოქცევაში ბრალდებული კათალიკოს ანტონ I-ის (1720-1788) გადაყენებას ქართლში კათოლიკეთა დევნა მოჰყვა. კათოლიკეებს ჩამოერთვათ ყოველგვარი ქონება, ხოლო კათოლიკე სამღვდელოება გააძევეს საქართველოდან. თუმცა შემდგომში, ერეკლე II-ის დროს, კათოლიკე ეკლესიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. კათოლიკეები ისევ ჩნდებიან ქართულ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ თუ კულტურულ ასპარეზზე.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, კათოლიკე მოღვაწეთა საქმიანობა უფრო მეტად კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროსაკენ გადაიხარა.

XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოში შენდება კათოლიკური ტაძრები: თბილისში — წმიდა მარიამის ზეცად აღყვანებისა (1804; ამჟამინდელი საკათედრო ტაძარი) და წმიდა მოციქულთა პეტრესი და პავლესი (1877), ქუთაისში — წმიდა მარიამის უბიწოდ ჩასახვისა (1826-1860), ბათუმში — წმიდა მარიამის შობისა (1903; კათოლიკე ძმების, ზუბალაშვილების ნივთიერი შემწეობით) და სხვ.

1850 წლიდან საქართველოს კათოლიკეები შედიან ტირასპოლის ეპისკოპოსის იურისდიქციაში, რომლის რეზიდენცია რუსულ ქალაქ სარატოვში მდებარეობდა. კათოლიკე სამღვდელოება მთელ საქართველოში ამ დროს ადგილობრივი იყო, რომელთა დიდი უმრავლესობა ეკუთვნოდა 1861 წელს კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) დაფუძნებულ უბიწოდ ჩასახვის კონგრეგაციის საძმოს (ქართული კათოლიკური საკრებულო სტამბოლში 1974 წლამდე არსებობდა). ამ დროს დიდად უწყობენ ხელს წიგნიერების განვითარებას, ეროვნული ცნობიერების გაღვივებას, ქართული კულტურის გავრცელებასა და გაღრმავებას ქართველი კათოლიკე მოძღვარნი (პეტრე ხარისჭირაშვილი, იოანე გვარამაძე, იოსებ ხუციშვილი, ანდრია წინამძღვრიშვილი, მიქელ თამარაშვილი, დომინიკე პაწაძე, ალფონს ხითარიშვილი, ანსელმ მღებრიშვილი, დამიანე სააკაშვილი, გაბრიელ ასლანიშვილი, მიხეილ თარხნიშვილი და სხვ.).

ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ საქართველოს კათოლიკეებს დიდი დევნა დაატყდათ თავს. ამ დროს საქართველოში 50 000-მდე კათოლიკე ცხოვრობდა. დაიხურა და დაინგრა ტაძრები: საქართველოში მანამდე მოქმედი 60 კათოლიკური ტაძრიდან კომუნისტური რეჟიმის ხანაში მოქმედებდა ერთადერთი — თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარი. ფაქტობრივ, განადგურდა მთელი ქართველი კათოლიკე სამღვდელოება. არქიმანდრიტი შიო ბათმანიშვილი (1885-1937), რომელიც პაპმა პიუს XI-მ რომში პირადი შეხვედრის შემდეგ საქართველოს კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორად დანიშნა, სოლოვკის საკონცენტრაციო ბანაკში, ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ, 1937 წელს დახვრიტეს. უკანასკნელი ქართველი მღვდლები, რომელთაც მრავალი დევნა-პატიმრობა გადაიტანეს და რომლებიც თბილისში საბჭოთა პერიოდში მსახურებდნენ, იყვნენ ემანუელ ვარდიძე (1886-1966) და კონსტანტინე საფარიშვილი (1887-1973). მათ შემდეგ საქართველოში ადგილობრივ კათოლიკე მღვდელს აღარ უმსახურია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რაც 1991 წელს კომუნიზმის დაცემასა და საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა, ნელ-ნელა დაიწყო საქართველოში კათოლიკე ეკლესიის განახლების ხანა. აღორძინდა ლათინური, სომხური და ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკური საკრებულოები. დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობანი წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის, რის შედეგადაც დაარსდა წმიდა საყდრის სამოციქულო სადესპანო საქართველოში და საქართველოს საელჩო წმიდა საყდართან. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის საქმიანობის წარმართვისათვის შეიქმნა ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია. 1997 წელს სამოციქულო ადმინისტრატორად დაინიშნა სტიგმელთა კონგრეგაციის წევრი, მღვდელი ჯუზეპე პაზოტო, რომელიც 2000 წელს ეპისკოპოსად იქნა ხელდასხმული.

ამოქმედდა კათოლიკური ტაძრები და საკრებულოები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ახალციხეში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, კახეთში. აშენდა რამდენიმე ახალი ტაძარი. კათოლიკეებს მიაჩნიათ, რომ ხუთ, ისტორიულად კათოლიკური ტაძარში, უსამართლოდ აქვს მითვისებული საქართველოს საპატრიარქოს საკრებულოებს.

ამჟამად საქართველოში მოღვაწეობს კამილელთა ორდენი, სტიგმელთა კონგრეგაცია, დედა ტერეზა კალკუტელის მოწყალების ორდენი, სალეზელთა საზოგადოება და სხვ.; შეიქმნა საქველმოქმედო კათოლიკური ორგანიზაცია «საქართველოს კარიტასი», თბილისის კათოლიკური საავადმყოფო «კაცთა მაცხოვარი» და სხვა საქველმოქმედო-კულტურული დაწესებულებანი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, დაარსდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, იბეჭდება საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე «საბა», აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობის ჟურნალი «დიალოგი», კათოლიკური შინაარსის წიგნები (მათ შორის, «კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო», «ვატიკანის II კრება», პაპის ენციკლიკები და სხვ.).

საქართველოს კათოლიკეთა ცხოვ-რების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო რომის პაპის, იოანე პავლე II-ის (1978-2005), სტუმრობა საქართველოში 1999 წლის 8-9 ნოემბერს.

მერაბ ღაღანიძე

პროტესტანტიზმი და რეფორმაცია

რეფორმაცია და პროტესტანტობა, ფაქტობრივად, ერთი და იგივე მოვლენებია. ორივეს არსებითი ნიშანი ტრადიციათა გადაფასება და შეცვლაა, მაგრამ მათ შორის გარკვეული სხვაობაცაა. რეფორმაცია, ძირითადად, ეკლესიის პრაქტიკის (ღვთისმსახურების) და კანონიკური წყობის რეკონსტრუქციას გულისხმობს, პროტესტანტობა — თეორიების, თვით დოგმატების, ცვალებადობასაც. ერთიც და მეორეც ლათინური სიტყვებია: «რეფორმატიო» გარდაქმნას ნიშნავს, «პროტესტარი» — დაწუნებას, საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას. თითოეულის ხასიათი და ბუნება სახელწოდებებშიც ჩანს: რეფორმატორი მიზნად ძველის გარდაქმნას ისახავს, პროტესტანტი კი არსებულსა და ტრადიციულს უპირისპირდება. რეფორმაცია საღვთო გადმოცემას, როგორც რწმენის ერთ-ერთ წყაროს, ე.ი. ეკლესიის ავტორიტეტს პრინციპში (გლობალურად) არ უარყოფს, პროტესტანტობა კი სწორედ საღვთო გადმოცემის, ეკლესიის მამებისა და კრებების ავტორიტეტის გაუფასურებას აცხადებს. რელიგიური ფაქტორების გარდა, რეფორმაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებსაც მოიცავს.

პროტესტანტობა, კათოლიციზმისა და მართლმადიდებლობის გვერდით, ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ქრისტიანობაში. პროტესტანტიზმი მრავალი დამოუკიდებელი ეკლესიის ერთობლიობას მოიცავს, ყოველი მათგანი სათავეს რეფორმაციიდან იღებს. იგი ეკლესიათა და დენომინაციათა გა-რეგნული ფორმებისა და რიტუალების ნაირგვარობით გამოირჩევა. ამის გამო მისი მხოლოდ ზოგადი შტრიხებით დახასიათებაა შესაძლებელი.

პროტესტანტიზმი იზიარებს საერთო ქრისტიანულ მოძღვრებას ღმერთის არსების, მისი სამბუნებოვნების, სულის უკვდავების, სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ (თუმცა ამავე დროს უარყოფს კათოლოკურ სწავლებას განსაწმენდელზე). პროტესტანტული მოძრაობისათვის ამოსავალია შემდეგი ოთხი პუნქტი: 1. *მხოლოდ რწმენით* (სოლა ფიდე) ცხონდება ადამიანი და არა კეთილი საქმეებით (რომლებსაც შეიძლება ანგარებაც ედოს საფუძვლად), 2. *მხოლოდ მადლით* (სოლა გრატია) მოიპოვება ხსნა და არა საკუთარი ქმედებებით, 3. *მხოლოდ ქრისტე* (სოლუს ჩჰრისტუს) არის მორწმუნეთა ავტორიტეტი და არა ეკლესია, 4. *მხოლოდ წმიდა წერილი* (სოლა სცრიპტურა) არის ქრისტიანული რწმენის საფუძველი და არა საეკლესიო ტრადიცია.

წინამორბედები

რეფორმაციისა და პროტესტანტობის ისტორია ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ისინი ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე მიზეზების გამო წარმოიშვნენ. დიდი სქიზმიდან სამი საუკუნის შემდეგ რომის კათოლიკე ეკლესიაში, უფრო სწორად, დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთში, რეფორმატორული მოძრაობა დაიწყო. ძირითად მიზეზად

დასახელებულია რომის ეკლესიის რიგორიზმი, ანუ სიმკაცრე, კულტმსახურების გადატვირთვა, დოგმატების სიმრავლე, კანონიკური სტრუქტურის სირთულე და, რაც მთავარია, პაპების სარწმუნოებრივ-პოლიტიკური გავლენის ზრდა. მაგრამ ამგვარ ანტიკათოლიკურ მოძრაობას რეფორმაციამდე დიდი ხნით ადრეც ჰქონდა ადგილი. ასეთი ხასიათის მქონე მთელი რიგი კონფესიები (ვალდენსები, მორავიელთა საძმო და სხვ.) დღემდე შემორჩნენ. მათ შეიძლება რეფორმაციამდელი პროტესტანტული კონფესიები ვუწოდოთ.

რეფორმატორულ-პროტესტანტული მოძრაობის წინამორბედებად მღვდელი ჯონ ვიკლიფი და მღვდელი იან ჰუსი ითვლებიან. ვიკლიფი XIV საუკუნეში ცხოვრობდა. მისი ქადაგება და იდეები კათოლიკური ეკლესიის როგორც თეორიული, ისე (განსაკუთრებით) პრაქტიკული ნორმების წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი უარყოფდა წმიდანებისა და ხატების თაყვანისცემის პრაქტიკას, საიდუმლო აღსარებას, ევქარისტიის ტრადიციულ გაგებას (პურისა და ღვინის გადაარსებას), სალხინებელს (განსაწმენდელს) და ა.შ. მისი მიზანი მოციქულთა დროინდელი სიმარტივისაკენ მიბრუნება იყო, რაც გამოიხატებოდა ეპისკოპალური ეკლესიის პრესვიტერიანულ (სამღვდელო) ეკლესიად გადაქცევის სურვილში. ეს კი თითოეული საეკლესიო თემის, ანუ ცალკეული ეკლესიის დამოუკიდებლობას, ეპისკოპოსის იურისდიქციის გარეშე არსებობის დაშვებას, საქრისტიანოში ეკლესიათა მმართველობითი ცენტრების გაუქმებას ნიშნავდა. ამ მოსაზრებათა გასამყარებლად ვიკლიფმა გადაწყვიტა ბიბლია მორწმუნეთათვის მშობლიურ ენაზე ეთარგმნა. 1382 წლისათვის მან დაასრულა ახალი აღთქმის პირველი სრულყოფილი ინგლისური თარგმანი (1384 წელს ნიკოლოზ გერფორდელმა ძველი აღთქმის დიდი ნაწილიც თარგმნა).

ვიკლიფი თავის დროზე მკაცრად გააკრიტიკეს. მან და მისმა მომხრეებმა დევნა და ლანძღვა იწვნიეს, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და რეფორმატორულ-პროტესტანტულ იდეებს გზა გაუკვალეს. ეკლესიის ვიკლიფისეული ხედვა ინგლისში მოსწავლე ჩეხმა სტუდენტებმა სამშობლოში ჩაიტანეს, სადაც მან იან ჰუსის მოღვაწეობაში ჰპოვა გაგრძელება.

იან ჰუსმა, ბეთლემის ეკლესიის მღვდელმა, 1409 წლიდან პრაღის უნივერსიტეტის რექტორმა, ვიკლიფის იდეები გაითავისა და ეკლესიის რეფორმირების აუცილებლობაზე დაიწყო ქადაგება. მისი მოღვაწეობა ჩეხური ნაციონალური თვითშეგნების ამაღლების პერიოდს დაემთხვა. ამ დროს ჩეხეთში წმიდა რომის იმპერიის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ხალხის უკმაყოფილების დასათრგუნავად იმპერატორმა სიგიზმუნდ I-მა და პაპმა მარტინ V-მ კონსტანცაში საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელზედაც იან ჰუსი, მისი მიმდევარი იერონიმ პრაღელი ერეტიკოსებად შერაცხეს და კოცონზე დაწვა მიუსაჯეს. ერეტიკოსად გამოცხადდა ჯონ ვიკლიფიც.

რეფორმაციის დასაწყისი

1517 წლის 31 ოქტომბერს კათოლიკე ბერმა მარტინ ლუთერმა (იხ. ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია) ვიტენბერგის ეკლესიის მთავარი შესასვლელის კარზე «95 თეზისი» მიაჭედა. განსასჯელად გამოტანილი იყო კათოლიკური ეკლესიისა და პაპის კრიტიკის შემცველი 95 პუნქტი. მარტინ ლუთერი რომს ინდულგენციების,

განსაწმენდელის შესახებ მოძღვრების, ღვთისმშობლისა და წმინდანების თაყვანისცემის, ცელიბატის (მღვდლების უქორწინებლობლის აუცილებლობის), საეკლესიო საიდუმლოებების, სამონაზვნო პრაქტიკის, პაპის აბსოლუტური ავტორიტეტის, სიმონიის (საეკლესიო თანამდებობების ყიდვის) და სხვა წეს-ჩვეულებებისა და დოქტრინების გამო დაუპირისპირდა. იგი საეკლესიო ცხოვრების სათავეებთან დაბრუნებას მოითხოვდა.

ამ რეფორმატორული სულისკვეთების უმთავრესი შედეგი პროტესტანტიზმის აღმოცენება გახდა. 1529 წელს ქალაქ შპაიერში შემდგარმა რაიხსტაგის სხდომამ წმინდა რომის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს მიერ 1526 წელს მიღებული გადაწყვეტილება შეცვალა, რომლის მიხედვით ნებისმიერ გერმანელ თავადს ნებისმიერი თავისი ქვეშევრომისთვის შეეძლო მისთვის მისაღები რწმენის აღიარება მოეთხოვა პრინციპით: ვისი მიწაცაა, სარწმუნოებაც მისია. პირველი აქტით ლუთერანები, ფაქტობრივად, კათოლიკეებთან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რის გამოც ხუთმა გერმანელმა მთავარმა და თოთხმეტმა თავისუფალმა ქალაქმა პროტესტი გამოხატა. ამის შემდეგ რეფორმაციის მომხრეებს პროტესტანტები დაერქვათ.

პროტესტანტიზმი თავიდანვე, XVI საუკუნიდანვე, სამი მიმდინარეობის სახით მოგვევლინა. მათი დამაარსებლები არიან: მარტინ ლუთერი (1483-1546), ულრიხ ცვინგლი (1484-1531) და ჟან კალვინი (1509-1564). რეფორმაციის მამებს ბევრი საერთო და ბევრი განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ. საერთოა, მაგალითად, იმის აღიარება, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია ინდივიდუალურად შეიტყოს ბიბლიიდან, რა და როგორ უნდა სწამდეს, ეკლესიის მამათა ავტორიტეტის გათვალისწინება აქ აუცილებელი არაა.

ლუთერის მოძღვრებამ გერმანიაში, სკანდინავიურ და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ჟან კალვინისამ შვეიცარიაში, შოტლანდიაში, ნიდერლანდებში, საფრანგეთსა და ინგლისში გაიდგა ფესვი. ულრიხ ცვინგლის გავლენის არეალი კი, ძირითადად, შვეიცარიით შემოიფარგლა.

კონტრრეფორმაცია

ევროპაში რეფორმაციას მოჰყვა კათოლიკური ეკლესიის პასუხი, რომელიც კონტრრეფორმაციის სახელითაა ცნობილი. საბოლოოდ კათოლიკურ ქვეყნებად დარჩა იტალია, ესპანეთი, გერმანიის სამხრეთი ნაწილი, შვეიცარიის კანტონების ნაწილი, ირლანდია. XVI საუკუნის ბოლოს კათოლიციზმმა გაიმარჯვა ნიდერლანდების სამხრეთ ნაწილში (თანამედროვე ბელგია) და რეჩ პოსპოლიტაში. საფრანგეთში კათოლიციზმი სახელმწიფო რელიგია იყო, მაგრამ პროტესტანტები იქ დიდი ხნის განმავლობაში თავისუფლებით სარგებლობდნენ.

კონტრრეფორმაციის გარეგნულ მხარეს რეფორმატორული მოძრაობის ძალადობრივი ჩახშობა, პროტესტანტების დევნა, ინკვიზიცია და აკრძალული წიგნების ინდექსის შექმნა წარმოადგენდა, შინაარსობრივად კი ეს იყო პროცესი, რომელსაც თვით კათოლიკური ეკლესიის რეფორმა შეიძლება ვუწოდოთ.

1536 წელს პაპმა პავლე მესამემ შექმნა სპეციალური კომისია, რომლის წევრებადაც „საღვთო სიყვარულის სამლოცველოს» ორგანიზაციის წარმომადგენლები მოიწვია. მათი დასკვნით, პაპები და კარდინალები ხშირად იყენებდნენ ეკლესიას «შეუსაბამო განზრახვების» განსახორციელებლად და მერკანტილურ მიზნებს სულიერ მიზნებზე მაღლა აყენებდნენ. 1545 წელს პავლე მესამის ინიციატივით მოიწვიეს ტრიდენის კრება, რომელსაც ბევრ აქტუალურ რელიგიურ საკითხზე უნდა გაეცა პასუხი. კრებაზე, რომელიც რამდენიმე პაპის პონტიფიკატის განმავლობაში გრძელდებოდა, მიღებული იქნა გადაწყვეტილებები არა მხოლოდ დოგმატურ საკითხებთან დაკავშირებით, არამედ ეკლესიის სახელის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგაც გამოიცა დეკრეტები.

გარდა ამისა, დაარსდა ახალი ტიპის სამონასტრო ორდენები — თეატინელების, კაპუცინელებისა და იეზუიტების. იეზუიტები აქტიურ მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ როგორც იმ ქვეყნებში, სადაც პროტესტანტიზმი გავრცელდა, ასევე იქაც, სადაც მანამდე საერთოდ არ არსებობდა ქრისტიანობა. ორდენში შესვლისას ფიცი იდებოდა არა მხოლოდ გენერლის, არამედ პაპის წინაშეც. რეჩ პოსპოლიტას კათოლიკურ წიაღში დაბრუნება, დიდწილად, იეზუიტთა დამსახურებად მიიჩნევა.

რეფორმაციის შედეგები

რეფორმაციის დასასრულად 1648 წელს ხელმოწერილი ვესტფალიის ზავი იქცა, რომლის შედეგადაც რელიგიური ფაქტორის როლი მნიშვნელოვნად დაკნინდა ევროპულ პოლიტიკაში. ვესტფალიის ზავმა საბოლოოდ აღიარა ახალი რეალობა — რეფორმაციის გამო შეცვლილი ევროპის რუკა, რომელზედაც ახალი სახელმწიფოები გაჩნდა. ამის შემდეგ კონტინენტურ ევროპაში ფართომასშტაბიან რელიგიურ ომებს ადგილი აღარ ჰქონია. შედეგად ლუთერანობის მომხრეებად დარჩნენ ჩრდილოეთი გერმანია, დანია, სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები. რეფორმატორები ჭარბობდნენ შოტლანდიასა და ნიდერლანდებში, ასევე შვეიცარიის რამდენიმე კანტონში. ამ სწავლებას მიმდევრები ჰყავდა უნგრეთში, ცენტრალურ გერმანიასა და საფრანგეთში. ინგლისში ანგლიკანური ეკლესია დამკვიდრდა.

რელიგიურ თანასწორუფლებიანობის იდეის გავრცელებას პოლიტიკური თანასწორობისა და დემოკრატიის იდეების გავრცელებაც მოჰყვა. ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა რეფორმატორები იყვნენ, საერო პირებს საშუალება ეძლეოდათ მონაწილეობა მიეღოთ ეკლესიის მართვაში, მოქალაქეებს კი — სახელმწიფოს მართვაში.

ეკონომიკური თვალსაზრისით, რეფორმაციამ ხელი შეუწყო ფეოდალური ფორმაციის კაპიტალისტურით ჩანაცვლებას. ეკონომიისაკენ, მეწარმეობის განვითარებისაკენ სწრაფვამ, ძვირადღირებულ გართობებზე (ასევე ძვირადღირებულ ღვთისმსახურებაზე) უარის თქმამ ხელი შეუწყო კაპიტალის დაგროვებას, რომელიც ვაჭრობასა და მეწარმეობაში იდებოდა. შედეგად პროტესტანტულმა სახელმწიფოებმა განვითარებით გაუსწრეს კათოლიკურ სახელმწიფოებს. პროტესტანტული ეთიკა კი ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას.

პროტესტანტული ეკლესიები

საღვთო წერილის ტექსტისადმი თავისუფალმა მიდგომამ პროტესტანტულ ეკლესიათა ატომიზაცია ანუ დაშლა-დანაწილება გამოიწვია. სხვადასხვა მენტალიტეტისა და ბუნება-განწყობილების ადამიანები ბიბლიის ერთსა და იმავე მონაკვეთს ხშირად სხვადასხვანაირად აღიქვამენ, რაც, როგორც წესი, ახალ-ახალ თეორიულ თვალსაზრისებს აღმოაცენებს. ამ ფაქტმა კი, თავის მხრივ, ახალი დენომინაციების წარმოშობა განაპირობა.

დამაარსებელთა სახელების მიხედვით — ლუთერისეულ (ლუთერანობა), ცვინგლისეულ (ცვინგლიანობა), კალვინისეულ (კალვინიზმი) ეკლესიებს მალე სხვა სახელწოდების, თეორიისა და პრაქტიკის ეკლესიები (დენომინაციები) მიემატნენ. კერძოდ: 1. ანაბაპტისტები (1521 წ., გერმანია. დამაარსებელია მემაუდე ნიკოლოზ შტორხი და თომას მიუნცერი), 2. მენონისტები (1536 წ., დამაარსებელი მღვდელი მენო სიმონსი), 3. ზომიერი ანაბაპტისტები (რომლებიც ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობას ქა-დაგებენ), 4. ბაპტისტები (იხ. ბაპტიზმი), 5. კვაკერები (იხ. მეგობართა საზოგადოება), 6. მეთოდისტები (1729 წ., ინგლისი; ქადაგებენ საეკლესიო წესების თანმიმდევრულად, მეთოდურად, პედანტურად დაცვას), 7. ხსნის არმია (იხ. ხსნის არმია), 8. ახალი სამოციქულო ეკლესია (იხ. ახალ-სამოციქულო ეკლესია) და სხვ. ამ მიმართულებათა ფორმირება „რელიგიური აღორძინების» (რივაილიზმის) ნიშნით მიმდინარეობდა და ადრეულ ქრისტიანობასთან დაბრუნების მოწოდებას შეიცავდა.

დენომინაციები, რომელთაც ახალ-პროტესტანტულ ეკლესიებს უწოდებენ, ლუთერის, კალვინისა და ცვინგლის აღმსარებლობას ბევრ საკითხში დაუპირისპირდნენ. ეს პირველ ყოვლისა, ბავშვთა ნათლობასა და სახელმწიფოში ეკლესიის ადგილის განსაზღვრაზე ითქმის. ახალპროტესტანტები ბავშვებს არ ნათლავენ და ეკლესიის სახელმწიფოსთან ინტეგრაციის წინააღმდეგ გამოდიან. ახალპროტესტანტული ეკლესიები ძველი, ლიტურგიკული პროტესტანტიზმისგან თავისუფალი ქადაგებისა და აქტიური მისიონერული მოღვაწეობისადმი განსაკუთრებული სიმპათიით გამოირჩევიან. ამის მიუხედავად, მათ ანგლიკანობასა და ტრადიციულ პროტესტანტობასთან ბევრი საერთო აქვთ. ესაა: საღვთო წერილისადმი ერთნაირი მიდგომა, მისი ავტორიტეტად აღიარება, მაგრამ ავტორიტეტის გარეშე ინტერპრეტაცია; სარწმუნოების ძველი სიმბოლოების ერთგულება, ერთარსება-სამების რწმენა, ეკუმენურ ორგანიზაციებსა და ფორუმებში მონაწილეობა და ა.შ. ახალპროტესტანტობას XIX-XX საუკუნეებში ულტრაპროტესტანტული ეკლესიების აღმოცენება მოჰყვა (ორმოცდაათიანელები, ქარიზმატული მოძრაობა), რომლის იქითაც, შეიძლება ითქვას, არის ზღვარი, სადაც პროტესტანტობა მთავრდება. პროტესტანტული ეკლესიების სიახლოვეს ე.წ. პარაქრისტიანული ეკლესიები მოიაზრებიან, რომელთა შორის არიან იეჰოვას მოწმეები, გაერთიანების ეკლესია (მუნიტები), უკანასკნელ დღეთა წმიდანების ეკლესია (მორმონები) და სხვ.

თანამედროვე პროტესტანტიზმში განსაკუთრებული მოვლენაა ე.წ. გაერთიანებული ეკლესიები, რომლებიც რამდენიმე განსხვავებული მიმდინარეობის პროტესტან-

ტული ეკლესიის შერწყმის შედეგად წარმოიქმნა. ასეთებია ევანგელური ეკლესია გერმანიაში (ლუთერანები + რეფორმატორები), კანადის ეკლესიის გაერთიანება (მეთოდისტები + პრესვიტერიანელები + კონგრეგაციონალისტები), ქრისტეს ეკლესიის გაერთიანება აშშ-ში (კონგრეგაციონალისტები + რეფორმატორები), ავსტრალიის გაერთიანებული ეკლესია (მეთოდისტები + პრესვიტერიანელები + კონგრეგაციონალისტები) და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ პროტესტანტული ეკლესიების დიდი უმრავლესობა სრულიად დამოუკიდებელია ეროვნულ (და არც ისე იშვიათად ადგილობრივ) დონეზე, XIX-XX საუკუნეებში შეიქმნა მთელი რიგი საერთაშორისო გაერთიანებები, რომლებმაც ერთმანეთთან დააკავშირეს მონათესავე პროტესტანტული დენომინაციები: ლამბეტის კონფერენცია (1867 წ.), რეფორმატორული ეკლესიის მსოფლიო ალიანსი (1875 წ.), რომელსაც, მას შემდეგ, რაც მას 1970 წელს კონგრეგაციონალისტები მიუერთდნენ, სახელი შეეცვალა და მსოფლიო რეფორმატორული ეკლესიების ალიანსი ეწოდა (პრესვიტერიანელებისა და კონგრეგაციონალისტებისა), მსოფლიო მეთოდისტური კრება (1881 წ., 1951 წ-მდე მსოფლიოს მეთოდისტური კონფერენცია), ბაპტისტების მსოფლიო კავშირი (1905 წ.), მენონისტების მსოფლიო კონფერენცია (1925 წ.), ქრისტეს ეკლესიის მსოფლიო კონვენცია (შეიქმნა 1930 წელს «ქრისტეს მოწაფეების» მიერ), კვაკერების (მეგობრების) მსოფლიო საკონსულტაციო კომიტეტი (1937 წ.), მსოფლიო ლუთერანული ფედერაცია (1947 წ.), მსოფლიო ორმოცდაათიანელთა კონფერენცია (1947 წ.). ზემოთჩამოთვლილი გაერთიანებები მხოლოდ საკონსულტაციო მიზნით შეიქმნა, ინფორმაციისა და გამოცდილების გასაზიარებლად და ასევე ერთმანეთის მხარდასაჭერად. ამ გაერთიანებებში არ შედის პროტესტანტიზმის ყველა მიმდინარეობა.

საყოველთაო მღვდლობის პრინციპი

პროტესტანტული ეკლესიების უმრავლესობას სწამს, რომ ყოველ ქრისტიანს, რაკიღა იგი გამორჩეულია იმით, რომ მონათლულია, თვითონ შეუძლია ღმერთთან ურთიერთობა, შუამავლების — ინსტიტუციონალური ეკლესიისა და მღვდლის — გარეშე, მეტიც, აქვს ქადაგებისა და ღვთისმსახურების უფლება. ამით პროტესტანტიზმში ქრება ეკლესიოლოგიური სხვაობა სასულიერო და საერო პირებს შორის და მარტივდება საეკლესიო იერარქია. აღსარება და ცოდვის მიტევება საიდუმლოდ არ მიიჩნევა, თუმცა უშუალოდ ღვთის წინაშე სინანულის აქტს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ცელიბატი ან, პირიქით, სავალდებულო ქორწინება მღვდლებისა და პასტორებისთვის რეგლამენტირებული არ არის. პროტესტანტიზმმა უარყო აგრეთვე იერარქიული ავტორიტეტი და მონაზვნობა, როგორც სულის ხსნის განსაკუთრებული გზა. შედეგად ეკლესიების უმრავლესობამ საყოველთაო მღვდლობის პრინციპი აღიარა, რითაც საზოგადოების დემოკრატიულ მოწყობას ჩაუყარა საფუძველი (სასულიერო და სამღვდელო პირების თანასწორობა, არჩევითობა, ანგარიშვალდებულება და ა.შ.). თუმცა იერარქია, თუნდაც გარკვეული სათემო წესრიგის აუცილებლობიდან გამომდინარე, ამა თუ იმ სახით (ფორმალურად თუ არაფორმალურად) მაინც შენარჩუნებულია. მღვდლები და პასტორები, როგორც წესი, გადიან პროფესიულ მომზადებას. ზოგან მონასტრების არსებობაც დაშვებულია კომუნების სახით.

პროტესტანტულ ეკლესიებს საეკლესიო მოწყობის სამი ძირითადი ფორმა აქვთ: ეპისკოპალური (როდესაც განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები საეკლესიო საზოგადოების წევრები ეპისკოპოსის მიერ იმართებიან), პრესვიტერიანული (ცალკეული, ერთმანეთთან ახლოს მყოფი ეკლესიები ქმნიან ერთობას, პრესვიტერიას, რომელსაც აქვს უფლება ამ ერთობაზე გარკვეული კონტროლი იქონიოს) და კონგრეგაციონალისტური (თითოეული საეკლესიო ერთობა, ფაქტობრივად, დამოუკიდებელია). ერთმანეთისგან განსხვავებული საეკლესიო მოწყობის მიუხედავად, თანამედროვე პროტესტანტულ კონფესიებს, ჩვეულებრივ, ნაციონალურ დონეზე აქვთ რაიმე გაერთიანება, თუმცა ამ ორგანიზაციების როლი განსხვავებულია: ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვან ძალაუფლებას ფლობს, ზოგს კი მხოლოდ საკონსულტაციო და ინფორმაციული ფუნქციები აქვს.

მსახურება

პროტესტანტიზმმა შეამცირა საეკლესიო საიდუმლოთა რიცხვი და შვიდიდან ორამდე დაიყვანა — დატოვა მხოლოდ ნათლობა და ზიარება. გარდა ამისა, პროტესტანტები გარდაცვლილთა სულებისათვის მეოხებისა და ასევე წმიდანებისადმი ლოცვის პრაქტიკასაც არ იზიარებენ, არ მართავენ მათ საპატივცემულოდ საეკლესიო დღესასწაულებს. ამავე დროს წმიდანი შეიძლება მისაბაძი გახდეს, როგორც ნიმუში მართალი ცხოვრებისა. პროტესტანტული ეკლესიები უარყოფენ წმიდა ნაწილების თაყვანისცემას, როგორც საღვთო წერილთან შეუსაბამო მოვლენას. ხატისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია — სრული უარყოფით დაწყებული დამთავრებული მოსაზრებით, რომ ხატის თაყვანისცემა ქრისტეს პირველხატის პატივისცემასთან არის დაკავშირებული.

ღვთისმსახურების პრაქტიკა პროტესტანტულ ეკლესიებში ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება, თუმცა ყველა მათგანთან შეინიშნება სწრაფვა ლიტურგიკული მხარის შეკვეცაზე, აქცენტი ქადაგებასა და წმინდა წერილის კითხვაზე კეთდება. თუმცა ეს ტენდენცია პროტესტანტებს შორის თანაბრად არ შეინიშნება მაგალითად, თუ ანგლიკანურ და ლუთერანულ ეკლესიებში კათოლიკური მესის მსგავსი მსახურება, თუმცა ძალიან გამარტივებული ფორმით, მაგრამ მაინც აღესრულება, კვაკერებმა და ხსნის არმიამ საერთოდ უარყვეს ნებისმიერი სახის ტრადიციული მსახურება.

პროტესტანტების სამლოცველო სახლები, როგორც წესი, სადაა მოწყობილი (ქანდაკებებისა და ხატების გარეშე), რაც თვითმიზანს არ წარმოადგენს — უბრალოდ, მიიჩნევა, რომ «დეკორაცია» აუცილებელი არ არის. ეკლესია შესაძლებელია განთავსებული იყოს ნებისმიერ შენობაში, რომელსაც ქირაობენ ან იძენენ იმავე პირობით, რა პირობითაც საერო ორგანიზაციები ქირაობენ და იძენენ ოფისს. პროტესტანტები ღვთისმსახურებას, რაც ძირითადად ქადაგების, ფსალმუნთა კითხვისა და გალობისაგან შედგება, ნაციონალურ ენაზე ასრულებენ. ზოგიერთი ეკლესია, მაგალითად, ლუთერანული, გამორჩეულ ყურადღებას უთმობს ზიარებას, რომლის მისაღებად კონფირმაცია მოითხოვება. ძირითადად სახარებისეულ დღესასწაულებს აღნიშნავენ: შობას, აღდგომას, სულთმოფენობასა და სხვ.

თეოლოგია

პროტესტანტული ღვთისმეტყველების საბოლოო ფორმირება XVII საუკუნეში მოხდა და იგი შემდეგი დოკუმენტებითაა გადმოცემული: 1563 წლის ჰაიდელბერგის კატეხიზმოთი, 1580 წლის თანხმობის წიგნით, 1618-1619 წლების დორტის სინოდის კანონითა და 1633-1649 წლების ვესტმისტერული რწმენის დოქტრინით.

პროტესტანტულმა ღვთისმეტყველებამ განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა, მათგან ძირითადია: 1. XVI საუკუნის ორთოდოქსული თეოლოგია (ლუთერი, კალვინი, მელანქტონი, ცვინგლი), 2. XVIII-XIX საუკუნეების ლიბერალური თეოლოგია (შლაიერმახერი, ტროლჩი, ჰარნაკი), 3. პირველი მსოფლიო ომის დროს წარმოშობილი „კრიზისის თეოლოგია» ანუ დიალექტიკური თეოლოგია (კ. ბარტი, პ. ტილიხი, რ. ბულტმანი), 4. მეორე მსოფლიო ომის დროს გავრცელებული რადიკალური, ანუ „ახალი» თეოლოგია (ბონჰიოფერი).

კლასიკური პროტესტანტული ღვთისმეტყველებისთვის დამახასიათებელია მკაცრი დამოკიდებულება ფუნდამენტური ეკლესიოლოგიური ასპექტების მიმართ, რაც მოიცავს რწმენის საკითხებს, საიდუმლოებებს, ხსნას, მოძღვრებას ეკლესიის შესახებ, მისთვის ნიშანდობლივია, აგრეთვე, საეკლესიო ცხოვრების გარეგნულ რიტუალურ მხარეებზე ყურადღების გამახვილება.

გვაინდელი მიმდინარეობები ხშირად საკუთარ დოქტრინებს ქმნიან, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ არიან დაკავშირებული კლასიკურ საღვთისმეტყველო მემკვიდრეობასთან. მაგალითად, ადვენტისტები აღიარებენ ელენ უაითის წინასწარმეტყველებას. ორმოცდაათიანელები, ორთოდოქსი პროტესტანტი თეოლოგებისაგან განსხვავებით, ყურადღებას აქცევენ გლოსოლალიას (სხვადასხვა ენებზე მეტყველებას) და ამას სულიწმიდით ნათლობის ნიშნად მიიჩნევენ.

პროტესტანტიზმის გავრცელება

დღესდღეობით პროტესტანტიზმი ყველაზე მეტად გავრცელებულია სკანდინავიის ქვეყნებში, აშშ-ში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, კანადასა და შვეიცარიაში. თანამედროვე პროტესტანტიზმის მსოფლიო კერად აშშ-ს მიიჩნევენ, სადაც ბინა დაიდო ბაპტისტების, ადვენტისტებისა და სხვა პროტესტანტული ეკლესიებისა და დენომინაციების რელიგიურმა ცენტრებმა.

პროტესტანტიზმი ერთ-ერთი იმ აღმსარებლობათაგანია, რომელიც დღეს მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება. ბოლო 30 წლის განმავლობაში ბრაზილიის მოსახლეობის 15-20%, ჩილეს მოსახლეობის 15-25%, გვატემალის მოსახლეობის ერთი მესამედი, სამხრეთ კორეის მოსახლეობის თითქმის ნახევარი პროტესტანტი გახდა. სხვადასხვა მონაცემებით, ბოლო 15 წლის განმავლობაში პროტესტანტული ქრისტიანობა შუა აზიაში მცხოვრებმა 500 ათასზე მეტმა მუსლიმმა მიიღო. დღეისათვის მსოფლიოში პროტესტანტების რაოდენობა 600 მილიონს აღწევს.

თანამედროვე პროტესტანტიზმს ინტეგრაციისაკენ სწრაფვა გამოარჩევს, რამაც თავისი გამოხატულება 1948 წელს შექმნილ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში პოვა (იხ. ეკუმენიზმი).

სტატია მომზადებულია ტოლერანტობის ცენტრის მიერ

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია ერთ-ერთი უდიდესი პროტესტანტული ეკლესიაა. დღეს მსოფლიოში არსებული 220-ზე მეტი ლუთერანული ეკლესია, მისია და დამოუკიდებელი სამრევლო სათავეს იღებს იმ რეფორმატორული მოძრაობიდან, რომელიც გვიანი შუასაუკუნეების კათოლიკური ეკლესიის წიაღში აღმოცენდა და XVI საუკუნეში მოღვაწე გერმანელი თეოლოგის, მარტინ ლუთერისა და მისი მიმდევრების სახელთანაა დაკავშირებული.

სახელი ევანგელური რეფორმაციის პერიოდიდან მოდის და ხაზს უსვამს რწმენის ძირითად საფუძვლად სახარების გამოყენების პრინციპს. ტერმინ ლუთერანულს თავდაპირველად კათოლიკეები (adversos Lutheranos, et alios hostes Ecclesiae, იოჰანეს ეკი, 1520 წ.) იყენებდნენ და ამით ისინი ლუთერის მიმდევრებს მწვალებლებად ახასიათებდნენ. მოგვიანებით თავად ლუთერანებმაც დაიწყეს ამ ტერმინით საკუთარი თავის აღნიშვნა.

მარტინ ლუთერი და ლუთერანები

მარტინ ლუთერი კათოლიკე ბერი და ღვთისმეტყველების დოქტორი იყო. იგი დიდ დროს უთმობდა წმიდა წერილის შესწავლას. კვლევის პროცესში მას კრიტიკული დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა კათოლიკურ ეკლესიაში გავრცელებული ზოგიერთი წესის მიმართ. თავდაპირველად მარტინ ლუთერს კათოლიკური ეკლესიის რეფორმა სურდა და მიზნად არ ისახავდა ეკლესიის გაყოფას. ლუთერის პირველი რეფორმატორული ნაბიჯი კათოლიკურ ეკლესიაში გავრცელებული ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ გალაშქრება იყო. ეს წესი ეკლესიისთვის შემოწირულობის ხარჯზე ცოდვის გამოსყიდვას ან შემსუბუქებას გულისხმობდა. 1517 წლის 31 ოქტომბერს ლუთერმა 95 თეზისი გააკრა ვიტენბერგის ტაძრის კარზე, რომლითაც ხალხს მოუწოდა ინდულგენციებით ვაჭრობის მართებულობაზე დაფიქრებულიყო. 95 თეზისით ლუთერმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა რომის პაპის ავტორიტეტი. რწმენის უმთავრეს და ერთადერთ ავტორიტეტად კი ბიბლია გამოაცხადა.

კათოლიკური ეკლესიის მხრიდან, უკმაყოფილების მიუხედავად, 1517 და 1520 წლებში ლუთერი აქტიურად ქადაგებდა და აქვეყნებდა კრიტიკულ თხზულებებს შერყვნილი დოქტრინის თაობაზე. ინდულგენციებით ვაჭრობის კრიტიკა რომის პაპის კრიტიკად იქნა აღქმული და ამით დაიწყო დიდი დაპირისპირება, რომელიც ეკლესიის გაყოფით დამთავრდა.

ლუთერს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, თუმცა გავლენიანი მტრებიც არ აკლდა. რომის პაპმა მას მოუწოდა უარი ეთქვა თავის იდეებზე. ლუთერმა დაწვა პაპის ბულა, რასაც მისი და მისი მომხრეების ეკლესიიდან განდევნა მოჰყვა 1521 წლის იანვარში.

1521 წლის 16 აპრილს ლუთერი ვორმსში წარდგა სამსჯავროს წინაშე, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მხოლოდ წმიდა წერილს ეყრდნობოდა და არა პაპის ავტორიტეტს. მოგვიანებით გამოიცა ვორმსის ვერდიქტი, რომელმაც ლუთერი და მისი მომხრეები კანონგარეშედ გამოაცხადა.

ლუთერის იდეები სწრაფად გავრცელდა. ლუთერი თარგმნიდა ბიბლიას გერმანულად, ურთავდა წინასიტყვაობას, განმარტებებს, აქვეყნებდა თავის ქადაგებებს. საჰერცოგოების ნაწილმა გაიზიარა ლუთერის ნააზრევი და მოგვიანებით, როცა 1529 წელს მისი ნაწერების გავრცელება აიკრძალა, მათ ეს ახალი დადგენილება გააპროტესტეს. მათ, ვინც ვორმსის ედიქტს აპროტესტებდა, პროტესტანტები ეწოდათ. მოგვიანებით ეს სახელი შეერქვა იმ რელიგიურ მოძრაობებს, რომლებიც XVI საუკუნეში რომაულ-კათოლიკურ ტრადიციას ეწინააღმდეგებოდნენ.

ლუთერანული მიმდინარეობა ცალ-კე ეკლესიად ჩამოყალიბდა 1530 წელს აუგსბურგში რაიხსტაგის შეკრების შემდეგ. ამ კრებაზე ფილიპ მელანქთონმა წარმოადგინა ლუთერანული რწმენის ძირითადი პრინციპები, რომელიც აუგსბურგის აღმსარებლობის სახელითაა ცნობილი. ამ აღმსარებლობას ეყრდნობიან ლუთერანული ეკლესიები დღესაც.

პროტესტანტული რეფორმატორული მოძრაობა სწრაფად გავრცელდა, განსაკუთრებით, ევროპის ჩრდილოეთ ქვეყნებში. ახლადჩამოყალიბებული, რეფორმირებული ეკლესიები ლუთერის დიდ და მცირე კატეხეზისს (1529 წ.), აუგსბურგის აღმსარებლობას (1530 წ.), აუგსბურგის აღმსარებლობის აპოლოგიას (1531 წ.), ლუთერის შმალკალდურ პარაგრაფებს (1537 წ.) და მელანქთონის ტრაქტატს პაპის ძალმომრეობისა და პრიმატის შესახებ (1537 წ.) ეყრდნობოდნენ. დავა ამ ნაწერების სწორად ინტერპრეტირების გამო XVI საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა. საბოლოოდ მიღწეული იქნა შეთანხმება და 1577 წელს შეიმუშავეს თანხმობის (კონკორდიის) ფორმულა, რომლითაც საერთო თეოლოგიური საფუძველი აღდგა. 1580 წელს გამოქვეყნდა თანხმობის წიგნი, ლუთერანული აღმსარებლობის კორპუსი, რომელშიც შევიდა ლუთერანული აღმსარებლობის ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი თხზულება, 1577 წლის თანხმობის ფორმულა და სამი ძველი საეკლესიო მრწამსის აღიარება (ეკუმენური კრედო): აპოსტოლიკუმი, ნიკენუმი (ნიკეას მრწამსი) და ათანასიანუმი (ათანასე დიდის მრწამსი).

საერთო აღმსარებლობას არ შეუშლია ხელი ლუთერანული ეკლესიების დაყოფისთვის და არ დაუცავს ისინი სხვადასხვა გავლენისაგან, იქნებოდა ეს პიეტიზმი, განმანათლებლობა, რაციონალიზმი, იდეალიზმი თუ სხვ. (XX საუკუნეში გაძლიერდა ეკუმენური მოძრაობა).

ამჟამად დაახლოებით 82.6 მილიონი ლუთერანია მთელ მსოფლიოში.

მოძღვრება

ლუთერანულ მოძღვრებაში ძირითადია გამართლების დოქტრინა. ლუთერისთვის ქრისტეში სულის ხსნა წმიდა წერილის ცენტრალური ნაწილია. ლუთერანებს სწამთ, რომ ადამიანის ხსნა ცოდვებისგან შესაძლებელია მხოლოდ ღვთის მადლის გამო (sola gratia), რწმენის მეშვეობით (sola fide). გამართლებას ადამიანი აღწევს ბოლოს მხოლოდ ქრისტეს ამქვეყნად მოვლენის წყალობით (solus Christus). წმიდა წერილი შეიცავს ამ ჭეშმარიტებას და თითოეული ადამიანის უფლებაა თავად მივიდეს ღმერთთან საღმრთო სიტყვის მეშვეობით. ლუთერანული თეოლოგიისთვის ცენტრალური მნიშვნელობისაა წმიდა წერილის თვითკმარობის და მისი, როგორც ერთადერთი ავტორიტეტის აღიარება (sola scriptura).

საღმრთო სიტყვას ლუთერანულ თეოლოგიაში აქვს ნორმის დამდგენი (norma normans) ფუნქცია. ბიბლია, როგორც ღვთისგან შთაგონებული წიგნი, არის ღვთაებრივის შესახებ ყველანაირი ცოდნის წყარო. ასე რომ, მხოლოდ წმიდა წერილი (sola scriptura) არის რწმენის ფორმალური პრინციპი. წმიდა წერილი არის ღვთის სიტყვა და მხოლოდ მას უნდა ვეყრდნობოდეთ რწმენაში და ღვთისმსახურებისას. ღმერთს ვხვდებით სიტყვაში. წმიდა წერილს არ სჭირდება განმარტება. იგი თავად განმარტავს საკუთარ თავს: «წერილი, საკუთარი თავიდან გამომდინარე, არის სრულიად უეჭველი, სრულიად მარტივად გასაგები, სრულიად ნათელი, თვითგანმმარტავი, ყველაფრიდან ყველაფრის შემმოწმებელი, განმსჯელი და განმანათლებელი» (WA 7, 97, 23f Assertio omnium articulorum…, 1520). ნათქვამ, ნაქადაგებ სიტყვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ადამიანის ხსნა ხორციელდება მხოლოდ მადლის გამო, ანუ იგი (მადლი) თავისთავად მოდის ღვთისგან, რადგან ღმერთი გულმოწყალეა და არა იმ საქმეების გამო, რასაც ადამიანი სჩადის. ამგვარად ყალიბდება ლუთერანული სარწმუნოების მეორე ძირითადი პრინციპი sola gratia: სულის ხსნა შესაძლებელია მხოლოდ ღვთის მადლით და ეს მადლი ებოძა ადამიანს ქრისტეს ამქვეყნად მოვლინებით. ადამიანის გამართლების საფუძველი არის ქრისტე. ღმერთი პატიობს ადამიანს ყველა ცოდვას და ამას აკეთებს არა იმის გამო, რომ ადამიანი უცოდველია, არამედ ქრისტეს გამო, რომელიც ევნო და მკვდრეთით აღდგა (solus Christus).

ლუთერის მიხედვით, ქრისტეში გამოცხადებული ღმერთი ხდება სულის ხსნის ღმერთი. ადამიანის სულის ხსნა შესაძლებელია მისი რწმენის გზით, sola fide. რწმენა ერთადერთი გზაა ლუთერანებისთვის, რომლითაც ადამიანი ღვთის წყალობას იღებს. ეს რწმენა არის სულიწმიდის ძღვენი. რწმენის გზით შეიმეცნებს მორწმუნე ღვთის სიყვარულს, ქრისტეს მეშვეობით, რომელიც ჩვენი ცოდვებისთვის ჯვარს ეცვა.

ორგანიზაცია

ლუთერანული ეკლესიის ორგანიზაციული სტრუქტურა რწმენის პრინციპებიდან გამომდინარე ნაკლებად იერარქიულია. ლუთერის მიხედვით, ყოველი მორწმუნე სასულიერო პირია, ამიტომ წაშლილია განსხვავება სამღვდელო და საერო პირებს

შორის. შესაბამისად, ორდინაცია არის არა წმიდა საიდუმლო, რომლითაც მღვდლად კურთხევა ხდება, არამედ მღვდლად დასახელება მრევლის მიერ.

სამრევლოს რელიგიური ხელმძღვანელი არის პასტორი. მას უმეტესად მრევლი ირჩევს. იგი აუცილებლად უნდა იყოს ორდინირებული თეოლოგი.

რეგიონალური ნიშნით გაერთიანებული სამრევლოების პასტორებს ეპისკოპოსი ხელმძღვანელობს. იგი, ძირითადად, არჩეულია გარკვეული ვადით (ან გარდაცვალებამდე) სინოდის მიერ, რომელიც ლუთერანული ეკლესიების სათათბირო და კანონმდებელ ორგანოს წარმოადგენს. ეპისკოპოსები არ გადიან ცალკე ორდინაციას, ხდება მხოლოდ მათი შეყვანა თანამდებობაზე. ეპისკოპოსი არ ითვლება პასტორზე უფრო მაღალ სასულიერო პირად, მას უფრო ორგანიზატორული ფუნქცია აქვს. არ არსებობს წმიდა საიდუმლო, რომლის შესრულებაც მხოლოდ ეპისკოპოსს შეუძლია.

ეპისკოპოსი, ისევე როგორც პასტორი, ლუთერანული ეკლესიების უმეტესობაში შეიძლება იყოს ქალიცა და მამაკაციც.

სინოდის შეკრების წესს, სიხშირეს და კონკრეტულ ფუნქციებს ადგენს ეკლესია კონსტიტუციით.

რიტუალები

თავად ლუთერმა შეიმუშავა ღვთისმსახურების გარკვეული თანამიმდევრობა, თუმცა არ არსებობს ყველა ლუთერანული ეკლესიისთვის სავალდებულო ერთი განაწესი. ეკლესია თავისუფალია ღვთისმსახურების წესისა და ეკლესიის შინაგანაწესის დადგენისას. ეკლესიებს აქვთ თავიანთი აგენდა (ტიპიკონი), რომელშიც განსაზღვრულია ღვთისმსახურების ელემენტების თანამიმდევრობა, საკითხავები, ლოცვები, საგალობლები.

წირვის ცენტრალური ელემენტებია ქადაგება და საკრამენტი (საიდუმლო).

ეკლესია შექმნილია ღვთის მიერ სიტყვის საშუალებით, მისით საზრდოობს და ძლიერდება, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქადაგებას. ქადაგებაში წარმოთქმული ღვთის სიტყვა ამყარებს რწმენას და ქმნის ეკლესიას, რომელიც ყველა მორწმუნის თავშეყრის ადგილია.

წმიდა საიდუმლოებებთან მიმართებით ლუთერანული ეკლესია განსხვავდება სხვა ეკლესიებისგან. ლუთერისთვის წმიდა საიდუმლოს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი რწმენის გამყარებას უწყობს ხელს. მხოლოდ ორი საკრამენტი ითვლება წმიდა საიდუმლოდ: ნათლობა და ზიარება.

ლუთერი ნათლობაში ხედავდა ღმერთის გაცხადებულ თანხმობას, ქრისტეს გამო ყველა ცოდვა შეუნდოს ადამიანს. ნათლობა არის კავშირი ღმერთთან. მონათლული ჰპირდება ღმერთს, რომ ყოველდღიურად უკუაგდებს ცოდვას. ნათლობა ერთჯერადი აქტი არ არის, იგი ყოველდღიურად უნდა განმეორდეს.

ევანგელიურ-ლუთერანულ ეკლესიაში გავრცელებულია კონფირმაციის რიტუალი. მოზარდობის პერიოდში, ჩვეულებრივ 14 წლის ასაკში, ლუთერანები გადიან კონ-ფირმაციას, რაც ნათლობის კიდევ ერთხელ დადასტურებას ნიშნავს. კონფირმაციას ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: 1. ნათლობის დადასტურება და ამით ეკლესიის წევრობის აღიარება, 2. საეკლესიო სწავლების დასრულება და მოზარდთა საეკლესიო ცხოვრებაში ჩაბმა.

კონფირმაციას წინ უძღვის კონფირმაციის გაკვეთილები, რაც ბავშვის რელიგიურ აღზრდას გულისხმობს. ზოგ ლუთერანულ ეკლესიაში მხოლოდ კონფირმაცი-აგავლილს შეუძლია ზიარების მიღება.

კონფირმაციის რიტუალი ტარდება საზეიმო ვითარებაში და მოზარდი თავად ადასტურებს იმას, რაც მის მაგივრად ყრმობისას მისმა მშობლებმა და ნათლიებმა თქვეს. პასტორი ურჩევს კონფირმანდს ნაწყვეტს ბიბლიიდან, რომელიც მას მთელი ცხოვრება თან უნდა ახლდეს, და ხელდების რიტუალს ატარებს.

ლუთერანებს სწამთ, რომ ზიარებისთვის განკუთვნილ ღვინოსა და პურში ქრისტეს სისხლი და ხორცია წარმოდგენილი. ამ რწმენას ჰქვია ერთიანობა საკრამენტში. ლუ-თერანები უარყოფენ იდეას, რომ ზიარება გახსენებაა ან, უბრალოდ, სიმბოლო. ლუთერანული ზიარებისას პური და ღვინო ურიგდება ღვთისმსახურების ყველა მო-ნაწილეს.

აუგსბურგის აღმსარებლობაში ნათქვამია, რომ ლუთერანები წირვის არსებულ წესს კი არ უარყოფენ, არამედ მის წმიდა სახეს იცავენ: «ჩვენს შორის ღვთისმსახურება იზეიმება ყოველდღე და ყოველ დღესასწაულზე, როდესაც ზიარება გაიცემა მათზე, ვისაც მისი მიღება სურს.... ჩვენ ტრადიციულ ლიტურგიულ ფორმებსაც ვიცავთ, როგორიცაა საკითხავების თანამიმდევრობა, ლოცვები, შესამოსავი და სხვ.» (აუგსბურგის აღმსარებლობა, XXIV.1).

ლუთერანული ეკლესია უარყოფს მარიამ ღვთისმშობლის და წმინდანების თაყვანის-ცემას, საეკლესიო იერარქიას და ბერმონაზვნობას. ამქვეყნიური ცხოვრებაც ღვთის ძღვენია და ადამიანის აქტიური მონაწილეობა აუცილებელია ღვთის ქმნილების შესანარჩუნებლად და გასაგრძელებლად. აქედან გამომდინარეობს ოჯახისადმი და ქორწინებისადმი დამოკიდებულებაც. პასტორებს შეუძლიათ იქორწინონ. თავად ლუთერიც ყოფილ მონაზონზე, კატარინა ფონ ბორაზე იყო დაქორწინებული და ცოლ-ქმრულ კავშირს ამქვეყნიურ სიქველედ მიიჩნევდა. ლუთერანულ ეკლესიაში ქორწინების რიტუალი სეკულარულ მოვლენადაა მიჩნეული და წმიდა საიდუმლოდ არ ითვლება. ჯვრისწერას მხოლოდ რიტუალური მნიშვნელობა აქვს.

ლუთერანული ეკლესია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ღვთისმსახურებისადმი ლიტურგიკულ დამოკიდებულებას, თუმცა არალიტურგიკული განშტოებებიც არ-სებობს. ღვთისმსახურებისას განსაკუთრებულ როლს ასრულებს მუსიკა და საგალობლები. ლუთერი თავადაც წერდა საგალობლებს. იგი 40-მდე საგალობლის ავ-ტორია. ლუთერანული საგალობლები მდიდარია საღვთისმეტყველო შინაარსით და

მუსიკალური მრავალფეროვნებით. ისინი ხშირად ავრცობენ ქადაგებას. ლუთერანული ეკლესიისთვის ქმნიდა მუსიკას იოჰან სებასტიან ბახი.

ლუთერანულ ეკლესიაში არსებითი მნიშვნელობა აქვს თეოლოგიურ-დიდაქტიკურ ელემენტს. მთელ მსოფლიოში არსებობს ბევრი ლუთერანული სკოლა, კოლეჯი და სემინარია. თავად ლუთერს ეკუთვნის დიდი და მცირე კატეხიზმოები, სადაც იგი რწმენის ძირითად პრინციპებს განმარტავს ბავშვებისა და სასულიერო პირებისათვის. ეკლესიებში, როგორც წესი, მოქმედებს საკვირაო სკოლები, ზოგიერთ ეკლესიასთან არსებობს საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

XVIII საუკუნის შუა წლებიდან ლუთერანულ ეკლესიასთან ჩამოყალიბდა ე. წ. დიაკონური მოძრაობა, რომლის ძირითადი მიზანი გაჭირვებაში მყოფი ადამიანების დახმარებაა. დიაკონურ საქმიანობას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ლუთერანულ ეკლესიაში. ჯერ კიდევ რეფორმაციის ადრეულ პერიოდში ლუთერმა ლაისნიგის (დრეზდენთან, გერმანიაში) სამრევლოსთვის შეადგინა „საერთო სალაროს განაწესი“ (1523 წ.), რომელშიც სხვა წესებთან ერთად დადგენილი იყო, როგორ უნდა დაეხმარონ საერთო სალაროდან გაჭირვებულებს, ავადმყოფებს, ქვრივებსა და ობლებს. ამისთვის საგანგებოდ იყო გამოყოფილი ხალხი. ლუთერისთვის ქრისტიანული ცხოვრება დიაკონიის გარეშე არასრული იყო.

დიაკონურ საზოგადოებებში, ძირითადად, ქალები არიან ჩართულნი. ქალები, ზოგადად, აქტიურ როლს ასრულებენ ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიაში.

ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიას თავისი ლიტურგიკული ფერები აქვს: თეთრი, იისფერი, ვარდისფერი, მწვანე, წითელი, ლურჯი და შავი. თითოეული ფერი შეესაბამება წლის ამა თუ იმ პერიოდს და იმ პერიოდის საეკლესიო დღესასწაულებს. შესაბამისად, არჩევენ ფერებს პარამენტებისთვის საკურთხეველზე და კათედრაზე, პასტორის სამოსზე და სხვ. საკითხავები და ქადაგების ტექსტები საეკლესიო წლის შესაბამისად არის წარმოდგენილი ევანგელური საკითხავების წიგნში.

საეკლესიო წელი სამ მთავარ პერიოდად იყოფა: შობის პერიოდი, აღდგომის პერიოდი, სამების პერიოდი. საეკლესიო წლის უმთავრესი დღესასწაულებია: შობა, რომელსაც წინ უძღვის ადვენტი (შობის მოლოდინი) და მოსდევს ეპიფანია (ქრისტეს გამოცხადება), აღდგომა, რომელსაც წინ უძღვის ვნების კვირა, აღდგომის შემდეგ ამაღლება და სულთმოფენობა. სამების პერიოდის დღესასწაულებიდან გამოსაყოფია მოსავლის დღესასწაული და რეფორმაციის დღე.

ლუთერანული ეკლესიების არქიტექტურა სისადავით გამოირჩევა. სიტყვასა და საკრამენტს ლუთერანულ ეკლესიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაც მის არქიტექტურაშიც აირეკლება. ეკლესიის ცენტრს, ძირითადად, კათედრა წარმოადგენს, რომლიდანაც პასტორი ქადაგებს. საეკლესიო სივრცის აუცილებელი ელემენტია ემბაზი და, უმეტეს შემთხვევაში, საკურთხეველი.

XVI საუკუნეში ძველ კათოლიკურ ეკლესიებს იყენებდნენ ლუთერანული წირვებისთვის და მხოლოდ შიდა სივრცის გადაკეთებით კმაყოფილდებოდნენ. მოგვიანებით, როდესაც ლუთერანული ეკლესიების მშენებლობა დაიწყეს, ჩამოყალიბდა

არქიტექტურის ლუთერანული სტილი. პირველი ასეთი ნაგებობა აშენდა ტორგაუში, ვიტენბერგის ახლოს (გერმანია) და ხასიათდება დიდი, ცენტრალური სივრცით, რომლის ცენტრშიც დგას კათედრა ქადაგებისთვის, იქვეა საკურთხეველი, რაც ხაზს უსვამს ღმერთის რეალურ ყოფნას, ხოლო მის წინ ემბაზია.

ლუთერანულ მიმდინარეობას დიდი კულტურული და ინტელექტუალური გავლენა ჰქონდა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებზე. მძლავრი იყო ლუთერანობის გავლენა მუსიკოსებზე: იოჰან სებასტიან ბახზე, მიხაელ პრეტორიუსზე, ჰაინრიხ შიუტცზე; არანაკლები გავლენა მოახდინა ფილოსოფიაზე. ლუთერანული „წარმომავლობის“ მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ: კანტი, ფიხტე, ჰეგელი და კირკეგორი თავიანთი იდეების ჩამოყალიბებისას ითვალისწინებდნენ ლუთერანულ ტრადიციას, დიალოგი ჰქონდათ მასთან და ზოგჯერ უპირისპირდებოდნენ კიდეც მას. ლუთერანულმა მიმდინარეობამ შვა ცნობილი მკვლევრები და საზოგადო მოღვაწეები: დ. ფ. შტრაუსი, ალბერტ შვაიცერი, თეოლოგები: რუდოლფ ოტო, პაულ ტილიხი, ალბრეხტ რიჩლი და სხვ.

ლუთერანული ეკლესია საქართველოში

საქართველოში ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის აღმოცენება XIX საუკუნის დამდეგს კავკასიაში გერმანელების ჩამოსახლების პროცესს უკავშირდება. 1817-1818 წლებში ვიურტემბერგიდან, შვაბიიდან მრავალი ოჯახი დაიძრა აღმოსავლეთისკენ. მათი აყრის მიზეზი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა იყო, რომელსაც რელიგიური მოსაზრებებიც დაემატა: შვაბების ერთი ნაწილი XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწე იოჰან ალბრეხტ ბენგელის პიეტისტური თეოლოგიის მიმდევარი იყო. ბენგელმა გამოთვალა, რომ 1836 წლისათვის ქრისტეს მეორედ მოსვლა უნდა ყოფილიყო. მორწმუნეები ეძებდნენ ადგილს, სადაც ყველაზე მეტად დაცულები იქნებოდნენ მეორედ მოსვლამდე და გადაწყვიტეს, კავკასიაში, არარატის მთასთან ახლოს დასახლებულიყვნენ, ნოეს კიდობნის ბიბლიურ ნავთსაყუდელთან. ყველა ამ მიზეზს დაემატა ალექსანდრე I-ის მოგზაურობა შვაბიაში 1809 წელს და იქაური ოჯახების მოპატიჟება კავკასიაში.

ასეულობით შვაბური ოჯახი დათანხმდა ალექსანდრე I-ის წინადადებას და კავკასიაში გადმოსახლდა. 1818 წლის ბოლოს საქართველოში ექვსი შვაბური ე. წ. კოლონია დაარსდა: ალექსანდერსდორფი (დღევანდელი დიდუბე), ელიზაბეტტალი (ასურეთი), პეტერსდორფი (იორზე), ანენფელდი (შამქორი აზერბაიჯანში), ჰელენენდორფი (ქანლარი აზერბაიჯანში) და კატარინენფელდი (ბოლნისი). მეშვიდე კოლონია, მარიენფელდი (სართიჭალა), 1817 წელს შვაიკჰაიმიდან ჩამოსახლებულმა კოლონისტებმა დააარსეს. ამ კოლონიებს მოგვიანებით კიდევ რამდენიმე დასახლება დაემატა, მათ შორის ნოი-ტიფლისი.

ეპიდემიებისა და სპარსთა თავდასხმების მიუხედავად, კავკასიაში დასახლებულმა შვაბებმა, დიდი შრომისმოყვარეობის წყალობით, საყოველთაო კეთილდღეობას მიაღწიეს და მთელი ქვეყნისთვის სამაგალითონი გახდნენ.

ისინი მტკიცედ იცავდნენ ლუთერანულ ტრადიციებს. ყველა დასახლებაში (გარდა მარიენფელდისა) გაიხსნა სამლოცველო სახლი. მრევლს ჰყავდა თავისი სასულიერო ხელმძღვანელი, რომელიც ქადაგებას კითხულობდა კვირაობით და დღესასწაულებზე, უძღვებოდა ნათლობას, ქორწინებას, ქრისტიანულად მარხავდა მიცვალებულებს. 1823 წელს ბაზელიდან მისიონერები ჩამოვიდნენ. ერთ-ერთმა მისიონერმა, ავგუსტ ჰაინრიხ დიტრიხმა, პირველი სინოდი მოიწვია და სამრევლოებს შინაგანაწესი დაუწესა.

პირველი პასტორი, იოჰან ბერნჰარდ სალტეტი, მისიონერი ბაზელიდან, 1824 წელს ჩამოვიდა საქართველოში. მისი მოღვაწეობის პერიოდში გაცხოველდა სამრევლოების ცხოვრება და დაიწყო ეკლესიის მშენებლობა. კომუნისტურ პერიოდამდე პასტორები საქართველოში, ძირითადად, ვიურტემბერგიდან გამოგზავნილი განსწავლული თეოლოგები იყვნენ, თუმცა გარკვეულ პერიოდში პიეტისტური მიმდინარეობა გაძლიერდა. პასტორებს გასამრჯელოს სახელმწიფო უხდიდა, მრევლი უზრუნველყოფდა მათ ბინით, შეშითა და სამეურნეო მიწით, საძოვრით ან ვენახით.

საქართველოში გადმოსახლებულმა კოლონისტებმა თავდაპირველად სამლოცველო სახლები ააშენეს და იქ მართავდნენ ღვთისმსახურებას. მოგვიანებით სამლოცველო სახლები ეკლესიებმა შეცვალა. 1854 წელს კატარინენფელდში „დომი“ ააგეს, 1856 წელს ჰელენენდორფის ეკლესია აშენდა, ხოლო 1871 წელს — ელიზაბეტტალისა. ყველა ეს ეკლესია ე. წ. ისტორიული სტილით იყო ნაგები, ნეოგოთიკის გამარტივებულ ელემენტებს შეიცავდა. ყველა ეკლესიაში იყო ორღანი, კედლის ღუმელი, გრძელი სკამები და სამრეკლო ორი ან სამი ზარით, იმის მიხედვით, თუ რა მატერიალური შესაძლებლობისა იყო სამრევლო. თბილისში ეკლესიის მშენებლობა იოჰან ბერნჰარდ სალტეტის მისიონერული მოღვაწეობის დროს დაიწყო. მშენებლობამ ექვს წელს გასტანა და 1834 წელს დასრულდა. ეს იყო ლამაზი, ნეორომანული სტილის სვეტებით შემკული, ყვითლად შეღებილი ქვის ეკლესია, რომელმაც ძველი სამლოცველო სახლი შეცვალა. თვით სალტეტი მშენებლობის დასრულებას არ მოსწრებია: იგი 1830 წელს გარდაიცვალა თბილისში ქოლერის ეპიდემიის დროს.

მეორე ეკლესია ნოი-ტიფლისში, პეტრე-პავლეს ეკლესია, მაშინდელი «გერმანული უბნის» მთავარ გზაჯვარედინზე, მიხეილისა და კირხეს ქუჩების კუთხეში იდგა (დღევანდელ მარჯანიშვილის მოედანზე). იგი 1894-1897 წლებში ნეოგოთური სტილით ააგო გერმანელმა არქიტექტორმა ლეოპოლდ ბილეფელდმა.

საქართველოში გადმოსახლებული ლუთერანი გერმანელებისთვის საეკლესიო ცხოვრება გამაერთიანებელი ძალა იყო, განსაკუთრებით სოფლებში. ასე გაგრძელდა საქართველოში კომუნისტური მმართველობის დამყარებამდე. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აქაც გავრცელდა 1929 წლის 8 აპრილის დეკრეტი რუსეთში არსებული ყველა ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანების ქონების სახელმწიფოს მფლობელობაში გადაცემის შესახებ. თანდათანობით აიკრძალა რელიგიის გაკვეთილები, კონფირმაცია, ღვთისმსახურება. 1931 წელს პეტრე-პავლეს ეკლესიის პასტორი და, იმავდროულად, ამიერკავკასიის ლუთერანული სამრევლოების მთავარი პასტორი, რიხარდ მაიერი, დააპატიმრეს და მოგვიანებით, 1933 წელს, მოკლეს. ასე, თანდათან ჩაქრა ლუთერანული ცხოვრება გერმანელ კოლონისტებში. ეკლესიები კინოებად, თეატრებად, საწყობებად და სპორტულ დარბაზებად გადააკეთეს ან სულაც

დაანგრიეს. 1941 წლის 8 ოქტომბერს გამოიცა ბრძანება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელების გასახლების შესახებ. 1941 წლის 15 ოქტომბრიდან 1941 წლის 12 ნოემბრამდე, ოფიციალური მონაცემებით, საქართველოდან გაასახლეს 23 580 გერმანული წარმოშობის მოქალაქე და მათი ოჯახის წევრები. 1945 წელს გერმანელ სამხედრო ტყვეებს დაანგრევინეს კირხეს ქუჩის ეკლესია.

ლუთერანული რწმენა საქართველოში გადმოსახლებული გერმანელებისთვის იდენტობის შენარჩუნების საშუალება იყო. საქართველოში შემორჩენილ მცირერიცხოვან გერმანელებს მხოლოდ 1991 წლიდან მიეცათ თავისუფლად შეკრების უფლება. შეიქმნა ასოციაცია „აინუნგი“, რომელშიც გერმანული წარმოშობის მოქალაქეები გაერთიანდნენ. მათში მალევე გაჩნდა სამრევლო ცხოვრების აღდგენის სურვილი. თავიდან მცირერიცხოვანი მრევლი თანდათანობით იზრდებოდა და ახლაც იზრდება. მრევლის სათავეში იდგა გადასახლებიდან დაბრუნებული იოჰან დრეილინგი. მოგვიანებით დოქტორ გერტ ჰუმელის და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობის შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოში ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია, რომელიც რამდენიმე სამრევლოს აერთიანებს. მათ შორისაა თბილისის შერიგების ეკლესია ასურეთის ფილიალითურთ, რუსთავის მშვიდობის ეკლესია, გარდაბნის სამრევლო, ბოლნისის პავლეს სამრევლო, ბორჯომის სამრევლო, სოხუმის სამრევლო, ბაქოს მაცხოვრის სამრევლო. ეკლესია დაახლოებით 1000 წევრს ითვლის.

ეკლესიას მეთაურობს ეპისკოპოსი. ადგილობრივ ღრმა ლუთერანულ-თეოლოგიური განათლების მიღების შეუძლებლობის გამო ეპისკოპოსებად გერმანიიდან მოვლინებულ პასტორებს ირჩევენ. სამრევლოებში მოღვაწეობენ პასტორები და ლექტორები. ლექტორები ან მქადაგებლები მომზადებულ ქადაგებას კითხულობენ და არა აქვთ საკრამენტების განაწილების უფლება. სამრევლოებს ჰყავთ სამრევლოს ხელმძღვანელი. გადაწყვეტილებებს იგი სამრევლო საბჭოსთან შეთანხმებით იღებს. თითოეულ სამრევლოს თავისი წარმომადგენელი ჰყავს სინოდში.

ეკლესია ჩაბმულია საგანმანათლებლო საქმიანობაში. კვირაობით იმართება ქადაგება ბავშვებისათვის, მოქმედებს ბავშვთა საკვირაო სკოლა, ხელსაქმის წრე, გერმანულის ენისშემსწავლელი წრე, ტარდება კონფირმაციის გაკვეთილები, ბიბლიური საათი უფროსებისთვის. ეკლესია გამოსცემს ყოველთვიურ ბიულეტენს «საეკლესიო მაცნე», რომელიც მკითხველს მიმდინარე ამბებს, სამომავლო გეგმებსა და ღონისძიებებს აცნობს და თეოლოგიურ საკითხებზე დაწერილ სტატიებს სთავაზობს.

საქართველოში ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა ქველმოქმედებაა. ამ მიზნით დაარსდა 1999 წელს ევანგელურ-ლუთერანული დიაკონური საზოგადოება საქართველოში. დიაკონურ საზოგადოებასთან მოქმედებს იოჰან ბერნჰარდ სალტეტის სახელობის მოხუცთა თავშესაფარი და უფასო სასადილოები, ერთი მათგანი გერმანელთა ასოციაცია „აინუნგის“ ბინაშია გახსნილი გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე. დიაკონური საზოგადოების ორივე სასადილოში კვირაში 6 დღის განმავლობაში დაახლოებით 125 ადამიანი სადილობს. გარდა ამისა, 200-ზე მეტი ადამიანი, რომელთაც ასაკის, სნეულების ან მატერიალური ხელმოკლეობის გამო არ შეუძლიათ სასადილოში მოსვლა, თვეში ერთხელ შინ ღებულობს სურსათს.

უფასო სასადილოებთან მუშაობს სამედიცინო ამბულატორია. მომსვლელები უზრუნველყოფილნი არიან უფასო სამედიცინო კონსულტაციით, ექოსკოპიითა და მედიკამენტებით შესაძლებლობის ფარგლებში. თვეში რამდენჯერმე იკრიბება დიაკონური საბჭო, რომელიც წყვეტს ოპერაციებთან, მკურნალობასთან და სხვა სახის გადაუდებელ დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დიაკონური საზოგადოება, ძირითადად, გერმანიიდან მიღებული შემოწირულობებით საზრდოობს.

საქართველოში მოქმედი ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია გაერთიანებულია რამდენიმე ინტერკონფესიურ ჯგუფში და აქტიურად თანამშრომლობს ყველა რე-- ლიგიასთან და აღმსარებლობასთან, განსაკუთრებით ბაპტისტურ ეკლესიასთან. ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია მონაწილეობს ეკუმენურ წირვებში, კონცერტებ- ში, ქალთა ლოცვის საერთაშორისო მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულებში, ცდილობს მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. საქართველოში არსებული ევანგელურ-ლუთერა- ნული ეკლესია აქტიურად თანამშრომლობს გერმანიის ევანგელურ ეკლესიასთან. თა- ნამშრომლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სასულიერო პირების ვიზიტებითა და ფინანსური დახმარებით გერმანელების მხრიდან. ქართველი ახალგაზრდები ჩადიან გერმანიაში, მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში, ეცნობიან იქაური მრევლის ცხოვრებას. საპასუხო ვიზიტით გერმანელი ახალგაზრდებიც ჩამოდიან საქართვე- ლოში და საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობენ.

ლუთერანული სამრევლოს აღდგენის შემდეგ, პირველ ხანებში, ღვთისმსახურება სხვადასხვა დროებით თავშესაფრებში მიმდინარეობდა, სანამ 1997 წლის 26 ოქ- ტომბერს ყოფილი გერმანული სასაფლაოს ტერიტორიაზე, გრანელის ქუჩაზე, შერიგების ეკლესიის მშენებლობა არ დასრულდა. ამ ეკლესიას საფუძველი ჩაეყარა 1995 წლის 25 სექტემბერს. ეკლესიის მშენებლობის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და დამფინანსებელი იყო საქართველოში ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი დოქ. გერტ ჰუმელი.

თბილისის შერიგების ეკლესიის გარდა ლუთერანული ეკლესია არის რუსთავში. მას მშვიდობის ეკლესია ეწოდება. პეტრე-პავლეს სამრევლო სახლი ფუნქციონირებს ბოლნისში, სამრევლოსთვის გამოყოფილ სახლებში წირვები მიმდინარეობს გარდაბანში, ბორჯომში, ასურეთსა და სოხუმში.

სახელმწიფოსთან ურთიერთობაში სირთულეს ქმნის არსებული სამართლებრივი სიტუაცია. რელიგიის კანონის არარსებობის გამო საქართველოში ევანგელურ-ლუ- თერანული ეკლესია სტატუსის გარეშეა.

ქეთევან გურჩიანი

კალვინისტური ეკლესია

კალვინიზმი — ეს არის პროტესტანტობის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც სათავე დაუდო ფრანგმა თეოლოგმა და მქადაგებელმა ჟან კოვენმა (ლათინიზებული ფორმით — კალვინუს) (1509-1564).

აღნიშნული მიმართულება წარმოიშვა 1530-იან წლებში, ქალაქ ჟენევაში. კალვინიზმს აღიარებს შვეიცარიისა და ჰოლანდიის მოსახლეობის უმრავლესობა. იგი საკმაოდ არის გავრცელებული დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და სამხრეთ კორეაში.

კალვინისტთა საერთო რაოდენობა, დღესდღეობით, 35 მილიონია.

ისტორია

თუკი მარტინ ლუთერმა XVI საუკუნეში პროტესტანტული რეფორმაცია დაიწყო პრინციპით, რომლის მიხედვითაც ეკლესიაში უნდა გაუქმებულიყო ყოველივე ის, რაც ეწინააღმდეგებოდა ბიბლიას, ფრანგი იურისტი, ჟან კალვინი უფრო შორს წავიდა — მან ეკლესიაში გააუქმა ყოველივე ის, რასაც არ ითხოვდა ბიბლია. ამიტომ კალვინის საეკლესიო რეფორმას რაციონალიზმისაკენ მიდრეკილება და, ნაწილობრივ, მისტიციზმისადმი უნდობლობა ახასიათებდა. ლუთერთან პოლემიკის ძირითადი საგანი ნათლობისა და ზიარების განსხვავებული აღქმა იყო. კალვინი, ლუთერისგან განსხვავებით, მათში მხოლოდ სიმბოლურ შინაარსს დებდა.

კალვინიზმი რეფორმაციის რომანულ ტიპს წარმოადგენს. გამოდიოდა რა ყველაზე მძაფრად კათოლიციზმის წინააღმდეგ, კალვინიზმი თავად იყო განმსჭვალული კათოლიციზმის შუასაუკუნეობრივი პრინციპებით: შეუწყნარებლობით, უსიტყვო მორჩილების მოთხოვნით ეკლესიის ცალკეულ პირთა მხრიდან. შემდგომში კალვინიზმი მჭიდროდ დაუკავშირდა პოლიტიკურ მოძრაობებს, რის შედეგადაც მან პოლიტიკური პრინციპები გამოიმუშავა. ხელისუფლებასთან კონფრონტაციისას კალვინიზმმა სახალხო, ანტიმონარქიულ ხასიათი მიიღო, დაუახლოვდა რესპუბლიკურ და კონსტიტუციურ პარტიებს. «ღმერთის მორჩილება უფრო გვმართებს, ვიდრე ადამიანებისა» — ამ პრინციპიდან გამომდინარე კალვინისტები ქადაგებდნენ ტირანული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას.

კალვინიზმი რომანული შვეიცარიიდან, სადაც თავის თანამოაზრეებთან ერთად მოღვაწეობდა კალვინი, ვრცელდება გერმანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, შოტლანდიასა და პოლონეთში. მაგრამ ჟენევა დიდხანს იყო კალვინიზმის ცენტრი.

კალვინისტებისა და ლუთერანების დაპირისპირებამ პიკს გერმანიაში მიაღწია. ამ უკანასკნელთა აზრით, «პაპისტები უკეთესები იყვნენ, ვიდრე კალვინისტები». მაგრამ XIX საუკუნეში, რეფორმაციის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით (1817 წ.), პრუსია შეეცადა კალვინისტთა და ლუთერანთა მორიგებას მათი ურთიერთშერწყმის გზით.

XVI საუკუნის 50-იანი წლებიდან ბელგიასა და ჰოლანდიაში ლუთერანული რეფორმაციის მხრიდან კალვინიზმზე ზეწოლის შემდეგ ეს უკანასკნელი აქ ენერგიულად დამკვიდრდა, ტოტალურად გავრცელდა თავდაპირველად დაბალ ფენებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში.

კალვინიზმის რამდენიმე მიმართულება არსებობს, რომელთა შორის ყველაზე მეტი მიმდევარი პრესვიტერიანულ და რეფორმისტულ ეკლესიას ჰყავს.

მოძღვრება

კალვინიზმის ცენტრალური დოქტრინა, რომლიდანაც რაციონალურად გამომდინარეობს მისი ყველა სხვა სწავლება, არის ღმერთის სუვერენიტეტი, ანუ ღმერთის უზენაესი ძალაუფლება ყველაფერში. ეს დოქტრინა წარმოადგენს სხვა ქრისტიანული ეკლესიებისგან კალვინიზმის განმასხვავებელ ძირითად ნიშანს.

ლუთერისგან განსხვავებით, კალვინი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ ითანამშრომლოს ეკლესიასთან საზოგადოების მართვის პროცესში, არამედ იგი (სახელმწიფო) უნდა დაემორჩილოს ეკლესიის დადგენილებებს და ამით აღასრულოს ღვთის სამართალი.

კალვინიზმისთვის ნიშანდობლივია, აგრეთვე, სწავლება წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ, რომლის თანახმად, რჩეულობის ნიშანია საერო საქმეებში წარმატებულობა.

კალვინის მიერ წარმოდგენილმა საერო ასკეტიზმის ეთიკურმა იდეალმა, რომელიც გმობდა ფუფუნებისა და პარაზიტიზმის გამოვლინებებს, დიდი როლი შეასრულა კაპიტალიზმის ფორმირების პროცესში. ამასთანავე, განვითარებული ბურჟუაზიული წყობის პრინციპები, ინდივიდუალიზმის იდეალები და სინდისის თავისუფლება სულ უფრო ცხად წინააღმდეგობაში მოდიოდა კალვინის რელიგიურ რიგორიზმთან. ასე მოხდა XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისში, როდესაც კალვინიზმთან ბრძოლაში, რომელმაც აქ პრესვიტერიანობის სახელწოდება მიიღო, წარმოიშვა სხვადასხვა ეკლესია (ბაპტისტები, კვაკერები, მეთოდისტები და სხვ.). ამ გაერთიანებათა მიმდევრები გადაჭრით გამოვიდნენ რჯულშემწყნარებლობის იდეის დასაცავად და სახელმწიფოსგან ეკლესიის სრული გამოყოფა მოითხოვეს. ასე განვითარდა მოვლენები ჩრდილოეთ ამერიკაშიც, სადაც პირველმა პრესვიტერიანელმა კოლონიზატორებმა თეოკრატიული რეჟიმის დამყარება სცადეს, რასაც სხვა

პროტესტანტული კონფესიების აქტიური წინააღმდეგობა მოჰყვა. XX საუკუნიდან კალვინიზმის გავლენა პროტესტანტულ თეოლოგიაზე შესამჩნევად იზრდება.

ორგანიზაცია

ისტორიულად, XVI საუკუნიდან ევროპის ქვეყნების ახალი ქრისტიანული ეკლესიები, რომლებიც რეფორმაციული მოძრაობის შედეგად წარმოიშვნენ, რეფორმატორულ ან ევანგელისტურ ეკლესიებად იწოდებიან.

რეფორმისტები წარმოადგენენ კონტინენტურ ევროპაში წარმოშობილი კალვინისტური ეკლესიების მემკვიდრეებს, განსხვავებით პრესვიტერიანელებისაგან, რომლებიც შოტლანდიურ-ინგლისური კალვინისტური ეკლესიების მემკვიდრეები არიან.

კალვინისტური ეკლესიის სტრუქტურული მოწყობა გულისხმობს ავტონომიურ კონგრეგაციებს, რომლებიც იმართებიან შესაბამისი საბჭოების მიერ. საბჭოს წევრები არიან მრევლის მიერ არჩეული პასტორი, დიაკონი და ერთი უხუცესი. კონგრეგაცია სრულიად თავისუფალია საეკლესიო საკითხების გადაჭრისას.

კალვინისტური ეკლესია საქართველოში

კალვინისტური ეკლესია საქართველოში წარმოდგენილია «წმინდა სამების» პროტესტანტული ეკლესიის სახით, რომლის მოძღვრებაც შეესაბამება რეფორმაციის ღვთისმეტყველებას.

კალვინისტური ეკლესია საქართველოში დაარსდა 1995 წლის ოქტომბერში, ქალაქ ბათუმში. მას აქტიური და ახლო საეკლესიო ურთიერთობები აქვს ამერიკისა და გერმანიის რეფორმატორულ ეკლესიებთან. საქართველოში, ბათუმის გარდა, ამ ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი თემები იკრიბებიან ქობულეთში, ფოთში, ოზურგეთში, ლანჩხუთში.

ეკლესიის უფროსი პასტორია ვარლამ რამიშვილი. 1994 წელს მან საეკლესიო ორდინაცია (ხელდასხმა) მიიღო აშშ-ში, ორეგონის შტატში, ქალაქ პორტლენდში.

«წმინდა სამების»ეკლესია აღიარებს მმართველობის შერეულ ეპისკოპალურ-პრესვიტერიანულ მოდელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებს თეოკრატიას ეკლესიაში. საეკლესიო წოდებებია: პასტორი, პრესვიტერი (უხუცესი) და დიაკონი, მსახურების დღე — «უფლის დღე», ანუ კვირადღე. ძირითადი საეკლესიო დღესასწაულებია შობა, ვნების პარასკევი, აღდგომა (პასექი), ამაღლება, სულთმოფენობა და რეფორმაციის დღე (31 ოქტომბერი).

ეკლესიის ღვთისმსახურება შედგება საერთო ლოცვის, საღვთო წერილის კითხვის, ღვთის სიტყვის ქადაგების, სამოციქულო მრწამსის საერთო აღსარებისა და საერთო საგალობლებისაგან.

პასტორ ვარლამ რამიშვილის აზრით, სახელმწიფო მოწყობა-მმართველობის საუკეთესო ფორმა არის დემოკრატია. მისი რწმენით, აუცილებელია საერო ხელისუფლებისაგან ეკლესიის გამიჯვნა და დამოუკიდებლობა. „ეკლესიის ვალია ხელისუფალთა და მთავრობათა (ხელისუფალნი ღმერთის მიერ არიან დადგენილნი ჩვენს სასიკეთოდ) მხარდაჭერა ლოცვით, ამასთან, მათდამი მორჩილება სინდისის გამო», — აცხადებს იგი.

«წმინდა სამების» ეკლესიის მიერ განხორციელებულია მრავალი ჰუმანიტარული აქცია. წლების განმავლობაში იგი თანამშრომლობს აშშ-ის საერთაშორისო ორგანიზაციასთან «სამარიტელის ქისა» (”Samaritan’s Purse”), რომელიც საქველმოქმედო მისიას უძღვება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ურთიერთობა აქვს სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიასთან, ებრაული თემის წარმომადგენლებთან (ბათუმის ებრაული თემის აწ განსვენებული თავმჯდომარის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონ მიხეილ ბინიაშვილის თანამონაწილეობით განხორციელდა არა ერთი შემეცნებითი და საქველმოქმედო აქცია).

ეკლესია აქტიურად მონაწილეობს ეკუმენურ შეხვედრებში, რომელსაც ბათუმის კათოლიკური ეკლესია მართავს. «წმინდა სამების» ეკლესიის მღვდელ-მსახურებს კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად არაერთი საერთო საეკლესიო მსახურება აქვთ ჩატარებული.

დავით თინიკაშვილი

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია

ბაპტიზმი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული პროტესტანტული მიმდინარეობაა, რომელიც XVII საუკუნის დამდეგს ინგლისსა და ჰოლანდიაში წარმოიშვა. სახელწოდების ძირი (ბაპტიზო) ბერძნულია და ნიშნავს წყლით ნათლობას, კონკრეტულად — შთაფლვითა ანუ ჩაყვინთვით ნათლობას. ამდენად, ბაპტისტების რელიგიურ ცხოვრებაში ყურადღება უმთავრესად რწმენისმიერ გაცნობიერებულ ნათლისღებაზეა გადატანილი, რომელიც შთაფვლით უნდა შესრულდეს.

მსოფლიოში ბაპტისტების საერთო რაოდენობა დაახლ. 75 მილიონია (ბავშვების ჩათვლით, რომლებიც, ფორმალურად ეკლესიის წევრებად არ მიიჩნევიან).

დღესდღეობით ბაპტიზმის მიმდევრები ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკის კონტინენტზეც მრავლად არიან, თუმცა მის ცენტრად აშშ მიიჩნევა. ბაპტისტების დაახლ. ორი მესამედი აშშ-ში ცხოვრობს (48 მილიონი ადამიანი, მოსახლეობის 19%.) და ამ ქვეყნის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაზე საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

ისტორია

ბაპტიზმის წარმოშობასთან დაკავშირებით ერთიანი შეხედულება ჩამოყალიბებული არ არის. ზოგიერთი რელიგიათმცოდნე ბაპტიზმს რეფორმაციის დროინდელ რადიკალურ მოძრაობას, ანაბაპტიზმს უკავშირებს. ადრეული რეფორმატორული ტრადიციის მიხედვით, თუკი ადამიანი ქრისტიანულ-კათოლიკურ ან პროტესტანტულ ქვეყანაში დაიბადებოდა, იგი ავტომატურად ამ ქვეყნის ეკლესიის ნაწილად მიიჩნეოდა. ეს იმის შედეგი იყო, რომ რეფორმაციის პირველი ტალღა საერო დიდებულებისაგან დიდად იყო დავალებული. რომ არა მათი მხარდაჭერა, ფართომასშტაბიანი რეფორმაცია ვერ განხორციელდებოდა, მაგრამ რეფორმაციის მეორე ტალღამ სწორედ ეს გააპროტესტა. ისინი თვლიდნენ: ის, თუ რომელ სახელმწიფოში დაიბადება ადამიანი, არ უნდა გახდეს მისი რწმენის განმსაზღვრელი ფაქტორი. რეფორმაციის რადიკალურმა მიმართულებამ, რომელსაც ანაბაპტისტები ედგნენ სათავეში, ეჭვქვეშ დააყენა ეკლესიისა და სახელმწიფოს ასეთი ურთიერთობის საკითხი. მისმა წარმომადგენლებმა ციურიხში დაიწყეს ზრდასრული ადამიანების ხელმეორედ მონათვლა და სწორედ აქედან მომდინარეობს მათი სახელი «ანაბაპტისტები», ანუ «ხელმეორედ მონათლულები». თუმცა ბაპტისტებთან ანაბაპტისტების სხვა უფრო საფუძვლიანი კავშირის დამადასტურებელი ისტორიული მონაცემები რელიგიათმცოდნეებს არ მოეპოვებათ. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, მენონიზმმაც (იხ. ლექსიკონი) იქონია მნიშვნელოვანი გავლენა ბაპტიზმის ჩამოყალიბებაში.

ბაპტისტური ეკლესიის სამშობლოა დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდია, კონკრეტულად — ამსტერდამი. პირველი თემის დამაარსებლად ანგლიკან მქადაგებელს ჯონ სმიტს (დაახ. 1554, სხვა მონაცემებით 1565-1612) ასახელებენ. იგი ყურადღებას ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფასა და ადგილობრივი ეკლესიის დამოუკიდებლობაზე (თვითმყოფადობაზე) ამახვილებდა. მქადაგებელს ანგლიკანური ეკლესია იმთავითვე დაუპირისპირდა და დევნა დაუწყო, რის გამოც მან 1607-1609 წლებში ამსტერდამს შეაფარა თავი. იქ იგი (მენონიტების გავლენით) მივიდა გაცნობიერებული ნათლობის აუცილებლობის იდეამდე და 1608 წელს, თავის რამდენიმე მიმდევართან ერთად, ხელმეორედ მოინათლა. 1609 წელს, მას შემდეგ, რაც ეს ჯგუფი ბრაუნისტების (კონგრეგაციონალისტების) საზოგადოებიდან განკვეთეს, ჯონ სმიტმა, 36 მომხრესთან ერთად ამსტერდამში ახალ ეკლესიას დაუდო სათავე, და ჩვეულებრივ, ეს თარიღია მიაჩნეული ბაპტიზმის წარმოშობის თარიღად.

1612 წელს, როცა ინგლისში რელიგიური დევნის ტალღამ გადაიარა ამსტერდამიდან სმიტის მიმდევრების ნაწილი, მისი ყოფილი თანამოაზრის, თომას ჰელვისის (დაახ. 1550-1616) თაოსნობითა, ლონდონში დაბრუნდა. 1612 წელსვე ლონდონში დაიბადა ინგლისის პირველი ბაპტისტური თემი. სწორედ ინგლისში მიეცა გამოკვეთილი სახე ბაპტიზმის მოძღვრებას და დამკვიდრდა თავად სახელწოდება «ბაპტისტები». მალე მათ რამდენიმე ახალი ჯგუფიც მიემატა, რომლებიც თავიდან სხვა სახელწოდებით იყვნენ ცნობილი: პურიტანები (ლათ. პურუს «სუფთა»,) დისიდენტები (მოწინააღმდეგეები), ინდეფენდენტები («დამოუკიდებლები», «თვითმყოფადები»).

ბაპტიზმი იმთავითვე ორ ძირითად მიმართულებად დაიყო (ეს დღემდე ასე რჩება): საყოველთაო და კერძო ბაპტიზმად. მათ ერთმანეთისგან ხსნისადმი, ცოდვის გამოსყიდვისადმი დამოკიდებულება განასხვავებთ. 1633-1638 წლებში ბაპტისტებს შორის თეოლოგიურ საფუძველზე განხეთქილება მოხდა. ერთმანეთს ორი ლიდერი — თომას ჰელვისი და ჰენრი იაკობი — დაუპირისპირდა. ჰელვეი კალვინის გავლენით ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის ხსნის ბედი ღმერთმა წინასწარ განსაზღვრა. ადამიანთა სიმრავლიდან მან რჩეულები გამოყო და მხოლოდ ისინი დაიმკვიდრებენ სასუფეველს. ჰენრი იაკობის თანახმად კი, ღმერთი იხსნის ყველას, ვინც სიკეთისა და ღვთივსათნო ცხოვრების გზას დაადგება. ამ საკითხის გარშემო დავამ მწვავე ხასიათი მიიღო, მაგრამ საბოლოოდ საყოველთაო ხსნის იდეამ ბაპტისტების უმრავლესობაში უპირატესობა მოიპოვა და ეს მოძღვრება მსოფლიოს დიდ ნაწილში გავრცელდა როგორც საყოველთაო ხსნის აღმსარებლობა.
ბრიტანეთში ბაპტისტური ეკლესია იზრდებოდა და ყალიბდებოდა სამოქალაქო ომის პირობებში. ბაპტისტებს მოიაზრებდნენ როგორ რევოლუციონერებს და ამის გამო ეკლესიამ ფრთები გაშალა ოლივერ კრომველის დროს.

იმავე პერიოდში ბაპტიზმმა ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილშიც მოიპოვა წარმატება. აშშ-ს ტერიტორიაზე პირველი ბაპტისტური თემების დამაარსებლები პურიტანთა კოლონიიდან განდევნილი მორწმუნეები იყვნენ, რომლებიც იზიარებდნენ მოსაზრებას ეკლესიის სახელმწიფოსგან გამიჯვნის აუცილებლობაზე და ასევე უარს აცხადებდნენ ბავშვების მონათვლაზე. 1638 წელს განდევნილთა ერთ-ერთმა ჯგუფმა, რომელსაც როჯერ უილიამსი (1603-84) ხელმძღვანელობდა დააფუძნა კოლონია როდაილენდი, სადაც ოფიციალურად დაკანონდა რწმენის თავისუფლება, ხოლო ქალაქ პროვიდენსსა და ნიუპორტში პირველი ბაპტისტური ეკლესიები აიგო.

მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, 1905 წელს ლონდონში შეიქმნა ბაპტისტების მსოფლიო ალიანსი, ხოლო 1950 წელს, — ბაპტისტების მსოფლიო კავშირი, რომელიც მსოფლიოში არსებული ბაპტისტური ეკლესიების უმრავლესობას აერთიანებს.

დღეისათვის ბაპტისტური ეკლესიები დამკვიდრებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ევროპასა და ამერიკის კონტინენტზე ბაპტისტთა მსოფლიო ალიანსი, რომის კათოლიკე ეკლესიის შემდეგ, ერთ-ერთი უმსხვილესი რელიგიური გაერთიანებაა. აშშ-ს მრავალი პრეზიდენტი და ბევრი სხვა გავლენიანი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე ბაპტისტურ ეკლესიას მიაკუთვნებდა და მიაკუთვნებს თავს. ამ ეკლესიის ერთ-ერთი ხუცესი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ყველაზე ცნობილი მებრძოლი მარტინ ლუთერ კინგი იყო. ბაპტისტები აქტიურად იღწვიან საზოგადოებრივ ასპარეზზე. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დასავლეთის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენენ ადამიანის უფლებებისა და გარესამყაროს დაცვის საქმეში.

მოძღვრება

დღესდღეობით ბაპტისტური ეკლესიები საღვთისმეტყველო მრავალფეროვნებით გამოირჩევიან და, შეიძლება ითქვას, რომ მათ მკაცრი თეოლოგიური რეგლამენტი არა გააჩნიათ. ერთსა და იმავე გაერთიანებაში შესაძლოა ერთმანეთისგან განსხვავებული მოძღვრების მქონე თემებიც შედიოდნენ. ბაპტისტების ამა თუ იმ მიმართულებას შორის უმთავრესი სადისკუსიო საკითხები კერძო და საყოველთაო ბაპტიზმის ურთიერთმიმართებას, მისიონერულ მოღვაწეობასა და ესქატოლოგიურ თემატიკას ეხება. XX საუკუნეში აქტუალობა შეიძინა ბაპტისტური თეოლოგიისა და რელიგიური პრაქტიკის ლიბერალურმა და კონსერვატორულმა ხედვამ, რამაც ცალკეულ ქვეყნებში ბაპტისტური თემების გახლეჩა გამოიწვია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გამოიყოს ის ძირითადი თეოლოგიური პოსტულატები, რის გარშემოც ბაპტისტური ეკლესიები ერთიანდებიან.

ბაპტისტები ეთანხმებიან ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსს, ანუ, პატრისტიკა-პატროლოგიის ძირითად დებულებებს (აღიარებენ ყოვლადწმინდა სამებას, იესო ქრისტეს ორბუნებოვნებას, ქალწულისაგან შობას, სწამთ ქრისტეს გამომსყიდველობითი მსხვერპლი, აღდგომა, ამაღლება და მისი დიდებით მოსვლა, საწუთროს გარდასვლის შემდეგ ღვთის სამჯავრო — სასჯელი ან ჯილდო). ბაპტისტები ცნობენ ეკლესიის მადლმოსილებასა და მნიშვნელობას პიროვნების სულიერი წინსვლისა და წარმატების გზაზე, მაგრამ, სხვა პროტესტანტული ეკლესიების მსგავსად, ღმერთსა და ადამიანს შორის ერთადერთ შუამავლად იესო ქრისტეს, მამის განკაცებულ ძეს, აღიარებენ. შესაბამისად, ბაპტიზმი რწმენის ერთადერთ წყაროდ იესო ქრისტეს სახარებისეულ მოძღვრებას აცხადებს. ბაპტისტური ეკლესიისთვის რწმენა ხსნის ერთადერთი კრიტერიუმია, ხსნა კი საღვთო მადლით მოიპოვება.

პრაქტიკა და ორგანიზაცია

ბაპტისტები უარყოფენ ახალშობილისა და ბავშვის მონათვლის პრაქტიკას და აღიარებენ ზრდასრული ადამიანის ნათლობას მისი ცნობიერი გადაწყვეტილების საფუძველზე, ე.ი. ინათლებიან მხოლოდ მორწმუნენი მოწიფულ ასაკში, როდესაც ადამიანს ჩამოუყალიბდება ნაბიჯის დამოუკიდებლად გადადგმის უნარი. ამავდროულად, ეკლესია აღიარებს ნათლისღების ერთგზისობის ფორმულასაც, ე.ი. ერთგზის ნათლისღებას. ამის გამო ბაპტისტები, ანაბაპტისტებისაგან განსხვავებით, სავალდებულოს არ ხდიან ისეთი პიროვნების ხელმეორედ მონათვლას, რომელიც სხვა ეკლესიაში, თუნდაც ადრეულ ასაკში, ყოვლადწმინდა სამების სახელით მონათლულა და მიიჩნევს, რომ გაცნობიერებული აქვს ნათლისღების შინაარსი. თუკი კონკრეტულ პიროვნებას, უკვე მონათლულს, მაინც სურს, ნათლისღების წესი შეასრულოს, ამ რიტუალს, მარტივი ლოგიკის თანახმად, არა საიდუმლოს (ნათლისღების საიდუმლოს ერთგზისობიდან გამომდინარე), არამედ მხოლოდ დეკლარაციის მნიშვნელობა ენიჭება. ნათლისღება, თუ მდინარეზე გასვლის საშუალება არ არის, სრულდება ბაპტისტერიაში, ანუ ეკლესიის დარბაზში გაკეთებულ აუზში ხელდასხმული მსახურის (დიაკვნის, ხუცესის, ეპისკოპოსის) მიერ.

ბაპტისტები საყოველთაო მღვდლობის პრინციპს იზიარებენ და, მიუხედავად იმისა, რომ, ეკლესიაში სრულდება სამი სახის (დიაკვნის, ხუცესისა და ეპისკოპოსის) ხელდასხმა, სამღვდელო პირი არ ფლობს რაიმე განსაკუთრებულ, საკრალურ ძალაუფლებას.

ბაპტისტური ეკლესიის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის არ არის მკაცრად ცენტრალიზებული, იერარქიულ პრინციპზე დაფუძნებული ეკლესია და არა აქვს მკაცრად დადგენილი ლიტურგიული ფორმები. ყველა ადგილობრივი ეკლესია სარგებლობს თვითმმართველობის უფლებით, საეკლესიო ცხოვრების საკითხებზე დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს. მნიშვნელოვანი თემები მხოლოდ საეკლესიო კრებებზე, მორწმუნეთა საერთო მონაწილეობით განიხილება და წყდება. ამასთანავე, ყოველ ქვეყანაში ბაპტიზმს იმ ქვეყნის კულტურისათვის დამახასიათებელი ელფერი აქვს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ბაპტისტური ლიტურგიული მრავალფეროვნების მაგალითზე.

ბაპტისტური ლიტურგია შემოქმედებითი ხასიათისაა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. იგი, როგორც წესი, არეკლავს ადგილობრივი კულტურის თავისებურებებს. მაგალითად, აფრიკული ბაპტისტური ეკლესიების ლიტურგიულ პრაქტიკაში გათვალისწინებულია აფრიკული კულტურის თავისებურებანი — ფოლკლორი, ტემპერამენტი, ცეკვა, რაც მას ძლიერ განასხვავებს გერმანული ან ამერიკული ეკლესიებისგან. ზოგადი ლიტურგიული თარგი ასეთია: შესავლისა და დასასრულის ლოცვები (რომლებიც ან სპონტანურია, ან წინდაწინ შედგენილი), რწმენის დამოწმება (მრწამსი), «სიტყვის ლიტურგია» — ქადაგება, ევქარისტია (პურისტეხა), კურთხევა. ეკლესიაში გალობა სხვადასხვა საკრავის თანხლებით სრულდება. ბაპტისტები ყოველკვირეულ მსახურებას კვირა დღეს ატარებენ. კვირის სხვა დღეებში შეიძლება მოეწყოს დამატებითი შეკრება, რომელიც ეთმობა

ლოცვას, ბიბლიის კითხვას, საღვთო წერილიდან სხვადასხვა თემებზე საუბარს და სხვ.

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია

ისტორია. რუსეთის ყოფილ იმპერიაში ბაპტისტურ ეკლესიას, ბალტიისპირეთის შემდეგ, პირველად საქართველოში, თბილისში 1867 წლის 20 აგვისტოს დაედო სათავე. ამ დროს ერთმანეთს შეხვდნენ გერმანელი ბაპტისტი მარტინ კოლვეიტი და თბილისის მალაკანთა თემის წინამძღვარი ნ. ი. ვორონინი, რომელმაც წყლით ნათლობის აუცილებლობა აღიარა, მოინათლა და ძველი თანამორწმუნეების დიდი ნაწილი გაიყოლია. ამდენად, თბილისის ბაპტისტთა ეკლესია რუსეთიდან გადმოსახლებული მალაკნების ბაზაზე შეიქმნა. მოგვიანებით ბაპტისტთა ოსური და სომხური თემებიც ჩამოყალიბდა. ამ თემში დროდადრო ქართველებიც წევრიანდებოდნენ, მაგრამ მათი რაოდენობა იმდენად მცირე იყო, რომ ქადაგება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. 1919 წელს ვითარება შეიცვალა და შესაძლებელი გახდა ქართულენოვანი ეკლესიის დაარსება. ეს მისია სამხედრო სამსახურიდან ახლადდაბრუნებულმა ილია კანდელაკმა იკისრა.

საბჭოთა ეპოქაში ბაპტისტებს დევნიდნენ და ავიწროვებდნენ ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა აღმსარებლობის ადამიანებს. საქართველოდან გადაასახლეს არაერთი ბაპტისტი ღვთისმსახური. ბოლშევიკებმა 1927 წელს მოკლეს ილია კანდელაკი, როდესაც იგი ქადაგებიდან შინ ბრუნდებოდა. დახურეს ბაპტისტური ეკლესიები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქართულენოვანი მსახურების უფლება ეკლესიას მხოლოდ თბილისში დაუტოვეს, ამიტომაც მორწმუნეები მხოლოდ დედაქალაქში იყრიდნენ თავს.

1944 წელს თბილისის ბაპტისტთა თემს «სახარებისეული ქრისტიანები» შეუერთდნენ. დღეისათვის ეს ორი მიმართულება (ბაპტისტები და ევანგელისტები, რადგან მათ შორის არსობრივი სხვაობა არაა) გაერთიანებულია და ეწოდება საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია (სებე).

რამდენადაც საბჭოთა პერიოდის საქართველოში რელიგიურ ასპარეზზე, სხვა კონფესიებთან შედარებით, ყველაზე აქტიურად მართლმადიდებელი და ბაპტისტური ეკლესიები იღწვოდნენ, ამ ეკლესიებს შორის მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. 1970-80-იან წლებში ბაპტისტების ლიდერი გიორგი ბოლღაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს თხოვნით, რეგულარულად ქადაგებდა სიონის საკათედრო ტაძარში. 1980-იან წლებში ახალგაზრდა ბიბლიოლოგი მალხაზ სონღულაშვილი (ამჟამად ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსი) კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბიბლიის მთარგმნელობით კომისიაში მიიწ-ვია. 1990-იანი წლებიდან კი, ქვეყანაში რელიგიური ნაციონალიზმის გაძლიერებისთანავე, ეკლესიების ურთიერთობა გაცივდა, ხოლო შემდეგ თითქმის მთლიანად დაირღვა. 1991 წელს ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქართველი ბაპტისტები არ არიან ნამდვილი ქართველები, ხოლო მოგვიანებით ბაპტისტების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება მართლმადიდებელმა ეკლესიამაც გამოამჟღავნა. 1997-2003 წლებში დეკანოზი ბასილ მკალავიშვილი და მისი

მიმდევრები (იხ. სმე-სთან განხეთქილებაში მყოფი მართლმადიდებელი ეკლესიები; გლდანის დევნილი ეპარქია) პერიოდულად ანადგურებდნენ სებე-ს ეგიდით გამოცემულ ბიბლიურ წიგნებს, არბევდნენ სებე-ს მიერ ორგანიზებულ ეკუმენურ მსახურებებს. 2002 წელს დაუდგენელმა პირებმა გადაწვეს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის შენობა სოფ. ახალსოფელში (აღდგენილია 2005 წ. კახეთი) და სხვ.

ამჟამად სებე-ს ცენტრი ბეთელის კერაა თბილისში, რომლის გახსნის ცერემონიალში (2005 წ.) მონაწილეობა მიიღეს თბილის მერმა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა და მცხეთა-თიანეთის გუბერნატორმა. ცენტრის დაარსების ისტორია ჩეჩენ ლტოლვილებთანაა დაკავშირებული, რომლებმაც ჩეჩნეთში მიმდინარე ომის დროს (1996-97 წწ.) საქართველოს შეაფარეს თავი. ევანგელურ-ბაპტისტურმა ეკლესიამ მათ თანადგომა გაუწია, რაც ლტოლვილების სამედიცინო მომსახურებას, ტანსაცმლით უზრუნველყოფას, იურიდიულ კონსულტაციას, ბავშვთა სამხატვრო სკოლისა და დასასვენებელი ბანაკების მოწყობას მოიცავდა. თავდაპირველად ბაპტისტი მორწმუნეები ჩეჩენ ლტოლვილებს თავიანთ სახლებში მასპინძლობდნენ, მაგრამ რამდენიმე სახლი ამისთვის საკმარისი არ აღ-მოჩნდა და ბეთელის კერის შექმნის იდეა დაიბადა.

ეკლესია აქტიურ საქველმოქმედო, კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. იგი კოორდინაციას უწევს საქართველოს ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტისა და საქართველოს ბიბლიური საზოგადოების მუშაობას, რომლის მხარდაჭერით, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, საქართველოში ბიბლიისა და ბიბლიოლოგიური ლიტერატურის არაერთი გამოცემა განხორციელდა.

1990-იანი წლების ბოლოს სებე ერთ-ერთი ინიციატორი იყო საქართველოში ქრისტიანული ეკლესიების სამუშაო ჯგუფის შექმნისა, რომელშიც გაერთიანებულია ოთხი ეკლესია: ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია საქართველოში, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია და კათოლიკე ეკლესია საქართველოში.

დღესდღეობით (2008 წ.) საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის (მონათლულ წევრთა რიცხვი დაახლ. 5000-ს უდრის, თანამდგომთა და თანამგრძნობთა ჩათვლით 17 000-ს. ისინი საქართველოს ყველა რეგიონში ცხოვრობენ. მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც, რომლებთანაც კავშირი ცენტრს შენარჩუნებული აქვს.

ორგანიზაცია. სებე ორგანიზაციული კუთხით დემოკრატიულ პრინციპზეა აგებული. მისი უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საეკლესიო კრება, რომელშიც მონაწილეობენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები. კრება ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და ფარული კენჭისყრით ირჩევს მთავარეპისკოპოსს, რომელიც მოიაზრება პირველმწყემსად თანასწორთა შორის. კრება ასევე ირჩევს ეპისკოპოს-პრეზიდენტს. იგი თაოსნობს ეკლესიის ადმინისტრაციას და პარალელურად ეკლესიის სინოდის თავმჯდომარეცაა. ეპისკოპოს-პრეზიდენტი ნიშნავს ეკლესიის გენერალურ მდივანსაც. სინოდი წარმართავს ეკლესიის ცხოვრებას და ანგარიშვალდებულია კრების წინაშე. ცალკეულ ადგილობრივ ეკლესიებს ჰყავს ხუცესები, დიაკვნები, მქადაგებლები, მაგრამ ისინი ერთმანეთთან იერარქიულად არ არიან დაკავშირებულნი. რეგიონალური პრონციპით სებე ოთხადაა გაყოფილი

(კახეთი, თბილისი, ქართლი, დასავლეთ საქართველო). თითოეულ რეგიონს ეპისკოპოსი ან მთავარხუცესი მეთვალყურეობს. ეკლესიაში დაშვებულია ქალთა ხელდასხმა.

ამჟამად ეკლესიის მეთაური მთავარეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილია, ხოლო ეპისკოპოს-პრეზიდენტია მერაბ გაფრინდაშვილი. სებე-ში მოღვაწეობს კიდევ სამი ეპისკოპოსი, რომელთა შორის ერთ-ერთი ქალია (რუსუდან გოცირიძე).

სებე-ს ეკლესიები მართვა-გამგებლობის საკითხებში ავტონომიურნი არიან. ამიტომ სხვადასხვა ეკლესიაში სხვადასხვა წესისა და სტილის მსახურება იმართება.

დღესდღეობით სებე მკაფიოდ გამოხატული ეკუმენური ორიენტაციის ეკლესიაა. მას მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს ევროპის და საერთოდ, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ერთმორწმუნეებთან. იგი ერთადერთი ქრისტიანული ეკლესიაა საქართველოდან, რომელიც ოფიციალური წევრია საერთოევროპული ეკუმენური მოძრაობისა — ევროპის ეკლესიათა კონფერენციისა. სებე აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო ეკუმენურ მოძრაობაშიც. მას განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობები აქვს ანგლიკანურ ეკლესიასთან, რომლის მეთაურმა, კენტერბერიის მთავარეპისკოპოსმა 2005 წელს ლამბეტის სასახლის ჯვრით დააჯილდოვა მთავარეპისკოპოსი მალხაზ სოღულაშვილი. იგი მსოფლიო მართლმადიდებელი პატრიარქის, ბართოლომეოს I-ის მიერაცაა დაჯილდოვებული მოოქროვილი ჯვრით.

სებე მიიჩნევს, რომ ის არის მემკვიდრე, ერთი მხრივ, ევროპული რეფორმაციისა, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს მართლმადიდებლური სულიერებისა. მართლმადიდებლური მემკვიდრეობის გამო, ამ ეკლესიაში მკაფიოდაა წარმოდგენილი მოძღვრება სამებისა და ქრისტეს ბუნების შესახებ, ურთიერშერწყმულია ევქარისტიისა და ლიტურგიკული პრაქტიკის ტრადიციული და თანამედროვე ფორმები. სხვა ბაპტისტური ეკლესიებისგან განსხვავებით, საქართველოში არსებობს ქართული ხატწერის ტრადიციებზე დამყარებული იკონოგრაფიის ორიგინალური სკოლა. 2004 წელს ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტისა და საქართველოს ბიბლიური საზოგადოების მიერ ერთობლივად გამოიცა ახალი აღთქმის ძველი ქართული ტექსტი, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს მიეძღნა.

სებეს წევრები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ნაწილს წარმოადგენენ და ერთადერთ ეკლესიად (სადაც სულის ხსნა არის შესაძლებელი) თავს არ მოიაზრებენ. ისინი აცხადებენ, რომ ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში სუფევს ღვთის მადლი, არსებობს ხსნის შესაძლებლობა. საქართველოს ბაპტისტების რწმენით, ამისათვის საკმარისია ადამიანის ღრმა სურვილი, გახდეს ქრისტიანი.

სოციალური მსახურება. საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიას სწამს, რომ სოციალური საქმიანობა, სახარების გავრცელებასთან ერთად, ეკლესიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამიტომ ბაპტისტები სოციალური პროგრამების განხორციელებას საგანგებო ყურადღებას უთმობენ: ეხმარებიან უპოვართ, იძულებით გადაადგილებულებს, მზრუნველობამოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, მიუსაფარ მოხუცებს. სებეს ეგიდით მოქმედებს წმინდა ნინოს ორდენი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან დიაკონისები (მსახური

დები). მთელ საქართველოში წმ. ნინოს დები 400-მდე ადამიანს (რელიგიური მრწამსისა და ეთნიკური წარმომავლობის განურჩევლად) უვლიან.

ეკლესიის სოციალური საქმიანობის ცენტრსაც ბეთელის კერა წარმოადგენს. ამჟამად ამ სახლში 25 მოხუცებული ცხოვრობს. აქვე განთავსებულია წმინდა ნინოს ორდენის შტაბბინაც. გარდა ამისა, ცენტრში იმართება კონფერენციები, კონსულტაციები, შეხვედრები, იკითხება გაძლიერებული კურსი თეოლოგიაში, რომელსაც გადის ყველა, ვინც ღვთისმსახურებისთვის ემზადება. მოქმედებს რამდენიმე სკოლა, რომლებიც სხვადასხვა საკითხის შესწავლაზეა ორიენტირებული, ესენია: ქრისტიანული ლიტურგია, მონოთეისტური რელიგიების თავისებურებები და მათი ჰარმონიული თანაარსებობის გზები და ა.შ. გახსნილია ენებისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსები.

ბეთელის ცენტრის გარდა, ბაპტისტური ეკლესიის წიაღში არსებობს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარიც — «კეთილი სამარიტელის სახლი». რეაბილიტაცია აქ უკვე ათეულობით ადამიანმა გაიარა. საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი, სოციალური სამართლიანობის სხვა ასპექტებთან ერთად, სწორედ გენდერული თანასწორობაა — როგორც საზოგადოებაში, ისე ეკლესიაში.

სებე რეგულარულად უწევს თანადგომას მზრუნველობამოკლებული ბავშვების რამდენიმე ცენტრს. მართავს ინტერრელიგიურ, საზაფხულო, საგანმანათლებლო, ახალგაზრდულ ბანაკებსა და სხვ.

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიაში დიდმარხვის კვირები თემატურადაა დაყოფილი. ერთი კვირა პატიმრებისაა, მეორე — სნეულთა, მესამე — ეკოლოგიის, მეოთხე — ბავშვების, მეხუთე — მოხუცებულთა.

სტატია მომზადებულია ტოლერანტობის ცენტრის მიერ

სხვა ბაპტისტური ან ბაპტიზმის საფუძველზე აღმოცენებული ეკლესიები საქართველოში

კომუნისტური რეჟიმის დროს ბაპტისტ-ევანგელისტების ნაწილმა უარი თქვა რეგისტრაციასა და სახელმწიფოსთან ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობაზე. ისინი დაუპირისპირდნენ თანამორწმუნეებს, რომლებიც ამ თვალსაზრისით შედარებით ლოიალობას იჩენდნენ. მათ ცალკე ეკლესიები ჩამოაყალიბეს, რომლებსაც შესაძლებელია, პირობითად, რადიკალური ბაპტისტური ეკლესიები ვუწოდოთ. ბოლო დროს მათ რიგებს იდეურად ის ევანგელისტ-ბაპტისტებიც შეუერთდნენ, რომლებიც არ იზიარებენ მთავარეპისკოპოს მალხაზ სონღულაშვილის კურსს ქვეყნის ტრადიციებთან და კულტურულ ღირებულებებთან დაახლოების შესახებ. არაოფიციალური მონაცემების თანახმად, კონსერვატორ, ე.ი. რეფორმათა მოწინააღმდეგე ევანგელისტ-ბაპტისტთა რიცხვი 1000-მდე აღწევს. ისინი, ძირითადად, ბათუმსა და თბილისში ცხოვრობენ.

ეკლესია «მადლი»

ერთ-ერთი ბაპტისტური ეკლესია საქართველოში (მეტწილად რუსულენოვანი), თვითმყოფადი და თვითმმართველი, დამოუკიდებელი ამავე კონფესიის სხვა ეკლესიებისაგან, რომლებიც საქართველოში ან საზღვარგარეთაა.

ჩამოყალიბდა 1985 წელს თბილისში, ფილიალი ბათუმშიც აქვს. თბილისის სამლოცველო სახლი მდებარეობს ნავთლუღში, ქინძმარაულის ქუჩაზე. წინამძღვარია გარი არუთინოვი. მონათლულ წევრთა რაოდენობა 150-ს უდრის.

ღვთისმსახურების სტილისა და ცხოვრების წესის თვალსაზრისით იგი ბაპტისტთა ტრადიციულ ხაზს მიჰყვება. ეკლესია არ არის გაყოფილი სამღვდელო და საერო (სამრევლო) საზოგადოებებად, არ ჰყავს ეპისკოპოსი: არ შედის ეპისკოპალურ დაქვემდებარებაში და არ არსებობს საეკლესიო იერარქია (დაცულია საყოველთაო მღვდლობის პრინციპი), ღვთისმსახურებაში არ გამოიყენება საეკლესიო-სარწმუნოებრივი სიმბოლოები: ხატები და რელიეფური ჯვარი (ჯვარცმა); არ გვხვდება საკურთხეველი და არც ტრაპეზი, უცხოა წმინდანთა და წმინდა საგანთა კულტი (მათდამი თაყვანისცემის წესი) და ა.შ..

საკუთარ მრწამსს ეს ეკლესია მოკლედ და ზოგადად ასე გადმოსცემს:

მამა, ძე და წმინდა სული არსებით ერთი და განუყოფელია. საღვთო ჭეშმარიტება გაცხადებულია ბიბლიაში. ცოდვისა და მისი შედეგისაგან განკაცებულმა ღმერთმა იესო ქრისტემ გამოგვისყიდა და ხსნა მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ გაღებული მსხვერპლით მოგვემადლება. ცოდვილი ადამიანი მართლდება ღვთისაგან ბოძებული მადლით და პირადი რწმენით. ზეციდან შობა ადამიანში სულიწმინდის მეშვეობით ხდება. ეკლესია არის ქრისტეს სხეული, რომელსაც ზეციდან შობილნი გა-

ნეკუთვნებიან. წმინდა წერილი (ბიბლია) რწმე-ნის ერთადერთი წყარო და უმაღლესი ავტორიტეტია.

ნათლისღების წესი აქაც, ისე როგორც ყველა სხვა ბაპტისტურ ეკლესიაში, მხოლოდ მოწიფულ ასაკში მყოფი ადამიანების მიმართ სრულდება.

ზიარების წესი თვეში ერთხელ და დიდ საუფლო დღესასწაულებზე სრულდება — გამოიყენება პური და ყურძნის წვენი (ღვინის ნაცვლად).

მსახურება ჩვეულებრივ ორ საათს გრძელდება და შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: საღვთო წერილის კითხვა, ქადაგება, ლოცვა და გალობა სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის თანხლებით.

ეკლესია, ამერიკელი და ევროპელი თანამორწმუნეების დახმარებით, შემდეგ სოციალურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებს ახორციელებს: უმწეოთა და უპოვართა დაპურება, უძლურთა ნუგეში, ბავშვთა სარწმუნოებრივი სწავლა-განათლება, მათი დასასვენებელი და გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა, წიგნების გამოცემა.

ეკლესია «ვაზი»

თავისუფალი მიმართულების ეკლესია, ანუ ქრისტიანული საზოგადოებაა, რომელიც თავს არც ერთ კონფესიას არ მიაკუთვნებს; ჩამოყალიბდა, ძირითადად, ბაპტისტური ეკლესიის ბაზაზე 1996 წელს, მოქმედებს თბილისში, რეგისტრირებულია 1999 წლიდან; ხელმძღვანელი დოქტ. კონსტანტინე სარაჯიშვილი, ხუცესი — ვილი როჰერტი, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს. აქვს ოფისი საბურთალის რაიონში, ნუცუბიძის პლატოზე.

სახელწოდება აღებულია იესო ქრისტეს ფრაზიდან: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი» (იოანე 15:1). ამდენად, ვენახი, ანუ ვაზი მაცხოვრის სიმბოლოა და ამ სახელით მოქმედი საზოგადოების წევრები და თანამდგომები თავს იესო ქრისტეს მიმდევრებად მიიჩ-ნევენ. აღნიშნული საზოგადოება სხვა რელიგიური ორგანიზაციებისაგან იმით განსხვავდება, რომ ის თავისი წევრებისაგან მხოლოდ და მხოლოდ იესო ქრისტეს გამომსყიდველობითი მისიის აღიარებას მოითხოვს. მისი კარი ღიაა ყველასათვის, ვისაც ქრისტესადმი, როგორც მხსნელისადმი, რწმენა აქვს. დოგმატური პოზიციები და პრინციპები «ვაზის» წევრთათვის მეორეხარისხოვანია. ამიტომ საზოგადოება „ვა-ზი» ნებისმიერი აღმსარებლობის მიმდევარს აერთიანებს. მის საღვთისმსახურო შეკრებებში (ლოცვა, ქადაგება), ბიბლიის შემსწავლელ სემინარებსა და, გან-საკუთრებით, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობენ როგორც პროტესტანტები, მართლმადიდებლები და კათოლიკეები, ისე აგნოსტიკო-სები და ათეისტებიც კი. უკანასკნელნი, ცხადია, არ ლოცულობენ, მაგრამ დებატებში სიამოვნებით ერთვებიან და სამეცნიერო-შემეცნებით მოხსენებებსაც კითხულობენ. ამ მიზნით „ვაზის» ოფისში რეგულარულად იმართება „კაფეები» და ეწყობა ქრისტი-ანული ფილმების ჩვენება.

მიზნები და ამოცანები, რაც „ვაზის» პროფილს და საქმიანობას განაპირობებს, ჩამოყალიბებულია წერილობით დეკლარაციაში: „ჩვენ ვეხმარებით ადამიანებს, რომლებიც ეძებენ ჭეშმარიტ ღმერთს და ცოცხალ ურთიერთობას მასთან. ჩვენი მიზანია, მათ შეიცნონ და გააცნობიერონ ღმერთი, პირველ ყოვლისა, მისი მარადიული სიტყვის — ბიბლიის — მეშვეობით».

„ვაზის» რწმენის ფორმულა ასე ჟღერს:

„ჩვენ გვწამს ერთარსი, სამპიროვანი ღმერთი: მამა, ძე — იესო ქრისტე და სულიწმიდა. ბიბლია არის ღვთის გამოცხადების წმინდა, დასრულებული, უშეცდომო, ღვთივსულიერი წიგნი. იგი დღესაც აქტუალურია, ვინაიდან მისი პრინციპები მარადიულია. ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ ბიბლიური პრინციპებით მამა ღმერთის სადიდებლად, იესო ქრისტეს რწმენით და სულიწმიდის ძალით... ჩვენ გვწამს, რომ იესო ძალითა და ძლევამოსილებით კვლავ მოვა ამ დედამიწაზე, რათა წაიყვანოს თავისი ეკლესია და განიკითხოს ურწმუნონი.

ჩვენ გვწამს, რომ ყოველი ადამიანი ცოდვილია და ღმერთისაგან გამოყოფილი. მხოლოდ იესო ქრისტეს ცოცხალი რწმენით (რაც საქმეებით გამოიხატება) და ცოდვების გულწრფელი მონანიებით (რაც ცხოვრების შეცვლით უნდა გამოიხატებოდეს) ხდება ყოველი ადამიანის ხელახლად შობა, სულით შობა და მარადიული სიცოც--ხლის მიღება ღმერთის თანდასწრებით.

ვცხოვრობთ რა ამ პრინციპებით, ჩვენ აქ წარმოვადგენთ იესო ქრისტეს ეკლესიას — მის სხეულს, რომლის თავი თვით ქრისტეა...”

„ვაზის», როგორც ეკლესიის, პრაქტიკაში წამყვანი ადგილი ბიბლიის კითხვას და შესწავლას განეკუთვნება. საეკლესიო წესები (ნათლობა და ზიარება) ტარდება მაშინ, როდესაც ხუცესი საქართველოში ჩამოსვლას მოახერხებს. გარკვეული ადგილი უჭირავს, აგრეთვე, მისიონერულ საქმიანობას. ეს პრინციპიც იესოს სიტყვებს ეყრდნობა: „წადით, მოიმოწაფეთ და ასწავლეთ» (მათე 28: 19-20). ამ ეკლესიაში განმარტავენ, რომ მათი მისიონერობა დოგმატურ შინაარსს არ შეიცავს და მიზნად მხოლოდ ზოგადქრისტიანული მცნებების გავრცელებას ისახავს.

საზოგადოება „ვაზი» თავის წევრებს და თანამოაზრეებს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდებს. მისი დეკლარაციის მე-5 პარაგრაფში აღნიშნულია:

„ჩვენ გვსურს ვიყოთ ქრისტიანები, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებენ თანამედროვე საზოგადოებაში; ჩვენ გვსურს ვილოცოთ იმ პირთათვის, რომლებსაც პასუხისმგებლობა აკისრიათ საზოგადოებასა და სახელმწიფო აპარატში (1 ტიმ. 2:1-4); ჩვენ გვსურს, ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში ვიკისროთ პასუხისმგებლობა და შევასრულოთ აქტიური როლი, რაც არ ეწინააღმდეგება ბიბლიურ სწავლებას; ჩვენ გვსურს საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობის აღება...»

ნუგზარ პაპუაშვილი

კვაკერები — მეგობართა რელიგიური საზოგადოება

კვაკერების (ინგლ. *Quakers)* პროტესტანტული მოძრაობა ინგლისში 1650-იან წლებში ჩაისახა სამოქალაქო ომის დროს, როცა მოხეტიალე მქადაგებელი ჯორჯ ფოქსი დისიდენტების ჯგუფს აგროვებდა. მათი აზრით, ეკლესიამ უკვე რამდენიმე საუკუნის წინ დააშორა ადამიანები ქრისტიანობის პირველსაწყის იდეალებს, გააფეტიშა წესები და რიტუალები, დაიწყო ძალაზე დამყარებული პოლიტიკის გატარება.

დღეს «კვაკერები» და «მეგობრები» ერთსა და იმავე რელიგიურ მიმდინარეობას ეწოდება, რომლის ოფიციალური სახელი არის «კვაკერების (მეგობრების) რელიგიური საზოგადოება».

კვაკერთა საერთო რაოდენობა მთელ მსოფლიოში არც ისე დიდია (დაახლ. 350000). თუმცა არსებობს ადგილები, მაგალითად, პენსილვანია (კერძოდ, ფილადელფია), ნიუბერგი (ორეგონი), გრინლიფი (აიდაჰო), რიჩმონდი (ინდიანა), ბირმინჰემი (ინგლისი), სადაც კვაკერთა დიდი კონცენტრაცია შეინიშნება.

ისტორია

ჯორჯ ფოქსმა (1624-1691) 19 წლის ასაკში დატოვა მშობლიური სახლი, რათა რელიგიურ კითხვებზე პასუხები ეპოვნა. ის ამ შეკითხვებს ყველგან უსვამდა რელიგიურ ლიდერებს და ეკამათებოდა მათ. მოგზაურობის განმავლობაში, რომელიც ოთხი წელი გაგრძელდა, მან თანდათანობით გააცნობიერა, რომ მისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხებს თავად ღმერთი იძლეოდა და ეს პასუხები ადამიანს საკუთარ თავში უნდა ეძებნა.

ჯორჯ ფოქსმა მთელი ცხოვრება მიუძღვნა იმას, რომ თავისი ხედვა და ქრისტიანობის ახლებური გააზრება სხვებისთვისაც გაეზიარებინა. ახალი რელიგიური რწმენის გავრცელებისთვის ის რვაჯერ იჯდა ციხეში, სადაც მას გამუდმებით სცემდნენ და აწამებდნენ. მისი ნაშრომები «მეგობრების რელიგიური საზოგადოების» მთავარ საყრდენს წარმოადგენს.

თავდაპირველად კვაკერთა მოძრაობა წარმოადგენდა სეპარატისტთა ერთ-ერთ განშტოებას ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ. სხვა უკმაყოფილო ინგლისელი პროტესტანტების მსგავსად, კვაკერები სახელმწიფო ეკლესიის წევრობაზე და მის სასარგებლოდ გადასახადების გადახდაზე უარს ამბობდნენ. გარდა ამისა, ისინი ითხოვდნენ სიტყვისა და შეკრების თავისუფლებას, აღიარებდნენ ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობას, უარს ამბობდნენ ომში მონაწილეობაზე. 1650 წელს მოსამართლემ, რომელსაც ფოქსი ღვთის წინაშე კრძალვისკენ მოუწოდებდა, დაცინ-

ვით უწოდა მის მიმდევრებს «კვაკერები» (Quake ინგლისური სიტყვაა და ქართულად კანკალს, თრთოლვას ნიშნავს), ხოლო სახელწოდება «რელიგიური საზოგადოება» მათი მისამართით პირველად 1665 წელს გამოიყენეს.

კვაკერები შეეცადნენ აეღორძინებინათ ეკლესიის ნამდვილი სახე და დანიშნულება, ცდილობდნენ მაქსიმალურად დაეცვათ იესოს მცნებები. კვაკერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ტრადიციულ რელიგიურ ენას არ შეუძლია ადამიანის შინაგანი გამოცდილების ადეკვატურად გადმოცემა. ამიტომ მათი მზერა როგორც ქრისტიანობისკენ, ასევე სხვა რელიგიებისკენაც არის მიმართული. მეგობართა საზოგადოება არსობრივად განსხვავდება სხვა ქრისტიანული ჯგუფებისაგან: მათ არ ჰყავთ მღვდლები, არა აქვთ ფორმალური საღვთისმსახურო განრიგი და რწმენის სიმბოლო.

XVII საუკუნეში კვაკერებს დიდი დევნის გადატანა მოუხდათ, მიუხედავად ამისა, მათი რიგები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ინგლისში მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ, ამწყვევდნენ ციხეებში, ამიტომ 1656 წლიდან ამერიკას მიაშურეს.

XIX საუკუნეში ამერიკელ კვაკერთა შორის ორჯერ მოხდა განხეთქილება, პირველად — 1827 წელს. გამოყოფილებს უწოდეს ჰიქსიტები, ე. ჰიქსის (1748-1830) სახელის მიხედვით, რომელიც განმანათლებლობისა და ლიბერალიზმის პრინციპების დიდ ზეგავლენას განიცდიდა.

მეორე განხეთქილება 1845 წელს მოხდა, როცა კვაკერთა ორთოდოქსული ნაწილი გერნიტებად და უილბურნიტებად გაიყო. პირველი ფრთა დაკავშირებულია ჯ. გერნის სახელთან (1778-1846), რომელიც ბიბლიის განსაკუთრებულ ავტორიტეტზე მიუთითებდა, მეორე კი — ჯ. უილბურის სახელთან (1774-1856), რომელიც თვლიდა, რომ გერნი არღვევს «შინაგანი სინათლის» უზენაესი ძალაუფლების პრინციპს. გერნიტთა გარკვეულმა ნაწილმა მიიღო თავისი ფორმით უფრო მეტად ეკლესიური სახელწოდება — «მეგობართა ეკლესია».

მოძღვრება და პრაქტიკა

აღნიშნული მოძრაობის დამფუძნებლის აზრით, კვაკეროზა არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, როგორც ქრისტიანობის ალტერნატივა, არამედ უნდა გადაქცეულიყო საერთოქრისტიანულ წინააღმდეგობად ეკლესიაში გაბატონებული ფარისევლობის მიმართ.

კვაკერიზმის ცენტრალურ ცნებას წარმოადგენს «შინაგანი სინათლე», რომელიც მიუთითებს სულიწმიდის მოქმედებაზე ადამიანში. ბიბლია კვაკერებისთვის ფასეულ გამოცდილებას წარმოადგენდა, მაგრამ იგი არ იყო მათთვის ნორმატიული ხასიათისა, რაც, ზოგადად, პროტესტანტული სამყაროსგან კვაკერიზმის განმასხვავებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი გახდა.

რა თქმა უნდა, თვალში საცემია კვაკერების მიერ თითქმის სრული უგულებელყოფა გარეგნული (ფორმალური) რელიგიური წეს-ჩვეულებითი ცხოვრებისა. ეს დაკავშირებულია შინაგანი ნათლის იდეასთან. ტრადიციულ ქრისტიანობაშიც კი

გარეგნულ მოქმედებებს არ ენიჭებათ განსაკუთრებული მნიშვნელობა, თუკი მათ ადამიანი ღმერთამდე არ მიჰყავთ, მაგრამ რაკი კვაკერებს სწამთ, რომ ეს შეხვედრა (ღმერთისა და ადამიანის) მხოლოდ პიროვნების გულის იდუმალ სამყაროშია შესაძლებელი, ამიტომ ყოველივე გარეგნული მათთვის სრულიად უმნიშვნელოა. კვაკერთა აზრით, საიდუმლოებებში მონაწილეობა, მარხვის შენახვა და დღესასწაულების აღნიშნვა არ უწყობს ხელს ადამიანის სრულყოფასა და განვითარებას.

კვაკერებს სწამთ, რომ ღმერთი ადამიანის სულს უშუალოდ მიმართავს, ამიტომ ამ აქტს ისინი განიხილავენ უმთავრეს მოვლენად ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, რის მონაწილეც ყოველი ადამიანი შეიძლება იყოს. ამიტომ კვაკერები არ აღიარებენ სამღვდელოების განსაკუთრებულ მოწოდებასა და როლს, რისი შედეგიც არის მათ მიერ ყველა რელიგიური წეს-ჩვეულებისა თუ საეკლესიო რიტუალის უგულებელყოფა.

როგორც წესი, კვაკერები თვეში ერთხელ ხვდებოდნენ ერთმანეთს, თუმცა შეხვედრების ინტენსივობა უკვე სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ქვეყანაში. იწვევენ ყოველწლიურ შეკრებებსაც, რომლებზეც კონკრეტული გეოგრაფიული არეალის «მეგობართა» ხელმძღვანელობას ირჩევენ.

ამჟამად კვაკერები ყოველ კვირა იკრიბებიან ლოცვისთვის. შეხვედრების მიზანი სიჩუმეში ლოცვაა. შეხვედრის ადგილი არ არის მნიშვნელოვანი, ის შეიძლება იყოს ახალი ან ძველი შენობა, ოთახი, შეხვედრები შეიძლება ღია ცის ქვეშაც გაიმართოს. შეხვედრის ადგილას განსაკუთრებული სიმბოლოები საჭირო არ არის, თუმცა ოთახში შეიძლება იყოს სასულიერო წიგნები, ყვავილები და სანთლები. დაუგეგმავ შეხვედრებს არ ჰყავს პასტორი, ღვთისმსახურების შემადგენელი ნაწილები არ არის არც ლოცვა და არც გალობა.

ამ ჩუმი შეხვედრების («ჩუმი ლოცვის") დროს, თუ ვინმე საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია, თავისი აზრი მოკლედ სხვებსაც გაუზიაროს, მაგრამ ხშირად შეხვედრები სრულ სიჩუმეში მიმდინარეობს. მეგობრები ფიქრობენ, რომ ურთიერთობა ყველაზე უკეთ მაშინ გამოსდით, როცა ისინი სიჩუმეში, სიმშვიდეში ხვდებიან ერთმანეთს, როცა არაფერი წინასწარ დაგეგმილი არ არის. შედიან ოთახში და სხდებიან წყნარად. სიჩუმე შეიძლება იყოს ძალიან ღრმა და ძლიერი. სწორედ ამ დროს მყარდება, კვაკერთა რწმენით, პირდაპირი კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის.

კვაკერები არ აღასრულებენ არცერთ საიდუმლოს. მათ სწამთ სულიერი ზიარებისა, რომლის განსახორციელებლად არ არის საჭირო არანაირი ფიზიკური ნივთიერება, მაგალითად, პური და ღვინო. მსგავსი მიდგომა აქვთ მათ ნათლობის საიდუმლოსადმიც: კვაკერებს მხოლოდ სულიერი ნათლობისა სწამთ (ზუსტად ასეთივე მიმართება აქვთ ამ საიდუმლოებებთან ხსნის არმიის წევრებსაც).

თუკი თითოეულ ადამიანში ყოველთვის და ყველგან არის ღვთის «ნაპერწკალი», მაშინ აღარ არის საჭირო განსაკუთრებული დღეები, დღესასწაულები, არც ცერემონიების, საიდუმლოებებისა და რიტუალების საჭიროება არსებობს. ამავე მიზეზით, შენობა, რომელიც ლოცვითი შეკრებებისთვის გამოიყენება, არ ითვლება წმინდა

ადგილად: მასში შეიძლება სადილობაც, დისკუსიის გამართვაც და კონცერტის მოწყობაც.

კვაკერები პროტესტანტიზმის მრავალ სწავლა-მოძღვრებით დებულებას იზიარებენ, თუმცა მათ არ გააჩნიათ რაიმე ოფიციალური რწმენის სიმბოლო. მის ნაცვლად ისინი ხელმძღვანელობენ კრებულით «რწმენა და პრაქტიკა» (*Faith and Practice*). ეს არის ერთგვარი წესდება, რომელშიც წარმოდგენილია კვაკერთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვალდებულებები, აგრეთვე, მითითებები მათი პირადი საქმეების წარმოების შესახებ.

ორგანიზაცია

მრავალი სხვა მოძრაობის მსგავსად, «მეგობართა რელიგიურმა საზოგადოებამ» ცვლილებები განიცადა და სხვადასხვა განშტოება გაიჩინა.

ინგლისში მისი დაარსებისთანვე კვაკერიზმი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, ძირითადად — ბოლივიაში, კოსტა-რიკაში, გვატემალაში, კენიაში, პერუსა და აშშ-ში.

1990-იან წლებში 350000-დან დაახლოებით 100000 კვაკერი აშშ-ში ცხოვრობდა. კვაკერებმა ორგანიზაციულად ჩამოაყალიბეს შედარებით უფრო მსხვილი «მეგობართა საზოგადოება», რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ იკრიბება. მოქმედებს ასევე «რელიგიური საზოგადოება», რომელიც გენერალურ კონფერენციებს აწყობს, «მეგობართა რელიგიური საზოგადოება», რომელიც სხვებთან შედარებით უფრო კონსერვატიულია, დაბოლოს, ყველაზე ფუნდამენტალისტურად განწყობილი «ევანგელურ მეგობართა ასოციაცია». ყველაზე მსხვილი საზოგადოებები არის კენიაში (დაახლ. 100000 წევრი) და დიდ ბრიტანეთში (დაახლ. 18000 წევრი).

სოციალური მსახურება

კვაკერთა შეხედულებით, სანამ ადამიანი სულით არ შეიგრძნობს რწმენას, არ იგრძნობს მის ღირებულებასა და ჭეშმარიტებას, მანამდე იგი ვერ შესძლებს სარწმუნოებრივი პრინციპების მიხედვით ცხოვრებას. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რწმენას, თუ იგი არ აისახება მორწმუნის ცხოვრებაში. კვაკერები ყოველთვის ცდილობდნენ ყოფილიყვნენ კეთილსინდისიერები დაკისრებული მოვალეობის აღსრულებისას. კვაკერები ყოველთვის სიმართლეს ამბობენ და სწორედ ამიტომ არ აღასრულებენ ისინი, როგორც წესი, ფიცის რიტუალს სასამართლოზე. ფიცი სასამართლოზე გულისხმობს, რომ დანარჩენ დროს პატიოსნება და სიმართლის თქმა არ არის აუცილებელი, რომ არსებობს პატიოსნების სხვადასხვა სტანდარტი.

თავიდანვე კვაკერების სერიოზული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა ხალხის სოციალური პირობების გაუმჯობესება და გარემოს დაცვა. პატიმართა, ფსიქიკური პრობლემის მქონეთა, საომარი მოქმედებების მსხვერპლთა და მოხუცთა დახმარება — ყოველივე ეს კვაკერების აქტივობათა განაწესში შედის. მათ დააფუძნეს მრავალი საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლებიც სწორედ ამ მიმართულებებით მუშაობს.

კვაკერების ღრმა რწმენით, თუკი თითოეული ადამიანი ერთგული იქნება იესოს სწავლებისა და სამაგალითოდ გაიხდის მის პირად ცხოვრებას, მაშინ მოისპობა ომი და ძალადობა. ომი და ძალადობა ვერ წყვეტს პრობლემებს. კვაკერები ყოველთვის უარს ამბობდნენ ომისა და, საზოგადოდ, მილიტარიზმისათვის ნებისმიერი სახის ხელშეწყობასა თუ დახმარებაზე. მსოფლიოს ბევრ ქალაქში არსებობს კვაკერთა ცენტრები, რომლებიც წარმოადგენენ ნეიტრალურ ადგილებს, სადაც, მაგალითად, დიპლომატებს შეუძლიათ ერთმანეთთან შეხვედრა და მოლაპარაკება. «მეგობრებს» დაფუძნებული აქვთ, აგრეთვე, მრავალი კოლეჯი და სკოლა.

აღსანიშნავია, რომ ორი უმსხვილესი ამერიკული კვაკერული ორგანიზაცია 1947 წელს დაჯილდოვდა ნობელის პრემიით მშვიდობის დარგში.

კვაკერები საქართველოში

2007 წლის ზაფხულს საქართველოში ჩამოვიდა სერგეი გრუშკო ორ სხვა კვაკერთან — მოსკოვის ოფისის მენეჯერ ინგლისელ პიტერ დაისონსა და ამერიკელ ჯულია რაიბერგთან — ერთად. მათი მიზანი იყო დახმარებოდნენ ქართველ კვაკერებს, რათა «მეგობართა საქართველოს რელიგიური საზოგადოება», რომელიც 21 კაცს აერთიანებს, «მეგობართა მსოფლიო საზოგადოების» ოფიციალური წევრი გამხდარიყო.

პირველი ქართველი კვაკერი ბაგრატ მამასახლისი გახდა, რომელიც ამ რელიგიურ მიმდინარეობას ინგლისში გაეცნო ათი წლის წინ. «კონტაქტი კვაკერებთან 3 წლის წინ აღვადგინე და თბილისში 21-კაციანი ჯგუფი ჩამოვაყალიბე. ამ მიმდინარეობით თავდაპირველად ჩემი მეგობრები და ახლობლები დაინტერესდნენ. კვაკერიზმი თავისუფალია ფუყე ფორმალიზმისგან და ქრისტიანულ პირველწყაროსთან უფრო ახლოს დგას. ამ მიმდინარეობამ, პირველ ყოვლისა, მშვიდობისა და თანასწორობის იდეებითა და პრინციპებით მიმიზიდა», — ამბობს ბაგრატ მამასახლისი.

პირველი ქართველი კვაკერი ფიქრობს, რომ «მეგობრების მსოფლიო საზოგადოებაში» გაწევრიანება მათ მეტი და უფრო აქტიური კონტაქტების დამყარებაში დაეხმარება და მეტ ლიტერატურასაც მიიღებენ. რაც შეეხება 21- კაციანი ჯგუფის გაფართოებას, ბაგრატ მამასახლისი ამბობს, რომ ჯერ კარგად უნდა შეისწავლონ ადამიანი, უნდა გაერკვნენ მის მისწრაფებებსა და პრინციპებში, «მხოლოდ ამის შემდეგ შევთავაზებთ ჩვენს ლიტერატურას და ის თავად გადაწყვეტს, უნდა თუ არა ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანება. სხვათა შორის, კვაკერიზმი ერთადერთი რელიგიური დენომინაციაა, რომლის წევრებსაც შეუძლიათ სხვა რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლებიც იყვნენ».

საქართველოში კვაკერები უკვე აქტიურად არიან ჩართულნი დიაბეტით დაავადებულთა დახმარების სოციალურ პროგრამაში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში ერთადერთი რელიგიური ორგანიზაცია, რომელმაც 2006 წელს იქ დაწყებული ქართველთა დისკრიმინაცია გააპროტესტა, «მეგობართა რუსეთის რელიგიური საზოგადოება — კვაკერები" იყო.

«როდესაც რუსეთის ავტორიტარულმა ხელისუფლებამ და თვით პრეზიდენტმა რუსეთში მცხოვრები ქართველების წინააღმდეგ დისკრიმინაციული პოლიტიკა შე-იმუშავა და მათი გამოძევება დაიწყო რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან, მოსკოველი კვაკერები ამის წინააღმდეგ გავერთიანდით. ჩვენი მიზანი იყო გაგვეპროტესტებინა რუსეთის ხელისუფლების ეს დისკრიმინაციული და აღმაშფოთებელი ნაბიჯი. ყველა ადამიანი თანასწორია ეთნიკური, თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად. ამიტომ ეროვნების გამო ადამიანების დისკრიმინაცია, საშინელი უსამართლობაა», — განაცხადა მოსკოვის კვაკერთა საზოგადოების წევრმა, სერგეი გრუშკომ საქართველოში ვიზიტის დროს.

დავით თინიკაშვილი

დუხობორები

მისტიკურ-რაციონალური მიმდინარეობა რუსეთში და რუსი ხალხის ეთნოგრაფიული ჯგუფი.

ჩამოყალიბდა ვორონეჟის, ტამბოვისა და ეკატერინოსლავის გუბერნიებში. დამაარსებლები: გლეხი სილუან კოლესნიკოვი, ვაჭარი ილარიონ პობიროხინი და გადამდგარი უნტეროფიცერი საველი კაპუსტინი. გამოეყო რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას XVIII საუკუნის 50-80-იან წლებში.

არსებითი ნიშანი: საღვთო წერილსა და საღვთისმსახურო წიგნებზე უარის თქმა, მოძღვრებისა და საღვთისმსახურო წესების ზეპირად გადაცემა, ადამიანის სულის ღვთის ნაწილად მიჩნევა, რეინკარნაციის რწმენა; პირველცოდვის მემკვიდრეობით გადაცემის არაღიარება და თეოლოგიურ სისტემაში სიმბოლოების სიჭარბე.

განსახლება: რუსეთის ცენტრალური ნაწილი, საქართველო და კანადა.

რაოდენობა: 40-45 ათასი.

სახელწოდება

XVIII საუკუნის 50-70-იან წლებში რმე-ის წიაღიდან გამოსული დენომინაციების უმრავლესობას საკუთარი, კონფესიური სპეციფიკის გამომხატველი, სახელი არ ჰქონდა. მათ, ზოგადად, «ხატმებრძოლებს», ანდა «სულიერ ქრისტიანებს» უწოდებდნენ. სიტყვა «დუხობორცი» პირველად ეკატერინოსლავის ეპისკოპოსმა ამბროსიმ გამოიყენა 1775 წელს, ცხადია, ნეგატიურ კონტექსტში — «სულის წინააღმდეგ მებრძოლის» აზრით. ეს სახელწოდება სწრაფად გავრცელდა სამხრეთ რუსეთის გლეხობასა და დონის კაზაკებს შორის. მოიწონეს მათაც, რომელთა მისამართით ეს სიტყვა წარმოითქვა და იგი ასე გაიაზრეს: «სულით მებრძოლი», ანუ სულისა და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლი. ამის შემდეგ «დუხობორი» აღნიშნული კონფესიის სახელწოდებად დამკვიდრდა. ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან დუხობორები თავიანთ მისიას «ცოცხალი რწმენის» აღორძინებასა და გაძლიერებაში ხედავენ, რაც მათგან სულიერ (და მხოლოდ სულიერ) ბრძოლას მოითხოვს.

ისტორია

დუხობორები თავიანთ ისტორიას რუსეთის დიდი საეკლესიო «რასკოლით» (სქიზმით, განხეთქილებით) იწყებენ, ე.ი. 1666 წლიდან (იხ. ძველმართლმადიდებლები). ამ დროს რუსეთში ნამდვილი სამოქალაქო ომი იმის თაობაზეც გაჩაღდა, ბიბლიის რომელი რედაქცია უნდა დაესტამბათ: ძველი თუ ნიკონის კომისიისაგან ჩასწორებული? მორწმუნეთა ნაწილმა ყურადღება იმ ჭეშმარიტებაზე გადაიტანა, რომ ცხონების წყარო არის არა ბიბლიის ტექსტი, არამედ შინაარსი. სწორედ ეს პოზიცია განავითარეს დუხობორების მამათმთავრებმა და ბიბლიის ტექსტზე უარის თქმა თავიანთი კონფესიის ქვაკუთხედად აქციეს (იხ. ქვემ.).

დუხობორთა მოძრაობის აღმოცენების მიზეზებისა და თარიღის შესახებ მეცნიერებს განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ. ერთნი ასახელებენ XVII-XVIII საუკუნეების რუსეთისათვის დამახასიათებელ კლასობრივ ექსპლუატაციას, სხვანი — ევროპიდან რეფორმისტულ-პროტესტანტული იდეების შემოტანასა და ოფიციალური ეკლესიიის სამღვდელოთა დასს, რომელიც ხელისუფლების სამსახურში იდგა და მოსახლეობის დაბალ ფენას მჩაგვრელად ევლინებოდა.

უძველესი დოკუმენტი, რომელიც პირველ დუხობორებს — «სულიერ ქრისტიანებს» — ახსენებს, 1750 წელს განეკუთვნება. მკვლევრებიც აღნიშნული კონფესიის ისტორიას ამ წლიდან იწყებენ.

დუხობორთა პირველი თემი გლეხმა სილუან კოლესნიკოვმა და მატყლით მოვაჭრე ილარიონ პობიროხინმა ჩამოაყალიბეს. ფიქრობენ, რომ მათ კავშირი ჰქონდათ ვიღაც უცხოელ კვაკერთან, რომელიც XVIII საუკუნის შუა წლებში ხარკოვის გუბერნიის სოფ. ვოხოჩემში ცხოვრობდა. მისი მიმდევრები თავიანთ თავს სულიერ ქრის--ტიანებს უწოდებდნენ და ისინი, ძირითადად, ხარკოველი და ეკატერინოსლაველი გლეხები, ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ.

კვაკერები რწმენის წყაროდ აღიარებენ «შინაგან სინათლეს», რამაც პიროვნების გასხივოსნება უნდა გამოიწვიოს. სწორედ ეს მოძღვრება განავითარეს ეკატერინოსლაველმა ს. კოლესნიკოვმა და ტამბოველმა ი. პობიროხინმა. თანამოაზრეთა ჯგუფმა, რომელიც მათ გარშემო შეიკრიბა, თავის თავს «ქრისტეს სხეული» უწოდა და მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირი გაწყვიტა. პობიროხინმა თავი მესიად გამოაცხადა, შეკრიბა 12 მოციქული და 1775 წელს საზეიმო მარშით შევიდა ტამბოვში, სადაც იგი დააპატიმრეს და გააციმბირეს.

დუხობორების დიდი ნაწილი, 3985 სული, XIX საუკუნის დასაწყისში მელიტოპოლის მაზრაში, ტავრიის გუბერნიაში, მდ. მოლოჩნიე ვოდის აუთვისებელ სანაპირო ზოლში გადაასახლეს. რუსეთის ცენტრალურ ნაწილში, როსტოვის მხარეში, რამდენიმე ათასი დუხობორი დარჩა.

მოლოჩნაია ვოდას კოლონიას სათავეში საველი კაპუსტინი ჩაუდგა. მან დიდი რეფორმატორული სამუშაო ჩაატარა: ჩამოაყალიბა წესდება, რომლის თანახმად ეკლესიისათვის ოცდაათკაციან საბჭოს უნდა ეხელმძღვანელა, უარყოფილ იქნა ბიბლიის

კითხვის ტრადიცია და, საერთოდ, ღვთისმსახურების დროს ნაწერის, ტექსტის გამოყენება, უნდა წარმოთქმულიყო მხოლოდ ცოცხალი, ზეპირი სიტყვა, ზეპირი ბიბლია. ამ პრინციპის საფუძვლად პავლე მოციქულის სიტყვები გამოცხადდა: «ასო კლავს, სიტყვა კი აცოცხლებს» (2 კორ. 3:6), რასაც დუხობორები ასე გამოთქვამენ: «ნაწერი მკვდარია, სიტყვა კი ცოცხალი». აღნიშნულმა საბჭომ აღიარა იესო ქრისტეს სულის მამიდან შვილზე გადასვლის მოძღვრება და ამით დაამკვიდრა კაპუსტინების გვარის მემკვიდრეობითი უფლებები დუხობორთა მმართველობაში, რამაც თითქმის 100 წელს გასტანა.

დუხობორებს სდევნიდა როგორც სახელმწიფო, ისე მართლმადიდებელი ეკლესია. 1835-39 წლებში შედგა სპეციალური კომისია, რომელმაც შეისწავლა მათი საქმიანობა და ეს საქმიანობა, განსაკუთრებით კი არმიაში სამსახურზე უარის თქმა, სექტანტობად და ქვეყნისა და ეკლესიისათვის საშიშ მოვლენად მიიჩნია. ამის გამო დუხობორებს ულტიმატუმი წაუყენეს: ან დაბრუნებოდნენ მართლმადიდებელ ეკლესიას, ან სასჯელისათვის მომზადებულიყვნენ. უმრავლესობამ მეორე გზა აირჩია. მეფის ხელისუფლებამ 1839 წელს, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, მათი ამიერკავკასიაში გადასახლების ბრძანება გამოსცა.

კავკასიაში დუხობორები 1839-1845 წლებში ჩამოასახლეს. დიდი ნაწილი ჯავახეთში, ახალქალაქის მაზრაში, დაასახლეს 1841 წელს, ნაწილი — დმანისში (ქვემო ქართლი), ქედაბეკში (აზერბაიჯანი) და ნაწილიც — ყარსში (ამჟამინდელი თურქეთი). ახალმოსახლეთა აკლიმატიზაციის პროცესი მძიმედ მიმდინარეობდა. არ ჰქონდათ საკმარისი საკვები, წყალი და ბინები. შიმშილის, ეპიდემიებისა და ყაჩაღთა თავდასხმებისაგან ამ დროს ათასობით დუხობორი განადგურდა. ამიტომ ისინი, პაციფისტი მორწმუნეები, იძულებულნი გახდნენ, რომ ხელში იარაღი აეღოთ და თავიანთი თავი დაეცვათ (დეპორტირებულთა შემდგომი ბედი შესახებ იხ. ქვემ. «დუხობორები საქართველოში»).

რუსეთის იმპერიაში დუხობორები იმდენად დაჩაგრულად გამოიყურებოდნენ, რომ ბევრ ჰუმანისტს მათ მიმართ სიმპათია აღეძრა და მრავალმა მათგანმა ხმა აღიმაღლა მათი უფლებების დასაცავად. ამ მხრივ ყველაზე მეტად ლევ ტოლსტოი აქტიურობდა. იგი მართლმადიდებლობას «გადაგვარებულ ქრისტიანობას» უწოდებდა და ამ სარწმუნოების იდეალთა ხორცშესხმას პირველქრისტიანთა უბრალოებასა და სიმარტივეში ჭვრეტდა, თვლიდა, რომ სახარების სულს დუხობორების, მალაკნების (იხ.) და სხვა ე.წ. სექტანტების მოძღვრება და ცხოვრება უფრო შეესატყვისება, ვიდრე მდიდრულად მორთული ეკლესიები და მათი მღვდელმთავრები, რომლებსაც მთავრობა მფარველობს და, რომლებიც ფუფუნებაში იმყოფებიან. ცნობილია, რომ ტოლსტოიმ «აღდგომის» ჰონორარი 1899 წელს დევნილი და პატიმარი დუხობორების დასახმარებლად გადარიცხა. მკვლევრებს აჭვი არ ეპარებათ, რომ ამ რომანში არაერთგზის ნახსენები «სექტანტების საქმე», რომელსაც კეთილად მოგვარების სურვილით მთავარი მოქმედი პირი ხელმწიფე-იმპერატორს გადაუგზავნის, ხოლო ადრესატი გარკვეულ გულისხმიერებასაც გამოიჩენს დაჩაგრულთა ბედ-იღბლის მიმართ, პირველ ყოვლისა, «დუხობორების საქმეს», მათი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვას გულისხმობს. ფაქტია, რომ რუსეთში ჰეტეროდოქსების (სხვადმადიდებლების) დისკრიმინაცია სწორედ ამ ქვეყნის უკანასკნელი იმპერატორის დროს, 1899 წლის ახლო ხანებში, აიკრძალა.

1826 წელს, მაშინდელი სტატისტიკის მიხედვით, რუსეთის იმპერიაში 27 000 დუხობორი ირიცხებოდა, რევოლუციამდელ პერიოდში — 20 000.

1966 წელს დუხობორებმა თავიანთი მოძღვრების 300 წლის იუბილე აღნიშნეს. ცნობილმა კანადელმა დუხობორმა, ივანე ვერიგინმა, ერთ-ერთ საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე განაცხადა: «ჩვენ, დუხობორები, რომლებიც რუსი ხალხის წიაღიდან გამოვედით, ჩვენი 300-წლოვანი ისტორიის მანძილზე მკაცრი სულიერი მორჩილებით ვიცავდით ქრისტეს მოძღვრებას და შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ გვიკვირს არაფერი, რაც დღეს წუთისოფელში ხდება, რადგან იესო ქრისტეს ნათქვამი აქვს: ეს ასე იქნება».

მოძღვრება და პრაქტიკა

დუხობორების მოძღვრება ზოგადქრისტიანული თეოლოგიისაგან შესამჩნევად განსხვავდება. სპეციალურ ლიტერატურაში იგი მისტიკურ-რაციონალურ მიმართულებადაა კვალიფიცირებული, რადგან მის მიერ უარყოფილია საიდუმლოებები, მარხვები, რიტუალები და რელიგიის სხვა გარეგნული ატრიბუტები, სამღვდელოება და მისი იერარქიული სისტემა, ხატების, ჯვრების თაყვანისცემა, წმინდა მამების ავტორიტეტი და, რაც ყველაზე არსებითია, წერილი, წიგნი — ბიბლია. ეს მოძღვრება და ტრადიცია მთლიანად დაფუძნებულია ცოცხალ, ზეპირ გადმოცემებზე — იმ გადმოცემებზე, რომლებიც წინაპრებმა მომავალ თაობას უანდერძეს, რომელიც შემონახულია დუხობორთა მეხსიერებაში. სწორედ ეს მეხსიერებაა საღვთო წიგნი, ე.წ. ცხოვრების წიგნი, რომელიც აღბეჭდილია არა ქაღალდზე, არამედ მორწმუნე დუხობორების გულსა და გონებაში. ეს წიგნი, ზეპირსიტყვიერებაში არსებული, XX საუკუნის დასაწყისში ჩაიწერეს და «ცხოვრების წიგნი» უწოდეს. იგი შეადგინა და გამოსცა ვ. ბონჩბრუევიჩმა. იქ ფსალმუნების გარდა, შესულია კითხვა-პასუხები დუხობორთა სარწმუნოების შესახებ, საკრალური ლექსები, შელოცვები და სხვ., აგრეთვე ის კატეხიზმოც, რომელიც ცნობილმა უკრაინელმა მწერალმა და ჰუმანისტმა გ. ს. სკოვოროდამ (1722-1794) შეადგინა.

დუხობორთა შეხედულებით, ჭეშმარიტ მორწმუნეში ღვთის სულია დავანებული, რის გამოც მათ არ სჭირდებათ შუამავალი ღმერთთან მღვდლის სახით. ამიტომ საკუთარი ცოდვების პატიებისათვის ისინი ღმერთს უშუალოდ მიმართავენ, რადგან სწამთ, რომ ღმერთი მათ სულში სახლობს.

დუხობორთა მსჯელობით, ღვთის სამპიროვნება სხვადასხვა სახით ვლინდება. მაგალითად, ბუნებაში — სინათლე, მოძრაობა და სიმშვიდე, ადამიანში — მახსოვრობა, გონება და ნება. ღმერთმა ადამიანი თავის ცოცხალ ტაძრად შექ-მნა. ამდენად, ამ ტაძარში ღვთიური სამებაა წარმოდგენილი, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი ღმერთშია და ღმერთი ადამიანშია. ამიტომ დუხობორები თავიანთ წინამძღვრებში ქრისტე ღმერთის სულს ხედავენ. თავდაპირველად დუხობორებს სწამდათ, რომ სული სხეულის გარდაცვალების (გაქრობის) შემდეგ ახალ სხეულში გადადის და ხელახლა იბადება. ამჟამად ეს შეხედულება ასეა შეცვლილი: სული შეერწყმის კოსმოსს.

დუხობორებს სწამთ, რომ ეკლესია ორადაა გაყოფილი — კაენის შთამომავლად და აბელის შთამომავლად. ისინი აბელის ეკლესიას ეკუთვნიან. კაენის შთამომავლები, რომლებიც ვაჭრობენ და მდიდრდებიან, აბელის შთამომავლებს, დუხობორებს, ჩაგრავენ. ამ ჩაგვრას ისინი მოთმინებით იტანენ, რადგან დარწმუნებული არიან, რომ მომავალი მათია.

დუხობორთა გაგებით, ჯოჯოხეთი და სამოთხე ბოროტი და კეთილი საქმეების სიმბოლოებია. მიცვალებულს ისინი გარდაცვალებიდან მეორე დღეს ასაფლავებენ. მიიჩნევენ, რომ მიცვალებულის დამარხვამდე სული სხეულს არ განშორდება. დუხობორები პირველცოდვას მემკვიდრეობით ცოდვად არ მიიჩნევენ. მათი აზრით, თითოეული ცოდავს და ინანიებს ინდივიდუალურად.

იესო ქრისტე, რომელიც დაიბადა, რომელმაც ადამიანებს ცხოვრების ჭეშმარიტი გზა ასწავლა, რომელიც ეწამა და აღდგა, თითოეულ დუხობორში ცხოვრობს. ამიტომ დუხობორები თავის წინამძღოლს «ღვთის შვილად», სულაც «ღმერთად» თვლიან და მას «ქრისტეს» ეძახიან.

დუხობორებს სწამთ, რომ სიბრძნე, გონიერება, სინდისი, რწმენა, ცოდნა, ღვთისმოშიშება, ღვთიური ქორწინება სულიწმიდის საბოძვარია. მისგან გამომდინარეობს: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, მოთმინება, სიკეთე, გულმოწყალება, თვინიერება და თავშეკავება. ცოდვაა: სიამაყე, ვერცხლის სიყვარული ანუ ანგარება, მრუშობა, რისხვა, ჯადოქრობა, შური, სასოწარკვეთა. დუხობორისთვის ცნობილია შვიდი მადლი და სიკეთე: მორჩილება, თავმდაბლობა, უბიწოება, თმენა, მარხვა (მხოლოდ სულიერი), კაცთმოყვარეობა, სულიერი სიმხნევე. მათი მოძღვრების მიხედვით, ადამიანები ღმერთმა შექმნა, ღვთის ძემ გააცოცხლა და მისცა ჭვრეტის უნარი, სულიწმიდამ კი გაასხივოსნა. ღმერთმა ადამიანი დააჯილდოვა მახსოვრობით, გონით და ნებით.

რელიგიური თემის მთავარ ბირთვს საწესო სიმღერების შემსრულებელთა ჯგუფი შეადგენს. ისინი ყოველ კვირა დილასა და დღესასწაულებზე იკრიბებიან, კითხულობენ, უფრო სწორად, ჰყვებიან ფსალმუნებს, ასრულებენ საკრალურ სიმღერებს, დადიან «მოგილოჩკაზე», სადაც მათი წინამძღოლები და წინამორბედები განისვენებენ. ხსენებული ჯგუფი დადის გასვენებებსა და ქორწილებში. გარდა ფსალმუნებისა, სხვა სიმღერებიც სრულდება, რაც მხოლოდ დუხობორებისთვისაა განკუთვნილი. რაც შეეხება «ფსალმუნებს», ეს არაა დავით წინასწარმეტყველის ცნობილი კანონიკური ტექსტი, ამ ფსალმუნებში გამოყენებულია ნაწყვეტები დავითნიდანაც და საღვთო წერილის სხვა წიგნებიდანაც, აგრეთვე — ლოცვანებიდან და მართლმადიდებელი ეკლესიის ძღისპირებიდან (ირმოლოგიონიდან). ბევრი სტროფი, ანდა მთელი სიმღერა და საგალობელი მათი ორიგინალური შემოქმედებაა, რასაც ისინი, ზოგადად, დავითის ფსალმუნებს უწოდებენ. ამ ფსალმუნებიდან ზოგიერთი ადგილი დღეს უკვე ბუნდოვანია, მაგრამ, დუხობორთა თქმით, მთავარია ეს ადგილები ისე წარმოითქვას, როგორც ამას მათი მამები წარმოთქვამდნენ, სწამთ, რომ ამ წარმონათქვამებში სიბრძნეა ჩაქსოვილი. ერთობ ორიგინალურია ერთმოტივიანი უსიტყვი სიმღერები. საზოგადოდ, დუხობორთა სიმღერები და ლექსები ნაღვლიანია, მათში ჩაგვრისა და დევნის კვალი იგრძნობა. დუხობორთა რელიგიური მრწამსის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს მათი კალენდარული დღესასწაულებიც. გარდა

ჩვეულებრივი საეკლესიო დღესასწაულებისა (ქრისტეშობა, ახალი წელი, ნათლისღება, ხარება, ბზობა, აღდგომა), მათ სპეციფიკური დღესასწაულებიც აქვთ. ესაა მეურნეობასთან დაკავშირებული დღესასწაულები — თესვის, მოსავლის აღებისა და ა.შ.

დუხობორთა რელიგიური თემი გაერთიანებულია სამეურნეოში, ე.ი. ერთდროულად წარმოადგენს მიწისმფლობელ თემსაც. დუხობორად მიღებული ახალი წევრი თემის საკუთრებაში არსებული მიწის მფლობელი ხდება. ამდენად, ეკონომიკური საფუძვლის გამო, დუხობორები დაინტერესებული არ არიან, რომ მათი თემი რიცხობრივად გაიზარდოს. ამიტომ დუხობორად ითვლება მხოლოდ დაბადებით დუხობორი, რაც ხაზს უსვამს «ღვთისრჩეულობის» იდეას.

სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით, დუხობორთა თემი არის მყარი ორგანიზმი, რომელსაც საკუთარი მოძღვრება და ცხოვრების ნორმირებული წესი აქვს. მისი წევრები დამოკიდებული არიან თავიანთ საზოგადოებაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში «ობშჩინა» ზრუნავს თითოეულ წევრზე, თემის შიგნით არ არის არავითარი დიფერენციაცია, ყველა თანასწორუფლებიანია. დუხობორთა თემი აბსოლუტიზმის პრეტენზიას მხოლოდ თავის წევრებზე ავრცელებს. თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, ეს თემი შიდა ნორმების დაცვას ხსნის ერთადერთ გზად მიიჩნევს. დუხობორთა ეთნიკური თვითშეგნება განისაზღვრა რელიგიური ფორმით და განმტკიცდა პერსონიფიცირებული სახელწოდებით «დუხობორი». სოციალური ორგანიზაცია — თემი — გააზრებულია როგორც ერთობა. კონფესიური წოდება «დუხობორი», ამავე დროს, გვევლინება ეროვნულობის აღმნიშვნელ ეთნონიმად. დუხობორთა ეთნიკურ თავისებურებებს (მაგ., ეტიკეტს, ურთიერთდამოკიდებულების ფორმებს, საწესო სიმღერებს, წეს-ჩვეულებებს, ჩაცმულობას) რელიგიური საფუძველი აქვს.

დუხობორთა თემის შიგნით არსებული კავშირები ხასიათდება სოციალური, საოჯახო, საქორწინო და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა რთული კომპლექსით. მათ დასაცავად მთელი თემი ზრუნავს. კულტურული ტრადიციის ზოგი ელემენტი აღარ მოქმედებს ყოველდღიურ ყოფაში ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში (რელიგიური დღესასწაულების შესრულებისას), ცალკეული დეტალის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დუხობორთა ტრადიციის საერთო ძაფის უწყვეტობა და ჯგუფის სტაბილურობა ასე თუ ისე დღემდე შენარჩუნებულია.

დუხობორები საქართველოში

დუხობორებმა ჯავახეთში რვა სოფელი დააარსეს, რომლებსაც სამშობლოდან წამოღებული სახელები დაარქვეს: ტამბოვკა, ბოგდანოვკა (ახლანდელი ნინოწმინდა, რომელსაც თვითონ იერუსალიმსაც უწოდებდნენ), გორელოვკა, სპასოვკა, ორლოვკა, ეფრემოვკა, ტროიცოვკა, ანუ კალინოვკა (ახლანდელი სამება), როდიონოვკა. ახალმოსახლეებმა თავთავიანთ სოფლებში კომუნები ჩამოაყალიბეს: ჰქონდათ საერთო ბეღლები და სასადილოები, მისდევდნენ სოფლის მეურნეობას (უფრო მესაქონლეობას) და მევახშეობას. ყველა კომუნას თავიდან ერთი ხელმძღვანელი ჰყავდა. ეს იყო «წმინდა დინასტიის» წარმომადგენელი ილარიონ კალმიკოვი. კომუნალურმა

სისტემამ დიდხანს ვერ იარსება, რადგან ზოგიერთი ოჯახი გამდიდრდა და კომუნას დაუპირისპირდა.

დუხობორებს საქართველოში, ჯავახეთში, ჰქონდათ მკვეთრად მონიშნული ტერიტორიული საზღვრები, რომლებიც ეთნიკურ და კონფესიურ საზღვრებს ემთხვეოდა. ამ ტერიტორიას თავად დუხობორებიც და მათი მეზობლებიც «დუხობორიას» უწოდებდნენ. დუხობორიას ოთხივე მხრივ ესაზღვრება დუხობორთა წმინდა ადგილები: «სვიატაია გორა» (სადაც, მათი გადმოცემით, დაკრძალულნი არიან წინასწარმეტყველები: აბრაამი, ისააკი და იაკობი), «სინი კურგანი» (იგივე «სიონ-გორა», სადაც გადმოცემით, დაკრძალულია წინასწარმეტყველი «ველიკი ვასილი»), «ლუშეჩკინ ხუტოროკი» (წინამძღოლის საზაფხულო სახლი), «კურგანი» (სადაც დასაფლავებულია «ველიკი პავლო»), «აბულ გორა» (გადმოცემით დასაფლავებულია წმ. გიორგი თავისი ოჯახის 6 წევრით).

ილარიონ კალმიკოვის მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ დუხობორთა ხელმძღვანელი გახდა ილარიონის რძალი — ლუკერია გუბანოვა-კალმიკოვა (1841-1886), მისი რეზიდენცია მდებარეობდა სოფელ გორელოვკაში, ე.წ. «სიროტსკი დომში». დუხობორთა მამასახლისის, ალიოშა ზუბკოვის, მოქნილი პოლიტიკის წყალობით, დუხობორებმა მთავრობისაგან გარკვეული სარგებლისა და შეღავათების მიღება მოახერხეს, მაგრამ დროებით. 1885 წლიდან მთავრობასა და კავკასიელ დუხობორებს შორის ურთიერთობა დაიძაბა.

ლუკერიას გარდაცვალების შემდეგ დუხობორთა თემი ორ ნაწილად გაიყო — «ვერიგინისა» და «გორელოვკის» თემებად. პირველი მრავალრიცხოვანი იყო და «დიდ მხარეს» უწოდებდნენ, მეორე — მცირერიცხოვანი და «მცირე მხარედ» იხსენიებდნენ. უკანასკნელს «სამთავრობო» პარტიასაც უწოდებდნენ, რადგან მისი წევრები მთავრობასთან კონფრონტაციას ერიდებოდნენ. მოგვიანებით, ლ. ტოლსტოის პაციფისტური იდეების გავრცელების შედეგად, ვერიგინელთა ჯგუფიც გაიყო. აღმოცენდა ორი მიმართულება: ვოროვიანოველები და მემარხულეები. მემარხულეებმა 1895 წელს უარი განაცხადეს სამხედრო სამსახურზე, გადაყარეს მეფის სურათები და დაწვეს იარაღი. ამას მოჰყვა რეპრესიები: მასობრივი დაპატიმრება, გაციმბირება, ჭაბუკების დისციპლინარულ ბატალიონში ძალდატანებით გამწესება, თბილისიდან კაზაკთა დამსჯელი რაზმების გაგზავნა და მეამბოხე სოფლების დარბევა. იმ წელს 1000 დუხობორი დაიღუპა, ბევრი დასახიჩრდა და დაინვალიდდა, ბევრიც უგზოუკვლოდ დაიკარგა.

დუხობორების დასაცავად საერთაშორისო მოძრაობა გაჩაღდა. დაიწყო ზრუნვა მათი საზღვარგარეთ გადასასახლებლად. მეფის მთავრობის თანხმობით, ლ. ტოლსტოისა და ინგლისელი და ამერიკელი კვაკერების ფინანსური ხელშეწყობით, 1899 წელს კავკასიიდან 7400 დუხობორი აიყარა და კანადისაკენ დაიძრა, მაგრამ გზაში ეპიდემიამ იფეთქა და ლტოლვილები იძულებული გახდნენ თავი კუნძულ კვიპროსისათვის შეეფარებინათ. მათ კანადამდე ორწლიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ჩააღწიეს.

ამ აჯანყების, რეპრესიებისა და გადასახლების შემდეგ ჯავახეთში 10000 დუხობორი დარჩა, ბევრად ნაკლები — დმანისში. 1989 წლიდან მათ, ნაწილობრივ რელიგიურ-

პატრიოტული და ნაწილობრივ ეკონომიკური მოსაზრებების გამო, რუსეთში — ტულის მხარეში, ჩერნსკის რაიონში — გადასახლება დაიწყეს. ისინი იქ არაკომპაქტურად სახლობენ. ამას ენისა და ეთნიკურობის თვალსაზრისით ჰომოგენური გარემო ემატება, რის გამოც მათ ისტორიულ სამშობლოში რელიგიური შეხედულებებისა და ტრადიციების შენარჩუნება უძნელდებათ. შესაძლებელია, ეს გარემოება დუხობორების გაქრობის წინაპირობა გახდეს.

XXI საუკუნის პირველ წლებში საქართველოში 1500 დუხობორი ცხოვრობდა. მათი რიცხვი დღეს (2008 წ.) 500-სს არ აღემატება. მათგან 50 დმანისში ცხოვრობს.

ლია ხუციშვილი
ნუგზარ პაპუაშვილი

მალაკნები

რუსეთში აღმოცენებული რელიგიური მოძრაობა და ეთნოგრაფიული ჯგუფია; ექსტაზურ-მისტიკური და, ამასთანავე, ბიბლიურ-რაციონალური მიმართულება; ჩამოყალიბდა დუხობორების (იხ.) წრეში, მათთან დაპირისპირების შედეგად. დამაარსებელი — სემიონ უკლეინი (XVIII-XIX სს.).

ცობილია, აგრეთვე სახელით «სულიერი ქრისტიანების საზოგადოებათა კავშირი», ანდა — „სულიერი ქრისტიანები». გამოირჩევა ბიბლიის ტექსტის სიმბოლური და ალეგორიული გააზრებითა და ებრაული და მუსლიმური წარმომავლობის საწესჩვეულებო თავისებურებებით.

მალაკანთა კომპაქტური დასახლებები რუსეთის გარდა, ამიერკავკასიაში, აშშ-სა და ბრაზილიაში გვხვდება.

მათი საერთო რიცხვი, არაზუსტი მონაცემებით, მილიონია.

სახელი

სიტყვა «მალაკანს» სხვადასხვანაირად განმარტავენ. ერთი თვალსაზრისით, უკლეინის მიმდევრებს ასე იმიტომ ეწოდათ, რომ ისინი მარხვის დროს რძეს სვამდნენ. ე.ი. «მალაკანი» მომდინარეობს სიტ-ყვისაგან «მოლოკო» (რუს.). მეორენი ამ სახელს მდინარე მოლოჩნაიასთან აკავშირებენ, რომლის ნაპირებზე მალაკნების დიდი ნაწილი სახლობდა. სხვა ეტიმოლოგიის თანახმად, ასეთი სახელდების მიზეზი მალაკანთა მცირერიცხოვნებაა. თავად მალაკნები თავიანთ თავს და მოძღვრებას «სუფთა სულიერ რძეს» ადარებენ და თვლიან, რომ ეს მათი თვითსახელწოდებაა, დაფუძნებული პეტრე მოციქულის სიტყვებზე: თქვენ, „როგორც ახალშობილმა ყრმებმა, ინატრეთ სულიერი სუფთა რძე, რათა იმით გაიზარდოთ ხსნისათვის» (1 კორ. 3:2; ებრ. 5:12; 1 პეტრე 2:2).

სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო სარწმუნოდ ის თვალსაზრისი ითვლება, რომლის თანახმად მათ ეს სახელი მართლმადიდებლებმა შეარქვეს, რადგან მარხვის დროს რძის ნაწარმს ჭამდნენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ სახელწოდებაში გამოხატულია ოპონენტების სარკაზმი, რაც ამ სარწმუნოების მიმდევართა მიერ მაგარ სასმელებზე უარის თქმით იყო გამოწვეული. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ეს სახელი პირველად სახელმწიფო აქტებში გვხდება.

ისტორია

XVIII საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ტამბოვის გუბერნიაში დუხობორების თემის წევრმა, პობიროხინის მოწაფემ, თერძმა სემიონ უკლეინმა წინამორბედისაგან შესამჩნევად განსხვავებული მოძღვრება და ტრადიცია ჩამოაყალიბა — მალაკნობა. უკლეინს, პროფესიის შესაბამისად, სოფელ-სოფელ სიარული უხდებოდა. ერთ დღეს მან დუხობორთა თემის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პობიროხინი, გაიცნო, მისი ქალიშვილი ცოლად შეირთო და მის თემსაც შეუერთდა. ხუთი წლის შემდეგ ცოლქმარი განქორწინდნენ, რადგან უკლეინი ვერ შეეგუა მეუღლისა და სიმამრის სარწმუნოების მთავარ დებულებას, რომლის თანახმად რელიგიური ჭეშმარიტების ერთადერთი წყარო შინაგანი გაცისკროვნებაა. მალე იგი ტვეტოტინოვის რაციონალურ-პროტესტანტული სკოლის მიმდევრებს დაუახლოვდა, შეითვისა მათი იდე-ების ნაწილი და ისინი დუხობორების რწმენასა და ტრადიციებს შეუხამა. ასე ჩამოყალიბდა ახალი რელიგიური მიმდინარეობა და თემი. მან თანამოაზრეთაგან 70 „მოციქული» გამოყო და მათთან ერთად, ზარ-ზეიმით და ფსალმუნების გალობით, ტამბოვში შევიდა, მაგრამ იქ ისინი პოლიციამ დააპატიმრა. საქმე იმპერატორ ეკატერინე II-ის ყურამდე მივიდა, რომელმაც ბრძანა, არ გადაეცათ პატიმრები სასამართლოსათვის, თუკი ეკლესიაში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდნენ. ამ წინადადებას უკლეინი დაეთანხმა, მაგრამ მოიპოვა თუ არა თავისუფლება, კვლავ თავისი მოძღვრების ქადაგებას შეუდგა. მისი თანამოაზრეების რიცხვმა მის სიცოცხლეში 5000-ს მიაღწია. ეს მიმდინარეობა მალე სარატოვის, ვორონეჟის, ასტრახანისა და რუსეთის სხვა გუბერნიებშიც გავრცელდა.

მალაკნების სულიერ ცხოვრებაში დიდი ადგილი, მოგვიანებით, ესქატოლოგიურმა მოლოდინმა დაიჭირა. XIX საუკუნის დასაწყისში უკლეინის ერთმა მოწაფემ, როდესაც ირანიდან დაბრუნდა, მხსნელის მალე მოსვლის შესახებ ქადაგება დაიწყო. მისი თქმით, მხსნელი დედამიწის ყველა კუთხის მართლმორწმუნეებს შეკრებს იქ, სადაც რძე და თაფლი ღვარად მოედინება. იგულისხმება არარატის მთის შემოგარენი, სადაც ღმერთი ახალ იერუსალიმს — ათასწლოვან სამეფოს — დაამყარებს. ასეთი წინასწარმეტყველება გვხვდება იუნგ შილინგის წიგნში „გამარჯვების სიმღერა» (იხ. ლუთერანები), სადაც ასევე აღნიშნულია, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლას წინ ელიასა და ენოქის მოსვლა უნდა უძღოდეს. 1833 წელს მელიტოპოლელმა ტერენტი ბელეზოროვმა თავი ელიად გამოაცხადა და დაასახელა დღე, როდესაც იგი კვლავ ზეცაში ამაღლდებოდა, მაგრამ რადგან დათქმულ დღეს ეს სასწაული არ მოხდა, ბელეზოროვი პოლიციას თავად მალაკნებმა გადასცეს. 1836 წელს ცრუქრისტეც გამოჩნდა — ლუკიანე პეტროვი, რომელმაც დაარწმუნა მალაკნები, მიეტოვებინათ ყოველგვარი საქმიანობა, შემოსილიყვნენ მბრწყინავი შესამოსელით და აღთქმული ქვეყნისაკენ, კავკასიისაკენ, აეღოთ გეზი, რადგან იქ ქრისტეს ათასწლოვანი მეუფება მალე დაიწყებოდა. პეტროვი თითქოს სასწაულებსაც ახდენდა, რის გამოც მან ბევრი დაარწმუნა და კავკასიაში გადასახლება გადააწყვეტინა (შდრ. ქვემოთ).

პირველი მალაკნები, ისე როგორც პირველი დუხობორები, სოციალური უსამართლობით უკმაყოფილო გლეხები იყვნენ. ისინი პუგაჩოვის აჯანყებაში მონა-

წილეობდნენ, მაგრამ ამ აჯანყების დამარცხების შემდეგ პოლიტიკურ ბრძოლაზე ხელი აიღეს და მთლიანად რელიგიურ განცდებში ჩაიძირნენ; გაუმძაფრდათ მეორედ მოსვლის მოლოდინის განცდა და ზეციური სამოთხის მალე განახლების იმედი.

მალაკანთა პირველი სპეციფიკური ნიშანი, რითაც მათ საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს და მძაფრი რეაქცია გამოიწვიეს, ნათლისღების რიტუალზე (წყლით ნათლობაზე) უარის თქმა იყო. ამ და ბევრი სხვა მიზეზის გამო დუხობორებსა და მალაკნებს, წარმოშობითა და ცხოვრების სტილის მიხედვით მონათესავე ხალხს, მართლმადიდებელმა ეკლესიამ და მთავრობამ იმთავითვე სექტის კვალიფიკაცია მიანიჭეს და მათ წინააღმდეგ რეპრესიულ ზომებს მიმართეს. აშკარა დევნა XIX საუკუნის დამდეგს დაიწყო და თითქმის მთელ საუკუნეს გასტანა. დევნის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი ის იყო, რომ დუხობორები და მალაკნები იმპერატორს ღვთისგან ცხებულ მეფედ არ აღიარებდნენ, თუმცა მას მორჩილებას უცხადებდნენ და მის მიმართ ლოცვებსაც აღავლენდნენ, მაგრამ მთავრობის გულის მოგებას ვერ ახერხებდნენ, რადგან მათი მოძღვრება და პრაქტიკა პაციფიზმით გამოირჩეოდა და ბევრი არმიაში სამსახურზეც უარს ამბობდა.

პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელმაც მალაკნების დევნას ლეგიტიმური სტატუსი შესძინა, არის 1830 წლის 20 ოქტომბრის დადგენილება, რომელიც უმაღლესმა სამთავრობო კრებამ გამოიტანა. მასში დუხობორები და მალაკნები, ხატთამებრძოლები, გაიუდევებულები, ე.ი. სუბოტნიკები და სხვები გამოცხადებული არიან ქვეყნისა და ეკლესიისათვის „განსაკუთრებით მავნე ერეტიკოსებად». ამის გამო ამ დოკუმენტმა ჩამოთვლილი „სექტების» მიმდევართა დეპორტაციას ხელ-ფეხი გაუხსნა. აღნიშნულ დადგენილებას დაემატა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დეკრეტი, რომელიც დუხობორებისა და მალაკნების კავკასიაში გადასახლებას ითვალისწინებდა. გაიმართა სასამართლოები. ვინც მართლმადიდებელ ეკლესიაში დაბრუნებაზე უარს იტყოდა, მას სასჯელი ემუქრებოდა.

1830 წლიდან მალაკნებისა და დუხობორების მამაპაპეული მიწა-წყლიდან აყრისა და კავკასიაში, ყირიმსა და ციმბირში გადასახლების პროცესი დაიწყო. თუმცა საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გადასახლება ზოგჯერ ნებაყოფლობითაც (ადმინისტრაციული ძალადობის გარეშე) ხდებოდა. ნაწილმა რუსეთის საზღვრების გადალახვა მოახერხა და ახალი სამშობლო შორეულ ამერიკაში, შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში ჰპოვა.

დევნისა და დისკრიმინაციის მიუხედავად, რუსეთის იმპერიაში მალაკნების რიცხვმა XIX საუკუნის ბოლოს ნახევარ მილიონს მიაღწია (ყველაზე დიდი დასახლებები ყარსის ოლქში იყო). ისინი, ძირითადად, კომპაქტურად ცხოვრობდნენ. ადგილობრივ (მკვიდრ) მოსახლეობასთან კონტაქტი, გარდა საარსებოდ აუცილებელი ურთიერთობისა, არ ჰქონდათ. ამიტომ მათი ინტეგრაცია იმ ქვეყნების კულტურასა და ტრადიციულ ყოფასთან, სადაც ისინი გადასახლდნენ, თითქმის არ ხდებოდა. სამაგიეროდ ისინი კარგად ინახავდნენ იმ ადათ-წესებს, რაც მათ ისტორიული სამშობლოდან წამოიღეს. ამდენად, მალაკნები და დუხობორები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ერთობ საინტერესო ჯგუფებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათთან ურთიერთობის გაბმა როგორც მისიონერებს, ისე ეთნოგრაფებსაც ძალიან უჭირდათ.

ამასთანავე, ისიც ცნობილია, რომ ეს რელიგიურ-ეთნოგრაფიული ხალხი, როგორც წესი, თავიდანვე უბრალოებას, გულუბრყვილობასა და მიმნდობლობას ამჟღავნებდა.

როგორც დუხობორების, ისე მალაკნების სოციალურ იდეალებს პირველქრისტიანთა ზოგადცხოვრება წარმოადგენდა. ეს ერთგვარი ქრისტიანული სოციალიზმია, უფრო სწორად, კომუნა. ისინი პუგაჩოვის ოცნებათა ხორცშესხმას ლამობდნენ: ჰქონდათ საერთო ბეღლები, სასადილოები, ავეჯი და ა.შ. თავიდან ყველა ერთნაირად ცხოვრობდა, მდიდარ-ღარიბობა მოისპო, მაგრამ დროებით. XIX საუკუნის დამდეგი-დანვე მათი თემები მდიდრებად და ღარიბებად დაიყო. ასე რომ, უკლასო სა-ზოგადოების მათეულმა იდეამ კრახი განიცადა. ესეც იყო მიზეზი, რომ მალაკნების საგრძნობ ნაწილს XIX საუკუნის 60-70-იან წლებში უკლეინის მიერ ჩამოყალიბებულ თეორიაში ეჭვი შეეპარა და სულიერი სამშობლო ბაპტისტთა ეკლესიაში ჰპოვა. ბევრი ბაპტისტთა წესით (წყალში შთაფლვით) მოინათლა, ნაწილმა კი ნათლისღების ამ წესზე უარი თქვა, თუმცა ბაპტისტთა სარწმუნოება აღიარა (იხ. ქვ.).

ამჟამად მალაკნების დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს: როსტოვის, სტავროპოლის, კრასნოდარის, ტულის, ტამბოვისა და ვორონეჟის ოლქებში, აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რამდენიმე სოფელში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში. XX საუკუნის პირველ ოც წელიწადში მალაკნების რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით 1,2 მილიონს მიაღწია. ამჟამად ეს რიცხვი შემცირებულია.

2005 წელს მალაკნებმა თავიანთი სარწმუნოების ლეგალიზაციის 200 წლისთავი აღნიშნეს. ამ დროს სტავროპოლის მხარეში ათასობით მალაკანი შეიკრიბა მსოფლიოს ყველა კუთხიდან, სადაც კი ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ.

მემკვიდრეები

უკლეინის გარდაცვალების შემდეგ მალაკნებს შორის საწესჩვეულებო და, ზოგ შემთხვევაში, დოქტრინალურ სხვაობათა საფუძველზე უთანხმოებამ იჩინა თავი. მალაკნებს გამოეყვნენ და ცალკე მიმართულებებად ჩამოყალიბდნენ: 1. პრესნიკები, რომლებიც ყოველგვარ მჟავე და ცხარე საჭმელზე უარს ამბობდნენ, მათ შორის — ხახვსა და ნიორზე, 2. ისაია კრილოვის მიმდევრები, რომლებიც მუხლმოყრითა და ურთიერთხელჩაკიდებით ლოცულობდნენ, სვამდნენ ღვინოსაც, 3. „დონელი მალაკნები», რომლებიც თავიანთ თავს „სახარებისეულ ქრისტიანებს» ეძახდნენ და მართლმადიდებლებთან მეტ სიახლოვეს იჩენდნენ, 4. სუბოტნიკები და ვასკრესნიკები, ანუ შაბათის მოსეს რჯულისამებრ შემნახავები, 5. კოლექტივისტები, რომლებიც პირველი ქრისტიანების მსგავსად (საქ. 2:14) პირად საკუთრებაზე უარს ამბობდნენ და ბეღლებს აერთიანებდნენ. ეს მიმდინარეობები რელიგიათმცოდნეობაში ცალ-ცალკე აღმსარებლობებად განიხილება.

მოძღვრება და პრაქტიკა

მალაკანთა სარწმუნოება დაფუძნებულია ქრისტეს სიტყვებზე: «ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელნი თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით» (იოანე 4:24). ამის გამო მათ უარი თქვეს მღვდლის ინსტიტუტზე, წეს-განგებათა ძველ სისტემაზე, მორთულ-მოკაზმულ ტაძრებზე და ყურადღება მთლიანად ზნეობრივ მხარეზე გადაიტანეს. ისინი სთვლიან, რომ ქრისტიანთა ცხოვრება უპირატესად ათ მცნებასა და ცხრა ნეტარებას უნდა ეფუძნებოდეს. მათი სულიერი ცხოვრებისა და ღვთისმსახურების ბირთვი მხოლოდ და მხოლოდ ბიბლიაა. ბიბლიის მათმიერი ინტერპრეტაცია, მოძღვრება და წეს-ჩვეულებები მოცემულია წიგნებში, რომლებსაც „ობრიადნიკი» ეწოდება.

ამდენად, მალაკნები, დუხობორებისაგან განსხვავებით, აღიარებენ ბიბლიის ავტორიტეტს, მაგრამ ყველაფერს, ბიბლიის ტექსტსაც და საეკლესიო საიდუმლოებებსაც, სიმბოლურად და ალეგორიულად მოიაზრებენ. მაგალითად, ერთარსებასამება, მათი აზრით, შემდეგნაირად უნდა გავიაზროთ: „ღმერთი არის სული სამ პიროვნებაში». მართალია, ღვთის ძე და წმ. სული მამის თანაარსნი არიან, მაგრამ არა მისი თანასწორნი ღვთაებრიობით. ქალწულისაგან ქრისტე არა ადამიანის სხეულით იშვა, არამედ იმ სხეულით, რომელიც ჰქონდა მთავარანგელოზ რაფაელს, როდესაც იგი ტობიას გამოეცხადა და მიდიელთა ქვეყანაში, შორეულ მოგზაურობაში, გაჰყვა. ტობია მას ხედავდა და მისი ესმოდა, მაგრამ არ იცოდა, რომ ის ზეცის უხორცო ბინადარი იყო (ტობია 5:4-12:20). მალაკნების რწმენით, მამაღმერთი არის მეხსიერება, ძეღმერთი — გონება და სულიწმიდა — ნება. მათ ასევე თავისებურად ესმით ქრისტეს განკაცების სოტეროლოგიური (მაცხონებელი) ასპექტი: ქრისტე მოევლინა ქვეყანას, რათა ეხსნა იგი მოძღვრებითა და არა თავისი თავის ნებაყოფლობითი შეწირვით. აღდგომის საიდუმლოს ისინი იაზრებენ არა რეალურ ფაქტად, არამედ ქრისტეს მცნებათა აღდგინებად მის მიმდევართა შორის. მათ, დუხობორების მსგავსად, წყლით ნათლისღება ზედმეტად მიაჩნიათ. აღიარებენ ამ საიდუმლოს მხოლოდ და მხოლოდ სულიერ მხარეს, ე.ი. ნათლისღებას იმ (და მხოლოდ იმ) წყლით (იოანე 7:38), რომლის შესახებ ქრისტე სამარიელ დედაკაცს უამბობდა. ამდენად, ნათლობა მათთვის არის მხოლოდ მოძღვრების აღქმა, წმ. ზიარება კი — უფლის სიტყვის მხოლოდ შთანერგვა. ისინი ამტკიცებენ: როდესაც ქრისტე ამბობს: „მიიღეთ და ჭამეთ, ეს არის ჩემი ხორცი», ამით ჩვენ გვეუბნება: მიიღეთ ჩემი მოძღვრება! ე.ი. მორწმუნე ქრისტეს მაშინ ეზიარება, როდესაც ის სულიერად აღორძინდება.

მალაკნების ღვთისმსახურება სხვა პროტესტანტების ღვთისმსახურებისაგან არსობრივად არ განსხვავდება. მათი სამლოცველო არის ჩვეულებრივი ოთახი, რომლის ცენტრში გრძელი მაგიდა დგას. მაგიდის გარშემო უზურგო მერხებია. თავში თემის უხუცესები სხედან, სიგრძეზე კი — თემის რიგითი წევრები: მარჯვნივ კაცები, მარცხნივ ქალები. დანარჩენი პროტესტანტებისაგან მათი ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი მიცვალებულებისათვის ლოცვაა, ასევე ტრადიციულ საეკლესიო დღესასწაულებზე უარის თქმა და მათ ნაცვლად ბუნების დღესასწაულების შემოღება: გაზაფხულის დღე, ხილის შემოსვლის დღე, მოსავლის აღების დღე და სხვ.

მსახურების დროს განსაკუთრებული ადგილი ფსალმუნების კითხვას და გალობას ეთმობა. გალობა ძველ რუსულ ხალხურ მოტივებზეა აგებული. თუ რომელი ფსალმუნი უნდა წარმოთქვან, ამას თემის «წინასწარმეტყველი» ზეშთაგონების შედეგად გამოაცხადებს. თემის კონსოლიდაციის საუკეთესო საშუალებაა საერთო ტრაპეზი, როდესაც საგანგებოდ გამოხდილ წვენებს და მოხარშულ კომპოტებს მიირთმევენ. მალაკნები, როგორც წესი, არც ღორის ხორცს ჭამენ და არც ღვინოს სვამენ.

მალაკნები საქართველოში

კავკასიაში რუსი რასკოლნიკების, მათ შორის, მალაკნების პირველი დასახლება 1830 წელს ყარაბაღის მხარეში გაჩნდა. მაშინ ისინი იქ საკუთარი ნებითა და დიდი ენთუზიაზმით ჩავიდნენ, რადგან მათ შორის გავრცელებული იყო წინასწარმეტყველება (იხ. ზემოთ) 1836 წელს იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისა და არარატის მახლობლად ათასწლოვანი სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ.

მალაკნებისა და დუხობორების კავკასიაში ძალდატანებითი და მასობრივი ჩამოსახლება 1841-50 წლებში მოხდა. ჩამოდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და, მეტწილად, იმ ტერიტორიებზე სახლდებოდნენ, რომლებიც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისაგან დაცარიელებული იყო. მათი სოფლები რუსეთის ცენტრალური გუბერნიებისათვის დამახასიათებელი სოფლებისა და დაბების ასლს წარმოადგენდა. ადგილობრივი კოლორიტი ნაკლებად შეინიშნებოდა.

მალაკნები თბილისსა და კახეთის ზოგიერთ რაიონში (ძირითადად სიღნაღსა და ლაგოდეხში) დამკვიდრდნენ, სადაც თავიანთი გეტოები (ჩაკეტილი წრე) შექმნეს და ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან კონტაქტში ნაკლებად შედიოდნენ, თუმცა იშვიათად მართლმადიდებლების მალაკანთა თემში გადასვლასაც ჰქონდა ადგილი. ხდებოდა აგრეთვე მალაკანთა მართლმადიდებლად მოქცევაც.

თბილისელი მალაკნები, ძირითადად, ხელოსნობას, განსაკუთრებით — მეეტლეობას მისდევდნენ, რაიონში დასახლებულები კი — სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით მეფუტკრეობას. დედაქალაქში მათ საკუთარი ბაზარიც ჰქონდათ (ამ ადგილს დღესაც მალაკნების ბაზარს ეძახიან). მათი აშენებულია ქალაქის საბჭო (რატუშა, ე.ი. თბილისის მერია).

თბილისელი მალაკნების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს 1867 წლის 20 აგვისტოს. ამ დროს ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის მალაკანთა თემის წინამძღვარი ნ. ი. ვორონინი და გერმანელი ბაპტისტი მ. კოლვეიტი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ნ. ი. ვორონინმა წყლით ნათლობის აუცილებლობა აღიარა, მოინათლა და ყოფილი თანამორწმუნეების ნაწილიც გაიყოლა. ამ ფაქტის გამო თბილისელი მალაკნების რიცხვი შემცირდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართველი მალაკნების დიდი ნაწილი ისტორიულ სამშობლოში, რუსეთში, გადასახლდა. არაზუსტი მონაცემებით, საქართველოში დღეისათვის 1000-მდე მალაკანი (მორწმუნე) ცხოვრობს. თბილისში

ამჟამად ამ კონფესიის სამი საზოგადოება მოქმედებს — ნავთლუღის, ღრმაღელისა და საბურთალოსი, რომლებშიც 150-მდე მორწმუნე ერთიანდება.

თბილისში არსებობს ბაპტისტთა პატარა ჯგუფი, რომელსაც მალაკან ბაპტისტებს, ანდა *სუხოი ბაპტისტებს* («მშრალ ბაპტისტებს») უწოდებენ. იგულისხმებიან ის მალაკნები, რომლებიც ბაპტისტები გახდნენ და ბაპტისტების ეკლესიას შეუერთდნენ, მაგრამ წყლით ნათლობაზე მაინც უარი თქვეს და მალაკანთა წეს-ჩვეულებებს იცავენ.

ნუგზარ პაპუაშვილი

«ახალსამოციქულო ეკლესია»

კათოლიკური და ანგლიკანური წარმოშობის ეპისკოპალური ეკლესიაა; ატარებს როგორც პროტესტანტული, ისე ტრადიციული ეკლესიების ნიშნებს. თავს უძველესი ეკლესიის მოძღვრებისა და პრაქტიკის გამგრძელებლად მოიაზრებს. ახასიათებს მძაფრი ესქატოლოგიური მოლოდინი, რის გამოც მას «აპოკალიპსური ჟამის მომლოდინეთა კავშირსაც» უწოდებენ. დამაარსებლები: ჰაინრიხ გაიერი (1818-1896) და ფრიდრიხ ვილჰელმი (1815-1895).

წარმოიშვა ინგლისში (კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესიის ბაზაზე), მაგრამ მსოფლიოში უფრო გერმანულენოვანი სამყაროდან გავრცელდა. დღეისათვის მას განსაკუთრებით ბევრი მიმდევარი აფრიკასა და ინდოეთში ჰყავს.

მიმდევართა რიცხვი: დაახ. 11 მილიონი.

ისტორია

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე დიდ ბრიტანეთში ბევრი თეოლოგი და მორწმუნე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თანამედროვე ეკლესიას პირველქრისტიანთა ნიჭი და სულიწმინდის ცხოველმყოფელი მოქმედება მოაკლდა. ამის გამო 1830 წელს ინგლისსა და შოტლანდიაში „ხალხთა გამოსაფხიზლებელი მოძრაობა» დაიწყო, რომელიც წინასწარმეტყველების უნარის ბოძებისათვის, განკურნების მადლის მოცემისათვის და, ზოგადად, სულიწმინდის მოფენისათვის ლოცულობდა. ეკლესიის პირველმოსახლეთა სარწმუნოება და ტრადიცია აღიარებულ იქნა იმ „ლოდად», რომელიც მაშენებლებმა „შეურაცხყვეს» (გადააგდეს), თუმცა ის სინამდვილეში თავსაკიდური ლოდია (საქ. 4:11). ამ რწმენის საფუძველზე შეიქმნა „ლოცვისა და ბიბლიის» წრეები, დაიწყო ქადაგება პირვანდელი ეკლესიის განახლებისა და მისი წეს-განგების თანამედროვე ცხოვრებასთან მისადაგების აუცილებლობაზე.

1832 წელს ასპარეზზე გამოვიდა თორმეტი „მოციქული», რომლებიც, მათი თქმით, მოციქულთა მისიისათვის წინასწარმეტყველური ხილვების შედეგად იყვნენ მოწოდებულნი. მათ შეიმუშავეს სამოქმედო პროგრამა, რის საფუძველზეც 1835 წლის 14 ივლისს ინგლისში დააარსეს ორგანიზაცია სახელწოდებით „კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესია».

ამ ეკლესიას თავიდან ეკუმენური მისწრაფებები ჰქონდა და მიზნად ეკლესიათა ერთიანობის აღდგენას ისახავდა. მისმა წინამძღვრებმა 1837 წელს მაშინდელი ევროპის სასულიერო და საერო ლიდერებს რწმენის მოწმობის საგანგებოდ შედგენილი

ტექსტი (Testimonium) გაუგზავნეს, მაგრამ ამ მოწოდებას სათანადო გამოხმაურება არ მოჰყვა. ამიტომ მათ ყურადღება საკუთარი მოძღვრებისა და ლიტურგიის დახვეწაზე გადაიტანეს.

თორმეტი მოციქულის გარდაცვალების შემდეგ, „წინასწარმეტყველ» ჰაინრიხ გაიერის (1818-1896) დიდი ავტორიტეტის გამო, კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესიის ცენტრმა გერმანიაში გადმოინაცვლა. საღვთო წერილის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისა და ახალი მოციქულების მოწოდების (გამორჩევის) საფუძველზე ამ ეკლესიაში 1863 წელს განხეთქილება მოხდა, რომელიც „ჰამბურგის სქიზმის» სახელითაა ცნობილი. შეიქმნა ორი ორგანიზაცია: 1) „ზოგადი ქრისტიანულ-აპოსტოლური მისია» და 2) „ახალსამოციქულო ეკლესია».

1897 წლიდან მოღვაწეობას მოციქული ფრიდრიხ კრებსი (1832-1905) შეუდგა. მან „სულიწმინდის ზეშთაგონებით» თავი მთავარმოციქულად (Stammapostel) გამოაცხადა და იმ დღიდან ყველა ახალსამოციქულო ეკლესია მის ეპისკოპალურ დაქვემდებარებაში გადავიდა. მთავარმოციქულმა ღვთისმსახურების საერთო-სავალდებულო წესები შემოიღო, რის შედეგადაც ახალსამოციქულო ეკლესიის ცხოვრებაში „წინასწარმეტყველების ელემენტი» შემცირდა. ამჟამად (2005 წლიდან) აღნიშნულ თანამდებობას მე-8 მთავარმოციქული, ვილჰელმ ლებერი, ასრულებს.

1921 წელს გერმანიაში მოციქულთა კოლეგია შეიქმნა, რომელმაც ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ აქტიური სამისიონერო მოღვაწეობა გააჩაღა, მაგრამ ეს საქმიანობა ნაცისტური რეჟიმის პირობებში დიდ დაბრკოლებებს წააწყდა. 1933 წელს ახალსამოციქულო ეკლესია გერმანიაში კანონგარეშედ გამოცხადდა. მაშინდელი მთავარმოციქული იოჰან გოტფრიდ ბიშოფი იძულებული გახდა, რომ გებელსისათვის საგანგებო ეპისტოლე გაეგზავნა და ემტკიცებინა, რომ მისი ეკლესიის თეორია და ტრადიცია ნაციონალ-სოციალისტური იდეისათვის საშიშროებას არ წარმოადგენდა.

ახალსამოციქულო ეკლესიის პირველი თემი რუსეთში რევოლუციის წინა წლებში გაჩნდა, მაგრამ ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში არსებობა ვერ შეინარჩუნა. სამაგიეროდ, პირველი და, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს კონფესია გავრცელდა აფრიკის, ინდო-ჩინეთის, ავსტრალიისა და ამერიკის ბევრ ქვეყანაში. აფრიკაში (მაგალითად, ანგოლაში, კონგოში, სომალსა და მოზამბიკში) მას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს.

ახალსამოციქულო ეკლესია დღეს (1994 წლიდან) 28 სამოციქულო ოლქადაა დაყოფილი. მთავარმოციქულის რეზიდენცია ციურიხშია (შვეიცარია). მსოფლიოში 360 მოციქული მსახურობს. ისინი ეკუმენურ მოძრაობაში არ მონაწილეობენ, თუმცა მთავარმოციქულის მიერ გამოთქმულია მზადყოფნა ინტერკონფესიური დიალოგისათვის.

მოძღვრება და პრაქტიკა

ახალსამოციქულო ეკლესიის წინამძღვარს „თანამედროვე ეპოქის მთავარმოციქული» წარმოადგენს. იგი პირველმოციქულთა თავის (პეტრეს) მემკვიდრედ ითვლება.

წუთისოფელში მას (და მხოლოდ მას) აბარია სამოთხის გასაღები და საღვთო გამოცხადებასაც ის ღებულობს. ეს, ახალმოციქულთა რწმენით, აუცილებელია, რათა ეკლესია იდეალს ეზიაროს, — ღირსეულად დახვდეს იესო ქრისტეს და მასთან „ზეციურ ქორწილში» შევიდეს.

ახალსამოციქულო ეკლესია მეორედ მოსვლის კონკრეტულ თარიღს, იესო ქრისტეს მითითების შესაბამისად (მათე 24:36; საქ. 1:7), არ ასახელებს. ამის მიუხედავად, მთავარმოციქულმა იოჰან გოტფრიდ ბიშოფმა 1951 წლის შობას განაცხადა, რომ მეორედ მოსვლა მის სიცოცხლეში მოხდება. მან თქვა: «მე უკანასკნელი მოციქული ვარ. ჩემ შემდეგ აღარავინ იქნება. ეს ჩვენი უფლის გადაწყვეტილებაა, ეს განჩინებაა, და ეს უფალმა დაამოწმა!» მთავარმოციქულის ეს განცხადება აღქმული იქნა როგორც «ღვთის სიტყვის ხმა» (Botschaft) და დოგმატად ჩამოყალიბდა. ვინც მის ჭეშმარიტებაში ეჭვს შეიტანდა, ეკლესიიდან აძევებდნენ. 1955 წელს, მაგალითად, 1000 კაცი განკვეთეს. ამის გამო ეკლესიის უმაღლესი იერარქია კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა როგორც შიგნიდან ისე გარედან, ი. გ. ბიშოფის გარდაცვალების (1960 წ.) შემდეგ გაიმართა მოციქულთა კრება, რომელმაც აღნიშნა, რომ ღმერთმა «ჩვენთვის გამოუცნობი მიზეზის გამო» გადაწყვეტილება შეცვალა.

ახალსამოციქულო ეკლესია აღიარებს სამ საეკლესიო საიდუმლოს: ნათლისღებას, ზიარებასა და ბეჭედდასმას. ნათლობა წყალში შთაფლვით ან წყლის სხურებით სრულდება (ასაკს მნიშვნელობა არა აქვს). ყოველი ღვთისმსახურება ზიარებით მთავრდება. სეფისკვერი, რომელსაც ჩამოატარებენ, ღვინის სამი წვეთითაა მოზელილი (სეფისკვერის ცხობას დიდი რიტუალურ-სპირიტუალური დატვირთვა აქვს). ზიარებაში ბავშვებიც მონაწილეობენ. დანარჩენი პროტესტანტებისაგან განსხვავებით, ახალმოციქულები მიცვალებულებისთვისაც ლოცულობენ, მათი „სულის მოსახსენიებელი მსახურება» წელიწადში სამჯერ ეწყობა. აღსარება საჯაროა და მორწმუნე მას ლიტურგიის დროს წარმოთქვამს.

ახალმოციქულთა ლიტურგია 1885 წლამდე ლათინურ და ანგლიკანურ ტიპიკონთა სინთეზს წარმოაგდენდა, შემდეგ კი მან ჰოლანდიური კალვინიზმის გავლენა განიცადა, რის გამოც წამყვანი ადგილი ქადაგებამ დაიჭირა.

იერარქია. ახალსამოციქულო ეკლესიის სასულიერო პირები ერთმანეთის მიმართ იერარქიულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან და სამ კატეგორიად განიყოფიან (ზე-- ვიდან ქვევით): 1. მოციქული: მთავარმოციქული, ოლქის მოციქული და მოციქული, 2. მღვდელი: ეპისკოპოსი, ოლქის უფროსი, ოლქის მახარებელი (ევანგელისტი), მწყემსი, თემის მახარებელი, ხუცესი, 3. დიაკვნები: დიაკონი და იპოდიაკონი (თანადიაკონი).

ახალსამოციქულო ეკლესიის წევრებს „ღვთის შვილები” ეწოდებათ. ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ კოლექტიურობის გრძნობის გამომუშავებას. მათგან ხშირად ასეთ სიტყვებს გაიგონებთ: „ჩვენ ვრჩებით ერთად, ჩვენ ვეხმარებით ერთმანეთს, ჩვენ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, ჩვენ შენობით მივმართავთ ერთმანეთს, თუკი ერთი აშენებს სარდაფს, ყველა მის გვერდით ვართ. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ».

ახალსამოციქულო ეკლესია საქართველოში

1993 წელს გერმანიაში საქართველოს მისიონი შეიქმნა. მისიონერები მოციქულ ბერნდ კლიპარტის მეთაურობით თბლისში 1994 წლის ივნისში ჩამოვიდნენ, იქადაგეს და იმავე წელს ეკლესია (მცირერიცხოვანი თემი) ჩამოაყალიბეს. მსახურება ქალაქის სხვადასხვა რაიონში, ნაქირავებ ბინებში, მიმდინარეობდა. 1997 წელს გაუქმებული რესტორნის «ბეთანიის» შენობა შეიძინეს, სადაც მისიონი დაბინავდა და საღვთისმსახურო დარბაზიც მოეწყო. მორწმუნეთა რიცხვის ზრდის გამო დღის წესრიგში უფრო დიდი ფართის საკითხიც დადგა და ეს პრობლემაც მოგვარდა: მეტრო «ავლაბრის» მახლობლად თბილისის ახალსამოციქულო ეკლესიამ შთამბეჭდავი ნაგებობა აღმართა, რომელიც 2002 წლის 7 აპრილს აკურთხეს. იმავე შენობაში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრიც განთავსდა. ამჟამად თბილისში ახალმოციქულთა ორი ეკლესია არსებობს. ეკლესიები აქვთ ბათუმში, ქუთაისში, ახმეტასა და ზოგ სხვა რაიონში.

შედარებით მრავალრიცხოვანია ქორეთის ეკლესია (ახმეტა). ეს სოფელი, ძირითადად, ეთნიური ოსებითაა დასახლებული. მათი დიდი ნაწილი ამ ეკლესიას 2000 წელს შეუერთდა.

პროფ. ხ. მამისიმედიშვილის დაკვირვებით, ქორეთელები ახალსამოციქულო მსახურებას, შეძლებისამებრ, რეგულარულად ესწრებიან, მაგრამ ტრადიციულ ქრის--ტიანულ რიტუალებსაც იცავენ: კლავენ საკლავს და ჯვარ-ხატებში სანთელს ანთებენ.

ახალსამოცუქულო ეკლესია საქართველოში 700-მდე წევრს აერთიანებს.

ნუგზარ პაპუაშვილი

ხსნის არმია

ხსნის არმია (Salvation Army) — საერთაშორისო ქრისტიანული საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებიდან არსებობს. მისი შტაბბინა ლონდონში მდებარეობს.

1886 წლიდან ხსნის არმიის განყოფილებები უკვე არსებობს ავსტრალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, შვედეთში, ინდოეთში, კანადაში, სამხრეთ აფრიკაში, ისლანდიასა და გერმანიაში. დღეს კი ხსნის არმია მსოფლიოს ასთერთმეტ ქვეყანაში მოქმედებს. 1990-იანი წლების ბოლოს მასში მილიონნახევარზე მეტი ადამიანი იყო გაერთიანებული.

1865 წელს ბრიტანელმა მეთოდისტმა პასტორმა უილიამ ბუთმა (William Booth) აღორძინების ევანგელურ-ქრისტიანული ასოციაცია ჩამოაყალიბა. სანამ ორგანიზაცია თავის ამჟამინდელ სახელწოდებას მიიღებდა, მან ორჯერ გამოიცვალა სახელი — თავიდან «აღმოსავლეთ ლონდონის ქრისტიანულ მისიად» იწოდებოდა, ხოლო შემდეგ «ქრისტიანული მისია» დაერქვა.

ისტორია

თავის დროზე უილიამ ბუთმა ოფიციალური აღიარება მოიპოვა აშშ-ის პრეზიდენტისა და ინგლისის მეფე ედუარდისგან: მან გენერლის წოდება მიიღო, მის მეუღლეს, კატერინას, კი «ხსნის არმიის დედა» შეარქვეს. უილიამი ღარიბებს უქადაგებდა, კატერინა კი ამის პარალელურად მდიდარ ადამიანებს ფინანსურ დახმარებას სთხოვდა იმ მისიის აღსასრულებლად, რომლის განხორციელებაც ცოლ-ქმარს ღვთისგან დაკისრებულ მოვალეობად მიაჩნდა. ღვთისმსახურებას კატერინაც ატარებდა, რაც იმ დროისთვის რევოლუციური მოვლენა გახლდათ. იგი საკმაოდ გაბედულად აცხადებდა, რომ ქალებს ისევე აქვთ ქადაგების უფლება, როგორც მამაკაცებს. ასე და ამგვარად, ცოლ-ქმარი ბუთები საკუთარი თავგანწირული მსახურებით ცდილობდნენ ადამიანებისთვის სულიერი და მატერიალური შემწეობა აღმოეჩინათ.

მოძღვრება და პრაქტიკა

ხსნის არმიის პრინციპები ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებს ეფუძნება. ორგანიზაცია ბიბლიურ შეხედულებებსა და მოწოდებებს ქადაგების საშუალებით ავრცელებს. უილიამ ბუთმა ხსნის არმია ჩამოაყალიბა, როგორც რელიგიურ-ფილანტროპიული გაერთიანება. მისი აზრით, ჩვენ, ადამიანებმა, არა მხოლოდ სულის ხსნასა და იმქვეყნიურ არსებობაზე უნდა ვიზრუნოთ, არამედ ყველანაირად

უნდა ვეცადოთ, საზოგადოების დაბალ ფენებს ყოველდღიური გაუსაძლისი ცხოვრება შევუმსუბუქოთ. ამიტომაც ხსნის არმიის უმთავრესი საქმიანობა მოსახლეობის სოციალური, სამედიცინო დახმარება და მორალური მხარდაჭერაა. აქტივისტთა შესაბამისი დანაყოფები აქტიურად მონაწილეობენ, აგრეთვე, სტიქიური უბედურებების დროს განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

ხსნის არმიის წევრები ყოველ კვირას იკრიბებიან ღვთისმსახურებაზე, რომელიც ლოცვა-გალობის, წმ. წერილის კითხვისა და ქადაგებისგან შედგება (ქადაგების უფლება ქალებსაც აქვთ). რაც შეეხება საიდუმლოებებს, ხსნის არმია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ევანგელური ეკლესიის ერთ-ერთი მიმდინარეობაა, მაგრამ მათი წევრები მხოლოდ ხელდასხმისა და ქორწინების საიდუმლოებებს აღიარებენ. ნათლობისა და ზიარების საიდუმლოებები არ აღესრულება იმგვარად, როგორც ეს დანარჩენ ქრისტიანულ ეკლესიებშია. ხსნის არმიელთა რწმენით, მთავარია ადამიანი შინაგანად, საკუთარი ცხოვრების წესით ეზიაროს ცოცხალ ქრისტეს, ხოლო ამ აქტის გარეგნული, რიტუალური ფორმები (პური და ღვინო; ნათლობის წყალი) მეორეხარისხოვანია. არა აქვთ სტაბილურად დადგენილი მარხვის პერიოდები. მარხვის შენახვის დრო და მისი ხანგრძლივობა ინდივიდუალურად დგინდება (მარხვა კი საკვებისგან სრულ თავშეკავებას გულისხმობს). ხსნის არმიელთა შეხედულებით, ადამიანის ყოველი განზრახვა და ფიქრი სუფთა და უბიწო გულიდან უნდა გამოდიოდეს — ეს ეამება უფალს, პირველ ყოვლისა, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

სტრუქტურა

სახელწოდება «ხსნის არმია» მიგვანიშნებს, რომ ეს ორგანიზაცია ნაწილობრივ სამხედრო სტრუქტურის მქონეა. მის ხელმძღვანელს გენერალი ეწოდება, ის ხსნის არმიაში ამ წოდების მქონე ერთადერთი პირია. დანარჩენი წევრები ოფიცრებად და ჯარისკაცებად იწოდებიან და უნიფორმას ატარებენ.

ხსნის არმიას აქვს ორწლიანი სასწავლებლები, რომლებშიც განათლებას ღებულობენ და შესაბამის მომზადებას გადიან მომავალი აქტივისტები. აუცილებელი საშუალო განათლების შემდეგ თითოეულმა მსახურმა ორწლიანი სასწავლო პროგრამა უნდა აითვისოს ხსნის არმიის შესაბამის სკოლებში. დაწყებით ეტაპზე მათ «მეგობარი» ეწოდებათ, შემდგომ — უმცროსი ჯარისკაცი, ჯარისკაცი, ოფიცერი და ასე შემდეგ გენერლობამდე.

სკოლებში ისინი საჭირო განათლებას ღებულობენ, აუცილებელ უნარ-ჩვევებს იძენენ, მკაცრ დისციპლინასა და ცხოვრების ჯანსაღ წესს ეჩვევიან (ხსნის არმიის წევრები უარს ამბობენ ალკოჰოლსა და თამბაქოზე).

ხსნის არმიას მსოფლიო 5 ზონად აქვს დაყოფილი. თითოეულ ზონაში 10-15 ტერიტორია შედის, ხოლო ტერიტორია, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეყანას მოიცავს. მაგალითად, საქართველო (რუსეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან და რუმინეთთან ერთად) აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაში შედის (მისი ტერიტორიული შტაბბინა მოსკოვში მდებარეობს).

ხსნის არმიაში გენდერულ თანასწორობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. თავისი არსებობის ადრეული ხანიდანვე ხსნის არმია ყოველთვის აძლევდა ქალებს მსახურების უფლებას ნებისმიერ რანგში: უკლებლივ ყველა ზემოთ დასახელებული წოდების (გენერლობის ჩათვლით) მიღება ქალებსაც შეუძლიათ. დაარსებიდან დღემდე ხსნის არმიას ქალი გენერალი ორჯერ ჰყავდა. თანაბარი შესაძლებლობები არსებობს როგორც ახალგაზრდებისთვის, ასევე მოხუცებისთვისაც.

ხსნის არმიის ამჟამინდელი გენერალია შო კლიფტონი (Shaw Clifton).

სოციალური მსახურება

ხსნის არმია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ორგანიზაციაა სოციალური აქტივობის თვალსაზრისით — მხოლოდ აშშ-ში 32 მილიონ ადამიანს ეხმარება. იგი ცნობილია აგრეთვე ლტოლვილთა ბანაკების ორგანიზებით აფრიკაში.

ხსნის არმია ქმედითად უდგას მხარში ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებულ ადამიანებს. მაგალითად, 2004 წელს ინდოეთში მათ განუზომელი დახმარება გაუწიეს ცუნამის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთ. მხოლოდ მათი თანადგომით გახდა შესაძლებელი პირველადი დახმარების აღმოჩენა დაშავებულთათვის და უამრავი დანგრეული სახლის აღდგენა.

ხსნის არმიას მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში აქვს გახსნილი უფასო სასადილოები, ღამის გასათევი შენობები უსახლკაროთათვის, ახალგაზრდული კლუბები, აქტიურად ეწევა ნარკომანიის, პროსტიტუციის საწინააღმდეგო კამპანიას, მისი წარმომადგენლები მუშაობენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ხსნის არმია დახმარებას უწევს ნებისმიერ ადამიანს მიუხედავად მისი რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, სქესისა თუ ასაკისა.

ხსნის არმია საქართველოში

საქართველოში ხსნის არმია პირველად 1992-93 წლებში გამოჩნდა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედია დატრიალდა: აფხაზეთის ომი, რომელმაც უამრავი ადამიანი დატოვა უსახლკაროდ. ხსნის არმია იმ დროს აქტიურად ეხმარებოდა ლტოლვილებს საკვებითა და ტანსაცმლით. გაიხსნა მრავალი სასადილო, სადაც დღეში ათასობით ადამიანი იკვებებოდა ცხელი კერძით. ხსნის არმიის აქტივისტებს ფიზიკურად დაუძლურებულ ადამიანებთან შინ მიჰქონდათ მშრალი საკვები. ამგვარი აქტიური ქველმოქმედების გამო საქართველოს იმჟამინდელმა მეთაურმა, ედუარდ შევარდნაძემ, «ხსნის არმიას» ოფიციალური მადლობა გადაუხადა «ქართველი ხალხის სახელით იმ თანადგომისათვის, რომელიც გაეწია ჩვენს ქვეყანას ჰუმანიტარული დახმარების სახით ძნელბედობის ჟამს».

1993 წლის ნოემბრიდან საქართველოში ოფიციალურად იხსნება ხსნის არმიის საქართველოს წარმომადგენლობა (პირველი სამლოცველო სახლი, ანუ იგივე «კორპუსი», თბილისის ჟურნალისტთა სახლში განთავსდა).

დღეისათვის ხსნის არმიას საქართველოში რვა ამგვარი კორპუსი აქვს: 4 თბილისში, 2 რუსთავში, 1 ბათუმში და 1 ლაგოდეხში. წევრთა საერთო რაოდენობა 600-მდეა და სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს მოიცავს. ზემოთ დასახელებულ რეგიონებში თითოეულ კორპუსს 2-3 ოფიცერი ხელმძღვანელობს — სულ საქართველოში 19 ასეთი ოფიცერია. რეგიონალური ოფიცერი კი არის კაპიტანი გიორგი სალარიშვილი, რომელიც 2004 წლის სექტემბრიდან ხელმძღვანელობს ხსნის არმიის საქართველოს განყოფილებას.

საქართველოში ხსნის არმიას, გარდა სასადილოებისა, გახსნილი აქვს, აგრეთვე, ბავშვთა და მოხუცთა ცენტრები, შესაბამის დაწესებულებებს ამარაგებს სამედიცინო აპარატურით, აწყობს საზაფხულო ბანაკებს ბავშვებისათვის განურჩევლად მათი აღმსარებლობისა. გარდა ამისა, საქართველოს მასშტაბით შესაბამის კორპუსებში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეები (უცხო ენებისა და კომპიუტერის შემსწავლელი), განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული ტრადიციების შესწავლასა და მათ პოპულარიზაციას (მაგალითად, შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში აქტიურად შეისწავლება ეროვნული საკრავებზე დაკვრა და ქართული ხალხური ცეკვები).

აქვე უნდა ითქვას დიდი დიღმის ახალგაზრდული ცენტრის შესახებაც, სადაც ბავშვებს შეუძლიათ სკოლის შემდეგ მისვლა. აქ მასწავლებლები მათ საშინაო დავალების მომზადებაში ეხმარებიან. ახალგაზრდებს შეუძლიათ სპორტულ ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა. ისინი აქ შინაარსიანად ატარებენ დროს კეთილგანწყობილ და თბილ გარემოში.

აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტთან თანამშრომლობით ხსნის არმიამ საქართველოში პროფესიული გადამზადების ცენტრები დააარსა, რომელიც ახალგაზრდა ადამიანებს საშუალებას აძლევს პროფესიული ჩვევები 6 თვის განმავლობაში შეიძინონ. ცენტრებში არსებობს მდივან-რეფერენტის, საბუღალტრო, სამშენებლო საქმისა და სხვა კურსები. დამატებით გახსნილია ოთხი კომპიუტერული ცენტრი ლაგოდეხში, გორში, წყალტუბოსა და ჯვარში.

მესამე წელია, რაც ლაგოდეხში ხსნის არმია სასმელი წყლის დაქლორვას ახორციელებს, რამაც მოსახლეობის დიდ ნაწილს მოწამვლის სერიოზული საფრთხე აცილა.

ხსნის არმია ცდილობს, რაც შეიძლება მეტი და სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელოს საქართველოში. ერთ-ერთი ბოლო პროექტთაგანი ახალგაზრდა და მომავალი დედების საგანმანათლებლო კურსს მოიცავს.

დავით თინიკაშვილი

მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია

ადვენტიზმი (ლათ. Adventus — მოსვლა) განეკუთვნება ქრისტიანობის ერთ-ერთ პროტესტანტულ მიმდინარეობას. სახელწოდება გამოხატავს მის საღვთისმეტყველო სპეციფიკას — ქრისტეს მეორედ მოსვლის მოლოდინს.

დღეს მეშვიდე დღის ადვენტისტები წარმოადგენენ დინამიკურად მზარდ მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიას, რომელსაც 208 ქვეყანაში ჰყავს წევრები და, რომელიც 735 ენაზე ქადაგებს. მეშვიდე დღის ადვენტისტთა რაოდენობა 25 მილიონს აღემატება მოზარდების ჩათვლით. (2006 წ. 30 ივნისის მონაცემი).

ისტორია

ადვენტისტური მოძრაობის ისტორია (და არა უშუალოდ მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიისა) იწყება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ერთ-ერთი ბაპტისტი ფერმერი, უილიამ მილერი, წმ. წერილის გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ 1844 წლის 22 ოქტომბერს ქრისტეს მეორედ მოსვლა უნდა მომხდარიყო. ამ დროისათვის ყალიბდება ადვენტისტთა რელიგიური მოძრაობა, რასაც შედეგად რამდენიმე ეკლესიის წარმოშობა მოჰყვა. ამ ეკლესიათა შორის ყველაზე მსხვილ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია (აქვე უნდა აღინიშნოს იმ არასწორი შეხედულების შესახებაც, რომლის მიხედვით ადვენტისტურმა ეკლესიამ თითქოს რამდენჯერმე იწინასწარმეტყველა ქრისტეს მეორედ მოსვლის თარიღი. სინამდვილეში ეს ერთხელ მოხდა და, როგორც ზემოთ ვთქვით, იგი უილიამ მილერის სახელს უკავშირდება, იმ დროს კი ადვენტისტური ეკლესია, როგორც ასეთი, ჯერ არც არსებობდა).

საერთოდ, XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დამდეგს ახალი ტალღის გაძლიერება შეინიშნება ქრისტეს მეორედ მოსვლისადმი განსაკუთრებული ინტერესის თვალსაზრისით. იეზუიტი მღვდლის მანუელ დე ლაკუნზის წიგნი «მესიის დიდებით მოსვლა» მრავალ ენაზე ითარგმნება ამ პერიოდში. ლუთერანი ღვთისმეტყველის იოჰან ბენგელის აპოკალიფსური შეხედულებებიც დიდ გავლენას ახდენს გერმანიისა და ინგლისის საეკლესიო წრეებზე. მეორედ მოსვლის ყველაზე უფრო ცნობილ მქადაგებელთა შორის შეიძლებოდა დაგვესახელებინა ედვარდ ირვინგი (ინგლისი), ლუის ჰაუსენი (შვეიცარია), იოჰან რიხტერი (გერმანია) და სხვ. აშშ-ში კი ამ თემას მთავარი ადგილი უკავია უილიამ დევისის, იოსებ ვოლფის, თომას

კემპელისა და, ზემოთ უკვე ნახსენებ, უილიამ მილერის ნაშრომებში. ეს ავტორები დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ ბიბლიურ წინასწარმეტყველებებს.

მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის განვითარება და ფორმირება მჭიდროდ არის დაკავშირებული ელენე უაითის (1827-1915) სახელთან. მისმა საღვთისმეტყველო ნაშრომებმა, რომლებიც 50-მდე ტომს შეადგენს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ეკლესიის მოძღვრების ჩამოყალიბებაში.

ეკლესიის სახელწოდების პირველი ნაწილი — «მეშვიდე დღის» — გულისხმობს შაბათი დღის მეშვიდე დღედ აღიარებას უფლის მეოთხე მცნების თანახმად, ანუ ეს დღე ყოველდღიური საქმეებისაგან დასვენებისა და ღვთისმსახურების დღეა, განსხვავებით სხვა ქრისტიანული ეკლესიებისგან, რომელთათვისაც ასეთ დღეს კვირა წარმოადგენს. ეს სახელწოდება ეკლესიას, ოფიციალურად, 1860 წლიდან ჰქვია. უკვე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ადვენტისტი მისიონერები ქადაგებენ ევროპაში, აფრიკასა და აზიაში.

რუსეთში ადვენტიზმის მიმდევრები 1880-იან წლებში გამოჩნდნენ სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილო კავკასიის გერმანელ კოლონისტებს შორის. 1890 წელს სტავროპოლში ჩამოყალიბდა პირველი ადვენტისტური საკრებულო. თავდაპირველად ადვენტისტები იდევნებოდნენ ხელისუფლებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან. თუმცა პოლიტიკაში ჩაურევლობის ხაზგასმულმა პოზიციამ გაადვილა მათი ლეგალიზაცია 1906 წელს, რის შედეგადაც ადვენტისტები უფლებებით ბაპტისტებს გაუთანაბრდნენ. 1917 წლისათვის მათი რიცხვი დაახლ. 7 ათასი იყო.

1920-იან წლებში მიმდევართა რაოდენობა და ეკლესიის გავრცელების არეალი შესამჩნევად გაიზარდა, ჩამოყალიბდა მრავალი ახალი საკრებულო. 20-იან წლებში რუს ადვენტისტებს შორის განხეთქილება მოხდა ხელისუფლებასთან დამოკიდებულებისა და ჯარში მსახურების საკითხებთან დაკავშირებით. გამოყოფილი ნაწილი ადვენტისტ-რეფორმისტების სახელით არიან ცნობილნი.

1930-იან წლებში ადვენტისტებმა, სხვა კონფესიებთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლებისგან მძიმე რეპრესიები განიცადეს. მხოლოდ 1945-46 წლებში მოხერხდა რამდენიმე ათეული საკრებულოს ხელახალი რეგისტრაცია. თუმცა ეს უკანასკნელნი 1960 წელს კვლავ ლიკვიდირებულ იქნენ ხელისუფლების მიერ.

მხოლოდ 1981 წლისთვის მოხერხდა ადვენტისტური საკრებულოების გაერთიანება რუსეთის ტერიტორიაზე. 1990 წელს გენერალურ კონფერენციაზე ინდიანოპოლისში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ევრო-აზიური დივიზიონის შესაქმნელად.

მოძღვრება და პრაქტიკა

ადვენტისტურ ეკლესიაში აღესრულება ნათლობის, ზიარების, ზეთისცხების, ხელდასხმისა და ქორწინების საიდუმლოებები. ქალთა ხელდასხმა დაშვებული არ არის, თუმცა ისინი ერთობ აქტიურ როლს ასრულებენ ეკლესიაში. სხვადასხვა სახის საქმიანობასთან ერთად, მათ ქადაგების უფლებაც აქვთ.

ადვენტისტურ ეკლესიაში არ არსებობს სტაბილურად დადგენილი სამარხვო პერიოდები. ეკლესია თავად ნიშნავს მარხვის დღეებს. მარხვა კი ადვენტისტურ ეკლესიაში გულისხმობს საკვებისგან სრულ თავშეკავებას. მარხვის შენახვა ნებაყოფლობითია, მის ხანგრძლივობას კი თვითონ მარხული განსაზღვრავს. ადვენტისტები არ ჭამენ ბიბლიაში მოხსენიებულ უწმინდურ ცხოველთა ხორცს (იხ. ლევიტელთა მე-11 თავი), საერთოდ არ მიირთმევენ ალკოჰოლურ სასმელებს, რეკომენდებულია ჩაისა და ყავისაგან თავშეკავება კოფეინის შემცველობის გამო.

სხვა ქრისტიანებისგან განსხვავებით, ადვენტისტებისთვის უქმე და ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი დღე არის შაბათი. ამ დღეს ისინი თავს იკავებენ მუშაობისგან, სასწავლო დაწესებულებებში სიარულისგან, ვაჭრობისაგან, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ წესების ფორმალისტური დაცვა არ ევალებათ.

ადვენტისტთა ეკლესია ღიაა საზოგადოებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეკუმენურ მოძღვრებას არ იზიარებენ, ადვენტისტებს თითქმის ყველა კონფესიათაშორის კომიტეტში ჰყავთ წარმომადგენლობა, მონაწილეობენ დიალოგებში და მზად არიან ითანამშრომლონ სხვა ორგანიზაციებთან სოციალურ სფეროში.

ეკლესია კანონმორჩილებას მიიჩნევს აუცილებელ პირობად მორწმუნეებისთვის, ხოლო თავის მხრივ, იღწვის რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დასაცავად. ამის დასტურია რელიგიის თავისუფლების განყოფილების არსებობა ამ ეკლესიაში და ადვენტისტთა მიერ ინიცირებული და ჩამოყალიბებული მსოფლიო ორგანიზაცია IRLA («რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო ასოციაცია»). აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში ეკლესიის ჩაურევლობა მისი მნიშვნელოვანი პრინციპია.

სოციალური და საგანმანათლებლო მსახურება

მიუხედავად აშკარად გამოხატული ესქატოლოგიური მიმართულებისა, ადვენტისტთა ეკლესია იმთავითვე დიდ ყურადღებას უთმობდა საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ მხარეს — განათლების, ჯანდაცვის სფეროებს, ქველმოქმედებას.

ეკლესიის ყურადღების ცენტრში იყო მოწყალების საქმეც. იგი თავის საქველმოქმედო საქმიანობას 1893 წელს ჩამოყალიბებული საქველმოქმედო ასოციაციის მეშვეობით ახორციელებდა. 1894 წელს გაიხსნა პირველი თავშესაფარი ობოლი ბავშვებისათვის. ეკლესია აარსებდა უფასო სასადილოებს უპოვართათვის, აგებდა ღამის გასათევ შენობებს უსახლკაროთათვის.

მსოფლიოში ადვენტისტებს გახსნილი აქვთ 169 საავადმყოფო და სანატორიუმი, 393 კლინიკა და დისპანსერი, 128 მოხუცებულთა სახლი, 33 ბავშვთა სახლი.

განვითარებისა და დახმარების ადვენტისტური სააგენტო (Adventist Development and Relief Agency - ADRA) მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტთა ეკლესიამ 1984 წელს

დააფუძნა. დღეს ADRA წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, რომელსაც თავისი წარმომადგენლობები აქვს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში (არსებობს საქართველოს ფილიალიც — ADRA-Georgia). მისი საქმიანობის ძირითადი სფეროებია: სტიქიური უბედურობების დროს დაზარალებულებისათვის დახმარების აღმოჩენა, საზოგადოდ, ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელება, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშეწყობა. «განვითარებისა და დახმარების ადვენტისტური სააგენტო» არ ეწევა მქადაგებლურ საქმიანობას და ეხმარება ყველა ადამიანს, მიუხედავად ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა.

ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ადვენტისტთა ეკლესიისა ის არის, რომ იგი დიდ ყურადღებას უთმობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ეკლესია გამოსცემს წიგნებს, ჟურნალებს, რომლებშიც მოცემულია რაციონალური კვების პრინციპები, დიდი ადგილი უჭირავს ანტინიკოტინურ და ანტიალკოჰოლურ პროპაგანდას. მთავარი აქცენტი გადატანილია დაავადებათა პროფილაქტიკაზე. მოქმედებს პროფილაქტიკური და სამკურნალო ცენტრები. ადვენტისტური სანატორიუმი ბეთლქრექში (აშშ) XIX საუკუნის ბოლოს ჯანმრთელობის უმსხვილეს ცენტრად ითვლებოდა. ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, აგრეთვე სამედიცინო დარგის სპეციალისტების მომზადებას, რადგან მიაჩნია, რომ ქრისტიანობა მხოლოდ ადამიანის სულს კი არ უნდა კურნავდეს, არამედ მის სხეულსაც.

მსოფლიო მასშტაბით ფუნქციონირებს ეკლესიის მიერ გახსნილი 99 კოლეჯი და უნივერსიტეტი, კვალიფიკაციის ამაღლების 37 ინსტიტუტი. ადვენტისტურმა ეკლესიამ დააარსა 338 გამომცემლობა, რომლებიც ბეჭდურ პორდუქციას უშვებენ 338 ენაზე, აქვს რადიოსადგურები და რადიოსტუდიები, რომლებიც მაუწყებლობენ 74 ენაზე. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედებენ ადვენტისთა ტელესტუდიები და მედიაცენტრები. 2003 წლიდან ჰოთ-ბერდის (Hotbird) თანამგზავრის მეშვეობით მიმდინარეობს მუდმივი მაუწყებლობა Hope Channel-ის არხზე.

ადვენტისტურ ეკლესიას რუსეთში, ტულის ოლქში, საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი აქვს, ე. წ. ზაოკსკის აკადემია (დღეს უკვე ზაოკსკის ადვენტისტური უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტში შედის სასულიერო აკადემია და ქრისტიანული ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი).

ადვენტისტური ეკლესია საქართველოში

პირველი ოფიციალური ადვენტისტი მისიონერი საქართველოში შემოდის 1904 წელს. ეს იყო ვაგან პანპანიანი, რომლის ძალისხმევითაც უკვე 1909 წლისთვის სოხუმში ჩამოყალიბდა ადვენტისტური საკრებულო. შემონახულია ცნობა, რომლის მიხედვითაც, მანამდე, 1822 წელს, თბილისში ამერიკელი მისიონერი იოსებ ვოლფი ჩამოსულა, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა საქართველოში. 1906 წელს ამერიკიდან თბილისში საქადაგებლად ჩამოდის, აგრეთვე, ალბერტ ოზელი.

1925 წელს თბილისში ტარდება ადვენტისტურ ეკლესიათა ტრანსკავკასიური ყრილობა. ამის შემდეგ კომუნისტური ხელისუფლებისგან სასტიკი რეპრესიების შე-

დეგად ადვენტისტური ეკლესია საქართველოში თითქმის წყვეტს თავის არ-სებობას. ამგვარი მდგომარეობა გაგრძელდა 1957 წლამდე.

1957 წელს მოსკოვიდან თბილისში ჩამოდის ადვენტისტი მქადაგებელი პავლე პანჩენკო. იგი სამ წელიწადს მოღვაწეობს თბილისში. 1960 წლისთვის მან მოახერხა 52 წევრის შეკრება, თუმცა მალევე ყველა მათგანი რეპრესიაში მოყვა. პავლე პანჩენკო კი საქართველოდან გაასახლეს.

1977 წელს ერევნიდან ჩამოდის იოჰან დრელინგი, ხოლო ბაქოდან — პავლე ლაგუტოვი. მათ, ფაქტობრივად, თავიდან მოუწიათ გაბნეული ადვენტისტების მოგ-როვება. მათი დაარსებულია ლოტკინის მთაზე პირველი ადვენტისტური ეკლესია, რომელმაც რეგისტრაცია 1982 წელს გაიარა.

1994 წელს ზაოკსკის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხნენ პირველი ქართველი «მსახურები» («მსახური» ადვენტისტურ ეკლესიაში დამწყები პასტორის წოდებაა). ესენი არიან: სერგო ნამორაძე და ბაგრატ გოგიაშვილი. დღესდღეობით პირველი მათგანი თელავის საკრებულოს პასტორია, ხოლო მეორე — რუსთავისა (სერგო ნამო-რაძეს ენდრიუსის უნივერსიტეტის (აშშ) თეოლოგიური ფაკულტეტის მაგისტრატურაც აქვს დამთავრებული).

2001 წლამდე საქართველოს ადვენტისტები მიეკუთვნებოდნენ ტრანსკავკასიის გაერთიანებას, რომელშიც შედიოდნენ, აგრეთვე, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკრე-ბულოები. 2001 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა საქართველოს მეშვიდე დღის ადვენტისტურ ეკლესიათა გაერთიანება, რომელსაც ამჟამად მოლდაველი პასტორი ვალენტინ გრუბი ხელმძღვანელობს (ამ პოსტზე იგი 2007 წლის იანვარში აირჩიეს, მანამდე ეს თანამდებობა პასტორ პეტრე ლაგუტოვს ეკავა, ხოლო შემდეგ პასტორ გრიგოლ წამალაშვილს). ადვენტისტური ეკლესიის ხელმძღვანელის არჩევნები ყოველ ოთხ წელიწადში ტარდება. ამჟამად ადვენტისტურ ეკლესიას 12 ხუცესი ჰყავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ეკლესიის წევრთა საერთო რაოდენობა 400-ს არ აღემატება (შედარებისთვის: აზერბაიჯანში ადვენტისტთა რაოდენობა თითქმის სამჯერ მეტია, ხოლო სომხეთში — ოთხჯერ).

2005 წლის მარტში ადვენტისტურმა ეკლესიამ განახორციელა პირველი სატელიტური სამქადაგებლო პროგრამა ევრაზიაში: კიევიდან პირდაპირი ტრანსლა-ციით გადაიცა პასტორ მარკ ფინლის ქადაგებები. ამ პროგრამაში საქართველოში მოქმედი ადვენტისტური ეკლესიაც მონაწილეობდა. საქართველოს ხუთ ქალაქში: თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში მორწმუნეებს შეეძლოთ ამ ქადაგებებზე დასწრება. მსგავსი პროგრამა 2007 წელსაც განხორციელდა.

დავით თინიკაშვილი

ორმოცდაათიანელები

ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი პროტესტანტული მიმართულება — თავისუფალი (არატრადიციული) ეკლესია, რომელიც ცნობილია სხვა სახელითაც: სახარებისეული რწმენის ქრისტიანები, ევანგელისტები, ევანგელისტ-ორმოცდაათიანელები. საზოგადოებები (ეკლესიები), რომლებიც ამ სახელწოდებების ქვეშ მოიაზრება, ორგანიზაციული თვალსაზრისით ზოგჯერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლები არიან. მათი საერთო და არსებითი ნიშნებია: წმინდა სულის ცხოველმყოფელ ძალასა და მოქმედებაზე ყურადღების გამორჩეულად გამახვილება და ქარიზმატული განწყობილება (რელიგიური ანთებულება), რასაც ხშირად თან ახლავს წინასწარმეტყველება, «ენებით ლაპარაკი» და კურნება.

ფესვებით დაკავშირებულია მოციქულთა დროინდელ ეკლესიასა და ტრადიციასთან, რომელიც XVIII საუკუნის ევროპასა და ამერიკაში, ე.წ. სულიწმინდისეული მიმდინარეობის ანუ, რელიგიურ-სპირიტუალური მოძრაობის სახით აღორძინდა («გამოღვიძება» და «ინსპირაცია»).

წარმოიშვა ამერიკის შეერთებულ შტატებში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. დაარსების ოფიციალურ თარიღად 1906 წლის 14 აპრილი ითვლება. ჩამოყალიბდა როგორც მისიონერული ეკლესია. წამოაყენა ინტერნაციონალური ევანგელიზაციის დიდი პროგრამა, რის შედეგადაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სწრაფად გავრცელდა. XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს ორად გაიყო: ერთ მხარეს ტრადიციული მიმართულების ორმოცდაათიანელები აღმოჩნდნენ, მეორე მხარეს კი — ქარიზმატები. ორივე მიმართულება დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე მზარდ ეკლესიად ითვლება. მიმდევრების საერთო რაოდენობა, უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, 600 მილიონს უახლოვდება.

საქართველოში ცნობილია XX საუკუნის 20-იანი წლებიდან.

სახელწოდება

ამ კონფესიის არსებითი ნიშანი თვით სახელწოდებაშია აღბეჭდილი — ორმოცდაათი ანუ, ბერძნ., პენტეკოსტე, რაც 50-ე დღის სასწაულზე მიგვითითებს. იგულისხმება სულთმოფენობა, რომელიც იესო ქრისტეს აღდგომიდან 50-ე დღეს მოხდა. ამ დროს მოციქულებზე გადმოვიდა წმინდა სული და მათ უცხო ენებზე ლაპარაკი დაიწყეს (საქ. 2:1-8). ამის გამო ორმოცდაათიანელთა ეკლესიას (პენტეკოსტელებს) ბევრგან სულიწმინდის მოფენის ეკლესია ეწოდება

«ენებით ლაპარაკის» ნიჭსა და მადლს ხშირად ახსენებს პავლე მოციქული. იგი ამბობს: «ვინც ენით ლაპარაკობს, ის ადამიანებს კი არ ელაპარაკება, არამედ ღმერთს... რადგან სულით ლაპარაკობს იგი საიდუმლოებებს» (1 კორ. 14:2).

ისტორია და მოძღვრება

ორმოცდაათიანელებს სწამთ, რომ მათი მოძღვრება და ტრადიცია ფესვებით მოციქულთა ეპოქასთან, კერძოდ კი, სულიწმინდის მოფენის დღესთანაა დაკავშირებული. ამ ეკლესიას, როგორც კონფესიას, საფუძველი სამმა წინამორბედმა მიმდინარეობამ შეუმზადა (XVIII-XIX სს.): მეთოდისტურმა, «კათოლიკურმა სამოციქულო ეკლესიამ» (იხ. ახალსამოციქულო ეკლესია) და «აღმატებულმა სიცოცხლემ», რომლებმაც ენებზე ლაპარაკის მოციქულებრივი ტრადიცია აღორძინეს, მაგრამ «სულიწმინდის გადმოღვრისა და უცხო ენებზე მეტყველების ნიჭი» უფრო ადრე სპონტანურად კვაკერებში (1654 წ.), მეთოდისტებში (1739 წ.), პიეტისტებში (1803 წ.), «ირლანდიის გამოღვიძებასა» (1858 წ.) და «ირვინგიანულ მოძრაობაშიც» (ინგლისში, 1830-1832 წწ.) გამოვლინდა.

ორმოცდაათიანელთა ეკლესია ოფიციალურად 1906 წელს აშშ-ში დაარსდა, როდესაც ლოს-ანჟელესში პირველად შედგა «სულით ნათლობა» «უცხო ენებზე ლაპარაკითურთ». ამ მიმდინარეობის ფუძემდებლებად მიჩნეულნი არიან ჩარლზ ფოქს პარხამი (1873-1929) და უილიამ ჯეიმს სეიმორი (1870-1929).

ჩარლზ ფოქს პარხამი კანზასის შტატში, ქალაქ ტოპეკაში, ცხოვრობდა და მეთოდისტთა ეკლესიაში ქადაგებდა. მან იმავე ეკლესიის ბიბლიის სკოლის 34 მოსწავლეს დაავალა, რათა ელოცათ და ემსჯელათ «მოციქულთა საქმეების» იმ ნაწილზე, სადაც სულიწმინდის გარდამოსვლაზეა საუბარი. ორმოცდაათიანელთა რწმენით,1901 წელს, 1 იანვრის ღამეს, ამ სკოლის ერთმა მოსწავლემ, 18 წლის აგნას ნ. ოზმანმა, პირველმა მიიღო სულიწმინდით ნათლობა და დაიწყო „უცხო ენებზე» მეტყველება. მომდევნო დღეებში სულიწმინდა გადმოვიდა და უცხო ენებზე მეტყველება იწყეს სკოლის სხვა მოწაფეებმაც. ისინი ღმერთს სულიწმინდისეული ენით უგალობდნენ, ლოცულობდნენ და წარმოთქმული სიტყვების შინაარსს განმარტავდნენ.

პარხამის ერთ-ერთი მოსწავლე, უილიამ ჯეიმს სეიმორი, ცნობილი მქადაგებელი გახდა და ლოს-ანჟელოსის ეკლესიაში მასწავლებლად მიიწვიეს, სადაც, ძირითადად, «საქმენი მოციქულთას» ასწავლიდა და აცხადებდა: «ვინც უცხო ენებზე არ მეტყველებს, სულიწმინდით არ არის მონათლული». ეს აზრი ეკლესიის ძველმა წევრებმა არ მიიღეს, რის გამოც სეიმორი იძულებული გახდა ღვთისმსახურება სხვაგან ჩაეტარებინა. მან იჯარით აიღო მეთოდისტთა ეკლესიის შენობა, სადაც პირველი მსახურება 1906 წლის 14 აპრილს შედგა. სეიმორმა მაშინ შთამბეჭდავი ქადაგება წარმოთქვა და იწინასწარმეტყველა მიწისძვრა, რომელიც ოთხი დღის შემდეგ ამერიკას უნდა დასტყდომოდა თავს, როგორც ღვთის რისხვა მის მკვიდრთა უკეთურების გამო. წინასწარმეტყველება ახდა: დათქმულ დღეს სან-ფრანცისკო დაინგრა, მაგრამ ეკლესია, რომელშიც ეს ქადაგება წარმოითქვა, გადარჩა. იმ დღიდან ორმოცდაათიანელთა მოძრაობას მყარი საფუძველი ჩაეყარა და აღნიშნული თარიღი

მკვლევართა დიდი ნაწილის მიერ ორმოცდაათიანელთა ეკლესიის დაბადების დღედაა მიჩნეული.

ამ ეკლესიას პირველად «სამოციქულო რწმენის მისია» ეწოდა. მასში სულიწმინდით ნათლობა ათასობით ადამიანმა მიიღო. ამერიკაში მალე ორმოცდაათიანელთა აფრო-ამერიკული ტრადიციის ეკლესიებიც ჩამოყალიბდა. მრავალფეროვანმა ენობრივმა გარემომ, აფროამერიკულმა მუსიკამ და თაყვანისცემის ხალხურმა სტილმა ორმოცდაათიანელთა მოძრაობას ახალი და ადგილობრივი ფორმები შესძინა. ამის გამო ეს მოძრაობა იოლად გავრცელდა როგორც ამერიკაში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც. ლოს-ანჟელესის ეკლესია მკაცრად ებრძოდა რასიზმს. ერთ-ერთი თეთრკანიანი ღვთისმსახურის, ფრენკ ბარტლემანის განცხადებით, «რასობრივი დისკრიმინაცია ქრისტეს სისხლით ჩამოირეცხა".

ევროპელი ორმოცდაათიანლების მამად მიჩნეულია ინგლისელი ტომას ბოლ ბარეტი, რომელიც 17 წლის ასაკიდან ნორვეგიის მეთოდისტურ ეკლესიაში მქადაგებლის მოვალეობას ასრულებდა. 1906 წელს იგი ამერიკაში ჩავიდა და ორმოცდაათიანელთა ეკლესიაში «სულიწმინდის მოქმედების ძალა საკუთარი თვალით იხილა». ერთ თვეში ბარეტი მშობლიურ ქალაქში, ოსლოში, დაბრუნდა და ორმოცდაათიანელთა ადგილობრივი ეკლესიის დაფუძნებას შეუდგა. იგი იყო პოპულარული მწერალი, გამოსცემდა ჟურნალს და თავის შეხედულებებს წარმატებით ავრცელებდა. მისი ძალისხმევით ორმოცდაათიანელთა ეკლესიები ჩამოყალიბდა ჰოლანდიაში, იტალიაში, შვედეთში, ფინეთსა და ავსტრიაში, ასევე, შედარებით პატარა ეკლესიები — ბელგიაში, საფრანგეთში, ბალტიისპირეთში, რუსეთში. განსაკუთრებულ ენთუზიაზმს შვედი ორმოცდაათიანელები იჩენდნენ. მათ მსოფლიოს 48 ქვეყანაში 838 მისიონერი გაგზავნეს.

1907 წელს ორმოცდაათიანელთა პატარა ეკლესიები პეტერბურგსა და რუსეთის სხვა მხარეში, ძირითადად, გერმანელთა დასახლებებში, ჩამოყალიბდა. ამ კონფესიის რუსულენოვანი თემების დაარსება დაკავშირებულია ივანე ე. ვორონაევის სახელთან. იგი მალაკნის ოჯახში დაიბადა, მაგრამ ბაპტისტად მოინათლა და პასტორი გახდა. 1919 წელს ნიუ-ორკში ჩავიდა და სულიწმინდით ნათლობა მიიღო. შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და 1922 წელს ოდესაში ორმოცდაათიანელთა პირველი რუსულენოვანი ეკლესია დააარსა. ანალოგიური ეკლესიები სხვაგანაც შეიქმნა. მათმა რიცხვმა მალე 350-ს მიაღწია. ვორონაევის საქმიანობითა და ენთუზიაზმით ვ. ი. ლენინიც დაინტერესდა. იმ დროს მას და მის ხელისუფლებას რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან (მართლმადიდებლობასთან) და, ზოგადად, ტრადიციულ (ძველ) ეკლესიებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ჰქონდა გამოცხადებული. მას, თურმე, მოეწონა ორმოცდაათიანელთა და სხვა თავისუფალ ეკლესიათა (ბაპტისტთა, მე-7 დღის ადვენტისტთა, მენონიტთა და სხვათა) პრაქტიკა, რის გამოც მათ შედარებით მეტი თავისუფლება მისცა. XX საუკუნის 20-იანი წლები რუსულენოვან ორმოცდაათიანელთა ეკლესიების აყვავების პერიოდია. შეიქმნა «ქრისტიანული სასოფლო-სამეურნეო არტელები და კოლექტივები», მაგრამ ეს ვითარება 20-იანი წლების მეორე ნახევარში მკვეთრად შეიცვალა. ასეთი კოლმეურნეობები კანონგარეშე გამოცხადდა, ორმოცდაათიანელთა საჯარო ქადაგება აიკრძალა და მათი ბევრი აქტივისტი რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

მიმართულებები. პირველი განხეთქილება 1914-1916 წლებში მოხდა, როდესაც ორმოცდაათიანელთა გაერთიანებას ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოშორდა ჯგუფი, რომელიც წმ. სამებას უარყოფდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საწესჩვეულებო სხვაობათა საფუძველზე რამდენიმე დამოუკიდებელი ორგანიზაცია შეიქმნა, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია «ქრისტეს ეკლესია» და «თავისუფალი ეკლესია». 1960-იან წლებში ჯერ დასავლეთ ევროპაში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც, ტრადიციულ ორმოცდაათიანელებს გამოეყვნენ ჯგუფები, რომლებსაც ღვთისმსახურებასა და სახელმწიფოსთან მიმართების საკითხში რადიკალიზმი ახასიათებდა, ისინი გამოირჩეოდნენ «ენებზე მეტყველების» გამძაფრებული რიტუალით და ღია საზოგადოებაში მიღებული ნორმებისადმი მკვეთრი დაპირისპირებით. მათ ქარიზმატები ეწოდათ.

გავრცელება და რაოდენობა. ორმოცდაათიანელთა ყველაზე ღონიერი თემები აშშ-შია. მათ განკარგულებაშია ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის დიდი ქსელი, რომლის ველი მთელ მსოფლიოს მოიცავს. პირველი რადიომაუწყებლობა იქ 1918 წელს განხორციელდა და გადაცემები დღემდე პერმანენტულად გრძელდება. 1931 წელს ეკვადორში დაარსდა რადიოსადგური, რომელიც მისიონერულ მოღვაწეობას მსოფლიო მასშტაბით ახორციელებს.

ორმოცდაათიანელთა საერთო რიცხვი, 2006 წლის ოქტომბრის მონაცემების მიხედვით, დაახ. 600 მილიონია. მათგან ყველაზე მეტი სამხრეთ ამერიკაში, ფილიპინებსა და აფრიკაში ცხოვრობს. კენიაში, მაგალითად, ამ კონფესიას მოსახლეობის 33% აღიარებს, გვატემალაში — 20, ბრაზილიაში — 15, სამხრეთ აფრიკაში — 10, აშშ-ში — 5, გერმანიაში — 0,36. ზრდის პროცესი უფრო ქარიზმატულ თემებში შეინიშნება.

მოძღვრება

ორმოცდაათიანელთა თეოლოგია სხვა ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიათა თეოლოგიისაგან არსობრივად არ განსხვავდება. მათი ღვთისმეტყველება ბიბლიას და «წმინდა სულის გადმოღვრის» შედეგად შეძენილ გამოცდილებას ეფუძნება. საეკლესიო პრაქტიკა ორ ძირითად სპეციფიკურ ნიშანს შეიცავს: ნათლობას და ზიარებას. ყურადღება განსაკუთრებით სულიწმინდისეულ ნათლობაზეა გამახვილებული. თვლიან, რომ წმინდა წერილის თანახმად, ყოველი მორწმუნე უნდა იღებდეს ნათლობას სულიწმინდითა და წყლით, რადგან სულიწმიდით ნათლობას მოჰყვება სულით აღვსების განცდა (იოანე 7:37-38. საქ. 4:8).

ორმოცდაათიანელებს აქვთ, აგრეთვე, ქრისტეს ათასწლოვანი სამეფოს დამყარების მოლოდინი და ამ რწმენას ისინი ასევე საღვთო წერილზე აფუძნებენ, რომლის თანახმად, ათასწლოვანი მეფობა ხსნას მოუტანს ხალხებს, დედამიწა დატკბება სიმშვიდით და აივსება უფლის დიდებით (გამოცხ. 20:1-6; მიქ. 4:3; ზაქ. 14:9).
ყველაზე არსებითი ორმოცდაათიანელთა მოძღვრებაში არის სულიწმინდისეული ნათლისღების მოწმობა და შესაბამისი რიტუალი. ესაა სულიწმინდით აღვსილთა მიერ სხვადასხვა ენაზე საუბარი, ისე როგორც წმინდა სული მოციქულებს ამეტყველებდა (საქ. 2:1-8; 10:44-46; 19:1-7). ამ რიტუალს ეწოდება გლოსოლალია (ბერძ.) ანუ ენებით მეტყველება. იგი ქარიზმატული განწყობილების შედეგად

მიიღწევა. ამისათვის საჭიროა მედგარი ლოცვა და სულიერი აღმაფრენა. ასეთი ლოცვის გარკვეულ მომენტში მლოცველს ან მლოცველთა ჯგუფს მიემადლება გარკვეული ნიჭი (უნარი), რაც «უცხო ენაზე ამეტყველებით» გამოიხატება. ეს, ორმოცდაათიანლთა რწმენით, არაა რომელიმე კონკრეტული ენა. იგი ზებუნებრივი ენაა, რომლის მნიშვნელობა ყველასათვის გასაგები არ არის. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ენებზე ლაპარაკს ყველა მლოცველი ვერ ახერხებს, არიან ორმოცდაათიანელები, რომლებსაც ეს ნიჭი არ ეწვევათ.

პრაქტიკა

ღვთისმსახურება, მეტწილად, სიმღერის, მუსიკისა და ცეკვის ფონზე მიმდინარეობს, გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი. ხშირად იხსენებენ დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს, რომელიც ძველ ქართულ ენაზე ასე ჟღერს: «აქებდით ღმერთს წმიდათა შორის მისთა... აქებდით მას ხმითა ნესტვისაჲთა, აქებდით მას ფსალმუნითა და ებნითა; აქებდით მას ბობღნითა და მწყობრითა; აქებდით მას ძნობითა და ორღანოჲთა; აქებდით მას წინწილითა კეთილხმითა, აქებდით მას წინწილითა ღაღადებისაჲთა» (ფს. 150). ლოცვა საშუალოდ 2 საათს გრძელდება (ქარიზმატებში მეტხანს). იგი გამორჩეულად ცოცხალი და მგზნებარეა, ხდება ამენ-ისა და ალლელუიას ხშირად განმეორება და ხელაპყრობა პავლე მოციქულის სიტყვის შესაბამისად (1 ტიმ. 2:8). ლოცვები და საგალობლები მეტწილად იმპროვიზებულად წარმოითქმება. სამარხვო დღეები მათ დაწესებული არა აქვთ; მარხულობენ, როდესაც ამას ეკლესიის წინამძღოლი გამოაცხადებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც იგრძნობენ, რომ დაიკარგა ღმერთთან სიახლოვე და ბოროტს ველარ უმკლავდებიან. მარხვის დროს ისინი ზეთს იცხებენ თავზე (ნიშნად სულიწმინდის ხელმძღვანელობისა) და იბანენ პირს (ნიშნად ღვთის წინაშე დგომისა) (შდრ. მათე 6:16-18), მეუღლეები სექსუალური ურთიერთობისაგან თავს იკავებენ.

ორმოცდაათიანელთა საღვთისმსახურო პრაქტიკის შემადგენელი ნაწილია, აგრეთვე, ავადმყოფობათაგან განკურნება, წინასწარმეტყველება, სიზმრის ახსნა. მთავარი დღესასწაულებია შობა, აღდგომა და სულიწმინდის მოფენა. ძირითადი რიტუალებია: 1. ქორწინება, 2. ბავშვის უფლისადმი მიძღვნა, 3. ნათლობა, რომელიც მოწიფულ ასაკში ხდება, 4. ზიარება, 5. დაკრძალვა, რაც მიცვალებულის ხსოვნისადმი უკანასკნელი პატივის მიგებას ნიშნავს და 6. მსახურთა (ხუცესთა, ეპისკოპოსთა) ხელდასხმა.

ორმოცდაათიანელობა საქართველოში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიაში მოღვაწეობას იწყებს შვედური მისია, რომელსაც, მოგვიანებით, «სინათლე ხალხისთვის» ეწოდა და რომელმაც საქართველოში ორმოცდაათიანელთა წინამორბედის როლი შეასრულა.

საქართველოში ორმოცდაათიანელთა პირველი თემები 1918 წლის ახლო ხანს აბასთუმანსა და თბილისში თურქეთიდან გამოსახლებული რუსების ბაზაზე ჩამოყალიბდა, მაგრამ მათ არ ჰყავდათ ხელდასხმით ნაკურთხი ხუცესი, რის გამოც წყლით

ნათლობა არ ხდებოდა. თბილისში პირველი ნათლობა 1942 წელს შედგა, რაც უკრაინიდან ჩამოსულმა ხუცესმა, ვასილ ბიზიაევმა, შეასრულა.

1929-1930 წლებში დასავლეთ საქართველოში უკრაინიდან, ხერსონისა და ნიკოლაევის ოლქებიდან ჩამოვიდა ხალხი, რომელიც მძვინვარე შიმშილობას გამოექცა. მათ შორის იყვნენ ორმოცდაათიანელებიც, რომლებმაც ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, ცხაკაიაში, ნატანებში, მერიაში, ციხისძირში, სუფსასა და ქუთაისში პატარ-პატარა გეტოები შექმნეს.

1932 წელს საქართველოში ორმოცდაათიანელთა პირველი მასიური დაპატიმრება მოხდა. ერთ კვირაში დასავლეთ საქართველოს მასშტაბით 300 ორმოცდაათიანელი მორწმუნე დააკავეს და ფოთის პორტიდან გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მათი ბედი დღემდე უცნობია.

რეპრესიების მიუხედავად, ანალოგიური ეკლესიები მალე ჭიათურაში, გორში, გუდაუთასა და სოხუმშიც იქმნება.

ორმოცდაათიანელთა პირველი ქართულენოვანი ჯგუფი 1945 წელს გორში შეიქმნა. მისი ხელმძღვანელები გიორგი (ჟორა) კოჭლავაშვილი და ბესარიონ კურმაშვილი იყვნენ.

1951 წელს ახალი მასიური დაპატიმრება მოხდა. ამ დროს თბილისის ეკლესიაში სიით 87 მორწმუნე ირიცხებოდა, მათგან 40 დააპატიმრეს. ხელმძღვანელ პირებს 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო დანარჩენებს — 8-10 წელი.

მართალია, 1953 წლიდან, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ორმოცდაათიანელთა დევნა შენელდა, პატიმრების დიდი ნაწილი გაათავისუფლეს, მაგრამ 1961 წელს მასობრივი დაპატიმრებები კვლავ განახლდა. ამ წელს მარტო თბილისში 14 ორმოცდაათიანელი დააპატიმრეს, უმრავლესობა მეორედ მისცეს სამართალში. გორის ეკლესიიდან ღვთისმსახურების დროს დააპატიმრეს გიორგი (ჟორა) კოჭლავაშვილი და ბესარიონ კურმაშვილი. მორწმუნებზე ხორციელდებოდა როგორც ფიზიკური, ასევე მორალური ზეწოლა.

ამ პერიოდში პროტესტანტი ორმოცდაათიანელები სიმტკიცითა და სარწმუნოებისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ახალგაზრდები მკაცრად ემიჯნებოდნენ კომუნისტურ იდეოლოგიას. საბჭოთა კავშირის მასობრივი ინ-ფორმაციის საშუალებები მიმართული იყო იქითკენ, რომ ხალხში ზიზღი გაეღვივებინა ორმოცდაათიანელი მორწმუნეების მიმართ. ამ ნიშნითაა აღბეჭდილი მაშინდელი ფილმები: «ღრუბლები ბორდსკის თავზე», «სასწაულმოქმედი ბირულევოდან», «ეს ყველას აღელვებს», «მოციქულები ნიღბების გარეშე» და სხვ. იბეჭდებოდა ათასგვარი ცილისწამებლური წერილები. 1964 წელს საქართველოს ორმოცდაათიანელთა ეკლესიის საწინააღმდეგოდ გამოვიდა ჟურნალი «წყვდიადი».

1970 წელი საქართველოს ორმოცდაათიანელების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. ამ წელს უკრაინიდან ჩამოვიდა ეპისკოპოსი ნიკოლაი კამინსკი. მან ქართულენოვანი ეკლესიის ხუცესად აკურთხა გიორგი კოჭლავაშვილი, ხოლო

რუსულენოვანი ეკლესიის ხუცესად ალიოშა სლივკოვი, დიაკვნად — ტიმოთე ბიზიაევი. 1980 წელს საქართველოში ორმოცდაათიანელთა ეკლესიების რიცხვი საკმაოდ გაიზარდა. 1981 წელს უკრაინიდან ჩამოსულმა ეპისკოპოსებმა ა. ლევჩუკმა და ნ. მარტიანოვიჩმა ხუცესად ხელდასხმით აკურთხეს ოლეგ ხუბაშვილი და რომან გაჩეჩილაძე.

საქართველოს ორმოცდაათიანელთა ეკლესია მჭიდროდ ურთიერთობს ამერიკისა და ევროპის ანალოგიურ ეკლესიებთან და მისიებთან. აღსანიშნავია თანამშრომლობა გერმანიის საერთაშორისო ქრისტიანულ მისიასთან — «ნეემია», შვედურ მისიასთან — «სინათლე ერებისთვის» და ამერიკის საერთაშორისო ქრისტიანულ მისიასთან «საღვთო ასამბლეა».

ორგანიზაცია: სტრუქტურა და იერარქია. საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია, რომლის წარმომადგენლობითი ცენტრი თბილისშია, არის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ეკლესიების ერთიანობა. ადგილობრივ ეკლესიებზე ზედამხედველობა ხორციელდება უფროსი ეპისკოპოსის მიერ, დამხმარე ეპისკოპოსებთან ერთად, რომლებიც ერთობლიობაში წარმოადგენენ სულიერ საბჭოს (შდრ. საქ. 15: 2-4). თითოეულ ადგილობრივ ეკლესიას ჰყავს ხელდასხმული ეპისკოპოსი, ხუცესები და დიაკვნები (შდრ. ფილიპ. 1:1).

ურთიერთობა სახელმწიფოსთან. სახელმწიფოსთან დამოკიდებულების საკითხში ორმოცდაათიანელების სხვადასხვა ფრთა სხვადასხვა პოზიციას ამჟღავნებს. ასეა საქართველოშიც. საქართველოს ორმოცდაათიანელების ნაწილი (უმცირესობა) სახელმწიფოსთან თანამშრომლობაზე უარს ამბობს და რეგისტრაციაში არ ტარდება, ნაწილი კი (უმრავლესობა) ამ საკითხში ლოიალურია და რეგისტრაციის სურვილს გამოთქვამს. ისინი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო, პავლე მოციქულის სიტყვების თანახმად (რომ. 13), ღვთის მიერ დადგენილი ინსტიტუტია, რომლის მიზანს საზოგადოებაში წესრიგის მიღწევა წარმოადგენს.

საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: «ქრისტიანი, ისე როგორც საზოგადოების თითოეული წევრი, ხელისუფლების მორჩილი უნდა იყოს და თავისი ქვეყნის კანონების შესაბამისად უნდა იცხოვროს. მოთხოვნილებების დადგენა სახელმწიფოს უფლებაა და ჩვენ ვალდებულნი ვართ ის შევასრულოთ. სამოქალაქო კანონთა დარღვევა, თუ ისინი ღვთის განაწესთან კონფლიქტში არ შედიან (შდრ. საქ. 4:19; 5:29), მორწმუნეებს სახელმწიფოს მხრიდან სასჯელს, ხოლო ღმერთის მხრიდან მსჯავრის დადებას მოუტანს (რომ. 13:2).

საგანმანათლებლო საქმიანობა. ქართველი სახარების რწმენის ქრისტიანები ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებენ, რომ მეცნიერება და კულტურა სწორედ რელიგიის წიაღიდან აღმოცენდა.

ამიტომ ქართველი ორმოცდაათიანელები განათლებას დიდ ყურადღებას აქცევენ. 1992 წელს თბილისში გაიხსნა ბიბლიური კოლეჯი, რომელიც 1994 წლამდე ფუნქციონირებდა. ამ ხნის განმავლობაში საღმრთო წერილში 60 მორწმუნე განისწავლა. 1994 წელს ამერიკელ მისიონერთან, ბერტ კლენ-დენენთან, თანამშრომლობით თბილისში გაიხსნა ახალი სამთვიანი საღვთო სწავლების კოლეჯი. 3 წლის განმავლობაში საქარ-

თველოს სხვადასხვა კუთხიდან კურსი 212 მსმენელმა გაიარა. 2000 წელს თბილისის ეკლესიის ბაზაზე ერთწლიანი ბიბლიური კოლეჯი ჩამოყალიბდა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

2001 წელს თბილისში, საერთაშორისო ორგანიზაცია «ღვთის ასამბლეასთან» თანამშრომლობით, საქართველოს «სახარებისეული ქრისტიანული თეოლოგიური ინსტიტუტი» გაიხსნა, რომელსაც ორწლიანი პროგრამა აქვს. 6 წლის მანძილზე ეკლესიის მსახურის დიპლომი 50 სტუდენტს მიენიჭა. 2003 წელს სამწლიანი ხუცესთა სკოლა გაიხსნა, სადაც ხუცესის დიპლომი 35 მსმენელმა მიიღო. 2006 წელს ხუცესთათვის ჩამოყალიბდა დამხმარე სასწავლო ჯგუფი.

საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიებში სხვადასხვა წლებში გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები: «იმანუელი», «ნუგეშისმცემელი», «მშვიდობა თქვენდა», «ახალგაზრდული», «ჩვენი სარბიელი» და «სამკალი». ითარგმნა ცნობილი ღვთის-მსახურების ბერტ კლენდენენის, კენეტ ხეიგინის, რიკ ჯოინერის, ბენი ხინის, ულფ ეკმანისა და სხვათა წიგნები.

ქველმოქმედება. ორმოცდაათიანელთა ეკლესიები აქტიურად მოღვაწეობენ სოციალურ პროგრამებზე და ხელს უწყობენ საზოგადოებაში მშვიდობისა და ჰარმონიის დამკვიდრებას.

ეკლესიებს სხვადასხვა სოციალური პროგრამები აქვთ: ბავშვთა სახლებსა და ინტერნატებში აღმზრდელობით საქმიანობაში მონაწილეობა, დაუძლურებულ ადამიანთა მეურვეობა, პატიმართა ზნეობრივი მხარდაჭერა, ფსიქოლოგიური, სულიერი და მატერიალური დახმარების აღმოჩენა ადამიანებისათვის, რომლებიც რისკის ჯგუფში შედიან.

1992 წლის 10 ივნისს გაიხსნა «სრულიად საქართველოს სახარების რწმენის ქრისტიანთა ასოციაცია», რომლის ბაზაზე უფასო სასადილო დაარსდა. 1996 წლამდე ეს სასადილო ყოველდღიურად 300-ზე მეტ ხელმოკლე ადამიანს მასპინძლობდა. მათ, ვისაც სასადილომდე ფიზიკურად მოსვლა არ შეეძლო, ეკლესიის წევრები საკვებ პროდუქტებს სახლში აწოდებდნენ.

9 აპრილს მოწამლულებს, ასევე აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებს საქართველოს ორმოცდაათიანელთა ეკლესიამ მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება აღმოუჩინა.

დღევანდელობა. საქართველოში სხვადასხვა ტრადიციისა და სტილის ორმოცდაათიანელთა ეკლესიები არსებობს. მათგან სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: 1. ტრადიციული ქართულენოვანი, 2. ტრადიციული რუსულენოვანი და 3. ქარიზმატები (როგორც ქართულენოვანი, ისე სხვაენოვანი).

ყველაზე მრავალრიცხოვანი ის ორგანიზაციაა, რომელსაც ოლეგ ხუბაშვილი ხელმძღვანელობს. მის იურისდიქციაში მყოფი ეკლესიების ცენტრი თბილისშია, მაგრამ რეგიონალური ცენტრებიც არსებობს კახეთში, ქართლში, იმერეთში, აჭარასა და გურიაში.

პერესტროიკის დროს ორმოცდაათიანელთა დევნა შეწყდა, მაგრამ საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემებმა კვლავ იჩინა თავი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებისთანავე. პიროვნებები და ჯგუფები, რომლებიც მართლმადიდებლებად არიან ცნობილი, ორმოცდაათიანელთა საჯარო შეკრებებს, მისიონერულ აქციებსა და საქველმოქმედო ღონისძიებებს, ხშირ შემთხვევაში, ობსტრუქციას უწყობდნენ, რაც, არც თუ იშვიათად, თავდასხმებში, ფიზიკურ შეურაცხყოფასა და კერძო საკუთრების ხელყოფაში გამოიხატებოდა. შედგა რამდენიმე სასამართლო პროცესი, რომელთაგან ყველა ბრალდებული მხარისათვის სასურველი განაჩენით დასრულდა.

ყველზე ხმაურიანი თავდასხმები თბილისის ორმოცდაათიანელთა რუსულენოვანი ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელდა. ეს ეკლესია ღვთისმსახურებას 2002 წლის დასაწყისიდან პრესვიტერის, ნიკოლაი კალუცკის, ბინაში ატარებს (დავით გარეჯელის ქუჩაზე). სამი წლის მანძილზე (2002-2004) აღნიშნული ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე პერიოდულად იკრიბებოდნენ ადამიანები (საერო და სასულიერო პირები), რომლებიც მლოცველებს ლანძღავდნენ, ზოგჯერ სახლში უვარდებოდნენ და სცემდნენ. ერთ-ერთი თავდასხმის დროს ნ. კალუცკის მეუღლემ ტვინის შერყევა მიიღო. პოლიციელები ძალადობის აღმკვეთ ზომებს არ მიმართავდნენ და მოპიკეტეების მიმართ სიმპათიებს დაუფარავად გამოხატავდნენ. მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევამ აიძულა ისინი, რომ მორწმუნეთა კონსტიტუციური უფლებები დაეცვათ.

საქართველოში (აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის გამოკლებით) ორმოცდაათიანელთა ეკლესიების საერთო რიცხვი 120-ს აღემატება. მორწმუნეთა რაოდენობა 10 000-ს აღწევს. მათგან აქტიური წევრია 7 000.

ნუგზარ პაპუაშვილი

ევანგელური ეკლესია «სიცოცხლის სიტყვა»

ევანგელური ეკლესია «სიცოცხლის სიტყვა» (“Word of Life”) დაარსდა 1983 წლის 24 მაისს შვედეთში (ქ. უპსალა). მისი ფუძემდებელია ამავე ქვეყნის მკვიდრი, ულფ ეკმანი (Ulf Ekman). თავდაპირველად ეკლესიას მხოლოდ ოცი წევრი ჰყავდა, მაგრამ, დღესდღეობით, ყოველ კვირა დღეს შვედეთში ამ ეკლესიის ღვთისმსახურებაზე 2 000-მდე ადამიანი იკრიბება.

«სიცოცხლის სიტყვამ» მიმდევრები გაიჩინა მრავალ ქვეყანაში: ინგლისში, გერმანიაში, ნორვეგიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ბალტიის ქვეყნებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ ყველა სახელმწიფოში: თურქეთში, ავღანეთში, ისრაელში, სინგაპურში, ინდოეთში, ჩინეთსა და აშშ-ში.

ისტორია

1970-იან წლებში უპსალაში სტუდენტთა ჯგუფმა ბიბლიის შემსწავლელთა წრე ჩამოაყალიბა. წრის წევრების მიზანია, იმავდროულად, საკუთარ მეგობართა ევან-- გელიზაციაც იყო. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გახლდათ ულფ ეკმანიც. იგი გულმოდგინედ სწავლობს თეოლოგიას, აქტიურად მოღვაწეობს ჯგუფის სამეცნიერო საქმიანობაში. ამის შედეგად ეკმანი უპსალის უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ხდება თეოლოგიის დარგში.

ულფ ეკმანი საკუთარი სიმამრის მეშვეობით გებულობს ამერიკაში დაწყებული რწმენის აღორძინების მოძრაობის შესახებ. იგი მიემგზავრება ოკლაჰომას შტატში, ტულსას ბიბლიურ ცენტრში. იქ ერთ წელიწადს მოღვაწეობს, რის შემდეგაც შვედეთში ბრუნდება. როგორც თავად აცხადებს, იმ ხანებში მიიღო მან ღვთის დავალება: «გაავრცელე რწმენის სიტყვა ადამიანებს შორის, მიუთითე მათ ამ სულიერ იარაღზე, ასწავლე როგორ გამოიყენონ იგი და გაგზავნე ისინი ღვთის სახელით სულიერ ბრძოლაში გასამარჯვებლად». ამის შედეგად 1983 წლის გაზაფხულზე დაფუძნდა ეკლესია «სიცოცხლის სიტყვა», იმავე წლის შემოდგომაზე ამ ეკლესიასთან ჩამოყალიბდა ბიბლიური სკოლაც, ხოლო 1994 წელს უნივერსიტეტიც გაიხსნა (“Livets Ord University”).

1985 წლიდან მორწმუნეთა მისიონერული ჯგუფები ქ. უპსალიდან რეგულარულად ჩამოდიოდნენ საბჭოთა კავშირში. მისიონერთა უპირველესი მიზანი იყო ლოცვა «რკინის ფარდის» დასამსხვრევად, რომელიც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა ამ ტერიტორიაზე სახარების და საერთოდ რელიგიური ლიტერატურის თავისუფლად შემოტანისა და გავრცელების საქმეში. ამ მისიონერულმა ჯგუფებმა ბევრი გააკეთეს

საამისოდ: 1985-1989 წლების განმავლობაში მათ გაავრცელეს უამრავი ბიბლია და სხვადასხვა რელიგიური წიგნი, შექმნეს მლოცველთა ჯგუფები, მოაწყვეს პირველი კონფერენციები...

1989 წელს პასტორი ულფ ეკმანი სერიოზულ ძალისხმევას მიმართავს (ფინანსური მხარდაჭერის ჩათვლით) საბჭოთა კავშირში ქრისტიანული მოძრაობის დაწყებისათვის სახელწოდებით «რუსეთის შიდა მისია» ("The Russia Inland Mission"). ეკმანის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ამ კუთხით იყო ახალგაზრდა რუსი პასტორებისა და სამლოცველო ჯგუფების ლიდერებისათვის 100 ვიდეომაგნიტოფონისა და სხვა სახის აპარატურის გადაცემა. ამგვარმა ტექნიკურმა მხარდაჭერამ შეუწყო ხელი «სიცოცხლის სიტყვის» მქადაგებლების საქმიანობას: ისინი 1990-იან წლებში უამრავი სემინარისა და კონფერენციის მოწყობას ახერხებენ.

1993 წელს მოსკოვში გამოჩნდა ამ ეკლესიის პირველი მისიონერი, უვე სვემბერგი. მან თავდაპირველად ხუთკაციანი ჯგუფი ჩამოაყალიბა, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა. მისი ძალისხმევით გაიხსნა აგრეთვე ბიბლიური სკოლა, რომელიც დიდი ბრძოლის შემდეგ რეგისტრაციაში გაატარეს. 1994 წელს სკოლამ სწავლის მსურველთა პირველი ნაკადი მიიღო (530 სტუდენტი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან).

მოსკოვის ამ ბიბლიური ცენტრის უნიკალურობას ის განაპირობებს, რომ სხვა სამისიონერო ბაზებისგან განსხვავებით, მას არანაირი ფინანსური დახმარება არ მიუღია საზღვარგარეთიდან. თავისი დაფუძნებისთანავე მხოლოდ მორწმუნეთა შემოწირულობებით არსებობს.

მოძღვრება

«სიცოცხლის სიტყვის» დოქტრინა ისეთივეა, როგორიც ევანგელურ-ორმოცდაათიანელთა ეკლესიისა, ხოლო ღვთისმსახურება თითქმის არაფრით განსხვავდება სხვა ტრადიციულ პროტესტანტულ ეკლესიათა ღვთისმსახურებისგან. ევანგელური ეკლესია «სიცოცხლის სიტყვა» აღიარებს მხოლოდ ნათლობის, ზიარებისა და ქორწინების საიდუმლოებებს.

ეკლესია «სიცოცხლის სიტყვა» აღიარებს წმ. სამებას და ქრისტეს ღვთაებრიობას, არ კრძალავს ინტერკონფესიურ ქორწინებებს. ღვთისმსახურება შედგება ლოცვა-გალობების, წმ. წერილის კითხვა-განმარტებისა და ქადაგებისაგან.

«სიცოცხლის სიტყვა» საქართველოში

ევანგელური ეკლესია «სიცოცხლის სიტყვა» საქართველოში 1995 წელს დაფუძნდა მამუკა ჯებისაშვილის ხელმძღვანელობით.

მანამდე, 1991 წელს, ეკლესიის მომავალი დამფუძნებელი ლატვიაში მიემგზავრება ქ. ელგავის თეოლოგიურ ინსტიტუტში სასწავლებლად — პირველ არადენომინაციურ და ინტერკონფესიურ სასწავლებელში ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1992 წელს, ის თბილისში ბრუნდება, სადაც მონაწილეობს სახარებისეულად მორწმუნე ქრისტიანთა (ორმოცდაათიანელთა) ეკლესიასთან ბიბლიური კოლეჯის დაარსებაში და რამდენიმე წელიწადს მასწავლებლად მუშაობს იქ.

1995 წელს ეკლესიის დასაფუძნებლად მიემართება ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვარში. პასტორ მამუკას სიტყვით, იგი რეგიონში იმიტომ წავიდა, რომ იქ განსაკუთრებული სულიერი და ეკონომიკური კრიზისი იყო. თავისი მისია მან იმაში დაინახა, რომ რწმენის სიტყვა გაევრცელებინა ხალხში და მისი მეშვეობით დახმარებოდა ადამიანებს გასაჭირის დაძლევაში.

მისი შრომის შედეგად ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვარში ჩამოყალიბდა კარგად ორგანიზებუ-ლი ეკლესია, რომელიც დღესაც არსებობს.

1997 წლის ივლისში იგი თბილისში ბრუნდება. 1997 წლის 7 სექტემბერს შედგა დედაქალაქში მისი პირველი ღვთისმსახურება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პირველი ევანგელური ეკლესია «სიცოცხლის სიტყვა» ქარელის რაიონში დაფუძნდა, ამ ეკლესიის ცენტრი თბილისშია. რეგიონებში არსებობს 14 საკრებულო: ბათუმის, ქობულეთის, ზუგდიდის, გორის, გურჯაანის, თელავისა და ა.შ.

ეკლესიას საქართველოში ათასამდე მიმდევარი ჰყავს (ცნობისათვის: იგივე ეკლესია აზერბაიჯანში ათას ხუთას წევრს მოიცავს, ხოლო სომხეთში — რვა ათასს).

საქართველოს ევანგელურ ეკლესია «სიცოცხლის სიტყვას» ქალი პასტორებიც ემსახურებიან, რომელთაგან ზოგიერთი რეგიონებში მოღვაწეობს. ეკლესიაში ფუნქციონირებს «სულიერი საბჭო», რომლის წევრებიც მხოლოდ პასტორები არიან. საბჭო სამ თვეში ერთხელ იკრიბება სხვადასხვა საეკლესიო და სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამ ეკლესიის სოციალური აქტივობა. ეკლესიას გახსნილი აქვს უფასო სასადილოები თბილისში (კერძოდ, გლდანში), ბათუმსა და ზუგდიდში. ეს სასადილოები მხოლოდ მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს ემსახურება. ეკლესიის წევრები მარტოხელა მოხუცებსაც ეხმარებიან — ოჯახებში მიაქვთ მათთან პროდუქტი ჰუმანიტარული დახმარების სახით.

უნდა აღინიშნოს ამ ეკლესიის სპეციფიკური დამოკიდებულების შესახებ ებრაელებისადმი, რომელთა მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ. სხვადასხვა სახის სოციალური თანადგომის გარდა, ეკლესიის ხელმძღვანელობა აქტიურად ეხმარება იმ ებრაელებს, რომლებსაც სამშობლოში დაბრუნება სურთ. პასტორი მამუკა ჯებისაშვილი: «ჩვენ, ქრისტიანები დიდ ვალში ვართ ებრაელი ერის მიმართ. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ სწორედ მათ წიაღში ინება ღმერთმა ამ ქვეყნად მოსვლა».

საქართველოს ევანგელური ეკლესია «სიცოცხლის სიტყვა» აქტიურად ზრუნავს საკუთარი მრევლის სულიერ-ინტელექტუალურ განვითარებაზე. ეკლესიასთან ფუნ-

ქციონირებს ორწლიანი საღვთისმეტყველო სკოლა, სადაც პირველი წელი ბიბლიურ დისციპლინებს ეთმობა, ხოლო მეორე წელს მისიონერული თეოლოგია ისწავლება. აღნიშნულ სასწავლებელში ჩასარიცხად დაბრკოლებას არ წარმოადგენს ადამიანის განსხვავებული ქრისტიანული რწმენა.

დავით თინიკაშვილი

ეკლესია «ღმერთის საელჩო»

«ღმერთის საელჩო» ე.წ. ქარიზმატული პროტესტანტული ეკლესიაა. იგი 1994 წელს დაარსა პასტორმა სანდი ადელაჯამ (Sunday Adelaja).

დაარსებიდან 14 წლის განმავლობაში ეკლესია «ღმერთის საელჩო» გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ქარიზმატულ ეკლესიად ევროპაში. მათ შეძლეს 600-ზე მეტი ეკლესიის დაფუძნება 45 ქვეყანაში. მხოლოდ კიევში მსახურებს ამ ეკლესიის სამი ათასი ლიდერი. «ღმერთის საელჩოს» ცენტრალურ ტაძარში ყოველთვიურად ათასობით ადამიანი დადის. თავად პასტორი სანდი ხელმძღვანელობს 25 000-წევრიან ეკლესიას.

ეკლესია ითვლის დაახლოებით 200-მდე სამრევლოს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე ისრაელში, ინდოეთსა და აშშ-ში.

ისტორია

1994 წლის 6 თებერვალს კიევის ერთ-ერთ ბინაში შვიდი ადამიანი შეიკრიბა, რათა ედიდებინათ ღმერთი და შეემეცნებინათ მისი სიტყვა. ამ ადამიანებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მაშინ, რომ საფუძველს უდებდნენ მომავალში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ პროტესტანტულ ეკლესიას ევროპაში.

ასეთი იყო დასაწყისი ეკლესიისა «რწმენის სიტყვა», რომელმაც ათი წლის შემდეგ უკვე 20 000 წევრი შეიძინა, ხოლო ერთ მილიონამდე ადამიანმა, ამ ეკლესიის და-უღალავი ქადაგების მეშვეობით, ირწმუნა ქრისტე, როგორც ღმერთი და საკუთარი მხსნელი.

1994 წლის 12 სექტემბერს ეკლესიამ ოფიციალურად გაიარა რეგისტრაცია კიევის საქალაქო ადმინისტრაციაში.

ამ ეკლესიის წევრთა ღრმა რწმენით, ღმერთი ჩვენს დროშიც არჩევს ძლიერ ლიდერებს და წარავლენს მათ მთელ ქვეყანაზე საქადაგებლად. ერთ-ერთი ასეთი ადამიანია სანდი ადელაჯა, რომელსაც, მისი რწმენით, ღმერთმა მოუწოდა ჯერ უკრაინაში და შემდეგ სხვა ქვეყნებშიც ექადაგა.

ნიგერიაში დაბადებული და გაზრდილი სანდი ადელაჯა აღმოსავლეთ ევროპაში ოციოდე წლის წინ ჩამოვიდა ჟურნალისტიკის შესასწავლად. მაგრამ მოგვიანებით, როგორც თავად ამბობს, მან იგრძნო მოწოდება ღვთისაგან, რომ დაეფუძნებინა ეკლესია.

პასტორმა სანდიმ ცხრა თვეში შეისწავლა რუსული ენა, რის შემდეგაც იგი თავისუფლად ასწავლის და ქადაგებს ამ ენაზე.

33 წლის ასაკში მან წარმატებით დააფუძნა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქარიზმატული ეკლესია ევროპაში.

პასტორი სანდი აფრიკის ღარიბულ ოჯახში გაიზარდა, მაგრამ დღეს იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს უკრაინის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ნარინჯისფერი რევოლუციის დროს ადელაჯა უკრაინაში ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად მიიჩნეოდა. იგი აღიარებულია მსოფლიოს სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერის, მაგალითად, ბილ კლინტონის, არიელ შარონისა და სხვათა მიერ.

პასტორ სანდი ადელაჯას წილად ხვდა პატივი ლოცვით გაეხსნა აშშ-ს სენატის სხდომა 2007 წლის 23 აპრილს. იმავე წლის 23 აგვისტოს სიტყვით გამოვიდა გაეროში. მის მოღვაწეობას რეგულარულად აშუქებენ მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებები.

პასტორ სანდის დაწერილი აქვს 80-მდე წიგნი, რომელთა უმრავლესობა უკვე ნათარგმნია მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.

მოძღვრება

ეკლესია აღიარებს სამება ღმერთს, უხილავი და ხილული სამყაროს შემოქმედს, სწამს ქრისტეს განკაცება ადამიანთა გადარჩენისთვის. ეკლესიის ყოველი წევრი ვალდებულებას იღებს აღასრულოს თავისი მისია — იქადაგოს ქრისტიანობა, სხვადასხვა სახის დახმარება გაუწიოს ადამიანებს.

საერთოდ, «აღორძინების თეოლოგია», რომლითაც ხელმძღვანელობენ ქარიზმატები, გარკვეულწილად, ეყრდნობა კალვინის სწავლებას ადამიანთა გამორჩევის შესახებ, რაც ცხოვრებაში ამ ადამიანების წარმატების ხარისხმა უნდა დაადასტუროს. ქარიზმატთა სწავლების მიხედვით, «შემოსავალი წარმოადგენს მორწმუნე ადამიანის შრომის ღვთივკურთხეულობის ხილულ გამოხატულებას».

ქარიზმატული მოძრაობის წევრთა ცხოვრებაში თითქმის ყველა სფერო მკაცრად რეგლამენტირებულია. მაგალითად, პასტორი ადალეჯა რამდენიმე ათეული წიგნის ავტორია, რომლებშიც მორწმუნის თითქმის ყოველი ნაბიჯი გაწერილია, როგორც ოჯახურ, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რაც შეეხება კურნების პრაქტიკას, კითხვაზე, თუ რატომ არ არის ყველა ადამიანი ჯანმრთელი, ვინც ეკლესია «ღმერთის საელჩოში» დადის, პასტორი ადალეჯა პასუხობს, რომ ეს ადამიანის რწმენის სიღრმეზეა დამოკიდებული

სოციალური და საგანმანათლებლო მსახურება

«ღმერთის საელჩოს» ეკლესიის, როგორც საერთაშორისო მოძრაობის, მიზანს ქვეყნებისა და კონტინენტების სულიერი აღორძინება და სხვადასხვა სოციალური სფეროს რეფორმირება წარმოადგენს.

ეკლესიას სხვადასხვა ქალაქში გახსნილი აქვს უფასო სასადილოების ქსელი სახელწოდებით «სტეფანიას სამზარეულო», სადაც ათასობით მზრუნველობამოკლებულ ადამიანს ცხელი კერძისა და მედიკამენტების მიღების საშუალება აქვს (შიდა სტატისტიკით, 6 წლის განმავლობაში ასეთი სახის დახმარება 2 მილიონამდე ადამიანმა მიიღო).

შესაბამის სარეაბილიტაციო ცენტრებში ეკლესიის მიერ ორგანიზებული სპეციალური ტრენინგებისა და ლექციების შედეგად ნარკოტიკებსა და ალკოჰოლის გავლენას 3000-მდე ადამიანმა დააღწია თავი.

«ღმერთის საელჩოს» უსახლკარო და უპატრონო ბავშვების თავშესაფრებიც აქვს. გარდა ამისა, ეკლესიის წევრებმა შეძლეს სხვადასხვა მიზეზით ოჯახმიტოვებული 2000-მდე ბავშვის შინ დაბრუნება.

ეკლესია აქტიურად მონაწილეობს ცხოვრების ყველა სფეროს ტრანსფორმაციის პროცესში. ეკლესიის წევრები აქტიურად არიან ჩაბმულნი სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებსა თუ სოციალური ჯგუფების საგანმანათლებლო პროექტებში.

ეკლესიას აქვს «ცხელი ხაზის» სატელეფონო სისტემა, რომლის მეშვეობითაც მან უკვე 70 მილიონ ადამიანს გაუწია კონსულტაცია როგორც სულიერ საკითხებთან, ასევე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემებთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ უკრაინაში ეკლესიასთან ფუნქციონირებს «სრულიად უკრაინის ქრისტიან ქალთა საზოგადოება», რომელმაც უკვე არაერთხელ ჩაატარა თანამედროვე საზოგადოებაში არსებული ქალთა პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

ეკლესია «ღმერთის საელჩო» ჩაბმულია სულიერ-კულტურული ცენტრის ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც 15000-მდე ადამიანს აერთიანებს.

ეკლესია «ღმერთის საელჩო» საქართველოში

საქართველოში ეკლესია «ღმერთის საელჩო» თავის არსებობას 1994 წლიდან იწყებს. თავდაპირველად ეკლესია ატარებდა სახელწოდებას «გამარჯვება», ხოლო «ღმერთის საელჩო» მას 2004 წლიდან ეწოდა. ეს ეკლესია საქართველოში საკმაოდ მცირერიცხოვანია, მას მხოლოდ 50-მდე წევრი და ერთი პასტორი ჰყავს — მერაბ ბარბაქაძე. ეკლესიას მხოლოდ ერთი ტაძარი აქვს თბილისში ლოცვითი შეკრებებისა და სხვა-

დასხვა საეკლესიო რიტუალის აღსასრულებლად. დედაქალაქის გარდა, ეს კონფესია ჯერჯერობით არ არის წარმოდგენილი საქართველოს არცერთ რეგიონში.

თბილისში ეკლესია «ღმერთის საელჩო» რამდენჯერმე აღმოჩნდა ფუნდამენტალისტურად განწყობილ ადამიანთა თავდასხმების მსხვერპლი. ასე, მაგალითად, 1999 წელს ნაძალადევის რაიონის კულტურის სახლში ეკლესიის წევრები რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების მოწყობას აპირებდნენ, ჩამოსულნი იყვნენ სტუმრები უკრაინიდანაც.

ასევე, 2005 წელს, როდესაც «ღმერთის საელჩომ» ერთ-ერთი აქცია განახორციელა, რაც მუხიანის დასახლებაში მოძრავი კინოპროექტორით ფილმ «იესოს» ჩვენებას გულისხმობდა, მოსახლეობამ უკიდურესი აგრესია გამოიჩინა აქციის ორგანიზატორების მიმართ, «ღმერთის საელჩოს» წევრები სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყვეს.

ეკლესია «ღმერთის საელჩომ» რამდენიმე საქველმოქმედო აქცია განახორციელა საბავშვო ბაღებსა და ციხეებში.

დავით თინიკაშვილი

ევანგელისტური ეკლესია საქართველოში

ტერმინი «ევანგელისტური», როგორც ქრისტიანთა ერთი ჯგუფის სახელწოდება, რეფორმაციის დროს წარმოიშვა. «ევანგელისტური» (ბერძ. Evangelion — კეთილი უწყება) მიუთითებს სახარებისეულ საწყისებზე. ევანგელისტები — ასე უწოდებს საკუთარ თავს პროტესტანტთა დიდი ნაწილი, რომელთათვის ეს მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ იმას, რომ ადამიანი ქადაგებს ან კითხულობს სახარებას. მათთვის სახარება არ წარმოადგენს მხოლოდ ქადაგების საგანს, იგი აზროვნებისა და ცხოვრების ცენტრია.

«მსოფლიო ევანგელური ალიანსი»

პროტესტანტულ სამყაროში არსებობს საერთაშორისო გაერთიანება სახელწოდებით «მსოფლიო ევანგელური ალიანსი» («მეა»), რომელიც წარმოადგენს ეკლესიათა ქსელს, განფენილს 127 ქვეყანაში, იგი მოიცავს, აგრეთვე, 100 საერთაშორისო ორგანიზაციას. «მეა» წარმოადგენს ხმასა და პლატფორმას 420 მილიონი ევანგელურად მორწმუნე ქრისტიანისთვის მთელ მსოფლიოში. ეს ორგანიზაცია აქტიურად უწყობს ხელს რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებას საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებას საზოგადოების ყველა დონეზე.

1846 წელს ლონდონში 10 სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანები შეიკრიბნენ და პირველი «ევანგელური ალიანსი» ჩამოაყალიბეს, რომელიც ქრისტიანთა ერთობის ხელშემწყობი ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო. ეს იყო დასაწყისი იმ მოძრაობისა, რომელიც 1951 წელს დაფუძნდა. ამ წელს კი უკვე 21 ქვეყნის მორწმუნეებმა ოფიციალურად ჩამოაყალიბეს «მსოფლიო ევანგელური ალიანსი» («მეა»). დღეისთვის, ლონდონის შეკრებიდან 150 წლის შემდეგ, «მეა» არის დინამიკური გლობალური სტრუქტურა, რომელიც 127 ქვეყნის 420 მილიონი ქრისტიანს აერთიანებს.

ალიანსის ნაციონალური და რეგიონალური წევრები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ გენერალურ ასამბლეაზე იკრიბებიან, რათა «მეა»-ს სამოქმედო პროგრამები შეიმუშაონ და დაამტკიცონ.

«მსოფლიო ევანგელური ალიანსი» მოიცავს შემდეგ კომისიებს: თეოლოგიურს, რელიგიური თავისუფლების, მისიონერულს, ქალთა საკითხების და სხვ.

ალიანსის წევრები არიან ან ალიანსთან თანამშრომლობენ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის ევანგელისტური ეკლესიები.

ევანგელისტური ეკლესია საქართველოში

საქართველოში ევანგელისტური ეკლესია პირველად ფუძნდება 1914 წელს მცირე აზიიდან შემოსული მისიონერის დევიდ ურშანის მიერ, რომელიც აქედან სანკტ-პეტერბურგში და შემდეგ ევროპაში გადადის. საქართველოში ამ პირველი ევანგელისტური საკრებულოს შესახებ სხვა ცნობები არ მოიპოვება.

1999 წელს ზაალ ტყეშელაშვილი, მოსკოვის თეოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, აფუძნებს არადენომინაციურ ეკლესიას სახელწოდებით «ევანგელისტური ეკლესია». პასტორ ზაალ ტყეშელაშვილის განცხადებით, მისი ეკლესია შეიძლება მოიხსენიებოდეს მხოლოდ როგორც ევანგელისტური (მახარებლური) და არა ევანგელური (სახარებისეული) ეკლესია. საქართველოს ევანგელისტურ ეკლესიას დღესდღეობით 150 მიმდევარი ჰყავს.

პასტორი ზაალ ტყეშელაშვილი: «ამ პერიოდში საქართველოში არ იყო ადვილი ეკლესიის ხელმძღვანელობა და საერთოდ ნორმალური საეკლესიო ცხოვრება, მით უმეტეს, რომ ჩვენ მოვიაზრებოდით კიდევ ერთ სექტად, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა ქვეყნისთვის, მისი მოსახლეობისთვის. 1999 წლიდან 2003 წლამდე ჩვენი ეკლესია სხვადასხვა სახის შევიწროებას განიცდიდა, ძირითადად სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან. ამ დროის განმავლობაში ექვსი სასამართლო პროცესი გვქონდა. ჩვენს «დანაშაულს» წარმოადგენდა ღია ცის ქვეშ გალობა, ლოცვა და ამით «საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა». 2003 წლიდან (ვარდების რევოლუციის შემდეგ) ევანგელისტური ეკლესიის მიმართ დამოკიდებულება, გარკვეულწილად, იცვლება, ახლა ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია სხვადასხვა საეკლესიო რიტუალის შესრულება, თუმცა, რა თქმა უნდა, არსებული ვითარება სასურველისგან მაინც შორს არის».

საქართველოს ევანგელისტური ეკლესია სხვა პროტესტანტული ეკლესიებისგან თავისი არადენომინაციური ხასიათით განსხვავდება. გარდა ამისა, ეს ეკლესია არ აღიარებს ეკლესიის პირამიდულ სისტემას, ანუ ტრადიციულ იერარქიულ წყობას, რომლის პირობებშიც ლოკალური ეკლესიები გარდა ნებაყოფლობითი სულიერი თანაზიარებისა ადმინისტრაციულადაც ექვემდებარებიან ეპისკოპოსს. საერთოდ, ევანგელისტური ეკლესიების სწავლებით, მორწმუნეთა ყოველი ადგილობრივი კრებული თავისი პასტორით (ხუცესით, მღვდლით) დამოუკიდებელ, თვითმყოფად და სრულუფლებიან ეკლესიას წარმოადგენს, რომლის უმაღლესი მმართველიც ღმერთის სულით მავალი ამ ეკლესიის პასტორია. ამის გამო ევანგელისტურ ეკლესიებში ეპისკოპოსის ფუნქციას ეკლესიის პასტორი ითავსებს. ამგვარი სტრუქტურით ევანგელისტური ეკლესიები ცდილობენ მოციქულთა დროინდელი მდგომარეობა აღადგინონ, როცა, მათი რწმენით, ეკლესიათაშორისი ურთიერთობა ადმინისტრაციულ მორჩილებას კი არ ემყარებოდა, არამედ სულიერ თანასწორობას.

მოძღვრება

ყველა სხვა ქრისტიანული კონფესიის მსგავსად, საქართველოს ევანგელისტური ეკლესია აღიარებს რწმენის მთავარ ფუნდამენტს: წმ. სამებას და ქრისტეს ღვთაებრიობას. აღესრულება ზეციდან შობის, ნათლობის, ევქარისტიის, ქორწინების, ხელდასხმისა და ზეთისცხების, სულიწმიდით ნათლობის საიდუმლოებები. საზოგადოდ, ევანგელისტური ეკლესიები აღიარებენ ნათლობის ორ ფორმას: ნათლობას წყლით და ნათლობას სულიწმიდით. ამ სწავლების მიხედვით, წყლით შესაძლოა ყველა ადამიანი მოინათლოს, ხოლო სულიწმიდით ნათლობა რწმენის განსაკუთრებულია აქტია, რომელიც ზეციდან შობილ მორწმუნეთა ხვედრია.

რაც შეეხება მოძღვრებას ხსნის შესახებ, ევანგელისტურ ეკლესიას სწამს, რომ ნებისმიერი ეკლესიის წევრი (მართლმადიდებელი, კათოლიკე თუ პროტესტანტი) შეიძლება გადარჩეს, თუ ქრისტეს მიიღებს როგორც თავის პირად მხსნელს, და პირიქით, შესაძლოა თვით ევანგელისტური ეკლესიის წევრიც ვერ ცხონდეს, თუ იგი ამ პირობას არ შეასრულებს. თუ ადამიანი თავის კეთილ საქმეებს უფრო წინ აყენებს, ვიდრე ქრისტეს გამომსყიდველ მადლს, მაშინ მისი ცხონება საეჭვოა, რომელ ეკლესიასაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს იგი.

ევანგელისტური ეკლესიები უალტერნატივოდ უჭერენ მხარს სახელმწიფოს მოწყობის დემოკრატიულ სისტემას. პასტორი ზაალ ტყეშელაშვილი: «მონარქიული წყობა, შეიძლება პირდაპირ ითქვას, ღვთის საწინააღმდეგო პოლიტიკური სისტემაა. გავიხსენოთ, როცა ძველ აღთქმაში ებრაელი ხალხი მეფის დადგენას ითხოვს, ღმერთი ამის წინააღმდეგია. მართალია, შემდეგ მაინც აუსრულა მათ სურვილი, მაგრამ ეს ღვთის ნება კი არ იყო, არამედ უფალმა გაჯიუტებულ ხალხს დაუთმო... ჩვენი ღრმა რწმენით, ადა-მიანს აქვს არჩევანის თავისუფლება და ღმერთი პატივს სცემს თითოეული ადამიანის არჩევანს, მიუხედავად იმისა, სწორია ეს არჩევანი თუ არა».

ევანგელისტურ ეკლესიებს მეგობრული ურთიერთობები აქვთ სხვა პროტესტანტულ მიმდინარეობებთან, რაც ერთობლივ საქველმოქმედო თუ საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობით გამოიხატება. მათ შორის ევქარისტიული კავშირიც არსებობს — ევანგელისტური ეკლესიის წევრებისთვის დასაშვებია სხვა პროტესტანტულ ეკლესიებში ზიარების მიღება.

დავით თინიკაშვილი

საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია

საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია (სეპე) მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ევანგელურ-პროტესტანტული ფრთის სარწმუნოების აღმ-სარებელია. იგი დამოუკიდებელი, არადენომინაციური პროტესტანტული ეკლესიაა, რომელიც პატივისცემით ეპყრობა ტრადიციასა და საეკლესიო გადმოცემას, მაგრამ ეკლესიურ მოძღვრებაში უმაღლეს ავტორიტეტად წმიდა წერილს — ბიბლიას მიიჩნევს.

სეპე რადიკალურად არ განსხვავდება სხვა პროტესტანტული ეკლესიებისგან. მისი წარმომადგენლები აღიარებენ ყველა იმ საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას, რომლებსაც პროტესტანტული ეკლესია აღიარებს. ისინი აღი-არებენ, აგრეთვე, სულიწმიდით ნათლობის შესაძლებლობას.

ეკლესია დასაბამს იღებს XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოში პასტორი გიორგი ჩიტაძე დაბრუნდა ლატვიის ქალაქ ელგავიდან, სადაც იგი პოსტსაბჭოური სივრცის პირველ ბიბლიურ ინსტიტუტში იმყოფებოდა სასწავლებლად. ეკლესიის სულიერი ცენტრი ქალაქ გორშია. ევანგელურ-პროტეს-ტანტული ეკლესია კიდევ ოთხ ქალაქში არსებობს: რუსთავში, თბილისში, ხაშურსა და ქარელში.

მოძღვრება და ორგანიზაცია

ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის მოძღვრების მიხედვით, ადამიანი ქრისტიანი უნდა იყოს როგორც შინაგანი მრწამსის, ისე თავისი ცხოვრების წესის მიხედვითაც. ადამიანის შინაგანი ამაღლებულობა გარეგნულადაც უნდა იყოს გამოვლენილი.

სეპე ყურადღებას ამახვილებს ღმერთის სიტყვის «საღ, გასაგებ სწავლებაზე» და ამ მიზანს სპეციალური სასწავლო ცენტრის მეშვეობით ახორციელებს, რომელიც ეკლესიის სულიერ ცენტრში — ქ. გორშია განთავსებული. აქ ფუნქციონირებს ბიბლიის შემსწავლელი სამთვიანი კურსები, სადაც ქრისტეს სწავლების საფუძვლე-ბის გაცნობა ხდება. ეკლესია ფუნქციონირებს ე.წ. «ჯგუფ 12»-ის ფორმით (ქრისტეს 12 მოწაფის ანალოგია), რომელიც მოწაფეობის ინსტიტუტზეა დაფუძნებული — თითოეული ადამიანი ეკლესიაში მოწაფეა და ამავე დროს მას თავისი მოწაფეები ჰყავს.

სეპე-ის იერარქია მარტივია. ეკლესიაში არიან პასტორები, მათი დამხმარეები — თანახუცესები და დიაკვნები. ეკლესიის უფროსი პასტორია გიორგი ჩიტაძე, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის ზოგადი მოძღვრებისა და სულის ერთიანობაზე, თუმცა იგი ეკლესიის ერთპიროვნული მმართველი არ არის. ეკლესიაში ყველა საკითხი პასტორთა სულიერი საბჭოს მიერ წყდება. ეკლესიის ხელმძღვანელობა არ აღიარებს არც ავტორიტარულ და არც დემოკრატიულ სისტემას, არამედ უფრო ორიენტირებულია თეოკრატიულ მმართველობაზე — ღმერთის სულით აღჭურვილი ადამიანების მმართველობაზე.

ეკლესიის მრევლი, პირობითად, ოთხ ჯგუფადაა დაყოფილი: «ბავშვთა მსახურება» (გულისხმობს 2-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვებს), «ახალგაზრდული მსახურება» (გულისხმობს 13-დან 30 წლამდე ასაკის ადამიანთა მსახურებას), «ადმინისტრაცია» — ეკლესიის ძირითადი ნაწილი, რომელიც პასუხს აგებს მთლიანად ეკლესიის მსახურებაზე და «ოქროს მსახურება» — 50 წელს გადაცილებულთა მსახურება.

ორიდან ცამეტ წლამდე ასაკის ბავშვთა ჯგუფისთვის ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა, სადაც ბავშვები, მათთვის მისაწვდომ ენაზე, ბიბლიურ ისტორიებს ეცნობიან, სწავლობენ, აგრეთვე, ხელსაქმეს, ხატვას, ძერწვას, იმართება წარმოდგენები, კონცერტები ბავშვების მონაწილეობით, ეწყობა მათთვის საზაფხულო ბანაკები. ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობა ბავშვებს ეკლესიასთან აახლოებს. აღსანიშნავია, რომ ეკლესია უფრო მეტად ახალგაზრდობის მსახურებაზეა ორიენტირებული, რადგანაც მიაჩნია, რომ ახალგაზრდობა ის ასაკია, როცა ადამიანებს საკუთარი მონაცემების რეალიზებისთვის მეტი შესაძლებლობები აქვთ. ამიტომ ახალგაზრდულ ჯგუფში სწავლება უფრო სერიოზულ ხასიათს ატარებს: ისინი ქრისტიანული ეკლესიისა და მისი განშტოებების წარმოშობის ისტორიას ეცნობიან, მრევლის ახალგაზრდული ნაწილი მონაწილეობს სხვადასხვა ახალგაზრდულ პროგრამაში, ანტინარკოტიკულ კამპანიებში, მათ შორის IFIS-ის პროგრამაშიც.

სეპე-ს სულიერი ხელმძღვანელობა ახალგაზრდებს მოუწოდებს სამხედრო ვალდებულების მოხდისაკენ, ცდილობს საკუთარი მრევლი, უფრო მეტად კი ახალგაზრდობა, ტოლერანტული სულისკვეთებით აღზარდოს, რათა მათ შეეძლოთ განსხვავებული აზრის მოსმენა. ამისათვის ეკლესიის ადმინისტრაცია აწყობს სემინარებს ეკლესიის ისტორიის შესახებ, ეკლესიისა და მისი განშტოებების წარმოქმნის შესახებ. მათი რწმენით, ყველანაირი რელიგიური ექსტრემიზმი სათავეს ან დეზინფორმაციისაგან, ან ინფორმაციის ნაკლებობისაგან იღებს.

ეკლესიას თავისებური დამოკიდებულება აქვს ადამიანის «პირადი სფეროს» ლიბერალიზაციის მიმართ. «დღეს თანდათან პოპულარული ხდება, ეგრეთ წოდებული ლიბერალური თეოლოგია, რომელიც ცდილობს ქრისტიანობა ადამიანის ნებისმიერ ახირებას მოარგოს. სტატისტიკის მიხედვით, დღეისათვის ქრისტიანული ოჯახების დაახლოებით 50% გაყრის შედეგად ინგრევა და ამ გაყრაზე პასუხისმგებლობას არცერთი მხარე არ კისრულობს. ჩვენი ეკლესიისათვის მიუღებელია, ეგრეთ წოდებული «გვირგვინის აღება», ქორწინების აღთქმისაგან განთავისუფლება გაყრაზე ერთ-ერთი მხარისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე. ჩვენთვის მიუღებელია ჯვრისწერის გაუქმება, მაგრამ როცა ყველაფერი

დანგრეულია, არც მხოლოდ რელიგიური დოგმის გამო ოჯახის ფორმალური შენარჩუნებაა სასურველი, ამიტომ ძალიან ბევრს ვმუშაობთ ახალგაზრდა წყვილებთან, რომ მათი ოჯახი იყოს საღი, სიყვარულით სავსე, ქრისტიანულ მოძღვრებაზე დაფუძნებული და ურყევი», — აცხადებს პასტორი შმაგი ჭანკვეტაძე.

ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია გარკვეულ «დათმობაზე» მიდის და დღესასწაულების აღნიშვნისას ადგილობრივი ტრადიციის გათვალისწინებასაც ცდილობს: სეპე შობის დღესასწაულს ორჯერ აღნიშნავს — 25 დეკემბერსა და 7 იანვარს, თუმცა გრიგორიანულ კალენდარს უფრო სწორად მიიჩნევს. რაც შეეხება აღდგომას, მას იმავე დღეს აღნიშნავენ, რა დღესაც მართლმადიდებლები.

სოციალური მსახურება

სეპე-ს მიერ წარმოებული ჰუმანიტარული საქმიანობა, საქართველოში მოღვაწე სხვა დენომინაციების ჰუმანიტარულ საქმიანობასთან შედარებით, საკმაოდ მოკრძალებულია, რის მიზეზადაც საზღვარგარეთული დაფინანსების წყაროს არარსებობა სახელდება. ეკლესია საკუთარი ძალებით ახორციელებს მცირე პროგრამებს — ეხმარება რამდენიმე მოხუცებულს, ქვრივს, სურამის ბავშვთა სახლს, მუშაობს რამდენიმე ნარკომანთან, მორალურ თანადგომას იჩენს მათ მიმართ. გარდა ამისა, ეკლესია თანამშრომლობს ორგანიზაციასთან «სამარიტელის ქისა» და ბავშვებისათვის საშობაო საჩუქრების დარიგებაში მონაწილეობს. ამ საჩუქრებთან დაკავშირებით სეპე-მ ერთი განსხვავებული პროგრამაც განახორციელა: საჩუქრები არა «ჩვეულებრივ» ბავშვებს, არამედ პატიმართა შვილებს დაურიგდათ. პატიმრები წერდნენ წერილს თავიანთი შვილების სახელზე, შემდეგ კი ამ წერილს, საჩუქართან ერთად, ეკლესიის წევრები ბავშვებს გადასცემდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური დევნის შემთხვევები საგრძნობლად შემცირებულია, სეპე-ს წევრებს მაინც ხვდებათ გარკვეული «უსიამოვნებები» მოსახლეობასთან ურთიერთობისას. საზოგადოდ, ბევრი ახალგაზრდა ერიდება იმის აღიარებას, რომ ის ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის მრევლს განეკუთვნება, რადგან ეშინიათ, რომ დევნას დაუწყებენ — ფიზიკურს თუ არა, მორალურ დევნას მაინც. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუკი ადრე ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიების წევრებისთვის დაკეტილი იყო ყველა სააქტო დარბაზი (იქ მათ კულტურული ღონისძიების ჩატარების უფლებასაც კი არ აძლევდნენ!), დღეს ეს პრობლემას აღარ წარმოადგენს.

ეკლესიის ინტერკონფესიური ურთიერთობები

ეკლესია აქტიურად ურთიერთობს სხვა ქრისტიანულ დენომინაციებთან, რის პირდაპირ საფუძველსაც სახარებაში ხედავს. თუმცა თანამშრომლობა ერთმანეთში აღრევას არ ნიშნავს. ეკლესიის მესვეურთა აზრით, ყველა ეკლესიას მიცემული აქვს თავისი ხედვა, გეგმა, რომელზედაც პასუხისმგებელია, რადგან როგორც ადამიანის სხეული არ შეიძლება შედგებოდეს ერთი და იმავე ორგანოებისგან, ასევე ქრისტეს საერთო სხეულშიც შეუძლებელია ყველა ეკლესიას ერთი ხედვა ჰქონდეს.

გორში ყოველთვიურად იმართება შეხვედრები სხვა ეკლესიების პასტორებთან. ამ შეხვედრებზე ერთად ლოცულობენ და ერთობლივ ღონისძიებებს გეგმავენ. სეპე-ს მფლობელობაში არის ქრისტიანული ბიბლიოთეკა, აუდიო და ვიდეოთეკა, რომლითაც ყველა დენომინაცია სარგებლობს. ეწყობა, ე.წ. «ღია კარის დღეები». კვირა დღეს სეპე-ს მრევლს საშუალება ეძლევა სხვა ეკლესიებში მიმდინარე მსახურებას დაესწროს. როგორც ეკლესიის პასტორი შმაგი ჭანკვეტაძე აღნიშნავს, ყველაზე ნაკლებად მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანამშრომლობენ, რის მიზეზადაც მართლმადიდებელი ეკლესიის მათ მიმართ განწყობა და ზოგიერთ საკითხზე შეთანხმების სიძნელე სახელდება.

«ჩვენ, რაღა თქმა უნდა, არ ვეთანხმებით სხვა რელიგიების წარმომადგენლებს, როგორებიც არიან, ბუდისტები კრიშნას შემეცნების საზოგადოების წევრები, მორმონები, იეჰოვას მოწმეები, ისლამის მიმდევრები და ასე შემდეგ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მათ აქვთ არჩევანის და, მაშასადამე, ამ ქვეყანაში თავისუფლად არსებობის უფლება, გვწამს, რომ ღმერთმა თავისი ძალაუფლების დელეგირება მოახდინა — ნაწილი ეკლესიას არგუნა, ნაწილი — მთავრობას. წმიდა წერილი გვავალდებულებს, როგორც საქართველოს მოქალაქეები, პატივს ვცემდეთ და ვემორჩილებოდეთ საქართველოს კონსტიტუციას (რომ. 13, 1), რომლითაც გარანტირებულია რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება და ამას ვასწავლით მრევლსაც», — აცხადებს პასტორი შმაგი ჭანკვეტაძე.

დავით თინიკაშვილი

ეკუმენიზმი

სახელწოდება წარმოდგება ბერძნული ზმნისგან «ოიკო» («ვცხოვრობ»). აქედან — «ოიკუმენე», რაც, სიტყვასიტყვით, დასახლებას, ბინადრობას ნიშნავს. მეორეული, გადატანითი შინაარსით კი — დედამიწის ადამიანებით დასახლებულ ნაწილს, ე.ი. კაცობრიობას, ცივილიზებულ მსოფლიოს. შესაბამისად, ოიკუმენური, ანუ ეკუმენური მოძრაობა გულისხმობს მსოფლიო მოძრაობას, ეკუმენური საეკლესიო კრებები — მსოფლიო საეკლესიო კრებებს, ეკუმენური პატრიარქი — მსოფლიო პატრიარქს და ა.შ.

საეკლესიო-ქრისტიანულ ეკუმენიზმს შთააგონებდა და შთააგონებს იესო ქრისტეს ლოცვა მამისადმი: «არა მარტო მათთვის გევედრები, არამედ ყველასათვის, ვისაც ვწამვარ მათივე სიტყვით, რათა ყველანი ერთ იყვნენ, როგორც შენ, მამაო, ჩემში და მე შენში; რათა ისინიც ერთ იყვნენ ჩვენში... და დიდება, რომელიც შენ მომეცი, მე მივეცი მათ, რათა ერთ იყვნენ, როგორც ჩვენა ვართ ერთი» (იოანე 17, 20-22). მაშასადამე, ეკუმენიზმის უზენაესი მიზანია ქრისტეს მორწმუნეთა გაერთიანება. ცხადია, ამ პრობლემამ თავი იჩინა ეკლესიის ერთიანი სხეულის დაშლა-დანაწილების პირველსავე დღიდან, რაც მოციქულთა ხანიდან დაიწყო და ჩვენს ეპოქამდე

გრძელდება. სქიზმის შედეგები სავალალო და ტრაგიკულია: მძულვარება, ფანატიზმი, რელიგიური ღვარძლი და ომები, ერთაშორისი კონფლიქტები და ანტაგონიზმი... ამის გამო, ბუნებრივია, რომ აღმსარებლობებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთელებისათვის ყოველთვის იღვწოდნენ კეთილი ნების ადამიანები.

თანამედროვე ეკუმენური მოძრაობა ჩაისახა პროტესტანტული ეკლესიის წიაღში XIX-XX საუკუნების მიჯნაზე. ოფიციალურად გაფორმდა 1910 წელს ედინბურგში (შოტლანდია) მისიონერთა მსოფლიო კონფერენციაზე, რომელსაც 1921 წელს «მისიონერთა საერთაშორისო საბჭო» ეწოდა. მან იდეალად გამოაცხადა ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანება დოგმატური და კანონიკური განსხვავებების ხელშეუხებლად, რაც ნიშნავს ქრისტიანული კონფესიების თანაარსებობას საერთო პრინციპებისა თუ თეორიული წანამძღვარების საფუძველზე. ეს მოძრობა თანდათან გაფართოვდა და გაძლიერდა, შეიძინა მომხრეები პროტესტანტული სამყაროს გარეთაც და შესაძლებელი გახდა საერთაშორისო მასშტაბის ორგანიზაციის, ანუ ეკუმენური მოძრაობის ბირთვის შექმნა, — ესაა «ეკლესიათა მსოფლიო საბჭო».

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ჩამოყალიბდა ეკლესიათა მსოფლიო ასამბლეაზე ამსტერდამში 1948 წელს. ერთ-ერთ პირველ სხდომაზე დაამტკიცეს კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც (თავი 1), ეკლესიათა მსოფლიო საბჭო (ემს) არის თანამეგობრობა იმ ეკლესიებისა, რომლებიც აღიარებენ იესო ქრისტეს ღმერთად და მაცხოვრად. მისი ფუნქციებია (თავი 3): ხელი შეუწყოს აღმსარებლობებს შორის არსებული ბარიერების დაძლევას, კონტაქტებს, თანამშრომლობას საერთო მიზნების მისაღწევად, სწავლა-განათლებას, ქველმოქმედებას, მოსახლეობის ევანგელიზაციას, ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, მორწმუნეების უფლებათა დაცვას, საყოველთაო მშვიდობას, თანასწორობას, იმ იდეალების განხორციელებას, რასაც ისახავს ორი მსოფლიო მოძრაობა — «რწმენა და წესრიგი», «სიცოცხლე და შრომა».

1961 წელს კონსტიტუციის პრეამბულა განივრცო და ასე ჩამოყალიბდა: «ეკლესიათა მსოფლიო საბჭო არის თანამეგობრობა ეკლესიათა, რომლებიც აღიარებენ უფალ იესო ქრისტეს ღმერთად და მაცხოვრად საღვთო წერილის მიხედვით, იღვწის, რათა აღასრულოს მოწოდება ერთი ღმერთის — მამის, ძისა და წმიდა სულის — განსადიდებლად».

ამჟამად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში შედის თითქმის ყველა მართლმადიდებელი, ლუთერანული, რეფორმატორული, პრესვიტერიანული, კონგრეგაციონალისტური, ანგლიკანური, ბაპტისტური, მეთოდისტური, ძველკათოლიკური ეკლესიები, კვაკერები. 1961 წელს მისი წევრი გახდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, 1962 წელს — საქართველოს მართლმადიდებელი და სომეხთა სამოციქულო ეკლესიები. რომის კათოლიკური ეკლესია წევრობაზე ჯერჯერობით თავს იკავებს. იგი მხოლოდ მეთვალყურეებს გზავნის სხდომებზე სიტყვის უფლებით.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, 2008 წლის მონაცემების მიხედვით, აერთიანებს 200 ქვეყნის 500-მდე სხვადასხვა ქრისტიანულ რელიგიურ გაერთიანებას. რეზიდენცია მდებარეობს ჟენევაში. ჰყავს გენერალური მდივანი და ერთდროულად ექვსი პრეზიდენტი, რომელთაც ირჩევენ 4 წლის ვადით. 1978 წელს თანაპრეზიდენტად აირჩიეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

მას შემდეგ, რაც სოციალისტური ბანაკი დაიშალა და კომუნისტურ-ათეისტურ იდეოლოგიას ყავლი გუვიდა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სამოღვაწეო ასპარეზი რამდენადმე შეიცვალა. დღეისთვის იგი, ძირითადად, დასაქმებულია საერთაშორისო თეოლოგიური სემინარ-სიმპოზიუმების მოწვევით, ჰუმანიტარული პრობლემებითა და რელიგიური ლიტერატურის გამოცემით.

1997 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და ევროპის ეკლესიათა კონფერენციის წევრობა შეწყვიტა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რათა თავიდან აერიდებინა შიდასაეკლესიო განხეთქილება. საქართველოში არსებული სხვა ეკლესიები: კათოლიკე, ევანგელურ-ლუთერანული, სომეხთა სამოციქულო და ევან-გელურ-ბაპტისტური მკაფიოდ გამოხატავენ თავიანთ ეკუმენურ შეხედულებებს, მონაწილეობენ ერთობლივ ლოცვაში, ხოლო დიდ პარასკევს ერთობლივად მართავენ იესო ქრისტეს ჯვარცმის გასახსენებელ მსვლელობას.

ქრისტიანული ეკუმენური დიალოგის გვერდით უფრო და უფრო მეტ ძალას იკრებს, ე.წ. პანეკუმენური მოძრაობა, რომელიც ქრისტიანული ეკლესიებისა და დიდი მსოფლიო რელიგიების: ისლამის, ბუდიზმის, იუდაიზმისა და ინდუიზმის მრავალმხრივი დიალოგის გაღრმავებას უწყობს ხელს. დღესდღეობით, მსოფლიოში რამდენიმე პანეკუმენური ფორუმი მოქმედებს.

უკანასკნელი დღის წმინდანთა ეკლესია — ”მორმონები”

მორმონები — «უკანასკნელი დღის წმინდანთა ეკლესიის» წევრების საზოგადოდ გავრცელებული, მაგრამ არაოფიციალური სახელწოდებაა. მორმონთა ეკლესიის დაფუძნების თარიღად ითვლება 1830 წლის 6 აპრილი, როდესაც ფაიეტში (ნიუ-იორკის შტატი) ჯოზეფ სმიტმა (Joseph Smith) დააარსა «ქრისტეს ეკლესია». ეკლესიამ თავისი ამჟამინდელი სახელწოდება 1834 წელს მიიღო.

ამჟამად მსოფლიოში მორმონების რაოდენობა 12 მილიონს აჭარბებს. ეკლესიის წევრთა ნახევარზე მეტი აშშ-ს საზღვრებს გარეთ ცხოვრობს. ეკლესია აქტიურ მისიონერულ მსახურებას ეწევა: დღესდღეობით მათ 56 ათასი მისიონერი ჰყავთ 162 ქვეყანაში. სხვადასხვა ქვეყანაში მორმონთა 124 ტაძარი არსებობს (უახლესი მათგანი იკურთხა 2006 წლის 23 ოქტომბერს ფინეთის დედაქალაქში).

წმინდა ტექსტი — «მორმონის წიგნი» — ნათარგმნია 93 ენაზე (საერთო ტირაჟი 100 მილიონი ეგზემპლარი). ეკლესიას აქვს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო — ჟურნალი “Liahona”, რომელიც ორმოცდაათამდე ენაზე გამოიცემა (ქართულად, ჯერჯერობით, არ გამოსულა).

ისტორია

ჯოზეფ სმიტის მტკიცებით, ღმერთი მასთან სამი სახით ურთიერთობდა: ხილვებით, წინასწარმეტყველებებით და განმარტების უნარის მინიჭებით. პირველი ხილვა მას 14 წლის ასაკში ჰქონია, რომლის დროსაც გასხივოსნებულ იქნა ღვთაებრივი ნათლით. ამ ნათელში მან დაინახა მამა ღმერთი და ძე ღმერთი.

მომდევნო ხილვა მას ეწვია 1823 წლის 21 სექტემბერს, რომლის დროსაც ანგელოზმა, სახელად მორონმა, სმიტს მიუთითა, რომ მის სახლთან დამარხული იყო ოქროს ფირფიტებზე დაწერილი წიგნი სახეცვლილი ეგვიპტური იეროგლიფებით. წიგნს თან ახლდა ორი ქვა — ურიმ და თუმიმ, რომლებიც, შესაბამისი რიტუალური წესით, სმიტს ამ წიგნის განმარტების დროს უნდა გამოეყენებინა. ამგვარად იქნა მის მიერ შედგენილი «მორმონის წიგნი».

აღნიშნული წიგნის გარდა, მორმონთა შორის წმინდა წიგნებად ითვლება: «სწავლებანი და აღთქმანი», «ძვირფასი მარგალიტი» და «ბიბლიის ღვთივშთაგონებული თარგმანი”. ამათ შორის ყველაზე ცნობილი «მორმონის წიგნია», რომელიც მორმონთა რწმენით, ამერიკის კონტინენტის პირველ მკვიდრთა შესახებ მოგვითხრობს. წიგნის ძირითად ნაწილში გადმოცემულია ვინმე ლეხისა და მისი

ოჯახის ამბავი. ლეხს ჩვ. წ. აღრიცხვამდე დაახლ. 600 წელს დაუტოვებია იერუსალიმი და ამერიკის კონტინენტზე დასახლებულა. ამერიკელი ინდიელები, რომლებიც, წიგნის მიხედვით, ებრაელთა შთამომავლები ყოფილან, ცოდვათა გამო შავკანიანებად ქცეულან, მართალ ადამიანებს კი კანის თეთრი ფერი შეუნარჩუნებიათ. ამ ორ ჯგუფს შორის ომი ატყდა, რომელშიც ინდიელებმა გაიმარჯვეს. სიკვდილის წინ მორონმა, უკანასკნელმა თეთრკანიანთაგან, თავისი ერი აღწერა და წიგნი მიწაში დამარხა. სწორედ ეს გმირი გამოეცხადა ანგელოზის სახით სმიტს.

1829 წლის 15 მაისს ჯოზეფ სმიტსა და «მორმონის წიგნის» გადამწერს, ოლივერ კაუდერს, გამოეცხადა იოანე ნათლისმცემელი, რომელმაც მათ უბრძანა ერთმანეთი მოენათლათ სესკვიანის მდინარეში (პენსილვანიის შტატი). ამ ნათლობით ისინი მღვდლები გახდნენ აარონის წესისამებრ. მოგვიანებით მათ გამოეცხადათ პეტრე, იაკობ და იოანე მოციქულები. მათ აღადგინეს მღვდლობა მელქისედეკის წესისამებრ, რომელიც იძლეოდა «ხელდასხმის ძალაუფლებას». მღვდლობის ეს ორი წესი დადგინდა მხოლოდ მამაკაცებისთვის და მხოლოდ თეთრკანიანთათვის. ასე იყო 1978 წლამდე, როდესაც მორიგი ხილვის საფუძველზე ნებადართული შეიქნა «მორმონული» მღვდლობა სხვა რასის წარმომადგენელთათვისაც.

მორმონთა პირველი საკრებულოები ჩამოყალიბდა ოჰაიოსა და მისურის შტატებში, სადაც ისინი იმთავითვე ზეწოლის ქვეშ მოექცნენ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ამის გამო მისურის შტატში მყოფი მორმონები, სმიტის ხელმძღვანელობით, ილინოისში გადასახლდნენ, სადაც საკუთარი სოფელი შექმნეს. თუმცა აქაც დაუპირისპირდა მათ ადგილობრივი მოსახლეობა. სწორედ ამ დროს სმიტი ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი მოკლეს.

ამის შემდეგ ხელმძღვანელობა ბრაიამ იაშუს გადაეცა. მან მორმონები შორეულ დასავლეთში გადაიყვანა, სადაც 1847 წელს იუტას ტომის ინდიელთა ნასახლარზე დაფუძნდა კოლონია ცენტრით მარილიანი ტბის ქალაქში (Salt-Lake-City).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობდა კიდევ ერთი მიზეზი მორმონთა დევნისა: პოლიგამია. მართლაც, XIX საუკუნის შუა წლებში ამ ეკლესიის წევრებს ერთდროულად რამდენიმე ცოლი ჰყავდათ. ამას მორმონები იმით ხსნიან, რომ იმ სექტებთან შეტაკებებისას, რომლებიც შემდეგ საკუთარი ქვეყნიდან წავიდნენ, რათა აღმსარებლობის თავისუფლება ჰქონოდათ, მათ ბევრი მამაკაცი დაკარგეს, ბავშვებსა და ქალებს კი დაცვა ესაჭიროებოდათ. ეს დაცვა იმით გამოიხატებოდა, რომ მათ მამაკაცები საკუთარ ოჯახებში ღებულობდნენ, ხოლო იმისათვის, რომ ამ ქალებს ახალ გარემოში უცხოდ არ ეგრძნოთ თავი და უფლებრივადაც გათანაბრებოდნენ ოჯახის სხვა წევრებს, თავიანთი მფარველებისთვის ცოლობა უნდა გაეწიათ. ერთ მამაკაცს შეეძლო 20-მდე ცოლიც კი ჰყოლოდა.

XIX საუკუნის დამლევს, ფედერალურ ხელისუფლებასთან მრავალწლიანი შეხლა-შემოხლის შემდეგ, მორმონებმა პოლიგამია უარყვეს. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ზოგიერთმა წევრმა დატოვა ეკლესია და საკუთარი საკრებულოები ჩამოაყალიბა, სადაც პოლიგამიის პრაქტიკამ არსებობა განაგრძო. დღეს მორმონთა ოფიციალური ეკლესიის მიერ პოლიგამია აკრძალულია (ამ აკრძალვას ემორჩილებიან საქართველოში მცხოვრები მორმონებიც).

მორმონთა ეკლესიის ცენტრად იუტას შტატი მიიჩნევა. უნდა ითქვას, რომ ეს შტატი საკმაოდ განსხვავდება ქვეყნის სხვა შტატებისგან. მაგალითად, 2004 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, იუტას შტატში შობადობა საშუალო დონეზე ბევრად მაღალი იყო აშშ-ს სხვა შტატებთან შედარებით. ასევე "Center for Disease Control and Prevention"-ის მონაცემთა მიხედვით, იუტას შტატში მხოლოდ 12% პროცენტია მწეველი. ეს შტატი ლიდერობს ასევე იმ მოხალისეთა აქტიურობის ხარისხით, რომლებიც უანგაროდ ასრულებენ საზოგადოებისთვის სასარგებლო სხვადასხვა სახის სამუშაოს.

მოძღვრება

მორმონთა მტკიცებით, ღმერთს ადამიანური იერსახე აქვს და ამიტომ ადამიანსაც შეუძლია ღმერთში განვითარება. სამების სამი ჰიპოსტასი წარმოადგენს სამ დამოუკიდებელ ღვთაებრივ არსებას, რის გამოც რელიგიათმცოდნეები ზოგჯერ თავს იკავებენ იმისაგან, რომ მორმონებს მონოთეისტები უწოდონ. მორმონთა სწავლებით, ადამიანის სული სამყაროს შექმნამდე არსებობდა; მეორედ მოსვლის დროს ქრისტეს ათასწლოვანი სამეფო დაფუძნდება, რომლის დასრულების შემდეგ დედამიწა ზეციურ სფეროდ გარდაიქმნება და ყველა ადამიანი მარადიულ სამეფოში გადავა.

ღმერთი არ წარმოადგენს შემოქმედს, ის მხოლოდ «მომწყობია», «გამფორმებელია» სამყაროსი, რომელიც ყოველთვის არსებობდა. მას არ შეუქმნია გონიერი არსებები, მხოლოდ «მოიწვია» ისინი, რათა შეერთებოდნენ მისი შესაქმის გეგმას. მართალია, ეს გონიერი არსებები ფლობენ თავისუფალ ნებას, მაგრამ უზენაეს კანონს ექვემდებარებიან, რომელსაც თვით ღმერთიც ემორჩილება.

მორმონთა რელიგიურ პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მორწმუნის პირად მისტიკურ გამოცდილებას (ე. წ. «სულიერ ნიჭებს»), რომელიც მოიცავს წინასწარმეტყველებებს, გამოცხადებებსა და გლოსოლალიას (ენებზე მეტყველებას).

მორმონთა რწმენის სიმბოლო შეიცავს 13 მუხლს, რომლებიც, ძირითადად, ქრისტიანობის ტრადიციულ დებულებებს შეესაბამება. საერთოდ, «უკანასკნელი დღის წმინდანთა ეკლესიაში» განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადრეული სამოციქულო ეკლესიის ტრადიციისადმი ერთგულებას.

მორმონთა ეკლესიის წინამძღოლად გვევლინება წინასწარმეტყველი, რომელსაც ორი დამხმარე ჰყავს. სამივე ერთად კი წარმოადგენენ მორმონთა ეკლესიის უმაღლეს ორგანოს. ეკლესიაში არსებობს «თორმეტ მოციქულთა საბჭო» და «სამოცდაათთა საბჭო».

მორმონები საქართველოში

საქართველოში მცხოვრები პირველი ქართული ოჯახი, რომელიც მორმონთა ეკლესიას შეუერთდა, 1997 წელს მიმოწერას იწყებს სოლტ-ლეიკ სითიში მცხოვრებ

ახლო ნათესავთან. იგი ამ ოჯახს რეგულარულად უგზავნის ლიტერატურას ეკლესიის ცხოვრებისა და მისი დოქტრინის შესახებ.

1999 წლის თებერვალში იუტას შტატიდან ჩამოდის მისიონერი ცოლ-ქმარი, რომლებიც პირველ ეკლესიას აფუძნებენ თბილისში, ეს ეკლესია მაშინ სომხეთში არსებული მისიის ნაწილად ითვლებოდა. მათ მალე სხვა წყვილიც შეუერთდა, რომლებმაც ერთად დაიწყეს ეკლესიის ზრდა-განვითარებაზე ზრუნვა.

დღესდღეობით (2008 წ.), საქართველოს მორმონთა ეკლესიას სხვადასხვა ეროვნების 126 წევრი ჰყავს, რომელთა შორისაც არიან ქართველები, სომხები, რუსები, უკრაინელები, ჩეჩნები, გერმანელები, ნიგერიელები და სხვ.

საქართველოში მორმონთა ეკლესიის წევრები ყოველკვირეულად იკრიბებიან ავლაბარსა და საბურთალოზე არსებულ სამლოცველო სახლებში. ეკლესიაში არსებობს შემდეგი იერარქიული წოდებები: წინასწარმეტყველი, მოციქული, ევანგელისტი, ეპისკოპოსი, ხუცესი, მასწავლებელი და დიაკვანი.

მორმონები თავიანთ ძირითად რელიგიურ შეხვედრებს საკრამენტულ შეხვედრებს (sacrament meeting) უწოდებენ. ეს შეხვედრები ყოველ კვირას ეწყობა და დაახლოებით 70 წუთს გრძელდება. მათზე დასწრება სხვა ქრისტიანული ეკლესიის წევრებსაც შეუძლიათ. ღვთისმსახურება მოიცავს ლოცვებს, ჰიმნების გალობას, ევქარისტიის საიდუმლოსა და ქადაგებას.

სხვა შეხვედრებიც იმართება, ე. წ. საკვირაო სკოლებში, სადაც ყოველი ასაკობრივი ჯგუფისთვის სხვადასხვა წრე ფუნქციონირებს (ისწავლება რელიგიური საგნები, უცხო ენები და სხვ.).

რაც შეეხება ეკლესიის ჰუმანიტარულ აქციებს, ამ სფეროში მორმონთა ეკლესია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან (მაგ., Catholic Relief Services, USAID და სხვ.) ერთად მოქმედებს. პროექტები მოიცავს იმ ექიმთა ტრენინგებს, რომელთაც ბავშვთა დაავადებებთან აქვთ საქმე, ასევე დიაბეტით დაავადებულთა კონსულტაციებს, ბავშვების უზრუნველყოფას ინვალიდთა ეტლებით, სმენადაქვეითებული ბავშვების აუდიომეტრებით უზრუნველყოფას და სხვ.

მორმონთა ეკლესიაში ნათლობის აღსრულებისთვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსანათლი 8 წელზე მეტი ხნისა იყოს — ეს ის ასაკია, როდესაც მას უკვე შეუძლია გააცნობიეროს საკუთარ თავზე აღებული ვალდებულება. ასევე აუცილებელი პირობაა, რომ ნებისმიერი ასაკის ადამიანს, ვინც ნათლობისთვის ემზადება, ჰქონდეს ქრისტეს რწმენა და სინანული საკუთარი ცოდვების გამო.

დავით თინიკაშვილი

იეჰოვას მოწმეები

თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მრავალრიცხოვანი ულტრაპროტესტანტული მიმართულებაა, რომელიც არ იზიარებს ზოგადქრისტიანული მოძღვრების ძირითად პრინციპს — ერთარსება სამების დოგმატს. მისი ქრისტოლოგია ენათესავება IV საუკუნის ალექსანდრიელი მღვდლის, არიოზის (256-336) თეორიას, ესქატოლოგია კი — გნოსტიკოსთა ქილიაზმს (II-IV სს.): ბოლო ჟამს ქრისტეს ათასწლოვანი სამეფოს დაარსების რწმენას.

არსებობს ორი მიმართულება: რუსული და ამერიკული. მსოფლიო მასშტაბით დღეისათვის ამერიკული მიმართულებაა გავრცელებული.

დაარსების თარიღი და ადგილი: XIX საუკუნის შუა წლები; ურალი (რუსეთი) და პენსილვანიის შტატი (აშშ).

დამაარსებლები: რუსეთში — ნ. ს. ილინი, ამერიკაში — ჩარლზ ტეის რასელი და ჯოზეფ ფრანკლინ რუტერფორდი. ამის გამო «იეჰოვას მოწმეებს» ზოგჯერ ილინისტებს, რასელისტებს და რუტერფორდელებსაც უწოდებენ.

ორგანიზაციას ამერიკაში თავიდან «ბიბლიის მკვლევართა საზოგადოება» ეწოდებოდა. მის წევრებს «იეჰოვას მოწმეები» 1931 წლიდან ჰქვიათ.

სამოღვაწეო პრაქტიკისა და ცხოვრების არსებითი ნიშნებია: საჯარო (სახალხო) ქადაგება, დღესასწაულებსა და დაბადების დღეებზე უარის თქმა, სისხლისმღვრელ ომებში მონაწილეობის მიუღებლობა და ზნეობრივი პრინციპების მიმართ ყურადღების მაქსიმალურად გამახვილება.

მსოფლიოში «იეჰოვას მოწმეების» რიცხვი ამჟამად, მათივე ინფორმაციის მიხედვით, შვიდ მილიონს აღწევს. საკრებულოები თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს. საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციებიდან, ბოლო ოცი წლის განმავლობაში, მათ შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა.

სახელწოდება

სახელები «იეჰოვა» და «მოწმეები» (ძვ. ქართ. «მოწამენი») მომდინარეობს ბიბლიიდან. პირველი მათგანი ძველ აღთქმაში გაცხადებული ღმერთის თვითსახელია, მეორე — ზედსართავი, რომელიც ღვთის ერთგული ადამიანების მიმართ იხმარება.

გამოსვლათა წიგნის მე-3 თავში გადმოცემულია გამოცხადება, რომელიც ისრაელიანთა წინამძღოლმა და წინასწარმეტყველმა მოსემ იხილა. მან, როდესაც ცხვარს მწყემსავდა, დაინახა მაყვლის ბუჩქი, რომელსაც ცეცხლი ეკიდა, მაგრამ არ იწვოდა. ამ დროს ღმერთმა მას დაავალა, რომ საღვთო ერი, ისრაელიანები, მონობის ქვეყნიდან გამოეყვანა და საკუთარი სახელიც გამოუცხადა: «მე ვარ, რომელი ვარ...»

საღვთისმეტყველო (უშუალოდ საღვთისმეტყველო) თვალსაზრისით, ეს ბიბლიის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია. აქ ღმერთი წუთისოფელს არა მარტო გამოეცხადა, არამედ თავისი სახელიც გააგებინა. სახელი, და ისიც ღვთის სახელი, არაა უბრალო ნიშანი, ერთი საგნის მეორისაგან მექანიკურად განმასხვავებელი. ღვთის სახელში ღვთის არსებაა არეკლილი. შესიტყვება «მე ვარ, რომელიც ვარ» არის თარგმანი ებრაული შესიტყვებისა: «ეჰიე აშერ ეჰიე». ამ სიტყვების შეკუმშული ფორმაა ტეტრაგრამატონი (ოთხასოედი) «ჲჰვა», რომელიც ასე გამოითქმის: *ჲაჰვე*. თუკი ღრმად დავაკვირდებით სიტყვებს «მე ვარ, რომელი ვარ», მივალთ დასკვნამდე, რომ «იაჰვე» გამოხატავს ცნებებს: *არსებული, მყოფი, ჭეშმარიტი*. ამდენად, «იაჰვე» არის ატრიბუტი, განსაზღვრება და ეპითეტი, რომელიც ღვთის თვისებას და არსებას ყველაზე ზუსტად და ადეკვატურად გადმოსცემს: ღმერთი არის თვითარსებობა, თავისთავადი ნება, აბსოლუტური და უსაზღვრო თავისუფლება, ერთი სიტყვით, — ჭეშმარიტება თავისთავად. ამასთანავე: იაჰვე არა მარტო ღვთის ყველაზე სრულყოფილი და აღმატებული ეპითეტია, არამედ — სუბსტანტივი და საკუთარი სახელი. აი, რა უთხრა უფალმა მოსეს: «ეს არის ჩემი სახელი უკუნითი უკუნისამდე, ეს არის ჩემი სახსენებელი თაობიდან თაობამდე» (გამ. 3:15).

რასელისა და რუტენფორდის მოძღვრების მიმდევრები ღვთის სახელის განსაზღვრას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ და თვლიან, რომ ეს აქტი — სახელდება — არსებითი ეტაპია ღვთის სიტყვის სწორად გაგებისა და აბსოლუტური ჭეშმარიტების შეცნობის გზაზე. ეს სახელია *იაჰვე,* ანუ *იეჰოვა* (*იეღოვა* არასწორი ფორმაა), თუმცა «იაჰვეც» და «იეჰოვაც» პირობითია, რადგან ამ სახელის ფორმა, მისი გახმოვანება გვიანდელია. როგორ წარმოითქმოდა იგი ძველი აღთქმის პერიოდში, გაურკვეველია. ეს სახელი იმთავითვე ტაბუირებულია და მის ნაცვლად ბიბლიის ტექტსში იუდეველები კითხულებენ: «ადონაი» — «უფალი».

ხალხი, რომელიც შემოქმედ ღმერთს იეჰოვად მოიხსენიებს და ამას წესად ამკვიდრებს, საკუთარ თავს მოწამეს ანუ, ახალი ქართულით, მოწმეს უწოდებს. «მოწმე» ამ შემთხვევაში არის წოდება, ხარისხი, რანგი იმ ადამიანებისა, რომლებიც თავიანთ თავს იეჰოვას მორჩილებად და მოწაფეებად მოიაზრებენ. იმისათვის, რომ პიროვნება რჩეულთა შორის აღმოჩნდეს, იგი იაჰვეს (ღვთის) მოწამე უნდა გახდეს. ღმერთი ისრაელს — ახალი აღთქმის ეკლესიის პირველსახეს — წინასწარმეტყველი ესაიას მეშვეობით შთააგონებს: «თქვენა ხართ ჩემი მოწმენი... და ჩემი მორჩილნი, რომელნიც ავირჩიე, რომ გცოდნოდათ და გერწმუნათ ჩემი. მიმხვდარიყავით, რომ მე ვარ ეს... თქვენ ხართ ჩემი მოწმენი და მე ღმერთი ვარ» (ესაია 43:10-12).

ღვთის სახელი და ამ სახელით ღვთის მოხმობის ბიბლიური შეგონება — «იაჰვე» და «მოწმე» — ახალ ეპოქაში ახალი რელიგიური ტალღის ამოქმედების საფუძველი გახდა.

ისტორია

რუსული მიმართულების მოძღვრება და კულტი კაპიტანმა ნ. ს. ილინმა ჩამოაყალიბა თხზულებებში «სიონის ამბავი» და «ქრისტეს შვიდათასწლიანი ბრძოლა ბელიართან», რომელთაგან პირველი 1846 წელს გამოქვეყნდა. მკვლევრები აღნიშნავენ, მას შემდეგ, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იეჰოვას მოწმეთა ამერიკულმა ტალღამ შემოაღწია, ილინელები აღარ ჩანან.

ამერიკული ტალღა პენსილვანიის შტატში აღმოცენდა. იმ დროს იქ «ბიბლიის მკვლევართა საზოგადოება» მოქმედებდა, რომელსაც ჩარლზ ტეის რასელი ხელმძღვანელობდა. მან 1870 წელს ჟურნალი «საგუშაგო კოშკი» დააარსა, რამაც ხსენებული საზოგადოების წევრთა აქტიურობას დიდი სტიმული მისცა. ამის გამო ეს წელი აღნიშნული კონფესიის დაარსების თარიღად მიიჩნევა.

«ბიბლიის მკვლევართა საზოგადოება» 1884 წელს იქნა რეგისტრირებული, ხოლო მის წევრებს 1931 წელს «იეჰოვას მოწმეები» ეწოდათ.

1916 წელს ჩარლზ რასელი გარდაიცვალა და მისი საქმე ჯოზეფ ფრანკლინ რუტერფორდმა განაგრძო. ამის გამო «იეჰოვას მოწმეებს» ზოგჯერ რასელისტებად, ზოგჯერ რუტერფორდელებად მოიხსენიებენ.

«იეჰოვას მოწმეების» მისია XX საუკუნის 30-იან წლებში მსოფლიო მასშტაბით განივრცო. «საგუშაგო კოშკს» მეორე ჟურნალი მოჰყვა — «გამოიღვიძეთ!». დაიწყო მათი სხვადასხვა ენაზე თარგმნა და მრავალრიცხოვანი ტირაჟით გამოცემა. ეგზემპლარები ნაცისტურ და სოციალისტურ ქვეყნებშიც — გერმანიასა და საბჭოთა კავშირშიც — აღწევდა. იქ, სპეცსამსახურთა მხრიდან დევნის, შანტაჟისა და აქტივისტების დაპატიმრების მიუხედავად, იეჰოვას მოწმეთა ფილიალები არსებობდა. იმის დასტურად, რომ იეჰოვას მოწმეთა ჯგუფები XX საუკუნის 20-30-იან წლებში კომუნისტურ რესპუბლიკებშიც მოქმედებდნენ, მკვლევრები ასახელებენ გერმანიის ფილიალის არქივში დაცულ წერილებს, რომლებიც იმ პერიოდში სსრკ-დანაა გაგზავნილი.

«იეჰოვას მოწმეთა» მოძღვრება და პრაქტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მეტ-ნაკლები წარმატებით დედამიწის ყველა რეგიონში ვრცელდებოდა. სსრკ-ში მათ კრებებს 1946 წელს რეგულარულად 8 633 ადამიანი ესწრებოდა, 1956 წელს ეს რიცხვი 17 000-მდე გაიზარდა.

დღეისათვის, 2008 წელს, იეჰოვას მოწმეთა საერთო რიცხვი 7 მილიონს აღწევს. ზოგ სახელმწიფოში ისინი ღიად და ოფიციალურად საქმიანობენ, ზოგან კი — შეზღუდულად, ანდა კონსპირაციულად. მათ სულიერ ცხოვრებასა და მოღვაწეობას კოორდინაციას უწევს ცენტრი, რომელიც ნიუ-იორკის გარეუბანში, ბრუკლინში, მდებარეობს. იქაა უზარმაზარი შენობა, რომელსაც, ასევე, საგუშაგო კოშკს უწოდებენ. იქვეა პრეზიდენტის რეზიდენცია, პრეზიდენტისა, რომელიც ამ მოძღვრების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებისა და ფილიალების (ეკლესიების) მისიონერული პრაქტიკის წახალისებისათვის ზრუნავს. ეს ზრუნვა გამოიხატება როგორც ცოდნის

გაზიარებაში, ისე მატერიალურ დახმარებაში, ხელის შეწყობაში ბიბლიის ტექსტის დაზუსტების, დადგენისა და გამოცემათა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სარწმუნოებრივი შინაარსის სხვა ლიტერატურის მომზადებისა და გავრცელებისათვის, დიდი მასშტაბის კონფერენციებისა და კონგრესების მოწვევისათვის. ხსენებული ჟურნალები დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მასობრივ ჟურნალებს წარმოადგენს. ისინი გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი. მათი საერთო ყოველთვიური ტირაჟი ამჟამად 62 მილიონს აღწევს და 158 ენაზე გამოდის.

მოძღვრება

«იეჰოვას მოწმეები» თავიანთი სარწმუნოების, რელიგიური და ზნეობრივი ცხოვრების ერთადერთ ავტორიტეტად საღვთო წერილს (ბიბლიას) ასახელებენ. ისინი თვლიან, რომ მათი ყველა დებულება, რაც დღემდე შეუმუშავებიათ (ანდა შეიმუშავებენ) უსათუოდ ბიბლიას, და მხოლოდ ბიბლიას, უნდა ემყარებოდეს. ამასთანავე (რაც არსებითია) აღიარებენ, რომ შესაძლებელია, ამ დებულებათა ცალკეული საკითხები დროდადრო, ბიბლიის გულმოდგინე კვლევისა და წინასწარმეტყველებათა აღსრულების კვალდაკვალ, შეიცვალოს, ანდა დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს. ამ შემთხვევაში მათ მხედველობაში მეფე სოლომონის სიბრძნე აქვთ: «მართალთა კვალი განთიადივითაა, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება შუადღემდე» (იგავ. 4:18).

«იეჰოვას მოწმეთა» მოძღვრების სპეციფიკური ნიშანი, რითაც ისინი ქრისტიანთა დანარჩენ ნაწილს (თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას) უპირისპირდებიან, იესო ქრისტეს პიროვნების მათეული დეფინიციაა. მათაც, ისევე როგორც ყველა ქრისტიანს, სწამთ, რომ იესო ღვთის მხოლოდშობილი ძეა, შობილი (დაბადებული) მამისაგან ხილული და არახილული (ე.ი. ანგელოზური) სამყაროს გაჩენამდე. იგი სრულყოფილი და ცოდვისაგან თავისუფალია. მამამ (ღმერთმა, იაჰვემ) შვილი წუთისოფელში კაცთა მოდგმის წუთისოფლისაგან გამოხსნისათვის, გამოსყიდვისათვის მოავლინა. მან პირნათლად მოიხადა ვალი და მისია აღასრულა: ივნო, ძელს ეცვა, მოკვდა და დაიმარხა, ყველას ნაცვლად გაიღო მსხვერპლი და ამ მსხვერპლს გამომსყიდველი ძალა აქვს, იგი მკვდრეთით აღდგა, ამაღლდა და მამის მარჯვნივ დაჯდა. ამდენად, იესო არის მაცხოვარი, რომელმაც კაცი ღმერთს შეარიგა. იგი ქრისტიანთა საკრებულოს (ეკლესიის) თავია და ამ საკრებულოდ «იეჰოვას მოწმეები» თავიანთ თავს მოიაზრებენ.

«იეჰოვას მოწმეებს» სწამთ, რომ არსებობს სულიწმიდა, რომელიც არის ღვთის ყოვლისშემძლე მოქმედი ძალა — ღმერთი სიკეთეს ამ ძალის მეშვეობით იქმს.

ამდენად, «იეჰოვას მოწმეები» აღიარებენ ღვთის ძესაც და მის წმიდა სულსაც, მაგრამ არც ერთს (არც ძეს და არც სულს) ბუნებით, ე.ი. ჭეშმარიტ, ღმერთად არ მიიჩნევენ. უფრო რომ დავაზუსტოთ, — არც ერთსა და არც მეორეს ისინი მამის (ე.ი. ჭეშმაერიტი, ბუნებითი ღმერთის) თანაარსად არ რაცხენ. ამდენად, «იეჰოვას მოწმეები» ზოგადქრისტიანულ დოგმატს ღვთის ერთარსება-სამებობის შესახებ არ ცნობენ. იესო ქრისტეს ისინი ქმნილებად (პირველქმნილებად, მაგრამ მაინც ქმნილებად) რაცხენ. ასევე დარწმუნებული არიან, რომ იგი (იესო) ბოძზე (ძელზე) გააკრეს და არა

ჯვარზე. მაშასადამე, მათთვის ბერძნული სიტყვა «სტავროს» მხოლოდ და მხოლოდ ძელს (ბოძს) ნიშნავს და არავითარ შემთხვევაში ორ ერთმანეთზე გადაჭდობილ ძელს, ანუ ჯვარს.

«იეჰოვას მოწმეები» ამბობენ, რომ ადამიანს არა აქვს უკვდავი სული, სული (ერთეულის მნიშვნელობით) თავად ადამიანია. ამიტომ საყოველთაო აღდგომისა და განკითხვის დროს ღვთის სამეფოში მხოლოდ მართალი ადამიანები შევლენ. ცოდვილთა სულები, მათ სხეულთან ერთად, გაქრება. თუ ასეა, ცხადია, სამოთხე და ჯოჯოხეთი არ არსებობს. სამოთხე იგივე იაჰვეს სამეფოა, რომელიც ქვეყნიერების განკითხვის შემდეგ დამყარდება. იქ კი, როგორც ამას იოანე ღვთისმეტყველი გვაუწყებს (გამოცხ. 14:1-3), 144.000 ადამიანი დამკვიდრდება და უკვდავებას ეზიარება. მათ ეახლებათ უამრავი ქვეშევრდომი, ანუ ისინი, რომლებმაც სრულყოფილად ვერ შეიმეცნეს ჭეშმარიტება (თუმცა კეთილშობილები იყვნენ). ისინიც უკვდავნი იქნებიან, როგორც ამას იგივე ღვთისმეტყველი ამბობს (იოანე 11:26), მაგრამ — ქვეშევრდომნი.

«იაჰოვას მოწმეთა» მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბრძოლას ქრისტესა და ლუციფერს შორის. უკანასკნელი კეთილი ანგელოზი იყო, მაგრამ ამპარტავნების სენი შეეყარა და ზეციურ მამასთან გათანაბრება მოისურვა. მან აცდუნა ადამი და ევა და, რადგან ღვთის უძლურების ილუზია შექმნა, ყოვლისშემოქმედს ომი გამოუცხადა. ეს ომი დღემდე გრძელდება. მან უმძაფრესი სახე მას შემდეგ მიიღო, რაც სატანის ამქვეყნიური სამეფო — საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკი — შეიქმნა. 1918 წელს დედამიწაზე იესო ქრისტე დაბრუნდა და აღნიშნული ომის ახალი ფაზა — არმაგედონი — დაიწყო. მისი მიზანი ყველა სატანისეული სახელმწიფოს დამსხვრევაა, რის შედეგადაც მოისპობიან ურწმუნონი და შეიქმნება ერთიანი, თეოკრატიული, «იეჰოვას მოწამეთა» ღვთაებრივი სახელმწიფო, შეიმუსრება ლუციფერი და მისი არმია. მაგრამ სანამ არმაგედონი დამთავრდება, მანამდე მთელი წუთისოფელი და, შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ცოდვის ტყვედ რჩება.

«იეჰოვას მოწმეები», რადგან თავს ჭეშმარიტ ქრისტიანებად რაცხენ, თვლიან, რომ ისინი, ისე როგორც ქრისტე, სულით და გონებით ამაქვეყნის ნაწილი არ არიან. ესაა მიზეზი, რომ იეჰოველები არც პოლიტიკურ ბრძოლებსა და არც სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებში არ მონაწილეობენ, არ მონაწილეობენ, აგრეთვე, კონფესიათაშორის ურთიერთობებში (ინტერკონფესიურ მოძრაობაში) და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრებიც არ არიან.

პრაქტიკა

«იეჰოვას მოწმეთა» ღვთისმსახურება პროტესტანტული ეკლესიების ღვთისმსახურებისაგან არსებითად არ განსხვავდება. მათ კრებებზე ცენტრალური ადგილი ბიბლიის კითხვა-შტუდირებას, ე.ი. კითხვა-კომენტირებას უჭირავს. დღესასწაულების რიცხვი მცირეა. მათ კალენდარში განსაკუთრებული ყურადღება ქრისტეს ვნებას და დასაფლავებას ეთმობა. ამ დღეს (ვნების პარასკევს) მორწმუნეები ერთმანეთს ხელიდან ხელში გადასცემენ უფუარ პურსა და ღვინიან თასს, როგორც

ქრისტეს სიმბოლურ ხორცსა და სისხლს. სახლი, სადაც ეს და მსგავსი რიტუალები იმართება, «სამეფო დარბაზად» იწოდება.

«იეჰოვას მოწამეთა» სარწმუნოებრივი პრაქტიკის შემადგენელი ნაწილია ინტენსიური მისიოლოგია, ანუ სარწმუნოების მიღმა მყოფ ხალხთან ინდივიდუალური მუშაობა, ოჯახებში მისვლა და რელიგიურ-საგანმანათლებლო საუბრების მშვიდ ვითარებაში წარმართვა. ცნობილია ისიც, რომ იეჰოველები ზნეობრივი კოდექსისა და ოჯახის სიწმინდის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენენ. ცდილობენ იყვნენ კანონმორჩილნი, შრომისმოყვარენი და გადასახადების კეთილსინდისიერად გადამხდელნი, ეწევიან ქველმოქმედებას.

იეჰოვას ქართველი მოწმეები

საქართველოში ამ მიმდინარეობის ისტორია XIX საუკუნის მიწურულიდან იწყება. ამ დროს თბილისში ილინელების რუსულენოვანი თემი მოქმედებდა, რომელმაც არსებობა საბჭოთა ეპოქაშიც განაგრძო, თუმცა კონსპირაციულად.

ამერიკული მიმართულების ქართულენოვანი ქადაგება 1953 წლიდან იწყება. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რეგიონში ქადაგებდნენ: ვალენტინა მიმინოშვილი, რომელსაც «იეჰოვას მოწმეები» ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში გაუცვნია, ძმები გუდაძეები (ციმბირიდან 1962 წელს დაბრუნებულნი), ვლადიმერ გლადიუკი (რომელიც სამუშაოდ რუსეთიდან აფხაზეთში ჩამოვიდა და გალის რაიონში მისიონერულ ქადაგებას შეუდგა) და სხვ.

1970 წელს ენგურჰესზე თორმეტი პროზელიტი (ახლადმოქცეული) მოინათლა, რაც უშიშროების სამსახურს შეუმჩნეველი არ დარჩენია და მქადაგებელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებიც აღიძრა. ამის მიუხედავად, მქადაგებელთა რიცხვი არ შემცირებულა. საქართველოში «იეჰოვას მოწამეთა» პირველი თავყრილობა 1973 წლის 19 აგვისტოს მოეწყო. ამ დღეს სოხუმში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 130 «მოწმე» ჩავიდა — შედგა კონგრესი და 45 კაცი მოინათლა (სხვადასხვა ეროვნებისა). 1976 წლიდან ქართველი იეჰოვას მოწმეების ცენტრად თბილისი ითვლება.

«საქართველოს იეჰოვას მოწმეთა კავშირი» (ეს მათი ოფიციალური სახელწოდებაა) დღეს 17.000-მდე მონათლულ წევრს აერთიანებს. თუკი ამ საზოგადოებაში გაწევრიანებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობასაც მივიღებთ მხედველობაში, ეს ციფრი 33.000-მდე გაიზრდება.

საქართველოში ამჟამად «იეჰოვას მოწმეთა» 150 გაერთიანება და ერთი ცენტრალური ორგანიზაცია არსებობს — «პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კოშკის ბიბლიისა და ტრაქტატების ფილიალი» (რეგისტრირებულია 2003 წლიდან).

იმის მიუხედავად, რომ ამ მიმდინარეობის ისტორია საქართველოში ნახევარ საუკუნეზე ოდნავ მეტს ითვლის, ამ ქვეყნის მოსახლეობას არამართლმადიდებელ აღმსარებლობებს შორის ყველაზე მეტი მის შესახებ მოუსმენია. ამას ორი მიზეზი

განაპირობებს. პირველი «იეჰოვას მოწმეთა» განსაკუთრებული ენთუზიაზმია, რის გამოც ისინი ყოფით ცხოვრებაში სხვებზე მეტად ჩანან. მეორე (და უფრო სერიოზული) მიზეზი მათ მიმართ განხორციელებული რეპრესიებია, რასაც საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

რეპრესიები საქართველოში მცხოვრები «იეჰოვას მოწმეების» (უფრო ამერიკული ფრთის) მიმართ კომუნისტური რეჟიმის დროიდან დაიწყო. გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ათეისტური სახელმწიფო შედარებით უფრო აქტიურ მორწმუნეებს აპატიმრებდა ხოლმე.

დევნის ახალი ფაზა პერესტროიკის წლებს უკავშირდება, მაგრამ მდევნელის როლში უკვე არა სახელმწიფო, არამედ რადიკალური განწყობის მართლმადიდებლური ჯგუფები გამოვიდნენ. 90-იანი წლების მეორე ნახევარში წარმოიშვა ისტერია, რომელმაც «იეჰოვას მოწმეთა» არა ერთი და ორი კრების დარბევა განაპირობა. იქმნებოდა ორგანიზებული სადამსჯელო რაზმები (ყველაზე მეტ სისასტიკეს დეკანოზ ბასილ მკალავიშვილის დაჯგუფება იჩენდა), რომლებიც იმჟამინდელი ხელისუფლების წაქეზებით მოქმედებდნენ. ადგილი ჰქონდა კრებებზე თავდასხმებს, სახლებში შევარდნას, კერძო საკუთრების ხელყოფას, წიგნებისა და სახლების დაწვას, ათობით მოწმის ცემას, ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფას. სასამართლოები, მეტწილად, ტენდენციური, ექსტრემისტების მაამებლური გადაწყვეტილებებით მთავრდებოდა. ადამიანის უფლებათა დამცველების პროტესტს, როგორც წესი, შედეგი არ მოჰქონდა. 2001 წლის 13 თებერვალს «იეჰოვას მიწმეებმა» პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს პეტიციით მიმართეს. პეტიციას 133.000-მა საქართველოს მოქალაქემ მოაწერა ხელი და რელიგიური უმცირესობის დაცვა მოითხოვა. მიმდინარე პროცესებით საერთაშორისო საზოგადოებრიობაც დაინტერესდა, რის გამოც სასამართლომ დეკანოზ ბასილ მკალავიშვილსა და მისი ჯგუფის აქტივისტებს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, მაგრამ მათ სამართალდამცავი ორგანოები ვერ ან არ იჭერდნენ. ისინი პოლიციამ მხოლოდ 2004 წლის მარტში დააკავა.

2007 წლის 3 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოში 1997-2003 წლებში იეჰოვას მოწმეების დევნასთან დაკავშირებით შემდეგი შინაარსის გადაწყვეტილება გამოიტანა: საქართველოს მთავრობა და სამართალდამცავი სტრუქტურები, მაშინ როდესაც მათ ქვეყანაში რელიგიურ ნიადაგზე რბევა-აწიოკება ხდებოდა, დანაშაულებრივ უმოქმედობასა და ტენდენციურობას იჩენდნენ. ამის გამო საქართველო ვალდებულია, დაზარალებულ მხარეს (მის მოქალაქეებს) მორალური და მატერიალური ზარალი (56 ათასი აშშ დოლარი) აუნაზღაუროს.

იეჰოვას ქართველი მოწმეების ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად ბიბლიის თარგმნა შეიძლება ჩაითვალოს. ეს თანამედროვე ქართულ ენაზე საღვთო წერილის სრული ტექსტის მესამე თარგმანია, გამოიცა 2006 წელს სათაურით: «ბიბლია (ახალი ქვეყნიერების თარგმანი)».

ნუგზარ პაპუაშვილი

მუნიზმი

ლიტერატურაში ეს მიმდინარეობა რამდენიმე თვითსახელწოდებითაა ცნობილი: «ერთობის მოძრაობა», «სულიწმინდის ასოციაცია მსოფლიოს ქრისტიანთა ერთიანობისათვის», ანუ, შემოკლებით, «ერთობის ეკლესია», «ქალთა ფედერაცია მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში» და სხვ.

ამ სახელწოდებათა მიღმა მოიაზრება სინკრეტულ-სპირიტუალური მოძრაობა, რომელიც კორეაში ჩაისახა, ამერიკაში ჩამოყალიბდა და მსოფლიოს ყველა კონტინენტზე გავრცელდა. მისი ფუძემდებელია მუნი, რომელსაც მიმდევრები ასე მოიხსენიებენ — ღირსი სან მიუნგ მუნი. მის მიერ შემუშავებულ თეორიასა და პრაქტიკას ზოგადად მუნიზმს, მიმდევრებს კი «მუნიტებს» უწოდებენ.

მუნიზმი, თვითრწმენით, ცხოვრების ყველა უბანსა და დარგს მოიცავს — ინდუსტრიას, რელიგიას, პოლიტიკას, მეცნიერებას, კულტურას. ამიტომ მუნის ეკლესიას ფილიალები ყველა ჩამოთვლილი დარგის წიაღში აქვს. არსებობს, მაგალითად, «განათლების საერთაშორისო ფონდი». მსგავსი ფონდები, იგივე ფილიალები, ანუ სექტორები, 300-ზე მეტია, მაგრამ ისინი ცენტრალური ორგანოს დაქვემდებარებაში იმყოფებიან. თითოეული ფილიალი (ორგანიზაცია) ეკლესიადაა გააზრებული. შესაბამისად, სახელწოდება «ერთობის ეკლესია» მიგვანიშნებს, რომ ეს ფილიალები ერთი ეკლესიის ნაწილებია.

ისტორია

სან მიუნგ მუნი 1920 წელს სამხრეთ კორეაში დაიბადა. მისი მამა პრესვიტერიანელი პასტორი იყო, რომელიც შვილს პასტორად (მღვდლად) ამზადებდა, მაგრამ მან სხვა ყაიდის რელიგიური და სპირიტუალური გატაცებები გამოავლინა. იგი 16 წლის იყო, როდესაც თავის თავში ქარიზმატული ლიდერის ძალა (ქარიზმა) აღმოაჩინა. 25 წლისამ საპროგრამო ტრაქტატი დაწერა და დაიწყო მტკიცება, რომ ის მესიაა, რომ მას იესო ქრისტე, ბუდა და სხვა დიდი წინასწარმეტყველები გამოეცხადნენ და უთხრეს, ჩვენი საქმე ბოლომდე მიიყვანეო. ამის გამო მან ნათლობისეული სახელი სან სენ შეიცვალა და დაირქვა სან მიუნგი, რაც «მანათობელ ურჩხულს» ნიშნავს. 1954 წელს სან მიუნგმა სეულში «ერთობის ეკლესია» დააარსა.

1972 წელს მუნი ამერიკაში გადასახლდა. მან იქ მიმდევართა დიდი კოლექტივი შემოიკრიბა და მნიშვნელოვანი კაპიტალი დააგროვა, თუმცა იგი 1982 წელს ამერიკაში გადასახადთა გადაუხდელობის ბრალდებით დააპატიმრეს და წელიწადნახევრიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ამის მიუხედავად, მუნი თავისი მოძღვრების მსოფლიო მასშტაბით გავრცელებას შეუდგა. 1992 წელს მან თავისი თავი ახალი კაცობრიობის მამად და მესამე ადამად (იესო ქრისტეს შემდეგ) გამოაცხადა, ხოლო თავისი ცოლი — კაცობრიობის დედად და მესამე ევად (მარიამ ღვთისმშობლის შემდეგ). მან ნიუ-იორკის ერთ უბანში მასობრივი ქორწინება მოაწყო და 2075 წყვილი ერთდროულად დააქორწინა. ახალდაქორწინებულები ერთმანეთს პირვე-

ლად შეხვდნენ: «ახალი მესიის», მუნის, კურთხევით ერთნაირ კაბებში გამოწყობილ სარძლოთა არმია საქმროთა არმიას მისთხოვდა.

ღირსი სან მიუნგ მუნი მსოფლიოში მოგზაურობას და ინტენსიურ მოღვაწეობას დღესაც განაგრძობს, თუმცა მას, რამდენიმე ქვეყანაში შესვლის უფლება წართმეული აქვს.

მოძღვრება

სან მუნის რელიგიურ-სპირიტუალური სისტემა ჩამოყალიბებულია შრომებში: «პრინციპთა ახსნა» (სეული, 1957) და «პრინციპთა განმარტება» (სეული, 1966). ორივე ნაშრომი თარგმნილია ინგლისურად და გამოცემულია ერთ წიგნად სათაურით «ღვთაებრივი პრინციპი» (ვაშინგტონი, 1973).

მოძღვრებას, რომელიც მუნმა ჩამოაყალიბა, ახალი გამოცხადების თვითპრეტენზია აქვს და შთაგვაგონებს, რომ ეს ბიბლიისა და სხვა რელიგიათა წმინდა წიგნების კა-რიბჭეთა გასაღებია, ესაა გზა მსოფლიოს «აღორძინებისათვის».

ღმერთი მამაა, ადამიანები კი — მისი შვილები. ღვთის გული მშობლის გამოუთქმელი ტკივილითაა აღვსილი, რადგან შეცდომილი ძენი მას უარყოფენ. მაგრამ ამ დაპირისპირების გამო ისინიც იტანჯებიან. ტანჯვის დასრულება, საყოველთაო შერიგებისა და თანხმობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სამი მთავარი დაბრკოლების გადალახვის გზით. ესენია: ზნეობრივი ეგოცენტრიზმი, ქრისტიანობის კრიზისი და ურთიერთ-გაუცხოება მსოფლიო რელიგიებისა, რომლებსაც უღვთო იდეოლოგიების გავლენა მსჭვალავთ. როდესაც ქრისტე თავის ეკლესიას ქმნიდა, მასში რაღაც ორგანიზაციას კი არ ხედავდა, არამედ — დედამიწაზე ღვთის სასუფევლის დაფუძნებას. ესქატოლოგიური მოლოდინი ფრთას შეისხამს არა მაშინ, როდესაც ღვთის უკანასკნელი და საშინელი სამსჯავრო გაიმართება, არამედ მაშინ, როდესაც წუთისოფელში ბოროტება სრულად შეიმუსრება. ამის გამო ერთობის (ერთიანობის) ეკლესია პირველხარისხოვან როლს ანიჭებს არა რელიგიურ კულტმსახურებას, არა ინდივიდუალურ ზნეობრივ სრულყოფილებას მსოფლიო ბოროტებისაგან განდგომის გზით, არამედ ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურ სოციალურ მოღვაწეობას, რომელიც ხალხთა კონსოლიდაციისაკენაა მიმართული განურჩევლად ცხოვრების წესისა, რასისა თუ აღმსარებლობისა.

მუნი ამბობს, რომ მის მიერ დაფუძნებული მოძრაობის მიზანი არის არა ახალი რელიგიის შექმნა, არამედ, პირველ რიგში, ქრისტიანული კონფესიების, შემდეგ კი ყველა სხვა ხალხის ერთი ღმერთის საფარველის ქვეშ გაერთიანება.

პრაქტიკა

აღნიშნული მიზნის განხორციელებას ემსახურება 200-ზე მეტი საქველმოქმედო, სამშვიდობო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტუროლოგიური პროგრამა, რასაც ერთობის ეკლესია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ახორციელებს.

ამისათვის საერთაშორისო რელიგიური ფორუმები, სამეცნიერო კონფერენციები და კულტურულ-სპორტული ღონისძიებები იმართება. დაფინანსების წყარო არის ის მრავალრიცხოვანი კორპორაციები, რაც ამ ეკლესიის განკარგულებაშია. მას აქვს, აგრეთვე, კომპიუტერული მომსახურებისა და სამედიცინო აღჭურვილობის დიდი ბაზა. ღირსი მუნი დედამიწაზე ღვთის სასუფევლის აშენების საქმეში მრეწველობის განვითარებას ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს და ამბობს: მრეწველობა გადაარჩენს მსოფლიოს!

ერთობის ეკლესიის საღვთისმსახურო პრაქტიკის არსებითი ნიშნებია დაბადებიდან მე-8 დღეს ბავშვების ღვთისადმი მიძღვნა და ჯვრისწერის განსაკუთრებული წესი. ყველაზე მეტად პატივდებული დღესასწაულია ახალი წელი, როგორც ღვთის დღე, ასევე — მშობელთა დღე, შვილების დღე, ყოველი ცოცხალი არსების დღე. საზოგადო ღვთისმსახურება კვირა დღეს იმართება, გალობენ რელიგიურ ჰიმნებს, კითხულობენ ბიბლიასა და ღირსი მუნის წიგნებს, ქადაგებენ.

დღეისათვის ერთობის ეკლესიას 150-ზე მეტ ქვეყანაში მილიონამდე მიმდევარი ჰყავს. ესაა მკაცრად უნიტარული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შედგება რეგიონალური საკრებულოებისაგან და მსოფლიო მისიონერული ცენტრისაგან (მდებარეობს ნიუ-იორკში).

მუნიტები საქართველოში

მუნიტები თბილისში 1999 წელს გამოჩნდნენ. ამის თაობაზე საპატრიარქოს პრესცენტრმა შემდეგი ინფორმაცია გაავრცელა: «კორეელი მისიონერები» თბილისის ქუჩებში არიგებენ ბროშურებს და მსურველებს იწვევენ ლექციებზე. ლექციათა თემებია: «როგორ გადავწყვიტოთ პრობლემები», «სიყვარულის გზა», «ბედნიერი ქორწინების არსი», «წარმატებების მიღწევის პრინციპი» და ა.შ.

აღნიშნული წლიდან თბილისში შემდეგი ორგანიზაციები არსდება: «საერთაშორისო საგანმანათლებლო ფონდი», «ქალები მშვიდობისათვის მსოფლიოში», «ოჯახები მშვიდობისა და ერთიანობისათვის მთელ მსოფლიოში» და სხვ.

2005 წელს თბილისში «მსოფლიოს მშვიდობის ფედერაციის» ფილიალი დაარსდა. პრეზენტაცია, რომელსაც ღირსი მუნი დაესწრო, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში 18 ოქტომბერს შედგა. ერთი წლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მუნი თბილისში ჩამოსვლას და რუსთაველის თეატრში ლექციის წაკითხვას აპირებდა. საპატრიარქომ კვლავ გამოთქვა პროტესტი, რის გამოც ეს აქცია ჩაიშალა, მუნმა კი გეზი თბილისის ნაცვლად, აზერბაიჯანისაკენ აიღო და ანალოგიური ლექცია ბაქოში წაიკითხა.

საქართველოში (თბილისში) მუნიტების მცირერიცხოვანი ჯგუფი მოქმედებს.

ნუგზარ პაპუაშვილი

ი ს ლ ა მ ი

სამიდან ერთ-ერთი აბრაამული, მკაცრად მონოთეისტური მსოფლიო რელიგიაა, რომელიც იუდაიზმისა და ქრისტიანობის შემდეგ წარმოიშვა (VII ს.). გარკვეულწილად, ორივე წინარელიგიის წერილობითსა და ზეპირ ტრადიციებს მოიცავს. ეს ტრადიციები, მუსლიმთა რწმენით, შევსებულია ახალი გამოცხადებით და, შესაბამისად, ახალი საღვთო ლიტერატურით. ესაა, პირველ ყოვლისა, ყურანი, რომელიც, თვითშეფასების თანახმად, მანამდე არსებულ ყველა საღვთო გამოცხადებას ავსებს, აზუსტებს და აგვირგვინებს.

მართალია, ისლამი არაბულ გარემოში, ერთ-ერთი არაბული ტომის წიაღში ჩამოყალიბდა. გამოცხადება მოციქულსაც არაბულ ენაზე ეუწყა და საღვთისმეტყველო და საღვთისმსახურო ლიტერატურაც ამ ენაზე დაიწერა, მაგრამ იგი ასპარეზზე მსოფლიო რელიგიის ნიშნით გამოვიდა და სხვადასხვა რელიგიური და კულტურული ტრადიციების ქვეყნებსა და ხალხებში სწრაფად გავრცელდა.

დღეისათვის ისლამი დედამიწის თითქმის ყველა რეგიონშია წარმოდგენილი. ბევრგან იგი, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, სახელმწიფო ინსტიტუტის რანგშია აყვანილი და პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული გარემოს ხასიათს განსაზღვრავს.

მსოფლიოში მუსლიმთა საერთო რიცხვი ამჟამად მილიარდს აღემატება.

ისტორია

გარემო. ისლამი არაბეთის ნახევარკუნძულზე VII საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა. იმ დროს ეს მხარე, უპირატესად, არაბებით იყო დასახლებული. ისინი პოლითეისტები იყვნენ და სხვადასხვა ღმერთს ეთაყვანებოდნენ.

წარმართობა არაბეთში წარმოდგენილი იყო როგორც ადგილობრივი, ისე ირანიდან და რომის იმპერიიდან შემოტანილი კულტებით. არაბეთში გადასახლებულთა შორის იყვნენ ებრაელებიც და ქრისტიანებიც, — უმეტესად ის ქრისტიანები, რომელთა მრწამსი საეკლესიო კრებებმა ერესად (იხ. ქრისტიანობა) შეაფასა და, რომლებსაც ბიზანტიის იმპერატორები სდევნიდნენ. როგორც მკვლევარები ამბობენ, იქ სარწმუნოებათა და კონფესიათა ქაოსი იყო. მით უმეტეს, რომ ამ ნახევარკუნძულზე არ არსებობდა ცენტრალიზებული სახელმწიფო და თითქმის არ ვრცელდებოდა რომელიმე ქვეყნის რეჟიმი.

არაბთა შორის ყველაზე მეტად ყურეიშელთა (კურაიშის) ტომი დაწინაურდა, რომელთა ღვთაებას ალლაჰი ერქვა. ეს სახელი ეტიმოლოგიურად, სავარაუდოდ, კავშირშია ებრაელთა უზენაესი ღმერთის სახელთან — ელოაჰ. საქმე ისაა, რომ ებრაელი ხალხი და მათი რელიგია არაბებისათვის ძველთაგანვე იყო ცნობილი. გასათვალის-

წინებელია, რომ ორივე სემიტი ხალხია და მათ ენებს საერთო ფუძე აქვთ. არაბთა ტომებმა ებრაელებისაგან ისტორიული კონტაქტების შედეგად შეითვისეს მოსეს რჯულის ზოგიერთი ელემენტი, რაც ყურეიშელების კულტმსახურებაშიც უნდა ასახულიყო, კერძოდ, ღვთაების სახელსა და შინაარსში, — ალლაჰი.

ყურეიშელთა წარმომადგენელი იყო ვაჭარი მუჰამედი (მუჰამმადი), რომელმაც კაცობრიობას ახალი რელიგიური სისტემა შესძინა.

ალლაჰის მოციქული (რასულ ალლაჰ). მუჰამედი (მუჰამმად იბნ აბდ ალლაჰ) 570-632 წლებში ცხოვრობდა. იგი ქალაქ მექაში, ჰაშიმის გვარში, ღარიბი ვაჭრის, აბდალაჰის, ოჯახში დაიბადა. თვე და რიცხვი დაზუსტებული არ არის. მეტი ალბათობით ეს 570 წლის 20 აპრილს მოხდა. მუჰამედის დაბადება იმ დღეს დაემთხვა, როდესაც იემენის ეთიოპიელმა გამგებელმა აბრაჰამმა მექაზე წარუმატებლად ილაშქრა. ამ ლაშქრობაში საბრძოლო სპილოც მონაწილეობდა, რომელმაც დამხვდურებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ იმ წელიწადს «სპილოს წელიწადი» უწოდეს. მუსლიმები ამბობენ, მუჰამედი «სპილოს წელიწადს» იშვა და არაბებს გამარჯვება მისმა დაბადებამ მოუტანაო.

მუჰამედი ადრე დაობლდა. მისი აღზრდა ბიძამ, აბუ ტალიბმა იკისრა. მუჰამედმა ბავშვობა მოჯამაგირეობაში გაატარა. იყო მწყემსი, შემდეგ — ქარავნის გამყოლი (აქლემთა გამრეკავი). არსებობს გადმოცემა: იგი იმდენად კეთილშობილი ბავშვი ყოფილა, რომ მას «ალ-ამანი», ანუ «სანდო» შეარქვეს.

დაახ. 595 წელს მუჰამედმა მდიდარი ქალი ხადიჯა (ჰადიჯა) შეირთო და ვაჭარი გახდა. მათ შვიდი შვილი შეეძინათ, მაგრამ ვაჟები (კასიმი და აბდ ალაჰი) ჩვილობის ასაკში გარდაიცვალნენ და ოჯახს ოთხი ქალიშვილი შერჩა: ზაინაბი, რუქია, უმ ქულსუმი და ფატიმა. ამ ტრაგედიამ მუჰამედში შინაგანი გარდატეხა მოახდინა — მის არსებას ყოფნა-არყოფნის კითხვები დაეუფლა.

მექა და მისი შემოგარენი ერთგვარ რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. წარმართი არაბების გვერდით ებრაელები და ქრისტიანები ცხოვრობდნენ. აქ ყველას თავისი სალოცავი ჰქონდა, მაგრამ ყურადღებას, პირველ ყოვლისა, ტაძარი ქააბა იპყრობდა. ტაძარში ესვენა შავი ქვა. არაბული გადმოცემის მიხედვით, ალლაჰმა სამოთხიდან გამოძევებულ ადამს, წყალობის ნიშნად, ეს ქვა გარდამოუვლინა, რომელიც თავდაპირველად თეთრი იაგუნდი იყო, მოგვიანებით კი ადამიანთა ცოდვების გამო გაშავდა, რათა ვეღარ დაენახათ სამოთხე, მის სიღრმეში რომ ჩანდა. მექელებს მიაჩნდათ, რომ ადამის შვილმა შისმა (სეთმა) მისთვის ტაძარი ქააბა (არაბ. «კუბი») ააგო. წარღვნისას იგი ზეცაში იქნა ატანილი, შემდეგ დაინგრა, მაგრამ «ალაჰის მეგობრებმა» — იბრაჰიმმა (აბრაამმა) და ისმაილმა — განაახლეს და დიდი პილიგრიმობაც დაიწყო.

მუჰამედი ქააბას მომლოცველი იყო. იგი ებრაელთა სინაგოგებში და ქრისტიანთა ეკლესია-მონასტრებშიც დადიოდა. ხშირად უდაბნოშიც, მთებსა და გამოქვაბულებში, ბერმონაზვნების მსგავსად, განმარტოვდებოდა და ლოცვებს აღავლენდა. ყურანის თანახმად, 610 თუ 612 წელს, როდესაც მუჰამედი ორმოცი წლის იყო, მას ანგელოზი გამოეცხადა და ალლაჰის სიტყვა აუწყა. ყურანის 53-ე სურაში, რომლის სახელია

«ვარსკვლავი», აღნიშნულია: მან (მუჰამედმა) იხილა ქმნილება, რომელიც მის პირდაპირ, ცის კიდეზე დადგა. შემდეგ მოუახლოვდა და დაეშვა. როდესაც უფრო ახლოს მოვიდა, ორი მშვილდის მანძილზე, «ზეშთააგონა თავის მონას, რაც ზეშთააგონა». მუსლიმური ტრადიციით, ეს «ქმნილება» მთავარანგელოზი ჯიბრაილია (გაბრიელი). ჯიბრაილს ხელში გრაგნილი ეჭირა და ტექსტს კითხულობდა, მუჰამადი კი იმეორებდა და იმახსოვრებდა. პირველ გამოცხადებას მეორე მოჰყვა და ა.შ. თითოეული სიტყვა, ე.ი. გამოცხადება, მთავრდებოდა მოწოდებით: «მოჰყევ!» ანუ: სხვასაც უამბე, რაც მოისმინე! მუჰამადი მოხმობას დაჰყვა და ამიერიდან იგი წინასწარმეტყველი (ნაბი) და ერთი ღმერთის — ალლაჰის — მოციქული (რასულ) გახდა.

მუჰამედის გამოცხადებისეული მოძღვრება თავდაპირველად მისმა ახლობლებმა, მეგობრებმა და ნათესავებმა ირწმუნეს, პირველ ყოვლისა, ხადიჯამ და ბიძაშვილმა ვარაკა იბნ ნავ ალიმ, რომელიც, იბნ ისჰაკ ალ-მუტალიბის (VIII ს.) ცნობით, ქრისტეს რჯულს იცნობდა ან სულაც ქრისტიანი იყო. სწორედ მან დაარწმუნა მუჰამადი, რომ მას ის შეემთხვა, რაც მოსემ სინას მთაზე იხილა და განიცადა.

მალე ხადიჯა გარდაიცვალა და მუჰამედმა ორი ცოლი შეირთო. მათგან უმცროსი ერთ-ერთი პირველი თანამორწმუნის, აბუ ბაქრის ქალიშვილი იყო. ოჯახურ გარემოს მუჰამედის მისიისათვის ხელი არ შეუშლია. მან ალლაჰის ნების შესრულება გადაწყვიტა. გავიდა ხალხში და ალლაჰის სიტყვა — ყურანი — გამოაცხადა. მისი პირველი ერთგული მიმდევრები, ოჯახის წევრების შემდეგ, იყვნენ ბიძაშვილი: ალი აბი ტალიბი, მდიდარი მექელი ვაჭარი აბუ ბაქრი, აბდ არ-რაჰმან ავთი, ჯაფარი და სხვ. პირველად მათ ეწოდათ მუსლიმები, რადგან «ალაჰს მიცეს თავი». ასე შეიქმნა მუსლიმთა პირველი თემი.

მუჰამედის ქადაგება იყო მარტივი. ის მექელებს ასაკის, სქესის, სოციალური ფენისა და ეთნიკური წარმომავლობის განუსხვავებლად მოუწოდებდა, რათა მრავალღმერთიანობის რწმენაზე უარი ეთქვათ და თაყვანი ეცათ ერთი და ერთადერთი ღმერთისათვის, რომელმაც სამყარო და ადამიანი შექმნა.

მუსლიმთა ჯგუფმა, როდესაც მისი წევრების რიცხვმა სამ ათეულს გადააჭარბა, საზოგადო ლოცვა ასაფის ბორცვზე, ახალგაზრდა მუსლიმის არკამ არკამის სახლში, მოაწყო, რამაც საყოველთაო რეზონანსი გამოიწვია. ეს, ფაქტობრივად, ახალი რელიგიური თემის პირველი საჯარო მსახურება იყო. მმართველმა ელიტამ და საზოგადოების ზედაფენამ საშიშროება იგრძნო და მექაში მუსლიმთა დევნა დაიწყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მუჰამედის მოკვლაც განიზრახეს და ამიტომ 622 წლის 24 სექტემბერს მან მექა დატოვა და ქალაქ იასრიბში გადასახლდა. ამ ემიგრაციას, არაბულად — ჰიჯრას, მუსლიმთა, ანუ ალაჰის მორჩილთა პირველი დიდი თემის, უმას, (იხ. ქვემ.) ჩამოყალიბება მოჰყვა — აიგო მეჩეთი და ღვთისმსახურების ახალი წესი დაფუძნდა. ამის გამო ჰიჯრას მუსლიმები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ წელთაღრიცხვას იქიდან, ახ. წ. 622 წლის 24 სექტემბრიდან, იწყებენ.

ახალ რჯულზე თითქმის მთელი ქალაქი მოექცა, რის გამოც მას, იასრიბს, მედინა (მადინა) ანუ «წინასწარმეტყველის ქალაქი» ეწოდა. მედინას თემი შედგებოდა მუჰაჯირებისაგან, ანუ ჰიჯრის დროს მუჰამადთან ერთად გადასახლებულთაგან და ანსარებისაგან ანუ იასრიბ-მედინას მკვიდრი მოსახლეობისაგან, რომლებიც მუჰაჯი-

რებს ნებაყოფლობით დაეხმარნენ და მოციქულის ქადაგება ირწმუნეს (*ალ-ანსარ* — «დამხმარე»). მუსლიმებს არა სისხლით ნათესაობა, არა პოლიტიკური მოქალაქეობა და სოციალური წარმომავლობა, არამედ სარწმუნოება აერთიანებდა. მუჰამედი იუდაიზმსაც და ქრისტიანობასაც გაემიჯნა და ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ მან ახალ რელიგიას დაუდო სათავე.

630 წელს, ჰიჯრიდან 8 წლის შემდეგ, მუჰაჯირები (ლტოლვილები) მუჰამადის წინამძღოლობით მექაში დაბრუნდნენ, ბრძოლით აიღეს ქალაქი და ზარ-ზეიმით შევიდნენ. ასე შეიქმნა ისლამური სახელმწიფო, რომლის რელიგიური და საერო მმართველისა და მთავარსარდლის მისია ისლამის ფუძემდებელმა მუჰამედმა იკისრა.

მუჰამედს ისლამის გავრცელების ფართომასშტაბიანი გეგმა ჰქონდა და დიდი სამხედრო ექსპედიციისათვის ემზადებოდა, მაგრამ 632 წლის 8 ივნისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ალლაჰის წმინდა შუამავალი მექაში გარდაიცვალა. იქ იგი მომლოცველად შევიდა, რის გამოც ამ გზას «გამოსამშვიდობებელი პილიგრიმობა» უწოდეს.

არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად მუჰამედი იერუსალიმსაც ეწვია და წმინდა ადგილები მოილოცა. ამიტომ მექა, მედინა და იერუსალიმი მუსლიმთა წმინდა ქალაქებია.

ისლამური სახელმწიფო. მუჰამადის საქმე მისმა ხალიფებმა (ხალიფა არაბულად მოადგილეს ნიშნავს) გააგრძელეს. ესენია: აბუ ბაქრი, ომარი, ოსმანი და ალი. სუნიტები (იხ. ქვემ.) მათ «მართლმორწმუნე ხალიფებად» მოიხსენიებენ. შიიტების (იხ. ქვემ.) რწმენით, მართლმორწმუნე მათ შორის მხოლოდ ალია, დანარჩენი სამი კი — უზურპატორია. დასახელებული ხალიფები თავიანთ თავს ალლაჰის მოციქულის მოადგილეებად მიიჩნევდნენ, მაგრამ შემდგომდროინდელი დინასტიის ხალიფები, მაგ., ომაიანები და აბასიანები, უკვე ალლაჰის მოადგილეებად იწოდებიან.

ხალიფებმა მუჰამედის ოცნებას — არაბი ტომების ისლამის დროშის ქვეშ გაერთიანებას — ხორცი შეასხეს. მეტიც, მათ არაბეთის საზღვრები გააფართოვეს და VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე სახალიფო ანუ ხალიფატი შექმნეს — უზარმაზარი იმპერია პირინეიდან ინდოეთამდე. ეს იყო თეოკრატიული სახელმწიფო, რომელშიც საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთსა და იმავე უწყებას წარმოადგნდა. სახალიფოს პროვინციებში ხალიფების ფუნქციას ამირები (მმართველები) ან იმამები (წინამძღვრები, ხელმძღვანელები) ასრულებდნენ. სახელმწიფო კანცელარიებში ლათინური, ბერძნული, სირიული, სპარსული და სხვა ადგილობრივი ენები არაბულმა შეცვალა, თუმცა ნაციონალური სალიტერატურო ენების იგნორირება არ მომხდარა და თითქმის ყველა გამუსლიმებულმა ერმა საკუთარი წერილობითი ტრადიცია შეინარჩუნა. ამასთანავე, დაიწყო კულტურათა დიალოგისა და ურთიერთგამდიდრების პროცესი, რამაც დადებითად იმოქმედა როგორც საკუთრივ არაბულ კულტურაზე, ისე არაბეთის პოლიტიკურ-რელიგიურ სივრცეში მოქცეული ხალხების კულტურებზეც.

X-XI საუკუნეებში არაბთა იმპერია დაიშალა, მაგრამ ისლამური მსოფ-ლმხედველობა საფუძვლად სხვა იმპერიებსაც დაედო — მონღოლების, თურქების (ოსმალების) და ირანელების იმპერიებს, თუმცა ისინი უფრო სამოქალაქო სახელმწიფოები იყვნენ, ვიდრე თეოკრატიული. ამის გამო XX საუკუნის II ნახევარში, როდესაც აზიისა და აფრიკის ისლამური ქვეყნები ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიური ბატონობისა-გან გათავისუფლდნენ, რეისლამიზაციის პროგრამა შემუშავდა, შეიქმნა კონცეფ-ციები: «ისლამური სახელმწიფო», «ისლამური ეკონომიკა», «ისლამური სოციალიზ-მი», «ისლამური რევოლუცია» და ა.შ., რომელთა მიზანია ისლამური ტრადიციის, იმ პოლიტიკური სისტემისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების აღდგენა, მუს-ლიმთა პირველ სახელმწიფოს რომ ახასიათებდა. ასეთი კონცეფციების საფუძველზე 1978-1989 წლებში ირანში, აიათოლა ხომეინის (1902-1989) სულიერი წინამძღვრობით, რევოლუცია მოხდა და «ისლამური რესპუბლიკა» შეიქმნა. ამ და ზოგი სხვა ისლა-მური სახელმწიფოს კანონმდებლობა შარიათის პრინციპებს ექვემდებარება.

დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში, ისლამი მილიარდზე მეტ მიმდევარს ითვლის. არაბეთი და მისი მიმდებარე ქვეყნები (ეგვიპტე, სირია, ერაყი, ირანი, თურქეთი და სხვ.) ოფიციალურად თუ არაოფიციალურად კვლავაც ისლამური სახელმწიფოები არიან. არაბები მუსლიმთა საერთო რაოდენობის 20%-ს შეადგენენ. აზიის ბევრ ქვე-ყანაში მუსლიმები უმრავლესობაში არიან (ინდონეზიაში, ინდოეთში, პაკისტანში, ბანგლადეშში და სხვ.), ასევე — აფრიკასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის აღმოსავ-ლეთ ნაწილში. დღითიდღე მატულობს ისლამის მიმდევართა რაოდენობა ევროპასა და ამერიკაში. არაბული ენა, რომელზედაც მუჰამედს ყურანი ეუწყა, ისლამის წმინდა ენად რჩება და მუსლიმები ლოცვებს ამ ენაზე წარმოთქვამენ, თუმცა ნაციონალური ენების საზოგადოებრივ-კულტურულ მნიშვნელობას არავინ უარყოფს.

მიმართულებები. მოციქულის გარდაცვალებიდან ოცდახუთი წლის შემდეგ მუსლიმთა საკრებულოს ერთიანობა დაირღვა. დაისვა კითხვა, თუ ვის უნდა რგებო-და მოციქულის მემკვიდრის, ე.ი. ხალიფის, პატივი. მორწმუნეთა უმრავლესობა პიროვნულ ღირსებას ანიჭებდა უპირატესობას, ნაწილი კი — შთამომავლობას, გენეტიკურ მემკვიდრეობას. გაიმარჯვა პირველმა პარტიამ და მოციქულის მოსაყდრედ ჯერ აბუ ბაქრი გამოცხადდა, შემდეგ ომარი და შემდეგ — ოსმანი. როდესაც მეოთხე ხალიფის არჩევის დრო დადგა, ის პარტია გააქტიურდა, რომელიც მემკვიდრეობითობის პრინციპს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ პარტიამ მა-შინ წარმატება მოიპოვა. რადგან მუჰამადს ვაჟი არ დარჩა, ხალიფად მისი ბიძაშვილი და სიძე, ქალიშვილ ფატიმას ქმარი, ალი იბნ აბი ტალიბი გამოაცხადეს. დაიწყო სისხლისმღვრელი ომი, რომელმაც ალი შეიწირა: 661 წლის 21 იანვარს ერთ-ერთმა თანამებრძოლმა ქუფის საკრებულო მეჩეთში იგი სასიკვდილოდ განგმირა. ალი მოწამედ გამოაცხადეს და იქვე დაკრძალეს. ეს საფლავი (ქ. ნაჯიფი) დღემდე ალის სულიერ მემკვიდრეთა (შიიტთა) სათაყვანებელი ადგილია.

აღნიშნული (661) წლიდან მუსლიმთა სამყარო ორ ბანაკად გაიყო: სუნიტებად და შიიტებად. ორივე არაბული სიტყვაა: «სუნა» წმ. გადმოცემას (ტრადიციას) ნიშნავს, «შია» — პარტიას, ამხანაგობას (მხარდამჭერთა კრებულს), უფრო ზუსტად — მეგო-ბართა პარტიას. პირველნი თავიდანვე უმრავლესობას წარმოადგენდნენ, მეორენი დღესაც უმცირესობაში არიან.

შიიტები კანონიერ ხალიფად მხოლოდ მუჰამედის ასულის, ფატიმას, და მისი მეუღლის, ალის შთამომავლებს მიიჩნევენ. ისინი დღესაც აღიარებენ ალისა და მისი შთამომავალი 12 იმამის (ალიდების) კანონიერ ხელისუფლებას და უკანონოდ აცხადებენ არაბეთის პირველ ხალიფებს — აბუ ბაქრს, ომარს, ოსმანსა და სხვათ. ამ უკანასკნელთა გვერდით მუჰამედის საყვარელი ცოლი აიშა იდგა. ალის მიმდევრებმა (შიიტებმა) არ ირწმუნეს «სუნას» ის ვერსია, რომელიც პირველი სამი ხალიფის მომხრეებმა ჩამოაყალიბეს და სახელმძღვანელოდ გამოაცხადეს. შიიტებმა შეიმუშავეს «ბიდა» (სიახლე), რომელსაც ისინი «მართებულ სუნად» მიიჩნევენ. ანტაგონიზმმა შიიტებსა და სუნიტებს შორის მწვავე ხასიათი მიიღო, რაც არაერთხელ გადაზრდილა რელიგიურ ომებში.

1996 წლის მონაცემებით, სუნიტები მსოფლიო მუსლიმური მოსახლეობის 83%-ს შეადგენენ, შიიტები — 16%-ს. შიიტები უმრავლესობაში სამ ქვეყანაში არიან — ირანში, აზერბაიჯანსა და ერაყში. მძლავრი შიიტური თემებია ლიბანში, ინდოეთში, პაკისტანში, ავღანეთში, იემენსა და თურქეთში, აგრეთვე — დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში. ამ კონფესიის მიმართ საერთაშორისო ინტერესი განსაკუთრებით ირანის 1978-1979 წლების ისლამური რევოლუციის შემდეგ გაიზარდა.

ისლამში სხვა მიმდინარეობები და რელიგიურ-ფილოსოფიური თეორიებიცაა ცნობილი. მათგან ქვემოთ მიმოვიხილავთ ზოგიერთს, რომლებმაც რელიგიისა და კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს.

1. ხარიჯიტები (არაბ. «გამოსულები», «ამბოხებულები»), ანუ ისინი, ვინც ალის გადაუდგნენ. ისლამის ისტორიაში ყველაზე ძველი რელიგიურ-პოლიტიკური პარტიის მიმდევრები არიან. ამ პარტიამ (12 ათასმა მეომარმა) 657 წ. პროტესტი გამოუცხადა ალის, რადგან მან სირიის გამგებლის, მუავიას, წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაზე გადასვლა ვერ გაბედა და სამედიატორო სასამართლოს დათანხმდა. ისინი, სარდლის უმოქმედობით შეურაცხყოფილნი, შეიკრიბნენ სოფელ ჰარურასთან (აქედან მოდის მათი თავდაპირველი სახელწოდება «ჰარურიტები»), გაწყვიტეს კავშირი ალისთან, მოკლეს იგი და ისლამში ახალი მიმართულება შექმნეს.

ხარიჯიტებმა თეოკრატიული სახელმწიფოს პრინციპები დაამუშავეს. ისინი აღიარებდნენ რელიგიური თემისა და სახელმწიფოს მეთაურის არჩევითობის პრინციპს და, ამასთანავე, კანდიდატის წარმომავლობას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ (იმამად მონის არჩევაც შეიძლებოდა). პრეტენდენტობის აუცილებელ პირობას ყურანისა და სუნას მითითებათა შესრულება, ადამიანებისადმი სამართლიანი დამოკიდებულება და ტირანიის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლის უნარი წარმოადგენდა. ისინი ისლამის სიწმინდის დამცველებად გამოდიოდნენ და რელიგიურ მოვალეობათა მკაცრად დაცვას მოითხოვდნენ. ამიტომ მათ ხშირად «ისლამის პურიტანებსაც» უწოდებენ. ხარიჯიტები რჯულგანდგომილთა მიმართ ყოვლად უშეღავათონი იყვნენ და ასეთი ადამიანების სიკვდილით დასჯა მათ რელიგიური მოვალეობის დონეზე აჰყავდათ.

ხარიჯიტთა მოძრაობა ადრევე დანაწევრდა. შეიქმნა სამი მიმართულება: აზრაკიტები (ამირა ალ-აზრაკის მიმდევრები), იბადიტები (აბდალაჰ ბ. იბადის მიმდევრები) და სუფრიტები (სუფრის ძის, ზიად ბ. ასფარის, მიმდევრები). მათ შორის ხშირად დიდი

უთანხმოება იყო, რამაც ეს მოძრაობა დაასუსტა და წარმოშობიდან ორი-სამი საუკუნის შემდეგ იგი ისტორიის ასპარეზიდან გაქრა.

2. სუფიზმი. ასკეტურ-მისტიკური მიმდინარეობა, ღვთის შემეცნების სისტემა და მეთოდია ისლამში. სიტყვა არაბულია და ეტიმოლოგიურად «მატყლს» უკავშირდება. სუფიზმის სინონიმებია «თასავაფი» («მატყლის ტანისამოსში გამოწყობა») და «ტარიკა» («გზა»). სუფიზმს საფუძვლად უდევს ისლამის ერთ-ერთი მთავარი ეთიკური ცნება ზუჰდი, რაც «თავშეკავებას», «სურვილთა დათმობას», «ასკეტიზმს» ნიშნავს. ვინც ზუჰდის გზით დადის ანუ ზნეობრივი და სულიერი სრულყოფილებისათვის იღწვის, ზაჰიდად (ასკეტად) მოიხსენიება. ასკეტებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა ალა-ჰის ხშირ მოხსენიებას (ზიქრ) და პიროვნულ კათარზისს მიანიჭეს.

სუფიზმის უდიდესი წარმომადგენელი და თეორეტიკოსია ალ-ღაზალი (1058-1111). მან არაბულ ენაზე შექმნა ტრაქტატები, რომლებშიც წარმოდგენილია სულიერი სრულყოფის სისტემა. მიიჩნევა, რომ სუფიზმი არის ისლამის ეზოთერული (დაფარული, შინაგანი) მხარე. მისი არსებითი ნიშანია პიროვნებაში აბსოლუტის აღმოჩენა და ინდივიდის უზენაესთან ერთყოფა. მასწავლებლებს ჰქვიათ შეიხები, მწირ-მოძღვრებს კი — დერვიშები, მოწაფეებს — მიურიდები. პიროვნება სრულყოფის გზაზე სამ ძირითად ეტაპს გადის: 1. ტარიკათი, ანუ «გზა» ნიშნავს მოწაფის მართებულ გზაზე დადგომას, წესების დაცვას, რიტუალების შესრულებას, მედიტაციებისა და მისტიკური სავარჯიშოების ჩატარებას მუსიკისა და საცეკვაო მოძრაობის თანხლებით, 2. ჰაყიყათი, ანუ ჭეშმარიტებისათვის თვალის გასწორება. ამ დროს მურიდს სულიერი მზერა ეხსნება და ცნობიერება უფაქიზდება, 3. ფანა, ანუ დანთქმა. ეს განმღრთობაა, რასაც ცოტანი აღწევენ. ამ დროს პიროვნება ქრება და იგი მთლიანად უზენაესს ერწყმის.

სუფიზმი თითქმის ყველა მუსლიმურ ქვეყანაში გავრცელდა. მან განსაკუთრებული გავლენა იქონია კულტურაზე, კერძოდ, კლასიკურ სპარსულ და თურქულ პოეზიაზე, რომლის სახელოვანი წარმომადგენლები არიან: ჯალალ ედ-დინ რუმი, ომარ ხაიამი, ჰაფეზი, ნიზამი განჯელი, აბდულ-რაჰმან ჯამი და სხ.

3. ვაჰაბიზმი — შედარებით ახალი მიმართულება, რომელიც ტრადიციულ ისლამს (სუნიტებსა და შიიტებს) უპირისპირდება. იგი XVIII საუკუნის შუა წლებში საუდის არაბეთში აღმოცენდა. მისი დამაარსებელია მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბი (აქედან — ამ მიმართულების სახელწოდება — ვაჰაბიზმი). ვაჰაბი თავის მოძღვრებასა და რე-ლიგიურ პრაქტიკას «სუფთა ისლამს» უწოდებდა და რწმენის ერთადერთ წყაროდ ყურანს მიიჩნევდა. მან გაილაშქრა ტრადიციული ისლამის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აზრით, ისეთ ელემენტებს შეიცავს, რაც ყურანში მოცემული არ არის. ასეთია, კერძოდ, წმინდანებისა და წმინდა ადგილების თაყვანისცემა. ვაჰაბმა მსოფლიოს ისლამიზაციის იდეა წამოაყენა, რაც მისმა მიმდევრებმა აიტაცეს და მეზობელ ქვეყნებშიც დანერგეს.

ვაჰაბიტთა ცნობიერებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ჯიჰადს (იხ. ქვ.). ვაჰაბისტები ქმნიან თანამოაზრეთა თემებს — ჯამაათებს, რომლებსაც ცხოვრების მკაცრი რეგლამენტი აქვთ. ჯამაათი უპირისპირდება იმ ისლამურ საზოგადოებას, რომელიც საერო კულტურაზე, ზოგად განათლებაზე, ხელოვნებაზე, სპორტზე უარს არ ამბობს.

ჯამაათის წევრებს რჯულისადმი ტოტალური მორჩილება და საბრძოლო მზადყოფნა ევალებათ. ვაჰაბიზმი საუდის არაბეთის ოფიციალური რელიგიაა.

მოძღვრება

საღვთო წიგნები (ქითაბი). ისლამი საღვთო მოძღვრებისა და საღვთო მსახურების ერთობლიობაა, რომელსაც მყარი წერილობითი ტრადიცია აქვს. ისლამური მოძღვრებისა და ღვთისმსახურების პირველწყაროა ყურანი. მუსლიმთა რწმენით, ესაა «ღვთაებრივი ზეშთაგონებების» კრებული. სახელწოდება, ტრადიციული განმარტებით, «ხმამაღლა წართქმით კითხვას», «დეკლამაციას» ნიშნავს. ახალი (მეცნიერული) თვალსაზრისით, სიტყვა მომდინარეობს სირიული ზმნისაგან «ყარა'ა», რაც «კითხვასთან», «დარიგებასთან» არის დაკავშირებული.

მუსლიმთა რწმენით, ყურანი ზეცაში დაწერილი წიგნია, რომელიც ალლაჰმა თავის მოციქულს მექასა და მედინაში გამოუცხადა. მოციქულმა ზეპირად დაისწავლა ტექსტი და თანამოძმეებსაც უამბო, რომლებსაც ასევე უნდა დაემახსოვრებინათ იგი. იყვნენ ისეთებიც, ვინც მთელი ყურანი ზეპირად იცოდა (ჰაფიზები). წმინდა წიგნის პირველი ჩანაწერები, მუსლიმთა გადმოცემით, ინდისხურმის ფოთლებზე, ტყავის ნაჭრებზე, აქლემების ბეჭებზე, თიხისა და სპილენის ფირფიტებზე გაკეთდა. ამ წიგნის საბოლოო რედაქცია ხალიფა ოსმანმა ჩამოაყალიბა (644-656). ერთერთი გადმოცემით მან ხელით შვიდი ეგზემპლარი გადაწერა.

მუსლიმთა რწმენით, ყურანი ალლაჰის წმინდა უწყებაა და მასში არც ანგელოზებისა და არც მუჰამედის სიტყვები არ არის გადმოცემული. აქედან გამომდინარეობს რწმენა იმისა, რომ ყურანის ტექსტი, ანუ «დედა წიგნისა» ზეცაშია (ყურანი 43:3). ნაწყვეტები ამ წიგნიდან მუჰამადამდე სხვა წინასწარმეტყველებსაც გამოეცხადა, მაგრამ გამოცხადების სისავსე მხოლოდ მუჰამადს მიემადლა.

ყურანი 114 სურის (რიგის, თავის) და 6226 აიასაგან (აიათისაგან, მუხლისაგან) შედგება. ტექსტი მუჰამადის მდივანმა ზაიდ საბითმა სიდიდის მიხედვით დაალაგა. ჯერ მოცემულია გრძელი, შემდეგ კი მოკლე სურები. გამონაკლისებია: პირველი სურა (ფათიჰა), რომელიც, ფაქტობრივად, ლოცვაა, და 113-ე და 114-ე სურები, რომლებშიც არის შელოცვა, მკითხველებსა და მსმენელებს ეშმაკისაგან (არაბულად — შაიტანისაგან), მისი მორჩილი ბოროტი სულებისაგან და ადამიანთა ხრიკებისაგან რომ იცავს.

ყურანი დაწერილია გარითმული პროზით (საჯ). მისი სურები ორ კატეგორიად იყოფა იმის მიხედვით, თუ სად მოხდა ესა თუ ის გამოცხადება — მექაში თუ მედინაში. მექურია 90 სურა, მედინური — 24.

ისლამოლოგიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ტექსტის ისტორიის საკითხებსაც. როდესაც ოსმანმა ყურანის საბოლოო რედაქცია ჩამოაყალიბა, სხვა რედაქციის შემცველი ნუსხები განადგურდა. კანონიკური (ოსმანისეული) რედაქციის ძველ ნუსხებზე გვხვდება მუქი ფერის ლაქები, რაც, მუსლიმთა რწმენით, ოსმანის სისხ--

ლია, რომელიც მან დაღვარა, როდესაც იგი ყურანის კითხვის დროს მოკლეს. ასეთია, მაგალითად, ყურანის სამარყანდული ნუსხა, რომელიც დღეს ტაშკენტში ინახება.

ყურანის გვერდით დგას, მაგრამ მას ვერ უთანაბრდება, სუნა. ეს სიტყვა (არაბ. «ას-სუნნა») თავდაპირველი აზრით «გზას», «მიმართულებას» ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით — ადათს, ჩვეულებას, გადმოცემას. ისლამოლოგიაში სუნას მიზანია ყურანის ამა თუ იმ ადგილის დაზუსტება და განმარტება. თავიდან იგი ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, მაგრამ IX საუკუნეში მას წიგნის სახე მისცეს. სუნას საფუძველია ჰასიდები, ანუ გადმოცემები, ისტორიული მოთხრობები მუჰამედსა და მუსლიმთა პირველ საკრებულოებზე, ომებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე. სუნა ასევე მუჰამედის ოჯახის წევრებისა და თანამოღვაწეების ახსნა-განმარტებებსა და მემუარებსაც მოიცავს.

საღვთო მოძღვრება. «ისლამი» არაბული სიტყვაა და ნიშნავს «ერთი და საყოველთაო ღმერთის მორჩილებას» («ალ-ისლამ» — «ალაჰისადმი თავის მიცემა», «მორჩილება»). ყურანში აღნიშნულია: «ჭეშმარიტი რელიგია ალაჰის წინაშე ისლამია» (3:17). სიტყვა «ისლამი», თავისი მნიშვნელობით, ახლოს დგას სიტყვებთან «იმან» (რწმენა) და «დინ» (რელიგია). ამიტომ ყურანში სიტყვები «იმანი» და «ისლამი» ხშირად ერთმანეთის ნაცვლად იხმარება და განუყოფელი ნაწილები არიან ცნებისა რელიგია — «დინ».

ისლამური ღვთისმეტყველების თანახმად, რელიგიას სამი ძირითადი ელემენტი განსაზღვრავს: 1. ალლაჰის, მისი წერილისა და მოციქულების ჭეშმარიტებათა სიტყვიერი აღიარება, 2. შინაგანი რწმენა, ანუ ალლაჰის ჭეშმარიტებათა გულით (არა მხოლოდ გონებით) გაცნობიერება (გულწრფელობა) და 3. კეთილი საქმეები, ანუ რელიგიური ვალდებულებებისა და ისლამის მითითებების შესრულება.

ისლამური ღვთისმეტყველება დაფუძნებულია ექვს ძირითად თეზისზე (დოგმატზე):

1. ***ერთი ღმერთის რწმენა.*** ისლამი მკაცრად და თანმიმდევრულად მონოთეისტური და თეოცენტრული რელიგიაა. იგი ქადაგებს ერთ ღმერთს, როგორც ყოვლისშემოქმედს, ყოვლისმპყრობელსა და ყოვლადმოწყალეს. მისი სახელია ალლაჰ (არაბ. ალლაჰ, ალ-ილლაჰ — «ღვთაება»). ისლამი კატეგორიულად უარყოფს ტრიადას — ერთარსება სამების დოგმატს. მუჰამადის თქმით, ქრისტიანები სამ ღმერთს ეთაყვანებიან: ალლაჰს, ისას და მარიამს, რაც მისთვის ყოვლად მიუღებელია, რადგან ასეთი ღვთისმეტყველება წარმართობის ელემენტებს შეიცავს.

ალლაჰი აბსოლუტია; არსებობს თავის თავში, თავისთავად და სამყაროზე; არ შობს და არ შობილა; არ ჰყავს შვილები, ამხანაგები და მოზიარეები. ის განსაზღვრავს ადამიანთა ბედს და ადამიანები მას უნდა ემორჩილებოდნენ. იმის მიუხედავად, რომ ალლაჰი არის უსხეულო სული, ყურანში გვხვდება ფრაზები, რომლებიც მკითხველებს მის შესახებ ანთროპომორფულ წარმოდგენებს უქმნიან: ის ლაპარაკობს, ზის ტახტზე და ა.შ., რაც მეტაფორებია. რწმენა და მოძღვრება ალლაჰის ერთობისა და ერთადერთობის შესახებ (ალ-თავჰიდ) იმდენად მძლავრია, რომ ალლაჰის რომელიმე ქმნილებასთან მიმსგავსება ან შედარება უდიდეს და უპატიებელ ცოდვად ითვლება — შირქად, იგივე მრავალღმერთიანობად, «ვინმეს ალლაჰის თანამონაწილედ მიჩნევად».

ალლაჰის ერთადერთობის რწმენა, რომლის საფუძველზე მუსლიმთა მთელი ცხოვრება უნდა მოეწყოს, ასახულია ღვთის სადიდებელ «ბასმალასა» და რწმენის სიმბოლო «შაჰადში» (ორივე იხ. ქვ.). ისინი (ყურანისეული ექსცერპტების გარდა) პირველად დადასტურებულია ბაჰიბ ბ. მასლამის «დაცვის სიგელში», რომელიც შედგენილია VII საუკუნის 40-50-იან წლებში და წარმოადგენს სახელმწიფო ხელშეკრულებას არაბეთსა და საქართველოს შორის (იხ. ქვ.: ისლამი საქართველოში).

2. ***ანგელოზების რწმენა.*** მუსლიმთა აზრით, არსებობენ უამრავი უსხეულო და გონიერი ქმნილებანი — ანგელოზები (არაბ. მალაიქა; მხ. რ. მალაქ), რომლებსაც ალლაჰსა და ადამიანს შორის შუალედური ადგილი უჭირავთ. ისინი უსქესონი არიან (ჰარუთისა და მარუთის გარდა); ცხოვრობენ ზეცაში, დგანან ალაჰის ტახტის გარშემო და ხოტბას ასხამენ მას, იცავენ ადამიანებსა და წინასწარმეტყველებს ალლაჰის სიტყვას გადასცემენ, თვალყურს ადევნებენ ადამიანებს და აღნუსხავენ ყველაფერს, რასაც ისინი ჩადიან.

ყურანი ანგელოზთა რამდენიმე კატეგორიას ასახელებს. უმაღლესი რანგისანი ის ანგელოზები არიან, რომლებიც ალლაჰის ტახტთან დგანან — ჯაბრაილი, მიქაილი, ისრაფილი და იზრაილი. ჯაბრაილი (ჯაბრილ, ჯიბრაილ, იგივე გაბრიელი), ყურანის მიხედვით, მუჰამედის მფარველია, გამოგზავნილი ალლაჰისაგან ყურანის ზეშთაგონებისათვის. მიქაილი (მიქალი, იგივე მიქაელი, მიხაილი) ემსახურებოდა ალლაჰს, როდესაც მიწისაგან ადამიანს ქმნიდა და იცავდა მუჰამედს ურწმუნო ხალხისაგან. ისრაფილი (სხვაგვარად სარაფილ) კითხულობს რჯულის ფიცარზე ნაწერ გადაწყვეტილებებს ადამიანთა და სამყაროს ბედის შესახებ, აქვს საყვირი, რომელსაც ჩაბერავს იერუსალიმის წმინდა კლდეზე მაშინ, როდესაც საყოველთაო აღდგომისა და განკითხვის დღე მოახლოვდება. იზრაილი არის სიკვდილის ანგელოზი, რომელმაც დედამიწაზე მოიპოვა თიხა, რისგანაც ღმერთმა ადამი შექმნა.

ალლაჰმა ანგელოზები ცეცხლისაგან შექმნა: თავდპირველად ისინი, შემდეგ — ადამი. მან უბრძანა ანგელოზებს: «თაყვანი ეცით ადამს!» უფლის ნებას მხოლოდ იბლისი არ დაემორჩილა. მიზეზად ის დაასახელა, რომ ადამი მიწისგანაა შექმნილი, თვითონ კი ცეცხლისაგან (ყურანი 7:10-12). ამის გამო ის ზეციდან იქნა გამოძევებული და გახდა ეშმაკი, სატანა. სახელი «იბლისი» ბერძნული სიტყვისაგან მომდინარეობს — «დიაბოლოს». იბლისი მორწმუნეთა ჭეშმარიტი გზიდან გადაცდენას ცდილობს და წუთისოფელში ღვარძლს თესს. მან მრავალი ბოროტი სული (დემონი) შვა — შაიტნები და ჯინები, რომელთა გარდაუვალი ხვედრი ჯოჯოხეთია. განკითხვის დღეს, იბლისისა და მისი ჯინების გარდა, სატანჯველი კიდევ ორ ანგელოზს ელოდება — ჰარუთს და მარუთს, რომლებმაც ამქვეყნიურ სიამოვნებაზე უარი ვერ თქვეს.

3. ***საღვთო წერილის რწმენა.*** საღთვო წერილი (ყურანის გარდა) გულისხმობს წიგნებს, რომლებიც იუდეველებსა და ქრისტიანებს გამოცხადების გზით ებოძათ. ასეთად ყურანში სამი წიგნია დასახელებული: თავრათი (თორა, მოსეს ხუთწიგნეული), ზებური (ფსალმუნნი დავითისი) და ინჯილი (სახარება). ამის გამო იუდეველებსა და ქრისტიანებს, ყურანის მიხედვით, დანარჩენ ხალხთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავთ. ისინი არ არიან უბირები, ურჯულოები და ურწმუნოები, არამედ — წერილის, წიგნის ხალხი. მართალია, ეს წიგნები, მუსლიმ ღვთისმეტყველთა აზრით,

სრულყოფილ ცოდნას არ შეიცავს, რადგან არც შესაბამისი (ე.ი. ყურანამდელი) გამოცხადებანი იყო სრულყოფილი და არც ჩაწერა მომხდარა სრულყოფილად, მაგრამ მათ სტრიქონებში უხვადაა სიბრძნე და ჭეშმარიტი მეცნიერება. გამოცხადებათა გვირგვინი არის ყურანი როგორც მარადიული, ალლაჰისაგან განუყრელი ფენომენი, ალლაჰის მარადიული ნებასურვილი, რომელსაც მთავარანგელოზი ჯაბრაილი მუჰამადს უკითხავდა და აწერინებდა. ხილული ყურანის დედანი ზეცაშია. იგი შეუქმნელი და მარადიულია.

4. ***წინასწარმეტყველთა რწმენა (რასულ და ნაბ).*** ყურანი და სუნა მუსლიმს ალლაჰის ყველა მოციქულისა (რასულ) და წინასწარმეტყველის (ნაბი) აღიარებას მოუწოდებს.

წინასწარმეტყველთა რიცხვი, ჰადისების მიხედვით, 124 000-ს უდრის, მაგრამ ყურანში დასახელებულია მხოლოდ 28. მათგან განსაკუთრებით საპატიოა ცხრა — «დიდნი და მყარნი», შეუპოვარნი. ესენია: ნუხი (ნოე), რომელსაც ალ-ლაჰისაგან მომავალი წარღვნის ამბავი ეუწყა და რომელმაც კიდობანი ააგი (ამ კიდობნით, სხვათა შორის, ეშმაკი იბლისიც გადარჩა, რადგან ის ვირში შევიდა და იქ ამ გზით აღმოჩნდა); იბრაჰიმი (აბრაამი) — არაბებისა და ებრაელების მამათმთავარი, რომელსაც ალლაჰისაგან წერილის გრაგნილი ებოძა და რომელმაც შვილთან, ისმაილთან, ერთად მიწიერი ქააბა ააგო; მუსა (მოსე), რომელსაც თავრათი (თაირი, თორა) ებოძა; დაუდი (დავუდი, დავითი), რომელმაც ალლაჰისაგან ზებური (ფსალმუნნი) მიიღო და რომელმაც გოლიათი (ჯალუთი) დაამარცხა; იაკუბი (იაკობი); იუსუფი (იოსები); აიუბი (იობი); მარიამის ძე ისა (იესო) — მერვე წინასწარმეტყველი, რომელსაც ალლაჰმა ინჯილი (სახარება) გარდამოუვლინა, რის გამოც იგი ცნობილია როგორც, «რუჰ ალაჰ» (ალლაჰის სული). წინასწარმეტყველთა რიგს აგვირგვინებს უკანასკნელი წინასწარმეტყველი და «წინასწარმეტყველთა ბეჭედი» მუჰამედი, რომელსაც ალლაჰმა ყურანი უკარნახა. წინასწარმეტყველთა შორის (ნაბი) იხსენიებიან, აგრეთვე, ალ-ისქანდარ (ალექსანდრე მაკედონელი), ჯირჯისი (წმ. გიორგი) და სხვა ქრისტიანი წმინდანები.

ყურანში აღნიშნულია, რომ თავრათი და ინჯილი «უწიგნური (წერა-კითხვის არ მცოდნე) წინასწარმეტყველის» მოვლინებას წინასწარმეტყველებს. სწორედ მას დააკისრებს ალლაჰი მართალი ადამიანების მხრებიდან «ტვირთებისა და ხუნდების ჩამოხსნას» (7:156). მუსლიმი თეოლოგები ამბობენ, რომ აქ ლაპარაკია აჰმადის («ყველაზე დიდებულის»), ე.ი. მუჰამედის შესახებ, რომელმაც წერა-კითხვა მართლაც არ იცოდა. რაც შეეხება ინჯილს, მათი თქმით, ამ შემთხვევაში იესო ქრისტეს შემდეგი სიტყვები იგულისხმება: «თუ არ წავედი, ნუგეშინისმცემელი ვერ მოვა თქვენთან. თუ წავალ, მე მოგივლენთ» (იოანე 16:7). ეს წინასწარმეტყველი, მუსლიმთა კომენტარით, მუჰამედია.

ყურანისა და ძველი ისლამური ტრადიციის თანახმად, ისა არ მომკვდარა, ის ალლაჰმა აიყვანა თავისთან და კვლავ მოვა საყოველთაო განკითხვის დღეს. მუჰამედის საფლავის პირდაპირ არის ცარიელი ადგილი, გამზადებული ისასათვის, რომელსაც იქ მეორედ მოსვლის შემდეგ დაკრძალავენ. მოციქულმა ისამ (თურქ. ისა ფეიღანბარმა) მოციქულ მუჰამედის საქმე უნდა გააგრძელოს და სრულყოს, ქვეყნიერებას აღსასრულის მოახლოება უნდა აუწყოს, დაჯალი (მაცდური სული, ცრუ მესია, ანტიქრისტე) უნდა გაანადგუროს და სამართლიანობა აღადგინოს. პი-

როვნება, რომელსაც ეს მისია აკისრია, არის მაჰდი. მაჰდი არაბულად «ალლაჰის გზის გაყოლას» ნიშნავს. ჭეშმარიტი მაჰდი არის ის, ვინც მუჰამედის საქმეს გააგრძელებს და სრულყოფს. იგი მესიაა, რომელიც ქვეყანას ისტორიაში კი არა, ისტორიის დასასრულს ან დასრულების შემდეგ მოევლინება.

დაისმის კითხვა: მაჰდი დამოუკიდებელი, თავისთავადი პიროვნებაა, თუ მეორედ მოსული ისა? თავდაპირველად მაჰდი იესო ქრისტესთან იყო გაიგივებული. მისგან გამიჯნვა მუსლიმთა შემდგომდროინდელ რელიგიურ წარმოდგენებში მოხდა. სუნიტური ტრადიციის თანახმად, ეს არაა დოგმატური შინაარსის კითხვა და, მაშასადამე, ღია საკითხია. შიიტები კი მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და თვლიან, რომ მაჰდი «ფარული იმამია». მისი ეპოქა 878 წელს დაიწყო და შესაძლებელია ნებისმიერ დღეს დასრულდეს მისი (იმამი-მაჰდის) დაბრუნებით. იგი განაგრძობს მოციქულის საქმეს, აღადგენს ხალიფა ალის საგვარეულოს შელახულ უფლებებს, ისლამის პირვანდელ სახეს, ანუ თეოკრატიას, აღავსებს სამყაროს სიმართლითა და სამართლიანობით, მოსპობს ტირანებსა და ტირანიას. მაჰდის დაბრუნების მოლოდინი განსაკუთრებით გამძაფრდა XVI-XIII საუკუნეების ირანში, როდესაც შიიზმი ამ ქვეყნის ოფიციალური რელიგია გახდა. ისლამის ისტორიაში ცნობილია რამდენიმე პოლიტიკური მოღვაწე, რომლებსაც თავი მაჰდად გამოუცხადებიათ.

5. ***საყოველთაო აღდგომისა და უკანასკნელი სამსჯავროს რწმენა — მაადი.*** ესაა მოძღვრება, რომელიც გულისხმობს მომავალი სამყაროსეული კატასტროფის, საყოველთაო აღდგომის, განკითხვის დღის, ჯოჯოხეთისა და სამოთხის რწმენას. სიტყვა მაადი («ალ-მაად») არაბულია და ღმერთთან დაბრუნებას ნიშნავს, რაც სამყაროს აღსასრულის ჟამს მოხდება. მაშინ აღდგებიან მკვდრები (ალ-კიიამა) და ალლაჰის სამსჯავროს წინაშე წარდგებიან — მართალნი სამოთხეს დაიმკვიდრებენ (ალ-ჯანნა), ცოდვილნი — ჯოჯოხეთს (ჯაჰანნამ).

6. ***ბედისწერის რწმენა — კადარი.*** «კადარ»-ი (ბედისწერა) შინაარსით ახლოს დგას ასევე არაბულ სიტყვასთან «ყისმათ», რომელიც ნიშნავს ბედს, იღბალს. პირველი წინასწარგანსაზღვრულობას გულისხმობს, მეორე — შემთხვევითობასა და საქმეში გამართლებას. ისლამური ღვთისმეტყველების თანახმად, ყველაფერი, რაც მომხდარა, ხდება ან მოხდება, ალლაჰის ნებაზეა დამოკიდებული. ყურანში ნათქვამია: «არაფერი დაგვემართება იმის გარდა, რაც დაგვიწერა ალლაჰმა» (9:51); «არც ერთი სული ისე არ მოკვდება, თუ არ იქნება ალლაჰის ნება, ჟამი წინასწარ განსაზღრული და დაწერილი» (ყურანი 9:51). მართალია, ადამიანებს თავ-თავიანთი ზრახვები და საქციელი ღმერთმა წინასწარ განუსაზღვრა, მაგრამ ცუდ საქციელსა და დანაშაულზე პასუხისმგებლობაც დააკისრა. ბუნებრივად დაისმის კითხვა: რატომ ან როგორ უნდა აგოს პასუხი ადამიანმა მასზე, რაც მის არსებაში მისი ნების გარეშეა განსაზღვრული? ესაა ანტინომია, — წინააღმდეგობა ბედისწერასა და ნების თავისუფლებას შორის, რაც მუსლიმურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: იყვნენ ჯიბრიტები, რომლებიც უარყოფდნენ ნების თავისუფლებას და ცნობდნენ აბსოლუტურ ბედისწერას და იყვნენ კადარიტები, რომლებიც აღიარებდნენ ადამიანის თავისუფალ ნებას და არჩევანის უნარს კეთილსა და ბოროტს შორის.

ღვთისმოსაობა და პრაქტიკა

«ხუთი ბურჯი» (რუქნ) და ჯიჰადი. მუსლიმთა რწმენისმიერ ცხოვრებას, ანუ ისლამურ სათნოებას «ხუთი ბურჯი» განსაზღვრავს. ესაა მუსლიმთა ხუთი მცნება, ხუთი ძირითადი მოვალეობა (რუქნ):

1. ***ერთადერთ ღმერთად ალაჰის აღიარება — შაჰადა*** («მოწმობა»). ესაა რიტუალური და ყველაზე ტევადი ფორმულა, რომელიც ისლამის ორ მთავარ თეზისს გამოხატავს (იხ. ქვემ.).

2. ***ყოველდღიური ხუთგზისი ლოცვა — სალათი*** (არაბ. ალ-სალათ, სპარს. ნამაზი). ყოველ ასეთ (წესისმიერ) ლოცვას წინ უძღვის განბანვა (ვუდუ). ლოცვა შესაფერის პირობებში სრულდება — ნოხზე დადგომით და დაჩოქებით, პირით მექისაკენ (კიბლა). ლოცვის ყოველდღიური ციკლი ასეთია: ფაჯრი — სრულდება განთიადზე, ზუჰრი — შუადღისას, ასრი — მზის ჩასვლამდე, მაღრიბ — მზის ჩასვლის ჩემდეგ და, მეხუთე, იშა — ღამით, ძილის წინ.

3. ***მოწყალება — ზაქათი*** (სიტყვასიტყვით: განწმენდა, გასუფთავება). ყურანის თანახმად (2:211, 216-219 და სხვ.), მორწმუნე ვალდებულია, მოწყალება გაიღოს და გაჭირვებულებს დაეხმაროს. მუსლიმთა თვალსაზრისით, ყველა ამქვეყნიური სიკეთე (ფული, ქონება, დიდკაცობა) უწმინდურია. მათი მოპოვება და გამოყენება ნებადართულია მხოლოდ განწმენდისა და ღმერთისათვის ნაწილობრივი დაბრუნების პირობით. ვინც უპოვარს ხელს უმართავს, ის საკუთარ სულს ასუფთავებს. ზაქათის სინონიმია სადაკა.

4. ***სავალდებულო მარხვა — საუმი.*** ესაა მუსლიმთა კალენდრის (იხ. ქვემ.) მეცხრე თვე. გადმოცემის თანახმად, ალაჰმა სწორედ ამ თვეში შთააგონა მუჰამადს წინასწარმეტყველისა და მოციქულის მისია და ყურანის პირველი გამოცხადებაც მიმადლა. მარხვა მორწმუნე მუსლიმს სულისა და გონების მობილიზაციას ავალდებულებს. მან დღის საათებში ყოველგვარი ფიზიკური სიამოვნებისაგან თავი უნდა შეიკავოს — ჭამისაგან, სმისაგან და ინტიმური ცხოვრებისაგან. ამ აკრძალვებისაგან იგი თავისუფლდება მზის ჩასვლის შემდეგ. თუმცა მორწმუნეს ღამის საათებშიც მხოლოდ სიკეთის ქმნა მართებს. მარხვა 30 დღეს გრძელდება და სამდღიანი ზეიმით მთავრდება (იხ. ქვემ.).

5. ***მომლოცველობა — ჰაჯი.*** ზოგადი აზრით, ჰაჯი ნიშნავს პილიგრიმობას (წმ. ადგილების მოლოცვას), მაგრამ ამ სიტყვას (ალ-ჰაჯჯ) კონკრეტული შინაარსი აქვს და მექაში პილიგრიმობას გულისხმობს. ყურანის თანახმად, მექაში მოგზაურობა და ქააბას მონახულება სავალდებულოა ყველა მუსლიმისათვის, ვისაც ეს ძალუძს (3:90-91 და სხვ.). ეს აქტი მორწმუნემ ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა განახორციელოს. ვინც ამას ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებს, შეუძლია, წარმომადგენელი გააგზავნოს. ჰაჯისაგან მხოლოდ ფსიქიკური პრობლემების მქონე, უპოვარი და მონა თავისუფლდებიან. ჰაჯი მთვარის კალენდრის უკანასკნელ თვეში სრულდება. მორწმუნეს პილიგრიმობის უფლება ყოველთვის აქვს, მაგრამ ალ-ჰაჯჯი მხოლოდ წელიწადის აღნიშნულ მონაკვეთში უნდა შესრულდეს.

ამ დროს მუსლიმები მუჰამადის «გამოსათხოვარ ჰაჯის (პილიგრიმობას)» (იხ. ზემ.) იხსენებენ. მორწმუნეები, როდესაც არაბეთის წმინდა მიწას (მექას) მიუახლოვდებიან, იჰრამით (თეთრი უნაკერო სამოსლით) იმოსებიან და განწმენდის წესებსაც ასრულებენ — შემოუვლიან ქააბას და შავ ქვას ეამბორებიან. ჰაჯის დამთავრების დღეს ქააბას ტაძარში სრულდება ქადაგება და საღამოს, ან მეორე დილით, პილიგრიმები მექას ტოვებენ.

არსებობს მცირე პილიგრიმობა (უმრა), რომელიც წლის ნებისმიერ დროს შეიძლება შესრულდეს. მისი რიტუალი შედარებით მოკლე და მარტივია.

ჯიჰადი. მას ისლამის მეესვსე ბურჯად და მუსლიმთა მეექვსე მოვალეობადაც მიიჩნევენ. სიტყვა არაბულია და «გულმოდგინებას», «მონდომებას», რწმენაში სიმტკიცეს ნიშნავს. ჯიჰადის იდეა და იდეოლოგია ემყარება რწმენას ისლამის უნივერსალურობის შესახებ, რაც მორწმუნეებს სარწმუნოებრივ შეუპოვრობას ჰკარნახობს.

VIII საუკუნეში, როდესაც ისლამური დოგმატიკა ჩამოყალიბდა და ყურანის კომენტარებიც დაიწერა, ჯიჰადის შინაარსი დაზუსტდა. იგი ნიშნავს სარწმუნოებისათვის ბრძოლაში თავგამოდებას, რაც შეიარაღებულ დაპირისპირებას არ გულისხმობს, თუმცა არც გამორიცხავს, როდესაც ამის გარდაუვალი აუცილებლობაა. ყურადღება ძირითადად გამახვილებულია პიროვნების საკუთარ თავთან ბრძოლაზე თვითაღზრდისა და თვითგაუმჯობესებისათვის, სულიერი და ზნეობრივი სრულყოფისათვის, ასევე — ქვეყანაში სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღებისათვის. თუკი სარწმუნოებას საფრთხე დაემუქრება, მაშინ შესაძლებელია გამოცხადდეს ღაზავათი («თავდასხმა»), ანუ ომი სარწმუნოებისათვის სარწმუნოების მტრებთან. ოღონდ ესაა ჯიჰადის უკიდურესი გზა და მისი გამოცხადება მხოლოდ უმაღლეს სულიერ ავტორიტეტს შეუძლია, თუკი დაასაბუთებს, რომ სხვა გზა აღარ დარჩა (ღაზავათის მაგალითია კავკასიელ მთიელთა ომი რუსეთის წინააღმდეგ). ასეთ ომში დაღუპული მუსლიმი ხდება შაჰიდი (მოწამე), რომელიც უცილობლად ცხონდება და მისი სულისთვის საგანგებო ლოცვების თქმა და რიტუალების შესრულება საჭირო აღარ არის.

განასხვავებენ ჯიჰადის რამდენიმე სახეს: «გულის ჯიჰადი» — ბრძოლა ისლამის პირველი მტრის, საკუთარი ნაკლოვანების, აღმოფხვრისათვის, «ენის ჯიჰადი» — ისლამის ფასეულობათა გაბედულად აღიარება და დაცვა, უსამართლობის მხილება, «ხელის ჯიჰადი» — დისციპლინარული ზომების მიღება კანონისა და ზნეობრივი ნორმების დამრღვევთა მიმართ, «კალმის ჯიჰადი» — ისლამის დაცვა წერილობით, «მახვილის ჯიჰადი» — შეიარაღებული ბრძოლა ისლამის დასაცავად.

ხიტანი. მუსლიმია ის, ვინც ალლაჰს მიუძღვნა თავი, ისლამის ხუთი ბურჯი გულწრფელად აღიარა და შარიათის (იხ. ქვემ.) ძირითადი პრინციპების დაცვის აღთქმა დადო.

უმაში გაერთიანების, ანუ მუსლიმად გახდომის სიმბოლო და გარეგანი ნიშანია წინადაცვეთა — ხიტანი. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად მუჰამედი წინა-

დაცვეთილი დაიბადა. ამიტომ ყველა მუსლიმი მის დამსგავსებას ცდილობს. წინადაცვეთის პროცედურა, ჩვეულებრივ, ნებისმიერი დალაქის მიერ 6-13 წლის ყმაწვილებს უტარდაებათ. შუასაუკუნეებში უფლისწულების და ტახტის მემკვიდრეების წინადაცვეთა დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა. ასეთივე რეზონანსი ჰქონდა ამა თუ იმ ქვეყნის მეთაურის (მეფისა თუ მთავრის) ისლამზე მოქცევას. მაგალითად, როდესაც სამცხის ათაბაგი მანუჩარი გამუსლიმდა (1519), მისი «წინადაცვეთა და ბეგლარბეგად დანიშვნა დიდი ზეიმითა და სიხარულით აღნიშნეს». მუსლიმ კანონმდებლებს შორის არ არის ერთსულოვნება, აუცილებელია თუ არა ისლამზე მოქცეულ მოზარდთა წინადაცვეთა. ამ მხრივ, სუნიტი მუსლიმები უფრო პრინციპულები არიან. ზოგიერთ ქვეყანაში (ეგვიპტე) ეს პროცედურა ქალებსაც უტარდებათ (ხაფდ).

შარიათი და ფიკჰი. შარიათი არაბული სიტყვაა და ნიშნავს: «პირდაპირი, სწორი გზა». ესაა მუსლიმთა რჯულის კანონი, რომელიც, ძირითადად, ყურანს, სუნას (ჰადისებს) და რელიგიური ავტორიტეტების წერილობით მემკვიდრეობას ეფუძნება. მასში მოცემულია მორწმუნეთა ცხოვრების ნორმები და იურიდიული კოდექსი. შარიათის პრინციპებსა და დებულებებს აყალიბებს ფიკჰი («ცოდნა», «გაგება»), ანუ მეცნიერება სამართლის შესახებ და მუსლიმური სამართალი. მის თანამშრომლებსა და წარმომადგენლებს ფაკიჰი ეწოდებათ. ფაკიჰის პრეროგატივაა გაარკვიოს, რა არის ღვთისთვის მოსაწონი და რა არა.

შარიათი არეგულირებს ადამიანის ურთიერთობას ალლაჰთან, მორწმუნის პირადი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა მხარეს, მოიცავს ღვთის-- თვის მოსაწონი და ღვთისთვის არმოსაწონი ქცევების კომპლექსს, რჯულისმიერი ცხოვრების ნორმებსა და წესებს სასჯელს ამ ნორმების დარღვევისათვის (თაზირი). გადაწყვეტილება ამა თუ იმ საღვთისმეტყველო-სამართლებრივ საკითხზე, რომელსაც ფაკიჰი გამოიტანს და რომლის შესრულება სავალდებულოა, ცნობილია სახელწოდებით «ფათვა». შიიტებს შორის არსებობს ტრადიცია, რომლის თანახმად ფათვა ერთობ აღმატებული ავტორიტეტის მქონე სასულიერო პირმა დამოუკიდებლადაც შეიძლება გამოიტანოს. ასეთ პიროვნებას აიათოლა («ალლაჰის ნიშანი, სასწაული») ეწოდება.

ფაკიჰს ხშირად მუფთისაც უწოდებენ. პირველი უფრო მეტად კანონმდებელს ნიშნავს, მეორე კი — პრაქტიკოს მოსამართლეს. პირველად მუფთები ხალიფა ომარ II-მ (717-720) დანიშნა. ეს სახელი ყველა მოსლიმური ქვეყნის მოსამართლეზე გავრცელდა, მაგრამ თურქულ-სპარსულ გარემოში მის პარალელურად დამკვიდრდა ფორმა ყადი (თურქ. — ყაზი, სპარს. — კადი). შარიათი რელიგიურ, სამოქალაქო და სისხლის სამართალს აერთიანებს. ამიტომ ძველად (და დღესაც, სადაც შარიათს სახელმწიფო სტატუსი აქვს, მაგ. ირანი) მუსლიმ მოსამართლეებს ნოტარიუსის ფუნქციაც ჰქონდათ.

ჰალალი და ჰარამი. მუსლიმთა რელიგიური და ზნეობრივი ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავს ორი საპირისპირო კატეგორიის ცოდნა და მათი გათვალისწინება. ესენია ჰალალი და ჰარამი. პირველი («ჰალალ» — «თავისუფალი») ნიშნავს იმას, რაც ნებადართულია, ანუ აკრძალული არ არის, მეორე («ჰარამ» — «აკრძალული») — იმას, რაც რჯულისაგან (ალლაჰისაგან) ნებადართული არ არის და, მაშასადამე,

აკრძალულია. მაგრამ იმას, თუ რა დოზით და რა სიმკაცრითაა აკრძალული და რა სასჯელი ელოდება ამა თუ იმ ჰარამის ჩამდენს, აზუსტებს და აკანონებს ფიკჰი.

მაგალითად: გარკვეულია, რომ მუსლიმ მამაკაცს შეუძლია ერთდროულად იყოლიოს ოთხი ცოლი, თუკი ამის ეკონომიური საფუძველი აქვს (ზავაჯი, პოლიგამია). დასაშვებია მუსლიმი მამაკაცის ქორწინება ქრისტიან ან იუდეველ ქალთან, მაგრამ მუსლიმი ქალი მხოლოდ ერთმორწმუნე მამაკაცს შეიძლება მითხოვდეს. დაუშვებელია უახლოეს ნათესავებს შორის ქორწინება. დღისით გარდაცვლილი იკრძალება იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე, ნაშუადღევს გარდაცვლილი — მეორე დღეს. სიკვდილის წინ მუსლიმი შაჰადას წარმოთქვამს, თუკი ეს შეუძლებელია, სხვამ უნდა ჩასჩურჩულოს. გარდაცვლილს სახით მექასკენ მიატრიალებენ, განბანენ და თეთრ ან მწვანე სუდარაში გაახვევენ, კითხულობენ ლოცვებსა და ასრულებენ რიტუალს (ჯაზანა). დაუშვებელია ლოცვა თვითმკვლელისა და ურწმუნოს სახელზე. მიცვალებულის მოხსენიება ხდება მე-3, მე-7 და მე-40 დღეს. აკრძალულია ღვინისა და სხვა მათრობელი სასმელების სმა, ღორის ხორცის ჭამა, აზარტული თამაშობები და ბევრი სხვა.

კერძო და საზოგადო ღვთისმსახურება. ისლამური ღვთისმსახურების ენად არაბული დამკვიდრდა. ღვთისმსახურება და ღვთისმოსაობა კონცენტრირებულია რწმენის ფორმულაში შაჰადა, ანუ მოწმობა. იგი ასე ჟღერს: «ლა ილა-ჰა ილლა ლლაჰუ ვა მუჰამადუნ რასულულლაჰ» («არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა და მისი შუამავალი მუჰამედია»). ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი ლოცვა, რადგან მასში ისლამის ორი მთავარი თეზისია გაცხადებული: 1) ერთი ღმერთის აღიარება და 2) მის მოციქულად მუჰამედის გამოცხადება.

ღვთის ყველაზე მოკლე და ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაზე გავრცელებული სადიდებელია ბასმალა, რომელიც ასე ჟღერს: ბი-სმი-ლლაჰი-რაჰმანი-რ-რაჰიმი («სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა»). სხვაგვარად მას თასმია ეწოდება. ამ ფორმულით იწყება ყურანის ყველა სურა, გარდა მე-9-ისა. ბასმალას წარმოთქვამენ ყველა საქმის დაწყების წინ, მით უფრო ლოცვისა და ქადაგებისას. იგი წარმოადგენს დეკორატიულ მოტივსაც და ხშირად გამოიყენება ხელნაწერებსა და არქიტექტურულ ორნამენტებში.

ღვთისმსახურება შეიძლება ნებისმიერ ადგილზე შესრულდეს, მაგრამ საზოგადო მსახურება, თუკი ექსტრემალური ვითარება არაა, უნდა შედგეს საკრებულო ტაძარში, რომელსაც მეჩეთი, მასჯითი, მიზგითი ეწოდება (სიტყვა არამეულია და «ღვთის თაყვანისცემის ადგილს» ნიშნავს), ანდა — ჯამე (ჯამაათის, ე.ი. მუსლიმთა თემის შესაკრებელი. არაბ.).

პირველი მეჩეთი მუჰამადმა მედინაში, თავისი სახლის გვერდით, 623 წელს ააშენა. მექის დაკავების შემდეგ მეჩეთად ქააბა გადაკეთდა. მეჩეთის არქიტექტურული ტიპი VII-VIII საუკუნეებში ომაიანების დროს ჩამოყალიბდა. მეჩეთის აუცილებელი ატრიბუტებია: მიჰრაბი (ნიშა კედელში, რომელიც მექისაკენ მიმართულებას მიუთითებს. მლოცველნი სახით მისკენ დგანან), მინბარი (კათედრა დიდ მეჩეთში კიბითურთ, მიჰრაბის მარჯვენა მხარეს, საიდანაც იმამი ან სხვა სასულიერო პირი ქადაგებას წარმოთქვამს), მინარეთი (იხ. ქვემ.), წიგნსაცავი, სათავსო და აუზი, სადაც

ლოცვისწინა განბანვა ხდება. მეჩეთის იატაკი მოფენილია ხალიჩებით და მასში შესვლისას სავალდებულოა ფეხზე გახდა. მორწმუნე მეჩეთში შედის მარჯვენა ფეხით და გამოდის მარცხენით. დიდ მეჩეთებს, სადაც პარასკევის ლოცვა სრულდება, ეწოდება პარასკევის მეჩეთი (მასჯიდ ალ ჯუმა) ან საკრებულო მეჩეთი (მასჯიდ ალ-ჯამი, აჭარაში: ჯამე).

მუსლიმთა სალოცავის შემადგენელი ნაწილია მინარეთი («მინარა» — «სინათლის ადგილი», «შუქურა»). მას მიზანადაც მოიხსენიებენ, რაც ნიშნავს ადგილს, საიდანაც აზანს აცხადებენ, ე.ი. ლოცვისაკენ მოუწოდებენ. ესაა კოშკი, რომელზეც ადის მუეძინი («მუაზზინ» — «განმცხადებელი», «მომწოდებელი»), რომელიც მორწმუნეებს ლოცვის დროის დადგომას ამცნობს და მათ სალოცავად მოუხმობს.

«აზანი» მოწოდებას ნიშნავს. იგი მუჰამედის მიერაა დაწესებული ჰიჯრიდან 1-2 წლის შემდეგ და ასე სრულდება: მუეძინი სახით მექის მიმართულებით დგას, ცერითა და სალოკი თითით ყურის ბიბილოები უჭირავს და 7 ფორმულისაგან შემდგარ მოწოდებას ახმიანებს. ესენია: 1. ალლაჰუ აქბარ («ალლაჰი დიდია»). ამ ფორმულას ეწოდება თაქბირი და ხუთჯერ წარმოითქმება, 2. ვმოწმობ, რომ არ არის ღვთაება, გარდა ალლაჰისა, 3. ვმოწმობ, რომ მუჰამედი შუამავალია ალლაჰისა, 4. მოდით სალოცავად, 5. მოდით გადასარჩენად, 6. ალლაჰი დიდია, 7. არ არის ღვთაება, გარდა ალლაჰისა.

სასულიერო იერარქია და განათლება. მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო პირი არის შეიხი. პიროვნება, რომელიც მუსლიმთა თემს, საკრებულოს (ერთს ან რამდენიმეს) ხელმძღვანელობს, სალოცავ სახლს ემსახურება, რიტუალებს ასრულებს და ქადაგებას წარმოთქვამს, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: იმამი, ახუნდი, მოლა და ხოჯა. ამასთანავე, ერთი და იმავე დასახელების სასულიერო პირს სასულიერო იერარქიაში (სხვადასხვა გარემოში) სხვადასხვა რანგი და თანამდებობა უჭირავს: იმამი ზოგან ზედამხედველი ღვთისმსახურია, ზოგან — რიგითი ახუნდი (სპარს. მასწავლებელი) ზოგან მაღალი თანამდებობის რჯულის მეცნიერია, ზოგან — მეჩეთის მსახური.

ისტორიული თვალსაზრისით ყველაზე გავრცელებული სახელწოდებაა იმამი, რაც სიტყვასიტყვით «წინამდგომელს», «ხელმძღვანელს» ნიშნავს. არსებობს «დიდი იმამი» და «მცირე იმამი». პირველი მოცემული ქვეყნის ან სახელმწიფოს მუსლიმთა სასულიერო და პოლიტიკური ლიდერია (მაგ. იმამი შამილი), მეორე კი ერთი რომელიმე ან (აუცილებლობის შემთხვევაში) რამდენიმე საკრებულოს წინამძღოლია. დიდი იმამის თანამდებობა სუნიტური ტრადიციით არჩევითია, შიიტურით კი — მემკვიდრეობითი და ის მეოთხე კანონიერი ხალიფა ალის (656-661) შთამომავლებს გადაეცემათ. მცირე იმამის ადგილზე ინიშნებოდნენ და ინიშნებიან სასულიერო განათლების მქონე პირები, რომლებიც მაღალი ზნეობითა და ღვთისმოსაობით გამოირჩევიან. ამავე თანამდებობას ასრულებს მოლა (არაბ. — მავლა, სპარს. — მოლლა «ბატონი», «მბრძანებელი», «მეუფე»), რომელსაც თურქულენოვან მუსლიმურ სივრცეში ზოგჯერ ხოჯა ეწოდება (აჭარა).

სალოცავ სახლებთან, ბევრ შემთხვევაში, მოქმედებს დაწყებითი, საშუალო, ანდა უმაღლესი სასულიერო-საგანმანათლებლო სასწავლებელი — მაქთაბი და მადრასა.

მაქთაბი (არაბ.) ნიშნავს ადგილს, სადაც წერა-კითხვის პროცესი მიმდინარეობს. განათლების სისტემაში მას დაწყებითი სკოლის (პირველი საფეხურის) შინაარსი აქვს. მადრასა (მედრესე, არაბ. მადარის «სწავლის ადგილი») საშუალო ან უმაღლესი სასწავლებელია, სადაც მუსლიმი ულემები (ალიმები: მცოდნენი, სწავლულები, მეცნიერები) პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან. ასეთი სასწავლებლები ისლამის ქვეყნებში X საუკუნიდან არსებობს. ძველი ტრადიციის მიხედვით, მადრასის სტუდენტები ცხოვრობენ პანსიონში და იღებენ სტიპენდიას. ძირითადი საგნებია: ყურანი, ჰადისები (სუნა), თეოლოგია, სამართალი (ფიკჰ), არაბული ენა და ლიტერატურა და სხვა დისციპლინები. ისლამური თეოლოგიის ფაკულტეტები უნივერსიტეტებთანაც არსებობს.

სიმბოლო. მუსლიმები მთვარის კალენდრით სარგებლობენ. ამის გამო მათი რელიგიის სიმბოლოდ ახალი ნამგალა მთვარე იქცა. ეს ბუნებრივია, რადგან მუსლიმთა მთავარი და სავალდებულო მარხვის (იხ. ქვემ.) დაწყება და დამთავრება ახალმთვარეობაზეა დამოკიდებული. ისლამის სიმბოლოდ ნახევრადმთვარე პირველად ხალიფა ომარ I-მა (634-644) გამოიყენა — მან ის ქააბაზე მიამაგრა და ამით მთელ მუსლიმურ სამყაროს მაგალითი მისცა. მოგვიანებით ნახევარმთვარემ მუსლიმთა სალოცავ სახლებში ის ადგილი დაიკავა, რაც ჯვარმა ეკლესიაში. XIX საუკუნის დასაწყისიდან ეს სიმბოლო ისლამური ტრადიციის ქვეყნებში (პირველად ოსმალურ თურქეთში) ჰერალდიკის (დროშებისა და გერბების) განუყოფელ ნაწილად იქცა.

დღესასწაულები. მუსლიმთა მთავარი მარხვა და დღესასწაულია რამადანი (რამაზანი). იგი რამადანის თვეში სრულდება (იხ. ზემ. სავალდებულო მარხვა): იწყება სავსე მთვარის გამოჩენისთანავე და 29 ან 30 დღეს გრძელდება (თარიღი მოძრავია). ეს მარხვა მთავრდება დღესასწაულით, რომელსაც ურაზა-ბაირამი ჰქვია (სხვანაირად: *იდ ალ-ფიტრი* ან *ქუჩუკ-ბაირამი, შექერ-ბაირამი*). დღესასწაულს, ზოგადად, არაბულ ენაზე უწოდებენ «ყიდუნ»-ს, რაც «გახსენებას» ნიშნავს. რამაზანის მარხვით და დღესასწაულით მუსლიმები იმ დღეებს იხსენებენ, როდესაც ალაჰმა მუჰამედს ყურანი გარდმოუვლინა.

სხვა დღესასწაულებია: 1. ყურბან-ბაირამი (ურაზა-ბაირამიდან 70 დღის შემდეგ). ესაა მექაში მოსალოცად მგზავრობის აღსანიშნი დღე — დუ ლ-ჰიჯჯა, რომელიც მსხვერპლშეწირვით მთავრდება. ამის გამო მას «ცხვრის დღესასწაულსაც» უწოდებენ. ამით მუსლიმები იბრაჰიმის მიერ შვილის ნაცვლად ცხვრის დაკვლას მოიხსენიებენ, 2. მავლიდი (მავლუდი) — მუჰამადის დაბადების და გარდაცვალების დღე, 3. მიჰრაჯი — მუჰამადის ზეცად ამაღლების დღე, 4. აშურა, ანუ შაჰ-სეი, ვაჰ-სეი და სხვა. აშურა შიიტების სამგლოვიარო დღეა. ამით ისინი მესამე (მუჰამედის შემდეგ) იმამის, ალის ვაჟის, ჰუსეინის, მოწამებრივ ღვაწლს მოიხსენიებენ. იგი ჰიჯრიდან 61-ე წელს, 10 ოქტომბერს, თავის ძმასთან, აბასთან, და 70 თანამებრძოლთან ერთად ერაყში დაიღუპა. ესაა სამგლოვიარო მისტერია, რომელიც ათ დღეს გრძელდება. მორწმუნეები შედიან აღმაფრენაში, რასაც თვითგვემა ახლავს. ისმის შეძახილები: «შაჰ-სეი, ვაჰ-სეი!» ანუ: შაჰიდ (მოწამე) ჰუსეინ, ვაჰ (ვაი) ჰუსეინ! ეს დღე სუნიტ მუსლიმებში ზოგადად გადარჩენის დღედ მოიხსენიება. მუსლიმური გადმოცემების თანახმად, ამ დღეს შექმნა ალლაჰმა ადამი, ამ დღეს გადარჩნენ ებრაელები ფარაონთა ლაშქრისგან, ნოეს კიდობანი ამ დღეს გავიდა ხმელეთზე და სხვ.

წარმართები და წერილის ხალხი. მუსლიმებს, ისე როგორც სხვა რელიგიების მიმდევრებს, სწამთ, რომ ჭეშმარიტებას სრულყოფილად მხოლოდ ისინი ფლობენ. და-ნარჩენი კაცობრიობა, ალლაჰთან მიმართების თვალსაზრისით, ორ ნაწილად იყოფა: 1. ხალხი, რომელსაც წერილობითად ჩამოყალიბებული რჯული არა აქვს. მათი სახელია *მუშრიქ;* ეს ადამიანები წარმართები და კერპთაყვანისმცემლები არიან და 2. ხალხი, რომელსაც წერილობითად ჩამოყალიბებული რჯული აქვს და ეს რჯული საღვთო გამოცხადების ნაყოფია. მათი სახელია *აჰლ ალ-ქითაბ* («საღვთო წერილის მქონე ხალხი»).

ისლამის მიხედვით, ერთ დროს ადამიანები ერთიან უმას («უმა» არაბული სიტყვაა და ერს, ხალხს ნიშნავს) შეადგენდნენ, რადგან ერთი რელიგიით იყვნენ გაერთიანებულები. შემდეგ მოხდა მათი დაშლა. ისლამური თვალთახედვით, კაცობრიობის ისტორია რელიგიურ თემთა თანმიმდევრული მონაცვლეობაა. დედამიწაზე ჭეშმარიტების მოსატანად ალლაჰმა თავისი მოციქულები (რასულ), წინასწარმეტყველები (ნაბი), გამაფრთხილებლები (ნაზირ) და მაცნენი (მუბაშშირ) გამოგზავნა. მათი მეშვეობით შეიქმნა «საღვთო წერილის ხალხი» — იუდეველთა და ქრისტიანთა უმები. ის უმა, რომელიც ალლაჰის მთავარმა მოციქულმა მუჰამედმა მედინაში შექმნა, წერილის ხალხებსაც მოიცავდა, მაგრამ მათ, ისლამის მტკიცებით, ჭეშმარიტებას თვალი ვერ გაუსწორეს და ახალი უმის მიღმა აღმოჩნდნენ. ამდენად, ახალი უმა მხოლოდ მართლმორწმუნე მუსლიმებს აერთიანებს.

მუშრიქებსა და აჰლ ალ-ქითაბელებს შორის დგანან მაზდეანები (ზოროასტრიზმის მიმდევრები, თანამედროვე ღებრები და ფარსები). მათი სახელია *მაჯუსი* (სირ. მაგუსა — «მოგვი»). მათაც აქვთ წერილი («ავესტა»), მაგრამ ეს არაა საღვთო წერილი (გამოცხადება). ალბათ ამიტომ ისინი («მოგვნი») ყურანში წერილის ხალხებსა და წარმართებს შორის მოიხსენიებიან (22:17).

ძველი ისლამური ტრადიციის თანახმად, მუსლიმთა ლაშქრობისა და გამარჯვების შემთხვევაში, მუშრიქების მოქცევა სავალდებულო იყო, აჰლ ალ-ქითაბის წარმომადგენლების გამუსლიმება კი — არა, თუკი ისინი თავს მუსლიმი ხელმწიფის ქვეშევრდომად აღიარებდნენ და გადაიხდიდნენ სულადობრივ გადასახადს — ჯიზიას. სავალდებულო გამუსლიმება ძალმომრეობას არ გულისხმობდა, რადგან ყურანში პირდაპირაა ნათქვამი: «არანაირი იძულება სარწმუნოებაში!» (2:257).

ისლამური ფუნდამენტალიზმი. თანამედროვე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში ხშირად გამოიყენება ცნება «ისლამური ფუნდამენტალიზმი», თუმცა ტერ-მინი «ფუნდამენტალიზმი» ისლამური წარმოშობის არ არის (იხ. ფუნდამენტალიზმი). ისლამურ სამყაროში ესაა იმ მისწრაფებებისა და ტენდენციების საერთო სახელი, რომელთა მიზანს საზოგადოებისა და სახელმწიფოს შარიათის საფუძველზე ორგანიზება წარმოადგენს. ასეთი პროგრამა და განწყობილება დამახასიათებელია ისლამის სხვადასხვა, ხშირად ურთიერთდაპირისპირებული, მიმდინარეობებისთვის. ისლამური ფუნდამენტალიზმი მუჰამადისა და ოთხი მართლმორწმუნე ხალიფის დროინდელი ისლამისაკენ დაბრუნების იდეას ეფუძ-

ნება. მუსლიმი ფუნდამენტალისტები ისლამის მთავარ საფრთხეს დასავლური პოლიტიკური მოდელისა და ცხოვრების წესის დანერგვაში ხედავენ. ფუნდამენტალისტთა დაპირისპირება დასავლური სამყაროსადმი სამ პრინციპს ემყარება: 1. იმის მტკიცებას, რომ სწორედ ისლამმა შეიტანა დასავლეთში ცივილიზაცია, 2. დასავლური ფასეულობებისა და კოლონიზატორული პოლიტიკის მხილებასა და 3. ისლამის აპოლოგიას (ყველაფერი ყურანსა და სუნაშია მოცემული და ისლამი საუკეთესო, სრულყოფილი რელიგიაა).

ისლამი საქართველოში

ძველ ქართულ წყაროებში ისლამს მაჰმადის რჯული («სჯული მოჰამედისა მიერ ქადაგებული») ეწოდება. ხალხურ ტრადიციაში გავრცელებულია გამოთქმა «თათარი», შესაბამისად — «გათათრება», «დათათრება», რაც ისლამის მიღებას, გამაჰმადიანებას ნიშნავდა, თუმცა ამ ტერმინს ადგილობრივი მუსლიმები შეურაცხმყოფელად მიიჩნევენ.

საქართველოში ისლამის გავრცელება არაბობის ხანიდან (VII-IX სს-იდან) დაიწყო. ამ ხანას კი დასაბამი ხალიფატის, ანუ არაბთა ისლამური იმპერიის დაარსების პირველსავე წლებში მიეცა. ერაყში, სირიასა და დარუბანდში მუსლიმთა ხელისუფლების დამყარების (633-643) შემდეგ სახელგანთქმულმა სარდალმა ჰაბიბ იბნ მასლამა ალფიჰრიმ (617-662) სომხეთი და საქართველო დაიკავა (644-655). თბილისის მოსახლეობას მან მისცა «დაცვის სიგელი», ანუ ზავისა და შეუვალობის წიგნი, რითაც განისაზღვრა ურთიერთობა მუსლიმ არაბებსა და ქრისტიან თბილისელებს შორის. ვარაუდობენ (გ.ჯაფარიძე), რომ მსგავსი ხელშეკრულებები გაფორმდა ქართლის სხვა მხარეებთან და დასახლებულ პუნქტებთან. ანალოგიური დოკუმენტები VII-VIII საუკუნეებში ფორმდებოდა გამარჯვებულ არაბ მუსლიმებსა და სხვა აღმსარებლობის დამარცხებულ ხალხს შორის, როდესაც ეს უკანასკნელნი უომრად, წინააღმდეგობის გარეშე, მორჩილებას აცხადებდნენ. ასეთ შემთხვევაში, არაბთა სარდალი ადგილობრივ ადმინისტრაციას უგზავნიდა «დაცვის სიგელს», რომელიც, ისე როგორც მუსლიმთა ყველა საქმიანი დოკუმენტი, ბასმალათი (იხ. ზემ) იწყებოდა, რასაც ზავის ძირითადი პირობები მოჰყვებოდა: ან ისლამის აღიარება, ან ხარკი (ჯიზია), ნაცვლად კი — მშვიდობა და ხელშეუხებლობის გარანტია. იბნ მასლამის აღნიშნული სიგელი, რომლის ტექსტი დაცულია VIII-XIII საუკუნეების არაბულენოვან ისტორიკოსთა თხზულებებში, და ზოგიერთი სხვა წყარო გვაფიქრებინებს, რომ ქართველებმა აღიარეს მორჩილება ხარკის (ჯიზიას) გადახდის პირობით. ისლამის ისტორიის მხრივ, პირველ რიგში, საყურადღებოა ის, რომ აქ, ამ დოკუმენტში, პირველადაა მკაფიოდ ჩამოყალიბებული შაჰადა — ალლაჰის ერთადერთობა და წმინდა მუჰამედის სამოციქულო მისია.

ასე რომ, ქართველებს ისლამის გაცნობის შესაძლებლობა ადრევე მიეცათ. ხსენებულ დოკუმენტს, ცხადია, ქართულადაც თარგმნიდნენ, რისი მეშვეობითაც ადრესატები არა მხოლოდ მათი ქონებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობის გარანტიებს მოისმენდნენ, არამედ ისლამის ძირითად დებულებებსაც და ციტატებსაც ყურანიდან. არაბ სარდალს ქართველებთან წარუგზავნია ყურანის საუკეთესო მცოდნე და რჯულის მეცნიერი აბდ ჯაზ ას-სულამი, რომელსაც მათთვის ისლამი უნდა ექადაგა და

მისიონერის ფუნქცია შეესრულებინა. ამ მისიის კვალი ქართლის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მალე აღიბეჭდა. ამას ადასტურებს ის მონეტები (დირჰამები), რომლებიც ჰიჯრიდან 85-ეა ანუ ქრისტეს შობიდან 704-ე წელს თბილისშია მოჭრილი და, რომლებზეც ალლაჰის სადიდებელი სიტყვებია ამოტვიფრული.

აღმოსავლეთ საქართველოში ისლამის გავრცელების საქმეს ის ადმინისტრაციული ერთეულები უმაგრებდნენ ზურგს, რომლებიც აქ არაბებმა შექმნეს: ჯერ პროვინცია არმინია, რომელიც მოიცავდა ქართლსაც (გურზან), შემდეგ კი თბილისის საამირო, რომელიც კავკასიაში მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ (VIII ს-ის 30-იანი წწ.) შეიქმნა. იგი მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს (მესხეთ-ჯავახეთს) მოიცავდა. ცენტრად თბილისი გამოცხადდა და ეს სტატუსი მან საამიროს გაუქმებამდე შეინარჩუნა. საამირო კი მაშინ გაუქმდა, როდესაც დავით აღმაშენებელმა თბილისი გაათავისუფლა (1122) და ტახტი ქუთაისიდან ამ ქალაქში გადმოიტანა. მუსლიმთა შიში, რომ ქრისტიანი მეფე მათ სარწმუნოებრივ უფლებებს შელახავდა, არ გამართლდა. მოხდა პირიქით. საბრძოლო ოპერაციების დასრულებისთანავე მეფემ გამოსცა ბრძანება, რომელიც მუსლიმთა ყოველგვარი დისკრიმინაციის აღკვეთას ითვალისწინებდა. ამასთან დაკავშირებით, XII-XIII საუკუნეების არაბი და თურქი ისტორიკოსები იბნ ალ-აზრაქ ალ-ფარიქი და სიბტ იბნ ალ-ჯაუზი შემდეგ ინფორმაციას გვაწოდებენ: გამარჯვებულმა მეფემ დედაქალაქის მუსლიმ მოქალაქეებს საგადასახადო სისტემაში გარკვეული პრივილეგიებიც კი მიანიჭა, მუსლიმთა უბანში ღორის დაკვლა აკრძალა, მუსლიმთათვის მოჭრილ მონეტებზე ალლაჰის, მისი მოციქულისა და ხალიფას სახელების ამოკვეთა დაიწყო, ქართველებს, ებრაელებსა და სომხებს მუსლიმთა აბანოში შესვლა აუკრძალა. იგი, «მეფე აფხაზთა და ქართველთა», «ყოველ პარასკევს შედიოდა მეჩეთში, მასთან ერთად იყო ხოლმე მისი შვილი დიმიტრი; ისმენდა ხუტბასა (ქადაგებას) და ყურანის კითხვას და აძლევდა ხატიბსა და მუეძინებს მრავალ ოქროს. XII საუკუნის ერთი სირიელი ანონიმი ავტორი და XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსი მოჰამად ალ-ჰამაფი აღნიშნავენ, რომ მეფე დავითი ყურანს კარგად იცნობდა და კამათი ჰქონდა განჯის ყადთან, ალლაჰის სიტყვა (ქალიმა) შექმნილია თუ მარადიული?» პროფ. გ. ჯაფარიძის გამოკვლევის თანახმად, გამოთქმა «ალლაჰის სიტყვა» ნიშნავს არა ყურანს (როგორც ადრე ფიქრობდნენ), არამედ — იესო ქრისტეს (ისას), რომელიც, მუსლიმთა რწმენით, ალლაჰის შექმნილი სიტყვაა, ქრისტიანთა რწმენით კი — შეუქმნელი და თანამარადიული.

ქართველ მუსლიმთა პირველი გაერთიანებები თბილისსა და დმანისში შეიქმნა. VIII-XIII საუკუნეების არაბულენოვან მწერლობაში ბევრი ავტორი მოხსენიებულია როგორც ათ-თიფლისი, რაც თბილისელს ნიშნავს. ესენი არიან ღვთისმეტყველები, იურისტები, მწერლები, ექიმები და ა.შ. ეჭვი არაა, რომ მათგან არა ერთი და ორი ეთნიკურადაც ქართველი იყო. ეს არაა გასაკვირი: როგორც VIII საუკუნის ჰაგიოგრაფი იოანე საბანისძე გვაუწყებს, ჩვენი თანამემამულეების შესამჩნევი ნაწილი, სხვადასხვა მიზეზის გამო, მუსლიმი (სარკინოზი, ისმაიტელი, აგარიანი) გახდა. ცხადია, მათგან ბევრი შემოქმედებითი ნიჭით იყო დაჯილდოებული, ბევრმა შეისწავლა არაბული ენა და საერთო ისლამური კულტურის სალაროში საკუთარი წვლილი შეიტანა.

სამხრეთ საქართველოს (აჭარის, ტაო-კლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის) ინტენსიურ ისლამიზაციას ადგილი XVI-XVIII საუკუნეებში, ჰქონდა. ამავე

პერიოდში ისლამი ოსმალეთის მიერ დაპყრობილ აფხაზეთშიც გავრცელდა. იქ, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისლამს უფრო მეტად თავადაზნაურები იღებდნენ, დაბალი ფენა კი ადგილობრივი რელიგიური ტრადიციების ერთგული რჩებოდა. ანალოგიური ვითარება იყო ოსეთშიც, რომელსაც ეკლესიურად და კულტურულად საქართველოსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა (იხ. რელიგიები აფხაზეთსა და ოსეთში). იმხანად ქართლ-კახეთის სამეფო ტახტიც, მეტწილად, მუსლიმ მეფეთა ხელშია. მაშინდელ მეფეებს შორის არა ერთი და ორი იყო გულწრფელი მუსლიმი. მართლმორწმუნეობით გამოირჩეოდნენ კონსტანტინე I, როსტომ ხანი, ვახტანგ V შაჰნავაზი, დავით იმამ-ყულიხანი, კონსნტანტინე II მაჰმადყულიხანი და სხვ. მათგან როსტომი და ვახტანგ V დაკრძალული არიან ირანის უდიდეს რელიგიურ ცენტრში, ყუმში, დიდ შიიტ წმინდანთა გვერდით. ქართველი მუსლიმების რიცხვს ის კახელებიც შეემატნენ, რომლებიც შაჰ-აბასმა ირანში გადაასახლა და მათი შთამომავალნი დღესაც იქ ცხოვრობენ (ფერეიდნელი ქართველები), ასევე — ინგილოები, რომლებიც ორ რაიონში მოსახლეობენ: ზაქათალასა და ბელაქანში (აზერბაიჯანი).

შემონახულია ქართველთა გამუსლიმების ოსმალური წესი თურქულ და ქართულ ენებზე (გამოსცა ც. აბულაძემ). ტექსტი ჩართულია აჰმედ ქელიმის ნაშრომში «ისლამური სარწმუნოების უმოკლესი მონახაზი». ქართული ტექსტი (არაბული ანბანით) ასე ჟღერს (ციტატა): «...მოციქული ღმერთი ერთი არი. იმის მეტი ღმერთი არ არის. მოციქულ ღმერთს ტოლი არა ყავს, სწორი არა ყავს, არავის არა გავს, არავინც იმასა გავს. არას ჩაიცვამს, არასაც ჭამს, არასა სვამს; დედა არა ყავს, ცოლი არა ყავს, შვილი არა ყავს: ვაჟი არა ყავს, ქალი არა ყავს. არც ეკადრება... ცა და ქვეყანა იმან გააჩინა. იმის მეტი გამჩენი არ არის. წმინდა მარიამი, მისი შვილი იესო მოციქულ ღმერთმა გააჩინა. დედა-შვილი (...) ღმერთის მსახურნი არიან... მისი რჯული რომ (ისლამის) რჯული არის, სუფთა არის, წმინდა არის, (...) ღმერთის რჯული არის — დავიჯერე...». ეს დოკუმენტი საყურადღებოა ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისა და რელიგიის ისტორიის თვალსაზრისითაც. ამ და მსგავსი წესების მიხედვით ქართველების შესამჩნევი ნაწილი გამუსლიმდა. მათი შთამომავლების რიცხვი დღეს საკმაოდ დიდია. თურქეთში, მაგალითად, ამჟამად (ანკარის ქართველთა სათვისტომოს მონაცემით) ორი მილიონი ქართულენოვანი მუსლიმი ცხოვრობს.

XIX საუკუნის დასაწყისში შემუშავდა ტერმინები «ოსმალეთის საქართველო» და «სამუსლიმანო საქართველო», რაც ერთიანი საქართველოს (X-XV სს.) სამხრეთ-დასავლეთის პროვინციებს («ზემო ქართლს») გულისხმობდა. აღნიშნული საუკუნის 30-იანი წლებიდან რუსეთის ჯარებმა ამ ტერიტორიების დაკავებისა და შემო-ერთების დიდი კამპანია წამოიწყეს, რაც საქართველოსათვის მათ დაბრუნებასა და ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ნიშნავდა. მაგრამ, ვინაიდან ეს პროცესი ე.წ. ქრისტიანული იმპერიის მიერ ხორციელდებოდა, ადგილობრივ მოსახლეობას ისლამის დაკარგვის შიში გაუჩნდა — ცარისტული რეჟიმი ისლამის მოწინააღმდეგე ძალად იქნა აღქმული. ამის გამო ამ კუთხეების მუსლიმებმა თურქეთში ემიგრაცია დაიწყეს (ქართველთა მუჰაჯირობა). 1878 წლიდან, აჭარის შემოერთების შემდეგ, ეს პროცესი გაღრმავდა, მაგრამ მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოსაგრეების, ძალისხმევის შედეგად, ემიგრაცია შეწყდა და ბევრი მუჰაჯირი მამაპაპეულ კერას დაუბრუნდა.

ყურანი ქართულად. შუასაუკუნეების საქართველოში ყურანს ყორანად და მუსაფადაც მოიხსენიებდნენ. ძველ ქართულ ლიტერატურაში ცნობილია პოლემიკური ტრაქტატები, (არსენ იყალთოელი, ბაგრატ ბატონიშვილი და სხვ.), რომლებშიც გაკრიტიკებულია ყურანის ესა თუ ის დებულება და, ზოგ შემთხვევაში, რამდენიმე აიას თარგმანიცაა მოცემული, რაც ნიშნავს, რომ ქართველი ქრისტიანი სწავლულები ყურანის ტექსტს იცნობდნენ. ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ არსებობდა ყურანის ძველი ქართული თარგმანი, შესრულებული XVII-XVIII საუკუნეებში ირანში მოღვაწე ქართველების მიერ, მაგრამ ეს ცნობა, ჯერჯერობით, არ დასტურდება. ყურანი ორჯერაა ქართულად თარგმნილი: პეტრე მირიანაშვილის მიერ ფრანგულიდან (თბ., 1906) და გიორგი ლობჟანიძის მიერ არაბულიდან კომენტარებითურთ (თბ., 2006). ეს უკანასკნელი 2007 წელს ისლამოლოგიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ირანის უმაღლესი ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა. ყურანის რამდენიმე ფრაგმენტი ორიგინალიდან ა.სილაგაძემაც თარგმნა. ამჟამად ბათუმში ყურანის ქართულ თარგმანზე მუშაობენ ზურაბ ცეცხლაძე, ტარიელ ნაკაიძე და ზაურ შანთაძე. თურქეთის ქართულენოვანი მუსლიმებისათვის შედგენილია «ყურანის მასწავლებელი (ყურანის დედაენა)», რომელიც 1995 წელს ანკარაში გამოიცა. აჭარის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს მიერ გამოიცემა ყოველთვიური გაზეთი «რწმენა».

ისლამი და ქართული კულტურა. ისლამმა კვალი ქართული კულტურის ისტორიასა და ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დატოვა. «ოქროს ხანასა» და აღორძინების პერიოდში (XI-XIII და XVI-XVIII სს.) ქართულ ენაზე ისლამური სიტყვაკაზმული მწერლობის თითქმის ყველა პირველხარისხოვანი ძეგლი ითარგმნა. უეჭველია, რომ გამუსლიმებულ ქართველთა შორის ბევრი სწავლისმოყვარე და ნიჭიერი პიროვნება იყო. მათგან ზოგიერთი მშობლიურ ენაზე აგრძელებდა მოღვაწეობას, მაგალითად: XVII საუკუნის ისტორიკოსი და ლექსიკოგრაფი ფარსადან გორგიჯანიძე, პოეტი იასე (მისი ნაწარმოებები მ. თოდუამ გამოავლინა) და სხვა, უმრავლესობა კი არაბულ, სპარსულ და თურქულენოვან გარემოს შეესისხლხორცა. მათი სახელების გამოვლენა და წარმოჩენა აღმოსავლეთმცოდნეების კვლევა-ძიების ერთ-ერთი საგანია. უკვე ცნობილია ქართული წარმოშობის ათობით სპარსელი პოეტის სახელი (მავჯი, მირზა მოჰამედ თაჰერ ნასრაბატი, ქაიხოსრო-ხანი, ზეინალ-ბეგი,ზურაბ-ბეგი, ქუჩუკ-ბეგი, მირზა ახმად გორჯი, იუსუფ გორჯი და ბევრი სხვა), რომელთა არაერთი სტრიქონი მსოფ-ლიო პოეზიის შედევრთა შორის დგას. საყურადღებოა, აგრეთვე, «ისლამური არქიტექტურა» საქართველოში. 1785 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე ხუთი მეჩეთია დატანილი. XXI საუკუნეში მათგან მხოლოდ ერთი დარჩა. ბევრი მეჩეთი, ჯამე და მედრესე, რომელთაგან ზოგიერთი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა, საბჭოთა რეჟიმის დროს განადგურდა. მათ შორის გამორჩეული ადგილი ეჭირა ბათუმის აზიზიეს მეჩეთსა და ომარის მეჩეთს (ცისფერ მეჩეთს) თბილისში, რომელიც 1951 წელს დაანგრიეს.

ისლამი და ქართული სახელმწიფო. გამუსლიმებული ქართველები, შუასაუკუნეობრივი ეროვნულ-პოლიტიკური ხედვისა და მენტალიტეტის თანახმად, ქართველებად აღარ ითვლებოდნენ. ამ გაუგებრობისაგან მოსახლეობის დიდი ნაწილი გათავისუფლებული დღესაც არ არის, რაც ეროვნული ერთიანობის მიღწევას ხელს უშლის (შდრ. ქვემ.: მესხი მუსლიმები). ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები და ჰუმანისტები, — ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი თანამემამულეებს

თითოეული მოქალაქის სინდისისა და სარწმუნოების პატივისცემისაკენ მოუწოდებდნენ, ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ რელიგიური პლურალიზმი ცივილიზებული მსოფლიოს სტანდარტია და ამ მოვლენაში სახიფათო არაფერია. ი.გოგებაშვილმა, მაგალითად, მუსლიმი ბავშვებისათვის დედა ენის საგანგებო ვარიანტი ჩამოაყალიბა, ხოლო ი.ჭავჭავაძემ და ზ.ჭიჭინაძემ ქართველ მუსლიმებთან ეროვნულ-საგანმანათლებლო მუშაობის ისეთი პროგრამები და მეთოდები შეიმუშავეს, რაც სარწმუნოებრივ აქცენტებს გამორიცხავდა. იმდროინდელი პრესა («დროება», «ივერია», «ცნობის ფურცელი» და სხვა) ყოველდღიურად აქვეყნებდა მასალებს მუსლიმთა სულიერი და ყოფითი პრობლემების შესახებ.

ვრცელი თემაა საქართველოს მორწმუნე მუსლიმთა თანამონაწილეობა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში. ამ მხრივ, თვალსაჩინოა აჭარაში მცხოვრები ქართველი მუსლიმების აქტიურობა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებმა, პატრიოტი მუსლიმი ქართველის, სანჯაყ-ბეგ აბაშიძის შთამომავლებმა, «ქართველ მუსლიმთა საქველმოქმედო საზოგადოება» და «სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი» ჩამოაყალიბეს. 1919-1921 წლებში გამოდიოდა გაზეთი «სამუსლიმანო საქართველო». ქართველი მუსლიმები (მათი მეტი ნაწილი) მიესალმნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს. 1919 წელს ჩატარდა ქართველ მუსლიმთა ყრილობა, რომელმაც თანამორწმუნეებს ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების მოგვარებაში ძალისხმევის გააქტიურებისაკენ მოუწოდა. დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პარლამენტში წარმოდგენილი იყო ქართველ მუსლიმთა პარტია (მ. აბაშიძის მეთაურობით), რომელსაც საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის ინტერესების გამოხატვა ევალებოდა. მ.აბაშიძემ ერთ-ერთ ოფიციალურ სხდომაზე განაცხადა: «ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა! გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთიანობაშია. გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!».

ისლამისადმი კეთილგანწყობის, მაგალითად, საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადება გამოდგება, რომელიც 1920 წელს გაკეთდა:

«...ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება ხელს შეუშლის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების ერთობას. რჯული რჯულია, მაგრამ სისხლი და ეროვნება კიდევ სხვაა... ყოველი ქრისტიანი ქართველი ყოველთვის პატივს უნდა სცემდეს მაჰმადის რჯულს, რომლის აღმსარებელია მრავალი მილიონი სხვადასხვა ხალხი და რომელსაც მისდევს ჩვენი ღვიძლი ძმებიც. მაჰმადის რჯული ჩვენი ძმების რჯულია და მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ მას. პატივს უნდა ვსცემდეთ ყოველი ადამიანის რჯულს, მით უფრო, ძმისას. უნდა გავიმეოროთ კიდევ ერთხელ: რჯული სხვადასხვა გვაქვს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს, მაგრამ ორივენი ერთი საქართველოს შვილები ვართ. ერთი ენა, ერთი სისხლი, ერთი ხასიათი გვაქვს. ჩვენი ძალა შეერთებაშია. ბედნიერებას მხოლოდ ერთობა და ძმობა მოგვიტანს».

ისლამი საქართველოს ახალ ისტორიაში. აჭარელი და აფხაზი მუსლიმები, ძირითადად, სუნიტები არიან. ამჟამად აჭარელი მუსლიმების წინამძღვარია მთავარი

მუფტი ბ-ნი ბექირ ბოლქვაძე. აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანელთა შორის, შიიზმია გავრცელებული (კახეთის მუსლიმების შესახებ იხ. ქვემ.). თბილისის მეჩეთი აღმოსავლეთ საქართველოს მუსლიმთა ცენტრია. იქ საქართველოს ახუნდი (ზედამხედველი) მსახურობს (ბ-ნი ალი ალიევი), რომელიც საქართველოში ამიერკავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმოადგენს (ცენტრი ბაქოშია). თბილისის მეჩეთში შიიტები და სუნიტები ერთად ლოცულობენ.

თანამედროვე ქართველი და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მესხი მუსლიმები მოექცნენ. ისტორიული სამცხე-ჯავახეთი, ანუ ოსმალობისდროინდელი «ახალციხის საფაშო», საქართველოს 1832 წელს დაუბრუნდა. მაშინ იგი ეთნიურად და რელიგიურად მრავალფეროვანი რეგიონი იყო. უმრავლესობას ქართულ და არაქართულენოვანი მუსლიმები წარმოადგენდნენ. ისინი თავიანთ თავს თურქებს უწოდებდნენ, მაგრამ ამ სიტყვაში, ერისა და კონფესიის შუასაუკუნეებრივი გაუმიჯნაობის გავლენით, თურქული ტრადიციის ისლამს (სუნიზმს) გულისხმობდნენ. მუსლიმი მესხების დიდი ნაწილი ქართულ გვარს ატარებდა და, იმის მიუხედავად, ამ ხალხის რომელიმე ჯგუფი ფლობდა თუ არა ქართულ ენას, მათი ქართველობა ეჭვის საფუძველს არ ტოვებდა. იმპერიის ოფიციოზმაც, რომელიც ასევე ვერ იყო გათავისუფლებული შუასაუკუნოებრივი სტერეოტიპებისაგან, ისინი თურქებად («ომარის სექტის მუსლიმებად») მიიჩნია. ამავე პოზიციაზე დადგა საბჭოთა ხელისუფლებაც. ამიტომ მან ეს ხალხი მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთის პოტენციურ მოკავშირედ აღიქვა და, გარკვეული გეოპოლიტიკური მოსაზრებების გამო, აღნიშნული ტერიტორიის მუსლიმი მოსახლეობისაგან გაწმენდა განიზრახა. 1944 წლის 15-16 ნოემბერს მესხეთის 100 000-ზე მეტი მკვიდრი (რეგიონის თითქმის ყველა მუსლიმი) მამაპაპეული კერებიდან აყარეს და ეშელონებით, წარმოუდგენელი სისასტიკის პირობებში, შუა აზიაში გადაასახლეს. გაასახლეს ასევე ყირიმელი და ჩრდილოკავკასიელი მუსლიმები, ძირითადად — ჩეჩნები და ინგუშები. ომის დამთავრებისა და სტალინის გარდაცვალების შემდეგ ყველა გადასახლებულმა რეპატრიაციის უფლება მიიღო, გამონაკლისს მხოლოდ მესხები წარმოადგენდნენ. ფერღანის გახმაურებული ტრაგედიის (1989 წლის ივნისი) შემდეგ მუსლიმი მესხების სამშობლოში დაბრუნების პრობლემამ მეტი სიმძაფრე შეიძინა, მაგრამ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ და ქართველი საზოგადოების ზოგიერთმა წარმომადგენელმა, ამ საკითხთან დაკავშირებით, მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოავლინა, რის გამოც პრობლემა მოუგვარებელი დარჩა. ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ 1999 და 2004 წლებში მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე გასახლებულთა ეტაპობრივი რეპატრიაციის ვალდებულება იკისრა, 2007 წელს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი იძულებით გადასახლებულ პირთა დაბრუნების შესახებ, მაგრამ მუსლიმი მესხების მასობრივი დაბრუნება, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ჯერჯერობით ვერ ხორციელდება.

მუსლიმთა კომპაქტური დასახლებები ყვარლის, ლაგოდეხის, თელავისა და ახმეტის რაიონებშიც გვხვდება. ისინი დაღესტნელები (ლეკები) და ქისტები არიან. მათი სარწმუნოება სუნიტურია, რადგან ისლამი კავკასიაში თურქეთიდან, სუნიტების ქვეყნიდან, შემოვიდა. ამასთანავე, დაღესტნურ-ჩეჩნურ-ინგუშურ სუნიზმს ასკეტურ-მისტიკური მიმდინარეობის — სუფიზმის — გავლენა ეტყობა. სუფიები კი, როგორც წესი, პოეზიის სიყვარულით და ცხოვრების მარტივი სტილით გამოირჩევიან. კავკასიელი მთიელების სულიერ ცხოვრებაში სუნიტურ-სუფიური პრაქტიკა მთის ადათ-

წესებს უმტკივნეულოდ შეერწყა, რის შედეგადაც ერთობ ორიგინალური რელიგიური სინამდვილე (პაგანიზებული, სოფლური, ხალხური ისლამი) წარმოიქმნა. კავკასიაში მუსლიმი და ქრისტიანი მთიელები ხშირად ერთად ლოცულობენ. მაგ., ანატორის ჯვარში დღესასწაულზე შატილიონ ქრისტიანებთან ერთად ქისტი მუსლიმებიც მიდიან. ასე ხდება ხახმატის ჯვარშიც, რის გამოც მას ადგილობრივები «რჯულიან-ურჯულოთა სალოცავს» უწოდებენ. ბოლო დრომდე მუსლიმები ალავერდობაზეც დადიოდნენ (ახმეტა), მიჰყავდათ საკლავი, ანთებდნენ სანთლებსა და დამწყალობების წესებს მთიელთა ტრადიციისამებრ ასრულებდნენ.

პანკისის ხეობის (ახმეტის რაიონის) ქისტები ეთნიკურად და ენობრივად ჩეჩნების მონათესავე ტომია და XIX საუკუნის შუა წლებამდე ახლანდელი ჩეჩნეთის ტერი-ტორიაზე სახლობდნენ.

ჩეჩენ-ქისტები უფრო მეტად სოფლურ (პაგანიზებულ) ქრისტიანობას მისდევდნენ, თუმცა ადრე იქ ეკლესიურ-კანონიკური ქრისტიანობაც საკმაოდ ფესვგადგმული ყოფილა. როდესაც ჩრდილო კავკასიას რუსეთის ჯარები მოადგნენ, ადგილობრივმა ტომებმა ყურადღება ისლამის მიმართ გაამახვილეს, რადგან მისი დროშის ქვეშ ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებასა და რუსეთისაგან თავის მოზღუდვას ცდილობდნენ. 1785 წლის გაზაფხულზე შეიხმა მანსურმა (ადრინდელი, მწყემსობისდროინდელი სახელით — უშურმა) რუსეთის წინააღმდეგ ღაზავათი (ჰაზავათი) გამოაცხადა და მხარის ისლამიზაციის პროცესი გააქტიურა. ქისტები, რომლებიც პანკისის ხეობაში XIX საუკუნის 20-30-იან წლებში ჯგუფ-ჯგუფად ჩამოსახლდნენ, მეტწილად, ქრისტიანები იყვნენ. გაშენდა სამი სოფელი, რომელთაგან ერთში, დუისში, მუსლიმები ცხოვ-რობდნენ, ორში — ჯოყოლოსა და ომალოში — ქრისტიანები. ისინი, თითქმის მასობრივად, XX საუკუნის შუა წლებში, კომუნისტური რეჟიმის პირობებში, გამუსლიმდნენ. მათ შორის ისლამის, უფრო ზუსტად, სუნიზმის ის სახეობა დაინერგა, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩეჩენთა რელიგიურმა ლიდერმა შეიხმა ქუნთ-ჰაჯიმ ჩამოაყალიბა. მას ზიქრულლაჰი ანუ, მეორენაირად, ზიქრიზმი ეწოდება. «ზიქრ» არაბული სიტყვაა და «ხსენებას» ნიშნავს. იგულისხმება უფლის მოუკლებელად გახსენება და მისი სახელის «ალლაჰის» მუდმივი განმეორება.

ზიქრულლაჰი, იგივე ზიქრიზმი, რომელსაც ბუნთ-ჰაჯის მიმდევრობასაც უწოდებენ, სინკრეტული რწმენაა, — სუნიზმისა და აღმოსავლური მისტიციზმის კონგლო-მერატი. იგი შეხამებულია ადგილობრივ კოლორიტთან და ტრადიციებთან და მთის ქრისტიანული წეს-ჩვეულებების მიმართაც (საკლავის დაკვლა, სანთლის დანთება, ჯვარ-ხატებში სიარული) ლოიალობით გამოირჩევა. მას ზეშთაგონებული რიტუალები და ლოცვები ახასიათებს, რაც მამაკაცთა რიტუალურ წრებრუნვებსა და მედიტაციებში გამოიხატება. განსაკუთრებით საინტერესოა ნაზმები (გალობანი), რომლებსაც ქალები ერთობ შთამბეჭდავად ასრულებენ. ქისტების უმრავლესობა, 4000-მდე, ქბუნთ-ჰაჯის მიმდევარია. მათ სულიერ ლიდერს იმამი ეწოდება. არიან სხვა წესის მუსლიმებიც. მათგან ყველაზე მეტად ვაჰაბიტები აქტიურობენ.

ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბიზმი არაბული ქვეყნებიდან შემოსულმა მუჯაჰედებმა (ისლამისათვის მეომრებმა) შემოიტანეს. მათგან ყველაზე ცნობილი იყო იორდანელი არაბი ხატაბი. მან «სუფთა ისლამი» (ვაჰაბიზმი) ჩეჩენ მეომრებს შორის წარმატებით

გაავრცელა. ამ მეომრებმა კი მისი პანკისის ხეობაში გადმონერგვა სცადეს, მაგრამ დღესდღეობით ხეობაში ამ მიმართულების კვალი ნაკლებად შეიმჩნევა.

საქართველოში ისლამის მიმდევრად თავს, 2002 წლის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 433 784 მოქალაქე, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 9,9% მიიჩნევს (თბილისის მეჩეთის მონაცემით კი, საქართველოში მორწმუნე მუსლიმების რიცხვი 500 000-ს უდრის). საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გა-მოკლებით) დღეისათვის (2008) 286 მეჩეთი და სალოცავი სახლი მოქმედებს. შენდება კიდევ 5 მეჩეთი.

ნუგზარ პაპუაშვილი

რელიგიური ფუნდამენტალიზმი

რელიგიური ფუნდამენტალიზმი (ლათ. *Fundamentum* — საფუძველი) — ტენდენცია, რომელიც გამოხატავს კონსერვატიული რელიგიური წრეების რეაქციას სეკულარიზაციის (იხ. სეკულარიზაცია) მიმართ. ეს ტერმინი პირველად XX საუკუნის დასაწყისში გამოიყენეს ამერიკელ პროტესტანტთა შორის გამართული პოლემიკის დროს. 1910-13 წლებში ევანგელისტმა პროტესტანტებმა გამოაქვეყნეს პამფლეტების ციკლი სახელწოდებით საფუძვლები (The Fundamentals), რომელიც ბიბლიის სიტყვა-სიტყვით გაგებას ემხრობოდა და იცავდა მას თანამედროვე ინტერპრეტაციებისგან.

დღეს რელიგიურ ფუნდამენტალიზმში იგულისხმება სწორხაზოვანი რელიგიური იდეოლოგია ან თანამედროვე რელიგიური ცნობიერების ერთი ტიპი, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელი, ე.წ. აბრაამული რელიგიებისათვის (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი), თუმცა ამ ცნობიერებას პარალელები ინდუიზმში, სიქჰიზმში, ბუდიზმსა და კონფუციანელობაშიც მოეძებნება. სხვადასხვა რელიგიურ კონტექსტში ფუნდამენტალიზმის გამოვლენას სხვადასხვა მიზეზი აქვს, მაგრამ შესაძლებელია ლაპარაკი გლობალურ რელიგიურ ფუნდამენტალიზმზეც, როგორც განსაკუთრებულ ფენომენზე. მისი წარმოშობა 1970-იან წლებში აშშ-ისა და ლათინური ამერიკის პროტესტანტულ ეკლესიებში ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის გაძლიერებას უკავშირდება, რაც ტიპოლოგიურად ისეთივე მოვლენა იყო, როგორიც კათოლიკური «ოპუს დეი», აიათოლა ხომეინის «ისლამური ფუნდამენტალიზმი», ებრაული «გუშ ემუნიმ» და სხვ.

რელიგიური ფუნდამენტალიზმი კულტურის დესაკრალიზაციის პროცესის წინააღმდეგია. იგი წმიდა წერილებში (თორაში, ბიბლიაში, ყურანში, აგრეთვე თალმუდში, წმიდა მამების ნაწერებში, პაპის ენციკლიკებში, შარიათის კანონებში) გადმოცემულ ღვთიურ გამოცხადებას აბსოლუტურ ავტორიტეტად მიიჩნევს და მოითხოვს წმიდა ტექსტების პირდაპირ, ზედმიწევნით, ერთმნიშვნელოვან გაგებას

და გამორიცხავს ყოველგვარ ჰერმენევტიკულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ტექსტის მრავალმხრივი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი. რელიგიური ფუნდამენტალიზმი ეწინააღმდეგება აზრის მრავალფეროვნებას, რასაც, მისი აზრით, აუცილებლად მივყავართ რელატივიზმთან — რამდენიმე ჭეშმარიტების თანაარსებობის დაშვებასთან ერთი რელიგიური ტრადიციის ფარგლებშიც კი.

ასეთი რელიგიური მიმართების შედეგი, როგორც წესი, ულტრამემარჯვენე ტენდენციების გამომხატველი პოლიტიკური პოზიციაა.

რელიგიური ფუნდამენტალიზმის თვალსაზრისით, ისტორიის საზრისი ღმერთისა და ეშმაკის, სიკეთისა და ბოროტების ძალთა დაპირისპირებაში ძევს. ამგვარი ისტორიოსოფია გულისხმობს ისტორიული ევოლუციის იდეისა და განვითარების უარყოფას და ბადებს აპოკალიფსის მოლოდინის გაძლიერებულ განცდას. ფუნდამენტალიზმის მომხრეები ისტორიის განვითარების ბოლო ასწლეულს ბოროტი ძალების გამარჯვებად და «სამყაროს დასასრულად» განიხილავენ, რაც გამოიხატება ურწმუნოებასა და საზოგადოების მორალურ დეგრადაციაში (დასავლურ საზოგადოებებში), სეკულარული სიონისტური იდეოლოგიის გამარჯვებაში (იუდეველთა შორის), დასავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ექსპანსიაში (მაჰმადიანურ ქვეყნებში). ამის მიზეზს ისინი საზოგადოებაზე რელიგიის განმსაზღვრელი გავლენის შესუსტებასა და არარელიგიური ჰუმანიზმის გაძლიერებაში ხედავენ. ამგვარ სიტუაციაში რელიგიური ფუნდამენტალისტები თავს რჩეულ ხალხად მიიჩნევენ, რომელთა მიზანი ისტორიაში ღმერთის გამარჯვების უზრუნველყოფაა.

რელიგიური ფუნდამენტალიზმის განსაკუთრებულობა ის არის, რომ იგი წარსულის ტრადიციებისაკენ დაბრუნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის დომინირების ფორმათა აღდგენისაკენ მოწოდებისას, «ჩვეულებრივი» კონსერვატიზმისაგან განსხვავებით, «სამყაროს ახალი წყობის» შენების თანამედროვე პროექტად გვევლინება, რომელიც ჰუმანიზმისა და დემოკრატიის პრინციპების უარყოფასა და ტოტალიტარული რელიგიური იდეის დამკვიდრებაზეა ორიენტირებული, ოღონდ თანამედროვე ცივილიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. რაკიღა რელიგიური ფუნდამენტალიზმი იმ აქსიომას ეყრდნობა, რომ ადამიანი ბუნებით ცოდვილია და ამის გამო არ შეუძლია ადეკვატურად აღიქვას ღვთაებრივი მოწოდება და ზეგარდმოვლენილი კანონები, იგი გვთავაზობს მთელ მსოფლიოში აღვადგინოთ წესრიგი, რომელიც ღმერთის სახელით მოლაპარაკე თეოკრატიულ მმართველობას ეფუძნება და ართმევს საზოგადოებას ბოლო ასწლეულების განმავლობაში მოპოვებულ უფლებას ინდივიდუალურ და სოციალურ ავტონომიაზე.

ეზიდიზმი

ეზიდიზმი (იეზიდიზმი), ანუ ქურთულად ეზდიატი, ტრადიციულ და ნაციონალურ რელიგიათა რიცხვს მიეკუთვნება. ითვლება, რომ მას დასრულებული სახე შეიხ ადი იბნ მუსაფირმა ახალი წელთაღრიცხვის XII საუკუნეში მისცა.

ამ რელიგიის მიმდევრები ეზიდებად იწოდებიან და წარმოადგენენ სუბეთნოსს დიდ ქურთულ ეთნიკურ ჯგუფში. მათი სუბეთნოსად ჩამოყალიბება მრავალსაუკუნოვანი დევნით არის განპირობებული.

გავრცელების არეალი და ისტორია

სხვადასხვა წყაროს თანახმად, ეზიდების რიცხვი მილიონს აღწევს. მათი ძირითადი ნაწილი ისტორიულ სამშობლოში — სამხრეთ ქურთისტანში (ერაყში), დოჰუკის მიდამოებში, შეიხანის ოლქსა (ყაზა) და შანგალის მთიან რაიონებში ცხოვრობს. სამხრეთ-დასავლეთ ქურთისტანში (სირიაში) ეზიდები კომპაქტურად ყამიშლისა და ჰასაქას მიდამოებში ცხოვრობენ. მათი სოფლები, აგრეთვე, აფრინის (ალეპო) ოლქში არის მიმოფანტული. ჩრდილოეთ ქურთისტანში (თურქეთში) ეზიდთა დასახლებები დიარბაქრის, ბატმანის, მარდინის, სერტის, ვერანშაჰარის პროვინციებშიც გვხდება. ეზიდთა დიდი სათვისტომოები უკრაინაში, რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც (ძირითადად, გერმანიაში) არსებობს.

ეზიდები ცხოვრობენ სომხეთსა და საქართველოში. ისინი აქ ვანის ვილაიეთიდან, ბაიაზიდის სანჯაყის, სურმალის მაზრისა და ყარსის ოლქიდან გადმოსახლდნენ. ეს პროცესი ოსმალეთის იმპერიაში მუსლიმი მოსახლეობის მიერ ეზიდების დევნამ განაპირობა.

ქურთისტანის ტერიტორიაზე, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XIX საუკუნის ჩათვლით, დამოუკიდებელი (ძირითადად, ნახევრად დამოუკიდებელი) ქურთული სამთავროები არსებობდა, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდნენ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე. XIII-XIV საუკუნეებში ზოგიერთ სამთავროში, ძირითადად, ეზიდური რელიგიის მიმდევარი ქურთები ცხოვრობდნენ.

ქურთული ტომები X საუკუნემდე ებრძოდნენ ისლამის გავრცელებას ქურთისტანში. თუმცა ამ პროცესის შეჩერება, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მოახერხეს და უკვე X საუკუნეში ქურთთა ნაწილმა ისლამი მიიღო.

ქურთი უფლისწული და მემატიანე შარაფ ხან ბიდლისი (XVI ს.) მოწმობს, რომ ჩრდილოეთ ქურთისტანის დიდგვაროვნები — ბოჰტანის, ჰაქარის, ბაჰდინანის, დას-

ნის, და ა.შ. მმართველები — ეზიდური რელიგიის მიმდევრები იყვნენ. ომაელთა ხალიფების დროს ეზიდები და სხვა არამუსლიმი მოსახლეობა გაცილებით ნაკლებად იდევნებოდა, ვიდრე აბასელთა ბაღდადის სახალიფოში. აბასელებმა მიზნად დაისახეს ძველი რელიგიის მიმდევარ ქურთთა საბოლოოდ გამუსლიმება და სადამსჯელო ექსპედიციები მოაწყვეს. ამ დროისათვის ეზიდთა წინაპრები, რომლებიც დასნებად მოიხსენებიან, დამარცხდნენ. მათ დაკარგეს თავიანთი წმინდა ადგილები, რომლებსაც მუსლიმები და ადგილობრივი ნესტორიანელები დაეპატრონენ.

XII საუკუნეში ეზიდებმა მოახერხეს გაერთიანება შეიხ ადი იბნ მუსაფირის მეთაურობით, რომელიც უაღრესად განათლებული პიროვნება იყო და სირიაში ერთ-ერთ გამოჩენილ ღვთისმეტყველად ითვლებოდა.

ეზიდებმა შეიხი ადი ღმერთის მოგზავნილად აღიქვეს, მხსნელად აღიარეს და მისი მიმდევრები გახდნენ. შეიხმა ადიმ მოახერხა ეზიდთა წმინდა ადგილების, კერძოდ, უძველესი ტაძრის — ლალიშის დაბრუნება. შეიხი ადის გარშემო მრავალი მოსწავლე შეიკრიბა, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ იგი ქვეყანას მათ დასახსნელად მოევლინა. შეიხი ადი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა და ლალიშში არის დაკრძალული, სადაც ყოველ წელს მრავალი ეზიდი პილიგრიმი ჩადის. ცნობილია, რომ შეიხი ადი ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა, იგი არ დაოჯახებულა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, შეიხ ადიმ ეზიდიზმში გარკვეული ცვლილებები შეიტანა და მას ეზიდური რელიგიის რეფორმატორს უწოდებენ.

შეიხ ადის შემდეგ ეზიდთა დევნა ისევ განახლდა, რამაც ეზიდების რაოდენობის შემცირება გამოიწვია. ეზიდებს არაბების, თურქებისა და სპარსელების გარდა, გამუსლიმებული ქურთებიც ავიწროებდნენ.

ეზიდიზმის წარმომავლობა

ეზიდიზმის წარმომავლობისა და ჩამოყალიბების შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი მეცნიერებს შორის. ზოგიერთი მეცნიერი სიტყვა ეზიდს და ეზიდების წარმომავლობას ირანულ ქალაქ იეზდს უკავშირებს, ზოგი კი ძველ ირანულ სიტყვას — იაზატას, ზოგი ომაელ ხალიფა იაზიდ იბნ მუავის და ა.შ.

ცხადია ის, რომ ეზიდიზმი ერთ-ერთი ძველი აღმოსავლური რელიგიაა, რომლის ფესვები შუამდინარეთის უძველეს კულტებთან ამჟღავნებს კავშირს. იგი ერთბაშად არ გაჩენილა და მრავალი საუკუნის განმავლობაში, საკუთრივ ქურთულ სივრცეში, უძველესი ხალხური წარმოდგენების საფუძველზე ვითარდებოდა და ყალიბდებოდა. როგორც ჩანს, თავდაპირველად, ეზიდთა წინაპრები მზეში, მთვარესა და ვარსკვლავებში, აგრეთვე ბუნების ოთხ სტიქიონში ხედავდნენ ღვთაებრივ ძალას. მათ — ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი სიწმინდეებად მიაჩნდათ.

მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგად ეზიდიზმი საბოლოოდ მონოთეისტურ რელიგიად ჩამოყალიბდა. ეზიდები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ერთი ღმერთი არსებობს, რომელმაც შექმნა სამყარო და მის გარეშე არაფერი ხდება ქვეყნად. ღმერთი — ხუდე ან იაზდანი (ეზიდი) არის ყველგან და ყველაფერში, ის არის სიყვარული და

სინათლე, რომელიც სხადასხვანაირად ევლინება ადამიანებს. მაგალითად, მზის სითბოსა და სხივებში ეზიდები ღვთის სინათლეს ხედავენ და ამიტომ ლოცვისას მზის მიმართულებით იყურებიან.

ეზიდები ღმერთს და მის ანგელოზებს ეთაყვანებიან და მიიჩნევენ, რომ ანგელოზები ღვთის ნებას აწვდიან მათ. ანგელოზებს სათავეში მალაქ ტაუსი უდგას, რომელიც ღმერთის ნებით მართავს სამყაროს (ანგელოზთა სიმბოლოდ ეზიდიზმში ფარშევანგი ითვლება, რომლის სპილენძის გამოსახულება ეზიდთა რელიგიური ნიშანია.

მკვლევართა უმრავლესობა ეზიდიზმსა და ზოროასტრიზმში ბევრ საერთოს ხედავს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ორ რელიგიას შორის ფუნდამენტური განსხვავება არსებობს. საქმე ის არის, რომ ეზიდიზმი ძველი არიული და მესოპოტამიური წარმოდგენების ბაზაზე შეიქმნა. ეზიდიზმის თანახმად, ღმერთი ერთია და ის ყოვლისშემძლეა. კეთილიც და ბოროტიც, ბნელიც და ნათელიც, დღე და ღამეც და ა.შ., მისი ნებით არსებობს. ეზიდები თვლიან, რომ ყველაფერი მისი ნებით ხდება და შეუძლებელია, რომ ბოროტების ღმერთი ან ღვთაება არსებობდეს, რომელიც ყოვლის შემოქმედ ღმერთს შეიძლება წინ აღუდგეს. მაგრამ ღმერთმა ეს სამყარო მრავალფეროვანი შექმნა, რათა ადამიანს შეეძლოს კარგისა და ცუდის ერთმანეთისგან გარჩევა. ეს უძველესი წარმოდგენები მითრაიზმში, ზურვანიზმსა და შემდეგ ეზიდიზმში გადაიზარდა. ამის საპირისპიროდ ზარატუშტრა (ზოროასტრი) ქადაგებდა, რომ არსებობს ნათელი ღვთაება ახურა მაზდა და ბნელი ღვთაება ანხრა მანიუ, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან. ცნობილია, რომ ზოროასტრი წინაპართა ძველ რელიგიას დაუპირისპირდა და ირანის სამხრეთით გადაიხვეწა. აქედან გამომდინარე, ეზიდიზმსა და ზოროასტრიზმს მრავალი საერთო, მაგრამ მრავალი ერთმანეთისგან განსხვავებული ელემენტიც აქვთ.
როცა ქურთისტანის ტერიტორია არაბთა სახალიფოს საზღვრებში მოექცა, ეზიდები იძულებულნი გახდნენ ახალ რეალიებს მორგებოდნენ და ამ მისიის შესრულება შეიხმა ადი იმბნ მუსაფირმა შეძლო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XII საუკუნეში შეიხმა ადიმ მოახერხა ეზიდთა გაერთიანება, ხოლო მისმა მიმდევრებმა ეზიდური საზოგადოების რეფორმირება მოახდინეს და ისეთი სისტემა შექმნეს, რომელიც სხვადასხვა რაიონში დასახლებულ ეზიდებს ერთმანეთთან დააკავშირებდა (შეიხი ადი წმინდა ტრიადაში შედის და ის მთავარანგელოზის გამოვლენად ითვლება: მალაქ გაუსი, ეზიდი, შეიხი ადი).

შეიხი ადი ცნობილი სუფიების თანამოაზრე იყო, რამაც გავლენა მის მიმდევრებზეც იქონია. ეზიდები სუფიებში თავიანთ მოკავშირეებს ხედავდნენ მათდამი მტრულად განწყობილი ორთოდოქსი მუსლიმების წინააღმდეგ.

წმინდა ტექსტები

ეზიდური რელიგია წმინდა რელიგიურ ტექსტებს — ყავლებს (სიტყვა), ანუ ღვთაებრივ მეცნიერებას ეფუძნება, რომელთა ავტორიტეტი ურყევია მორწმუნე ეზიდისათვის. ეზიდთა მსოფლმხედველობა, კოსმოგონია, მცნებები, ზნეობრივი კოდექსი, ისტორია და სხვა ამ ტექსტების მეშვეობით არის წარმოდგენილი. ეს ტექს-

ტები, ძირითადად, ზეპირად გადაეცემოდა მცოდნე ოსტატებისაგან (ჰოსტა) მომდევნო თაობას. თუმცა ირკვევა, რომ ისინი წერილობითი ფორმითაც არსებობდნენ, მაგრამ ეზიდებზე ხანგრძლივი თავდასხმების შემდეგ ხელნაწერები განადგურდა და XIII საუკუნიდან ზეპირგადმოცემა ტრადიციად იქცა. ამ ტექსტებს არაერთი ავტორი ჰყავს, რომელებიც ეზიდთა წმინდანები არიან. მაგალითად, დარვეშ ყათანი, შეიხ ფახრი, ფირ რაშე ჰაირანი, პესე ჯამი, ჰასად თაური და ა.შ. ესენი, ძირითადად, შეიხ ადის მოსწავლეები არიან, რომლებმაც მდიდარი პოეტური ხასიათის რელიგიური ლიტერატურა შექმნეს, სადაც შეიხ ადის და სხვა წმინდანთა ცხოვრება არის აღწერილი. მათ მოახდინეს, აგრეთვე, უძველესი ტექსტების რედაქტირება და ისინი იმდროინდელი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი ფორმით გამართეს. ეზიდური ტექსტები, ძირითადად, ქურთულად (კურმანჯიზე) არის შექმნილი.

ეზიდთა წმინდა ტექსტები უძველეს ინფორმაციას გვაწვდიან ქურთი ხალხისა და, საერთოდ, ძველი მესოპოტამიის მოსახლეობის რელიგიურ წარმოდგენებზე.

გარდა ყავლებისა, არსებობდა ორი ცნობილი წიგნი — «მასჰაფა რაშ» და «ქეთება ჯელვა» («შავი წიგნი» და «გამოცხადების წიგნი»), რომელთა დედანი დაკარგულია და ჩვენამდე მხოლოდ მათმა ფრაგმენტებმა მოაღწია. ეზიდთა სასულიერო პირები მათ არ აღიარებენ, ვინაიდან თვლიან, რომ ეს ფრაგმენტები არ შეიძლება სანდო იყოს. ცნობილია, რომ ეს წიგნები, განსაკუთრებული ეზიდური ანბანით, ქურთულ ენაზე იყო დაწერილი. ამ ორი წიგნის გარდა, არსებობს არაბულ ენაზე ტყავზე დაწერილი წიგნები «მშურ», რომლებშიც წმინდანთა ცხოვრება და მათი ხალხთან ურთიერთობა არის აღწერილი. ეს ხელნაწერები ეზიდთა სასულიერო გვარების წარმომადგენლებს — ფირებს ეკუთვნის და დღემდე მათ ოჯახებში ინახება. ის წიგნები XIII საუკუნით თარიღდება.

მაშასადამე, ეზიდიზმის ძირითად წყაროს ყავლები წარმოადგენს, სადაც ნათქვამია, რომ ეზიდმა მხოლოდ სიკეთე უნდა დათესოს თავისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში. ეზიდიზმში, როგორც სხვა რელიგიებში, ძირითადი მცნებებია: არა კაც კლა, არ იმრუშო, არ მოიტყუო და ა.შ.

«თუ ნახე ვინმე
და სიკეთე გააკეთე,
ნუ ჰკითხავ, რა რჯულის ხარ.

თუ გააკეთე სიკეთე,
წყალს გაატანე იგი
და არ დაიკარგება ის ღმერთთან».

ეზიდთა წმინდა ტექსტიდან

ერთ-ერთი მცნება ის არის, რომ ეზიდმა ყველა გაჭირვებულ ადამიანს, მისი რჯულისა და აღმსარებლობის მიუხედავად, დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს.

ეზიდებს სწამთ, რომ ყველა სხვა რელიგია ღმერთის ნებით არსებობს, მაგრამ ისინი მხოლოდ ჭეშმარიტი ცოდნის ცალკეული ნაწილებია. ღვთის სრულყოფილი ცოდ-ნა

(ზანინა ხუდე, ან «ილმე ხუდე») მხოლოდ ეზიდთა წმინდანებმა მიიღეს ღმერთისგან ყავლების სახით.

ეზიდები პატივისცემით ეპყრობიან სხვა რელიგიის მოციქულებსა და დამაარსებლებს: აბრაამს, მოსეს, იესოსა და ა.შ., თუმცა მათი ცხოვრების შესახებ თავიანთი ვერსიები აქვთ. ისინი თვლიან, რომ ეზიდთა ღმერთმა (ხუდემ) ეს მოციქულები გაუგზავნა სხვადასხვა ხალხს, რომ ისინი ჭეშმარიტ გზაზე დააყენოს.

ეს ეპიზოდები სულიერი შინაარსისაა და თითოეული მათგანი გარკვეულ თეოლოგიურ ცოდნას შეიცავს, რომლის ამოკითხვა და გააზრება რჯულის მეცნიერთა, განსწავლულ ღვთისმსახურთა ქადაგებებშია მოცემული. ეს ის ლიტერატურაა, რომელსაც ებრაულ და ქრისტიანულ ტრადიციაში ეგზეგეტიკა ჰქვია.

მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია ეზიდური ტექსტების შესწავლა და სხვა რელიგიების ტექსტებთან მათი შედარებითი ანალიზი. სამწუხაროდ, ეზიდთა საზოგადოების კარჩაკეტილობის გამო, მათი მრავალი წმიდა ტექსტი დღემდე არ იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის.

კოსმოგონია და ესქატოლოგია

უაღრესად საინტერესოდ არის აღწერილი ეზიდთა წმინდა ტექსტებში სამყაროს შექმნა. მათი მოძღვრების თანახმად ღმერთი არის შემოქმედი, რომელმაც შვიდი დღის განმავლობაში შექმნა სამყარო. თავისი არსიდან ჯერ შექმნა მარგალიტი, რომელიც სამყაროს თესლს, ანუ დასაბამს წარმოადგენდა. შემდეგ ის თვითონ მოთავსდა მარგალიტში, რომელიც მისი დიდებული მზერისაგან გასკდა და უსაზღვრო ზღვად იქცა. შექმნა ზეცა, მნათობები და ა. შ. ღმერთი ყოველდღე თავისი სინათლისგან ქმნიდა თითო ანგელოზს — სულ შვიდი ანგელოზი შექმნა. უფალმა სამყაროს მმართველობა მათ ჩააბარა.

ღმერთმა (ხუდე) გაგზავნა ანგელოზები ზღვის ზედაპირზე და მისი ბრძანებით მათ ხმელეთი შექმნეს, რის შემდეგაც ოთხი ელემენტი (ჰაერი, მიწა, წყალი და ცეცხლი) ერთმანეთში შეაზავეს და პირველი ადამიანი (ადამი) გამოძერწეს. შემდეგ მისი ნეკნიდან მეგობარი არსება — ქალი შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ ეზიდური ვერსია თორაში ნახსენებ ადამის და ევას სახელებს იმეორებს, ის მნიშვნელოვნად განსხვავდება იუდეური და ისლამური ვერსიებისაგან. როგორც ჩანს, ამ სახელებმა ჩაანაცვლა ძველი ეზიდური სახელები.

ეზიდური კოსმოგონიის თანახმად, ადამიანის გამრავლება თავიდანვე იყო გათვალისწინებული და ის არ უნდა ყოფილიყო ადამისა და ევას მიერ ცოდვის ჩადენის შედეგი.

ადამი და ევა სამოთხის წალკოტში (ბეჰეშტ) ცხოვრობდნენ და მონელებულ საჭმელს ოფლთან ერთად გამოყოფდნენ. მათ არც სასქესო ორგანოები ჰქონდათ. ღმერთის დავალებით, ანგელოზმა მათ ხორბალი შეაჭამა, რის შედეგადაც გასივდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ გაუჩნდებათ მათ სასქესო ორგანოები გამრავლებისათვის.

ადამსა და ევას შორის კამათი წარმოიშვა, თუ რომელია მათ შორის უპირატესი და ვისგან წარმოიშვება კაცობრიობა. ბოლოს ადამი დაიმორჩილებს ევას, რომელიც მას ორ ვაჟს გაუჩენს — კაენსა და აბელს. კაენის მიერ აბელის მოკვლის შემდეგ ადამი და ევა ერთმანეთს ადანაშაულებენ მათი შვილების ცოდვაში. მთავარანგელოზი (ტაუსი მალაქი) დაარიგებს მათ, ორი დოქი გამოძერწონ, თითოეულმა თავის დოქში თავისი ნერწყვი მოათავსოს და მიწაში ჩაფლას, როცა ადამი თავის ნერწყვს დოქში ათავსებდა, ტაუსი მალაქმა მის ნერწყვში ანგელოზთა თესლი გაურია. ცხრა თვის შემდეგ მათ, ანგელოზის დავალებით, გახსნეს დოქები. ევას დოქში მატლები აღმოჩნდა, ხოლო ადამის დოქში მამრობითი სქესის ემბრიონი, რომელსაც შეიდ ბენ ჯარს (შეიდი დოქის შვილს) დაარქმევენ. მთავარანგელოზი მოუყვანს მას სამოთხის ქალწულს, რომელიც ჰურიათ იწოდება და მათ შთამომავლობას ეზიდები წარმოადგენენ.

ეზიდთა წმინდა ტექსტების თანახმად, ეზიდთა გენი ადამამდე არსებობდა (ანგელოზთა თესლი), რომელიც ადამის ნერწყვის საშუალებით დოქში აღმოჩნდა. ისინი ევას თავიანთ დედად არ მიიჩნევენ.

ეს მითი მრავალი მკვლევარის ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს. XVI საუკუნეში შვეიცარელმა ექიმმა და ფილოსოფოსმა პარაცელსმა ადამიანის ემბრიონის ხელოვნურად შექმნის თეორია წამოაყენა.

ეზიდებს სულის უკვდავებისა სწამთ და მიიჩნევენ, რომ ცოდვილი სული ჯოჯოხეთში (დოჯაჰ) მოხვდება, ხოლო უცოდველი — სამოთხეში (ბეჰეშტ). გარდა ამისა, მათ მეტემფსიქოზის (თანასუხ) სჯერათ და თვლიან, რომ სული, რომელიც სამოთხის ან ჯოჯოხეთის ღირსი არ აღმოჩნდება, ამ ქვეყანას სხვა ფორმით მოევლინება.

ეზიდიზმში არსებობს ბიბლიასა და ყურანისთვის დამახასიათებელი მოტივები წარღვნის შესახებ. სჯერათ მკვდრეთით აღდგომისა და მხსნელის მოსვლისა, რომელსაც შარფადინს უწოდებენ. ჯერ ქვეყანაზე არეულობა, მკვლელობები და სტიქიური უბედურებები დაისადგურებს, შემდეგ აღმოსავლეთიდან ტირანი მოვა და როცა დასავლეთიდან ამოვა მზე, მოვა შარფადინი და გაანადგურებს მას (ტირანს). ასევე მხსნელი გაანადგურებს ყველა ეკლესიას, მონასტერს, მეჩეთს და ხალხი, ყველა ერთად, ერთ ღმერთს იწამებს.

ვალდებულებები და მცნებები

ეზიდიზმში, სხვა მრავალი რელიგიის მსგავსად, არსებობს ვალდებულებები, რომლებიც ორი სახისაა: ფარზე თარიყატე და ფარზე ჰაყიყატე.

ფარზე თარიყატე მრავალ ვალდებულებას მოიცავს: ლოცვას (დუა), მარხვას (როჟი), სიცოცხლეში ერთხელ მაინც ლალიშში ჩასვლას (ზიარატ ან ჰაჯი), წინადაცვეთას (სუნატ), ორი სახის ნათლობას (ბისკ) და სალოცავში წმინდა წყაროს წყლის სხურებას (მორკერენ), შეწირულებას (ხერატ, ფეტუ, რესმ, ზაქათ), საკლავის შეწირვას (სარბერ,

ყურბან, ხერ), აკრძალული საკვების მიუღებლობას (ღორის ხორცი, კომბოსტო, სალათი) და ა.შ.

ეზიდიზმში მხოლოდ მშრალი მარხვა არსებობს, რაც იმას გულისხმობს, რომ ადამიანმა დღისით არ უნდა ჭამოს. ყოველი ეზიდი ვალდებულია დეკემბრის პირველ პარასკევამდე (აღმოსავლური კალენდრით) მარხვა სამ დღეს დაიცვას. მეოთხე დღეს კი (პარასკევს) დღესასწაულს აღნიშნავენ, რომელსაც უწოდებენ აიდა ეზიდ. ეს დღესასწაული მზის კულტთანაა დაკავშირებული.

ასევე არსებობს სამდღიანი მარხვა თებერვლის მეორე ნახევარში, რომელიც ორ წმინდანს — ხიდირ ნაბისა და ხიდირ აილასს — ეძღვნება. ამ მარხვის დაცვა აუცილებელია მათთვის, ვისაც ხიდირი ან აილასი ჰქვია.

გარდა ამ ორი მარხვისა, უმაღლესი სასულიერო პირები და ის ეზიდები, რომლებიც ასკეტურ ცხოვრებას მისდევენ, წელიწადში ორჯერ (ზამთარსა და ზაფხულში) ორმოცდღიან მარხვას იცავენ (ჩელე ზევესტანე და ჩელე ჰავინე), რაც ისევ ასტრალურ კულტებს უკავშირდება.

ერთ-ერთი უმთავრესი დღესასწაულია ახალი წელი — ჩარშამა სორ (ოთხშაბათის დღესასწაული) ან სარსალ (ახალი წელი), რომელიც აპრილის პირველ ოთხშაბათს (აღმოსავლური კალენდრით) უნდა დაემთხვეს. ამ დღეს ეზიდები კვერცხებს ღებავენ ნაირფრად და მათ ნაჭუჭებს მოხნულ მინდორში ფანტავენ. სახლში შემოსასვლელ კარს თავს გარედან მინდვრის წითელი ყვავილებით მორთავენ და ქადებს აცხობენ. ამ დღეს ქალები საფლავზეც გადიან. ახალი წლის ღამეს მრავალი ეზიდი ლალიშის ტაძარში ხვდება, სადაც დაბნელებისთანავე სასულიერო პირები ღვთაებრივ ცეცხლს გამოიტანენ ტაძრიდან და მრავალი ეზიდი ზეთით გაჟღენთილ ფითილებს უკიდებს ცეცხლს. აღსანიშნავია ისიც, რომ აპრილის თვე წმინდა თვედ ითვლება, რის გამოც აპრილში დაქორწინება იკრძალება.

ოქტომბრის 6-13 პილიგრიმობის დღეებია (ჯამაია შიხადი). სხვადასხვა ქვეყნიდან ეზიდები ლალიშში ჩადიან, სადაც მრავალი რელიგიური რიტუალი იმართება.

არსებობს სხვადასხვა კუთხის ეზიდებისთვის დამახასიათებელი მრავალი სხვა ადგილობრივი დღესასწაული. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთის ეზიდები მარტში აღნიშნავენ გაზაფხულის დღესასწაულს (კლოჩ) და ივნისში — მიცვალებულთა ხსენების (როჯა მაზალ, ანუ სასაფლაოზე გასვლის) დღეს.

ფარზე ჰაყიყატე ხუთ ვალდებულებას შეიცავს და გულისხმობს ეზიდისთვის ხუთი მოძღვრის ყოლას: შეიხი (ოჯახის შეიხი, რომელიც ნათლობის რიტუალს ასრულებს, რაც ერთ წლამდე ასაკის მამრობითი სქესის ბავშვის სიმბოლურ თმის შეჭრას გულისხმობს), ფირი (ოჯახისთვის მლოცველი და მაკურთხეველი), ჰოსტა (ოსტატი, რომელიც წმინდა ტექსტებს ასწავლის ეზიდს), მარაბი (მოძღვარი-დამრიგებელი), ბრე-ხუშკა ახრატე (სულიერი, ანუ იმქვეყნიერი ძმა ან და). ხუთივე სასულიერო კასტის (შეიხი და ფირი) წარმომადგენელი უნდა იყოს. ოჯახის შეიხი და ფირი შთამომავლობით გადადის ყოველი ეზიდური გვარისათვის.

რელიგიური სიმბოლოებიდან (მრწამსიდან) უპირველესია შაჰადა დინ (მოწმობა ეზიდობის შესახებ), რაც წმინდა ტექსტის წაკითხვაში გამოიხატება, რომელშიც გადმოცემულია ეზიდთა სარწმუნოების ძირითადი არსი.

ამასთანავე, მამაკაც ეზიდს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ულვაში, უნდა ეცვას თეთრი პერანგი (კრას), რომლის საყელო მრგვლად უნდა იყოს ამოჭრილი. საყელოზე თეთრი კანტი (თოკ, გრივან) ეკერება, რომელიც მორჩილების სიმბოლოა.

ეზიდებს ეკრძალებათ ლურჯი ფერის (რანგე შინ) ტანისამოსის ჩაცმა, ვინაიდან ეს ზეციური ფერია და, ამავე დროს, შუა საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთში სამგლოვიარო ფერად ითვლებოდა.

გარდა ამისა, ეზიდიზმში არსებობს სამი ბურჯი «სე ჰარფ» (სამი მცნება) და ერთი მათგანის დარღვევის შემთხვევაში, ეზიდი ავტომატურად კარგავს ეზიდობას. მათ ეწოდებათ: შარიათ, თარიყათ, დარბა ხარყა.

შარიათ ან, როგორც სხვანაირად უწოდებენ, დიზკა დანე (ჭურჭელი ლურჯი საღებავით), გულისხმობს, რომ ეზიდმა არ უნდა იქორწინოს სხვა რჯულის ადამიანზე.

თარიყათ ან, როგორც უწოდებენ, შარბკე ზერინ (ოქროს თასი), კასტებს შორის ქორწინების აკრძალვას გულისხმობს.

დარბა ხარყა (ჯვალოსთვის დარტყმის მიყენება), გულისხმობს სასულიერო პირებისადმი პატივისცემას.

ამ სამიდან ერთის დარღვევაც კი საშინელ ცოდვად ითვლება, რასაც დამრღვევის გარიყვა მოსდევს.

ეზიდური საზოგადოების სტრუქტურა

ეზიდები რელიგიურ საზოგადოებას წარმოადგენენ და ეზიდის ყოველდღიური ცხოვრება რელიგიასთან არის დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, ეზიდებს ეკრძალებათ სხვა სარწმუნოების ადამიანთან ერთად ოჯახის შექმნა. ეზიდური რელიგიის თანახმად, ეზიდი დედითაც და მამითაც ეზიდი უნდა იყოს.

ეზიდები სამ შტოდ («კასტად») იყოფიან: შეიხები, ფირები და მურიდები (მურიდი მიმდევარს ნიშნავს). ინდური კასტებისაგან განსხვავებით ეზიდური «კასტები» რელიგიის წინაშე თანასწორნი არიან. აქ არ მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური პრინციპი და ეზიდური საზოგადოება მხოლოდ სულიერ კავშირებზეა აგებული.

შეიხები და ფირები სასულიერო ფენას მიეკუთვნებიან, ხოლო მურიდების ძირითადი ნაწილი ერისკაცები არიან. ერთი კასტიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელია. მურიდებისათვის, რომლებიც ღრმა რელიგიურ ცხოვრებას ეწევიან, არსებობს სხვადასხვა რელიგიური წოდებები: ხლმატ-ქარ, ყავლბეჟ, ქოჩაკ, ფაყირ, ყავალ და ა.შ.

ეზიდური რელიგიის თანახმად, ყოველი ეზიდი თავისი შეიხისა და ფირის მურიდია, ანუ მიმდევარია. ეს შეიხებსა და ფირებზეც ვრცელდება, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინიც თავიანთი შეიხისა და ფირის მურიდები არიან. უბრალო მურიდებისაგან განსხვავებით მათ კიდევ თავიანთი მურიდები ჰყავთ. რელიგიის თანახმად, ამ სამი შტოს წარმომადგენელთა შორის ქორწინება იკრძალება, ვინაიდან მათ მხოლოდ სულიერი კავშირი აქვთ ერთმანეთთან. მათ შორის ქორწინება დისა და ძმის ერთმანეთზე ქორწინების ტოლფასია (ეს შეიძლება შევადაროთ ნათელ-მირონობით დაკავშირებულ ადამიანებს შორის ქორწინების აკრძალვას ქრისტიანობაში).

შეიხები სამ შტოდ იყოფიან: ადანი, ყათანი და შამსანი, რომლებსაც, თავის მხრივ, კიდევ მრავალი განშტოება აქვთ. ამ სამი შტოს წარმომადგენელთა შორისაც იკრძალება ქორწინება.

ფირებიც მრავალგვარად არიან დაყოფილნი: ფირ ჰასნმამანი, ფირ მაჰმარაშანი, ფირ ისებია, ფირ ბარი, ფირ მამშვანი, ფირ ომარხალი, ფირ ხანი და ა.შ. ფირების ზოგიერთ გვარს შორის ქორწინება არ არის ნებადართული, ვინაიდან ზოგიერთ მათგანს მხოლოდ სულიერი კავშირი აქვთ ერთმანეთთან.

ეზიდთა ძირითადი ნაწილი მურიდები არიან და ისინი მრავალ ტომად და გვარად იყოფიან. მურიდებს მიეკუთვნებიან, აგრეთვე, ყავალები, ფაყირებისა და ქოჩაკების მნიშვნელოვანი ნაწილი. ყავალები ეზიდური რელიგიის მქადაგებლები არიან, რომლებსაც წელიწადში ერთხელ ეზიდური სოფლების შემოვლა და მათთვის წმინდა ტექსტების ახსნა აკისრიათ.

ფაყირები ნახევრადასკეტურ ცხოვრებას ეწევიან და მისტიკოსებს მიეკუთვნებიან. ფაყირი მურიდების გარდა, შეიძლება ზოგიერთი შეიხი და ფირიც იყოს.

ქოჩაკები მორწმუნე ეზიდები არიან და ითვლება, რომ ისინი ეზიდებს ანგელოზთა და წმინდანთა ნებას აწვდიან წმინდა ტექსტების საშუალებით.

სასულიერო კრება

ეზიდებს მართავს ეზიდთა სასულიერო კრება, სადაც სხვადასხვა თანამდებობა არსებობს. სასულიერო კრების შეკრების ადგილი შეიხანშია (ერაყის ქურთისტანი). შეიხანი და ბაადრი ეზიდთა სამთავროს ადმინისტრაციული ცენტრები იყო. ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგიდან ოსმალეთის სულთანი ეზიდთა ამირას (მირს) მსოფლიოს ეზიდთა მეთაურად აღიარებდა.

ეზიდებს სათავეში მირი (ამირა) უდგას. ვინაიდან ეზიდები რელიგიურ საზოგადოებას წარმოადგენენ, მირი როგორც რელიგიური, ასევე საერო მეთაურია. მას ეზიდთა და მათი წმინდა ადგილების დაცვა ევალება.

ეზიდთა სულიერი მამა არის ახტიარე მარგაჰი (მარგაჰი — უხუცესი, მარგაჭ — ადგილი, სადაც იეზიდთა მთავარი ტაძარია). ისინი, ძირითადად, შეიხთა ფახრადი-

ნის (შამსანის) გვარიდან ირჩევიან და მათი მეორე წოდებაა ბავე შეხ, რაც შეიხთა მამას ნიშნავს. სასულიერო კრებაში შედიან აგრეთვე: ბავე გავანი, პეშიმამი, ბავე ჩავიში, ყავალთა მეთაური, ფაყირები და სხვა მღვდელმსახურები.

ეზიდთა სასულიერო კრება («დივანა დინ» ან «ჯვატა რუჰანი») თავის გადაწყვეტილებას ეზიდებს შორის ყავალების მეშვეობით ავრცელებს. სასულიერო კრების ნებას ფარშევანგის სპილენძის გამოსახულება ადასტურებს, რომელსაც ყავალები წელიწადში ერთხელ ეზიდთა სოფლებში ატარებენ წმინდა ტექსტების გალობის ფონზე.

ეზიდები საქართველოში

ეზიდთა ურთიერთობა სამხრეთ კავკასიასთან გაცილებით ადრინდელია, ვიდრე ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობდა. ცნობილია, რომ მრავალი ქურთული ტომი კავკასიაში სახლობდა და გამორიცხული არ არის, რომ მათში ეზიდებიც ყოფილიყვნენ.

მაგალითად, ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ ქართულ-ეზიდურ გულთბილ ურთიერთობებს. ცნობილი ფაქტია, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს მიწერ-მოწერა ჰქონდა ეზიდ დიდებულ ჩობან აღასთან, ვისთან ერთადაც იგი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდა, რაც, საბოლოოდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ განხორციელდა.

გარდა ამისა, ეზიდები ოდითგანვე ვანის ვილაიეთიდან, სურმალიდან და ბაიაზეთიდან თბილისში ჩამოდიან სამუშაოდ.

ეზიდთა პირველი ნაკადი რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს გამოჩნდა. საქართველოში ეზიდების ძირითადი მასა 1918 წლიდან იწყებს შემოსვლას, როდესაც ოსმალეთის იმპერიაში ეზიდური რელიგიის მიმდევარ ქურთებს სდევნიან. ეზიდები იძულებულნი იყვნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები მიეტოვებინათ, რადგან მათ წინააღმდეგ რელიგიური დევნა დაიწყო ოსმალთა იმპერიის მუსლიმმა მოსახლეობამ, მათ შორის, მუსლიმმა ქურთებმა. იმ დროს დევნილ ეზიდებს სათავეში ვანელი დიდგვაროვანი ეზიდი ჯანგირ აღა ედგა, რომელმაც ისინი სომხეთსა და საქართველოში გადმოიყვანა.

ეზიდები საქართველოში, ძირითადად, თბილისის ძველ უბნებში დასახლდნენ: სოლოლაკში, ვერაზე, ზემელზე, დიდუბეში, მეიდანზე, ვორონცოვზე და ა.შ. თბილისის გარდა, ეზიდების რამდენიმე კომლი დასახლდა კახეთში (თელავში, წნორში, ყვარელში), თიანეთში (ერწოში, სიონში), ოზურგეთში (ნასაკირალში, გურიანთაში) და ბათუმში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991 წ.) მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო ეზიდური მოსახლეობის ნახევარზე მეტი რუსეთში, უკრაინასა და ევროპის ქვეყნებში გადავიდა. რაკი საზღვრების გადალახვა გამარტივდა, ეზიდებს თავიანთი წმინდა ადგილების, კერძოდ, ლალიშის (ერაყის ქურთისტანი), მონახულების საშუალება მიეცათ, თუმცა საქართველოს ეზიდთა ძირითადი ნაწილი მაინც ვერ ახერხებს იქ სალოცავად ჩასვლას. დღეისათ-

ვის ეზიდებს საქართველოში საკულტო ნაგებობა არ გააჩნიათ და იძულებულნი არიან, მსახურება და სხვა რელიგიური დღესასწაულები ოჯახებში აღასრულონ.

ბოლო 15 წლის განმავლობაში სომხეთისა და საქართველოს ეზიდები სხვა ეკონომიკურად ძლიერი კონფესიების გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ და ბევრი ფორმალურად თუ არაფორმალურად სხვა რელიგიას მიაკუთვნებს თავს. ეს ვითარება ეკონომიკურმა პრობლემებმა და ეზიდური რელიგიის საფუძვლების ზედაპირულმა ცოდნამ განაპირობა.

საქართველოში ეზიდების რაოდენობა, 1989 წლის აღწერის მიხედვით, 30 300 იყო, ხოლო 2002 წლის მონაცემებით ეს რიცხვი მნიშვნელოვნადაა შემცირებული — 19 200.

დიმიტრი ფირბარი

დჰარმული რელიგიები

რელიგიები, რომელთა კონცეფციაში დევს რწმენა ყოფიერების უნივერსალური კანონისადმი — დჰარმისადმი. ყველა დჰარმული რელიგია (სიქჰიზმის გამოკლებით) რწმენის საფუძვლად რეინკარნაციის კარმულ ჯაჭვს მიიჩნევს.

ყველაზე ძველი და ცნობილი დჰარმული რელიგიებია: ინდუიზმი, ჯაინიზმი, ბუდიზმი, სიქჰიზმი.

დჰარმა (დჰარმა — კანონი, წესი) ინდური ფილოსოფიურ-რელიგიური ტერმინია, რომელიც გულისხმობს ადამიანის მიერ მორალური ვალის, ვალდებულებების აღსრულებას, უფრო ფართო მნიშვნელობით კი — სწორი გზით სიარულს. ინდურ ფილოსოფიაში დჰარმა უმაღლესი ჭეშმარიტების ასახსნელი ცენტრალური ცნებაა.

დჰარმა სიტყვასიტყვით არის «ის, რაც აკავებს და იჭერს» (ფუძიდან *დჰრ* — ჭერა) და, ჩვეულებრივ, ითარგმნება როგორც კანონი, მნიშვნელობით — ყოფიერების უნივერსალური კანონი.

ინდური ფილოსოფიური კონტექსტის ისტორიაში ტერმინი *დჰარმა* ყოველთვის გულისხმობდა ცხოვრების გზაზე სწორად მოქცევის იდეას, რომელიც სამყაროს კანონებს ეფუძნება. დჰარმის სიმბოლო დჰარმაჩაკრაა — ინდოეთის ნაციონალურ დროშაზე გამოსახული ცენტრალური მოტივი.

დჰარმულ რელიგიებში (სანატანა დჰარმა, ბუდა-დჰარმა, ჯაინ-დჰარმა, სიქჰიზმი) დჰარმა ცენტრალურ ადგილს იკავებს. ყოველ მათგანს სწამს დჰარმის პრინციპები და იყენებს მათ. ამ რელიგიების სწავლებაში დჰარმა ბუნებისა და ღმერთის, როგორც მისი (ბუნების) თავდაპირველი წყაროს, სწორ გაგებას ნიშნავს. ამ რელიგიური

ტრადიციების მიხედვით, ადამიანები, რომლებიც დჰარმის პრინციპებით ცხოვრობენ, უფრო ადვილად აღწევენ მოკშას, ნირვანას (განთავისუფლებას).

დჰარმა გამოიყენება დჰარმული რელიგიების დამაარსებლების (გაუტამა ბუდას და მაჰავირას) სწავლებებში. ტრადიციულ ინდუისტურ საზოგადოებაში ვარნაშრამა-დჰარმა წარმოადგენს ყოველი ინდივიდის უფლებათა და ვალდებულებათა რელიგიურ-მორალურ დოქტრინას. დჰარმას თავისი ზოგადი მნიშვნელობით აქვს გარკვეული მსგავსება დაოსა და დაოიზმთან.

ინდუიზმი/კრიშნას ცნობიერება

ინდუიზმი — ჩვენამდე მოღწეულთა შორის ძველი აღმოსავლეთის უძველესი (ძ.წ. III ათასწლეულში აღმოცენებული) რელიგიაა, საიდანაც წარმოდგება ქვეყნის სახელწოდება ინდოეთი. კრიშნაიზმი — ინდუსთა ღვთაების, კრიშნას თაყვანისმცემლობაა, რომელიც XX საუკუნის 60-იან წლებში ინდუიზმის საფუძველზე წარმოიშვა და ცალკე დენომინაციად აშშ-ში ჩამოყალიბდა.

ინდუიზმი ინდოეთის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდა. იგი ირანულ-სირიული და ინდოეთის ადგილობრივი კულტების შერწყმის შედეგად შეიქმნა. აბორიგენების ძველი რელიგია, რომელიც თანამედროვე მეცნიერებაში ვედების სახელითაა ცნობილი, პოლითეისტური იყო, მაგრამ ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე მონოთეიზმში გადაიზარდა, თუმცა მრავალღმერთიანობის ნიშნები შეინარჩუნა. წმ. წიგნები — ვედების ციკლი (იქმნებოდა ძვ. წ. 1800 წლიდან) და ეპიკური თხზულებანი (ძვ. წ. 700 წლიდან).

XIX-XX საუკუნეებში ინდუიზმით ბევრი ევროპელი მოაზროვნე დაინტერესდა და სიმპათიებიც გამოხატეს მის მიმართ, მათ შორის — რუსმა მწერალმა და ჰუმანისტმა ლევ ტოლსტოიმაც. ამ რელიგიურ-მისტიკური სისტემით დიდადაა დავალებული თანამედროვე თეოსოფია და ანთროპოსოფია.

ინდუსთა საერთო რიცხვი, 2000 წლის მონაცემებით, 859 მილიონამდე აღწევს. დიდი ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, განსაკუთრებით ინდოეთსა და შრილანკაში, ცხოვრობს. ინდუსთა საკრებულოებს თითქმის ყველა წამყვან სახელმწიფოსა და დიდ ქალაქში შევხვდებით.

ლიტერატურული წყაროები

ინდუსთა წმინდა წიგნებია: 1) ვედები, რომელიც რამდენიმე წიგნს მოიცავს: ბრაჰმანა (ახსნა), არანიაკა (ტყის წიგნი), უპანიშადები (კომენტარები) და სუტრა (სიტყვა-სიტყვით: ძაფი, სამართი, თარგი), 2) მათ გვერდით დგას მაჰაბჰარატა (დიდი ბჰარატა) და რამაიანა, — ვრცელი პოემები, რომელთა მნიშვნელობა ინდოელთა სულიერი კულტურისათვის განუზომელია. ამას ცხადყოფს ინდოეთის რესპუბლიკის სახელი ჰინდი ენაზე — ბჰარატა. ვედების უძველესი შრე ძვ. წ. XIX საუკუნით თარიღდება, პოემებისა (ეპოპეები-სა) — VIII-VII საუკუნეებით.

«მაჰაბჰარატა» გვამცნობს ისტორიულ, ძვ.წ. XI-X საუკუნეების, ამბავს — ძალაუფლებისათვის ბრძოლას ბჰარატთა გვარის ორ შტოს — პანდავებსა და კაურა-

ვებს, ე.ი. პანდუსა და კურუს შთამომავლებს შორის. ეს იყო სასტიკი ომი, რასაც აურაცხელი მსხვერპლი მოჰყვა. სისხლმა დააფიქრა საზოგადოება და გააღვივა მშვიდობისა და სათნოების იმპულსი; შერიგების, პატიების, შეწყალების, საღმრთო ვალის (დჰარმის) შეგნება. ამ წიგნში გამორჩეული ადგილი «ბჰაგავატგიტას» უჭირავს, რომელშიც მეეტლისა და სარდლის — კრიშნასა და არჯუნას — დიალოგია წარმოდგენილია. კრიშნა ღმერთია, მოვლენილი დედამიწაზე პანდავების ნათესავად, მეგობრად და სამხედრო მრჩევლად, მათი გამარჯვების საწინდრად. მას ამკობს ეპითეტები: ბრძენი დამრიგებელი, მეომარი, ბოროტ სულთა დამმარცხებელი, ღვთაებრივი მწყემსი. ლეგენდები მის სიყვარულზე მწყემსი გოგონებისადმი უძველესი დროიდან შესულია ინდურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული წიგნები საღვთო და წმინდა წიგნებად მოიხსენიება, ინდუსებს არა აქვთ ისეთი წიგნი, რჯულის ისეთი შეუვალი ავტორიტეტი და რწმენის ისეთი საყრდენი, როგორიცაა ბიბლია, არ გააჩნიათ ერთი და საყოველთაო სამოძღვრო-საღვთისმსახურო კოდექსი. ამის გამო ინდუსთა სამყარო თეორიებისა და წეს-ჩვეულებათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ინდუსები ამბობენ: «გზები სხვადასხვაა, მიზანი — ერთი». ამ გზების სისტემაში მოყვანა და ანალიზი მკვლევართათვის ადვილი არ არის. გავრცელებულია გამოთქმა: «ინდუიზმი ისევე მოუხელთებელია, როგორც გველი ადამიანის ხელში».

მოძღვრება

ინდუსთა რწმენა, რეზიუმეს სახით, ასე გამოითქმის: 1) არსებობს ის, მხოლოდ ერთი, სხვის გარეშე, 2) ესაა — შენ, 3) მე თავად ვარ ბრაჰმა. ეს ფორმულები მოკლედ ასე გაიშიფრება: ხილული და არახილული სამყარო, მიკროკოსმოსი და მაკროკოსმოსი არსობრივად ერთი და იგივე რეალობა — ერთი სინამდვილის ორი გამოვლინებაა. ეს ქვეყანა არის მაია, ილუზია. მისი ხილვა და განცდა «უვიცობის» (ავიდიას) შედეგია. ვინც განიკურნება უვიცობისაგან, თვალს გაუსწორებს ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტების მეცანი კი ყველგან და ყველაფერში ჭვრეტს ერთს, რადგან მისი სული (ატმანა) არის მსოფლიო სულის, ანუ უმაღლესი ღვთაების (პარამა-ატმანას) ნაწილი, ხოლო მიზანი — მასთან ერთყოფა, სამადჰი, რომელიც ითარგმნება «დანთქმად» (იგულისხმება — უფლის წიაღში დამკვიდრება).

ბრაჰმა არის სამყაროს სული, რომლისგანაც შედგება ყოველი და, რომელიც ყველგან სუფევს. ბრაჰმა იხილვება ყოველ საგანში, წუთისოფლის ნებისმიერ მოვლენაში: ქვაში, ხეში, ცხოველში, ცხადია — ადამიანში, ქარსა თუ მზეში, ომსა თუ ქორწილში. ამის შედეგია მისი ეპითეტებისა და სიმბოლოების სიმრავლე, მეტადრე — საკულტო ხელოვნების თავისებურება, ინდუსთა ტაძრების მრავალგამოსახულებიანი ბარელიეფები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქ უამრავი ღმერთია, მაგრამ თევზების, გველების, ყვავილებისა და სხვათა სახით მორწმუნე თაყვანს სცემს ბრაჰმას, რომელმაც მიიღო ეს დროებითი და ილუზიური ფორმები. ამდენად, ბრაჰმა სამყაროშია და სამყარო ბრაჰმაში. ესაა პანთეისტური თვალსაზრისი, რასაც ეფუძნება ინდუსთა კოსმოლოგია. ბრაჰმა მარტო არ არის: სუფევს ორ თანაარსთან — ვიშნუს (ვედების მიხედვით, რუდრასა) და შივასთან ერთად. ესაა ტრიმურტი, რაც ერთარსება-სამების ქრისტიანულ დოგმატს მოგვაგონებს. ტრიმურტი არის ერთი და იმავე ღვთაების სამი გა-

მოვლინება, სამი სხვადასხვა ფორმა, სამი გვამი. მაჰაბჰარატას დამატებაში — გარივანშაში — ვკითხულობთ: «ის, ვინც არის ვიშნუ, არის იმავდროულად შივა. ის, ვინც არის შივა, არის ბრაჰმა. არსებით ერთია, მაგრამ სამი ღმერთია: შივა, ვიშნუ, ბრაჰმა». ტრიმურტი აერთიანებს სამ კოსმიურ პრინციპს — შემოქმედებას, ნგრევას და შენარჩუნებას: შემოქმედია ბრაჰმა, დამანგრეველი — შივა, ხოლო მცველი ანუ შემანარჩუნებელი — ვიშნუ. სამივე არსებობს ერთ ღვთაებაში და თითოეული — სამებაში.

ტრიმურტს გამოსახავდნენ სამთავიან არსებად: შუაში — ბრაჰმა, მარჯვნივ — ვიშნუ და მარცხნივ — შივა.

ხილული სამყარო არსებით ასეთია: ქმნილებები დახარისხებულნი არიან ზეაღმავალი კიბის მსგავსად. ღმერთი წუთისოფლის ყოველ საგანში სუფევს სხვადასხვა დოზით, ყველაზე მეტად კი ადამიანში მყოფობს. ამიტომაც ითვლება პიროვნების, ინდივიდის, ე.ი., «მეს» სული უზენაესი არსის — ღმერთის — ნაწილად, მის ანასხლეტად. აქედან ცხადია ყოველი სულდგმულის იდეალი — განიცადოს სამადჰი და დაუბრუნდეს პირველ საწყისს. ეს მარტივად არ ხდება: უზენაესთან მისაახლებლად სულს მომზადება სჭირდება. მან უნდა გაიაროს განწმენდისა და გაუმჯობესების ვრცელი გზა. ამისათვის ერთჯერ დაბადება არ კმარა. პიროვნება დედამიწას ევლინება სხვადასხვა დროს და განწმენდისა და გაუმჯობესების გზაც რამდენიმე ცხოვრებისაგან შედგება. ამას გვაუწყებს მოძღვრება კარმასა და სამსარაზე. ესაა მეტემფსიქოზი ანუ რეინკარნაცია. ე.ი. ხელახალი განსხეულების, სულების გარდასახვის რწმენა და თეორია.

კარმა არის კეთილი და ბოროტი საქმეების ჯამი, რასაც წუთისოფლის სტუმარი ყოველ ნაბიჯზე დაატარებს როგორც ტვირთს. კარმაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედი, მისი მომავალი. ამიტომაც, ბუნებრივია, ადამიანი ცდილობს პირადი კარმის გაუმჯობესებას, ტვირთის შემსუბუქებას, ბოლოს კი — უღლის, ე.ი. კარმის თავიდან მოშორებას, მოსპობას, რადგან იგი ქვეყნიდება სულს და დედამიწაზე ატყვევებს მას.

კარმა არის მიზეზი იმისა, რომ ადამიანი დაქვემდებარებულია სამსარას (ზოგჯერ «სანსარად» გამოითქმის). ეს სიტყვა სანსკრიტზე «მოგზაურობას» ნიშნავს, ამ შემთხვევაში — სულის მოგზაურობას სხეულიდან სხეულში, არსებიდან არსებაში. ე.ი. სამსარა არის ახალ-ახალ დაბადებათა, ახალ-ახალ გარდასახვათა, განსხეულებათა წრებრუნვა.

რით შეიძლება დავაღწიოთ თავი სამსარას? — წუთისოფლის უკეთურებათა დათრგუნვით, განწმენდით, განსპეტაკებითა და ამაღლებით.

ინდუსთა რწმენით, ღმერთმა ბრაჰმამ კაცობრიობის სხვადასხვა ნაწილი საკუთარი სხეულის სხვადასხვა ნაწილისაგან შექმნა და, ამის შესაბამისად, საზოგადოება დაყოფილია ვარნებად, ანუ, ევროპული ტერმინით, — კასტებად. «ვარნა» ნიშნავს ფერს (*კასტა* «ჯიშს», «სახეობას» — პრტუგ). ვარნა ოთხია: ბრაჰმანები (მღვდლები და, საზოგადოდ, სასულიერონი), ქშატრიები (ხელმწიფენი, განმგებელნი და მეომარნი), ვაიშიები (გლეხები, ხელოსნები და ვაჭრები) და შუდრები (მოსამსახურეები და მოჯამაგირეები). ბრაჰმანები ბრაჰმას ბაგეთაგან არიან შექმნილი, ქშატრიები — ხელები-

დან, თეძოებიდან (თუ ბარძაყიდან) — ვაიშიები, ფეხებიდან — შუდრები. ასე რომ, უმაღლესი ფენა ბრაჰმანთა ვარნაა. ის ღმერთს ემსახურება და მისი საქმე საღვთო წიგნების შესწავლაა, მისი ნიშანია სატტვა — წმინდა საქმე, სულიერი სიწმინდე, ხოლო ფერი — თეთრი. ქშატრიების ნიშანია რაჯას გზნება (ვნება, სწრაფვა), ფერი — წითელი. ვაიშიები საშუალო ფენას ქმნიან და მათი ფერია ყვითელი (ძველინდოელთა წარმოდგენით თეთრისა და წითლის ნაზავი). დაბალ საფეხურზე მდგომი კასტაა შუდრები, რომელთა ფერი არის შავი — სიბნელის, უმეცრების, ტამასის (პრაკრიტის, ე.ი. ბუნების უმდაბლესი თვისებების) სიმბოლო. ის, ვინც ამ ოთხი კასტიდან არც ერთს არ მიეკუთვნება, უწმინდურია და ინდუსები მათ «ხელშეუხებელს» უწოდებენ. ვარნა შთამომავლობითი ინსტიტუტია: ადამიანი, დაბადებული რომელიმე ვარნაში, რჩება ამ ვარნის წარმომადგენლად სიცოცხლის ბოლომდე. თუ რომელ ვარნად უნდა მოევლინოს დედამიწას კონკრეტული სული, განაპირობებს წინარე ცხოვრებაში ჩადენილი საქმეების შედეგი, ე.ი. კარმა. ვინც წესიერ, ღვთისმოსაწონ ცხოვრებას ეწევა, მისი შემდეგი განსხეულება უმაღლეს ვარნაში აღესრულება, ხოლო უღირსი — მდაბალი ადამიანი — ქვემო რანგს დაუბრუნდება, ანდა სულაც ცხოველად ან ჭიად მოევლინება ქვეყანას.

ვარნების სისტემა, მაჰატმა განდის აქტიური პოზიციის მეშვეობით, 1947-1950 წლებში ინდოეთში ოფიციალურად, ე.ი. სახელმწიფო და სამოქალაქო ცხოვრებაში, გაუქმდა, მაგრამ ყოფა-ცხოვრებაში (განსაკუთრებით ქორწინების ტრადიციაში) მაინც შენარჩუნებულია.

ცხოვრება და ღვთისმსახურება

ინდუსთა რელიგია ჩვენს თვალში სხვადასხვა სურათით წარმოისახება — ფეხებგადაჯვარედინებული და გამხდარი ასკეტებით, მრავალფრად და მდიდრულად მოჩუქურთმებული ტაძარ-კოშკებით, მიცვალებულთა დასაწვავი ცეცხლით მდ. განგის ნაპირზე და ცხოველთატანიანი ღვთაებებით.

ინდუსი, ცხოვრების ყველა მონაკვეთში, ღვთაებას ხედავს. ამიტომ ყოველთვის უნდა ემსახუროს — განიბანოს, აღავლინოს ლოცვები და შესაწირავი გაიღოს, მონაწილეობა მიიღოს საზოგადო ლოცვებში, დღესასწაულებსა და პროცესიებში. ყოველ ოჯახში საკურთხეველია — ღვთაებათა გამოსახულებით და ყვავილებით შემკული. საკრებულო ტაძრებს (აშრამებს) ბრაჰმანები და გურუები (მოძღვრები) ემსახურებიან. ისინი ღვთაებებს ბანენ და დილა-საღამოს ძღვენს მიართმევენ. ყმაწვილებს, შვიდიდან ათ წლამდე, ინიციაციას უტარებენ და კასტის წევრებად აცხადებენ. ქორწილი რამდენიმე დღეს გრძელდება. სიძე დებს ფიცს, რომ იზრუნებს ვაჟების გაჩენისათვის, კერიის მოვლა-პატრონობისა და ოჯახში საღვთო წესების შესრულებისათვის.

ძირითადი დღესასწაულებია: დივალი, ანუ სინათლის დღე — ახალი წლის დადგომა ნოემბერ-დეკემბერში, ჰოლი, ანუ გაზაფხულის შემოსვლა, რამას ხსენება და ბევრი სხვა. ამ დროს მორწმუნეები გიგანტურ ღვთაებებს ქუჩაში დაატარებენ, მღერიან და ცეკვავენ. ინდუსები მოწიწებით შესცქერიან წმინდა მცენარეებსა და ცხოველებს, პირველ ყოვლისა, — ლოტოსს და ძროხას.

სიტყვა «ინდუსი», «ჰინდუ» და, შესაბამისად, ინდუიზმი ძველსპარსული წარმომავლობისაა. ინდუსები თავიანთ რელიგიას «სანატანა დჰარმას» უწოდებენ, რაც ასე ითარგმნება: მარადიული კანონი. ბევრ ინდუსს სწამს, რომ დჰარმის სრულყოფილად დაცვა მხოლოდ წმინდა მიწაზე, ინდოეთში, არის შესაძლებელი, ვინც მის საზღვრებს გადაკვეთს, საამისოდ დაუძლურდება. ამის მიუხედავად, ინდუსთა საკრებულოები დღეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გვხვდება. პირველი ასეთი თემი დაარსდა ჩიკაგოში ცნობილი ასკეტისა და ფილოსოფოსის ვივეკანანდას მიერ.

«კრიშნას ცნობიერება»

პირველი ნაბიჯი

ნახევარი საუკუნის წინათ ინდოეთში ერთმა გურუმ უთხრა მოწაფეს, პროფესიით ქარხნის მენეჯერს: წადი ამერიკაში და იქ ინდუსთა ღმერთის, კრიშნას, მოძღვრება, უფრო ზუსტად, — უფალ ჩაიტანიას ეპისტოლე გაავრცელეო. დავალება შესრულდა.

ეს გურუ შრიალა ბჰაქტისიდდჰანტა სარასვატი გოსვამი მაჰარაჯა პრაბჰუპადა იყო, შემოკლებით სარასვატი გოსვამი, ინდოეთში ცნობილი მეცნიერი და მრავალი ვედური ინსტიტუტის დამაარსებელი. მოწაფე — ბჰაქტივედანტა სვამი პრაბჰუპადა, შემოკლებით შრილა პრაბჰუპადა, კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების შემქმნელი — აჩარია.

შრილა პრაბჰუპადა დაიბადა კალკუტაში 1896 წელს. დაამთავრა ადგილობრივი უნივერსიტეტი, 1922 წელს გახდა ზემოხსენებული გურუს მოწაფე და 1933 წელს ქ. ალაჰაბადში ინიცირებულ (ხელდასხმულ) იქნა ბრაჰმანად. გურუ «კრიშნას ცნობიერებაზე» უამბობდა, პრაბჰუპადა ბეჯითად შრომობდა და დაწერა «ბჰაგავატგიტას» კომენტარები. 1950 წელს მან თავი დაანება სამენეჯერო საქმიანობას, მიატოვა ცოლი, ხუთი შვილი და განეშორა ყოველდღიურობას, რათა სიცოცხლე რელიგიური რუდუნებისათვის მიეძღვნა. დასახლდა წმინდა ქალაქ ვრინდავანში. ეწეოდა სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობას. 1965 წელს ჩავიდა ამერიკაში, სადაც ინდოელი წმინდანის სამოსელში გამოწყობილმა, ყოველგვარ მატერიალურ სახსარს მოკლებულმა, დაიწყო კრიშნას მოძღვრების ქადაგება. იჯდა ბაღში, ამზადებდა ინდურ კერძებს, ეპატიჟებოდა გამვლელ-გამომვლელთ და სულიერებაზე საუბრობდა. მათ, რომლებმაც ახალი მოძღვრება იწამეს, 1966 წლის ივნისში «კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება» დააარსეს. «საზოგადოებამ» სამოღვაწეო ველი მალე მსოფლიო მასშტაბით გააფართოვა.

პრაბჰუპადამ 12 წლის განმავლობაში 14-ჯერ შემოუარა მსოფლიოს. ქადაგებდა და ლექციებს კითხულობდა. მიმდევართა ყველაზე დიდი გუნდი მან ინგლისში შეიძინა. იქ მას როკ-ჯგუფ «ბითლზების» წევრი ჯორჯ ჰარისონი დაემოწაფა. იყო მოსკოვშიც, სადაც თანამოაზრეთა ჯგუფი შეიძინა. მათ 1978-80 წლებში ორგანიზაციები მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ტალინში, ერევანში, თბილისსა და სოხუმში ჩამო-

აყალიბეს. ამ თაოსნობის ინიციატორები, რიცხვით 50, საბჭოთა კანონმდებლობით გაასამართლეს და დასაჯეს. დევნა პერესტროიკამდე გაგრძელდა.

ცხოვრება და მოღვაწეობა

«კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება» ამერიკასა და ევროპაში დაარსების დღიდანვე ინტენსიურ საქმიანობას შეუდგა. ააშენეს ასობით ტაძარი (აშრამი) და სკოლა, დაიწყეს თავიანთი კონფესიური ლიტერატურის თარგმნა, გააჩაღეს საგამომცემლო, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მუშაობა, შეიმუშავეს პროექტები სიღარიბისა და შიმშილის დასაძლევად.

«კრიშნას ცნობიერებას მინდობილნი», განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც აშრამში ცხოვრობენ, საგანგებო რეჟიმში იმყოფებიან: დილის 4.30-ზე იწყება მსახურება — მანგალა არატი (ცისკრის თაყვანისცემა), «ჰარე კრიშნა — მაჰამანტრას» ინდივიდუალურად კრიალოსნის მეშვეობით განმეორება (*ჯაპა* მედიტაცია), რასაც მოსდევს ღვთაებათა მისალმება და დიდი სულიერი მოძღვრის — შრილა (სვამი) პრაბჰუპადას — გახსენება, ბოლოს კი — ლექცია. ესაა მათი წმიდა წერილის «შრიმად-ბჰაგავატამის» კითხვა-კომენტირება. პრასადს (წყალობას), ანუ უფალ კრიშნასადმი შეთავაზებულ საჭმელს, მხოლოდ ამის შემდეგ მიირთმევენ. ეწევიან ვეგეტერიანულ ცხოვრებას. ჩაი, ყავა, ალკოჰოლი და თამბაქოც მათთვის აკრძალულია. დაგმობილია აზარტული თამაშები. მკაცრად რეგლამენტირებულია სქესობრივი ცხოვრება. ატარებენ სპეციალურ სამოსელს. შუბლზე თიხის ხსნარისაგან დასმული აქვთ ნიშანი. იპარსავენ თმას (გარდა კოწოლისა). დააქვთ ნაჭრის პატარა აბგები.

მოძღვრება და პრაქტიკა

«კრიშნას ცნობიერება» დაფუძნებულია ვედურ ლიტერატურაზე, ძირითადად კი — «ბჰაგავატგიტაზე». სვამი პრაბჰუპადას თქმით, რადგან «არ არსებობს განსხვავება კრიშნასა და მის სიტყვებს შორის, «ბჰაგავატგიტა» ისეთივე თაყვანისცემას იმსახურებს, როგორსაც თავად უფალი კრიშნა, რამეთუ ორივე აბსოლუტურია».

შრილა პირაბჰუპადას მიაჩნდა, რომ მისი მოძღვრება და რელიგიური სისტემა უზენაესი უფლის კრიშნას ინკარნაციას — ჩაიტანია მაჰაპრაბჰუს აზრებს ეფუძნება. ჩაიტანია XV საუკუნეში ცხოვრობდა, ქადაგებდა ბენგალიაში. მას ლიტერატურული მემკვიდრეობა არ დაუტოვებია, მაგრამ უფლებამოსილებით აღჭურვა მოწაფეები, ჩაეწერათ მოძღვრება, რომელიც მან სიტყვიერად ჩამოაყალიბა.

ჩაიტანიასა და პრაბჰუპადას მიმდევრებს სწამთ, რომ კრიშნა უზენაესი პიროვნებაა, თავდაპირველი უფალი, მიზეზთა მიზეზი. ყველაფერი მას ეკუთვნის და ემორჩილება, ყველა ნახევარღმერთი: ბრაჰმა, შივა, ჩანდრა, ვარუნა და სხვანი მისი მსახურები არიან. კრიშნა, ზესულის სახით, ყოველი ცოცხალი არსების გულში იმყოფება. მისი ცნობიერება თვლემს ნებისმიერი ადამიანის გულსა და გონებაში. კაცის მიზანია მოიძიოს, გამოაფხიზლოს და ააღორძინოს ეს ცნობიერება. კრიშნა მატერიალური სამყაროს მიღმა, სულიერ სამყაროში, პლანეტა ვრიშნალოკაზე იმყოფება, მაგრამ ენერგიებით ყველგანაა. ცოცხალი არსებები მისი მარადიული მსახურები არიან, მაგრამ მასთან სხვადასხვა სახის ურთიერთობა აკავშირებთ: შეიძლება იყვნენ ნე-

იტრალურნი, შეიძლება იყვნენ მსახურები, მეგობრები ან შეიძლება მასთან მშობლის, ან სატრფოს დამოკიდებულება იქონიონ. სიყვარული იმასაც კი ავიწყებინებს მათ, რომ კრიშნა ღმერთია. თავი რომ დააღწიო სამსარას, ანუ სიკვდილ-სიცოცხლის ბორბალს და სულიერ სამყაროში დაბრუნდეთ, უნდა მიენდო კრიშნას, გახდე მისი მსახური. მაშინ მატერიალური ენერგია, გნებავთ — კარმის კანონი, ველარ მოახდენს სამსარაზე გავლენას და აღარ მოგიწევს წუთისოფელში შემოსვლა.

ბჰაქტის, ანუ ღვთაებრივი სიყვარულის აღზრდისა და განვითარების საუკეთესო საშუალებაა მაჰამანტრა, ე.ი. დიდი მანტრა. «მანტრა» სანსკრიტზე ნიშნავს მარცვალს, სიტყვას, ფრაზას, «მაჰამანტრა» — დიდ, ზებუნებრივ სიტყვას, რომელსაც მისტიკური და შთამაგონებელი ძალა აქვს. იქ, მინდობილთა რწმენით, არეკლილი და კოდირებულია აღნიშნული მოძღვრების სიღრმე. იგი მედიტაციის (სულიერი ჭვრეტის) საშუალებაა. მისი დახმარებით — საგალობლის მარადის და «მოუკლებლად» წართქმით — ინდივიდი მაღლდება წარმავალ სინამდვილეზე, აღწევს აღმაფრენასა და ნავარდობს წმიდა სულების სამფლობელოში ზეციურ პლანეტებს შორის.

მაჰამანტრას თავისუფლების, ანუ, ძველქართულად, გახსნილების დიად საგალობელს უწოდებენ:

«ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა,
კრიშნა კრიშნა, ჰარე ჰარე,
ჰარე რამა, ჰარე რამა
რამა რამა, ჰარე ჰარე».

«ჰარე» ნიშნავს უფლის ენერგიას, კრიშნა და რამა კი უფლის, ღმერთის სახელებია. მათი წარმოთქმით მლოცველი იმოსება ღვთის ენერგიით, რითაც, შეიძლება ითქვას, თრგუნავს მაიად (ილუზიად, არარაობად) წოდებულ სამყაროს და შინაგან «მეს» ამავე ენერგიის წყაროსთან აზიარებს. ეს წყარო კი ყველაზე ცხოვლად კაცთა წინაშე კრიშნასა და რამას სახით გაცხადდა. ამიტომაც ერთგულები ცხოვრებისა და შრომის ყოველ მონაკვეთზე წარმოთქვამენ მაჰამანტრას. ატარებენ კრიალოსნებს (ფსკვნილს), რომლის 108 კვანძი კრიშნას 108 შეყვარებულ მწყემს ქალს განასახიერებს. თითოეულ მძივთან იგალობება «მაჰამანტრა». ამტკიცებენ, როდესაც პიროვნება ამგვარად ადიდებს ღვთაებრივ სახელს, თავისუფლდება ტკივილისაგან და განიცდის აღტაცება-აღფრთოვანებას. ჩნდება ცეკვის მოთხოვნილება, ხშირად კი, თუ სათანადო პირობებია, ქუჩებსა და ბუნების წიაღში მარშის შესრულებისა დასაკრავი ინსტრუმენტებით, სიმღერითა და როკვით. ესაა კირტანა, სიტყვასიტყვით — გალობა. ამ რიტუალის საფუძველიაო, გვასწავლის პრაბჰუპადა, არჯუნას სიტყვები უზენაესი ბრაჰმანისადმი — კრიშნასადმი: «სამყაროს უხარია შენი სახელის მოსმენა და ყველა შენ შემოგნატრის!»

«კრიშნას ცნობიერება» საქართველოში

საქართველოში «კრიშნას ცნობიერების» ერთგულები პირველად სოხუმში გამოჩნდნენ და გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ჯგუფი შექმნეს. ინიცი-

ატორი და ორგანიზატორი გახლდათ ოთარ ნაჭყებია, რომელსაც ინიციაციის შემდეგ ამბარიშა დასი ეწოდა. მან საკუთარ სახლში კრიშნას ტაძარი გამართა და მოძღვრების აქტიურ ქადაგებას შეუდგა, მაგრამ მის და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ მალე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ისინი გაასამართლეს და დააპატიმრეს. ამიტომ აღნიშნული მოძრაობის ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა (თუმცა კრიშნას ერთგულები სოხუმში დღესაც იმავე სახლში ცხოვრობენ).

თბილისის ფილიალი — ვედური კულტურის ცენტრი — 1986 წელს შეიქმნა (რეგისტრირებულია 1992 წლიდან). მას აქვს აშრამი (კელიები) ერთგულთათვის და ტაძარი — ძირითადი ღვთისმსახურებისათვის.

თბილისის აშრამი გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგის კრიშნაიდთა თემის დახმარებით დაფუძნდა და აშენდა. რეგისტრირებულია «ვედური კულტურის ცენტრის» სახელით. ამჟამად მისი პრეზიდენტია ანთიმოზ ნაცვლიშვილი, ინიციაციისეული სახელდებით — ბჰაქტი ბაჰუშანა დასი, რაც ასე ითარგმნება: ერთგული მსახურების სამკაული.

ეს ორგანიზაცია ყველაზე მრავალრიცხოვანი 90-იანი წლების პირველ ნახევარში იყო (500 ერთგული). ისინი მაშინ, რელიგიურ და საგამომცემლო-ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად, აქტიურ ქველმოქმედებასაც მისდევდნენ. ხსნიდნენ უფასო სასადილოებს. აფხაზეთში ომის დროს ფრონტის ხაზზე საკვები მიჰქონდათ.

ამჟამად საქართველოს მოქალაქე კრიშნაიდების რიცხვი 200-სს არ აღემატება.

ნუგზარ პაუაშვილი

ბუდიზმი

სამოძღვრო-ასკეტური პრაქტიკა, მისტიკური ფილოსოფია და სპირიტუალური თვითშემეცნების სისტემაა. მსოფლიო რელიგიაა, რომელსაც შემოქმედი ღმერთის ცნება არ გააჩნია. მას «შინაგან რელიგიას», ანუ «შინაგანი სამყაროს რელიგიას» უწოდებენ, რადგან მედიტაციის (ლოცვის) მეშვეობით მორწმუნე არა ღმერთს, არამედ საკუთარი სულის სიღრმეს უკავშირდება. ამ იდეალის მიღწევისათვის საჭიროა დრო და უნარი, პიროვნული მონდომება და ასკეტიზმი. ამ აზრით, ბუდისტების მოძღვრება და პრაქტიკა უფრო ფილოსოფიაა, ვიდრე სარწმუნოება. მისთვის უცხოა საღვთო მოძღვრება და საღვთო გამოცხადება, შესაბამისად, საღვთო წერილი, როგორც შეუვალი ავტორიტეტი. ამის გამო ბუდისტების თეორიასა და პრაქტიკას არ ახასიათებს მკაცრი დოგმატიზმი და არ გააჩნია წეს-განგებათა უნიფიცირებული ნიმუში, ე.წ. ტიპიკონი. ვისაც ბუდისტების ქვეყნებში უმოგზაურია იცის, რომ არამცთუ ოლქებსა და ქალაქებს, არამედ სოფლებსა და უბნებსაც კი ერთმანეთისაგან შესამჩნევად განსხვავებული აღმსარებლობითი ტრადიცია აქვთ.

სახელწოდება დაკავშირებულია დამაარსებელთან — სიდჰარტა გაუტამასთან, რომელიც გახდა ბუდა — გასხივოსნებული. ამიტომ ბუდას მიმდევრები და თაყვანისმცემლები ბუდისტებად (გასხივოსნებულებად) იწოდებიან.

წარმოიშვა ძვ. წ. VI-V საუკუნეების მიჯნაზე. მისი სამშობლოა ინდოეთი, მაგრამ ფართო ასპარეზი ამ ქვეყნის გარეთ პოვა, განსაკუთრებით ჩინეთში, ჩინეთის გზით კი — იაპონიაში, კორეასა და შორეული აღმოსავლეთის ბევრ სხვა ქვეყანაში. ბუდიზმის ძლიერი კერა არსებობდა ტიბეტში, სადაც ტიბეტურ ენაზე შეიქმნა უმდიდრესი ბუდისტური ლიტერატურა. ტიბეტის გავლენით ბუდიზმი მონღოლებს შორისაც გავრცელდა. ბუდისტთა თემები ყველა კონტინენტსა და ქვეყანაშია. იგი სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში.

ბუდისტების საერთო რიცხვი დღეს 359 მილიონს აღემატება. ამ თვალსაზრისით, ბუდიზმი მეოთხე მსოფლიო რელიგიაა ქრისტიანობის, ისლამისა და ინდუიზმის შემდეგ.

ისტორია

სიდჰარტა გაუტამა ბუდას ბიოგრაფია თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა და მხოლოდ რამდენიმე ასწლეულის შემდეგ მისი მიმდევრების მიერ იქნა ჩაწერილი. მისი ცხოვრების ყველაზე ცნობილი ეპიზოდები თავმოყრილია კრებულში ჯატაკა, რომელიც პალიზეა შედგენილი (ერთერთი უძველესი ინდური ენა) ძვ. წ. II საუკუნეში. თანამედროვე მეცნიერების მონაცემებსაც თუ გავითვალისწინებთ, ამ ბიოგრაფიის ძირითადი შტრიხები ასეთია:

სიდჰარტა (რაც ნიშნავს: «მიზანს მიღწეული») გაუტამა ძვ. წ. 558 წელს (სხვა ვერსიით 567 წ.) დაიბადა ქალაქ კაპილავასტუში, რომელიც ჰიმალაის მთის ძირში, თანამედროვე ნეპალის სამხრეთში მდებარეობს. მისი მამა შუდჰოდანა, გაუტამას საგვარეულოს შაკიების ცნობილი კლანის წარმომადგენელი იყო და მეფე-მეომრების უმაღლეს კასტას მიეკუთვნებოდა. ცნობილია მისი დედის სახელიც — მაიადევა («მაია» სანსკრიტზე ნიშნავს წუთისოფელს, მოჩვენებით სამყაროს). სიდჰარტას შობიდან შვიდი დღის თავზე დედა გარდაიცვალა. ჩვილის გაზრდა დეიდამ, მაჰარპრაიაპატიმ, იკისრა. იგი მეფემ ცოლად შეირთო და მან დის, მაიას, ადგილი და-იკავა.

16 ან 19 წლის ასაკში სიდჰარტამ ორი ცოლი მოიყვანა გოპა და იაშოდჰარი, რომლისგანაც ეყოლა ვაჟიშვილი რაჰულა.

გადმოცემის მიხედვით, ერთმა წინასწარმეტყველმა მეფე შუდჰოდანას ამცნო, რომ მისი ვაჟი ოთხ საგანს იხილავდა, რაც უფლისწულის ცხოვრებას სრულიად შეცვლიდა — ისიც მეფე გახდებოდა, ოღონდ არა ამ ქვეყნისა. ამის გამო მამამ ვაჟიშვილი გარესამყაროსაგან სრულ იზოლაციაში მოაქცია, ცდილობდა მემკვიდრეს არ ეხილა ცხოვრების სიმძიმე და ტრაგიზმი, არ დაენახა მათხოვრები, სნეულები, ხეიბრები და ბებრები, არ განეცადა ადამიანის სიკვდილით მოგვრილი ტკივილი. უფლისწული სასახლიდან გაუსვლელად, სრულ ფუფუნებაში ცხოვრობდა, მაგრამ მან მალევე იგრძნო ამგვარი ყოფის ამოება.

29 წლის გაუტამამ მსახურთან ერთად სასახლის გალავანს გადააბიჯა. გარეთ მან ოთხი «სიახლე» იხილა, რამაც შეძრა იგი და მისი ცხოვრება შეცვალა. «ოთხი წამიერი ხილვის» ამბავში გადმოცემულია თუ, მამის მცდელობის მიუხედავად, დაეცვა შვილი გარესამყაროსაგან, როგორ შეიტყო სიდჰარტამ, რომ ადამიანთა ცხოვრება ტანჯვითაა აღსავსე. მან ნახა სიბერე (დაუძლურებული მოხუცი), ავადმყოფობა (დასნეულებული ადამიანი), სიკვდილი (მკვდარი სხეული) და ბოლოს სრული სიმშვიდე (მოხეტიალე თავგადაპარსული გლახაკი ბერისა). ნანახისა და განცდილის სიმძაფრემ გაუტამას საბოლოოდ გადააწყვეტინა განდგომისა და შინაგანი სრულყოფის გზაზე სიარული.

უფლისწულმა დატოვა სახლი და შეუდგა «დიად გზას» ხსნის საძებნელად. პირველად იგი შეუერთდა ინდუისტ ასკეტ ბერებს, იმ იმედით, რომ სხეულის დათრგუნვა სიმშვიდეს მოუტანდა და ტანჯვას დააძლევინებდა. ექვსწლიანი უკიდურესად ასკეტური ცხოვრების შემდეგ იგი მიხვდა, რომ თავის მიზანს ვერ მიაღწია. გაუტამამ «ოქროს შუალედის», ანუ «შუა გზის» პრინციპი ჩამოაყალიბა. მან უარი თქვა როგორც სრულ ასკეტიზმზე, ასევე «მიშვებულ» ცხოვრებაზე და ღრმა მედიტაციას მიეცა.

ერთხელ სიდჰარტა გაუტამა, რომელიც უკვე 35 წლისა იყო, მდინარე საიას ნაპირას, აშვატჰას (ლეღვის) ხის ძირას დაჯდა და დადო აღთქმა, რომ ადგილს არ მოიცვლიდა, სანამ განსხივოსნებას არ მიაღწევდა. ორმოცდამეცხრე დღეს ოთხი ჭეშმარიტება გამოეცხადა და ამის შემდეგ დაერქვა ბუდჰა, რაც: «გასხივოსნებულს», «გამოღვიძებულს» ნიშნავს, ხოლო ხეს, რომლის ქვეშაც ის იჯდა, ეწოდა ბოდჰი (სიბ-რძნის ხე). ბუდას პირველი ზრახვა იყო ხალხისათვის გაეცხადებინა ეს

ჭეშმარიტებანი, როგორც ტანჯვისგან დახსნის გზა, მაგრამ სიკვდილის ღმერთი, მარა, შეუჩნდა მას და ოთხი თუ შვიდი კვირის განმავლობაში ცდილობდა აეძულებინა იგი (ბუდა), ამ მისიაზე უარი ეთქვა. ამის მიუხედავად ბუდამ დაძლია შიში, ცდუნება და თავისი მოძღვრების ქადაგებას შეუდგა.

ბუდამ პირველი ქადაგება ბენარესის მახლობლად, ცხოველთა ბაღში წარმოთქვა. გადმოცემის თანახმად, მისი პირველი მსმენელები ხუთი ადამიანი და ორი ირემი იყვნენ. ქადაგება ასე დაიწყო: «ბჭენი ხსნისა დაე, გაცხადდეს ყველასათვის! ადამიანებო, განიხვენით ყურნი თქვენი და მისმინეთ მე: გზა ხსნისა ნაპოვნია! მე გმოძღვრავთ თქვენ და, თუ ჩემი სწავლის თანახმად იცხოვრებთ, მიიღებთ იმას, რისი გულისთვისაც კეთილშობილნი ჭაბუკნი ტოვებენ სამშობლოს და მიდიან უცხო ქვეყნებში გასანათლებლად. თქვენ იხილავთ ჭეშმარიტებას». ამის შემდეგ, მომდევნო 45 წლის განმავლობაში, ბუდამ თითქმის მთელი ინდოეთი მოიარა, მრავალი მიმდევარი შეიძინა, დაარსა ბუდისტთა საკრებულოები და მამათა მონასტრები. ბუდას მოძღვრება მისმა მოწაფეებმა მთელ ჩრდილოეთ ინდოეთში გაავრცელეს.

ბუდა ღრმად მოხუცებული, 80 თუ 85 წლისა, გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი გამხდარა სოკოს კერძი, რომლითაც ერთმა ნალბანდმა უმასპინძლა. დაბეჯითებით ვერავინ ამბობს, ბუდა მოწამლეს თუ მოიწამლა. ცნობილია გიგანტური ქანდაკებები, რომლებზედაც მისი უკანასკნელი დაძინებაა აღბეჭდილი. შემორჩენილია გადმოცემა, რომლის მიხედვით მან სიკვდილის წინ ლოტოსის ფორმა მიიღო, ყველაზე ერთგული ბერების წინაშე უკანასკნელი ქადაგება წარმოთქვა, მარჯვენა მხარ-თეძოზე წამოწვა და ხელი თავქვეშ ამოიდო. ამ დროს იგი ღრმა მედიტაციაში ჩაიძირა და პარინირვანაში (სამსარისგან საბოლოო გაღწევა. იხ. ქვემ.) შევიდა. მისი გვამი დაწვეს და ფერფლი რვა მოწაფემ გაინაწილა.

სიდჰარტა გაუტამა ბუდა კიდევ რამდენიმე სახელითა და ტიტულით მოიხსენიება: შაკიამუნი (შაკიების ბრძენი), ბოდჰისატვა (გასხივოსნებისკენ მსწრაფი), მაჰაპურუშა (დიადი ადამიანი), ჩაკრავარტინი (სამყაროს მეუფე), ტათჰაგატა (ჭეშმარიტების შეცნობის შემდეგ გასული), ჭეშმარიტების მფლობელი, ბჰაგავატი (ბატონი) და სხვ.

გავრცელება

ბუდას მისია მისმა მოწაფეებმა გააღრმავეს. ისინი, ძირითადად, აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწეობდნენ, რის შედეგადაც ნეპალის, ტიბეტის, ვიეტნამის, ჩინეთის, კორეის, იაპონიის, შრი ლანკის, ბირმის, ტაილანდის, ლაოსისა და კამბოჯის დიდი ნაწილი ბუდას მოძღვრებას ეზიარა.

იმის გამო, რომ ბუდიზმში დოგმათა და წეს-განგებათა სისტემა არ არსებობს, ეს რელიგია მრავალ მიმდინარეობად და ტრადიციად დაიყო. ამის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ ადგილობრივ (დამხვდურ) რელიგიებთან და კულტურებთან ბუდიზმის შემგუებლობას. აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ბუდიზმის შემდეგი ფორმები: ძენი (ჩინეთი), ჩანი (იაპონია), ამიტაბჰა (სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია), ვარაიანა (ტიბეტი, ბუტანი, ნეპალი, მონღოლეთი). ბუდიზმის ელემენტებმა სხვა რელიგიურ სის-

ტემებშიც შეაღწიეს და მათ წიაღში ახალ ტრადიციებს დაუდეს სათავე, ესენია: ბიონი, შინტო, შინბესტუ, შიუგო და სხვ.

მთავარი იდეალის, ნირვანას (იხ. ქვემ.) შესახებ კამათის შედეგად ა.წ. III საუკუნეში ბუდისტები ორ ნაწილად გაიყვნენ და ორი მიმართულება წარმოიშვა: 1. მაჰაიანა, ანუ «ხსნის ფართო გზა» — «დიდი ეტლი» და 2. ჰინაიანა, ანუ «ხსნის ვიწრო გზა» (ტერავადა) — «პატარა ეტლი». პირველი მიმართულება უფრო ნეპალსა და ჩრდილოეთის ქვეყნებშია გავრცელებული, მეორე — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მეტი მიმდევარი მაჰაიანას ჰყავს (60%). ისინი თვლიან, რომ ნირვანაში შესვლა, პოტენციურად, ყველასთვისაა შესაძლებელი. მათ შორის არიან გასხივოსნებული ადამიანები — ბოდჰისატვები, რომლებიც ნებაყოფლობით გადადებენ ნირვანაში შესვლას, რათა სხვებს ტანჯვის შემსუბუქებაში, კარმის გაუმჯობესებასა და სამსარისაგან თავის დაღწევაში დაეხმარონ. ჰინაიანას მიმდევრები ამბობენ, რომ ნირვანას მხოლოდ რჩეულები მიაღწევენ და ისინი მეტწილად ბერები არიან, რომლებიც მკაცრი ასკეტიზმით გამოირჩევიან.

ბუდიზმის ქადაგება ჩინეთში ადრიდანვე დაიწყო, მაგრამ ამ მისიამ წარმატებას VI (ახ.წ-აღ) საუკუნეში მიაღწია, როდესაც იქ ინდოელი ბერი ბოდჰიდრამა ჩავიდა. ბუდისტებს სწამთ, რომ ის ბუდას ინკარნაცია იყო. ახალ წელს, როდესაც იგი კედლის წინ მედიტაციის წესს ასრულებდა, მისი ფეხები გახმა და სული ნირვანაში შევიდა. ამ ქვეყანაში ბუდიზმის ის სახეობა ჩამოყალიბდა, რომელიც ძენის სახელითაა ცნობილი («ძენი» მედიტაციას, ლოცვას ნიშნავს). მისი დამაარსებელია ჰუინენგი (673-713), რომლის მოძღვრება XII-XIII საუკუნეებში გადაამუშავეს იაპონელმა ბერებმა აიზიამ და დოგენმა. ასე შეიქმნა ჩანი, ანუ ჩინური ძენის იაპონური ვარიანტი. ძენ-ჩანისათვის დამახასიათებელია ხაზგასმა «საკუთარი ბუნების ხილვასა და შეცნობაზე» და ჩინურ-იაპონურ ხალხურ რელიგიებთან სინთეზი. მთავარი კითხვა, რომელსაც ძენ-ჩანის მიმდევრები საკუთარი თავის წინაშე სვამენ, ასეთია: «რა იყო შენი ჭეშმარიტი სახე, ვიდრე შენ დედა და მამა გაგაჩენდნენ?».

გვიან შუა საუკუნეებში ბუდიზმის ყველაზე მძლავრი კერა ტიბეტში ჩამოყალიბდა. მოძღვარმა ტონგ-ჯჯაჰიმ იქ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, ე.წ. ყვითელქუდიანთა სკოლა დააარსა, რომელიც მკაცრი დისციპლინით და ჰუმანური პრინციპების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით გამოირჩეოდა. მათ, ყვითელქუდიანებმა, შექმნეს თეოკრატიული სახელმწიფო, რომლის უმაღლესი ხელისუფალი დალაი ლამა გახდა. ამის გამო ტიბეტურ ბუდიზმს ლამაიზმს უწოდებენ. სიტყვა მონღოლურია და ნიშნავს: ოკეანის დარი მოძღვარი («დალაი» — ოკეანე, «ლამა» — მოძღვარი). ეს ტიტული, რომელიც ბუდისტთა პირველ მოძღვარსა და მსოფლიო ავტორიტეტს ნიშნავს, მონღოლთა მთავარმა ალთან ქანმა 1578 წელს დააწესა და ამ პატივით პირველად ტიბეტელი ლამა სონამ გიტსო მოიხსენია. ლამაიზმი XVII-XVIII საუკუნეებში რუსეთშიც, ძირითადად, ოირატებს (ყალმუხებს), ბურიატებსა და ტუვინებს შორის გავრცელდა.

არსებობს დალაი ლამას გამორჩევის რწმენა და წესი. ეს ადამიანები ბოდჰისატვები არიან და, ამავე დროს, მეორე პირველის რეინკარნაციას წარმოადგენს. მათი არსება ერთია, რომელიც წუთისოფელში სხვადასხვა ადამიანის (ნირმანაკაიას) სახით შემოდის. მათი საერთო სახელი არის «თანაგრძნობის ბოდჰისატვა». გარდაცვლილი

დალაი ლამას ინკარნაციის (ხელახალი განსხეულების) მოძიების, აღმოჩენისა და მოხმობის პროცესს ტიბეტურად ტულკუ ეწოდება. მას ბერების საგანგებო კომისია წარმართავს. დადიან ოჯახებში, სადაც პატარა ბავშვია, ეძებენ ბავშვებს, რომლებსაც გამორჩეული ნიშნები აქვთ (მშობლების უჩვეულო სიზმარი, უჩვეულო უნარი, ცისარტყელა). ასეთ ბავშვებს ერთად შეკრებენ და რამდენიმე დავალებას მისცემენ, რათა გაარკვიონ, მათგან რომელია ხელახლა დაბადებული დალაი ლამა. მთავარი დავალება რამდენიმე რიტუალურ საგანს შორის გარდაცვლილი დალაი ლამას პირადი საგნის ამოცნობაა. ბავშვი, რომელიც ამ გამოცდას ჩააბარებს, ოფიციალურად და საზეიმოდ წინამავალი დალაი ლამას რეინკარნაციად გამოცხადდება. მას მონასტერში გადაიყვანენ და მის აღზრდა-განათლებას შეუდგებიან. სანამ ის სრულწლოვანი გახდება, სახელმწიფოს რეგენტი მართავს.

ამჟამინდელი დალაი ლამა, რომლის სახელია ტენსინ გიატსო, მე-14 ასეთი ლამაა. 1959 წელს, როდესაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯარები ტიბეტში შევიდნენ და იქ კომუნისტური რეჟიმი დაამყარეს, იგი ემიგრაციაში წავიდა და სამშობლოში დაბრუნების უფლება დღემდე ვერ მოიპოვა.

მოძღვრება

ბუდას მოძღვრების საერთო სახელია დჰამა-საკატა-ვატანა-სუტა, ანუ, მარტივად, დჰამას ბორბალი. ითვლება, რომ ეს ბორბალი ბენარესში ამოქმედდა, როდესაც ბუდამ პირველი ქადაგება წარმოთქვა. ეს და სხვა ქადაგებები რამდენიმე წლის შემდეგ, ბუდას გარდაცვალებამდე, ჩაიწერეს, რითაც ბუდას მოძღვრების წიგნის ფორმით გადმოცემას ჩაეყარა საფუძველი.

ბუდას მოძღვრება არ იცნობს ყოვლისშემძლე და ყოვლისშემოქმედ ღმერთს და არც მსოფლიო სულს. მისთვის უცხოა როგორც მონოთეიზმი, ისე პოლითეიზმი. მისი ანთროპოსოფია, ნატურრელიგია და მისტიკა, ძირითადად, ინდუიზმს (იხ.) ეფუძნება, მაგრამ უარყოფილია როგორც ტრიმურტი, ისე ღვთაებათა კულტი და კასტათა (ვარნათა) სისტემა, შენარჩუნებულია რწმენა მეტემფსიქოზის, რეინკარნაციის, კარმის, სამსარისა და დჰარმისა. ამდენად, ბუდას მოძღვრება არ არის თეოლოგია ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ესაა მოძღვრება მორალის, მედიტაციისა და ჭეშმარიტების შესახებ. ავტორმა იგი არა ღვთაებრივი გამოცხადების, არამედ მედიტაციის მეშვეობით შეითვისა. მისი გასხივოსნება საკუთარი სულის აქტივობის საფუძველზე მოხდა.

ჭეშმარიტება არის ოთხი:

1. არსებობს ტანჯვა — დუკკა. ყველაფერი ტანჯვაა წუთისოფელში. მთელი სიცოცხლე გადის მორალურ, სულიერ ან ფიზიკურ ტანჯვაში. დაბადება არის ტანჯვა, სნეულება არის ტანჯვა, სიყვარული არის ტანჯვა, სიყვარულის საგანთან განშორება არის ტანჯვა, სიყვარულის ვერმიხვდომა არის ტანჯვა, სიბერე, სიკვდილი არის ტანჯვა...

2. არსებობს ტანჯვის მიზეზი — სამოდაია. ეს არის წყურვილი ყოფნისა, არსებობისა, სიცოცხლისა, რასაც ადამიანი მიჰყავს დაბადებიდან დაბადებისკენ. ტანჯვას იწვევს სურვილები, ვნებები, სწრაფვანი სურვილთა დასაკმაყოფილებლად და სხვ.
3. არსებობს განკურნება — ნიროდჰა: გათავისუფლება ყოველი სურვილისგან.
4. არსებობს გზა განკურნებისა და ხსნისა — მაგგა, რომელიც რვა საფეხურისგან, ბილიკისაგან შედგება: 1) მართალი სარწმუნოება ანუ, რწმენა, რომ სიცოცხლე ტანჯვაა, 2) მართალი განზრახვა, რათა მოვიქცეთ ამ ოთხი ჭეშმარიტების შესაბამისად, 3) მართალი სიტყვა, ანუ მართალი განზრახვის გამოხატვა მართალი სიტყვით, 4) მართალი საქმე, ანუ მართალი ქცევა, როგორც მართალი სიტყვის რეალიზაცია, რათა ერთი იყოს სიტყვა და საქმე იმ ოთხი ჭეშმარიტების შესატყვისად, 5) მართალი ცხოვრება: არავის ავნო, არ მიაყენო ზიანი ცოცხალ არსებას, 6) მართალი სწრაფვა: მისწრაფებანი, ტენდენციები იმ ოთხი ჭეშმარიტების კვალდაკვალ, 7) მართალი მეხსიერება: ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, თუ კიდევ რა რჩება გაუკეთებელი ჭეშმარიტი ცხოვრების გზაზე, 8) მართალი თვითდაუნჯება: მეხსიერებაში, ხსოვნაში აღარ უნდა ინახებოდეს მიწიერი ცხოვრების შთაბეჭდილებები, რადგან მიწიერი ცხოვრება ილუზიაა.

ტანჯვათა მოსპობის გზა მოიცავს ხუთ მცნებას: 1. არ მოკლა არც ერთი კაცი, არც ერთი ცხოველი, არც ერთი ცოცხალი არსება, 2. არ მოიპარო, არ მიითვისო, რაც შენ არ გიმუშაკია, 3. პატივი ეცი სხვას და არ იმრუშო, 4. არ იცრუო და არ გაჭორო სხვა, 5. თავი აარიდე ალკოჰოლსა და ნიკოტინს, რადგან ისინი გონებას აბნელებენ.

ბუდისტების რელიგიური იდეალი არის ნირვანა. ესაა სრული სიმშვიდე: არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ — თავისებური ყოფნა, უფრო — ზეყოფნა, როცა ყოველი შეგრძნება ნულოვან წერტილშია მოქცეული.

მოკვდავთაგან პირველი, ვინც ნირვანას მიაღწია, იყო ბუდა, რომელიც ისე არ მომკვდარა, როგორც მოკვდავნი კვდებიან. არსებობს ძველი გადმოცემა, რომელიც გვაუწყებს, რომ თავისი მომავალი რეინკარნაციის წრებრუნვიდან გასვლის შესახებ ბუდამ თვითონვე იწინასწარმეტყველა. როდესაც იგი დაიბადა, შვიდი ნაბიჯი გადადგა და წარმოთქვა: «მე მსოფლიოს თავი ვარ, ეს ჩემი უკანასკნელი დაბადებაა. ამიერიდან მეტი არსებობა მე აღარ მომეცემა». და მართლაც, ბუდისტებს სწამთ, რომ ორმოცი წლის ხეტიალისა და ჭეშმარიტებათა ქადაგების შემდეგ, ოთხმოცდახუთი წლის ასაკში, ბუდა ნირვანაში წავიდა, რასაც ისინი ასე სახელდებენ: მაჰა-პარინირვანა («დიდი გადასვლა ნირვანაში»). გადმოცემით, ბუდას უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: «ახლა კი, ბერებო, მეტს ვერაფერს გეტყვით გარდა იმისა, რომ ყოველი ქმნილება დასაღუპად არის განწირული. მთელი ძალით ესწრაფეთ ხსნას».

ხსნა სწორედ ნირვანაშია. იქ წყვეტს მოქმედებას კარმისა და სამსარას კანონი. ამ სფეროში ბუდისტების რწმენა ვედურ ტრადიციას ეფუძნება, კერძოდ, იმის მიხედვით, თუ რას აკეთებდა პიროვნება მოცემულ ცხოვრებაში, განისაზღვრება მომავალი. ზნეობრივი ცხოვრების ხარისხი განაპირობებს ხელახალი დაბადების სახეს. ჩვენ, წინარე ცხოვრებაში მოპოვებული მადლის კვალდაკვალ, შეიძლება დავიბადოთ მცენარედ, ცხოველად, ასეთ ან ისეთ ადამიანად. იდეალი კი დაბადება-სიკვდილთა ციკლიდან გასვლა და ნირვანას მიღწევა, ე.ი. ბუდად გარდასახვაა.

ბუდიზმი პასუხს არ სცემს კითხვას, თუ როგორ წარმოიშვა სამყარო. ყველაფერი, რაც არსებობს, მუდამ არსებობდა, ყველაფერი მუდმივ ცვალებადობაშია. სამყარო მხოლოდ ილუზიაა. ამიტომ ბუდისტები არ სვამენ კითხვას, როდის და როგორ წარმოიშვა სამყარო. ერთადერთი რეალური, ჭეშმარიტი არსებობა აქვს ნირვანას, რისკენაც უნდა მიისწრაფვოდეს ადამიანი. ამისათვის, პირველ რიგში, კარმის გაუმჯობესებაა საჭირო, რათა წუთისოფელს მომავალში უფრო და უფრო მაღალი რეგისტრის არსებად მოევლინო, დაძლიო სამსარა და ნირვანას ეზიარო. ნირვანას გზა სიმშვიდისა და ნეტარების მდგომარეობას გულისხმობს. ბუდა ამბობს: «მწუხარების სამეფოში ნირვანა არ არსებობს, ნირვანა მწუხარების უარყოფაა. მე, სიდჰარტა გაუტამა, ზნეობის თვითგაუმჯობესებას ვწირავ ჩემს თავს, რათა უმაღლეს ზნეობრივ სიმშვიდეს, ნირვანას მივაღწიო».

ბუდიზმი კატეგორიულად უარყოფს ბოროტების წინააღმდეგ ძალისმიერ ბრძოლას და უმაღლეს ზნეობრივ პრინციპად მტრის სიყვარულს მიიჩნევს. ბუდა ამბობს: «ვაი მას, ვინც ძალადობას ძალადობით ებრძვის!... მტრობა არასდროს მოსპობილა მტრობით. ნუ გძულს, ვისაც ეზიზღები. მოიკალი გულში მტრობის გრძნობა... განრისხება სიკეთით დაამარცხე, ბოროტება — სიქველით». ასევე: «მან გამლანძღა, მან მტანჯა!... ვინც ასე გოდებს, მტრობის გრძნობა დაიხშოს გულში, რადგან მტრობა მტრობითვე ვერ მოისპობა. მისი დაძლევა არამტრობით თუ მოხერხდება. ამგვარი წესია უკუნისიდან». თუ რა გზით შეიძლება წუთისოფლის დაძლევა, ამაზე პასუხს ერთ ბუდისტურ იგავში ვპოულობთ: ახალგაზრდა და მდიდარ ქალს, კასაგოტამის, მოულოდნელად მხოლოდშობილი ძე გარდაეცვალა. დედამ ფიქრადაც არ გაიკარა ჩვილის სიკვდილი. მკერდზე მიიკონა იგი და კარდაკარ სიარულს შეუდგა: ავადაა ბავშვი და წამალი შემაწიეთო. — მხოლოდ ბუდა თუ გიშველისო... კარგიო, — უთხრა ბუდამ, მხოლოდ მდოგვის მარცვალი მომიტანე იმ ოჯახიდან, სადაც არავინ მომკვდარა. კასაგოტამი დავალების შესრულებას შეუდგა, მაგრამ ამაოდ, რადგან ყველა ოჯახს ჰყავდა მკვდარი: ზოგი შვილს მისტიროდა, ზოგი — დედ-მამას, ზოგი — მეგობარს. პასუხიც ასეთი იყო: ცოცხლები ცოტანი არიან, მკვდრები ბევრიო. მაშინ განათდა მშობლის გონება და მან მოიწმინდა ცრემლი, რადგან დარწმუნდა, რომ მისი ვაჟი მოკვდა. გოდება ამის გამო უქმი იყო, მწუხარება — უგუნურება. ბუდამაც უთხრა: უგუნურებაა გიყვარდეს ის, რაც წარმავალია, რაც ჩვენს ხელთ არ არის და, რაც საპნის ბუშტივით იკარგება.

ცხოვრების წესი და მსახურება

ბუდისტი მლოცველის საბოლოო მიზანი გასხივოსნება, ანუ სატარის მიღწევაა, რისთვისაც მედიტაციას მიმართავენ. ამ დროს ისინი, მეტწილად, ლოტოსის ფორმას იღებენ: ფეხებს გადაიჯვარედინებენ, დასხდებიან და სიჩუმეში ჩაიძირებიან.

ბუდისტები გაერთიანებული არიან სანგებში (მორწმუნეთა თემი). არსებობს საკრებულო ტაძრებიც და მონასტრებიც. ფართოდაა გავრცელებული ბერობის ის სახე, რომელსაც მწირმონაზვნობა ჰქვია. იგულისხმება, რომ ბერებმა ამქვეყნიური ცდუნებანი დაამარცხეს, ისინი არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ მცნებებს იცავენ, არამედ უფრო ღრმა ასკეზებსაც: 1. მარხვა (შუადღის შემდეგ), 2. გართობა-სანახაობებზე (ცეკვაზე, სიმღერაზე, თეატრზე) უარის თქმა, 3. მორთვა-მოკაზმულობაზე ხელის აღება, 4. რბილი საწოლის უარყოფა, 5. ოქრო-ვერცხლის საჩუქრად მიუღებლობა.

არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვით, ბუდა ექსტრემისტულ (უკიდურეს) ასკეტიზმს ეწინააღმდეგებოდა. მან, ერთხელ თურმე ბრაჰმანების მაგალითით შთაგონებულმა, ისე იმარხულა, რომ ნეკნები ამოუვარდა და ვეღარ აზროვნებდა. ამის გამო დარწმუნდა, რომ ასეთი მძაფრი მარხვა ის გზა არაა, რომელიც გასხივოსნებამდე მიგიყვანს.

ბუდისტები, ჩვეულებრივ, პირველი მცნების შესაბამისად ვეგეტარიანელები არიან.

თადაპირველად მათი მსახურება, მედიტაციით ამოიწურებოდა და არც წმიდა წიგნები ჰქონდათ (მოძღვრება ზეპირად გადაიცემოდა), მაგრამ შემდეგ რიტუალები და დღესასწაულებიც დაწესდა, შეიქმნა სუტრებიც (წიგნები). პირველი ბუდისტური წიგნი პალიზე დაიწერა. ესაა დჰამა (კანონი). მას პალი-კანონსაც უწოდებენ. სუტრებს ბუდისტების კერძო და საზოგადო პრაქტიკაში დიდი ადგილი უჭირავს.

დღესასწაულები, ძირითადად, ბუდას ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს უკავშირდება. მრავალრიცხოვანი საპილიგრიმო მსვლელობები იმართება იქ, სადაც ბუდას ფეხი დაუდგამს და კვალი დაუტოვებია. ესენია: კაპილავასტუ — ბუდას მშობლიური ქალაქი, ბოდჰიგია, სადაც ის გასხივოსნდა, ბენარესი, სადაც მან პირველად იქადაგა და კუსანარა, სადაც გარდაიცვალა. ტაძრებში ბუდას უზარმაზარი ქანდაკებები დგას, რომელთა ფეხის მტევნებთან მლოცველები განირთხმებიან და ტკბილ ჩაის დაღვრიან. იქვეა ლოცვის წისქვილები, რომელთა დახმარებით მლოცველებს შეუძლიათ გაიგონ, რამდენი მანტრა წარმოთქვეს.

ბუდიზმს სხვა სტილის აზროვნებისა და რწმენათა სისტემის მიმართ ტოლერანტობის მაღალი კულტურა ახასიათებს. ამ ნიშნით ინდოეთის ბუდისტთა იმპერია გამოირჩეოდა. მისი დამაარსებელი აშოკა (ძვ. წ. 273-232), ბევრი დაპყრობითი ომისა და სისასტიკის გამოჩენის შემდეგ ბუდას მოძღვრებას ეზიარა და დაიწყო ზრუნვა, რათა ქვეყანაში ომის ყიჟინა დჰამის სადიდებელ ჰანგებს შეეცვალა. იმის მიუხედავად, რომ იგი ღრმად მორწმუნე ბუდისტი გახდა და სიცოცხლე ამ რელიგიის ინდოეთის საზღვრებს გარეთ გავრცელებას მიუძღვნა, სხვა რელიგიების განვითარებასაც უწყობდა ხელს. ცნობილია მისი ქვაზე ამოტვიფრული ედიქტი, რომელშიც ვკითხულობთ: «იმპერატორი პატივს სცემს ყველა თემის წევრსა თუ ასკეტს. აღავსებს მათ საჩუქრებითა და პატივით. მაგრამ მისთვის თემებზე მუდმივი ზრუნვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საჩუქრები და პატივი. ყოველი თემი განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ აქვთ საერთო საფუძველი, რაც ყველას უნდა ახსოვდეს. უჯეროა მხოლოდ საკუთარი თემის პატივგება ან უპირობოდ სხვისი თემის შებღალვა... ვინც პატივს სცემს თავის თემს, ხოლო სხვებს საკუთარი თემის ერთგულებისა თუ თავისი თავის განდიდების ჟინით შეურაცხყოფს, უდიდეს ზიანს აყენებს საკუთარ თემს. თანხმობა იარსებებს მაშინ, როდესაც ერთმანეთს მოუსმენენ და პატივს მიაგებენ ერთმანეთის მოძღვრებებს. მეფეს სურს, რომ ყველა თემის წევრი საფუძვლიანად ერკვეოდეს თავის რწმენაში და ქადაგებდეს წესრიგს».

ბუდიზმი და საქართველო

ძველ საქართველოში ბუდისტთა თემის არსებობა არ დასტურდება და არც ქართული კულტურის ბუდისტურ სამყაროსთან ცოცხალი კონტაქტებია სავარაუდებელი. ამასთანავე, ფაქტია, რომ ქართული საზოგადოების ელიტარულ ნაწილს ადრეულ შუა საკუნეებში ამა თუ იმ გზით და ამა თუ იმ ფორმით ბუდას ცხოვრებასა და სამქადაგებლო პრაქტიკაზე წარმოდგენა ჰქონდა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ძველი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურა, მათ შორის, იაკობ ხუცესის «შუშანიკის წამება» (476-483). არსებობს თვალსაზრისი, რომ იქ ნახსენები ეთნონიმი *ჰონები* («მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა») ინდოეთის მკვიდრ ხალხს «თეთრ ჰუნებს» გულისხმობს (ნ. კენჭოშვილი). V საუკუნის II ნახევარში ინდოეთამდე მეფე ვახტანგ გორგასალმაც ჩააღწია და, სავარაუდოა, რომ მან ბუდას და ბუდისტების შესახებაც მიიღო ინფორმაცია. ბუდიზმთან გარკვეულ კავშირს ხედავენ იმ ასკეტურ და მისტიკურ მიმართულებაში, რომელსაც გიმნოსოფისტობა, ანუ შიშველმართალობა ეწოდება და, რაც ქართულ სასულიერო მწერლობაშიც ცნობილია.

ქართული კულტურის ბუდიზმთან კონტაქტის მაგალითია შუა საუკუნეების ქრისტიანულ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნის — «ვარლაამისა და იოასაფის» ისტორია. ესაა ბუდას ცხოვრების ქრისტიანიზებული ვერსია, რომელშიც მოთხრობილია ინდოეთის გაქრისტიანების ამბავი. მეცნიერებაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა, თუ სად და რომელ ენაზე შეიქმნა ეს თხზულება. მკვლევარები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მის ქართულ ვარიანტს, რომელსაც «სიბრძნე ბალაჰვარისი» ან «ბალავარიანი» ეწოდება. ეს ძეგლი (რედაქცია) საქართველოში არაბობის დროს, VII-X საუკუნეებში, ჩამოყალიბდა და, როგორც გიორგი მთაწმინდელი გვაუწყებს, X-XI საუკუნეებში ექვთიმე ათონელმა ბერძნულ ენაზე თარგმნა, ბერძნულიდან კი ლათინურად ითარგმნა და მთელ კულტურულ მსოფლიოში გავრცელდა.

ქართველები ინდუიზმითა და ბუდიზმით დაინტერესებული იყვნენ აღორძინების ხანაშიც და მომდევნო საუკუნეებშიც. ამას ადასტურებს XVII-XVIII საუკუნეების ანონიმი საზღაპრო მოთხრობა «დაფნის ქალაქის ამბავი» და ის ლიტერატურული წყაროები, რაც სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულსა და აღნიშნული ეპოქის სხვა სამოძღვრო-დიდაქტიკურ ნაწარმოებებს უდევს საფუძვლად. ბუდისტურ ლიტერატურაზე, ცხოვრების წესსა და ფილოსოფიაზე ბევრს წერდნენ და მის მიმართ სიმპათიებსაც გამოხატავდნენ XIX-XX საუკუნეების ცნობილი ქართველი მოაზროვნეები და პუბლიცისტები: არჩილ ჯორჯაძე, ივანე გომართელი და ივანე როსტომაშვილი.

დღეს საქართველოში, თბილისში, ბუდისტების მცირე ჯგუფი არსებობს.

ნუგზარ პაპუაშვილი

ბაჰაის სარწმუნოება - ბაჰაიზმი

რელიგია, რომლის იდეალი და მთა-ვარი მოწოდება რელიგიათა გაერთიანებაა. წარმოიშვა ირანში XIX საუკუნის შუა წლებში. აქვს მკაფიოდ გამოხატული ინტერნა-ციონალური ბუნება, რის გამოც მთელ მსოფლიოში ადვილად გავრცელდა. ორგანიზაცია ცნობილია სახელით Baha'i International Community („ბაჰაის ინტერნა-ციონალური კავშირი») (BIC), ატარებს სამივე აბრაამული რელიგიის ნიშნებს, და-მაარსებლები: ბაბი (წინამორბედი), ბაჰა-ულა და აბდულ ბაჰა.

სახელწოდება წარმოდგება დამაარსებლის ზედწოდებიდან — ბაჰა-ულა, რაც არაბულ ენაზე „ღვთის დიდებას (დიდებულებას)» ნიშნავს.

მიმდევრების რიცხვი, 2004 წლის სტატისტიკის მიხედვით, 7,5 მილიონამდე აღწევს. ისინი, ძირითადად, ინდოეთში, ირანში, აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და აშშ-ში ცხოვრობენ. გეოგრაფიული სივრცის მიხედვით, ეს სარწმუნოება მეორე ადგილზეა ქრისტიანობის შემდეგ, აერთიანებს 2112 ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფის წარ-მომადგენლებს.

ბაჰაის სარწმუნოების სიმბოლოდ ცხრაქიმიანი ვარსკვლავი გამოიყენება.

ისტორია

ბაჰაის სარწმუნოების დამაარსებლები არიან: საიდ ალი მუჰამად (1819-1850), რომელსაც ეწოდა «ბაბი» (არაბ. «კარიბჭე») და მირზა ჰუსეინ ალი ნური (1817-1892), რომელსაც ეწოდა «ბაჰა- ულა» („ღვთის დიდებულება»). პირველს ბაჰაისტები იოანე ნათლისმცემელს ადარებენ და წინამორბედად თვლიან, მეორეს კი — ფესვგადგმული მოძღვრების სრულმყოფელად და დამაგვირგვინებლად. მათი ფიქრით, ვიდრე ბაჰა-ულა თავის საღვთო მისიას გააცხადებდა, ღმერთმა მახარებელი მოავლინა, რომელსაც მისთვის გზა უნდა გაეკაფა და კარიბჭის ფუნქცია შეესრულებინა. ბაბი ქადაგებდა: „ვადასტურებ, რომ ღვთის აღთქმული დღის განთიადი დადგა... მიწიერი სურვილებისაგან განწმინდეთ გულები და ანგელოზებს დაემსგავსეთ, რათა აღთქმას ეზიაროთ, ვინაიდან ღვთის გამოცხადების შეცნობა მხოლოდ განწმენდილ გულებს ძალუძთ»....

ბაბი 1819 წელს შირაზში (ირანი) დაიბადა. 1844 წლის 22 მაისის ღამეს მან პირველად მიიღო გამოცხადება, რომელიც ღვთის შემეცნების ახალ გზაზე მიანიშნებდა. ეს

მოვლენა მან შეაფასა, როგორც უფლება ახალი რელიგიური მოძრაობის დაწყებისა და ქადაგებას შეუდგა. მის მოწოდებას ბევრი შიიტი გაჰყვა, მაგრამ მუსლიმი ღვთისმეტყველებისა და სასულიერო პირების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. საქმე ისაა, რომ მოძღვრებაში, რომელიც ბაბმა ჩამოაყალიბა, ადამიანის უფლებებს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. აქცენტი გადატანილი იყო ქალთა უფლებებსა და, ზოგადად, პიროვნებებისა და ერების თანასწორუფლებიანობაზე, რაც ირიბად, მაგრამ შესამჩნევად, ისლამური დოგმატიკისა და, კერძოდ, შარიათის კრიტიკას გულისხმობდა. ძირითადად ამ მიზეზის გამო ბაბი 1847 წლის დამდეგს დაატიმრეს, მაგრამ მისი თანამოაზრეების დაშინება ვერ შეძლეს.

ბაბის მიმდევრები მუსლიმთა თემს ოფიციალურად 1848 წელს გამოეყვნენ. ამ დროს ბადაშტში (კასპიის ზღვის სანაპირო) შედგა ბაბის ყველაზე გავლენიან მომხრეთა კრება, რომელშიც ბევრი ქალი მონაწილეობდა, მათ შორის იყო ორატორი ქუარ ალ აინი, რომელიც ქალთა ემანსიპაციის პიონერად და სიმბოლოდ იქცა. მისი მოწოდებები გასცდა ირანის საზღვრებს და რუსეთისა და ევროპის განათლებულ წრეებში სიმპათია დაიმსახურა.

ამდენად, ირანში ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა დაიწყო, რამაც შიიტთა მღელვარება გამოიწვია. საპროტესტო ტალღას სახელმწიფო აპარატიც შეუერთდა. შაჰის ბრძანებით ბაბის თემს უმკაცრესად დევნიდნენ და ავიწროებდნენ. ბაბიელები უფრო გააქტიურდნენ — მათ ირანის მთავრობისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ ჯიჰადი გამოაცხადეს. დაიწყო მშვიდობიანი ამბოხება (დაუმორჩილებლობა), რომელიც მთავრობამ სისხლში ჩაახშო. 1850 წლის 9 ივლისს ბაბი ტებრიზში საჯაროდ დახვრიტეს. ტერორი მისი მიმდევრების წინააღმდეგ 1853 წლამდე გრძელდებოდა.

სისხლიანი ტერორის მიუხედავად, ბაბის იდეების ამოძირკვა ვერ მოხერხდა. მას მხარდამჭერები თეირანის ელიტარულ ოჯახებშიც გამოუჩნდნენ. სახელმწიფო მინისტრის შვილები, ნახევარძმები — მირზა ჰუსეინ ალი ნური, რომელსაც შემდეგ ბაჰა-ულა ეწოდა, და მირზა იაჰუა ნური, რომელსაც შემდეგ სუბი-აზალი (არაბ. «მარადისობის განთიადი») ეწოდა, ამ მოძრაობის ერთგული მიმდევრები და ლიდერები გახდნენ. როდესაც ბაბი მოწამებრივად აღესრულა, თემის მართვის სადავეები ცხრამეტი წლის სუბი-აზალის ხელში გადავიდა. ამ დროს ეს თემი ახალ გამოცხადებას ელოდებოდა.

1852 წელს ბაჰა-ულაც დააპატიმრეს და თეირანის სიაჰ-ხალის ციხეში (სპარს. «შავი ხვრელი»), სისასტიკით გამორჩეულ საპყრობილეში ჩააგდეს. მისი ბევრი თანამორწმუნე სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ თავად ბაჰა-ულას ფიზიკური განადგურება ვერ გაბედეს, რადგან იგი თვით ირანის საზოგადოების შესამჩნევი ნაწილისა და ევროპის დიპლომატიური წრეების თვალში მაღალი ავტორიტეტით, ქმედითი მხარდაჭერით სარგებლობდა. საპყრობილეში ბაჰა-ულამ აუწერელი ტანჯვა-წამება აიტანა და, ამასთანავე, დიდი მისტიკური გამოცდილება შეიძინა, რაც ბაჰაის სარწმუნოების მიხედვით, მისი წინასწარმეტყველური მოღვაწეობის გზაზე პირველ ნაბიჯად ითვლება.

ამის შემდეგ ბაჰა-ულა, დაავადებული და ღონემიხდილი, კვლავ დასავლეთის დიპლომატიური სამსახურების ჩარევით, სახელმწიფოდან გააძევეს. იგი ბაღდადში დასახლდა. მას სუბი-აზალი და ბაბის რამდენიმე უახლოესი თანამებრძოლიც გაჰყვნენ, მაგრამ მალე ძმებს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი, რის გამოც ბაჰა-ულა ქურთისტანის მთიანეთში, სილემანის ოლქში, დერვიშად წავიდა. იქ იგი დროის დიდ ნაწილს ლოცვასა და მედიტაციაში ატარებდა. 1856 წელს კი ბაღდადში დაბრუნდა და ლიტერატურულ-თეოლოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. ამ დროს შექმნა მან ცნობილი შრომები: «შვიდი ხევი» და «დაფარული სიტყვა». 1862 წელს გამოიცა მისი პირველი ფუნდამენტური ნაშრომი «რწმენის წიგნი», რომელშიც გადმოცემულია რელიგიური შემეცნების ამ ახალი სისტემის საფუძვლები და თემის ჩამოყალიბების ისტორია, ბაბის ღვაწლი და გამოცხადებათა აღმავალი ხაზი, რომლის საფუძველზეც კაცობრიობას კიდევ ერთი ახალი რელიგია შეემატა.

ბაჰა-ულა ერაყშიც პოპულარული პიროვნება გახდა. მის მოძღვრებას მომხრეები იქაც საკმარისად გამოუჩნდნენ, რამაც ირანის კონსული და ადგილობრივი სასულიერო პირები შეაშფოთა. მათ იგი აიძულეს სტამბოლში გახიზნულიყო.

ბაჰა-ულამ სტამბოლში, რიდვანის ბაღში, 1863 წლის 8 აპრილს მხარდამჭერთა მცირე წრე შეკრიბა და განაცხადა, რომ ის მხოლოდ იმას ქადაგებს და აკეთებს, რაც ბაბმა ღვთის გამოცხადების საფუძველზე უანდერძა. ბაჰა-ულას მიმდევრები ამ შეხვედრას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ მათ საგანგებო დღესასწაული — რიდვანი — დააწესეს, თუმცა ზუბი-აზალმა ამ მოვლენის საღვთო მნიშვნელობა უარყო.

ბაჰა-ულას თურქეთის მთავრობაც დაუპირისპირდა. ოთხი თვის შემდეგ იგი სტამბოლიდან ედირნესში გადააასახლეს. იქ მან 1866 წლის გაზაფხულზე საჯაროდ და წერილობით განაცხადა, რომ ის თავისი დროის მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი რელიგიური ლიდერია. სუბი-აზალიმ ძმა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მკაცრად დაგმო და დაიწყო იმის დასაბუთება, რომ ბაბიმ აღთქმის შვილად ბაჰა-ულა კი არა, თავად ის მიიჩნია. მან თავის მომხრეებთან ერთად წამოიწყო კამპანია, რომლის მიზანი ოსმანური თურქეთის ხელისუფალთა თვალში ბაჰა-ულას მოძღვრებისა და საქმიანობის დესტრუქციულ მოვლენად წარმოჩენა იყო.

ბაბის თანამებრძოლები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, მეტწილად, ბაჰა-ულას მხარეზე დადგნენ. მათ ბაჰაელები (ბაჰაიტები) ეწოდათ. ხოლო ბაბის ის მიმდევრები, რომლებიც არც ზუბი-აზალს გაჰყვნენ და არც ბაჰა-ულას, დამოუკიდებელ რელიგიურ ორგანიზაციად გაერთიანდნენ. მათ მოძღვრებას და ტრადიციას ბაბიზმი ეწოდა. ბაბისტების რიცხვი დღეისათვის 2000-ს არ აღემატება.

აღნიშნულმა დაპირისპირებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ბაჰა-ულაც და აზალიც დასაჯეს: პირველი ციხე-ქალაქ აკონში (დღევანდელი ისრაელი), მეორე კი კვიპროსზე გადაასახლეს. ციხე-ქალაქი აკონი შემდგომ ბაჰაელების სათაყვანებელ ადგილად იქცა და იგი უამრავ პილიგრიმს იზიდავს.

ბაჰა-ულამ პატიმრობაში ოც წელიწადზე მეტი დაჰყო. ეს დრო მისი თეოლოგიურ-ლიტერატურული მოღვაწეობისათვის ერთობ ნაყოფიერი აღმოჩნდა. აქ მან დაწერა

წიგნები არაბულ და სპარსულ ენებზე, რომლებშიც ახალ მოძღვრებას და ახალჩამოყალიბებული სარწმუნოებრივი თემის კანონმდებლობას სრულყოფილი სახე მისცა, დაამუშავა თეორია კაცობრიობის ერთიანობისა და რელიგიათა შერიგების შესახებ. ამ თვალსაზრისით, გამორჩეული ადგილი უჭირავს მის წიგნს „ქითაბ აქდა» («უწმინდესი წიგნი». სპარს.).

ბაჰა-ულა გარდაიცვალა 1892 წლის 29 მაისს ბაჰჯი ბაი ჰიაფაში, სადაც აღიმართა ტაძარი, რომელიც ბაჰაელების სულიერი ცენტრი და უდიდესი სიწმინდეა.

ბაჰაელთა თემის ხელმძღვანელობა ბაჰა-ულამ უფროს ვაჟს, აბდულ-ბაჰას (1844-1921), ჩააბარა (აბდულ-ბაჰა არაბულად «დიდებულების მსახურს» ნიშნავს). სიკვდილის წინ მამამ იგი «აღთქმის ცენტრად და თავისი მოძღვრების ერთადერთ განმმარტებლად» გამოაცხადა. ფიქრობენ, რომ ამით («ერთადერთ განმმარტებლად» გამოცხადებით) რელიგიის დამფუძნებელს სამომავლოდ აზრთა სხვადასხვაობისა და უთანხმოებისთვის საფუძვლის გამოცლა ჰქონდა ჩაფიქრებული. ჩანს, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან, როგორც ბაჰაელები ამტკიცებენ, მათ შორის სექტანტურ დაყოფასა და განხეთქილებას დღემდე ადგილი არ ჰქონია.

აბდულ-ბაჰამ მამის ხვედრი გაიზიარა. მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ტყვეობასა და გადასახლებაში გაატარა, მაგრამ თურქეთის 1908 წლის რევოლუციამ, რომლის მესვეურებს დასავლეთის თვალში დემოკრატებად წარმოჩენა სურდათ, მას თავისუფლება აჩუქა. აბდულ-ბაჰამ 1910-1913 წლებში ეგვიპტეში, ევროპასა და აშშ-ში იმოგზაურა. მოინახულა ბაჰაელთა ეკლესიები, რომლებიც იქ 1892 წლიდან დაარსდა. იგი რელიგიებსა და ეროვნებებს შორის მშვიდობიან თანაარსებობას ქადაგებდა. ჰუმანიტარული მოღვაწეობის გამო, რომელიც მან განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის დროს (1914-1918) გამოიჩინა, საყოველთაო აღიარება და ავტორიტეტი მოიპოვა. 1920 წელს მას ბრიტანეთის იმპერიის რაინდის ტიტული მიენიჭა.

აბდულ-ბაჰამ ბაჰაის რწმენის მიმდევართა წერილობითი ანდერძის მიხედვით, თავის მემკვიდრედ უფროსი შვილიშვილი შოგი-ეფენდი (1897-1857) გამოაცხადა და მას «ღვთაებრივ საქმეთა მცველი» უწოდა. ამ უკანასკნელმა დიდი სამისიონერო პროგრამა შეიმუშავა: პირველ რიგში, ბაჰა-ულას მნიშვნელოვანი წიგნები ინგლისურად თარგმნა, რის გამოც ეს მოძღვრება მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახდა. შოგი-ეფენდიმ ჰაიფაში გააშენა თვალწარმტაცი ბაღი და ააგო რეზიდენცია, რომელიც ბაჰაის სარწმუნოებისა და ბაჰაელთა კავშირის ცენტრად გამოცხადდა (ბოლო რეკონსტრუქცია 2001 წელს ჩატარდა).

ბაჰაელთა საერთაშორისო ორგანიზაცია Bahá'I International Community (BIC) ოფიციალურად 1848 წლიდან არსებობს. იგი გამოცხადებულია არასამთავრობო ორგანიზაციად, რომელიც სხვადასხვა რელიგიურ და საზოგადოებრივ მიზნებს ემსახურება. ესენია: ერებისა და სოციალური ფენების დაახლოება, ეკონომიკის წახალისება, კულტურისა და პოლიტიკის ჰუმანიზაციისათვის ზრუნვა, ბავშვების, (განსაკუთრებით ობლების) დახმარება, ადამიანების სულიერი და ფსიქიკური გაჯანსაღება, გენდერული პრობლემების მოწესრიგება და ბევრი სხვა. 1992 წელს ნიუიორკში «ქალების დახმარების ბიურო» დააარსეს. BIC მსოფლიო მასშტაბის

სოციალური და ეკონომიკური განვითარების 1714 პროექტს ახორციელებს. აქვს 348 სკოლა.

ბაჰაის სარწმუნოების მიმდევართა რიცხვი, მსოფლიო მასშტაბით, შესამჩნევად იზრდება. 1954 წელს დაახლოებით 213 000 ბაჰაელს ითვლიდნენ, მათი 94 პროცენტი ირანის მოქალაქე იყო, დანარჩენი კი (დაახლ. 10 000) ევროპასა და ამერიკაში ცხოვრობდა. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ბაჰაელთა მრავალრიცხოვანი თემები, ე.წ. მესამე სამყაროშიც გაჩნდნენ და მათი ზრდის ტენდენცია დღემდე გრძელდება. 1968 წელს ბაჰაელთა რიცხვმა მილიონს გადააჭარბა. მათგან 22 პროცენტი ირანზე მოდიოდა, 26 — ინდოეთზე, სხვაგან კი მხოლოდ 30 000 კაცი ცხოვრობდა. 1988 წელს ბაჰაელები 4,5 მილიონამდე იყვნენ: ირანელთა წილი 2 პროცენტს შეადგენდა, ინდოელებისა — 40-ს. დანარჩენ ქვეყნებში კი უკვე 200 000 აღირიცხა. 2004 წელს საერთო რაოდენობამ 7,5 მილიონს მიაღწია, მაგრამ პროცენტული მაჩვენებლები ირანსა და ინდოეთში არ შეცვლილა. ინდოეთში დღეს 2,2 მილიონი ბაჰაელი სახლობს და ისინი ბაჰაელთა ყველაზე დიდ ეკლესიას წარმოადგენენ მსოფლიოში.

ირანსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ზუსტი სტატისტიკის წარმოება ვერ ხერხდება, ვინაიდან დევნა-შევიწროების გამო იქ ბევრი «სხვადმორწმუნე» კონსპირაციულად ცხოვრებას ამჯობინებს. ვარაუდობენ, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში (დაარსდა 1979 წელს) 460 000 ბაჰაელი იმყოფება.

BIC-ს ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, ეს სარწმუნოება უკვე 2112 ეთნიკური ჯგუფის წარ-მომადგენლებს აერთიანებს.

მოძღვრება და პრაქტიკა

ბაჰაელების მოძღვრება და ცხოვრება სათავეს, ძირითადად, ისლამის შიიტური ტრადიციიდან იღებს, თუმცა, ძველი და ახალი აღთქმის რელიგიებისაგან და აღმოსავლური მისტიკისაგანაცაა (ინდუიზმისა და ბუდიზმისაგან) დავალებული. მიუხედავად ამისა, იგი დამოუკიდებელი რელიგია და მსოფლმხედველობაა.

ბაჰაელთა რელიგიის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს რწმენა იმისა, რომ არსებობს ერთი აბსოლუტურად ტრანსცენდენტული ღმერთი, რომელიც რელიგიებსა და კაცთა მოდგმას მისტიკურად აერთიანებს. ბაჰაელთა რწმენით, ღმერთმა სამყარო სიყვარულით შექმნა და ადამიანები იმდენად უყვარს, რომ მათთან აღთქმა, ანუ ხელშეკრულება დადო. ხელშეკრულება კი ორმხრივ ვალდებულებას გულისხმობს, რის გამოც ღმერთი ადამიანებს ობლად არ სტოვებს და მათ თავის ნებასა და განზრახვას ატყობინებს. როდესაც კაცობრიობა გზიდან გადაუხვევს და სულიერად ავადდება, ღმერთი დედამიწაზე თავისი ნების წარმომჩენსა და განმცხადებელს გზავნის. იგი ადამიანებს ღვთის სიტყვასა და განზრახვას აუწყებს. ესაა გამოცხადება, რომელიც ღმერთისაგან მოდის და ღვთის სათნო ადამიანებს მიემადლება.

ღმერთთან ყველაზე ახლოს ადამიანი დგას, რის გამოც იგი (ღმერთი) მხოლოდ მას ეცხადება და ხელშეკრულებასაც მასთან დებს. ამგვარ გამოცხადებებს ყოველთვის ჰქონდა ადგილი. ამის მაგალითია აბრაამი, მოსე, დავითი და ძველი აღთქმის სხვა

მამათმთავრები თუ წინასწარმეტყველები, აგრეთვე, ზარატუსტრა, კრიშნა, ბუდა, მუჰამადი, მაგრამ ღვთის სიტყვისა და ნების მთავარი განმცხადებელი ძველ დროში ქრისტე იყო, ახალ დროში კი — ბაჰა-ულა. ერთიც და მეორეც, ბაჰაელთა თქმით, ისე არეკლავენ ღვთის სახეს, როგორც გაპრიალებული სარკე მზის სხივებს. თუ გვინდა შევიმეცნოთ ღმერთი და გავიგოთ მისი ნება, ქრისტეს და ბაჰა-ულას უნდა მოვუსმინოთ. ღვთის ნება კი ერთი მწყემსის ერთ სამწყსოში კაცობრიობის გაერთიანებაა.

ღვთის გამოცხადების პროცესი ისტორიაში არ წყდება. მაშასადამე, მუჰამადი არაა ღვთის უკანასკნელი წინასწარმეტყველი და მოციქული. ეს შეხედულება მკვეთრად უპირისპირდება ისლამის ერთ-ერთ ცენტრალურ დოგმატს გამოცხადებათა სერიაში მუჰამედის მწვერვალად აღიარების შესახებ და შეიცავს რწმენას, რომ საღვთო ჭეშმარიტების მარცვლები ყველა დროში, ხალხსა და რელიგიაში არსებობს.

ბაჰაის სარწმუნოების არსებითი ნიშანი რასებისა და ტომების ერთიანობისაკენ მოწოდებაა, იდეალი კი — ტომებადა და რელიგიებად დაქსაქსული კაცობრიობის ერთი ინტერნაციონალური საღვთო ერისა და ზესარწმუნოების წიაღში გაერთიანება. ამდენად, ბაჰაელთა იდეალი ღვთის სასუფევლის დედამიწაზე დამკვიდრებაა.

ბაჰაელებს სწამთ, რომ ასეთი ერი-სა და ასეთი სარწმუნოების კონტურებს ყველაზე სრულყოფილად ბაჰა-ულას მოძღვრება მოიცავს. ეს სარწმუნოება ხაზს უსვამს, რომ კაცთა მოდგმა მშვენიერი ბაღის მსგავსია, სადაც სხვადასხვა ფორმისა თუ სურნელის ყვავილები ხარობენ. მშვენიერების საწინდარი სწორედ ყვავილების სიმრავლე და მრავალფეროვნებაა. კაცობრიობის ხიბლიც რასათა და ტომთა ნაირგვარობაა. «ადამიანებო, თქვენ ერთი ხის ნაყოფები და ერთი ტოტის ფოთლები ხართ!» — ქადაგებს ბაჰა-ულა.

ბაჰაის სარწმუნოება კონსპექტურადაა გადმოცემული სარწმუნოების სიმბოლოში, რომელსაც «ხუთი ბურჯი», ანუ თეზისი ეწოდება. ესენია: 1. სარწმუნოების ფორმულა (შაჰადა), 2. ლოცვა (სალათ), 3. მარხვა (საუნ), 4. მოწყალება (ზაქათი), 5. მომლოცველობა (ჰაჯი, პილიგრიმობა). მორწმუნეთა ყოველდღიური ღვთისმსახურება, ძირითადად, ისლამურ პრინციპებს მიჰყვება, მაგრამ შესამჩნევი ცვლილებებით: ყოველდღიური ხუთგზის ლოცვა შეცვლილია სამგზის, შედარებით გრძელი, ლოცვით. შემცირებულია მარხვის ვადა, რამაზანის ნაცვლად შემოღებულია ბაჰა-ულას თვე, რომელიც 19 დღეს გრძელდება, ფინანსური შემოსავლის 19 პროცენტი მართლმორწმუნემ მოწყალებისათვის უნდა გაიღოს.

ბაჰაელთა ღვთისმსახურების მთავარი მომენტი ყოველდღიური ინდივიდუალური ლოცვაა. ლოცვა შესაძლებელია ყველგან, რადგან ღმერთი ყველგანმყოფია: საგანგებო შენობები საჭირო არაა. მთავარი აქცენტი პიროვნების გაუმჯობესებაზე უნდა იქნეს გადატანილი, უნდა აიკრძალოს მაგარი სასმელები და უაზრო გართობები, რათა საზოგადოებაში მშვიდობამ და ჰარმონიამ დაისადგუროს. ბაჰა-ულას მოძღვრება «ახალ მსოფლიო წესრიგს», ახალი ქვეყნის მშენებლობას გულისხმობს. ვინც ამ გზაზე დგას, მისთვის მიუღებელი უნდა იყოს როგორც უკიდურესი ასკეტიზმი, — განდეგილობა და თვითგვემა, — ისე ჰედონური ცხოვრება და ფუფუნება. ბაჰაელები წინააღმდეგი არიან აღსარების დაწესების, ანუ მორწმუნეთათვის ცოდვების ხმა-

მაღლა თქმის დავალდებულებისა, რადგან ასეთ შემთხვევაში, მათი აზრით, ერთი ადამიანის მიერ მეორის დამცირება ხდება.

შოგი ეფენდის გარდაცვალების შემდეგ, ვინაიდან მას მემკვიდრე არ დარჩენია, ბაჰაელთა მსოფლიო თემის ხელმძღვანელობა 9 კაცისა და 9 ქალისაგან დაკომპლექტებულ საბჭოს გადაეცა (საბჭო შეიქმნა 1963 წელს). მისი რეზიდენცია ქალაქ ჰაიფაში (ისრაელი) მდებარეობს. მას ჰქვია «სამართლიანობის მსოფლიო სახლი».

ბაჰაელებს სასულიერო პირები არ ჰყავთ. თითოეული საკრებულო ყოველწლიურად ირჩევს 9 პიროვნებას (ქალსაც და კაცსაც), რომლებიც «ადგილობრივ სასულიერო კრებულს» ქმნიან, არა აქვთ სპეციალიზებული თეოლოგიური სასწავლებლები, რჯულში განსწავლა ერთმანეთის ურთიერგამოცდილების გაზიარების შედეგად ხდება.

ბაჰაის სარწმუნოება საქართველოში

იმ დროს, როდესაც ბაჰაის სარწმუნოება ყალიბდებოდა, ირანში ბევრი ქართველი ცხოვრობდა. 1846 წელს ბაბის მოძღვრებას ქართველი უფლისწული მანუჩარ ბაგრატიონი ეზიარა. იგი ისპაჰანის გუბერნატორი იყო და დიდი გავლენით სარგებლობდა. ბაჰაელები ამ პიროვნებას ერთ-ერთ პირველ თავდადებულ რაინდად მიიჩნევენ.

კავკასიის ტერიტორიაზე ბაჰაის სარწმუნოება XX საუკუნის დამდეგს შემოვიდა. მისი მიმდევრები, ძირითადად, აზერბაიჯანელი მოქალაქეები იყვნენ, მაგრამ ამ მოძღვრების ჭეშმარიტება რამდენიმე ქართველმაც ირწმუნა. შეიქმნა საკრებულოები, მაგრამ, კომუნისტური რეჟიმის პირობებში, მათ არსებობა ვერ შეინარჩუნეს. ბაჰაელთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა იატაკქვეშეთში ცხოვრება არჩია.

პერესტროიკის შემდეგ ბაჰაელთა ასპარეზზე ღიად გამოსვლის შესაძლებლობა გაჩნდა. საქართველოში მისიონერები — ირანელი რაოჰანი და ინდოელი აფშინა — შემოვიდნენ, რომლებმაც 1992-1993 წლებში თბილისში ბაჰაელთა პირველი თემი შექმნეს და ბაჰაელთა საბჭოს არჩევნებიც ჩაატარეს. პატარ-პატარა ჯგუფები ქუთაისში, ბათუმში, გორში, მცხეთაში, მარნეულსა და თელავში ჩამოყალიბდა. დაფუძნდა (თბილისში) «ბაჰაის სასულიერო ასამბლეა საქართველოში», რომელიც, ბოლო მონაცემების მიხედვით, 2500-მდე მოქალაქეს აერთიანებს.

ნუგზარ პაპუაშვილი

თეოსოფია და ანტროპოსოფია

სულიერ-ინტელექტუალური შემეცნების ორი სისტემაა, ზებუნებრივ სამყაროში შეღწევისა და ადამიანში სულიერი იმპულსების ამოცნობის ორი გზაა, — ორი დარგი, რომლებსაც აქვთ საერთო წარმომავლობა და მონათესავე შინაარსი.

ზოგადი აზრით, ერთიც და მეორეც არსებობდა ყოველთვის და ყველა რელიგიურ-კულტურულ ცივილიზაციაში, კერძო აზრით კი, თითოეულ მათგანს კონკრეტული ისტორია და დისციპლინარული სახე აქვს.

თეოსოფია

თვითშემეცნების თეორია და პრაქტიკაა, რომლის მიზანი ადამიანსა და მის გარემომცველ სამყაროში ღვთის სულის ამოცნობაა. გაირჩევა ორი მიმართულება: ქრისტიანული და ზოგადრელიგიური.

დღეისათვის უფრო პოპულარულია მეორე, რომელსაც მოდერნისტულ, ანუ თანამედროვე თეოსოფიას უწოდებენ («თეოსოფიური საზოგადოება»). დამაარსებელია ელენე ბლავაცკაია (1831-1891). ეფუძნება აღმოსავლურ და დასავლურ რელიგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობა, განსაკუთრებით — ბუდიზმსა და ინდუიზმს და, ძირითადად, ამ რელიგიათა ცნება-ტერმინებით ოპერირებს.

ერთი რომელიმე კონფესიით შემოფარგლული არ არის და მისი მიმდევარი შეიძლება ნებისმიერი კონფესიის წარმომადგენელი იყოს.

ცნება

თეოსოფია ბერძნული სიტყვაა (*თეოს* — ღმერთი, *სოფია* — სიბრძნე) და «ღვთის სიბრძნეს», ღვთაებრივ სიბრძნეს ნიშნავს.

მოკლე განმარტებით, თეოსოფია არის ღვთიური სიბრძნის წარმოჩენის მეცნიერება და ღვთისშემეცნების მეთოდოლოგია. ამ სახელით ღვთაებრივ სიბრძნეს და ღვთაებრივ მოძღვრებას სხვადასხვა რელიგიურ და ფილოსოფიურ სისტემაში მოიხსენიებდნენ, მაგალითად, — იუდაურ კაბალაში, ანტიკურ და ქრისტიანულ გნოსტიციზმში, ისლამურ სუფიზმში, მაგრამ თეოსოფია, როგორც დარგი, XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა. იგი, ძირითადად, დაფუძნებულია ინდურ რელიგიურ გარემოსა და სპირიტუალობაზე, მაგრამ ჭეშმარიტების მარცვლებს ყველგან ხედავს და «კაცთა მოდგმის საყოველთაო ძმობას» ქადაგებს.

არსებობს თეოსოფიის სხვადასხვაგვარი დეფინიცია:

1) რელიგიის ისტორიკოსებისა და ეზოთერიზმის მკვლევართა განსაზღვრებით, თეოსოფია მისტიციზმის ნაირსახეობას წარმოადგენს. იგი განსხვავდება თეოლოგიისაგან. თუკი თეოლოგია მოცემული რელიგიის საფუძვლების, როგორც ავტორიტეტის, რაციონალურ და რეფლექტურ ანალიზს ემყარება, თეოსოფიის წყარო, უპირატესად, ინდივიდუალური ზეშთაგონებანია. შესაბამისად, მისი ველი ვრცელია და ერთი კონკრეტული რელიგიის ფარგლებს სცილდება.

2) თვით თეოსოფიის, როგორც ერთ-ერთი თანამედროვე რელიგიურ-მისტიკური მიმართულების თვალთახედვით, თეოსოფია იმ ზეჭეშმარიტების გამოცხადებას წარმოადგენს, რომელიც ადამიანის შინაგან სამყაროში არსებული ღვთაებრივი ცენტრიდან გადმოიღვრება და, რომლის საფუძველზე ერთი კონკრეტული დარგი და სისტემა იქმნება. თუკი ამ სისტემის საზღვრებს გავცდებით, ძველი და ახალი დროის ბევრი მისტიკოსის, ოკულტისტისა და გნოსტიკოსის თეოსოფად გამოცხადება მოგვიწევს.

ისტორია

თეოსოფიის ამოსავალი დებულებები გვიან ანტიკურ ეპოქაშიც გვხვდება. იგულისხმება ნეოპლატონიზმი, გნოსტიციზმი და კაბალისტიკა. თეოსოფიურ თეორიებს შუა საუკუნეებში ბევრი ქრისტიანი და იუდეველი მისტიკოსი ავითარებდა (პიკო მირანდოლა, იოჰანეს როიხლინი, ქრისტიან როზენროტი, ფრანც მერკურიუს ჰელ-მონტი, ემანუელ სვედენბორგი, მაისტერ ერკჰარტი, გოეთე და სხვ.). ამ თეორიებს ეფუძნება, აგრეთვე, ხასიდების მისტიკა თანამედროვე იუდაიზმში.

ეზოთერიზმის მკვლევრები ერთმანეთისაგან მიჯნავენ (1) «კლასიკურ», ანუ ქრისტიანულ თეოსოფიას, რომელსაც დასრულებული სახე იაკობ ბიომემ და ვილჰელმ ბლაკემ მისცეს და (2) «თანამედროვე», ანუ ინტერკონფესიურ (პანეკუმენურ) თეოსოფიას, რომლის ფუძემდებელი და თეორეტიკოსი ე. პ. ბლავაცკაიაა.

კლასიკური, ანუ ქრისტიანული თეოსოფია, ძირითადად, მარტინ ლუთერის თეოლოგიას ეფუძნება, განსაკუთრებით იმ პრინციპს, რომელიც ღვთის ძიების გზაზე ბიბლიის ინდივიდუალურად კითხვასა და შემეცნებას გულისხმობს, აგრეთვე — როზენკროიცერებისა და პიეტისტების მოძღვრებას (XVI-XVIII სს).

XVIII საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ ევროპაში ვითარდება ერთობ ინტელექტუალური ორიენტაციის თეოსოფია, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ფრიდრიხ ქრისტოფ ოეტინგერი იყო. მომდევნო ეტაპად ითვლება რომანტიკოსების მისტიცზმი (სანტ-მარტინი და ფრანც ბაადერი), რომლის ხაზს აგრძელებენ და ასრულებენ XIX-XX საუკუნეების მოაზროვნეები: ნიკოლაი ბერდიაევი, ლეოპოლდ ციგლერი, ვალენტინ ტომბერგი, რუდოლფ შტაინერი (ნაწილობრივ) და სხვანი.

თანამედროვე («მოდერნისტული») ანთროპოსოფია, ქრისტიანული თეოსოფიისაგან განსხვავებით, ავტონომიურ დარგად, მიმდინარეობად და ორგანიზაციადაა წარმოდგენილი. მის სათავეში რუსული წარმოშობის მისტიკოსი (ოკულტისტი) და მწერალი ელენა პავლეს ას ბლავაცკაია (1831-1891) დგას. მან ქმრის გარდაცვალების შემდეგ მთელი ფინანსური შესაძლებლობები სულიერი ინტერესების შესაბამისად გამოიყენა. ამტკიცებდა, რომ იყო ინდოეთში, ეწვია ტიბეტს, გაიცნო დალაი ლამა და ბევრ საიდუმლო (დაფარულ) ცოდნასა და სიბრძნეს ეზიარა, ეწვია საქართველოსაც. შემდეგ იგი ამერიკაში გადავიდა, სადაც მან და ჰენრი შტელ ოლკოტმა 1875 წლის 17 ნოემბერს ნიუ-იორკში თეოსოფიური საზოგადოება დააარსეს. ეს იყო ერთგვარი ეზოთერულ-ოკულტური ორდენი. პრეზიდენტად ე. ბლავაცკაია აირჩიეს.

1878 წელს ბლავაცკაია, ოლკოტი და მათი რამდენიმე თანამოაზრე სამხრეთ ინდოეთში, მადრასში, გადასახლდნენ და იქ, ქ. ადიარში, მადრასის სიახლოვეს, თეოსოფიური საზოგადოება — დიდი თეოსოფიური სკოლა — ჩამოაყალიბეს. თანამედროვე თეოსოფიამ დასრულებული სახე სწორედ ინდოეთში მიიღო. მისი წინამძღვრები, ბლავაცკაია და ოლკოტი, ისე ღრმად დაუკავშირდნენ ბუდიზმს, რომ მათ 1880 წლის მაისში, შრი ლანკაში, თავი ბუდისტებად გამოაცხადეს და აღთქმა დადეს. თეოსოფიურ საზოგადოებას ბევრი ადგილობრივი ბუდისტი თუ არაბუდისტი შეუერთდა, მათ შორის — ანაგარიკა დჰარმაპალა, დაიანანდა სარასვატი, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის გენერალური მდივანი ალან ოკტავიან ჰუმე და სხვანი. თეოსოფიის მიმართ სიმპათიები ლეგენდარულმა მაჰატმა განდიმაც გამოხატა. ოლკოტმა 1881 წელს «ბუდისტური კატეხიზმო» დაწერა და მხარი დაუჭირა რეფორმატორულ მოძრაობას ამ კონფესიის წიაღში. თეოსოფიურმა საზოგადოებამ დაარსების პირველივე დღიდან ფართომასშტაბიანი ანტიკოლონიური და ანტირასისტული კამპანია წამოიწყო — მოუწოდეს ევროპელებსა და ამერიკელებს, მხარი დაეჭირათ მათთვის ინდუსი და ბუდისტი ხალხების ეროვნული კულტურის დაცვისათვის ბრძოლაში.

ბლავაცკაიას გარდაცვალების შემდეგ (1891 წ.) თეოსოფიური საზოგადოების პრეზიდენტი ანი ბეზანტი გახდა. მან და მისმა თანამშრომლებმა ვილიამ ქუან იუდგესმა და ფრანც ჰარტმანმა ბევრი იღვაწეს, რათა ბლავაცკაიას ფუნდამენტურ წიგნებში (იხ. ქვემ.) განხილული საკითხები სისტემაში მოეყვანათ და საზოგადოებაში ერთსულოვნება შეენარჩუნებინათ. ამის მიუხედავად, 1895 წელს ინტერკონფესიური თეოსიფიური მოძრაობა ორ მიმართულებად გაიყო: ოლკოტისა და იუდგეს სკოლებად. ოლკოტი მადრასში, ადიარში, ცხოვრობდა, იუდგე — ამერიკაში, კალიფორნიაში, პოინტ ლომაში. ამ უკანასკნელმა მეტი მცდელობა გამოიჩინა და მისი სკოლა დღესაც აქტიურობს. ამ სკოლის ცენტრი და უნივერსიტეტი ქ. პასადენაში მდებარეობს.

თეოსოფიური საზოგადოების ფილიალები ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა რეგიონში, თვით ბლავაცკაიას ინიციატივით XIX საუკუნის 80-იან წლებში დაარსდა. ასე შეიქმნა ავსტრიული და გერმანული სექციები, რომელთაგან ზოგიერთმა, მოგვიანებით, ნაციონალ-სოციალისტების იდეები გაიზიარა. ზოგიერთი სექცია დამოუკიდებელ გზას დაადგა და არცერთ ზემოაღნიშნულ სკოლასთან კავშირი არ შეინარჩუნა. ერთ-ერთი გერმანული სექციის თავმჯდომარედ დოქტ. რუდოლფ შტაინერი დაინიშნა. მისი მოძღვრების თანახმად, დედამიწის განვითარების,

კაცობრიობის ცივილიზაციის ცენტრალური მოვლენა არის გოლგოთის მისტერია (მაცხოვრის შობა, ჯვარცმა, აღდგომა). ამასთანავე, ყველა ადრინდელი რელიგია, როგორც ამას ჯერ კიდევ V საუკუნეში ნეტარი ავგუსტინე ქადაგებდა, კაცთა მოდგმას ქრისტესთან შესახვედრად ამზადებდა. ეს თეორია წინააღმდეგობაში მოვიდა ბლავაცკაია-ოლკოტისეულ ქრისტოლოგიასთან, რის გამოც რ. შტაინერმა თეოსოფიური საზოგადოება დატოვა (იხ. ანთროპოსოფია).

მოძღვრება და პრაქტიკა

თეოსოფია არც რელიგიაა და არც მეცნიერება, თუმცა ფორმითაც და შინაარსითაც იგი ერთთანაცაა დაკავშირებული და მეორესთანაც. თეოსოფია, მისი წარმომადგენლების თვითშეფასებით, ზერელიგია და ზემეცნიერებაა. ამის შესაბამისად, შესაძლებელია, რომ თეოსოფი ნებისმიერი კონფესიის წარმომადგენელი გახდეს. თეოსოფია, პირველ ყოვლისა, თვითშემეცნების სისტემაა, რაც უფრო ინდივიდუალიზმს გულისხმობს, ვიდრე კოლექტივიზმს. შემმეცნებელი სუბიექტები თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, ე.ი. სწავლებისა და ასკეტიზმის პროცესს, ინდივიდუალურადაც გადიან და ერთობლივადაც, ქმნიან საზოგადოებებს, ჯგუფებს და სხვადასხვა სახის გაერთიანებებს.

თეოსოფიის, როგორც ცალკე მდგომი სისტემის, ზოგად საფუძველს წარმოადგენს ნეოპლატონიკოსთა მისტიკა ღვთიური ემანაციის შესახებ. ღმერთი სამყაროს ძალა და საფუძველია. იგი კოსმიური ძალაა, რომლის წიაღიდან ყველაფერი, ხილულიც და არახილულიც (მატერიალურიც და არამატერიალურიც), თავისთავად გამოედინება, ანუ წინასწარი განზრახვის გარეშე იქმნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ღმერთი ისევე ასხივებს სამყაროს, როგორც მზე გამოსცემს სხივებს, — მარადის და უკუნისამდე, ვიდრე არსებობს. თეოსოფთა ფორმულა ასეთია: *ღმერთი არის ყველაფერში და ყველაფერი არის ღმერთში.* ეს მსოფლმხედველობა, თავის მხრივ, განაპირობებს თანამედროვე თეოსოფიაში მკაფიოდ გამოხატულ პრინციპს ხალხთა დაახლოებისა და დაძმობილების შესახებ.

თანამედროვე (ინტერკონფესიურ) თეოსოფიურ საზოგადოებათა ერთ-ერთი არსებითი ნიშანია ის, რომ მათ აითვისეს სპირიტუალური ცოდნა და გამოცდილება, რაც მასონთა ორდენმა საუკუნეთა განმავლობაში დააგროვა. ამ ეტაპზე ეს ცოდნა, მათი განზრახვით, დემოკრატიული უნდა გამხდარიყო და შეძლებისამებრ ყველა ხალხსა და სოციალურ ფენაში უნდა გავრცელებულიყო, რათა კაცთა მოდგმის დაახლოებასა და დაძმობილებას მყარი საფუძველი ჩაყროდა. ამ იდეალის სრულყოფის გზაზე თეოსოფებს პირველი რიგის ამოცანად რელიგიათა და კულტურათა დიალოგი ესახებოდათ, რასაც შედეგად, მათი ფიქრით, ანტიკური და თანამედროვე არაქრისტიანული რელიგიების, ქრისტიანობისა და XIX საუკუნის მეცნიერების ურთიერთგაგებისა და თანხმობის მიღწევა მოჰყვებოდა.

თეოსოფიურმა საზოგადოებამ სამი ძირითადი მიზანი და მუშაობის მეთოდი ჩამოაყალიბა: 1. ღვთაებრივი იმპულსებისა და ცოდნის წინ წამოწევა სხვადასხვა რელიგიური სისტემის შესწავლითა და გათვალისწინებით, თანაც ისე, რომ უპირატესობა არც ერთ რელიგიურ სისტემას არ მიენიჭოს, 2. რელიგიათა შორის სა-

ერთო იმპულსების გამოვლენა და ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაღრმავება ისე, რომ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებმა ამ საზოგადოებაში სულიერი ერთობა იგრძნონ, 3. ბუნების საიდუმლოებებისა და აუხსნელი მოვლენების შესწავლა ისე და იმ დანიშნულებით, რომ ამის შედეგად ადამიანის ზეგრძნობადი ძალები განვითარდეს.

ამ და ბევრ სხვა საკვანძო საკითხზე თავისი შეხედულებები ე. ბლავაცკაიამ გადმოსცა წიგნებში «საიდუმლო დოქტრინა» და «თეოსოფიის გასაღები», რომლებიც თანამედროვე თეოსოფიის ფუძემდებლურ შრომებად ითვლება. მათში გადმოცემულ მოძღვრებას ყველა თეოსოფიური საზოგადოება ავტორიტეტულად მიიჩნევს, თუმცა აღიარებენ, რომ აქ სისტემატიზაციის პრინციპი სრულყოფილად გათვალისწინებული არ არის. ამ ხარვეზის გამოსწორება მომდევნო სახელმძღვანელოების ავტორებმა სცადეს. სახელმძღვანელოს დანიშნულება აქვს, აგრეთვე, ე.წ. «მაჰატმას წერილებს».

ზოგადი შეფასებით, ბლავაცკაია-ოლკოტის თეოსოფია ბუდიზმის, ბრაჰმანიზმის, გნოსტიციზმის, ქრისტიანული ფილოსოფიის, ალქიმიის, ოკულტიზმის, სპირიტიზმის, ანთროპოსოფიისა და სხვათა სინკრეტიზმს წარმოადგენს. ამდენად, იგი საკმაოდ რთული ფსიქოლოგიურ-კოსმოლოგიური და რელიგიურ-თეოლოგიური სისტემაა: აღიარებს მოკვდავ სხეულში მყოფი ადამიანის იმქვეყნიურ სამყაროსთან შეერთების შესაძლებლობას, ამუშავებს სათანადო გზებსა და მეთოდებს და საამისოდ ყველა რელიგიის ასკეტური პრაქტიკის გამოყენებას ცდილობს. მართალია, მისი ცოდნისა და რწმენა-წარმოდგენების ველი ინტერკონფესიურია, მაგრამ მეტწილად ბუდიზმს (იხ.) ეყრდნობა და ამ რელიგიის საფუძვლებს — რეინკარნაციას, მეტემფსიქოზს, კარმასა და მაჰატმას («დიდ სულს», სანსკ.) — აღიარებს.
თეოსოფიური საზოგადოება ქრისტეს მიიჩნევს ერთ-ერთ დიად ხელდასხმულად, ანუ ისეთად, როგორებიც იყვნენ შვიდი რიში, ზარატუსტრა, ბუდა, მოსე და სხვ. ამდენად, მათ იესო ქრისტე მიაჩნიათ არა ღვთის ძედ და მისი სიტყვის (ლოგოსის) განსხეულებად, ე.ი. ღმერთად, არამედ ერთ-ერთ ხელდასხმულად, ინდური ტერმინოლოგიით — ავატარად.

თეოსოფები განსაკუთრებული ინტერესითა და ინტენსივობით სწავლობდნენ და სწავლობენ ძველი აღმოსავლეთის რელიგიურ ფილოსოფიას, რაც წარმოდგენილია უპანიშადებში, სუტრებსა და ინდოელ მაჰატმათა მოძღვრებებში; ქადაგებენ ადამიანთა შორის ძმობას, განურჩევლად სარწმუნოებისა, რასისა და ეთნიკური წარმომავლობისა.

ანთროპოსოფია

გნოსტიკურ-სპირიტუალური მსოფლმხედველობაა, რომლის ცენტრში ადამიანი დგას. ჩამოყალიბდა თეოსოფიური საზოგადოების ბაზაზე, როგორც მასთან დაპირისპირების შედეგი.

დამაარსებელი: დოქტ. რუდოლფ შტაინერი (1861-1925). მისი თეორიისა და პრაქტიკის მიმდევრებს შტაინერელებსაც ეძახიან.

მსჭვალავს და მოიცავს სულიერი, ინტელექტუალური და პრაქტიკული ცხოვრების მრავალ დარგს. მიმდევრები სხვადასხვა რელიგიასა და სოციალურ ფენაში ჰყავს.

ცნება

სიტყვა ბერძნულია: *ანთროპოს* — ადამიანი და *სოფია* — სიბრძნე, ე.ი. სიბრძნე ადამიანის შესახებ. ამდენად, ანტროპოსოფია წარმოადგენს ანტროპოლოგიის (ადამიანთმცოდნეობის) ნაწილს და გულისხმობს მოძღვრებას მისი ფენომენის, მისი არსების, მისი ადგილის შესახებ მიკრო და მაკრო კოსმოსში. ამ სახელწოდების ქვეშ ადამიანი, ჩვეულებრივ, მოიაზრება როგორც სულიერი და ღვთიური მოვლენა.

ტერმინი *ანთროპოსოფია* შედარებით ახალია. იგი პირველად 1575 წლის ერთ ანონიმურ წიგნში დასტურდება და აქვს (*თეოსოფიის* პარალელურად) «სიკეთის მეცნიერების», «ადამიანურ საქმეთა სიბრძნის» მნიშვნელობა. ეს სიტყვა XIX საუკუნის დასაწყისში შვეიცარიელმა ექიმმა და ფილოსოფოსმა იგნაც ტროქსლერმა *ბიოსოფიის* (სიცოცხლის სიბრძნის) გვერდით იხმარა. მას ხშირად იყენებენ აღნიშნული საუკუნის ფილოსოფოსები და განმანათლებლები: შელინგი, ფიხტე, გიდეონ სპიკერი, რობერტ ჰიმერმანი და სხვ. რუდოლფ შტაინერი ამ სიტყვაში თავიდან ფართო შინაარსს დებდა. ამას 1902 წელს ბერლინში წაკითხული მოხსენებების სათაურიც ადასტურებს: «ზარატუსტრადან ნიცშემდე. კაცობრიობის განვითარების ისტორია იდეოლოგიათა, შემწეობით უძველესი აღმოსავლეთის დროიდან თანამედროვეობამდე, ანუ ანთროპოსოფია». აქ ანთროპოსოფია იდეოლოგიათა, ანუ მსოფლმხედველობათა ისტორიის სინონიმია. სულის მეცნიერების, როგორც კონკრეტული დარგის, აღმნიშვნელად შტაინერმა ეს სახელწოდება პირველად 1909 წელს გამოიყენა (*ფსიქოსოფიისა* და *პნევმატოსოფიის* პარალელურად) და წარმოაჩინა, როგორც ხიდი თეოსოფიასა და ანთროპოლოგიას შორის. მას შემდეგ, რაც მან თეოსოფიურ საზოგადოებასთან კავშირი გაწყვიტა, თავისი მოძღვრებისა და მიმართულების აღსანიშნავად ეს ცნება და ტერმინი გამოიყენა.

თანამედროვე გაგებით, ანთროპოსოფიის ინტერესების სფეროში შემოდის ყველაფერი, — ბუნებრივიც (ემპირიულიც) და ზებუნებრივიც (სულიერიც), რასაც პიროვნებასთან და მის სულთან ქმედითი კავშირი აქვს. ანთროპოსოფია არის არა მხოლოდ მოძღვრება, არამედ, აგრეთვე, მეთოდი, რითაც წარიმართება თვითმყოფადი გამოკვლევები სულიერ სფეროსა და მეტაფიზიკაში. მის სინონიმებად თავად შტაინერი სხვა ცნებებსაც იყენებდა — «თეოსოფია», «იდუმალთმცოდნეობა», «სულის მეცნიერება». ამდენად, თეოსოფია და ანთროპოსოფია ზოგჯერ ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება.

ისტორია

ანთროპოსოფიის, როგორც თეორიისა და მეთოდოლოგიის, დამფუძნებელი და მიმართულების განმსაზღვრელი არის მსოფლიო სახელისა და ავტორიტეტის მქონე ეზოთერიკოსი და ფილოსოფოსი, მეცნიერების სხვადასხვა დარგში საყურადღებო შრომების ავტორი რუდოლფ შტაინერი (Rudolf Joseph Lorenz Steiner).

რუდოლფ შტაინერი ავსტრიაში, ქ. კრალევიჩში (უნგრეთის საზღვართან), 1861 წლის 25 თებერვალს დაიბადა. მამა რკინიგზის სადგურის უფროსად მსახურობდა და იმდენი შესაძლებლობა ჰქონდა, რომ შვილებისათვის სათანადო განათლება მიეცა, მაგრამ აკადემიური ცოდნის წყურვილი მხოლოდ რუდოლფმა გამოამჟღავნა.
შტაინერის ბიოგრაფები ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ზეგრძნობადი სამყაროს აღქმის უნარი მან თავის თავში შვიდი წლის ასაკში შენიშნა. იგი იმასაც გრძნობდა, რომ ეს უნარი მის ირგვლივ არავის ჰქონდა და ამის გამო დუმილს არჩევდა. ყმაწვილი განსაკუთრებით მუსიკამ და ხატვამ გაიტაცა, თუმცა მათემატიკურ და ტექნიკურ საგნებშიც გასაოცარ ნიჭს იჩენდა. როდესაც იგი რეალური სასწავლებლის შეგირდი იყო, — 14 წლისა, ატომებისა და მოლეკულების შემადგენლობით დაინტერესდა და ფილოსოფიის შესწავლა დაიწყო. 16 წლისამ კანტის «წმინდა გონების კრიტიკის» წაკითხვა და დამუშავება შეძლო. 19 წლის რ. შტაინერი შეხვდა პიროვნებას, რომელსაც საკუთარ ზეგრძნობად განცდებზე უამბო. ამ პიროვნებამ იგი სულიერ მოძღვარს შეახვედრა, რომელმაც ურჩია, რომ მატერიალური სამყაროს კანონზომიერებები შეესწავლა.

1879-1883 წლებში რ. შტაინერი ვენის ტექნიკურ ინსტიტუტსა და, პარალელურად (თავისუფალი მსმენელის სტატუსით), უნივერსიტეტში სწავლობს. ისმენს ლექციებს ფიზიკა-მათემატიკაში, ბიოლოგიასა და ფილოსოფიაში და მიდის დასკვნამდე, რომ მატერიალური სამყაროს კანონზომიერებანი ზეგრძნობადი სამყაროს კანონზომიერებათა გამოვლინებაა. 1883 წელს მან როსტოკის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე «შემეცნების თეორიის ძირითადი საკითხები» და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მოიპოვა.

1884-1899 წლებში რ. შტაინერი ინტენსიურ სამეცნიერო-საგამომცემლო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. 1899 წელს იგი დაოჯახდა.

იმავე წლიდან დოქტ. შტაინერის ცხოვრებასა და მსოფლმხედველობაში გარდატეხა მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ შტაინერს ზეგრძნობადი სამყაროს არსებობაში ეჭვი არასდროს შეჰპარვია, რელიგიის მიმართ მას კრიტიკულად დისტანციური დამოკიდებულება ჰქონდა. იყო ნიცშეანელი და თვლიდა, რომ «ღმერთი მოკვდა». 1900 წელს იგი თეოსოფიურ საზოგადოებას და მის პრეზიდენტს, ანი ბეზანტს, დაუახლოვდა და ბერლინის ერთ-ერთ კლუბში ქრისტიანული მისტიკის შესახებ ყოველკვირეული ლექციების კითხვა დაიწყო («ქრისტიანობა, როგორც მისტიკური აქტი»). ეს იყო ვრცელი კურსი, რომელზე მუშაობის დროსაც შტაინერი ქრისტიანობას რწმენით ეზიარა. ამ მომენტს მან ავტობიოგრაფიაში «ღრმა შემოტრიალება» დაარქვა.

შტაინერის გზას ნიცშეანელობიდან თეოსოფობამდე მკვლევრები «ახალი დროის დამასკოს განცდას» უწოდებენ და მას პავლე მოციქულის მოქცევას ადარებენ (საქ. 9:1-9).

1902 წელს დოქტ. შტაინერი ოფიციალურად გახდა თეოსოფიური საზოგადოების ადიარის ფრთის (Adyar-TG) წევრი და გერმანული სექციის ხელმძღვანელი, მაგრამ ქრისტოლოგიის საკითხში (ძირითადად) მას ამ საზოგადოებასთან რამდენიმე წლის შემდეგ კონფლიქტი მოუვიდა. მან ირწმუნა ბიბლია და ქრისტეს ღვთაებრიობა. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა თეოსოფების ხედვა, რომ ქრისტე ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) ავატარაა (იხ. თეოსოფია). ეს იყო მთავარი მიზეზი, რის საფუძველზეც რუდოლფ შტაინერი აღნიშნულ საზოგადოებას 1912 წელს გამოეყო და 1913 წელს «საყოველთაო ანთროპოსოფიული საზოგადოება» დააარსა. ამ წელს თეოსოფიური საზოგადოების გერმანული სექცია 2500 წევრმა დატოვა — ისინი ანთროპოსოფიულ საზოგადოებაში შევიდნენ. პირველი სექცია კიოლნში ჩამოყალიბდა. რ. შტაინერმა პრეზიდენტობაზე უარი თქვა. საზოგადოებას პრეზიდიუმი მართავდა. მას მარი სივერსი (შტაინერის მეორე ცოლი, იქორწინეს 1914 წ.), მიხაელ ბაუერი და კარლ უნგერი წარმოადგენდნენ. შტაინერი საპატიო პრეზიდენტი და მთავარი მომხსენებელი იყო.

ამის შემდეგ შტაინერი ხელოვნებითა და არქიტექტურით დაინტერესდა. 1910-1913 წლებში მიუნხენში მისი ოთხი მისტიკური დრამა დაიდგა, ხოლო ქ. დორნახში (შვეიცარია), სადაც ის გადასახლდა და დამკვიდრდა, 1922 წელს საკუთარი პროექტითა და ინჟინერიით ხის სახლი (გოეთეანუმი ანუ გოეთეანელთა სახლი) ააგო. იქ ანთროპოსოფიული საზოგადოების ცენტრი და სკოლა განთავსდა, მაგრამ შენობა მომდევნო წელს ხანძარმა იმსხვერპლა. მის ადგილზე მან ახალი, უფრო დიდი, ერთობ ორიგინალური სტილის ბეტონის სახლის მშენებლობა წამოიწყო, მაგრამ დამთავრებას ვერ მოესწრო (დაასრულეს 1928 წ.). ეს ნაგებობა, გოეთეანუმი, არქიტექტურულ შედევრადაა მიჩნეული.

1914-1922 წლებში ლექციების წასაკითხად შტაინერმა დასავლეთ ევროპის ბევრ ქალაქში იმოგზაურა. იგი ომის საწინააღმდეგო მოწოდებით გამოდიოდა და ამ პოზიციას ანთროპოსოფიის პრინციპებით ამყარებდა. მის საჯარო გამოსვლებს იმდენი მსმენელი ესწრებდა, რომ წესრიგის დასამყარებლად ხშირად პოლიციას იძახებდნენ.

რუდოლფ შტაინერი 1925 წლის 30 მარტს რამდენიმეთვიანი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დორნახში გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე, გოეთეანუმის ბაღში. დიაგნოზი და გარდაცვალების ზუსტი მიზეზი ცნობილი არ არის (ზოგიერთი ანთროპოსოფი მოწამვლას ასახელებს).

დამაარსებლისა და წინამძღვრის გარადაცვალების შემდეგ ანთროპოსოფიული საზოგადოება კრიზისმა მოიცვა. შტაინერს არ დაუტოვებია ანდერძი, თუ ვის უნდა დაეკავებინა მისი ადგილი როგორც საზოგადოებაში, ისე სკოლაში. ხუთკაციან პრეზიდიუმში, რომელიც შტაინერმა სიკვდილამდე ერთი წლით ადრე ჩამოაყალიბა, მალე უთანხმოებამ იჩინა თავი. შტაინერის მემკვიდრედ ალბერტ შტეფენი გამოცხადდა, მაგრამ მან ერთიანობის შენარჩუნება ვერ მოახერხა. დორნახმა მსოფლიოს ანთროპოსოფთა გამაერთიანებლის ფუნქცია თანდათან დაკარგა. სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებები წარმოიშვა: ჰო-

ლანდიაში, ინგლისში, რუსეთსა და ა.შ. ამის მიუხედავად, შტაინერის მოძღვრება და მისი კულტურული იმპულსები საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილში ფართოდ ვრცელდებოდა. ინერგებოდა სწავლების ახალი მეთოდოლოგია (ვალდორფისეული სკოლა) და ახალი ინიციატივები ხელოვნებაში, რომელთა პროპაგანდას მარი სივერსი-შტაინერი ემსახურებოდა.

ანთროპოსოფიული საზოგადოების საქმიანობა გერმანიაში 1935 წლის 1 ნოემბერს რაინჰარდ ჰაიდრიხის დეკრეტით აიკრძალა. მიზეზად ამ საზოგადოების არაეროვნულობა და ინტერნაციონალურობა, «უცხო ქვეყნების მასონებთან, ებრაელებთან და პაციფისტებთან ურთიერთობა», ანთროპოსოფიულ სასწავლებლებში შემოღებული «ინდივიდუალური და არა კოლექტიური, ნაციონალსოციალიზმის პრინციპებთან შეუსაბამო მეთოდი» და «ეროვნებისა და სახელმწიფოს მოძულე იდეოლოგია» დასახელდა. დაიწყო ანთროპოსოფების, განსაკუთრებით «ებრაელობაში ეჭვმიტანილების», დაპატიმრება და განადგურება. პრეზიდიუმის წევრები, რომლებიც საქმიანობას იატაკქვეშეთში განაგრძობდნენ, იძულებულნი გახდნენ, რომ ადოლფ ჰიტლერისათვის წერილი მიეწერათ და ემტკიცებინათ, რომ შტაინერი არიული წარმოშობისაა და ებრაელობასთან კავშირი არა აქვს. ბევრმა იმის მტკიცებაც დაიწყო, რომ შტაინერის საბუნებისმეტყველო შეხედულებები ახლოს დგას კაცთა მოდგმის ჯიშებად დაყოფის ნაცისტურ თეორიასთან. თუმცა ასეთი კოლაბორაციონიზმის მცდელობამ მიზანს ვერ მიაღწია და თეოსოფთა და ანთროპოსოფთა მასონობაზე ჰიტლერმა აზრი არ შეიცვალა. გერმანელი ანთროპოსოფების დევნა მას შემდეგ გაძლიერდა, რაც მათმა ლიდერმა რუდოლფ ჰესმა სამშობლო დატოვა და ინგლისში გადაიხვეწა (1941 წ.). ის და მისი თანამოაზრეები მოღალატეებად გამოცხადდნენ.

ომის დამთავრებისა და ნაცისტური რეჟიმის განადგურების შემდეგ ანთროპოსოფთა მოძრაობა ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნდა. განახლდა დორნახის გოეთეანუმი (1939 წლიდან დაკეტილი) და შეიქმნა შტაინერის მემკვიდრეობის ინსტიტუტი, რომელსაც დღეს რუდოლფ შტაინერის გამომცემლობა ჰქვია (დააარსა მარიე შტაინერმა. იგი გარდაიცვალა 1948 წ.).

დღეისათვის ანთროპოსოფიული საზოგადოებები, ამა თუ იმ ფორმით, 103 ქვეყანაში მოქმედებს, დაწესებულებების რიცხვი 10 000-ს აღწევს.

ანთროპოსოფიული საზოგადოებების ცენტრად კვლავ დორნახი რჩება, ფილიალები კი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქვს, მათ შორის — საქართველოში.

შტაინერის მემკვიდრეობა. რ. შტაინერის კვლევის სფერო მოიცავს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიცაა ადამიანის არსება, ბუნება და მიზანი თავისუფლებისა, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა, ევოლუციის აზრი, სიცოცხლე დაბადებამდე და სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. შტაინერმა სულ 6000-ზე მეტი ლექცია წაიკითხა, რომლებიც თემატურ ციკლებად არის შესული მისი შრომების 354 ტომში. ძირითადი ნაშრომებია: «იდუმალთმეტყველება», «თეოსოფია», «სამყაროს მატიანე», «ქრისტიანობა როგორც მისტიკური ფაქტი», «როგორ შევიცნოთ ზეგრძნობადი სამყარო» და სხვ. შტაინერის შრომებში გამორჩეული ადგილი უჭირავს ლექციათა ციკლებს ძველი და ახალი აღთქმის შესახებ, რომლებშიც შტაინერი ცდილობს ნათელი მოფინოს ეზოთერულ ბიბლიას.

შტაინერის მოძღვრებაზე დაყრდნობით, ანდა ამ მოძღვრების გავლენით, ახალი დარგები და სფეროები განვითარდა, კერძოდ: სასკოლო რეფორმა, ანუ იგივე სულიერი ბედნიერების პედაგოგიკა (Heil-pädagogik, ვალდორფის სკოლა), ბიოდინამიკური სოფლის მეურნეობა და მებაღეობა, ანთროპოსოფიული მედიცინა, ანთროპოსოფიული ფინანსისტიკა, ანუ საზოგადო ბანკი სესხისა და დახმარებისათვის (Finanzwesen für Leihen und Schenken) და სხვ. თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მოქმედებს ანთროპოსოფიულ-თერაპიული კლინიკები და საავადმყოფოები. გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა მკურნალობის ცენტრები. გაჩნდა კვლევის ახალი მიმართულებები მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, ეკონომიკასა და ფსიქოლოგიაში, ასევე — მხატვრობაში, სკულპტურაში. მანვე შექმნა ევრითმია, ანუ მოძრაობის ხელოვნება (Bewegungskunst), რომელიც თვითონ ხილულ მეტყველებად და ხილულ სიმღერად განსაზღვრა.

ანთროპოსოფებს ბევრი თანამდგომი ჰყავდათ და ჰყავთ კულტურის დარგში, განსაკუთრებით — ხელოვნებაში: იოსებ ბოისი, ვასილი კანდინსკი, ქრისტიან მორგენშტერნი, ალბერტ შვაიცერი, ხორგე ლუის ბორხესი, ერიხ მენდელსონი, ბრუნო ვალტერი, ოსკარ ლიუთი, მიხაელ ენდე, ანდრეი ბელი, სოლ ბელოუ, ჰერმან ჰესე და ბევრი სხვა.

მოძღვრება და პრაქტიკა

ანთროპოსოფია არ არის რელიგია. იგი, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, არის სიბრძნე ადამიანის შესახებ. ესაა ქრისტიანულ რელიგიაზე დაფუძნებული სულიერი სიბრძნე, რომლის ცენტრში დგას ადამიანი, როგორც ღვთიური ქმნილება. ანთროპოსოფია თავის თავს განიხილავს როგორც უმაღლეს ცოდნას, რომლის წვდომა შესაძლებელია სულიერი ხილვების, ანუ მედიტაციის გზით.

«თეოსოფიაში», რომელიც პირველად 1904 წ. გამოქვეყნდა, შტაინერმა ადამიანის არსება სამ ნაწილად დაყო: სხეული, სამშვინველი და სული (Leib, Seele, Geist). შესაბამისად, ანთროპოსოფია ადამიანში სამ მხარეს განასხვავებს: ფიზიკურს, ფსიქიკურს (სამშვინვლისეულს) და პნევმატურს. შტაინერი დაეყრდნო მის დროს საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით ბუნება სამნაწილიანია: მინერალი, მცენარე, ცხოველი. ამ სისტემას ანთროპოსოფია მეოთხე ნაწილს, ანუ მეოთხე სამყაროს (Viertes ”Reich”) უმატებს. ესაა «მე», ანუ ადამიანი, რომელიც სამყაროს სამივე ნაწილს (Naturreiche) მოიცავს და სამივეში ნაწილდება. ამის მიხედვით, ადამიანი სამი სხეულისაგან და ერთი პიროვნებისაგან შედგება: ფიზიკური, ეთერული, ასტრალური სხეულები და «მე» (Physischer Leib, Ätherleib, Astralleib, Ich). ეთერული სხეული ცოცხალი არსებაა, ასტრალური — გასულიერებული (”beseelt”) — საერთო ცხოველისა და ადამიანისათვის. ამ სხეულს ადამიანობას ინდივიდუალური სული («მე») ანიჭებს, რომლის მეშვეობით პიროვნება ყალიბდება.

ქრისტოლოგია. შტაინერი ერთმანეთისაგან განაცალკევებს იესოს და ქრისტეს და თვლის, რომ ქალწულისაგან იშვა კაცი იესო, რომელსაც უმაღლესი სულიერი არსება ქრისტე ნათლისღების ჟამს შეუერთდა. მაშასადამე, ღვთის ინკარნაცია (ხორცშესხმა)

იორდანეში მოხდა. ჯვარცმით სიკვდილის მერე ქრისტე დედამიწას შეუერთდა და იგი ყოველი ადამიანის შინაგანი და მისტიკური სახილველისათვის (გარეგანი კონფესიურობისაგან დამოუკიდებლად) აღქმადია, შეცნობადია. გოლგოთის მისტერიას შტაინერმა კაცობრიობის ისტორიის ცენტრალური მოვლენა უწოდა და მასთან ზიარება იმ მეთოდისა და გზის მთავარ მიზნად წარმოაჩინა, რომელიც პიროვნების სულიერ დახელოვნებას, დაოსტატებას (Schu-lungsweg) ითვალისწინებს. ესაა თვითშემეცნების გზა, რომელიც საფეხურებისაგან (წინაპირობებისაგან) შედგება და ზეაღმავალია. ამ საფეხურების გასავლელად საჭიროა ბოროტი ფიქრებისაგან, გრძნობებისა და სურვილებისაგან ცნობიერების გათავისუფლება და ინიციაცია.

ანთროპოსოფია ეფუძნება ქრისტიანული რელიგიის ფუნდამენტურ დოქტრინას, რომლის თანახმად, ადამიანი არის ღვთის ხატი. მისი მიზანი სულიერი ამაღლება და ღმერთთან პირველქმნილი ჰარმონიის დაბრუნებაა. ანთროპოსოფიის მიხედვით, ადამიანი თავადაა თავისი კარმის, თავისი ბედის შემოქმედი. იგი სულიერი ამაღლებისა და სრულყოფისთვისაა მოწოდებული. ესაა იდეალი, რომლის ხორცშესასხმელად ერთხელ დაბადება საკმარისი არ არის. მისი მიღწევა, დაბადებათა და გარდაცვალებათა ციკლის გავლით, ანუ რეინკარნაციით ხდება შესაძლებელი. რეინკარნაცია ლათინური სიტყვაა და «ხელახალ განსხეულებას» ნიშნავს. ანთროპოსოფებს მიაჩნიათ, რომ რეინკარნაციის იდეა და ფაქტი სახარებაშიცაა მოცემული. იგულისხმება: 1) კითხვა, რომელსაც მოწაფეები მაცხოვარს უსვამენ შობითგან ბრმის განკურნების წინ: «რაბი, ვინ სცოდა, მან თუ მისმა მშობლებმა, ბრმა რომ დაიბადა?» (იოანე 9:2) და 2) კითხვები, რომლებიც იოანე ნათლისმცემელს დაუსვეს: «ელია ხარ? წინასწარმეტყველი ხარ? მაშ, ვინ ხარ?» (იოანე 1:21).

კარმისაგან გათავისუფლება ცხოვრების გასულიერებით ხდება. იგულისხმება ინტელექტის განწმენდა, რომლის საუკეთესო საშუალებაა სულიერი მარხვა. ამიტომაა, რომ შტაინერელები, მეტწილად, ხორცს არ ჭამენ. მათ აქვთ თავიანთი ეკლესიები, სადაც მსახურება ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით სრულდება (ცხადია, ეპისკოპოსის მოხსენიების გარეშე).

ანთროპოსოფიის კრიტიკა. კათოლიკურმა ეკლესიამ შტაინერის მოძღვრება გნოსტიციზმს შეადარა და ერესის კვალიფიკაცია მისცა. იგი ხშირად გამხდარა თავდასხმის ობიექტი როგორც რაციონალურ-ემპირიული მეცნიერების, ისე სოციოლოგებისა და პოლიტიკოსების მხრიდან. მის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ როგორც რასისტები და ნაცისტები (იხ. ზემ.), ისე ანტირასისტები და გლობალისტები. თუკი ნაციონალ-სოციალისტები ანთროპოსოფებს ბრალდებად იმას უყენებდნენ, რომ ისინი «სისხლს (გენს), რასას და ნაციას» პრიმიტივიზმად მიიჩნევდნენ და იდეალად ყოველივე ამაზე ამაღლებას წარმოსახავდნენ, ინტერნაციონალისტები შემდეგს ამტკიცებდნენ: შტაინერი იმდენს ლაპარაკობს და ისე ლაპარაკობს ადამიანების ჯიშებზე, რომ შეგვიძლია მის თეორიას «რა-სისტული მისტიკა» ვუწოდოთ. აზრთა სხვადასხვაობამ და კამათმა იმ მასშტაბს მიაღწია, რომ ამ საგანზე მსჯავრის გამოსატანად 1997 წელს ნიდერლანდებში სწავლულ კაცთა კომისია შედგა. მან დაადგინა: «ადამიანთა სურათი, წარმოსახული რუდოლფ შტაინერის ანთროპოსოფიაში, ეფუძნება ყველა ადამიანური ინდივიდუალობის თანაბარღირებულებიანობის პრინციპს და არა ერთი რასის მოჩვენებით უპირატესობას მეორესთან შედარებით".

ანთროპოსოფია საქართველოში

ცნობებმა ანთროპოსოფიისა და ანთროპოსოფიული საზოგადოებების არსებობის შესახებ საქართველოში XX საუკუნის 10-იან წლებში შემოაღწია, მის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი მოდერნისტული ხელოვნებით გატაცებულმა ახალგაზრდებმა გამოავლინეს — კ. გამსახურდიამ, კ. ჭიჭინაძემ, გ. ტაბიძემ, ს. თვარაძემ და სხვებმაც, მაგრამ ამ მიმდინარეობის პირველი და ყველაზე აქტიური ქომაგი გიორგი ერისთავი აღმოჩნდა.

გ. ერისთავი 30-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, სადაც იქაურ ანთროპოსოფებს დაუახლოვდა, ეზიარა შტაინერის იდეებსა და მათი გავრცელებაც დაიწყო, რაც უშიშროების სამსახურს არ გამოეპარა და ახალგაზრდა კაცი ციმბირში გადაასახლეს. იგი თავისი მსოფლმხედველობის ერთგული დარჩა და, როდესაც სამშობლოში დაბრუნდა, დოქტ. შტაინერის წიგნების პოპულარიზაციას მიჰყო ხელი. რამდენიმე წიგნი ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამაც თარგმნეს (დაიბეჭდა მოგვიანებით). ამ საქმეს ერთგულად ემსახურებოდნენ, აგრეთვე, ი. რამიშვილი და ვ. დარსანია. დორნახში მუშაობს და აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწევა ზ. გამ-სახურდიას ვაჟი კონსტანტინე (კოკო).

ქართულ ენაზე რ. შტაინერის წიგნების ინტენსიური თარგმნა 1991 წლიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება (ეროვნულ ბიბლიოთეკაში 17 წიგნის ქართული თარგმანია.

საქართველოში არსებობს ანთრო-პოსოფიული საზოგადოება, რომელსაც დორნახის ცენტრთან მჭიდრო კონტაქტი აქვს, ფუნქციონირებს ვალდორფის რამდენიმე სკოლა.

ნუგზარ პაპუაშვილი

სეკულარიზაცია

სეკულარიზაცია (ლათ. secularum — საერო) აღნიშნავს პროცესს, რომლის დროსაც რელიგია კარგავს გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა უბანზე. პირველად ტერმინი «სეკულარიზაცია» XVII საუკუნეში გამოიყენეს და მისი მეშვეობით საეკლესიო მიწების საერო მმართველობაში გადასვლა აღნიშნეს.

სეკულარიზაციის თეზისი რელიგიის სოციოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე რთული მხარეა. ამ საკითხთან დაკავშირებით საერთო შეხედულება არ არსებობს. მეცნიერთა ნაწილი სოციოლოგიის დამფუძნებელ მამებს (მარქსს, დიურკჰეიმსს, ვებერს) ეთანხმება და მიიჩნევს, რომ თანამედროვე მსოფლიოში რელიგია კარგავს ძალასა და

მნიშვნელობას. სეკულარიზაციის მოწინააღმდეგეები კი ამტკიცებენ, რომ რელიგია კვლავაც უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება, თუმცა ხშირად ახალ და უჩვეულო ფორმებს იძენს.

დღესდღეობით «სეკულარიზაცია» უმთავრესად ორი მნიშვნელობით გამოიყენება: ერთი მხრივ, სეკულარიზაციად რელიგიური მოსახლეობის რაოდენობრივ კლებას მოიაზრებენ, რაც მორწმუნეთა შემცირებით, მკაცრი რელიგიური რეგლამენტის იგნორირებით, ათეიზმის გავრცელების მასშტაბით და სხვა ფორმებით იზომება, ხოლო მეორე მხრივ, «სეკულარიზაცის» ცნებით რელიგიური მმართველობის არეალიდან საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების გასვლის პროცესს გამოხატავენ. ამ კუთხით, ინდივიდუალური რელიგიურობა სეკულარიზაციას არ ეწინააღმდეგება, სანამ რელიგია ინდივიდის თავისუფალი არჩევანის სფეროში რჩება, ხოლო სახელმწიფო გადაწყვეტილებებს რელიგიური ნორმებზე დაყრდნობით არ იღებს. მაგალითად, სამხრეთ კორეასა და ლათინურ ამერიკაში, ან აშშ-ში პროტესტანტული მოძრაობის გაძლიერება ანტისეკულარულ ხასიათს არ ატარებს.

სეკულარიზაციის შესაფასებლად სოციოლოგები სხვადასხვა ასპექტებსა და პარამეტრებს იყენებენ, მათ შორის ზოგიერთი თავისი ბუნებით ობიექტურია, როგორც, მაგალითად, ამა თუ იმ რელიგიური ორგანიზაციის წევრთა რაოდენობრივი მაჩვენებელი. სტატისტიკური მონაცემებით და ოფიციალური ცნობებით შეიძლება დადგინდეს რამდენი ადამიანი მიიჩნევა რომელიმე რელიგიური გაერთიანების წევრად, როგორია რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის მაჩვენებელი და სხვ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის ყველა ინდუსტრიულმა ქვეყანამ, აშშ-ს გარდა, მნიშვნელოვანი სეკულარიზაცია განიცადა.

სეკულარიზაციის მეორე კრიტერიუმი ეკლესიის ან სხვა რელიგიური გაერთიანების სოციალურ გავლენას, სიმდიდრეს და ავტორიტეტს უკავშირდება. შუა საუკუნეებში, დასავლეთში, რელიგია უდიდეს გავლენას ახდენდა ხელისუფლებაზე, იგი უპირობო ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში. მაგრამ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რელიგიურმა ორგანიზაციებმა სოციალური და პოლიტიკური გავლენა დაკარგეს. თუმცა ეს ტენდენცია საყოველთაო არ არის. აღმოსავლურ, განსაკუთრებით ისლამურ სამყაროში, რელიგია კვლავაც მნიშვნელოვანი გავლენის წყაროდ გვევლინება. (ამის ნათელი მაგილითი დღევანდელი საქართველოცაა).

სეკულარიზაციის მესამე კრიტერიუმი რწმენასა და ღირებულებებთან არის დაკავშირებული. ეკლესიაში სიარული და რელიგიის საზოგადოებრივი გავლენა, ცხადია, უშუალოდ არ გამოხატავს მოსახლეობის პერსონალურ რწმენასა და იდეალებს. მრავალი მორწმუნე რეგულარულად არ ესწრება ღვთისმსახურებას და რელიგიურ ცერემონიებშიც არ მონაწილეობს. ეკლესიაში ხშირი სიარული და ცერემონიებში მონაწილეობა ყოველთვის არ გამოხატავს რელიგიური რწმენის სიმტკიცეს — ადამიანები ეკლესიაში შეიძლება დადიოდნენ ჩვევის ან იმის გამო, რომ მათგან ასეთ ქცევას ელიან.

მაგრამ არ არსებობს არვითარი ეჭვი, რომ დღეს რელიგიურ იდეებს, მთლიანობაში, უფრო ნაკლები გავლენა აქვთ ვიდრე ტრადიციულ სამყაროში. ახლო

აღმოსავლეთისა და ბალკანეთის ცხელი წერტილები, მართალია, მნიშ-ვნელოვანწილად რელიგიურმა განსხვავებებმა წარმოქმნა, თუმცა კონფლიქტებისა და ომების უმრავლესობა არარელიგიურ შინაარსს ატარებდა და პოლიტიკური ორიენტაციების განსხვავებასა და ეკონომიკურ ინტერესებთან იყო დაკავშირებული.

საქართველოში ამ ეტაპზე სეკულარიზაციის ხარისხი უმნიშვნელოა. მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს უმრავლესობის ეკლესიის (სმე) აქტიურ წევრად მიიჩნევს, ეკლესია მოსახლეობაში ყველაზე დიდი ნდობით სარგებლობს, და შესაბამისად, აქვს შეუვალი საზოგადობრივი ავტორიტეტი, ფლობს საკმაოდ დიდ მატერიალურ სიმდიდრეს და, გარკვეულწილად, გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესზე.

რელიგიათმცოდნეობის ლექსიკონი

ა

აბატი — ლათინურენოვან სამყაროში მღვდლის, უფრო კი მონასტრის წინამძღვრის, საერთო სახელი. მომდინარეობს ებრაული სიტყვისაგან «აბ» (მამა).

აბრაამის, ისააკისა და იაკობის წიაღი — ცათა სასუფევლის, სამოთხის სინონიმი. ებრაული და ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით სამოთხე პირველად აღნიშნულმა ადამიანებმა, პატრიარქებმა, დაიმკვიდრეს.

აბსოლუცია — ცოდვებისაგან გახსნა, გათავისუფლება (ლათ.).

აგაპე — სულიერი სიყვარული (ბერძნ.).

აგარიანი — აგარის (აბრაამის მხევლის, ისმაილის დედის) შთამომავალი; არაბების და, ზოგჯერ, მუსლიმების საერთო სახელი.

აგიოგრაფია (ჰაგიოგრაფია) — ქრისტიანი მოღვაწეებისა და მოწამეების ცხოვრებათა აღწერა («აგიოს» წმინდა და «გრაფოს» აღწერა, ბერძნ.).

აგრაფი — ქრისტეს გამონათქვამი, რომელიც ოთხთავში შესული არაა (შდრ. იოანე 21:25). ერთ-ერთი მაგალითია «გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება» (საქმე 20:35).

ადგილობრივი კრება — ქვეყნის, ოლქის, ქალაქის ან სოფლის ეკლესიის კრება, რომელზეც სხვადასხვა საეკლესიო საკითხები განიხილება.

ადეპტი — რომელიმე მოძღვრების, კონფესიის, თეორიის თავგამოდებული დამცველი.

ადვენტა — ლათ. «მოსვლა». შობის წინა პერიოდის სახელწოდება.

ადონაი (ებრ. «უფალი ჩემი») — ღვთის ერთ-ერთი ბიბლიური სახელი.

ავგაროზი — ავი თვალისაგან დამცავი საგანი. მომდინარეობს ერთ-ერთი პირველი ქრისტიანი მეფის აბგარის (ავგარის) სახელისაგან, რომელსაც, ძველი გადმოცემის თანახმად, ქრისტემ თავისი ხელთუქმნელი ხატი და ეპისტოლე გაუგზავნა.

ავტოკეფალია — თვითთავადობა, თავისი თავის მმართველობა (ბერძნ.) ავტოკეფალური ეკლესია — მმართველობის საკითხში დამოუკიდებელი ეკლესია, რომელიც იერარქიულად ცალკე ერთეულია.

ათეიზმი — ღვთის არსებობის უარყოფა.

ათი მცნება — თეოლოგიური და ზნეობრივი კოდექსი, რომელიც წინასწარმეტყველ მოსეს სინას მთაზე გამოეცხადა (გამ. 19-34).

აიაზმა — ნაკურთხი წყალი.

აკოლუთია — ბერძნული სიტყვაა და აწყობას, მიჯრით დალაგებას, ამ შემთხვევაში, — ერთმანეთის მიყოლებით წარმოსათქმელი ლოცვების ან საგალობლების ერთობლიობას ნიშნავს.

ალაჰი — ღვთის სახელი არაბულად.

ალი — ბოროტი სული, ეშმაკი (არაბ.).

ალილო — საშობაო ქართული ხალხური საგალობელი.

ალილუია — «ადიდეთ უფალი!» (ებრ.). ქრისტიანულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში სამგზის წარმოითქმის, რადგან წმ. სამებას განეკუთვნება.

ამაღლება — ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც აღდგომიდან მეორმოცე დღეს აღინიშნება (შდრ. მარკოზი 16: 14-19; ლუკა 24:33-53; საქმე 1:3-11).

ამბა — მონასტრის წინამძღვარი (ნიშნავს «მამას» ებრ.).

ამბიონი — ამაღლებული ადგილი ეკლესიაში, აღსავლის კარის წინ, სადაც სახარება და ქადაგება წარმოითქმის.

ამინ! — «ჭეშმარიტად!» (ბერძნ.). დამადასტურებელი, დასკვნითი სიტყვა, რომელიც ლოცვის, ქადაგების და დაფიცების ბოლოს წარმოითქმის.

ანაბაპტისტები — ხელმეორედ მონათლულები; ძველი პროტესტანტული და რეფორმატორული ეკლესია. დაარსდა 1521 წ. გერმანიაში; დამაარსებელია მემაუდე ნიკოლოზ შტორხი.

ანათემა — ეკლესიისაგან განკვეთა, განყენება. სინონიმებია «შერისხვა», «შეჩვენება», «დაწყევლა».

ანალოგია — დახრილი მაგიდა ეკლესიაში, რომელზეც სახარება ან ხატი დევს.

ანაფორა — 1) მოსასხამი, რომელსაც სასულიერო პირი ყოფაცხოვრებაში ატარებს; 2) წირვის დროს დარჩენილი პური და ღვინო, რომელთაც ღარიბებს ურიგებენ.

ანაქორეტობა — წუთისოფლისაგან განყენებულობა, განდეგილობა, მეუდაბნოეობა.

ანგელოზი — ზეციური არსება, უხორცო და გონიერი ძალა, შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის, მაცნე (ბერძნ.).

ანგლიკანური ეკლესია (ანგლიკანობა) — გარდამავალი საფეხური კათოლიციზმსა და პროტესტანტობას შორის ტრადიციასთან მიმართების საკითხში; ჩამოყალიბდა 1534 წ.

ანდერძის აგება — საღვთისმსახურო რიტუალი («წესის აგება»); ლოცვა-ვედრება მოცვალებულის იმქვეყნიური მდგომარეობის შემსუბუქებისათვის.

ანთროპომორფიზმი — ღვთაებისათვის ადამიანური თვისებების და სახის მინიჭება.

ანთროპოსოფია — სიტყვასიტყვით «სიბრძნე ადამიანის შესახებ» (ბერძნ.). რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება და პრაქტიკა, დაარსებული 1912-1913 წწ-ში რუდოლფ შტაინერის მიერ თეოსოფიური საზოგადოების საპირისპიროდ. ანიმიზმი — რწმენა, რომ ყველა საგანს სული აქვს (ლათ. ანიმა «სული»).

ანტიფონი — ორო გუნდის მონაცვლეობით გალობა.

ანტიქრისტე — 1) ქრისტეს წინააღმდეგ მებრძოლი; 2) ბოროტებით აღსავსე პიროვნება, რომელიც, აპოკალიფსის თანახმად, მეორედ მოსვლის და ქვეყნის აღსასრულის წინ მოვა, გამეფდება, მაგრამ მისი ხელმწიფება ქრისტეს მიერ შეიმუსრება.

აპოკალიფსი — ახალი აღთქმის ბოლო, 27-ე წიგნი, რომელსაც ქართულად გამოცხადება ეწოდება.

აპოკრიფი — ბიბლიური და არაბიბლიური, მაგრამ სასულიერო შინაარსის წიგნები, რომლებიც, ეკლესიის რწმენის თანახმად, სულიწმინდის მადლით აღვსილნი არ არიან. სინონიმებია «არაკანონიკური» და «დაუბეჭდავი». მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან, რომელიც დაფარულს, საიდუმლოს ნიშნავს.

აპოლოგეტიკა — ქრისტიანული მწერლობის დარგი, ჩამოყალიბებული II-III სს-ში, რომლის მიზანი ელინური ფილოსოფიისაგან ახალი აღთქმისეული დებულებების დაცვა იყო.

აპოლოგია — დაცვა (ბერძნ.).

აპოსტასია — საყოველთაო განდგომა რწმენისაგან.

არდაგი — სუდარა (ბერძნ.), რომელშიც იესოს გვამი გაახვიეს.

არიანელობა — მოძღვრება. რომელიც IV ს-ის 10-იან წლებში მღვდელმა არიოზმა ჩამოაყალიბა; ძე ღმერთის (ქრისტეს) მამა ღმერთთან თანადაუსაბამობის უარყოფა და ქმნილებად მიჩნევა («იყო დრო, როცა მამას ძე არ ჰყავდა»). დაიგმო ნიკეისა და კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებებზე (325 და 281) და ერესად გამოცხადდა.

არმაგედონი — ბიბლიური ქალაქი, რომელმაც სახელი სისხლისმღვრელი ომებით გაითქვა. აპოკალიფსში იგი ბოლო ჟამის საშინელი მოვლენების, გადამწყვეტი ბრძოლის სახელწოდებაა.

არქიელი — მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი (ბერძნ.).

არქიერატიკონი — მღვდელმთავრისათვის განკუთვნილი წიგნი, რომელიც ქიროტონიის (ხელდასხმის) წესებიც მოიცავს.

არქიმანდრიტი — უმაღლესი საბერო წოდება და თანამდებობა (ბერძნ. «ზღუდის უფროსი»).

«არწივი» — სამღვდელმთავრო ნოხი, რომელზეც ორთავიანი არწივია გამოსახული.

ასამაღლებელი — იგივე კვერექსი (ბერძნ.), სადიდებელი ლოცვები, რომლებიც ლიტურგიაზე მღვდლის ან დიაკონის მიერ საზეიმოდ წარმოითქმის.

ასკეტიზმი — სიტყვასიტყვით ნიშნავს ვარჯიშს (ბერძნ.), ქრისტიანული შინაარსით — ბერმონაზვნურ ცხოვრებას.

აქსიოს — «ღირსია?» (ბერძნ.). ამ კითხვით მიმართავს მღვდელმთავარი ეკლესიას (სასულიერო და საერო პირთა კრებულს) იმ ადამიანის შესახებ, რომლის ხელდასხმას იგი აპირებს. ერთმაც რომ დაიძახოს — «ანაქსიოს!» (არ არის ღირსი!), იმ ჟამს კურთხევა აღარ შედგება.

აღაპი — მიცვალებულის სულის შეწევისათვის 1) სხვადასხვა სახის შესაწირავი, 2) ლოცვა-ვედრების ტექსტი და 3) საქველმოქმედო სუფრა (ტრაპეზი). მომდინარეობს სიტყვისაგან «აგაპე» (იხ).

აღდგომა — უდიდესი საუფლო დღესასწაული (მათე 28:1-15; მარკოზი 16:1-8; ლუკა 24:1-8; იოანე 20:1-18). ქრისტიანი ღვთისმეტყველები მის წინასახედ ძველი აღთქმის პასექს მიიჩნევენ. მოძრავია. აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის (დღეღამტოლობის) პირველი სავსე მთვარის მომდევნო კვირადღეს.

აღთქმა — ანდერძი, დაპირება, კავშირი, ხელშეკრულება (ებრ. «ბერეთ», ბერძნ. «დიათეკე», ლათ. «ტესტამენტუმ», რუს. «ზავეტ»).

აღმსარებლობა — რომელიმე სარწმუნოების აღიარება. იგივეა რაც კონფესია.

აღსავლის კარი — კანკელის შუა კარი, საკურთხეველში შესასვლელი.

აღსარება — შვიდთაგან ერთ-ერთი საეკლესიო საიდუმლოს, სინანულის, შემადგენელი ნაწილი, რომლის დროსაც მორწმუნე ცოდვებს ინანიებს, მღვდელი კი უფლის სახელით შეუნდობს (ლათ. კონფესიონი).

აღსაყდრება — მღვდელმთავრად ხელდასხმა (ბერძნ. ინტრონიზაცია).

ახალი ადამი — იესო ქრისტე.

ახალი აღთქმა — 1) ადამიანსა და ღმერთს შორის ახალი ურთიერთობა, რომლის შინაარსი ძირითადად საიდუმლო სერობის დროს გაცხადდა; 2) ბიბლიის მეორე ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია იესო ქრისტეს ცხოვრება და მისი მოციქულების მოღვაწეობა. შედგება 27 წიგნისაგან.

ახალი იერუსალიმი— ქრისტეს ეკლესია. იგივეა, რაც ახალი ისრაელი.

ბ

ბაბილონის გოდოლი — ბაბილონის კოშკი, რომლის შენებას წარღვნის შემდეგ მიჰყვეს ხელი, მაგრამ ღმერთმა დაანგრია და მშენებლები სხვადასხვა ენაზე აალაპარაკა, რათა ერთმანეთის ვერაფერი გაეგოთ (დაბ. 11:1-9). გამოიყენება ამპარტავანი ტომისა და ქვეყნის სიმბოლოდ.

ბაზილიკა — მოგრძო, ნავისებური ტაძარი.

ბაირაღი — საეკლესიო დროშა, რომელიც წუთისოფელზე გამარჯვების სიმბოლოა.

ბაპტისტერიუმი — ადგილი, სადაც ნათლისღების რიტუალი სრულდება წყალში შთაფლვით ან წყლის სხურებით.

ბართლომეს ღამე — ჰუგენოტების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც მოაწყვეს კათოლიკეებმა პარიზში წმ. ბართლომეს ღამეს, 1572 წლის 24 აგვისტოს.

ბარტყულა — ბერმონაზვნის თავსაბურავი.

ბარძიმი — მაღალფეხიანი სასმისი, რომელიც ზიარების დროს გამოიყენება.

ბასილი დიდის წირვა — წირვის (ლიტურგიის) ის რედაქცია, რომელიც კესარიის მავარეპისკოპოსმა წმ ბასილმა (+379) შეიმუშავა.. მართლმადიდებელ ეკლესიაში დიდმარხვას, შობის წინა დღეს და 1 იანვარს, წმ. მამის ხსენების დღეს, სრულდება.

ბელზებელი — სატანა, ავი ძალებისა და დემონების მთავარი.

ბელიარი — ებრაული სიტყვა, რომელიც სატანის სინონიმია (2 კორ. 6:15).

ბერმონაზონი — მამრობითი სქესის სასულიერო პირი, რომელმაც წუთისოფლისეულ კეთილდღეობაზე ნებაყოფლობით თქვა უარი.

ბზობა — იერუსალიმში იესო ქრისტეს დიდებით შესვლა (მათე 21:1-11; მარკოზი 11:1-11; ლუკა 19:29-44; იოანე 2:13-17). ამ დროს მას ხალხი, ქართული ტრადიციით, ბზის (ბაიის) ტოტებს უფენდა.

ბიბლია — საღვთო წერილი, წმინდა წერილი. იხ ძირითად ტექსტში.

ბისონი — მღვდელმთავრის შესამოსელი ლიტურგიის დროს, წითელი ფერის ძვირფასი ქსოვილი, იმ შესამოსლის სიმბოლო, რომელიც მაცხოვარს წამების დროს წამოასხეს.

გ

წმ. გადმოცემა — ქრისტიანული სარწმუნოების პირველწყარო (ბიბლიასთან ერთად), რომელსაც საფუძვლად მაცხოვრისა და მოციქულების ზეპირად გადმოცემული მოძღვრება უდევს.

გამოსვლათა — მოსეს ხუთწიგნეულის მე-2 წიგნი, რომელშიც ეგვიპტიდან ებრაელების გამოსვლაა აღწერილი.

გამოცხადება — 1) აპოკალიფსი (იხ.); 2) ღვთის ნების ადამიანებისათვის წარმოჩენა.

«განიცადე» — გალობა, რომელიც ღვთისმსახურთა ზიარების დროს სრულდება.

განცხადება — საუფლო დღესასწაული, რომელიც დაკავშირებულია მდ. იორდანეზე ქრისტეს ნათლისღებასთან და წმ. სამების წარმოჩენასთან (მათე 3:13-17; მარკოზი 1:9-11; ლუკა 3:21-22; იოანე 1:29-34). იგივეა, რაც ქართ. ნათლისღება და ბერძნ.-ლათ. ეპიფანია.

განკითხვის დღე — საყოველთაო სასამართლო, რომელიც ქვეყნის აღსასრულის და მეორედ მოსვლის დღეს აღესრულება. «საშინელი სამსჯავრო».

განსაწმენდელი — კათოლიკეების რწმენა დროებითი ჯოჯოხეთის შესახებ. იგივეა, რაც სალხინებელი.

გაპატიოსნება — მოცვალებულის სულის მეოხებისათვის საეკლესიო წესის შესრულება.

გარდამავალი დღესასწაულები — აღდგომაზე დამოკიდებული, ე.ი. მოძრავი დღესასწაულები.

გარდამოხსნა — 1) ქრისტეს გვამის ჯვარიდან ჩამოღება; 2)ქსოვილი, რომელზეც გამოსახულია მაცხოვრის ჯვარიდან ჩამოხსნის და საფლავად დადების სცენა.

გარდამოხსნის გადმოსვენება — საეკლესიო რიტუალი, რომელიც წითელ პარასკევს (ნახ.) აღესრულება და რომელსაც სამგლოვიარო ხასიათი აქვს.

გეენია — ჯოჯოხეთის ცეცხლი.

გნოსტიციზმი — მისტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ქრისტიანობის, იუდაიზმისა და წარმართობის ელემენტებს შეიცავდა (I-IV სს.). სიტყვასიტყვით ნიშნავს «მცოდნეობას» (ბერძნ.). წარმოშობისთანავე რამდენიმე მიმდინარეობად დაიყო. არსებითი ნიშნებია: კაცობრიობის ორ ბანაკად დაყოფა: 1) ბუნებითად მცოდნეებად და მადლმოსილებად და 1) ბუნებითად არმცოდნეებად და მადლმოკლებულებად; ძველი აღთქმის იაჰვე და ახალი აღთქმის ღმერთი სხვადასხვაა, პირველი ბოროტია, მეორე — კეთილი; მატერიალური სამყარო ბოროტმა ღმერთმა შექმნა. ეკლესიამ ეს მიმდინარეობა II ს-ში ერესად გამოაცხადა და მისი მიმდევრები ანათემას გადასცა. მათ შორეულ მემკვიდრეებად თანამედროვე მკვლევარები ერაყში მცხოვრებ რელიგიურ ჯგუფებს «მანდეისტებს», იგივე «საბისტებს», «იოანე ნათლისმცემლის ქრისტიანებს» ასახელებენ.

დ

დაბადება — 1) ბიბლიის პირველი წიგნის «შესაქმის» სინონიმი; 2) ძველი აღთქმის სახელწოდება ქართულ ტრადიციაში.

დავითნი — «ფსალმუნნის» სინონიმი

დასდებელი — მოკლე და ვრცელი საგალობლების, ოღონდ არა ფსალმუნნების, საერთო სახელი.

დაუჯდომელი — სადიდებელი ლოცვები და საგალობლები, რომლებსაც ფეხზე დგომით ისმენენ (ბერძნ. აკათისტო).

დაფარნა — ბარძიმის გადასაფარებელი.

დეიზმი — ბუნებისაგან ღვთის სრულად გამიჯნულობა, აბსოლუტურად ტრანსცენდენტულობა. იდეალისტურ-ფილოსოფიური თეორია და რწმენა, რომელიც შემოქმედი ღმერთის არსებობას აღიარებს, მაგრამ თვლის, რომ იგი შორსაა ქმნილებისაგან და მის ცხოვრებასა და არსებობაში აღარ ერევა.

დეკანოზი — წინამძღვარი (ბერძნ.), უფროსი მღვდელი; სამრევლოს, დიდი ეკლესიის ან, ძველი ტრადიციით, მონასტრის წინამძღვარი. ამ სახელით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხატის მსახურს და «საყმოს» რელიგიურ ლიდერს მოიხსენიებენ.

დენომინაცია — სიტყვა ლათინურია და «გადარქმევას» ნიშნავს, მაგრამ რელიგიათმცოდნეობაში ორი მნიშვნელობა აქვს: 1) ამა თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის ზოგადი სახელი; 2) ის რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ეკლესიისა და სექტის შუალედურ რგოლს, ე.ი. გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს.

დიაკონი — იერარქიულად უქვემოეს საფეხურზე მყოფი სასულიერო პირი. ნიშნავს მსახურს (ბერძნ.).

«დიდაქე» — 12 მოციქულის მოძღვრება. ქრისტიანული მწერლობის უძველესი ძეგლი, რომელიც აპოკრიფადაა მიჩნეული. ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი არაა.

დიდი ოთხშაბათი — ვნების კვირის ოთხშაბათი, იუდას მიერ მაცხოვრის გაცემის დღე. ყოველი შვიდეულის ოთხშაბათს აღმოსავლეთის ეკლესიებში როგორც წესი, განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა, მარხვით აღნიშნავენ.

დიდი პარასკევი — ვნების პარასკევი; წითელი პარასკევი. ჯვარცმის დღე (მათე 27; მარკოზი 15; ლუკა 23; იოანე 17:28-40); საეკლესიო წელიწადის ყველაზე მძიმე დღე. ძველი ტრადიციის ეკლესიებში ამ დღეს ჟამისწირვა არ სრულდება, ყოველი პარასკევი კი (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) მარხვის დღეა.

დიდი შაბათი — ვნების შაბათი. საეკლესიო გადმოცემით, ამ დღეს იესო ქრისტე ჯოჯოხეთში შევიდა და იქიდან მართალთა სულები გამოიყვანა.

დიდი ხუთშაბათი — ვნების ხუთშაბათი. დღე, როდესაც იესო ქრისტემ მოწაფეებს ფეხები დაბანა, საპასექო კრავის ნაცვლად უსისხლო მსხვერპლი შეწირა და და წმ. ზიარების საიდუმლო (ნახ.) დააწესა, რის გამოც ეს დღე საიდუმლო სერობად იწოდება (მათე 26: 17-30; მარკოზი 14:12-26; ლუკა 22: 14-21; იოანე 13:1-35).

დითეიზმი — ორღმერთიანობა; ორი ღმერთის რწმენა (ბერძნ.).

დიკასტერია — საეკლესიო სასამართლო.

დიოფიზიტობა — ორბუნებოვნობის დოგმატი, რომლის თანახმადაც განკაცებულ ღმერთს ორი ბუნება ჰქონდა: იყო სრული ღმერთი და სრული კაცი. ორივე ბუნება ერთ პიროვნებაში შეურევნელად, შეურწყმელად, განუყოფლად და დაუპირისპირებლად არსებობდა... მას რეალურად სციოდა, შიოდა და სტკიოდა. ეს დოგმატი IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325 წ.) ჩამოყალიბდა მონოფიზიტობის (ნახ.) საპირისპიროდ.

დიპტიქი — მოსახსენიებელი წიგნი, სიტყვასიტყვით «ორნაწილედი» (ბერძნ.), განკუთვნილი მიცვალებულებისთვისაც და ცოცხლებისთვისაც. იქ პირველ რიგში პატრიარქების სახელები შეაქვთ.

დოგმატი — სიტყვა ბერძნულია და თავდაპირველი შინაარსით ნიშნავს ზოგადად მოძღვრებას, მაგრამ ღვთისმეტყველებაში მან უცვალებელი, ზედმიწევნით მტკიცე მოძღვრების მნიშვნელობა შეიძინა. მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის პოზიციით, ძირითადი საღვთისმეტყველო დოგმატები თვით საღვთო წერილსა და საღვთო გადმოცემაშია კოდირებული, მაგრამ გამოთქმით და წერილობით ისინი მოგვიანებით ეკლესიის წმ. მამებისა და კრებების მიერ ჩამოყალიბდნენ. თითოეული დოგმატი საღვთო წერილს ეფუძნება და რჯულის ამა თუ იმ მხარეს ფორმულების, დადგენილებების და განაწესების სახით გადმოსცემს. მათი წყალობით სარწმუნოების სფეროში თვითნებური და სუბიექტური განმარტებები უნდა აილაგმოს.

დოგმატური ღვთისმეტყველება — ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლების სისტემური გადმოცემა.

დოკეტიზმი — გნოსტკური მიმართულება, რომლის თანახმად მაცხოვარი წუთისოფელში არარეალური, მოჩვენებითი სხეულით მოვიდა (დოკეო — «მოვაჩვენებ», «წარმოვსახავ», ბერძნ.).

დომინიკანელები — რომის ეკლესიაში 1208 წელს წმ. დომინიკეს მიერ დაარსებული ორდენი.

დუალიზმი — ორმაგობა, ორი დაუსაბამო საწყისის, კეთილისა და ბოროტის რწმენა. ცნობილია დუალიოსტური რელიგიები (იხ. ზემ. «ზოროასტრიზმი»).

დრაჰმა — ინდუსთა რელიგიურ-ეთიკური ცნება: მისაგებელი, ვალი, მოვალეობა.

ე

ეგვტერი — მცირე ზომის სამლოცველო, რომელიც საზოგადო მსახურებისთვის არაა განკუთვნილი. შეიძლება დიდი ტაძრის ნაწილი იყოს, ანდა ცალკეც იდგეს. სახელწოდება წარმომავლობით ბერძნულია: «ევხე» — ლოცვა. რუსეთში მას «ჩასოვნია» შეესაბამება, ლათინურენოვან სამყაროში — «ორატორია», «კაპელა».

ეგზარქატი — საეგზარქოსო, ე.ი. ტერიტორია, სადაც ეკლესიას ეგზარქოსი განაგებს.

ეგზარქოსი — წარმომავლობით ბერძნულია (ექსარხოსი} და სიტყვასიტყვით «გარემთავარს» ნიშნავს. ამ სახელით ძველი ბერძნები იმ მეფისნაცვლებს იხსენიებდნენ, რომლებიც კოლონიებს მართავდნენ. აღმოსავლეთის ეკლესიებში ეგზარქოსი იმ მღვდელმთავარს ნიშნავს, რომელიც მეზობელი ეკლესიის სამღვდელმთავრო სინოდის მიერაა დანიშნული და ამავე სინოდის წინაშეა ანგარიშვალდებული. ასეთი მღვდელმთავარი რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა საქართველოს ეკლესიაში მაშინ მოავლინა, როდესაც ამ ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა (1811).

ეგზეგეტიკა — სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც ბიბლიის ცალკეული მუხლების, თავების და პასაჟების შინაარსობრივ განმარტებას მოიცავს. მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან «ექსეგესის» — განმარტება, ძველი ქართულით — თარგმანება.

ეგზორცისტი — ადამიანი, რომელიც ლოცვის ძალით ბოროტ სულებს დევნის.

ედემი — ღვთის მიერ სამყაროს შუაგულში გაშენებული ბაღი, წალკოტი, სადაც დაასახლა ადამი და მისი ცოლი ევა (დაბ 2:7-8).

ევანგელიონ — კეთილი ამბის უწყება, სახარება.

ევანგელური ეკლესია — იმ პროტესტანტული ეკლესიების საერთო სახელი, რომლებიც მთლიანად უგულვებელყოფენ საღვთო გადმოცემას და საეკლესიო ტრადიციას.

ევანგელისტი — კანონიკური სახარების ავტორი. ევანგელისტები არიან: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე.

ევლოგია — დალოცვა (ბერძნ.); საეკლესიო პრაქტიკაში უწოდებენ სეფისკვერს, რომელსაც დატეხენ და წირვის დამთავრების შემდეგ მორწმუნეებს დაურიგებენ.

ევქარისტია — ზიარება. სიტყვასიტყვით მადლობის შეწირვას ნიშნავს. შვიდ საეკლესიო საიდუმლოთაგან ერთ-ერთი, რომელიც იესო ქრისტემ ძველი აღთქმისეული პასექის (სისხლიანი მსხვერპლის) ნაცვლად დააწესა. ესაა რიტუალი, რომელიც პურის ჭამით და ღვინის დალევით მთავრდება. ძველი და ტრადიციული ეკლესიების რწმენით, პური და ღვინო მაცხოვრის ჭეშმარიტი ხორ-

ცი და სისხლია, არატრადიციული და პროტესტანტული რწმენით — სიმბოლური. ევქარისტია ჟამისწირვის შემდეგ სრულდება.

ეკლესია — მომდინარეობს ძერძნული სიტყვისაგან «კალეო», რაც მოხმობას ნიშნავს. ქრისტიანთა შორის «ეკლესიას» სამი მნიშვნელობა აქვს: 1) თანამორწმუნეთა საზოგადოება, კრება, ერი (არა ნაციის გაგებით); 2) ადგილი (შენობა), სადაც ეკლესიის წევრები იკრიბებიან და 3) თეოლოგიური — ქრისტეს სხეული, გვამი, ხოლო თითოეული მორწმუნე — მისი ესა თუ ის ნაწილი, ასო (1 კორ. 3:16-17). მოცემული ქვეყნის ეკლესია მოცემული ქვეყნის სახელს ატარებს (საქართველოში მცხოვრები მართლმადიდებლების საზოგადოებას «საქართველოს ეკლესიის» სახელით მოვიხსენიებთ).

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო (ემს) — იმ ეკლესიების თანამეგობრობა, რომლებიც იესო ქრისტეს ღმერთად და მაცხოვრად აღიარებენ. შეიქმნა ამსტერდამში 1948 წელს. თავიდან მის ძირითად ფუნქციას ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სოციალისტური რეჟიმის მიერ დაჩაგრული ქრისტიანების დაცვა წარმოადგენდა. ამის გამო სტალინის დიქტატურის დროს ემს-ს საქმიანობას სსრკ-ში უნდობლად და მტრულად ეკიდებოდნენ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მასში 1962 წელს გაწევრიანდა. 1978-1982 წწ-ში მისი თანაპრეზიდენტი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე იყო. ამ ეკლესიამ ემს-ს რიგები 1997 წელს დატოვა ქვეყანაში ანტიეკუმენურ განწყობილებათა მოძალების გამო.

ეკლესიასტე — ძველი აღთქმის კანონიკური წიგნი, რომლის ავტორად წინასწარმეტყველი სოლომონი ითვლება.

ეკლესიის მამები — დიდი წმინდანები და მოღვაწეები, რომლებსაც მართლმადიდებლური მოძღვრების (თეოლოგიის, დოგმატიკის), კანონიკისა და ლიტურგიკული პრაქტიკის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით. ასეთები არიან: ათანასე ალექსანდრიელი (+373), ბასილი დიდი (+379), გრიგოლ ღვთისმეტყველი (+390), იოანე ოქროპირი (+407), კირილე ალექ-სანდრიელი (+444), მაქსიმე აღმსარებელი (+662), იოანე დამასკელი (+749), თეოდორე სტუდიელი (+826), სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი (+1032) და სხვა.

ეკლესიოლოგია — მოძღვრება ეკლესიაზე.

ელი (ელოაჰიმ) — ღვთის ერთ-ერთი სახელი ძველ აღთქმაში; ნიშნავს «სიმტკიცეს».

ელიობა — ძველი აღთქმის ერთ-ერთი დიდი წინასწარმრტყველის, წმ. ელიას (ილიას) ხსენების დღე — 20 ივლისი (ახ. სტ. 2 აგვისტო), რომელიც საქართველოში ფართო მასშტაბით აღინიშნება. ტაძრები უფრო ხშირად მაღალ ადგილებზე, მთის თხემებზეა აგებული. ეწყობა ღამის თევა, იკვლება საკლავი, იშლება საერთო ტრა-პეზი და ეწყობა სპორტული შეჯიბრებები.

ემანუელ — ებრაული სიტყვაა და ნიშნავს: «ჩვენთან არს ღმერთი!» ესაა იესო ქრისტეს წინასწარმეტყველური სახელი, რომლის შესახებ ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: «აჰა, მუცლად იღებს ქალწული; შობს ძეს და სახელად ემანუელს უწოდებენ» (ეს. 7:14).

ემბაზი — ქვის, ხის ან ლითონის ჭურჭელი, რომელშიც წყალი ასხია და ნათლისღებისათვის არის განკუთვნილი. სიტყვა ბერძნულია და ნიშნავს: «შესვლა», «ჩასვლა». იგულისხმება ქრისტეს ეკლესიაში შესვლა, რაც ნათლისღების გზით და ემბაზის მეშვეობით ხორციელდება.

ენკენია — ტაძრის განახლების დღესასწაული (ქართულად «სატფურება»), რომელიც დასაბამს იერუსალიმის დიდი ტაძრის განახლებიდან იღებს.

ენქერი — მღვდელმთავრის შესამოსლის ნაწილი, გვერდზე ჩამოსაკიდი, რომელიც ღვთიური ენერგიის, სულიერი მახვილის სიმბოლოა.

ენციკლიკა — რომის პაპის ვრცელი და საყოველთაო წერილი რელიგიის, მორალის, პოლიტიკის და სხვა საკითხებზე. სიტყვა ლათინურია და ნიშნავს: ციკლური, პერიოდული. ძველ ქართულში მას «მრგვლიადმოსავლელი ეპისტოლე» შეესატყვისება.

ეპარქია — ტერიტორიული ერთეული (ოლქი), რომლის ეკლესიებს ეპისკოპოსი განაგებს. იგივეა, რაც ლათ. «დეოცეზი».

ეპისკოპოსი — სიტყვასიტყვით «ზედამხედველს» ნიშნავს (ბერძნ.). უმაღლესი რანგი სამღვდელო იერარქიაში. მის პრეროგატივაში შედის ეპარქიის მართვა, მირონის მოხარშვა და მღვდელ-დიაკონთა კურთხევა.

ეპისტოლე — წერილი, გზავნილება (ბერძნ.).

ეპიტაფია — სიტყვასიტყვით: «საფლავსა ზედა». 1) წარწერა საფლავის ქვაზე; 2) დაკრძალვაზე წარმოთქმული ლექსი ან ქადაგება.

ეპიფანია — იგივეა, რაც განცხადება.

ერესი — მომდინარეობს ძერძნული ზმნიდან «ჰაირეო», რაც პიროვნულ არჩევანს ნიშნავს. ქრისტიანულ ტერმინოლოგიაში მან პიროვნული აზრის, ახირების, აკვიატების შინაარსი შეიძინა და იმასვე ნიშნავს, რასაც ქართ. «წვალება», «მწვალებლობა».

ერესიარქი — ამა თუ იმ ერეტიკული მოძღვრების, მწვალებლობის დამაარსებელი.

ერეტიკოსი — ერესის მიმდევარი, მწვალებელი.

ერთდღიანი მარხვები — 1) ყოველი შვიდეულის ოთხშაბათი და პარასკევი (გარდა ხსნილისა), 2) ნათლისღების წინა დღე — 5 (ახ. სტ. 18). .I, 3) იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა — 29.VIII (11.IX), 4) ჯვართამაღლება 14 (27). IX.

ესქატოლოგია — (ბერძნ.) მოძღვრება უკანასკნელი დღის შესახებ.

3

ვარნა — სანსკრიტზე ნიშნავს ფერს. იგივეა, რაც «კასტა» (იხ. «ინდუიზმი»).

ვატიკანი — რომის უბანი, სადაც მდებარეობს წმ. პეტრეს საფლავი და პაპის რეზიდენცია — წმ. საყდარი. 1929 წლიდან ლატერანის კონკორდატის (ხელშეკრულების) ძალით, რომელიც წმ. საყდარსა და მუსოლინის მთავრობას შორის გაფორმდა, იგი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ვნება — 1) ტანჯვა, წამება (ძვ. ქართ.), 2) სექსუალური ლტოლვა.

ვნების კვირა — აღდგომის წინა და დიდმარხვის ბოლო შვიდეული, როდესაც ეკლესია იესო ქრისტეს ვნებანს (ტანჯვა-წამებას) მოიხსენიებს.

ვნების მარხვა — ყველაზე მძიმე და მკაცრი მარხვა (ვნების კვირას).

ვულგატა — ბიბლიის ლათინური თარგმანი, რომელიც ნეტარმა იერონიმუსმა 386-406 წლებს შორის შეასრულა. ნიშნავს საყოველთაოს, საერთო-სახალხოს.

ზ

ზატიკი — წარმოშობით ძველი სპარსული სიტყვაა და საზეიმო დღეს ნიშნავს. აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: 1) კრებული, რომელშიც წარმოდგენილია ლიტურგიკული მასალა აღდგომიდან სულიწმინდის მოფენამდე და ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე, 2) აღდგომის სინონიმი, 3) აღდგომის მომდევნო კვირა, ახალკვირა, კვირაცხოვლობა, 4) 50-დღიანი საზეიმო ციკლი (ძვ. ქართ. ერგასეული) აღდგომიდან სულთმოფენობამდე, არსებობს წიგნი «მცირე ზატიკი», რომელშიც აღდგომის მომდევნო კვირის, ბრწყინვალე შვიდეულის, საკითხავ-საგალობლებია მოთავსებული.

ზედაშე — ყურძნის სუფთა წვენისაგან დამზადებული წითელი ღვინო, რომელიც წმ. ზიარების დროს გამოიყენება.

ზეთისცხება — შვიდიდან ერთ-ერთი საიდუმლო, რომელიც ეკლესიაში პერიოდულად სრულდება და მაკურნებელ ძალას შეიცავს (შდრ. მარკოზი 6:13; იაკობი 5:14-15). არსებობს ზეთის კურთხევის წესი.

ზესკნელი — ანგელოზთა სამყოფელი.

ზიარება — წმ. საიდუმლო, რითაც მორწმუნე ღმერთთან კავშირს ამყარებს. იხ. ევქარისტია

ზოდიაქო — მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან «ძოდიაკოს», რაც «ცხოველისეულს» ნიშნავს. ბერძნები ამა თუ იმ თანავარსკვლავედს (ვარსკვლავთა წრეს) ამა თუ იმ ცხოველს ამსგავსებდნენ და შესაბამის სახელს არქმევდნენ. ისინი მათ აკვირდებოდნენ და მისნობდნენ.

ზორვა — კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვა (ძვ სპარს.).

ზოროასტრიზმი — იგივე მაზდეანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა.

თ

თალმუდი — ებრაელთა რელიგიურ-ზნეობრივი და სოციალურ-სამართლებრივი კანონების კრებული; ძირითადად ძველი აღთქმის კომენტარები; მრავალტომიანი წიგნი, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა (ძვ. წ. IV-ახ. წ.V), შემდეგ კი ჩაიწერეს.

თეატინელები — კათოლიკე ბერების ორდენი, რომელიც თეატირის ეპისკოპოსმა (საფრანგეთი) XVI ს-ში დაარსა.

თეიზმი — ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ღვთის არსებობას აღიარებს.

თემიდა — მართლმსაჯულების ქალღმერთი ძველ საბერძნეთში. გამოხატავდნენ თვალახვეულს, რომელსაც ერთ ხელში სასწორი უჭირავს, მეორეში — მახვილი.

თეოგონია — ბერძნ. «ღმერთების წარმოშობა». ნიშნავს: 1) მითებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნენ ღმერთები და 2) ელინურ ღვთისმეტყველებას.

თეოდემოკრატია — იეზუიტების მოძღვრება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ხალხის ძალაუფლებას აღიარებს, მაგრამ საღვთო კანონებს უპირატესობას, ეკლესიას კი კონტროლის ფუნქციას ანიჭებს.

თეოდიცეა — ღვთის გამართლება (ბერძნ.). რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ლაიბნიცმა ჩამოაყალიბა. მიზანად ისახავს, რომ ღვთის იდეასთან

მიმართებაში უსამართლობისა და ბოროტების რეალურ არსებობას ახსნა-განმარტება მოუძებნოს.

თეოკრატია — ეკლესიის მიერ სახელმწიფოს მართვა.

თეოლოგია — ღვთისმეტყველება.

თეოსოფია — «ღვთის სიბრძნე» (ბერძნ.). თვითშემეცნების რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება და პრაქტიკა. «თეოსოფიური საზოგადოება» დააარსეს ე. ბლავაცკაიამ და ჰ. ოლკოტმა 1975 წელს.

თესევსი — მითოლოგიური გმირი, ათენელი, რომელმაც მინოტავროსი (საზარელი ცხოველი) მოკლა და ბევრი სხვა საგმირო საქმე ჩაიდინა.

თვენი — საგალობელთა 12-ტომოვანი კრებული წელიწადის 12 თვის მიხედვით. ბერძნულიდან ქართულად თარგმნა და ორგინალური მასალითაც შეავსო გიორგი მთაწმინდელმა (+1065).

თორა — 1) ძველი აღთქმის პირველი ხუთი წიგნი, რომელსაც ებრაელები რჯულის წიგნს უწოდებენ და თაყვანს სცემენ. ტექსტი, რომელსაც სინაგოგაში კითხულობენ, დაწერილია ეტრატის (პერგამენტის) გრაგნილზე და სინაგოგაში ინახება.

თეურგია — «ღვთისმიერი საქმე» (ბერძნ.). ნიშნავს სულებთან კონტაქტის დამყარებას და ამ გზით საოცრებათა მოქმედებას.

თომიზმი — კათოლიკური ფილოსოფია, რომელიც თომა აქვინელმა (1224-1274) ჩამოაყალიბა.

თორმეტი სახარება — სახარების თორმეტი მონაკვეთი, რომლებშაც ქროსტეს ტანჯვა-წამებაა აღწერილი. იკითხება ვნების მარხვაშო, დიდ ხუთშაბათს.

ი

იადგარი — საგალობლების კრებული, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიებში XI ს-მდე გამოიყენებოდა. ბერძნულ დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია. შემონახულია ქართული თარგმანით.

იაჰვე — ძველებრაული ტეტრაგრამატონის «იჰვჰ»-ს თანამედროვა გახმოვანება; ვარიანტები — «იეჰოვა» და, დამახინჯებული ფორმა, «იეღოვა»; ღვთის ერთ-ერთი სახელი, რაც ნიშნავს: მყოფი, არსებული, ჭეშმარიტი, ძვ. ქართ. თარგმანით — «მე ვარ, რომელი ვარ!» (გამ. 3:14).

იბაკო და იკოსი — მცირე ფორმის საგალობლები.

იერარქია — სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება «წმინდა მთავრობა». არსებობს როგორც საღვთო ანუ ზეციური იერარქია (მთავრობა), ისე საეკლესიო იერარქია. პირველი ანგელოზთა დასებს გულისხმობს, მეორე — სამღვდელოთა ხარისხებს.

იკონოგრაფია — ხატწერის თეორია, კანონიკა და პრაქტიკა.

ინდულგენცია — ლათ. «წყალობის სიგელი», რომელსაც შუა საუკუნეებში რომის პაპები გასცემდნენ ამა თუ იმ ერისკაცის ცოდ-ვების მიტევებისათვის. საფუძვლად უდევს კათოლიკური რწმენა წმინდანთა ჭარბი მადლის შესახებ.

ინიციაცია — ლათ. «განდობა», «თანაზიარება», სულიერი კიბის გარკვეულ საფეხურზე ასვლა და ხელდასხმა.

ინკვიზიცია — ლათ. «გამოძიება». საგამომძიებლო-სასამართლო ორგანო, ტრიბუნალი კათოლიკურ ეკლესიაში, რომლის მიზანი ერეტიკოსებისა და ჯადოქრების გამოვლენა და დასჯა იყო (XIII-XVIII).

ინტრონიზაცია — სიტყვა ბერძნულია და «აღსაყდრებას» ნიშნავს.

ისაგოგიკა — შესავალი (ბერძნ.). იხმარება ბიბლიის მისამართით და «ბიბლიოლოგიის შესავალს» ნიშნავს.

ისიქაზმი — სამონასტრო-ასკეტური ცხოვრების წესი, რომელიც XIV ს-ში ათონის მთაზე ჩამოყალიბდა და სხვა მონასტრებშიც გავრცელდა. დამაარსებლად ბერი გრიგოლ პალამა (XIII-XIV) ითვლება. იგი ამტკიცებდა: ნათელი, რომელიც მოციქულებმა თაბორის მთაზე იხილეს, შეუქმნელი და მარადიულია; მისი განჭვრეტა კი მხოლოდ მდუმარებითაა შესაძლებელი. ამის თაობაზე სახელწოდება მიგვანიშნებს: «ისიქაზმუს» — მდუმარება, სიწყნარე.

ისმაილიტები — 1) აბრაამის პირველი ვაჟის, ისმაილის, შთამომავლები; 2) მუსლიმთა საერთო სახელი; 3) ერთ-ერთი ისლამური სექტის (ისმაილიტ-მულიდების, ასასინების, ქართ. — ალმუთელების) სახელწოდება.

ირმოლოგიონი — ნახ. «ძლისპირნი და ღვთისმშობლისანნი».

იუპიტერი — რომაულ მითოლოგიაში ცის, სინათლისა და წვიმის ღმერთი. ბერძნულ მითოლოგიაში მას ზევსი შეესაბამება.

იურისდიქცია — სივრცე (ტერიტორიული თუ სულიერი), რომელიც ამა თუ იმ მღვდელმთავრის სამართლებრივი მოქმედების ასპარეზს შეადგენს.

იღუმენი — მართლმადიდებელი მონასტრის წინამძღვარი.

კ

კაბალა — ებრაული წიგნი, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა («კაბბალაჰ» ძვ. ებრ. გადმოცემას, თქმულებას ნიშნავს).

კაბალისტიკა — 1) კაბალაზე დაფუძნებული რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი; 2) ისეთი რამ, რასაც თითქოს მაგიური ძალა აქვს; ბუნდოვანი, საიდუმლოებით მოცული, ძნელად გასარკვევი რამ.

კათაკმეველი — მოსანათლად გამზადებული.

კათალიკოსი (კათოლიკოსი) — აღმოსავლეთის ქვეყნების ეკლესიათა უპირატესი ეპისკოპოსი. სიტყვა ბერძნულია და საყოველთაოს ნიშნავს.

კათარზისი — განწმენდა (ბერძნ.).

კათედრა — 1) შემაღლებული ადგილი, საიდანაც ქადაგებენ; 2) ეპისკოპოსის რეზიდენცია.

კათოლიკე — 1) საყოველთაო და მსოფლიო ეკლესიის საერთო სახელი; 2) რომის კათოლიკური ეკლესიის წევრი.

კალანდობა — საახალწლო ზეიმი (უფრო დასავლეთ საქართველოში).

კანდელი — ეკლესიის ჭერზე ან ხატის წინ ჯაჭვით ჩამოკიდებული ლამპარი, რომელშიც ზეთი ანთია.

კანონი — 1) საეკლესიო ცხოვრების რეგლამენტი, იურიდიული ნორმა, წესი; 2) «დაბეჭდილი», ე.ი. კანონიკური ბიბლია; 3) ცხრა გალობისაგან შემდგარი საგალობელი, რომელიც ცისკარზე სრულდება.

კანონიზაცია — სარწმუნოებისათვის თავდადებული ან ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნების წმინდანად აღიარება.

კანონიკა — 1) საეკლესიო ცხოვრების იურიდიული მხარე; 2) სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც კანონიკურ ლიტერატურას შეისწავლის.

კარდინალი — პაპის შემდეგ უმაღლესი სასულიერო თანამდებობა რომის ეკლესიაში. იგივეა, რაც ბერძნულენოვან სამყაროში მიტროპოლიტი.

კასტა — იხ. ვარნა.

კატაკომბები — ვრცელი მიწისქვეშა გალერეები, სადაც პირველ ხანებში დევნილი ქრისტიანები აფარებდნენ თავს.

კატეხიზმო — დარიგება (ბერძნ.); ქრისტიანული მოძღვრების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით.

კელია — ბერის საცხოვრებელი სენაკი.

კერპი — წარმართულ ღვთაებათა სკულპტურული გამოსახულება.

კვაკერები — პროტესტანტული ეკლესია; შეიქმნა 1649 წ. ინგლისში. დამაარსებელია გრაფი ფოტსი. უარყოფენ ყოველგვარ საეკლესიო წესსა და პიროვნული სიწმინდის წყაროდ «შინაგან ნათელს» სახავენ.

კვართი — პერანგი. იხ. საუფლო კვართი.

კვეთა — იხ. პროსკომიდია.

კვეთებული — ლოცვა სულიერი ავადმყოფისათვის.

კვერექსი — ასამაღლებელი; გარკვეული თანმიმდევრობით წარმოსათქმელი მოკლე ლოცვები საზოგადო და კერძო ღვთისმსახურებაზე.

კვერთხი — მღვდელმთავრის ან ბერის ყავარჯენი (არგანი).

კლერიკალიზმი — სიტყვა ლათინურია («საეკლესიო») და ორი მნიშვნელობა აქვს: 1) საეკლესიო იდეოლოგია ზოგადად და 2) ეკლესიის დიქტატი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

კონგრეგაცია — 1) ერთი და იმავე წესდების მქონე მონასტრების გაერთიანება რომის ეკლესიაში; 2) რომის პაპთან არსებული ადმინისტრაციული ორგანო.

კონდაკი — 1) ჯოხი, რაზეც დახვეულია ეტრატი; 2) სასულიერო პირებისათვის განკუთვნილი წიგნი, რომელშიც საზოგადო ღვთისმსახურების (მწუხრის, ცისკრის, ჟამისწირვის) ტექსტებია მოცემული; 3) მცირე ფორმის საგალობელი.

კონკორდატი — ხელშეკრულება (ლათ.), რომელსაც ვატიკანი სხვადასხვა სახელმწიფოებთან დებს.

კონსისტორია — ლათ. «შეკრების ადგილი». 1) კარდინალთა თათბირი რომის პაპის მეთაურობით; 2) საეპარქიო ორგანო რუსეთის ეკლესიაში.

კონფესია (ლათ.) — აღმსარებლობა.

კონფირმაცია — 1) მირონცხების საიდუმლო, რომელიც ლათინური წესის ეკლესიებში ნათლისღების შემდეგ, მოწიფულ ასაკში, აღესრულება; 2) ეკლესიის წევრად მიღების წესი იმ პროტესტანტულ ეკლესიებში, სადაც ჩვილებს არ ნათლავენ. სიტყვა ლათინურია და «განმტკიცებას» ნიშნავს.

კონფუციანობა — ტრადიციული რელიგია ჩინეთში; კონფუცის მოძღვრება.

კოსმოლოგია — მოძღვრება სამყაროს შესახებ (ბერძნ.).

კულტი (ლათ.) — 1) ზოგადად: თაყვანისცემა, მსახურება, რელიგია; 2) რელიგიური ორგანიზაციის ფორმა, რომელსაც ლიდერის გაფეტიშება და გაკერპება ახასიათებს. მას ხშირად ტოტალიტარულ სექტასაც უწოდებენ.

კურია — რომის პაპის მმართველობის ორგანო.

კრეაციონიზმი — მოძღვრება სამყაროს შექმნის შესახებ (ლათ. კრეაცია «შექმნა»).

კრიალოსანი — მძივებიანი ძაფი. მძივების რაოდენობა «კირიე ელეისონის» ანუ, ქართ. «უფალო შეგვიწყალენის» იმ რაოდენობას შეესაბამება, რაც მლოცველმა ერთ ჯერზე უნდა წარმოთქვას.

კურთხევა — 1) ქიროტონია; 2) დალოცვა.

კურთხევანი — სამღვდელო წიგნი კერძო მსახურებისათვის (ნათლობა, ჯვრისწერა, წესის აგება და სხ.).

ლ

ლაბირინთი — ბერძნულ მითოლოგიაში: მრავალი დახლართული შესასვლელისა და გამოსასვლელის, აუარებელი ოთახის შემცველი ძნელად გასაგნები შენობა, რომელიც დედალოსმა მეფე მინოსს კუნძულ კრეტაზე აუგო.

ლაზარეთი — სამხედრო ნაწილთან არსებული პატარა საავადმყოფო. დაკავშირებულია იმ ლაზარეს სახელთან, რომელიც ავად იყო, მოკვდა და ქრისტემ გააცოცხლა (იოანე 11:1-25).

ლავრა — დიდი მონასტერი.

ლამა — ბუდისტი ბერი. სიტყვა ტიბეტურია: უზენაესი, ციური.

ლამაიზმი — ბუდიზმის განშტოება. აღმოცენდა ჩვ. წ. VII ს-ში; გავრცელებულია ჩინეთში, მონღოლეთსა და იაპონიაში.

ლარნაკი (ბერძნ.) — ლანგარი (თეფში), რომელზეც წმ. ნაწილებს აწყობენ.

ლეგატი — რომის პაპის მოციქული, ელჩი, მის მიერ გაგზავნილი (ლათ.).

ლეგენდა — ზეპირად გავრცელებული ამბავი, რომელიც რელიგიურ შინაარსს მოიცავს. აქვს სხვა, არარელიგიური მნიშვნელობებიც. სიტყვა ლათინურია და ასე ითარგმნება: «ის, რაც უნდა წაიკითხონ».

ლევიტელები — იაკობის შვილის, ლევის, შთამომავლები, რომლებსაც ძველი აღთქმის ეკლესიაში ღვთისმსახურების უფლება ჰქონდათ.

ლექციონარი — ლიტურგიკული კრებული, რომელიც დღესასწაულებისათვის განწესებულ ბიბლიურ საკითხავებს შეიცავს.

ლიმონარი — VI-VII სს-ის სირიელი მამის იოანე მოსხის აგიოგრაფიულ-დიდაქტიკური კრებულის სახელწოდება (ბერძნ.), რაც მდელოს (სამოთხეს) ნიშნავს.

ლიტანია (ბერძნ.) — საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან; იმართება დიდი დღესასწაულის, განსაკუთრებული მოვლენის ან საერთო განსაცდელის დროს.

ლიტია — მოკლე ლოცვა მიცვალებულის სულის საოხად.

ლიტურგია — იგივეა, რაც ევქარისტია, ჟამისწირვა, უსისხლო მსხვერპლის შეწირვა (ეტიმოლოგიურად: «ერის საქმე», ე.ი. საერთო მსახურება).

ლიტურგიკა — ლიტურგიისა და ლიტურგიკული ტექსტების შემსწავლელი მეცნიერება.

ლიფანალი — მიცვალებულის სულთან დაკავშირებული ცერემონიალი სვანეთში.

ლოგოსი (ბერძნ. «სიტყვა») — წმ. სამების მეორე პირი, ღვთის ძე, რომელიც განკაცდა (იოანე 1:1-5).

ლოცვა — ღმერთთან საუბარი.

ლუციფერი (ლათ.) — ჯოჯოხეთის მბრძანებელი; ეშმაკი, სატანა.

მ

მაგია (ბერძნ.) — ჯადოსნობა; კეთილი ან ბოროტი ძალების მომადლიერება.

მადლი — წყალობა, რომელიც ინდივიდს ღვთის მიერ პიროვნული დამსახურების გარეშეც ენიჭება.

მაზდეანობა — იგივე ზოროასტრიზმი (იხ.).

მათუსალა: მათუსალას ხნისა — იტყვიან ძალიან ხნიერ ადამიანზე. იგულისხმება კაცთა მოდგმის ერთ-ერთი წინაპარი მათუსალა, რომელმაც 969 წელი იცოცხლა (დაბ. 5:27).

მაკაბელთა წიგნები — ძველი აღთქმის ოთხი არაკანონიკური წიგნი, რომლებშიც აღწერილია ებრაელთა ბრძოლა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის.

მაკროკოსმოსი — დიდი კოსმოსი (ბერძნ.).

მამონა — არამეულ-ბერძნული სიტყვაა და სიმდიდრეს ნიშნავს; 1) ძველი აღმოსავლეთის ზოგ ხალხში სიმდიდრის ღვთაება; 2) ზოგადად: ანგარება, ვერცხლისმოყვარეობა.

მანანა — ციური საჭმელი, რითაც ღმერთი ებრაელებს უდაბნოში ასაზრდოებდა.

მანდეიზმი — ქრისტიანულ-გნოსტიკური კონფესია; იგივე «საბაიზმი», «იოანე ნათლისმცემლის ქრისტიანები», რომელიც ჩვ. წ. I ს-ში ახლო აღმოსავლეთში აღმოცენდა. მისი მიმდევრების რიცხვი ამჟამად ნახევარ მილიონს არ აღემატება. «მანდა» არამეული ენის მანდეურ დიალექტზე ცოდნას ნიშნავს.

მანიქეველობა — ერესი, ფილოსოფიურ-მისტიკური მოძღვრება, რომელიც III ს-ში ახლო აღმოსავლეთში სპარსელმა რეფორმატორმა მანიმ ჩამოაყალიბა. ქრისტიანობისა და მაზდეანობის კონგლომერატს წარმოადგენდა.

მანტრა (სანსკ.) — სიტყვა, ლოცვა.

მარა (სანსკ.) — ბოროტი, მომაკვდინებელი სული ბუდიზმში.

მასონი (ფრანგ. «კალატოზი») — რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც XVIII ს-ში ინგლისში შეიქმნა და საიდუმლო საზოგადოებათა სახით ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

მარონიტები — წმ. მარონის მიმდევრები; ძველი ტრადიციის ეკლესია ლიბანში, რომელიც XIII ს-ში რომის ეკლესიას შეუერთდა, მაგრამ თავისებური წეს-განგება შეინარჩუნა. დღეისათვის 6000-მდე მიმდევარი ჰყავს. ვარაუდობენ, რომ ისინი მონოთელიტების შორეული მემკვიდრეები არიან.

მარტვილია — ყველა მოწამის ხსენების დღე (სულიწმინდის მოფენის შემდგომი კვირადღე).

მარტვილობა (ბერძნ.) — 1) ზოგადად: დამოწმება, დადასტურება; 2) ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ტანჯვა-წამება და ამ გზით ჭეშმარიტების დადასტურება.

მარტირიკა — მარტვილთა ცხოვრების კრებული.

მარტიროლოგი — «წამებათა» აღმწერი.

მარხვა — დროის გარკვეული მონაკვეთი, როდესაც მორწმუნე პიროვნული განწმენდისათვის განსაკუთრებით ზრუნავს (თავს იკავებს ცხოველური საკვებისაგან და ა.შ.).

მარხვანი — ლიტურგიკული კრებული, რომელიც აღდგომის წინა მარხვის (დიდმარხვის) საგალობლებს შეიცავს.

მაჰატმა (სანსკ.) — დიდი სული; ღვთაებრივი პიროვნება.

მედავითნე — ის, ვინც ეკლესიაში დავითნს (ფსალმუნნს) კითხულობს.

მედიტაცია (ლათ.) — მჭვრეტელობა. ლოცვის მნიშვნელობითაც იხმარება.

მეთოდისტები — პროტესტანტული ეკლესია; შეიქმნა 1729 წ. ინგლისში; მოითხოვენ ანგლიკანური ეკლესიის წესების ზუსტ («მეთოდურ») შესრულებას.

მენონიტები — პროტესტანტული ეკლესია, რომლის დამაარსებელია მღვდელი მენო სიმონსი (1536 წ.).

მეორედ მოსვლა — უკანასკნელ ჟამს ქრისტეს მეორედ მოსვლა.

მესია — ებრაული სიტყვაა და ნიშნავს: ცხებული (ბერძნ. ქრისტე).

მეტანია — მუხლდადრეკით ლოცვა.

მეტანოია (ბერძნ.) — სინანული; სიტყვასიტყვით: «გონების განახლება».

მეტაფიზიკა (ბერძნ.) — «ფიზიკის შემდეგ»; იგულისხმება: მატერიალური სამყაროს მიღმა არსებული სამყარო და მისი შემეცნების არაემპირიული მეთოდი.

მეტაფრასი (ბერძნ.) — წმინდანის ძველი «ცხოვრებისა» თუ «წამების» განახლებულ-გამშვენებული რედაქცია.

მეტაფრასტი — მეტაფრასტის ავტორი.

მეუდაბნოე — უდაბნოში (უკაცრიელ ადგილზე) მცხოვრები ბერი.

მითი და მითოსი (ბერძნ. «გადმოცემა», «თქმულება») — 1) ძველი თქმულებები ღმერთებსა და გმირებზე, სამყაროს შექმნასა და სიცოცხლის წარმოშობაზე; 2) გადატანით: მონაჭორი, ტყუილი რამ.

მიკროკოსმოსი — «პატარა კოსმოსი» (შემოსაზღვრული სივრცე).

მირონი — 30-ზე მეტი სურნელოვანი ნივთიერებისაგან დამზადებული ზეთი, რომელიც სხვადასხვა პიროვნებისა თუ საგნის კურთხევის დროს გამოიყენება.

მირონცხება — იხ. კონფირმაცია.

მირქმა — საუფლო დღესასწაული (ძვ. ქართ. «მიქუმა», გულზე მიკონება) (წყარო: ლუკა 2:29-30).

მისანი — მკითხავი.

მისია (ლათ. «გაგზავნა») — მივლინება რაღაც მიზნისათვის.

მისიონერი — ეკლესიის მიერ სარწმუნოების გასავრცელებლად წარგზავნილი მქადაგებელი.

მისტერია (ბერძნ. «საიდუმლოება») — 1) საეკლესიო რიტუალი, რომლის ქმედითი ძალა ადამიანის თვალისათვის დაფარულია; 2) საღვთო მნიშვნელობის მოვლენა (მაგ. ჯვარცმა — გოლგოთის მისტერია).

მისტიკოსი — სულიერი სამყაროს მჭვრეტელი.

მიტრა (ბერძნ.) — მაღალი თანამდებობის სასულიერო პირების თავსარქმელი, რომელსაც მღვდელმსახურების დროს იხურავენ. იგივეა, რაც ლათ. «ტიარა».

მიტროპოლიტი — ეპისკოპოსის უმაღლესი კატეგორია.

მიურიდიზმი — მუსლიმთა გაერთიანება, რომლის მთავარი მიზანი ურწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლაა (არაბ. «მიურიდი» მოწაფე, შეგირდი).

მიძინება (ზეცად აღყვანება) — საღვთისმშობლო დღესასწაული (15.VIII).

მნათე — ეტიმოლოგიურად: ის, ვისაც ეკლესიაში სანთლების ანთება ევალება.; ზოგადად: ვინც მღვდელმსახურს ეხმარება (რეკს ზარს და ა.შ.).

მოგვი — წარმართი ღვთისმსახური.

მოლა (არაბ. «ბატონი») — მუსლიმთა ღვთისმსახური.

მონაზონი — 1) ზოგადად: ბერი, «მარტომყოფელი» (ბერძნ.); 2) მონასტრის მკვიდრი ქალი.

მონოთეიზმი (ბერძნ.) — რელიგია, რომელიც ერთ ღმერთს აღიარებს.

მონოთელიტობა — ერესი, რომელიც VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო (680-681). ამტკიცებდა, რომ ქრისტეს ორი ბუნება, მაგრამ ერთი ნება ჰქონდა (ბერძნ. მონო «ერთი» და თელემა «ნება»).

მონსინიორი — მაღალი იერარქიის სასულიერო პირის აღმნიშვნელი სიტყვა რომის ეკლესიაში. იგივეა, რაც ქართ. «მეუფე».

მოციქული — აპოსტოლი (ბერძნ.). ეს სახელი, როგორც წოდება, ეკლესიამ ქრისტეს 12 მოწაფეს მიანიჭა.

მრევლი — ეკლესიის იმ წევრთა კრებული, რომლებსაც სასულიერო ხარისხი არა აქვთ; ერისკაცები.

მრწამსი — სარწმუნოების სიმბოლო (ნახ.), რომელიც იწყება სიტყვით: «მრწამს...»

მსგეფსი — დროის ის მონაკვეთი მაგ. აღდგომის შემდეგი შვიდეული), როდესაც ოთხშაბათი და პარასკევი ხსნილია.

მუფთი — მუსლიმთა იურისტ-ღვთისმეტყველი, ყურანის განმმარტებელი; უმაღლესი სასულიერო პირი.

მღვდელი — საეკლესიო იერარქიის მეორე საფეხური (ქვემოდან ზემოთ).

მღვდლობა — შვიდ საეკლესიო საიდუმლოთაგან ერთ-ერთი; ღვთისმსახურად ხელდასხმა.

მწვალებლობა — ერესი (ნახ.).

მწირი — 1) წმ. ადგილთა მომლოცველი; 2) ზოგადად: მიუსაფარი და უპოვარი.

მწუხრი — დაისი, საღამო, როდესაც მორწმუნეები საერთო ლოცვისათვის იკრიბებიან.

მწყემსი — მოძღვარი, სასულიერო პირი ზოგადად.

ნ

ნათლია — პიროვნება, რომელმაც მეორე პიროვნებას ნათლისღების გზაზე ხელი გაუმართა. მეორენაირად, ძველი ქართულით, «მიმქუმელი» ეწოდება.

ნათლისღება — 1) ერთ-ერთი საუფლო დღესასწაული (ნახ. განცხადება); 2) შვიდთაგან ერთ-ერთი საიდუმლო; 3) პიროვნების ეკლესიის წევრად გახდომა, რაც წყლის სხურებით ან წყალში შთაფლვით აღესრულება.

ნათლული — ის, ვინც ნათლიის თანადგომით მოინათლა.

ნამაზი (სპარს.) — მუსლიმთა ლოცვა, რომელსაც დღეში ხუთჯერ ასრულებენ.

ნეოფიტი — იხ. პროზელიტი.

ნესტორიანობა — ერესი, რომელიც კონსტანტონოპოლის პატრიარქმა ნესტორიმ ჩამოაყალიბა. ამტკიცებდა, რომ მარიამმა შვა კაცი, რომელსაც ღვთაება მერე შეუერთდა, ე.ი. იესო ქრისტეში ერთი არსება ორ პირს მოცავდა. დაგმო III მსოფლიო საეკლესიო კრებამ (431 წ.).

ნიმფა — ბერძნულ მითოლოგიაში მეორეხარისხოვანი ქალღმერთი.

ნომოკანონი (ბერძნ.) — რჯულისკანონი.

ნუნციუსი (ესპ.) — რომის პაპის წარმომადგენელი (ელჩი, დესპანი) რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან.

ო

ობსკურანტი (ლათ. «ბნელი») — განათლებისა და მეცნიერების მტერი, წყვდიადის მსახური; ბნელეთის მოციქული.

ოდიკი — ოთხკუთხა ქსოვილი, რომლის შუაგულში გამოსახულია მაცხოვრის საფლავად დადება, ხოლო კუთხეებში — ოთხი მახარებელი. დევს საკურთხეველზე; შლიან წირვის დროს და უსისხლო მსხვერპლის შეწირვას მასზე ასრულებენ. სიტყვა ბერძნულია და მომდინარეობს სიტყვისაგან «ოდოს» (გზა). იგივეა, რაც ბერძნული და ლათინური ტრადიციის სხვა ეკლესიებში «ანტიმენსი».

ოდინი — უმაღლესი ღვთაება ძველ სკანდინავიელთა მითოლოგიაში.

ოთხთავი — ოთხი კანონიკური სახარება.

ოკულტიზმი (ლათ. ფარული, საიდუმლო) — მისტიკურ მოძღვრებათა და ქმედებათა საერთო სახელი.

ორაკული (ლათ.) — 1) წინასწარმეტყველება, რომელსაც ძველ საბერძნეთსა და რომში წინასწარმეტყველი ქალები (სიბილები) წარმოსთქვამდნენ; 2) ადგილი, ტაძარი, სადაც ქურუმები წინასწარმეტყველებდნენ.

ორატორია (ლათ.) — იგივეა, რაც ეგვტერი (ნახ.).

ორგია (ბერძნ.) — ძველ საბერძნეთსა და რომში ღვინისა და მხიარულების ღმერთის დიონისეს (ბახუსის) დღესასწაული.

ორდენი (ლათ.) — 1) კათოლიკე ბერების საზოგადოება, რომელსაც გარკვეული წესდება აქვს (მაგ. იეზუიტთა ორდენი); 2) კათოლიკე რაინდთა საზოგადოება ნახევრად სასულიერო ხასიათისა; 3) ჯილდო.

ორთოდოქსია (ბერძნ.) — 1) მართლმადიდებლობა, როგორც კონფესია; 2) რაიმე მოძღვრების განუხრელად მომდევრობა; რაიმე შეხედულებათა ურყევი თანმიმდევრობა.

ორმუზდი — იხ. «ზოროასტრიზმი».

ოსანა — ღვთის სადიდებელი შეძახილი ებრაულად.

ოქტოიხოსი (ბერძნ. რვა ხმა) — საეკლესიო კრებული, რომელშიც საგალობლები დალაგებულია ხმათა მიხედვით.

პ

პაგანიზაცია (ლათ.) — რომელიმე გაქრისტიანებული ეთნოსის (მაგ. ქართველი მთიელების) კვლავ წარმართობისაკენ მიდრეკა.

პანაღია — ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ეპისკოპოსს გულზე ჰკიდია. მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან «პან ჰაგიონ» (ყოვლადწმინდა).

პანაშვიდი (ბერძნ.) — ლოცვა მიცვალებულის სულის შემწეობისათვის.

პანდორა — ბერძნულ მითოლოგიაში: მშვენიერი ქალი, რომელსაც ზევსმა ადამიანის ყველა უბედურებით სავსე ყუთი მისცა; ცნობისმოყვარეობის გამო მან ყუთს თავი ახადა და განთავისუფლებული უბედურებანი ქვეყანას მოედვნენ. აქედან: «პანდორას ყუთი» — ყოველგვარი უბედურების წყარო.

პანთეიზმი (ბერძნ.) — ღმერთი ბუნებაში და ბუნება ღმერთში.

პანთეონი (ბერძნ. «ყველა ღმერთი») — 1) ძველ საბერძნეთსა და რომში ყველა ღმერთის სახელზე აგებული ტაძარი; 2) (გადატ.) სასაფლაო, სადაც გამოჩენილი ადამიანები განისვენებენ.

პაპი (ლათ.) — იგივეა, რაც პატრიარქი (იხ.).

პარაკლისი (ბერძნ.) — ლოცვა ნუგეშისათვის.

პასექი (ებრ. «ფესახ» გამოსვლა) — 1) მონობის ქვეყნიდან, ეგვიპტიდან, ებრაელთა გამოსვლის დღესასწაული; 2) ქრისტეს აღდგომა.

პასქალია — აღდგომის დღეთა კალენდარული სქემა.

პატრიარქი (ბერძნ. მამათმთავარი) — 1) ავტოკეფალური ეკლესიის უპირატესი ეპისკოპოსი, მეთაური; 2) ებრაელი ერის, ანდა ნებისმიერი ერის ან, ზოგადად, კაცობრიობის წინაპარი.

პატრისტიკა — ეკლესიის მამათა მოძღვრების სისტემური კურსი. იგივეა, რაც პატროლოგია.

პეშიტო (ფეშიტო) — ძველი აღთქმის სირიული თარგმანი.

პირველშეწირულის ლიტურგია — აღესრულება დიდმარხვაში. ავტორია რომის პაპი გრიგოლ დიდი, დიალოგონი (დიოლოღოსი) (VI-VII). ასე ეწოდება, რადგან გამოიყენება წინა დღით ბასილი დიდის ლიტურგიაზე შეწირული ტარიგი (პური, სეფისკვერი).

პოლითეიზმი — რელიგია, რომელიც მრავალ ღმერთს აღიარებს; მრავალღმერთიანობა.

პორფირი — რომის იმპერატორების წითელი მოსასხამი. ასეთივე მოსასხამი ბიზანტიურ ეპოქაში ეპისკოპოსებმაც გამოიყენეს.

პოსეიდონი — ზღვის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

პრესვიტერი (ბერძნ.) — მღვდელი, ხუცესი.

პროზელიტიზმი — 1) ზოგადად: ამა თუ იმ სარწმუნოებაზე მოქცევა; 2) ღონისძიება სხვა სარწმუნოების მიმდევართა გადმობირებისათვის.

პროსკომიდია — ლიტურგიის შესავალი, როდესაც მოაქვთ სეფისკვერი და ამტვრევენ. აქედან წარმოდგება სახელწოდება, რაც ბერძნულია და «პირველმოტანილს» ნიშნავს.

პროტესტანტობა (ლათ.) — 1) ზოგადად: დაპირისპირებულობა, დისიდენტობა; 2) ქრისტიანული რელიგიის განშტოება, რომელიც კათოლიკური ეკლესიის ტრადიციას დაუპირისპირდა. იგი თავის მხრივ რამდენიმე მიმართულებად დაიყო.

ჟ

ჟამნი — საგალობელთა კრებული, რომელიც განკუთვნილია ყოველდღიური საზოგადო მსახურებისათვის.

რ

რაბი (ებრ.) — მოძღვარი.

რაბინი — სინაგოგის (იხ.) წინამძღვარი.

რამაზანი (არაბ.) — მუსლიმთა მთვარის კალენდრის მეცხრე თვე, როდესაც ისინი ყოველდღიურად, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, მარხვას ინახავენ.

რელიკვია (ლათ. «ნარჩენები») — ზოგადად: ძვირფასი სახსოვარი; ეკლესიაში: თაყვანისცემის საგანი — წმინდანთა ნაწილები, ტანსაცმელი და სხვ.

რეფორმაცია — ლათ. «ახალი ფორმის მიცემა». რეფორმატორული ეკლესიები იგივე პროტესტანტული ეკლესიებია.

რიტუალი (ლათ.) — სარწმუნოებრივი შინაარსის მოქმედება.

ს

საბაოთი — ღვთის ერთ-ერთი სახელი ძველ აღთქმაში.

სადიაკვნე — საკურთხევლის სამხრეთი ნაწილი (კუთხე, ოთახი), რომელშიც საეკლესიო ჭურჭელს და შესამოსალს ინახავენ.

სადუკევლები — პოლიტიკურ-რელიგიური მიმდინარეობა იუდეველთა შორის. არ ჰქონდათ ანგელოზების, სულის უკვდავებისა და მკვდრეთით აღდგომის რწმენა.

სადღესასწაულო — ლიტურგიკული კრებული, რომელშიც წარმოდგენილია საეკლესიო საკითხავ-საგალობლები.

საეპისკოპოსო — იხ. ეპარქია.

საერონი — ეკლესიის არასასულიერო წევრები.

საზოგადო ღვთისმსახურება — ყველა მორწმუნისათვის განკუთვნილი ღვთისმსახურება: წირვა, მწუხრი და ცისკარი. ნახ. ლიტურგია.

საიდუმლო სეროპა — უფლის ბოლო სეროპა (ვახშმობა), როდესაც მან ზიარების საიდუმლო დააწესა.

საიქიო — სულის სამყოფელი გარდაცვალების შემდეგ.

საკრალური — ის, რაც წმინდა და ღვთაებრივია (ლათ. «საკერ» წმინდა).

საკრამენტი — 1) სიწმინდე ზოგადად; 2) საეკლესიო საიდუმლო.

საკურთხეველი — ტაძრის საკრალური ნაწილი, სადაც უსისხლო მსხვერპლი იწირება.

საკურთხი — 1) შესაწირავი ზოგადად; 2) მიცვალებულის სახელზე მომზადებული საჭმელი.

სალოსი (ბერძნ.) — «ქრისტესთვის სულელი»; ასკეტური ცხოვრების ერთ-ერთი ფორმა — «ღვთის გლახა.»

სამება — ერთარსება-სამება, ტრიადა (ბერძნ.).

სამკვეთლო — საკურთხევლის ჩრდილოეთის კედელზე მიდგმული მაგიდა, რომელზეც კვეთა სრულდება.

სამოთხე — მართალთა განსასვენებელი საიქიოში.

სამოციქულო — ლიტურგიკული კრებული, რომელშიც შესულია საქმე მოციქულთა, პავლეს 14 და 7 კათოლიკე ეპისტოლეები.

სამრეკლო — კოშკი ზარითურთ.

სანაწილე — ყუთი, რომელშიც წმ. ნაწილები ინახება.

საპატრიარქო — პატრიარქის რეზიდენცია და კანცელარია.

სატანა — ბოროტი სული, ღვთის მტერი.

სატრაპეზო — მონასტრის სასადილო.

საუფლო კვართი — ქრისტეს პერანგი, რომლის შესახებ სახარებაში ნათქვამია: «უკერველი იყო; თავიდან ბოლომდე ნაქსოვი»; მასზე ჯარისკაცებმა წილი იყარეს, რითაც წინასწარმეტყველება აღსრულდა (იოანე 19: 23-24). ძველი საეკლესიო ტრადიციის თანახმად, იგი ქართველმა ებრაელებმა მცხეთაში მოიტანეს და სვეტიცხოველში დაკრძალეს.

საყდარი — 1) ტახტი; 2) გადატანით: ეკლესია, ტაძარი.

საწინასწარმეტყველო — ლიტურგიკული კრებული, რომელიც ძველი აღთქმისეულ საკითხავებს მოიცავს.

სახარება — ევანგელიე (ნახ.).

სენაკი — მონაზონის პატარა ოთახი.

სეპტუაგინტა (სეპტანტა, ქართ. სამოცდაათისეული) — ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანი, რომელიც ძვ. წ. 270 წელს ალექსანდრიაში 72 მთარგმნელმა შეასრულა.

სერაფიმები — ანგელოზთა უზემოესი დასი.

სეფისკვერი (პროსფორა) — ზიარებისათვის განკუთვნილი პური.

სექტა — ეკლესიასთან და ქვეყნის ზოგად ტრადიციებთან დაპირისპირებული ჯგუფი. სიტყვა ლათინურია და გამოყოფას, ჩამოჭრას, მოკვეთას ნიშნავს, მეორეული აზრით — სკოლას, მიმდინარეობას.

სიბილა (ბერძნ.) — ძველ საბერძნეთსა და რომში წინასწარმეტყველი ქალი.

სიმბოლო სარწმუნოებისა — სარწმუნოების ძველი ფორნულები, მისი რეზიუმეს სახით გადმოცემა; რჯულის კონსპექტი. ცნობილია რამდენიმე სიმბოლო. მათგან ყველაზე სრული ის სიმბოლოა, რომელიც ნიკეისა (325) და კონსტანტინოპოლის (381) კრებებმა ჩამოაყალიბეს. იხ. მრწამსი.

სინაგოგა (ბერძნ.) — იუდეველთა 1) საკრებულო და 2) სალოცავი სახლი.

სინანული — ერთ-ერთი საეკლესიო საიდუმლო. იხ. მეტანოია.

სინედრიონი — იუდეველი მღვდელმთავრების კრებული.

სინოდი — 1) მღვდელმთავართა კრება; 2) საეკლესიო კრება ზოგადად.

სინოპტიკური სახარებები — ამბავთა თითქმის ერთნაირად აღმწერი სახარებები (მათე, მარკოზი, ლუკა).

სიონიზმი — ებრაელთა რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც 1897 წელს შეიქმნა და ებრაელთა სახელმწიფოს აღდგენას ისახავდა მიზნად.

სპირიტიზმი (ლათ. სპირიტუს «სული») — მიცვალებულთა სულების გამოძახებისა და მათთან დაკავშირების რწმენა და რიტუალი.

სპირიტუალიზმი (ლათ. «სულიერი») — რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება სულის პირველადობის შესახებ.

სტიქარი (ბერძნ.) — იმ პირთა კაბა, რომლებიც ეკლესიაში ღვთისმსახურებს ემსახურებიან. აქედან — სტიქაროსანი.

სტიქიონი (ბერძნ. ელემენტი) — ბუნების ძირითადი ელემენტები: ჰაერი, წყალი, მიწა და ცეცხლი.

სტოიკოსი (ბერძნ.) — 1) ძველ საბერძნეთში ერთ-ერთი ფილოსოფიური სკოლის, სტოიციზმის, მიმდევარი; 2) გაჭირვებისა და განსაცდელის მტკიცედ ამტანი ადამიანი.

სულთმოფენობა — მოციქულებზე წმ. სულის გარდამოსვლის დღესასწაული (საქ. მოც. 2:1-41).

სუნა (არაბ.) — წმ. გადმოცემა ისლამში.

სუნიტები — ისლამის ერთ-ერთი განშტოება; სუნას მიმდევრობა.

სუფიზმი (არაბ.) — მისტიკურ-ასკეტური მიმდინარეობა ისლამში, რომელიც მე-8 ს-ში წარმოიშვა.

სქიზმა (ბერძნ. გაყოფა) — საწესჩვეულებო და კანონიკურ საფუძვლებზე ეკლესიებს შორის ევქარისტიული კავშირის გაწყვეტა. იგივეა, რაც რუს. რასკოლი.

სქოლასტიკა (ბერძნ. მოძღვრება) — 1) სისტემაში მოყვანილი საეკლესიო დოგმატიკა; 2) ფორმალური, ცხოვრებასა და პრაქტიკას მოწყვეტილი ცოდნა; უსაგნო მსჯელობა, ასკირკიტობა.

ტ

ტარტაროზი — ბერძნულ მითოლოგიაში ქვესკნელის უბნელესი ადგილი, იგივე ჯოჯოხეთი.

ტაძარი — საყდარი (ნახ.).

ტაძრად მიყვანება — საღვთისმშობლო დღესასწაული, 21 ნოემბერი.

ტელეპათია (ბერძნ.) — მოვლენებისა და აზრების შორი მანძილიდან აღქმა.

ტიპიკონი (ბერძნ.) — ღვთისმსახურების სახე, წესი, თარგი. იგივეა, რაც ლათ. რიტი. ცნობილია რამდენიმე სახის სამრევლო და საერო ტიბიკონი.

ტოტემიზმი — გვარის ან ტომის წინაპრად რომელიმე ცხოველის ან მცენარის აღიარება («ტოტემი» ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ენაზე გვარს ნიშნავს).

ტრაპეზი (ბერძნ.) — საკურთხევლის მაგიდა, რაზეც უსისხლო მსხვერპლი იწირება.

ტრიადა — იხ. სამება

ტრიფტიქი (ბერძნ.) — სამად მოსაკეცი ხატი (ქართ. სამკარედი).

ტროპარი (ბერძნ.) — სხვადასხვა დანიშნულების მცირე ფორმის საგალობელი.

უ

უდაბნო — უკაცრიელი ადგილი, სადაც მონასტერია.

უნია (ლათ. «კავშირი») — კათოლიკური და არაკათოლიკური ეკლესიების გაერთიანება რომის პაპის მეთაურობით.

უსისხლო მსხვერპლი — იხ. ევქარისტია.

უცომობის დღესასწაული — იხ. პასექი.

ფ

ფალოსი (ბერძნ.) — მამაკაცის სასქესო ორგანოს, როგორც ბუნების მწარმოებლური ძალის სიმბოლოს, გამოსახულება, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ძველი ხალხები. აქედან — «ფალოსის კულტი».

ფანატიზმი (ლათ. გაშმაგება) — რაიმე რწმენით (რელიგიით და სხ.) უკიდურესად გატაცება; ბრმადმორწმუნეობა.

ფარისევლები — იუდეური სექტა, რომელიც ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მოქმედებდა; ყურადღებას ძირითადად რჯულის გარეგან მხარეზე ამახვილებდნენ.

ფატალიზმი (ლათ. «ფატალის» საბედისწერო) — წინასწარ განსაზღვრული ბედის გარდაუვალობის რწმენა.

ფერისცვალება — ერთ-ერთი საუფლო დღესასწაული (მათე 17:1-7; მარკოზი 9:2-9; ლუკა 9:28-36).

ფეტიშიზმი (პორტ. «ფეტიშე» გაკეთებული) — უსულო საგნების თაყვანისცემა, ნივთების გაიდეალება.

ფეშხუმი (ბერძნ.) — დაბალყელიანი თევში, რომელზეც ბარძიმი დევს.

ფეხთბანვა — რიტუალი, რომელის მაცხოვრის მიერ მოწაფეების ფეხის დაბანას ასახიერებს (იოანე 13:1-10); სრულდება დიდ ხუთშაბათს.

ფიდეიზმი (ლათ.) — იდეალისტური მოძღვრება, რომლის თანახმადაც რელიგიურ რწმენას მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მეცნიერულ ცოდნას.

ფილეტიზმი (ბერძნ. «მეტომეობა») — ერთგვარი ეკლესიოლოგიური ერესი; ეკლესიების ეროვნული პრინციპით ორგანიზება (ქართველების ეკლესია, რუსების ეკლესია და ა.შ.); ზოგადად ნაციონალიზმი ეკლესიაში.

ფილიოკვე — კათოლიკური ფორმულა წმ. სულია ძისაგანაც გამოსვლის შესახებ.

ფორტუნა (ლათ.) — 1) ბედ-იღბლის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 2) ბედნიერი შემთხვევა, იღბალი.

ფსალმუნი (ებრ.) — 1) ინსტრუმენტი; 2) საგალობელი, რომელიც ამ ინსტრუმენტზე სრულდებოდა.

ფსალმუნნი — ფსალმუნთა კრებული; ძვ. აღთქმის ერთ-ერთი წიგნი, რომლის ავტორია წინასწარმეტყველი დავითი, რის გამოც მას ქართულად «დავითნსაც» უწოდებენ.

ფსკვნილი — თოკისაგან მოქსოვილი კრიალოსანი (ნახ.).

ფრესკა (იტ.) — წყლის საღებავით დახატული სურათი ახლად შელესილ (ჯერ კიდევ სველ) კედელზე, ჭერზე. ზოგადად — კედლის მხატვრობა.

ქ

ქადაგება (ბერძნ. «ჰომილია») — სარწმუნოებაში განსწავლული პირის სამოძღვრო სიტყვა, რომლის შინაარსს საღვთო წერილის ესა თუ ის მონაკვეთი განსაზღვრავს.

ქერუბიმი — ანგელოზთა იერარქიაში ერთ-ერთი უმაღლესი დასი.

ქვესკნელი — ჯოჯოხეთი.

ქილიაზმი (ბერძნ. ათასი) — ესქატოლოგიური ერესი (II-V სს.), რომლის თანახმად მეორედ მოსვლის წინ ქვეყანაზე ქრისტეს ათასწლოვანი სამეფო დაარსდება. ერესიარქია მონტანი, რის გამოც მას მონტანიზმსაც უწოდებენ.

ქირომანტია (ბერძნ.) — ხელისგულზე მკითხაობა.

ქიროტონია — იგივე ქიროთესია. ბერძნულია და ნიშნავს: ხელდასხმა (იხ).

ქორეპისკოპოსი — სიტყვასიტყვით: სახლის (კარის) ეპისკოპოსი; მდივან-ეპისკოპოსი. იგივე, რაც სხვა ეკლესიებში «ვიკარი».

ქორონიკონი (ბერძნ.) — დროის აღრიცხვის 532 წლიანი სისტემა; საქართველოში VIII ს-ში დაინერგა.

ქორწინება — ერთ-ერთი საეკლესიო საიდუმლო.

ქრისტე (ბერძნ.) — ცხებული (მესია); განკაცებული ღმერთის სახელი.

ქტიტორი (ბერძნ.) — პიროვნება, რომელიც ეკლესიას მატერიალურ დახმარებას უწევს.

ღ

ღვთისმეტყველება — მოძღვრება ღმერთზე და მის შემოქმედებაზე. იგივეა, რაც თეოლოგია.
ღვთისმშობელი — ქალწული მარიამი, რომელმაც იესო ქრისტე შვა.
ღვთისმშობლისანი — საგალობლის ბოლო ტროპარი.
ღვთისმშობლის შობა — საღვთისმშობლო დღესასწაული (8.IX).
ღმერთი — ხილული და არახილული სამყაროს შემოქმედი.
ღმერთკაცი — იესო ქრისტე.

ყ

ყადი (არაბ.) — მუსლიმთა სასულიერო მსაჯული, მოსამართლე.
ყველიერი — დიდმარხვის წინა კვირა მართლმადიდებელ ეკლესიაში; მარხვა ყველით და კვერცხით.

შ

შავი სამღვდელოება — სასულიერო პირები, რომლებიც ბერმონაზვნები არიან.
შაითანი (სპარს.) — ავი სული, ეშმაკი.
შამანი (მანჯ.-ტუნგ. «შამან» ექიმი) — ზოგ ხალხში: კულტის მსახური, ჯადოქარი, ექიმი.
შამანიზმი — ავი და კეთილი სულების კულტი.
შანდალი — სასანთლე.
შარავანდედი (ნიმბი, დიადემა) — ნათელი, რომელიც წმინდანებს ადგათ თავს ფერწერულ ტილოზე.
შარიათი (არაბ.) — ისლამური სამართლის კოდექსი; რჯულის კანონი, რომელსაც «ისლამურ ქვეყნებში» სახელმწიფო სამართლის სტატუსი აქვს.
შაჰსეი-ვაჰსეი (სპარს.) — მუსლიმთა (შიიტთა) რიტუალი, თვითგვემა, რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთი ხალიფას შვილის ჰუსეინის სიკვდილთან.
შეიხი (არაბ.) — მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო პირი, ღვთისმეტყველი და სამართალმცოდნე.
შენდობის კვირა — დიდმარხვის წინა კვირადღე, როდესაც მორწმუნეები ერთმანეთს ცოდვებს მიუტევებენ და შენდობასაც ითხოვენ.
შერაცხვა — იხ კანონიზაცია.
შერისხვა — იხ. ანათემა.
შესაქმე — 1) ძვ. აღთქმის პირველი წიგნი; 2) ღვთის შემოქმედებითი აქტი.
შიიზმი (არაბ. «შია» პარტია) — ისლამის განშტოება, რომელიც რჯულის პირველწყაროდ მხოლოდ ყურანს აღიარებს და სუნას უარყოფს.

შობა — საუფლო დღესასწაული (მათე 2:1-11; ლუკა 2:1-20) (25.XII).

ჩ

ჩანდრა — მთვარის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში.
ჩიჩილაკი — საშობაო სამკაული ქართულ ხალხურ რელიგიურ პრაქტიკაში; ჯოხი ბურბუშელასნაირი ანათლებით, მორთული ტკბილეულობითა და ხილით. სიმბოლურად წმ. ბასილი დიდის წვერს აღნიშნავს.
ჩხიბვა — ჯადოქრობა.

ც

ცელიბატი (ლათ.) — სასულიერო პირთა დაუქორწინებლობის პრინციპი.
ცერერა (ლათ.) — რომაულ მითოლოგიაში ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ქალღმერთი (ბერძნულ მითოლიგიაში მას შეესაბამება დემეტრა).
ცეცხლთაყვანისმცემლობა — იხ. მაზდეანობა.
ცისკარი — დილის ღვთისმსახურება, რომელსაც არასამონასტრო ეკლესიებში ჩვეულებრივ მწუხრს მიაყოლებენ.
ცოდვა — ღვთის ნების საწინააღმდეგო სვლა, მცნებათა დარღვევა.
ცხონება — საუკუნო სიცოცხლე სამოთხეში.

ძ

ძალნი — ანგელოზთა ერთ-ერთი დასი.
ძველი აღთქმა — 1) ძველი კავშირი ღმერთსა და ისრაელს (ზოგადად: კაცთა მოდგმას) შორის; 2) ბიბლიის პირველი ნაწილი (ძველი ტრადიციით 22 წიგნი).
ძველი აღთქმის რჯული — იგივე მოსეს რჯული, რომელიც ღმერთმა ისრაელიანებს სინას მთაზე გამოუცხადა.
ძლისპირი — მცირე ფორმის საგალობელი; გალობის პირველი ტროპარი, რომელიც მომდევნო სტრიქონების ხმას (ძალს, მელოდიას) განსაზღვრავს.

წ

წანდილი — კოლიო, საკურთხი.
წარმართობა — ბუნებითი რილიგია, ბუნებითი რჯული (რომ. 2:14), კერპთაყვანისმცემლობა, მრავალღმერთიანობა.
წარღვნა — სასჯელი, რითაც ღმერთმა ცოდვილი კაცობრიობა დასაჯა.
წითელი პარასკევი — ვნების კვირის პარასკევი, როდესაც მორწმუნეები ქრისტეს ვნებას და ჯვარცმას იხსენებენ.
წინადაცვეთა — რიტუალი, რითაც ადამიანი ებრაელი ან მუსლიმი ხდება; ჩუჩის მოჭრა, რაც პირველად აბრაამმა გააკეთა (დაბ. 17:10-11).

წინადაცვეთა უფლისა — ყრმა იესოს წინადაცვეთა და მისთვის სახელის დარქმევა; საუფლო დღესასწაული (ლუკა 2:21) (1.I).

წინასწარმეტყველნი — რჩეული ისრაელიანები, რომლებიც წმ. სულის შთაგონებით მხსნელის მოვლინებას წინასწარმეტყველებდნენ.

წირვა — იხ. ევქარისტია.

წმინდანები — განსაკუთრებული სულიერი ძალის და მადლის მქონე ადამიანები, რომლებიც უკვე, საყოველთაო სამსჯავრომდე, ცათა სასუფეველში განისვენებენ.

ჭ

ჭინკა — ქართულ ხალხურ რელიგიაში: მაცთური, ალი, ქაჯი.

ჭონა — ქართული ხალხური ჩვეულება: აღდგომის წინა დღეს საგანგებო სიმღერით, რომელსაც «ჭონა» ეწოდება, კარდაკარ სიარული და წითელი კვერცხის თხოვნა.

ხ

ხალენი — იხ. კვართი.

ხალიფა (არაბ. ნაცვალი, მოადგილე) — მუჰამედის, როგორც მოციქულის, საქმის გამგრძელებელნი საერო და სასულიერო დარგში.

ხარება — საუფლო დღესასწაული ანგელოზის მიერ მარიამისთვის სულიწმინდით დაორსულების იწყებასთან დაკავშირებით (ლუკა 1:26-38) (25.III).

ხატი — იესო ქრისტეს, ღვთისმშობლის, მოციქულებისა და წმინდანების კანონიკური წესებით გამოსახვა.

ხატმებრძოლობა — ერესი, რომელიც აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებში VII-VIII სს-ში მძვინვარებდა; დაგმო VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ (787; ქ.ნიკეა).

ხატწერა — იკონოგრაფია (ნახ.).

ხელდასხმა — პიროვნების ამა თუ იმ სასულიერო ხარისხში აღყვანება. იხ. ქიროტონია.

ხემწიფებანი — ანგელოზთა ერთ-ერთი დასი.

ჯ

ჯაინიზმი — ერთ-ერთი ტრადიციული რელიგია ინდოეთში.

ჯამე (არაბ. შესაკრებელი) — მუსლიმთა მდიდრული სალოცავი.

ჯვართამაღლება — საუფლო დღესასწაული, რომელიც იმ ჯვრის აღმოჩენასთანაა დაკავშირებული, რომელზეც ქრისტე ევნო (14.IX).

ჯვარი — ქრისტიანთა უდიდესი სიწმინდე; საშუალება, რითაც ქრისტემ სოტეროლოგიური (გამომხსნელობითი) მისია აღასრულა.

ჯოჯოხეთი —ცოდვილთა სულების სამუდამო სატანჯველი.

ჰ

ჰაგიოგრაფია — იხ. აგიოგრაფია.
ჰაზავათი (ღაზავათი) — წმ. ომი, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციაში ისლამის მტერთა წინააღმდეგ ცხადდება.
ჰაჯი (არაბ.) — მექის მომლოცველი მუსლიმის ტიტული.
ჰიმნი (ბერძნ.) — ხოტბა, საგალობელი.
ჰიმნოგრაფია — ჰიმნების შემსწავლელი მეცნიერება.
ჰიჯრა (არაბ.) — გადასახლება.
ჰომილეტიკა — სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც ქადაგების ხელოვნებას და ქადაგებათა ტექსტებს სწავლობს.
ჰომილია (ბერძნ.) — ქადაგება.
ჰიპოსტასი (იპოსტასი) — პიროვნება, პირი, სახე, ძვ. ქართ. გვამი, რომლებიც თეოლოგიაში სამების თითოეული წევრის მისამართით გამოიყენება.
ჰუგენოტები — იგივე კალვინისტები, რომლებსაც XVI-XVII სს-ში კათოლიკე ეკლესია და საფრანგეთის მთავრობა სდევნიდა. იხ. «ბართლომეს ღამე».

შემოკლებები

აღმ.	—	აღმოსავლეთი
დასავ.	—	დასავლეთი
დას.	—	დასაწყისი
დეკ.	—	დეკანოზი
ებრ.	—	ებრაელი
ეკლ.	—	ეკლესია
ეპ.	—	ეპისკოპოსი
იმპ.	—	იმპერატორი
ლათ.	—	ლათინური
მეს	—	მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში
მღვდ.	—	მღვდელი
საქ.	—	საქართველო
სებე	—	საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია
სეპე	—	საქართველოს ევანგელ-პროტესტანტური ეკლესია
სმე	—	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია
სოფ.	—	სოფელი
ს.	—	საუკუნე
სს.	—	საუკუნეები
სსე	—	სომეხთა სამოციქულო ეკლესია
ჩრ.	—	ჩრდილოეთი

გვ. 10-11 ხანძთის გუმბათი. პაატა ვარდანაშვილი
გვ. 24-25 სვეტიცხოველი. ფრაგმენტი. ლევან ხერხეულიძე
გვ. 64-65 ხევსურთა წმინდა დროშები. არჩილი ქიქოძე
გვ. 76-77 მსახურება სინაგოგაში. თბილისი. ლევან ხერხეულიძე
გვ. 104-105 საყდარი თრუსოს ხეობაში. არჩილ ქიქოძე
გვ. 118-119 დავით გარეჯა. ლავრა. არჩილ ქიქოძე
გვ. 138-139 საშობაო მსვლელობა. თბილისის მერიის ფოტოარქივი
გვ. 148-149 ვედრება. საკურთხევლის კონქი. თევდორე ნაკიფარი. სვანეთი (X ს.). მერაბ ბუჩუკური
გვ. 188-189 ღვთისმსახურება. სომეხთა სამოციქულო ეკლესია. იურა მეჩითოვი
გვ. 206-207 წმინდა ლიტურგია. კათოლიკე ეკლესია. საქართველო. არჩილ ქიქოძე
გვ. 228-229 ქადაგება. ლუთერანული ეკლესია. თბილისი. არჩილ ქიქოძე
გვ. 334-335 პარასკევის ლოცვა. ჯუმა მეჩეთი. თბილისი. არჩილ ქიქოძე
გვ. 366-367 თენგიზ შეიხ ბავკი ლოცვის დროს. თბილისი. ლევან ხერხეულიძე
გვ. 378-379 ვედური ცნობიერების ცენტრი. «ცხელი შოკოლადის» ფოტოარქივი. დათო მესხი
გვ. 388-389 ბუდისტური ლოცვა. ვიკიპედიის თავისუფალი ფოტოარქივი
გვ. 400-401 ბაჰაის ცენტრი ხაიფაში. ისრაელი. ვიკიპედიის თავისუფალი ფოტოარქივი
გვ. 408-409 მთები. არჩილ ქიქოძე
გვ. 422-423 სამოთხე. ნახატი. გიგა ჩხეიძე